

კობა ხარაძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ისტორიული გეოგრაფია

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა ხარაძე

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

სახელმძღვანელო უნივერსიტეტის
გეოგრაფიული სპეციალობის
სტუდენტებისათვის

თბილისი
2003



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიული გეოგრაფია

წიგნი წარმოადგენს გეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტთა სახელმძღვანელოს, რომელშიც განხილულია ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი პრინციპები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ცალკეული საკითხები, რეგიონული ისტორიული გეოგრაფია. საკითხები დალაგებულია თემატური და სადეკლეთო კურსის შესაბამისად თანაბარი მოცულობით (32 საათი).

წიგნი დახმარებას გაუწევს სამუალო სკოლის მასწავლებლებს და, სავსებით, წარსულის გეოგრაფიით დაინტერესებულ პირებს.

რედაქტორი ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი
მამაკაზ ბერაძე

რეცენზენტები:

ისტორიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი
პოლემო მგახალაშვილი

გეოგრაფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი
პატიშვილი პატიშვილი

გეოგრაფიის მეცნ. კანდიდატი, დოცენტი
ოთარ მხაიძე

F 80062
3

© ქ. ზარაძე გამოცემლობა „კახაბონი“. 2003

ISBN 99928-0-308-8





წინასიტყვაობა

ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც წარსული გეოგრაფიული სურათის აღდგენა საშუალებას გვაძლევს აწმყოს უკეთ შევცნობაში. წარსულის სურათის აღდგენა კი შესაძლებელია სხვადასხვა ისტორიული და კარტოგრაფიული წყაროების საშუალებით. ბუნების, სოციალური თუ ეკონომიკური სურათის რეტროსპექტივას პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

ისტორიული გეოგრაფია წარსულის გეოგრაფიულ მდგომარეობას იკვლევს, რაც მოითხოვს გეოგრაფიული ცოდნის მეთოდოლოგიის, წარსულის გეოგრაფიული დოკუმენტების შესწავლას და ბუნებრივი გარემოს ცოდნას. ხოლო კვლევისათვის საჭიროა წყაროების, სტატისტიკური, არქეოლოგიური და რეტროსპექტული მეთოდების გამოყენება.

ისტორიულ გეოგრაფიას ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. საქართველოში ეს კურსი დღემდე მხოლოდ ისტორიულ ფაკულტეტზე იკითხებოდა. ამჟამად, იგი ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის გეოგრაფიულ სპეციალობებზეც იკითხება.

დღევანდელ რთულ პირობებში საჭიროა ახალგაზრდობამ გააცნობიეროს წარსული გეოგრაფიული მდგომარეობა. წარსულის გეოგრაფიის ცოდნას არა მარტო მეცნიერული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.



ისტორიული გეოგრაფია ეს არის თავისებური მოსახლეობის მუცნიერების დარგი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე განიცდიდა გეოგრაფიისა და ისტორიის ძალისხმევით. ამასთან, ისტორიული განვითარების ტენდენცია უფრო მკვეთრად აისახა მუცნიერებაში, ვიდრე გეოგრაფიულში. შემდეგში განვიხილავთ ისტორიული გეოგრაფიის მამართულებას, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული მდგომარეობა განიხილება დიაქრონიული ანალიზის მეთოდით (გამჭობი, გაელითი).

ისტორიული გეოგრაფია შესწავლის ამა თუ იმ ქვეყნის ან ტერიტორიის ფიზიკურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გეოგრაფიას ისტორიულ წარსულში.

ისტორიულ გეოგრაფიული შესწავლისადმი ყურადღება შემთხვევითი როდია; ეს აიხსნება ანთროპოგენური ლანდშაფტებისადმი გაზრდილი ინტერესით; ტერიტორიის ათვისების ისტორიული ცვალებადობით, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და საზღვრების ცვლილებათა ევოლუციით, მოსახლეობის გეოგრაფიის რიგი ისტორიული პროცესებით, მუერნეობის განვითარებით და სხვა პრობლემების გარკვევით.

ისტორიული გეოგრაფიის მიზანია დაადგინოს ამა თუ იმ ქვეყნის ძველი საზღვრები, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა, ძველი ქალაქებისა და სოფლების მდებარეობა, ვზათა ქსელი, ციხესიმაგრეთა და საკულტო ნაგებობათა განლაგება და მოქმედების არე, მუერნეობის მდგომარეობა, ხალხთა მგრაცია, ამბოხებანი, ლაშქრობათა ვზები, სავაჭრო და კულტურული კავშირები მუზობელ ქვეყნებთან, აგრეთვე, ადამიანთა ზეგავლენა ბუნებაზე (ტყის გაკაფვა, ვზებისა და არხების გაყენა) და პირიქით, ბუნებრივი მოვლენების (მიწისძვრები, კლდეზავი, წყალდიდობა და სხვ.) ვავლენა ადამიანთა ყოფაზე.

ისტორიული გეოგრაფია ჩამოყალიბდა როგორც მუცნიერების დარგი გეოგრაფიისა და ისტორიის მიჯნაზე თავისი განვითარებით იგი უკავშირდება ეთნოლოგიას, ტოპონიმიკას, აგრარულ ისტორიას და რიგ სხვა სამუცნიერო დისციპლინებს. დგას რა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მუცნიერებათა მიჯნაზე, ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მუცნიერების ობიექტის კვლევა საკმაოდ რთულია. ისტორიკოსი, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალისტები მასში ხედავენ

თავიანთ მეცნიერებას და შესაბამისად განსაზღვრავენ მის წყნს, ამოცანებს და განვითარების პერსპექტივებს. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმატება თუ წარუმატებლობა მათ მეცნიერების დარგებში კონკრეტული ისტორიული გეოგრაფიის პროცესში უდავოდ აისახა. ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა გეოგრაფიაში არის საზოგადოების და ბუნების ურთიერთკავშირის კანონზომიერებათა კვლევა. ეს ამოცანა ყოველ ეტაპზე იღვა ისტორიული გეოგრაფიის წინაშე.

ისტორიული გეოგრაფიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც წარსული გეოგრაფიული სურათის აღდგენა საშუალებას გვაძლევს აწვდომს უკეთ გაგებაში. იგი აკონკრეტებს ჩვენს ისტორიულ წარმოდგენას ქრონოლოგიურად და დაკავშირებულია გარკვეულ ტერიტორიასთან. ამიტომ ისტორიული გეოგრაფია წარმოადგენს ფიზიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ გეოგრაფიას და ამა თუ იმ ქვეყნის ან ტერიტორიის მოსახლეობის გეოგრაფიას ისტორიული განვითარების შესაბამის ეტაპზე.

ისტორიულ გეოგრაფიაში შედის:

1. ფიზიკურ-გეოგრაფიული აღწერა – რელიეფი, კლიმატი, წყალი, ნიადაგები, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო, სასარგებლო წიაღისეული და სხვ.

2. სოციალური გეოგრაფია, მოსახლეობის გეოგრაფია – ჩამოყალიბება, ფორმირება, ეთნიკური შემადგენლობა, განლაგება-გადაადგილება და სხვ.

3. გეოგრაფიული გეოგრაფია, ანუ წარმოების და მეურნეობის გეოგრაფიის კავშირი დარგებისა და მათი განლაგების დახასიათებით, მათი თავისებურებებს სხვადასხვა ქვეყანაში თუ რაიონში.

4. პოლიტიკური გეოგრაფია – პოლიტიკური საზღვრის გარკვევა, ტერიტორიის და რაიონების განსაზღვრა, ისტორიული ურთიერთობის გამოყოფა, ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის ადგილის დადგენა რუკაზე, დასახლებული პუნქტების, ციხესიმაგრეების და სხვა თავდაცვითი ნაგებობების განლაგება, ხალხთა გადაადგილების გეოგრაფია და სხვ.

5. ტოპონიმია – გეოგრაფიული სახელწოდებების (დასახლებული პუნქტის, მდინარის, ტბის, მთის და სხვ.) ჩამოყალიბება, გავრცელება და ცვალებადობის კანონზომიერებები. იგი წარმოადგენს როგორც ბუნების, ასევე მოსახლეობისა და მისი კულტურის წარსულის შემეცნების მნიშვნელოვან წყაროს.

ამდენად, ისტორიული გეოგრაფია შეიძლება განისაზღვროს როგორც ისტორიისა და გეოგრაფიის დარგი, რომელიც სწავლობს ისტორიულ ფიზიკურ გეოგრაფიას, მოსახლეობის ისტორიულ გეოგრაფიას, ისტორიულ ეკონომიკურ გეოგრაფიას და ისტორიულ პოლიტიკურ გეოგრაფიას, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმოქმედებას, გეოგრაფიული ვარჯის ზემოქმედებას კაცობრიობის განვითარებაზე, ადამიანის მიერ ბუნების გამოყენებას თავის სამოქმედოდ.

ისტორიული გეოგრაფია ემყარება კარტოგრაფიულ, წერილობით და არქეოლოგიურ წყაროებს, ტოპონომიკას და აგრეთვე ვადმოცემებს.

პირველი მკვლევარების გამოჩენა რამდენადაც დაკავშირებულია ისტორიულ გეოგრაფიასთან. ანტიკური პერიოდის ბუნებისმეტყველნი და ისტორიკოსები არა მარტო თანამედროვე პირობებს აღწერდნენ, არამედ წინა პერიოდის შესახებაც აღნიშნავდნენ. მოგზაურები ამა თუ იმ ქვეყნის აღწერისას, მის წინანდელ მდგომარეობასაც ეხებოდნენ. აპოლონ როდოსელის (III ს. წ. ერამდე) „არგონავტიკაში“ აღნიშნულია, რომ კოლხებს „შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კირბები, წერილსევეტები, და იმ კირბებზე ნაჩვენებია ვზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა“. როგორც მტკიცდება, კირბები სხვა არაფერია თუ არა ძველი რუკები – ქვის ფილებზე ამოკარული კარტოგრაფიული გამოსახულებები. ამდენად, ეს კარტოგრაფიული გამოსახულებები კოლხებს ვაცილებით ადრე ჰქონიათ. ქართული შემატანებებიდან ისტორიული გეოგრაფიის ელემენტები უხვად გვხვდება XI საუკუნის ისტორიკოს ლეონტი მროველის შრომებში. კრძოდ, მოცემულია ძველი გეოგრაფიული სახელწოდებები და მათი თანამედროვე შესატყვისები, ისტორიული საზღვრები, ეთნოგენეზი და სხვ.

ისტორიული გეოგრაფიის ჩამოყალიბება დაიწყო აღორძინებისა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში (XV-XVI სს.). მნიშვნელოვანი როლი ამ საქმეში შეასრულა ფლამანდიელი (ფლამანდია მდებარეობდა პოლანდიის ტერიტორიაზე) კარტოგრაფის აბრამ ორტელის (1527-1598) მიერ ანტვერპენში შექმნილი ატლასი – „დეადამიწის სფეროს სანახაობა“, რომელიც 53 რუკისაგან შედგებოდა. XVII-XVIII საუკუნეებში ისტორიული გეოგრაფიის განვითარებას ხელი შეუწყო პოლანდიელი სწავლულის ე. ბ. დე ანვილის შრომებმა. რუსეთში XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვასილ ტატიშჩევმა საფუძველი ჩაუყარა რუსეთის ისტორიულ გეოგრაფიას. რუსეთში მოღვაწეობდნენ აგრეთვე ივან ბოლტინი (1735-1792), ნიკოლოზ ბარსოვი (1839-1889) და სხვ.

XIX საუკუნეში ისტორიული გეოგრაფიის შინაარსი განდიდრდა წარხელის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით, მაგალითად დარბის სამშობლები დიდი ბრიტანეთის ისტორიულ გეოგრაფიაში. ასევე პერიოდში ისტორიული გეოგრაფია განდიდრა გერმანულ ენაში ჩენილმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა. იგი სამართლებრივად უარყოფდა რომ გეოგრაფიას არ შეუძლია გვერდი აუაროს ისტორიულ კონტენტებს, თუ გვინდა რომ დედამიწის შემსწავლელი მეცნიერების სივრცითი დამოკიდებულება წარმოვადგინოთ.

საქართველოში ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების ფუძემდებლად ითვლება XVIII საუკუნის I ნახევრის დიდი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფიას („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) და საქართველოს ატლასებში საკმაო რაოდენობით არის მოცემული ისტორიული გეოგრაფიის თითქმის ყველა საკითხი (ძველი საზღვრები, მოსახლეობის მდგრადი პროცესები, ისტორიული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ისტორიული სამხედრო გეოგრაფია, ისტორიული საეკლესიო გეოგრაფია, ისტორიული ტოპონიმები და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ მისი შრომები პირველ რიგში თანამედროვე გეოგრაფიაა.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის ბოლოსე საქართველოში ისტორიული გეოგრაფიის რაც საკითხებს იკვლევდნენ – პლატონ ოსელვანი, დიმიტრი ბაქრაძე, მოხე ვანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ვეჯახიშვილი და სხვ. შემდეგში მათ პლუდას მიემატნენ ისეთი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები, როგორებიც იყვნენ – სარგის კაკაბაძე, სერგი მაკალათია, ლეონ მელიქიეთ-ბევი, ნიკო ბერძენიშვილი და სხვ. 50-60-იან წლებში საქართველოში გამოვლინდა ისტორიული გეოგრაფიის ქართული სკოლა ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტებში შეიქმნა ისტორიული გეოგრაფიის სტრუქტურული ერთეულები, სადაც მოღვაწეობდნენ აკადემიკოსი და რამდენიმე მეცნიერებათა დოქტორი. ისინი ამჟამადაც ფართო მასშტაბით იკვლევენ საქართველოსა და კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის რაც პრობლემებს.

კვლევის მეთოდები და წყაროები

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და გამოკვლევას ნიშნავს. მეთოდი მეცნიერების ქვეშაროტი ვხვს შეშუტენების ზოგადი მიმართულებაა, მოვლენის კვლევის ხერხი, – მიდგომა შესასწავლი მოვლენებისადმი.

ისტორიული გეოგრაფიისათვის ეს არის როგორც ისტორიული ისე გეოგრაფიული მეთოდების გამოყენება.

ისტორიული გეოგრაფიისათვის აუცილებელია ბუნების გეოგრაფიული და დედამიწის მოსახლეობის განვითარების შესწავლის კლასიფიკაციური ბუნებრივ და საზოგადოებრივ კანონებთან კავშირში. ამას მიუხედავად კვლევის ხერხების 2 ვეგუფად გაყოფამდე – ლანდშაფტების სპორტანური (გარეგანი გავლენის გარეშე, თავისთავად) განვითარების შესწავლასა და ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობის გავლენით გეოკომპლექსის შეცვლის შესწავლისაგან.

ისტორიულ გეოგრაფიაში, ისე როგორც ისტორიულ მეცნიერებაში, გამოიყენება ლოგიკური მეთოდი, რაც წარსულის სხვადასხვა მოვლენის სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა. მაგალითად, აგრარული ისტორიის წყაროებით შეიძლება გაირკვეს მიწათმოქმედების სისტემის თავისებურება, ხოლო დასკვნები ლანდშაფტზე ხევაელენისა იქნება ლოგიკური დასკვნა.

შეადარებითი მეთოდი ფართოდ გამოიყენება გეოგრაფიაში. ისტორიულ ლანდშაფტთმცოდნეობაში იგი გამოიყენება ადამიანის მიერ ადგილობრივი კომპლექსის, ან ბუნებრივი ლანდშაფტის შეცვლის შესადარებლად. შედარებითი მეთოდი გამოიყენება ადგილზე ტერიტორიის შესასწავლად, ისტორიული წყაროების კლასიფიკაციისათვის, დასახლებულ პუნქტებში ათვისების ცენტრის გამოსაყოფად და სხვ.

როგორც ჩანს, შედარებითი, ისტორიული და ლოგიკური მეთოდების მეთოდები გამოიყენება დასაკავშირებლად და, ამავე დროს, როგორც გეოლოგიისა და გეოგრაფიული ობიექტების ცვლილებათა ზოგადი კონტექსტის გასარკვევად. აღსანიშნავია, რომ ყველა მეთოდი და ხერხი ემსახურება ერთ მიზანს – გარკვეულ იქნას გარემოს განვითარებისა და შეცვლის ისტორიული პროცესი.

ისტორიული გეოგრაფია იყენებს მრავალრიცხოვან ხერხებს. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ იგი არის ორ დარგს შორის მოთავსებული და იყენებს როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივი მეცნიერების მასალებს.

ისტორიული გეოგრაფიის კვლევისათვის გამოიყენება, აგრეთვე – ისტორიულ-გეოგრაფიული ანალიზურ-სინთეზური მეთოდი, რეტროსპექტული ანალიზის მეთოდი, დაკვირვების სტატისტიკური მეთოდი, კარტოგრაფიული კვლევის მეთოდი, ისტორიული წყაროების მეთოდი, არქეოლოგიური მეთოდი და სხვ.

ისტორიული მონიშნავი პერიოდების ხმარებაში - იგი ფართოდ გამოიყენება ლანდშაფტურ კვლევაში - ლანდშაფტების გამოყენება, კარტოგრაფირება, მორფოლოგიის შესწავლა და სხვ. ლანდშაფტის შესწავლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლანდშაფტის ყველაზე უფრო დინამიურ კომპონენტებს - განვითარებებს ბუნებრივ ინდიკატორებს (ბიოგენური, პედომორფული, ლითოგენური), რელიქტურ ელემენტების გამოვლენას და მონაცემთა ფიქსაციას, რომლებიც მიწმოზენ ბუნებრივ პროცესებს. ამასთან, გამოიყოფა ლანდშაფტის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის სპეციფიური ხერხები. მას მიეკუთვნება: წარსულის ანთროპოგენური „აკვალევი“ (ყორანები, სხვადასხვა ნაგებობანი და სხვ.), წარსული მიწათმოქმედების დარჩენილი საზღვრები, ცალკეული საეარგულები, ძველი დასახლების ადგილმდებარეობა და სხვ. ამრიგად, ისტორიულ-ფიზიკურ-გეოგრაფიული ხერხი მოითხოვს გარკვეულ ცოდნას არა მარტო ლანდშაფტმცოდნეობაში, არამედ არქეოლოგიასა და ისტორიაში. ყურადსაღებია, აგრეთვე, აეროკოსმოსური ინფორმაცია ბუნებრივი პირობების ანთროპოგენურ ცვლილებაში, სახელდობრ, ბუნებათსარგებლობის ტიპების ისტორიულ ჩამოყალიბებაში.

საკუთრივ ისტორიული ხერხებიდან მნიშვნელოვანია საარქივო დოკუმენტები, რომლებშიც წარმოდგენილია გეოგრაფიული ცნობები. აქედან აღსანიშნავია სხვადასხვა აქტები (ნასყიდობა, სიგელები, გუჯრები და სხვ.), მატანეები, დავთრები, გამოყენის მასალები, სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერა, მოგზაურთა მასალები, გეოგრაფიული აღწერები და სხვ.

ბოლომდე მონიშნავი და ლანდშაფტურ-ლანდშაფტობრივი (ტერმინოლოგია) ხმარში იგი აღადგენს წარსულის გეოგრაფიულ სურათს.

პარატოპოგრაფიული ხმარში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რამდენადაც წარსულის სურათის აღდგენა ყველაზე მეტად კარტოგრაფიული მასალებიდან არის შესაძლებელი.

ისტორიული გეოგრაფიის წყაროებიდან ყურადსაღებია არქეოლოგიური მასალები, წერილობითი წყაროები და დოკუმენტური მასალა; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სველე შემოიბას, სადაც ვლინდება ყოველი ისტორიული ეპოქის ნაკვალევი.

ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი

მიმართულებები და ცნებები

მოუხედავად იმისა, რომ ისტორიული გეოგრაფიის თეორიულ საკითხებზე შექმნილია ათეულობით ნაშრომი, ამ საგნისა და მისი ამოცანების შესახებ განსხვავებული განმარტებაა. ეს დისკუსია მიმდინარეობს როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთსა და საქართველოში. დისკუსია

მიმდინარეობს მეცნიერებაში მისი ადგილის შესახებ. ისე ანაფორა ვაგოს თითქოს იგი მეცნიერება არ იყოს. უმეტესობა მას აკუთვნებს მისი პირველი მეცნიერებას, რომ მისი ამოცანები, კვლევის მეთოდები და თემატიკა უფრო ახლოს დგას ისტორიულ მეცნიერებასთან ვიდრე გეოგრაფიასთან. ზოგი მკვლევარი ისტორიულ გეოგრაფიას გეოგრაფიულ მეცნიერებას აკუთვნებს. ამ დისკუსიას კი თვით მკვლევარები იმით ხსნიან, რომ ისტორიისა და გეოგრაფიის ამოცანები ეჭვმღებარება ცვლილებებს, ხოლო გამოკვეთილი საზღვარი მათ შორის და შერეულ დისციპლინებში ამჟამად არ არსებობს.

კიდევ უფრო მეტი აზრთა სხვადასხვაობაა რუსეთისა და საქართველოში; აღსანიშნავია, რომ ისტორიული გეოგრაფიის განვითარება ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობდა – ისტორიული და გეოგრაფიული; ამიტომ დავა უმეტესად ისტორიკოსებსა და გეოგრაფებს შორის ხდება. გეოგრაფები უმეტესად იმ აზრს ადგენენ, რომ ისტორიული გეოგრაფია გეოგრაფიული დისციპლინაა და მისი კვლევის მეთოდები გეოგრაფიულია. ამასთან, არიან გეოგრაფები, რომლებიც მეცნიერების გაორებას მაინც არ ემხრობიან. ზოგი მას დამოუკიდებელ მეცნიერებად თვლის. ისტორიკოსები ამ მეცნიერების ამოცანებში ხედავენ ისტორიული პროცესების შესწავლას, მის კონტაქტს ტერიტორიულ გამოვლენაში. ისტორიკოსთა უმეტესი ნაწილი ისტორიულ გეოგრაფიას ისტორიულ დისციპლინად თვლის. აქვე აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში გეოგრაფები და ისტორიკოსები ერთმანეთს ანგარიშს არ უწევენ, არც ერთმანეთს პოლემიკაში და თავიანთი საგნის საჭირო დისციპლინად თვლიან.

ისტორიული გეოგრაფიის გეოგრაფიული ძმარე განსაზღვრეს – ლევ ბერგმა (1876-1950), კონსტანტინე მარკოვა (1905), რ. იუგაძე, სტანისლავ კალენიკა (1901-1977) და სხვ. ლ. ბერგმა ისტორიული გეოგრაფიის შინაარსი შემდეგნაირად განსაზღვრა: გეოგრაფიული ასპექტი წარმოადგენს უწყვეტ ცვლილებებს, ჩვენი აღწერა ყოველთვის მიეკუთვნება ცვლილებას. ხოლო წარსულის გეოგრაფიული აღწერა წარმოადგენს ისტორიული გეოგრაფიის საგანს. ასევე განსაზღვრა ისტორიული გეოგრაფია ს. კალენიკის, როგორც მეცნიერება ლანდშაფტის ვარსის ცვალებადობის შესახებ ისტორიულ პერიოდში, ბუნებაში ადამიანთა საზოგადოების მოხაწილეობით და მოქმედებით. მათი აზრით ისტორიული გეოგრაფია ვააზრება არა უბრალოდ როგორც მეცნიერება, არამედ მეცნიერება ფიზიკურ-გეოგრაფიული, ანუ ისტორიული ფიზიკური

გეოგრაფია. კ. მარკოვი ისტორიულ გეოგრაფიას უწოდებს „გეოგრაფიულ პალეოგეოგრაფიას“, ანუ ისტორიულ გეოგრაფიას. იგი აღნიშნავს, რომ გეოგრაფიისათვის ისტორიული გეოგრაფია არის შეცნობისა გეოგრაფიული ლანდშაფტების ფორმირების ისტორიული პროცესი (1883-1968) რეგიონალურ ფიზიკურ გეოგრაფიაში (1939) ყოფს ფიზიკურ გეოგრაფიულ დისციპლინას – პალეოგეოგრაფიას, ისტორიული ფიზიკური გეოგრაფიით. ამ მოსაზრებას ემხრობა რ. იუგაიტ, მაგრამ შეატყობს შესწორება, რომ ისტორიული გეოგრაფია შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას როგორც ცალკე დისციპლინა. ავტორთა კოლექტივმა (ა. ვოროხაი, ნ. კუნიცა, ვ. კორფიკო, ვ. ლევიცკი) ისტორიული გეოგრაფია კომპლექსურ-სინთეზურ მეცნიერებად მიიჩნია, რომელიც კონტაქტშია სოციალურ, ბუნებრივ და ტექნიკურ მეცნიერებათა ზონაში, ორმხრივად ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიულ ციკლში, გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში. კომპლექსურ სინთეზურ მეცნიერებად მიიჩნეეს მას აგრეთვე ვ. ზუბაყოვიც, მაგრამ მან იგნორირება გაუკეთა ისტორიულ გეოგრაფიას ისტორიულ მეცნიერებაში.

ამრიგად, ფიზიკო-გეოგრაფების მიხედვით ისტორიული გეოგრაფია არის ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია ანუ პალეოგეოგრაფია და მის საგანს წარმოადგენს ლანდშაფტების ცვლილება ისტორიულ პერიოდში, წარმოებულნი როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის ზემოქმედებით.

ზემოთ აღნიშნული შეხედულებები არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად; ეს არის საკითხის ერთი მხარე, სადაც გათვალისწინებულია მხოლოდ გეოგრაფიულობა და ისიც არასრულყოფილად; კერძოდ, ლასარაკა ფიზიკურ გეოგრაფიულობაზე ლანდშაფტთმცოდნეობაში, რომელიც წარსულის ფიზიკურ გეოგრაფიულობას შეისწავლის. სინამდვილეში, ამით არ ამოიწურება ისტორიული გეოგრაფიის საგანი და ამოცანები. მასში შედის ასევე ისტორიული ეკონომიკური გეოგრაფია და სხვა პრობლემები; აღნიშნული საკითხი თავისთავად ისტორიულ გეოგრაფიაში შედის როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მისი საგანი და მეთოდებიც სწორად არის განსაზღვრული, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა ისტორიული მეთოდების გამოყენებაც.

მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიხედვით, ისტორიული გეოგრაფია წარსული დროის კონკრეტული გეოგრაფიაა; დავით ღონდუას (1898-1958) მიხედვით ისტორიული გეოგრაფია გეოგრაფია ენაზე ნიშნავს ქვეყნის წარსული გეოგრაფიულ მდგომარეობას და, ამდენად, იგი გეოგრაფიული მეცნიერების დარგს წარმოადგენს. ლ. იოფას აზრით, ისტორიული გეოგრაფია გეოგრაფიულია და გეოგრაფიულ დისციპლინას მიეკუთვნება.

აღნიშნული მოსაზრებანიც მთლად გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ისტორიული ეთნოგენეზის, ისტორიული ეთნოგრაფიის, ტოპონიმიკის, ისტორიული და კარტოგრაფიული წყაროთმცოდნეობას გეოგრაფიების გარდა იკვლევს ისტორიკოსებიც. მსგავსად პ. მუხომდღეა ისტორიული გეოგრაფია მხოლოდ გეოგრაფიების დისციპლინის იყოს.

პ. პოდგოროდეცკის მიხედვით ორი დისციპლინა უნდა განვითარდეს გეოგრაფიული მეცნიერების სისტემაში (ვაორების მომხრე), რომლის საგანი გეოგრაფიულია, ხოლო ძირითადი მეთოდი ისტორიული, მაგრამ ჯერჯერობით ერთი სახელწოდებითაა. ისტორიული მეცნიერების ციკლში ის წარმოადგენს დამხმარე დისციპლინას, ხოლო მისი ნაწილები გეოგრაფიული მეცნიერების ვეელა დისციპლინის შემადგენლობაშია.

ვეელა ზემოთ ჩამოთვლილი მკვლევარი გეოგრაფებია და მონახეს თავიანთ მეცნიერებაში ისტორიული გეოგრაფიის ადგილი მის გეოგრაფიულ ხასიათში. ამიტომ შეიქმნა ისტორიული გეოგრაფიის ორმხრივი განვითარება — „ისტორიული“ და „გეოგრაფიული“.

შედარებით ადრე დაიწყო ამ საკითხზე კვლევა ისტორიკოსებმა. ამიტომ ისტორიული გეოგრაფია ძირითადად ისტორიულ მეცნიერებას ემსახურებოდა. მისი ფორმირება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოხდა. წარმომადგენლები იყვნენ: ე. ზამოსლოვსკი, ნ. ბარსოვი, კ. ნეკოლინი, ა. გრადოვსკი, მ. ბოგოსლოვსკი, პ. სმირნოვი და სხვ. ალექსანდრე სპეცინი (1858-1931) აღნიშნავდა, რომ ისტორიული გეოგრაფია ისტორიის განყოფილებაა, რომელიც სწავლობს მხარის ტოპოგრაფიულ მოვლენას და მოქმედებას. უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ისტორიის განყოფილებისათვის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ქვეყნის ტერიტორიისა და მისი მოსახლეობის შესწავლა, ანუ ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება. აკად. ივანე ჯავახიშვილი (1876-1940), რომელმაც დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმეში, უშუალოდ არ განსაზღვრავდა ისტორიული გეოგრაფიის მდგომარეობას, მაგრამ ჯერ კიდევ 1913 წელს წერდა: „ვისაც სურს მომხდარი ამბების მნიშვნელობა და ქართველთა ცხოვრების განვითარების მდგომარეობა ნათლად წარმოიდგინოს, მას ჯერ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია შესწავლილ უნდა ჰქონდეს“. ისტორიკოსთა უმეტესი ნაწილი ისტორიულ გეოგრაფიას დამხმარე დისციპლინად თვლის. აკად. ნიკო ბერძენიშვილი დაახლოებით ასე აღნიშნავდა, რომ ისტორიული გეოგრაფია ისტორიის

დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაა. ისტორიული გეოგრაფიის სკანინ გეოგრაფიულ პირობათა ბუნებრივი ცვლის ისტორია კი არ არის, არამედ ადამიანის შემოქმედების ისტორია ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოში. ამ აზრს იზიარებს აკად. დავით მუსხელიშვილიც, რომელიც კვლავ ისტორიულ გეოგრაფიას აგრეთვე ისტორიულ მეცნიერებად მკვლევარ კვლევის არეალში ისტორიულ-პოლიტიკურა, ისტორიულ-ეკონომიკურა, ისტორიულ-ეთნიკური გეოგრაფიის საკითხების კვლევის გარდა, ისტორიულ-ფიზიკურ ცვლილებებსაც თვლის, მაგრამ ეს იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, ვაპირობებულა საზოგადოების შემოქმედებით, მეორე მხრივ, თვით აპირობებს საზოგადოების შემდგომ განვითარებას. იგივე მკვლევარი შეცდომად თვლის ისტორიულ გეოგრაფიაში გეოგრაფიის ისტორიის მოთავსებას.

ისტორიული გეოგრაფიის ასე ვიწრო სპეციალობა მისი ჩაცვლილობა იქნებოდა და მხოლოდ საკითხის ერთი მხარე იქნება გაშუქებული, კრძოდ, გეოგრაფიას სახე ეწება დაკარგული ისტორიული გეოგრაფიის მხოლოდ ისტორიული მხარე გამოიყენებს ისტორიულ კარტოგრაფიას, გეოგრაფიული აზროვნების ისტორიას, გეოგრაფიის ისტორიას და სხვ. ხოლო საკითხის ისე მიდგომა რომ ერთი ნაწილი გეოგრაფიულ მეცნიერებას მივაკუთვნოთ, ხოლო მეორე ისტორიულს, მართებული არ უნდა იყოს, რადგან ამ ორივე მეცნიერების გარეშე ერთობლივად შეუძლებელია ისტორიული გეოგრაფიის განვითარება. ავიღოთ თუნდაც ტოპონიმოკა, რომელიც საერთოა ისტორიისა და გეოგრაფიისათვის.

ისტორიული გეოგრაფიის ისტორიული არსი განსაზღვრა ვიქტორ იაცუნსკიმ (1893-1966). ისტორიულმა გეოგრაფიამ, პერაოდინაციის საფუძველზე, ისტორიულ მეცნიერებაში, უნდა მისცეს ამ ქვეყნის ფიზიკური, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის დახასიათება. ამ დახასიათების ძირითადი ელემენტები უნდა იყოს: 1. მოცემული ეპოქის ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტი; 2. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა, განლაგება და ვადადგილება; 3. სწარმოო გეოგრაფია და მეურნეობრივი კავშირი; 4. სამხარო და საგარეო პოლიტიკური საზღვრების გეოგრაფია. ამასთან, ე. იაცუნსკი აღნიშნავს, რომ „თანამედროვე გეოგრაფიას და ისტორიულ გეოგრაფიას აქვს შესწავლის ერთი და იგივე ობიექტი“. ამ შემთხვევაში ამკარად ჩანს გეოგრაფიული ასპექტი.

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის ისტორიულ გეოგრაფიას კომპლექსურ-სინთეზურ მეცნიერებად, რომელიც ეითარდება სოციალურ, ბუნების-მცოდნეობით და ტექნიკურ მეცნიერებასთან კავშირში, ფიზიკურ-გეოგ-

რაფიულ და ეკონომ-გეოგრაფიულ ციკლში, გეოგრაფიულ მეცნიერებაში. ამასთან, ისტორიული გეოგრაფია არის ერთი მეცნიერება და არ შეიძლება იყოს რამდენიმე ისტორიული გეოგრაფია.

მკვლევართა ერთი ნაწილი ისტორიულ გეოგრაფიას ქმნიან მეცნიერულ კომპლექსურ დარგად თელის, რომლის საფუძველს ქმნიან მისი, მიზანი და კვლევის მეთოდები კი განსხვავებულია. აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერენ მ. ბელოვი, ღ. კოლდენბერგი, ვ. ფეკულინი, ა. ისაჩენკო და სხვ. პირველი ნაწილი მართებულია, რაც შეეხება მეორე ნაწილს, მიზანიც და მეთოდებიც ერთი უნდა იყოს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული გეოგრაფია ფართო ცნებაა და ორი დისციპლინის დამაკავშირებელია. ისტორიული გეოგრაფია არის გეოგრაფია ისტორიულ პერიოდისა, ამიტომ იგი გეოგრაფიულია, ხოლო კვლევისათვის აუცილებლად საჭიროა ისტორიული მეთოდებიც (წყაროების გამოყენება, არქეოლოგიური, რეტროსპექტული და სხვ.), ამიტომ ისტორიულიცაა. ისტორიული გეოგრაფია უდავოდ ორი მეცნიერების - გეოგრაფიული და ისტორიული მეცნიერებათა მიჯნაზე აღმოცენებული დარგია.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა, კვლევა მეცნიერებისა, რომელიც ისტორიისა და გეოგრაფიის შესაყარება, ისე წარმოძრაა, რომ მასში პრიორიტეტი ისტორიკოსებს ეკუთვნოდათ. XX საუკუნეში საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა ახალ თვისობრივ საფეხურზე აიყვანეს ივანე ჯავახიშვილმა, კეთილმე თაყაიშვილმა, ლევან მუსხელიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა, სარგის კაკაბაძემ, სიმონ ჯანაშიამ, სერგი მაკალათიამ, ვასტანგ გამრეჯელმა, დავით მუსხელიშვილმა და სხვ.

1956 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ცალკე სამეცნიერო უჯრედი, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა. მის შექმნასა და ხელმძღვანელობაში დიდი წვლილი ნიკო ბერძენიშვილს მიუძღვის. მუშაობა ორი მიმართულებით მიმდინარეობს. ერთი მხრივ, სათანადოდ მუშავდება ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები და დოკუმენტური მასალა; მეორე მხრივ, ყოველწლიურად ინტენსიური საკვლე მუშაობა წარმოებს. ეს პრაქტიკული ძიება მიზნად ისახავს გეგმაზომიერად და ინტენსიურად მიზნულ იქნას საქართველოს ძველი ტერიტორია ყოველი ისტორიული ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლების აღრიცხვის, ტოპონიმური მასალის შეგროვების და სხვადასხვა სათანადო ვადმოცემათა ფიქსაციის მიზნით. ყველაფერი ამის შე-

დედად შედგენილ იქნა და მომავალშიც შედგება საქართველოს ისტორიულ პროვინციათა და მოლაინად საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკები, რომლებიც ასახავენ სათანადო ვითარებას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მუშაობის შედეგად უნდა შეიქმნას საქართველოს ისტორიული ატლასი. ისტორიული გეოგრაფიის ხაზით ინტენსიურად მუშაობენ აკადემიკოსი დავით მუხხელიაშვილი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები ჯონდო გვასალია, დევი ბერძენიშვილი, იური სიხარულიძე, თამაზ ბერაძე და სხვ. გამოიყენა მონოგრაფიები და კრებულები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე.

განყოფილების ძირითადი მიმართულებანია:

1. ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია, რომლის მიზანია წარსული ეპოქების ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტის და ისტორიულ პერიოდში მისი ცვლილებების შესწავლა მოცემულ საზოგადოებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით.

2. მოსახლეობის ისტორიული გეოგრაფია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდებში მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის განსახლებას და მოძრაობას.

3. ისტორიული ეთნიკური გეოგრაფია იკვლევს მოსახლეობის განსახლების საზღვრებს და მიგრაციას.

4. დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია შეისწავლის მოცემულ ტერიტორიაზე ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფიულ განლაგებას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში, მათი წარმოქმნის ისტორიულ-გეოგრაფიულ წინამძღვრებს. ასევე პრობლემებს მიეკუთვნება ისტორიული პუნქტების ლოკალიზაცია.

5. ქალაქების ისტორიული ტოპოგრაფია შეისწავლის ძველი ქალაქების სტრუქტურას, ქალაქთა სხვადასხვა ნაწილებს ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

6. ისტორიული ეკონომიკური გეოგრაფია, რომელიც იკვლევს მოცემული ტერიტორიის წარმოებისა და საშუალო კავშირების გეოგრაფიულ განლაგებას სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. ასევე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის და მრეწველობის სხვადასხვა დარგების გეოგრაფიულ განლაგებას, სავაჭრო-სამომოსვლო გზებს.

7. ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია, რომელიც შეისწავლის პოლიტიკური ისტორიის გეოგრაფიულ მხარეს ანუ სხვადასხვა პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულთა საზღვრებს და მათ ცვლილებებს, ახდენს პოლიტიკურ მოვლენათა ლოკალიზაციას და სხვ.

8. ციხესიმაგრეთა ისტორიული გეოგრაფია, რომელიც დოკუმენტაციის გარდა მოიცავს აგრეთვე მათი სტრატეგიული და ეკონომიკური ფუნქციების და წარმოქმნის მიზეზების კვლევასაც. **ერქუცხული**

ისტორიკოსებისაგან განსხვავებით გეოგრაფებმა გრძელყოფიერებზე დაიწყეს ისტორიულ გეოგრაფიაში კვლევა. ცალკეულ საკითხებზე მუშაობდნენ აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილი, დავით დონდუა, ლევან მარუაშვილი, ვრიგოლ ზარდალიშვილი, ირაკლი მათურელი, თაილი ღვინიაძე, კობა ხარაძე და სხვ.

1993 წელს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში გაიხსნა ისტორიული გეოგრაფიის დამოუკიდებელი უფრედი, რომლის თანამშრომლები მუშაობენ ისტორიული გეოგრაფიის რიგ საკითხებზე:

1. ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია;
2. ისტორიული ლანდშაფტთმცოდნეობა;
3. ისტორიული პალეოგეოგრაფია;
4. ბუნების გამოყენების ისტორია;
5. ისტორიული ეკონომიკური გეოგრაფია;
6. ისტორიული სოციალური გეოგრაფია;
7. ისტორიული დემოგრაფია;
8. ისტორიული კარტოგრაფია;
9. ტოპონიმია;
10. გეოგრაფიულა მეცნიერების ისტორია;
11. ისტორიული სამხედრო გეოგრაფია.

გეოგრაფიის ინსტიტუტში ისტორიული გეოგრაფიის ორივე ასპექტს ეთმობა ყურადღება, მაგრამ წამყვანი მაინც გეოგრაფიული მხარეა. ამით მკვეთრი განსხვავება იქმნება ისტორიული გეოგრაფიის იმ სკოლისაგან, რომელიც საქართველოს ისტორიკოსების წრეში შეიქმნა.

ისტორიული გეოგრაფიის კვლევისას გეოგრაფიის ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გეოგრაფიული ცოდნის მეთოდოლოგიას, წარსულის გეოგრაფიული დოკუმენტების და ბუნებრივი გარემოს შესწავლას.

ისტორიული მონიშვნები გეოგრაფიისა და ლანდშაფტთმცოდნეობა.
ისტორიული კალენდარიზაცია და გუნდის განმარტებითი
ისტორია




ქართული

თითოეული კომპონენტი თქვენთვის უკვე ცნობილია. მდებარეობს
გავიშორებ თითოეულ მათგანს და შემდეგ გადავიფანოთ ისინი წარსულ
პერიოდზე.

მონიშვნები გეოგრაფია არის დედამიწის გეოგრაფიული გარსის
კომპლექსურად შემსწავლელი გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემა.
იგი შედგება გეოგრაფიული გარსის და სტრუქტურული ნაწილების –
ბუნებრივი ტერიტორიული კომპლექსის – ზოგადი თავისებურებების
შემსწავლელი მეცნიერებისა (დედამიწისმცოდნეობა, ლანდშაფტთმცოდნე-
ობა, პალეოგეოგრაფია) და კერძო, გეოგრაფიული გარსის ცალკეული
კომპონენტების შემსწავლელ მეცნიერებათაგან (გეომორფოლოგია, კლი-
მატოლოგია, ხმელეთის პიდროლოგია, ოკეანოლოგია, გლაციოლოგია,
გეოკრიოლოგია, ნიადაგების გეოგრაფია, ბიოგეოგრაფია). ფიზიკური
გეოგრაფიის უმთავრესი ამოცანაა დედამიწის ზედაპირზე ბუნებრივ
მოვლენათა შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა გამოვლენა,
ბუნებრივ გარემოზე ადამიანის ზემოქმედების პრობლემის შესწავლა
და ბუნებრივ ტერიტორიული კომპლექსების დაცვისა და რაციონალურად
გამოყენების გზების შექმნა.

F 80062

ფიზიკური გეოგრაფიის საწყისები ანტიკური ავტორების შრომებში
შეინიშნება (თალესი, ანაქსიმანდრე – ძვ. წ. VII-VI სს.). ძველი
წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეების მიჯნაზე დედამიწა უკვე ხევაოდ
ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელზედაც იყო სითბოს სარტყლები.
არისტოტელეს და მის მოძღვრებს ანტიკრესებდათ დედამიწის გარსების
ურთიერთობა, წელისა და ჰერის წრებრუნვა, ატმოსფერული მოვლენ-
ების წარმოქმნის მიზეზები და სხვა მსგავსი საკითხები. დიდი გეოგრა-
ფიული აღმოჩენების შემდეგ ფიზიკურ-გეოგრაფიული მოვლენების შეს-
წავლის ინტერესი კვლავ გაღვივდა, ხოლო XVIII ს-ში საბუნების-
მეტყველო მეცნიერულმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა ნატურფილ-
სოფიური კონცეფციების ნაცვლად ბუნებრივი პროცესების მეცნიერული
ახსნა. XIX საუკუნეში ფიზიკურმა გეოგრაფიამ ინტენსიური დიფერენ-
ციატა განიცადა – დაიწყო კერძო ფიზიკური გეოგრაფიის მეცნიერებათა
ნამოყალიბება, თუმცა, კუმულატივ ფიზიკური გეოგრაფიის მიზნად
უზოგადესი კანონებისა და ბუნებრივ მოვლენათა შორის არსებული



კავშირების კვლევას მიიზნევდა. XIX საუკუნის ბოლოს გ. დოგელის იდეა დაიწყო კომპლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევა. მისმა მომხრეებმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ფიზიკურ გეოგრაფიას, ხოლო მის მიერ დადგენილი ბუნების ზონალურობის შეხედობა კვლევითი მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდა. 1930-იან წლებში ფიზიკური გეოგრაფიის ძირითადი მიმართულებანი დაამუშავეს ლ. ბერგისა და ა. ვრი-გორიევის მიმდევრებმა.

ლანდშაფტმცოდნეობა არის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსის ანუ ლანდშაფტების (გეოგრაფიული კომპლექსების, გეოსისტემების) შესწავლელი მეცნიერება. იგი სწავლობს ლანდშაფტების წარმოშობას, სტრუქტურასა და დინამიკას, მათი განვითარების კანონზომიერებებსა და განლაგებას. ამასთანავე, იკვლევს ადამიანის საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარდაქმნილ ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებს. ლანდშაფტმცოდნეობის ძირითადი ამოცანაა ლანდშაფტების მორფოლოგიური სტრუქტურის, ანუ მისი შემადგენელი დაბალი რანგის კომპლექსების – მიკროლანდშაფტებისა (უროზიშების) და ელემენტარული ლანდშაფტების (ფაციესების) შესწავლა. რამდენადაც ლანდშაფტმცოდნეობის ამოცანაა ლანდშაფტების ყოველმხრივი კომპლექსური შესწავლა, სხვადასხვა ტერიტორიის კონკრეტული ლანდშაფტების, მათი ტიპებისა და მათთვის ნიშანდობლივი სპეციფიკური ბუნებრივ თავისებურებათა კვლევა, ამდენად აუცილებელია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების იმ მრავალფეროვნებაში გარკვევა, რომელთანაც საქმე აქვს ლანდშაფტმცოდნეს. ლანდშაფტმცოდნეობა კონკრეტულ ლანდშაფტებთან ერთად სწავლობს მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებსაც, ადგენს თუ რა ლანდშაფტებისაგან შედგება ტერიტორია, როგორია თითოეული ლანდშაფტის მორფოლოგიური სტრუქტურა, ბუნებრივი თავისებურება, რესურსები და პოტენციური შესაძლებლობანი. ყველა შემთხვევაში ლანდშაფტური გამოკვლევა ვერძნობა უშუალო საგლევი კვლევის.

პალეოგეოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გეოლოგიური ეპოქის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს. პალეოგეოგრაფია ისტორიული გეოლოგიისა და ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილია. პალეოგეოგრაფიიდან გამოიყოფა ერთი მონაკვეთი ისტორიული პალეოგეოგრაფია. პალეოგეოგრაფიიდან კვლევის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება – პალეოეკოლოგიური, პალეობიოგეოგრაფიული, ტერიტორიულ-მინერალოგიური, გეოქიმიური, დინამიკური და

სხე ცალკე დარგად ჩამოყალიბდა პლუროკლიმატოლოგია და პლუროტექ-
ნოლოგია.

ბუნებრივი რესურსების გამოყენებას კარდაუკლად მოსდევს ბუნებრივი
გარემოს შეცვლა, როგორც დადებითად (მაგალითად, გარემოს რეაბილიტაცია)
ღების მოშინაურება, მცენარეთა ახალი ჯიშების გამოყენება, ნიადაგის
ნაყოფიერების ზრდა), ისე უარყოფითად (მაგალითად, ტყის გაჩეხვა,
ნადირისა და თევზის მოსპობა, ატმოსფეროსა და წყლის გატუქვყვანება,
ნიადაგის ეროზია).

ბუნებრივი გარემოს ცვლილება ხდებოდა და ხდება როგორც ბუნებ-
რივი ვხით, ისე ადამიანის ჩარევით. ადამიანთა ყველა საზოგადოებაში
ხდებოდა ადამიანის ზემოქმედება ბუნებაზე, რაც იწყებდა დადებით, ან
უარყოფით გაგდენას მასზე. გეოგრაფიული გარემო უშუალო ბუნებრივი
პირობების ბუნებრივ-ისტორიული ერთიანობაა, რამაც მიმდინარეობს
ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრება. ის არის ურთიერთ-
ზემოქმედი ერთიანობა რელიეფისა, კლიმატისა, ნიადაგისა, სასარგებლო
წიაღისეულისა, ფლორისა და ფაუნისა, მიწის გარკვეული ნაწილისა,
მისი ბუნებრივი განვითარებისა და ადამიანის მიერ მისი გარდაქმნისა
საზოგადოების ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე.

ადამიანი უძველესი პერიოდიდან არწყვდა ხელსაყრელ ბუნებრივ
გარემოს. განსაკუთრებულ ყურადღებას კლიმატს ანიჭებდნენ. ჰიპოკრატე
(460-377) ამტკიცებდა, რომ ადამიანების ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს
კლიმატი განსაზღვრავს. აზიის ზომიერი სარტყლის ქვეყნებზე ამბობდა,
რომ კლიმატური პირობების გამო მათი მცხოვრებნი ვერ არიან
ენერგიულნი და საციოცხლისუნარიანნი, ვერ იტანენ დამაბულ შრომას,
სუსტი ხასიათისანი და მზღალნი არიანო, რომ კლიმატისავე ხასიათის
წყალობით საწინააღმდეგო თვისებებით გამოირჩევიანო ვეროპელები.
აზიელები ვეროპელებზე გაცილებით უფრო საკლებ მუომარნი და
უფრო მშვიდი ზნისანი არიანო. ჰიპოკრატეს მიხედვით ეს გამოწვეულია
იმით, რომ წლის დროები დიდ ცვლილებას კი არ განიცდიან არც
სითბოსი და არც სიცივის თვალსაზრისით, არამედ დაახლოებით ერთ-
გვარნი არიან. ამიტომ არც აზრი განიცდის ძურას და არც სხეული
ძლიერ ცვლილებას. ამ მიზეზების გამო აზიელი ხალხი არაა მამაცი
და ამის გარდა მისი კანონების გამო. ჰიპოკრატეს დაკვირვებით,
აზიაში ყველაფერი ბევრად უფრო ღამაში და ზორბა ჩნდება. აზიაში
ვეროპაზე უფრო რბილი ჰავაა და ხალხსაც ზნე უფრო სითხო და
წყნარი აქვს. ეგვიპტელები სიცხისაგან არიან დამავრულნი, ხოლო

სკიოთები სიცივისაგან. ქვეყნის ბუნებას მოხვევა ადამიანთა ქუჩასეულობა და ზნე.



მიმოკრატე საგულისხმო ცნობებს ვეაწყდის ფასისზე და ფასისუღლებზე (რიონი და კოლხეთი). „ეს ქვეყანა ჭაობიანია, იმორქნა წყლებანი და ტყიანი, წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერა წვიმისა მდინას. ადამიანებს საცხოვრებლები ჭაობებში აქეთ და ზისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ზეში ამოღებული ნაგებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამწვარ წყალს, შხისგან დამძალსა და წვიმისაგან აღიღებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდიორედ მოედინება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი სისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისუღლებს სხვა ადამიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქეთ: ტანად დიდები არიან, სისქით — მეტისმეტად სქელები... ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, სუფთა ბერით კი არ ხუნთქავენ, არამედ ნოტიოთი და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, რომ სხეულს ჯაფა მოაყენონ, ძალზე ზარმაცები არიან. წლის დროები დიდად არ სხვაობენ ერთმანეთისაგან, არც სიციხის მხრივ და არც სიცივის მხრივ“. ეს არის კოლხეთის ბუნების პირველი აღწერა. აღწერაში ბუნებრივი გეოგრაფიული პირობები დაკავშირებულია თვით ხალხის გარეგნობასა და ყოფა-ცხოვრებასთან.

ბუნებრივ გარემოზე მსგავს მოსახრებას ავითარებდა პლატონი (427-347). იგი არისტოკრატის პოზიციებიდან აკრიტიკებდა ვაჭრებს და წერდა: ზღვა მის ნაპირებზე მცხოვრები მოქალაქეების ხელს ვაჭრული სულისკვეთებით და ვაჭრული ანგარებით ავსებს, ავლენს მათ ცრუ და არასაიმედო ხასიათს.

ფსევდო-ქსენოფონტე (მე. წ. V ს. ბოლო) ეგვიპტის ზღვის აუზში ათენის ვაძლიერების მოთავე მიზეზს ამ ქვეყნის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობაში ხედავდა.

არისტოტელე (384-322) მიმოკრატეს მსგავსად, მაღალ შეფასებას აძლევდა კლიმატს საზოგადოების პროგრესულ განვითარებაში. მისი აზრით, ჩრდილოეთ ევროპის ცივი ქვეყნების ხალხებს დიდი სიმამაცე, მაგრამ ნაკლები ვიწროება და მახვილგონიერება ახასიათებთ. ამიტომ, ისინი თუქცა დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ არ აქეთ პოლიტიკური ცხოვრება, არ ძაღუბთ სხვა ხალხებზე ბატონობა. სამხრეთ აზიის ცხელი ქვეყნების ხალხები კი ხაკმაოდ ვიწრონი არიან, მაგრამ არა

აქვთ ვაქცაობა, რის გამოც ისინი ყოველთვის რჩებიან დამოკიდებულ მღვდმარობაში. ამ ხალხების ხასიათების ასეთ განსხვავებას კლიმატთან სხვაობა აპირობებსო. კლიმატთან ერთად არისტოტელე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიას. მისი აზრით ბუნებრივი გარემოს ამ დღემდის ტის სხვადასხვაობა იწვევს მშართველობის შესაბამის ფორმებს ქვეყნისათვის დამახასიათებელია დემოკრატია, ხოლო დასლობი და სწორი ადგილისათვის ოლიგარქია და მონარქია.

პოლიბიური (დაახლ. 201-120) ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი კუთხის - არკადიის მოსახლეობის უნეჩვეულებათა პრიმიტიულობას და ხიშკატრეს ამ ქვეყნისათვის დამახასიათებელი ცივი კლიმატითა და ნოსლით ხსნიდა. მისი აზრით, ხალხების განსხვავებულობა ხასიათში, სხეულის აგებულებაში, კანის ფერსა და ეკონომიკურ საქმიანობაში კლიმატით აიხსნება.

სტრაბონი (ძვ. წ. 63 - ახ. წ. 20) რომის ძლიერებას ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, კარგ ნავსაყუდელებს, პერიისა და კლიმატის თვისებებს უკავშირებდა. იგი ცხოვრების განსხვავებული პირობებით ხსნიდა მთისა და ბარის იბერიელთა სხვადასხვაობას.

შემდეგში ბერძენ მოაზროვნეთა შემოხსენებული შეხედულებები ერთხანს დაეიწეებას მიეცა, შერე ეს მოსაზრებები სპარსულმა და არაბულმა მწერლობამ გამოაყოცხლა.

საზოგადოებაზე გეოგრაფიული გარემოს ზემოქმედების შეფასება სკადა ბიზანტიელმა ისტორიკოსმა ვიორგი პახიმერემ (1242-1308), რომელიც ხაზს უსვამდა ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნების ხალხთა გარეცნობას, სულიერი განწყობილებისა და ტემპერამენტის ამკარა სხვადასხვაობას, გაპირობებულს ბუნებრივი პირობების განსხვავებით. იგი დასძენდა: ჩრდილოეთის ქვეყნების ცხოველები შემოსილი არიან თეთრ ფერებში, ხოლო სამხრეთისა შავში. ჩრდილოეთის ადამიანები არასაკმარისად არიან დაჯილდოებულნი გონიერებით; მათ შორის არ ხარობს არც ჰუმანიტარული მეცნიერებანი და არც ფიზიკური, არც ცოდნა, არც ცხოვრების მოწყობაზე ზრუნვა, არც ხელოსნობა. ამით ნაცვლად მათთვის დამახასიათებელია უჭკუო მოქმედებანი, მუდმივი შხადყოფნა შერკინებისათვის და წაქეზების დროს სწრაფი აღვზნება. სამხრეთის სოტიო ქვეყნებში სულ საწინააღმდეგო ვითარებაა. იქ დასადებიდან თანდაყოლილი თვისებები გამოიხატება მწყობრ აღნაგობაში, განსაკუთრებულ საზრიანობაში, შესანიშნავ სამოქალაქო გონიერებაში, ხელოვნებაში და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. მაგრამ ისინი ზანტნი

არიან, როცა უნდა იმოქმედონ, გამძლენი არ არიან ბრძოლებში, მიდრეკილება აქვთ უსაქმო ცხოვრებისადმი, მათ ურჩევნიათ მშობლივთ ცოტა, ვიდრე ბევრი იზრუნონ ზედმეტის მოპოვებაზე.

ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიფორე გრეგორასე (1295-1359) თვლიდა, რომ „ეგვიპტელები სამხედრო საქმისათვის უეფერესნი არიან, რადგან მხდალებია და სიამაყეს მოკლებულნი არიან. ამის გამო იძულებულნი არიან სამხედრო სამსახურში აფეხანონ სხვა ქვეყნის მოქალაქეები და დაქირავებას მიმართონ. ამ გზით დროის მხელეულობაში არაბებსა ისეთი ღაშქარი შექმნეს, რომ მრისხანე ძალად იქცნენ. მათ დაიპყრეს აფრიკა, მთელი ლიბია, შემდეგ ფინიკია, სირია და ზღვის სანაპირო კილიკიამდე“.

კიდევ შეიძლება სხვა მოაზროვნეთა შეხედულებების გადმოცემა, მაგრამ თვალნათლივ ჩანს, რომ ისინი ძირითადად კლიმატს ანიჭებენ უპირატესობას ადამიანთა და საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. შემდეგში კლიმატთან ერთად ნიადგსაც ანიჭებდნენ უპირატესობას. ასე მაგალითად, ფრანგი ისტორიკოსი შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) აღიარებდა, რომ კლიმატს, ნიადგს, ქვეყნის მდებარეობას და სიდიდეს აქვს განმსაზღვრელი მნიშვნელობა საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ისტორიული პროცესების განვითარების მიხედვით საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობა სხვადასხვა ფორმებში ვლინდება. ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში მათ ბუნების სიძლიერეთა მიძარით მომხმარებლური მიდგომა აერთიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებისადმი მიყენებული ზიანის მასშტაბები სხვადასხვა წყობილებაში განსხვავებულია, მათი სოციალური ფესვები მაინც ერთნაირია.

XX საუკუნის 50-იან წლებში ტრიპოლიტანიის სანაპიროზე აღმოაჩინეს ორი ანტიკური ქალაქი საბრატუ და ლეპტისმაგნუ, რომლებიც ათასზე მეტი წელი ქვიშის სქელი ფენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მას შემდეგ, რაც ეს ქალაქები უდაბნოს გამოსჭაყეს, აღმოჩნდა, რომ თავიანთი სიძლიერით ისინი ლეგენდარულ კართაგენსაც ჩრდილავდნენ. ეს ქალაქები, ისე როგორც კართაგენი, ფინიკიელებმა დაარსეს ლიბიის უდაბნოს განაპირას. იორდანია, რომელსაც აღმოსავლეთიდან უდაბნოს ქვიშა საზღვრავდა, ჯერ კიდევ პალეოლითის დროიდან იყო დასახლებული და დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან აფეხების რამდენიმე პერიოდი განვლო. კიდევ უფრო ძველი იყო ინდის ველის ცივილიზაცია. არც საქართველო ჩამორჩებოდა ცივილიზაციის ამ ქვეყნებს და ზოგი რამით

წინ უსწრებდა კიდევ ისი. ამიტომ იყო რომ ძველი ცივილიზაციის ქვეყნები ისწრაფოდნენ საქართველოსაკენ, რომლის არა ერთი მოქმედი აღწერილი ძველ წყაროებში.

საქართველო ძველიდანვე იზიდავდა სხვადასხვა ქვეყნის ხალხს... ამით ანტიერესებდათ ბუნებრივი პირობები და მოსახლეობა: მათ რასაც სხვადასხვა ფაქტორები განსაზღვრავდნენ - სტრატეგიული (საქართველო აზია-ევროპის გზასაყარზე მდებარეობდა), ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაცია (ძველიდანვე ცნობილი იყო თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით და ცდილობდნენ მის ათვისებას), მისწრაფება შესწავლილადმი (გაცნობოდნენ ბუნებრივ, გეოგრაფიულ, ისტორიულ და კულტურულ მდგომარეობას).

საქართველოს ბუნებრივი პირობები არაერთმა უცხოელმა ავტორმა აღწერა. ეს მასალები მეტ-ნაკლებად ყველა ეპოქის წყაროებში ვლინდება, მაგრამ არა როგორც შედეგი სპეციალური კვლევა-ძიებითი ხასიათის ექსპედიციებისა, არამედ როგორც სხვადასხვა პირთა პირად დაკვირვებათა ან გადმოცემათა შედეგად გაკეთებული აღწერილობანი; ასეთი აღწერილობანი მოცემულია უძველესი დროიდან ბერძენ ისტორიკოსთა, ფილოსოფოსთა და გეოგრაფთა შრომებში (ჰეკატე მელეტელი, ჰიპოკრატე, არისტოტელე, სკილაკ კარიანდელი, სტრაბონი, პლინიუსი, აბოლონიოს როდოსელი და სხვ.), X-XIV საუკუნეების არაბი და სპარსი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების ნაშრომებში (ალ-ისტახრი, ელ-ყაზვინი, მამდალამ ყაზვინი და სხვ.), XVI-XVII საუკუნეების ფრანგი მოგზაურებისა და იტალიელი მისიონერების შრომებში (ვოზეტურნეფორი, ფან შარდენი, არქანჯელო ლამბერტი, ბერნარდე ნეაპოლელი, ამბროჯო კონტარინი, ვუდინე მელანელი, კრისტოფორო კასტელი, პეტრო ავიტაბილე და სხვ.) და სხვ.

საქართველოს ბუნებრივი პირობების აღწერა მოცემულია ქართველი მწერლებისა და მემატიანეთა შრომებში. ამ შრომებში, საინტერესოა ქართული ლიტერატურის პირველი ნიმუშის - იაკობ კურტაველის „წამება წმიდისა შუშანიკისი“. მასში მოცემულია ქვემო ქართლის ბუნების თავისებურებანი. საქართველოსა და მისი ბუნების აღწერა შემდეგში არაერთ ლიტერატურულ თუ ისტორიულ წყაროშია აღწერილი. ამ შრომებში, გამოირჩევა ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც მთელი კაცობის ბუნებას აღწერს. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი ბატონიშვილი მტკიცედ იცავს გეოგრაფიულ თვალსაზრისს; ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს აღებული დიდი თუ მცირე ბუნებრივი

გეოგრაფიული ერთეულების მრავალმხრივი დახასიათება, რის შედეგად ადგილის აღწერა იძენს ერთიან ხასიათს. ეს ერთიანი აღწერითობა იძლევა თითოეული ადგილის დახასიათებელ, თავისებურ და ცალკეულ სურათს, რომელშიც ასახულია ადგილის მრავალი ტიპიურ-ფუნქციური არ წარმოადგენს ფაქტების ან ცნობების შექანიტურ წარმოსახვას ჩამოთვლას, არამედ შწყობრად და თანმიმდევრულად დალაგებულ დახასიათებებს, მიმართულს საქართველოს როგორც ცალკეული ადგილების თავისებურებათა გამოვლინებისაკენ, აგრეთვე, მთლიანად საქართველოს სამეფოს სრული გეოგრაფიული დახასიათებისაკენ.

ამდენად, ძველი მემპტიანეებისა და გეოგრაფების ნაშრომები მეტად მნიშვნელოვანია, რამდენადაც შესაბამისი პერიოდის ბუნების, მისი მოვლენების უტყუარ აღწერას გადმოგვცემენ, რითაც გასაგები ხდება რელიეფურ-ლანდშაფტური ცვლილებანი ისტორიულ ეპოქებში. ბუნებრივი გარემო და ადამიანი ერთმანეთთან კავშირში ქმნიან ბუნებისა და საზოგადოების ისტორიის ერთობლივ საფუძველს.

ისტორიული გეოგრაფია თავისი შინაარსით იცვლება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. იცვლება მისი შემოქმედების სახეობაც ბუნებრივ გეოგრაფიულ გარემოზე. ჩნდება ახალი ნაკვალევი ადამიანის მოქმედებისა, თანდათან იცვლება ისტორიული გეოგრაფია. ყოველ ხანას თავისი ისტორიული გეოგრაფია შეეფერება. ამის მაგალითად გამოდგება ის, რომ გარკვეულ პერიოდში ჩვენი წინაპრები „გორაებად“ სახლობდნენ. ეს „გორაები“ ჩვენი წინაპრების სოციალური განვითარების გარკვეული საფეხურის მანიშნებელია, რომ ეს გორაები იყო საფუძველი, საიდანაც განვითარდნენ უძველესი „დაბები“, „ქალაქები“, „ციხეები“, „სალოცავები“. ნათელია, რომ მცხეთა, თბილისი, კასპი, უფლისციხე, ვანი, რუსთავი, სურამი, გორი, ურბნისი და ყველა ძველი ქალაქი თავდაპირველად „გორა“ იყო.

ისტორიული ეთნოლოგია და ეთნოგეოგრაფია

სანამ უშუალოდ საკითხს შევხებით, რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ ტერმინების შესახებ. ხშირად ურევენ ერთმანეთში ეთნოლოგიურს (ეთნოგრაფიულს) და ეთნიკურს. ზოგიერთი უცხოელი ავტორი იბრუნებს, გურიას თუ სხვა ეთნოგრაფიულ მხარეებს ეთნიკურად მიიჩნევს. 1993 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოვიდა წიგნი – „აღმოსავლეთი ევროპისა და კავკასიის ეთნიკური

სტრუქტურა 1990-იან წლებში“. მათი ავტორები ქვეყნის ეთნოგრაფიულ
ჯგუფებს დამოუკიდებელ ხალხად – ეთნიკურ ჯგუფებად პედაგოგებს
საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი პერიოდთან შექმნილი ისტო-
რიულ-გეოგრაფიული კუთხეები, რაც საფუძვლად დაედო ეთნოგრაფიულ
დაყოფას, არ შეიძლება ეთნიკურ ერთეულთან გაიგივება. აღნიშნულ
ავტორთა შრომებში და სხვა ნაშრომებში ეხვედებით კატეგორიულ მი-
ნიშვნებს ქართველი ერის შემადგენელი ეთნოლინგვისტური ჯგუფის –
(ადმოსავლურ-ქართული, მეგრული და სვანური) და ადმოსავლურ-
ქართულ ეთნოლინგვისტურ ჯგუფში შემავალი ცალკეული ლოკალური
ეთნოგრაფიული ჯგუფების – აჭარლების, თუშების, ხევსურების, ფშავე-
ბის და სხვა – მკვეთრი ურთიერთგამოჯენისა და დამოუკიდებელ
ხალხებად, ან კიდევ ქართველებთან შერწყმა-დაახლოების პროცესში
ჩართულ ეთნიკურ დანაყოფებად, მათ წარმოიქმნის საჭიროებაზე გატარე-
ბულია აზრი იმის შესახებ, რომ იშლება ეთნოგრაფიული სხვაობანი
ქართველთა ლოკალურ ჯგუფებს შორის: შემდგომი დაახლოება ხდება
ქართველთა ეთნიკურ ბირთვს – ქართველებსა და ადმოსავლეთ საქარ-
თველოს მიიღება შორის; მიმდინარეობს ქართველური ხალხების
შემდგომი გაერთიანებაც; ქართველებს შეერწყნენ მეგრელები, ლაზები
და სვანები; ქართველებს ერწყმიან სხვა ენობრივი პატარა ხალხებიც.
ნიშნავს, რომ XIX საუკუნეში საქართველოს ისტორიულ-
გეოგრაფიულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხი, რუსების
ძიერ ამ მხარის სახელის მიხედვით ეროვნებად გამოცხადდა. ასე
მაგალითად, 1886 წლის მოსახლეობის სტატისტიკურ აღწერაში ჩა-
მოთვლილია: ქართველები, იმერლები, გურულები, მეგრელები, სვანები,
აჭარლები და სხვ. დაუმეფებელია ცალკეული ეთნოხების მივით გამო-
ყოფილი სხვადასხვა ეთნოგრაფიული ერთეულების, ერის დაქსაქსვის
მიზნით გამოცხადება. ამდენად, არ უნდა ავიწყლოთ ტერმინები ეთნიკური
და ეთნოგრაფიული. ეთნოგრაფიული და ეთნიკური არის ერის ლოკალური
საწილი, რომლის კულტურასა და ყოფაში შემოსახულია ზოგიერთი
თავისებურებანი – დიალექტი, მატერიალური და სულიერი კულტურის
სპეციფიკა, რელიგია და სხვ.

ახლა უშუალოდ ეთნოგრაფიის შესახებ. ეთნოგრაფია სიტყვისიტყვით
ხალხის აღწერას ნიშნავს (ბერძნული სიტყვაა ethnos – ტომი, ხალხი
და grapho – ვწერ). იგი ხალხის ყოფისა და კულტურის, წარმოშობის,
განსახლებისა და კულტურულ-ისტორიული კავშირის შემსწავლელი
მეცნიერებაა. იკვლევს ეთნო კულტურათა საერთო და განსხვავებულ

ფორმებს, მათ განვითარების კანონზომიერებებს, იმას, თუ რა როლი შეუტანია კაცობრიობის კულტურის სავანებში ამა თუ იმ ხალხს. ეთნოგრაფია იმასაც სწავლობს, თუ რა განაპირობებს და ასახვლობს სხვადასხვა ხალხში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებს, ყოფაქცევის ნორმებს.

ტერიტორიული მოცულობის მიხედვით ეთნოგრაფია არის უზრუნველყოფილი და რამდენიმე ნაწილად. მისი მთავარი წყაროა უშუალოდ ცოცხალ სინამდვილეში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომლის ფიქსირებისას ემყარება სავსე კვლევა-ძიების მეცნიერულ მეთოდს ინფორმაციითა გამოკითხვით ან შესასწავლ ობიექტზე უშუალო დაკვირვებით. სავსე მასალასთან ერთად, იგი ფართოდ იყენებს მოძიებულ დისციპლინების — ენათმეცნიერების, ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, ფოლკლორის, ხელოვნებათმცოდნეობის, ანთროპოლოგიის და სხვ. — მონაცემებს.

ეთნოგრაფია (ეთნოგრაფია), როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, XIX ს-ის შუა წლებში ჩამოყალიბდა. მისი ცოდნის საწყისები ეთნოგრაფიული წარსულიდან მომდინარეობს. აღმანიშნულ ძველთაგანვე ანტიკურ ხანებიდან მახლობელი თუ შორეული ხალხების ყოფის თავისებურებანი, მათი წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები. უძველესი ხანის წერილობით ძეგლებში წარმოდგენილია არა მარტო აღწერითი ეთნოგრაფიული მასალა, არამედ თეორიული საკითხების გადაჭრის ცდებიც. მაგალითად, ბიბლიაში ხალხთა ერთ-ერთი უძველესი გენეალოგიური ცხრილია წარმოდგენილი; პეროდოტე დაინტერესებული იყო ხალხთა წარმოშობის საკითხებით, მათ შორის კოლხების ეთნოგენეზით. მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური დაკვირვებებია ძველი ქვეყნის ხალხებზე, მათ შორის ქართველ-კავკასიელებზე მიპოვებულ, ქსენოფონტეს, სტრაბონის, ტაციტუსის და სხვათა შრომებში. შუა საუკუნეებში ხალხთა დიდმა გადასახლებებმა და ახალი ქვეყნების გაცნობამ გამოიწვია ეთნოგრაფიული ცოდნისა და თვალსაწიერის გაფართოება მანამდე უცნობი ხალხების ყოფა-ცხოვრებაზე. ამის ანარქული ჩანს ბიზანტიელი მწერლების — კონსტანტინე პორფიროგენეტის, პროკოპი კესარიელის, მეტრიკოსის და სხვ., აგრეთვე, ევროპელი, ირანელი, არაბი, შუაზიდი და ჩინელი მოგზაურების, მისიონერებისა და გეოგრაფების შრომებში (ბორენი, იბნ ბატუთა, იბნ ფადლანი, მასუდი, ჰლანო კარბინი, რუბროეკი, მარკო პოლო და სხვ.).

XV-XVII სს-ში დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა უცნობი ხალხთა შესახებ სრულიად ახალი მასალა შესძინა ეთნოლოგიას. ახალაღმოჩენილ

ქვეყნებში პირველ რიგში მათი ინტერესი ბუნებრივი სიმდიდრე იყო. კოლონიზატორები ამერიკელ ინდიელებს ადამიანებად არ თვლიდნენ, რადგანაც მათი არსებობა უწინააღმდეგეობდა შუასაუკუნეობრივ წარმოდგენას ყველა ხალხის სოფს შეილებსაგან წარმომავლეობის შესახებ ინდიელთა ყოფა-ცხოვრებაზე იწერებოდა ფანტასტიკურად წარმოდგენით რომლებიც ცნობილია „კურობების ლიტერატურის“ სახელწოდებით. მიუხედავად ამისა, იმდროინდელ ეთნოლოგიურ აღწერათა შორის შეინიშნება მეცნიერებისათვის ღირებული რელაციები (მეთაურის წერილობითი ცნობა).

XVIII საუკუნეში ამერიკელ ინდიელთა შესახებ ეთნოლოგიური მასალების დაგროვებას შედეგად მოჰყვა მისი მეცნიერული გააზრების ცდები. XIX ს-ის I ნახევარში გაიზარდა ინტერესი ევროპის ხალხთა ეთნოლოგიისადმი. შეიქმნა გათხრითი არქეოლოგია, რის შედეგადაც დადასტურდა ევროპის განვითარების საფეხური. გაიშიფრა ეგვიპტური იეროგლიფები და ასურულ-ბაბილონური ღერსმული დამწერლობის (დამწერლობა, რომლის ასოები შედგება ღერსმის ფორმის ხაზებისაგან) ძეგლები. იმ დროს შეიქმნა ეთნოლოგიაში მათოლოგიური მიმართულება. დაგროვდა სამეზუეში ეთნოგრაფიული კოლექციები, შეიქმნა ეთნოგრაფიული საზოგადოებები (პარიზი, ლონდონი, ნიუ-იორკი, პეტერბურგი), რასაც შედეგად მოჰყვა ეთნოგრაფიული მუზეუმების დაარსება. მომწიფდა საკითხი ეთნოგრაფიის ცალკე დარგად ჩამოყალიბებისა.

საქართველოში ეთნოგრაფიას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ქართველური ტომების ზნე-ჩვეულებებისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ეთნოლოგიური მონაცემები გვხვდება ვერ კიდევ ასურული, ხეთური, ურარტული და სხვ. ღერსმული და ხატოვანი დამწერლობის ძეგლებში. ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნოკულტურული პრობლემები, კოლხეთისა და იბერიის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებით, ასახულია ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ საისტორიო ძეგლებში. საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ეთნოლოგიური ცნობებია შერძინებული სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, რუსულ და სხვ. წყაროებში, აგრეთვე დასავლეთ ევროპულ მოგზაურთა და სწავლულთა შრომებში. ქართველი ხალხის წარმომავლობის, სამეურნეო ყოფის, საზოგადოებრივი წყობის, ნეთიური და სულიერი კულტურის საკითხებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ ეთნოლოგიურ მონაცემებს. ეთნოლოგიური მასალა ქართველ და სხვა კავკასიულ ხალხთა შესახებ მოცემულია როგორც

მაგოვრაფიულ (V საუკუნიდან), ისე საისტორიო, ფილოსოფიურ და ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში — თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი (XII ს.), გამოადმწერელი (XIV ს.), ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) და სხვ.

მართალია, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ყოფილი მოვლენების განზოგადების არაერთი საინტერესო ცდაა, მაგრამ პირველ რიგში მეცნიერ შკლევერაად, რომელმაც ქართველთა „ზნე და ჩვეულებანი“ ისტორიულ წყაროდ გამოიყენა, ვახუშტი ბაგრატიონია მიჩნეული. მის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ეთნოლოგია ფართო მისმტებით არის წარმოდგენილი, დაცულია ცნობები საქართველოს ცალკეული რეგიონების დასახლების ხასიათზე, წიაღისეულ რესურსებზე, მურნეობაზე, ნაგებობებზე, ტრანსპორტზე, ჩაცმულობაზე, საქორწინო წეს-ჩვეულებებზე და სხვ. იგი ზუსტად იყენებდა ისეთ ტერმინებს, როგორცაა ქვევა, ჩვევა, ზნე, ჩვეულება; მიმართავდა ეთნოლოგიური მოვლენების შედარება-დაპირისპირებას. გვემა-პროგრამა, რომლის მიხედვითაც ვახუშტის აღწერილი აქვს ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოლოგიური სინამდვილე, მეტად ფართოა, და არამცოუ ჩამორჩება, არამედ წინ უსწრებს იმდროინდელი და მომდევნო დროის ეთნოლოგიურ პროგრამებს. მის ნაშრომებს ახლავს 32 რეგიონალური ფერადი რუკა. ამ ნაშრომის პირველი გამოცემული მარი ბროსე წერდა: „ვახუშტამ ისე აღწერა თავისი სამშობლო, როგორც არც ერთი აზოური ქვეყანა, გარდა ჩინეთისა, არ ყოფილა აღწერილი“.

XIX საუკუნის შუა წლებში რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში მიმდინარე ეთნოლოგიური კვლევა-ძიების აღმავლობის პროცესმა საქართველოშიც სიოვა გამოძახილი. 1842 წელს დაისტამაა ვახუშტის ნაშრომი. 1850 წელს თბილისში დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომელთანაც ადგილობრივი საზოგადოების ინიციატივით 1852 წელს ჩამოყალიბდა „კავკასიური მუზეუმი“. მუზეუმის ეთნოლოგიური კამინეტის პირველი მზრუნველი იყო პოეტი და ეთნოლოგი რაფიელ ერისთავი. მაგრამ ეს წამოწყება მეფის მთავრობამ ჩაახშო და მუზეუმს 1856 წელს არსებობა შეწყვიტა. ამ ხანებში მოღვაწეობდნენ პლატონ ოსიელიანი, დიმიტრი ბაქრაძე, დაეით ციციშვილი და სხვ. კავკასიის კოლექციების ბაზაზე 1865 წელს თბილისში დაარსდა „კავკასიის მუზეუმი“, მაგრამ მისი დირექტორი რადე მუზეუმის მუშაობაში ადგილობრივ ძალებს არ იზიდავდა.

მუზეუმში ბატონობდა ეთნოლოგიური კოლექციების შეგროვების რარიტეტული (ძალიან იშვიათი ნივთი, მაგალითად, საბუხუბო ვარსკნატი, ძველი წიგნი) და ანტიკვარული მეთოდი. საუკეთესო ეთნოლოგიური კოლექციები უცხოეთის მუზეუმებში იგზავნებოდა (რუსეთის მუზეუმები, ბერლინი, კამბურჯი).

XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ამსხველი ეთნოლოგიური მასალის შეგროვებაზე დიდად ზრუნავდა ილია ჭავჭავაძე. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა მუშაკთა ჯგუფი, რომელიც მიუხედავად ძნელი პირობებისა, ნაყოფიერად მოღვაწეობდა ქართულ ეთნოლოგიურ სარბიელზე: რ. ერისთავი, ნ. ხიზანიშვილი („ურბნელი“), პ. ნიყარაძე („თავისუფალი სვანი“), ივანე გვარამაძე („კინძე მესხი“), დ. და მ. ჯანაშიელეები, თ. სახოკია, ნ. ჯანაშია, ვაჟა-ფშაველა, ა. ვაზბეგი, ა. როინიშვილი და სხვ. მათ მიერ შეკრებილი ეთნოლოგიური მასალა სისტემატურად იბეჭდებოდა „დროებაში“, „ივერიაში“, „მთაბეში“, „გუთნის დედაში“ და სხვ. ამ ჯგუფის ეთნოლოგიურ მოღვაწეობის ბაზაზე 1907 წელს შეიქმნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. იმავე პერიოდში ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული მონაცემები ზოგადი ეთნოლოგიის ინტერესების სფეროში მოექცა. ეთნოლოგიის ცალკეული პრობლემების მეცნიერულ კვლევაში მნიშვნელოვანი დეპონო მუდმივით დიმიტრი ბაქრაძეს, ალექსანდრე ხახანაშვილს, ნიკო მარს და ვანსაკუორებით ივანე ჯავახიშვილს. XX საუკუნის 20-იან წლებში ეთნოლოგიურ კვლევა-ძიებას სათავეში ჩაუდგა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილება, სადაც თავმოყრილი იყო ყოფილი „კავკასიური მუზეუმის“, „კავკასიის მუზეუმის“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საცლესიო მუზეუმის და სხვა ეთნოგრაფიული კოლექციები. აქვე მოღვაწეობდა ფორძირების პროცესში მყოფი ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების მკვლევარნი ბირთვი.

ქართველმა მეცნიერებმა დამაჯერებელი არგუმენტების შემოტანით უარყვეს ის შეხედულება, თითქოს კავკასია, საქართველო იმ ხალხთა ნარჩენების თავშესაფარია, რომლებმაც ვხად გაიარეს ეს ქვეყანა, ან კიდევ ამ გველის დროს აქაურ მოსახლეობას გადასცეს თავიანთი კულტურული მონაპოვრები. ამ ცრუმეცნიერული შეხედულებების საპირისპიროდ იმავე შრომებში ნაჩვენებია ამ კულტურის ადვილობრივი წარმოშობა.

ქართველი ხალხის ეთნოგენეზური ისტორიის პრობლემებზე შესწავლილია ქართული ეთნოგენეზების კომპონენტის საკითხი ძირითადად ურუმთა შემადგენლობაში; გაირკვა და დაზუსტდა სვანეთში VII-XII სს-ში მოსახლე ბუშართა ადგილსამყოფელი; ხვესურები განსწავლულა მოსახლეობა ვი არაა, არამედ იბერთა ერთ-ერთი უბეველესი ჯგუფია; დადგინდა ყვარულელების ადრინდელი საცხოვრისი და ივრის ხეობის და ყაზახის მოსახლეობის ეთნოგრაფიული ფენები, აგრეთვე მოიღან ბარში მოსახლეობის მოძრაობის ძირითადი ფაქტორები და სხვ.

თანამედროვე აეროეთნოლოგიაში მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო კულტურის სპეციფიკისა და საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემების, მათი შესაბამისი სახვნელი იარაღების ტიპოლოგიისა და ევოლუციის პრობლემებზე ჩატარებული კვლევის შედეგები. ყურადღება ექცეოდა არა მარტო იმას, თუ რა კეთდებოდა, არამედ იმასაც, თუ როგორ კეთდებოდა. ახლებურადაა შესწავლილი ქართული ხალხური ტრანსპორტისა და საქართველოში სარწყავ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ისტორიულ-ეთნოლოგიური სამეურნეო-ყოფითი სპეციფიკისა და ზოგი კულტურულ-ისტორიული საკითხი. ეთნოლოგიური ატლასის შედგენასთან დაკავშირებით ცალკეული რეგიონების მიხედვით დამუშავდა მუშინდვრობის, ძველნახობა-შეღვინების, აღბური შესაქონლეობის და სამეურნეო ყოფის სხვა საკითხები. მეფეტკრეობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა მეფეტკრეობის თავისებურებანი და მისი ადგილი ქართველი და კავკასიის ხალხების მეურნეობაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მეფეტკრეობის ისტორიის ზოგადი საკითხების შესწავლისათვის. სათანადო მუშაობა მიმდინარეობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხალხური სპორტი, მუსიკალური ფოლკლორი, ხალხური მღვიცნა, ტომონიხეკა. ინტენსიურად იქნა შესწავლილი მატერიალური კულტურის ტრადიციების ფორმები, საცეხები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლება, ტანსაცმელი, ხელოსნობა (ზის, ჭის, ტყავის, თიხის, ლითონის, რქის, ძელის, ვიძრის გამოყენების ხალხური წესები), ხალხური ფეიქრობის კულტურა (სელის, კანაფის, მატყლის, აბრეშუმის და სხვ. ქსოვილების წარმოება) და სხვ.

ეთნოლოგიური კვლევები მიმდინარეობს ივანე ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და თსუ-ში. ასევე, ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს საისტორიო საზოგადო-

ების ეთნოლოგიის სექციაში, აღსანიშნავია ეთნოგრაფიის მუზეუმის დია ცის ქვეშ თბილისში; ნაყოფიერი ეთნოლოგიური მუშაობა ტარდება რუსუბელიკის ისტორიულ-ეთნოლოგიურ და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. ქართული ეთნოლოგიური გამოკვლევები ქვეყნდება (პერიოდული გამოცემები, მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომები) ეთნოლოგიური აღბობები).

ეთნოგრაფია (ბერძნული სიტყვა ethnos – ტომი, ხალხი და genesis – წარმოშობა), ადრე არსებული სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტის ბაზაზე შექმნილი ახალი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების პროცესი. ეთნოგენეზი წარმოადგენს ყოველი ეთნოსის ეთნიკური ისტორიის დასაწყისს, რომელიც ვრძელდება ეთნოგენეზის დამთავრების შემდეგაც და გამოიხატება უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსის შემდგომი განსახლების პროცესში მასში ზოგიერთი სხვა ასიმილირებული ჯგუფების შერწყმით, ზოგჯერ კი მისგან ახალი ლოკალური ჯგუფების გამოყოფით. ისტორიულად ეთნოგენეზის ორი სხვადასხვა ტიპია ცნობილი. პირველი დამახასიათებელია პირველყოფილი თემური და წინაკაპიტალისტური საზოგადოებათა ეთნიკური ისტორიისათვის, რაც მთავრდება ისტორიულად ცნობილ ეროვნებათა ჩამოყალიბებით, უმთავრესად ადრინდელ ფეოდალურ ხანაში. ეთნოგენეზის მეორე ტიპი ნიშანდობლივია გვიანდელი ხანის ეთნიკურ ერთობათა წარმოქმნისათვის (მაგ., თანამედროვე ამერიკის ხალხთა ფორმირებისათვის, რომელშიც მთავარი როლი შეასრულეს უკვე ჩამოყალიბებული ხალხების წარმომადგენლებმა). მთავარი განსხვავება ამ ორ ტიპს შორის ისაა, რომ თავისი დროისათვის ახალი ტომობრივი ჯგუფების ანუ ადრინდელი ეროვნებების ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ უფრო ძველი ტომობრივი ჯგუფები – მასობრივი, ამასთან აუცილებელი ბიოლოგიური კონტაქტების გზით, მაშინ როცა ახალი დროის ეთნიკურ ერთობათა ეთნოგენეზში მთავარი როლი განეკუთვნება აკულტურაციის პროცესებს. ეთნოგენეზის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა ეთნიკური კომპონენტების კონსოლიდაციის, ასიმილაციის და მიგრაციის პროცესები.

მკვლევართა დიდი უმრავლესობა უდაოდ მიიჩნევს ქართველების ავტოქთონურ წარმოშობას. არქეოლოგიური მასალა, ტოპონიმიკური და სხვა ხასიათის ენობრივი მონაცემები, ანტიკური ეპოქის ისტორიკოსთა ცნობები ნათელყოფენ, რომ ქართველი ტომები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე, რომ მათი ბინადრობის არეალი მნიშვნელოვნად სცილდება საქართველოს თანამედროვე ფარ-

ვლებს, რაც უპირველეს ყოვლისა შეეხება სამხრეთ საზღვარს. ქვეყნის დროდან დაწყებული, საუკუნეების მანძილზე ადგილობრივ მოსახლეობაში იოქიფებოდნენ დამპყრობთა და გადამოხეწილთა არცთუ დიდი ეთნიკური ვეგულები, რომელნიც ვარკვეულ ვაღს ტოვებდნენ მათთვის. თა ეროვნების ფორმირებაზე. ქართულთა ეროვნულ ფორმირებაზე საგრძნობ გავლენას ახდენდა შიდაიმპერატორული პროცესებიც, რაც უმთავრესად იმასთან იყო დაკავშირებული, რომ ავბელობის ვაძს განსაცდელში ჩაეარდნილი ქართული მხარეებიდან, ფიზიკური ვანადგურებისა თუ ეროვნული ვადგავარებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მცხოვრებნი სახლდებოდნენ შედარებით დაცულ ადგილებში და, პირველ - საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ვადღიერების ეპოქებში ქართველი მოსახლეობა უბრუნდებოდა ვაპარტახებულ მამასაძავეულ მიწა-წყალს.

ერისათვის დამახასიათებელი მოვარი ნიშნების - ენის, ტერიტორიის და კულტურული ერთიანობის ფორმირება საგრძნობ წარმატებას აღწევს საქართველოში უკვე XII საუკუნეში, რაც დაკავშირებული იყო ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება-ვადღიერებასთან. ამ პერიოდში იქმნება წინამძღვრები ეკონომიკური ცხოვრების ერთიანობის წარმოსაქმნელადაც, ეროვნული კონსოლიდაცია ამ ზღვრებთან მოვიდა, როცა თვისობრივად ასალ, მაღალ სოციალურ-ეთნიკურ ერთობად, ე.ი. ერთად უნდა ვადაზრდილიყო.

ქართლის მოქცევა (ე.ი. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ვადაქცევა) მოხდა IV საუკუნის მეორე მეოთხედში. V საუკუნეებზე ქართლის ეკლესია ემორჩილებოდა ანტიოქიის პატრიარქს, შემდეგ კი ვახდა დამოუკიდებელი. ქართული ეკლესიის სათავეში თავდაპირველად იდგა მოვარებისკობისა, V საუკუნიდან კათალიკოსი, XI საუკუნიდან კი კათალიკოს-პატრიარქი.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე სრულდებოდა. ქართული ეკლესია სხვა მართლმადიდებელი ეკლესიებისაგან ვამოირჩეოდა ზოვიერთი ლიტურგიული წესებითაც და შუა საუკუნეებში იგი ქართველთა ეროვნულ სარწმუნოებას წარმოადგენდა. ამ მხრივ, ფრად საყურადრებოა 951 წელს ვიორგი მერსულეს მიერ დაწერილ „ცხოვრებას ვრივილ ხანძთელისა“-ში მოცემული შემდეგი ვამსარტება: „რამდ ქართლად ფრადი ქვეყანას აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ვაძი შეიწირვის და ლოცვას ყოველი აღესრულების“.

საკმაო ხანა ქართველ მეცნიერებს (ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს, ანთროპოლოგებს, ენათმეცნიერებს) ჩატარებული აქეთ

ფუნდამენტური კვლევა, რომელთა მიხედვით ამერიკეკაცის და საქმ-
ხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ტერიტორია იმთავითვე წარ-
მოადგენდა ერთიანი წარმომავლობის მქონე ქართველური ეთნიკური
მასის დისლოკაციის ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს, ქვეყნის ფუნდამენ-
ტური ქართველური ფუძე-ენის მატარებელი მონათესავე ტომთა მემკვიდრეა
დრწ. საუკუნეების მანძილზე აკრობირებული ეთნიკური ნომადკლასტურის
საბოლოოდ დაზუსტებული სურათის თანახმად, სახელწოდება „ქარ-
თველს“ უკვე დიდი ხანია მოელი ქართველი ხალხის აღმნიშვნელი
ტრადიციული ეთნონიმის დირებულება გააჩნია. აღსანიშნავია, რომ ამ
ნომინაციაში თავისი ასახვა პოვია, ერთი მხრივ, ქართველების ოდინდელ-
მა დაყოფამ ტომობრივი ნიშნების მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ,
საქართველოს მიწა-წყლის ისტორიულ-გეოგრაფიული და ტერიტორი-
ულ-პოლიტიკურმა ძირძველმა ტრადიციამ.

ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია

პოლიტიკური გეოგრაფია შეისწავლის პოლიტიკური ძალების
ტერიტორიულ განაწილებას და შეფარდებას როგორც ქვეყნის შიგნით,
ისე ცალკეულ ქვეყნებსა და ქვეყნების ჯგუფებს შორის მათ სოციალურ-
ეკონომიკურ სტრუქტურასთან დაკავშირებით; ქვეყნებისა და სახელმწი-
ფოების ტერიტორიული ფორმირების, მათი სახელმწიფოს საზღვრების,
ისტორიული ოლქების, ადმინისტრაციული ცენტრების, ადმინისტრა-
ციული წყობის საკითხებს. ამდენად, პოლიტიკური გეოგრაფიის საგანს
წარმოადგენს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური წყობის, კლასების
მდგომარეობის, ერების ადგილისა და როლის განსაზღვრა მსოფლიოში.

პოლიტიკური გეოგრაფია სწავლობს შემდეგ საკითხებს:

- სახელმწიფო წყობის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, პოლიტი-
კურ-ადმინისტრაციულ მოწყობას, საშინაო და საგარეო პოლიტიკას,
მის კავშირს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან;

- ქვეყნის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მდგომარეობას, მათ ურთიერ-
ობას, როდეს და ადგილს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალთა გა-
ნაწილებას მსოფლიოში;

- სახელმწიფო ტერიტორიის ფორმირებას, მის შემადგენლობას,
სახელმწიფო საზღვრებს;

- ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივ და ეროვნულ
სტრუქტურას. მისი კლასების, სოციალური ჯგუფების, ერებისა და
ხალხების მდგომარეობის, მათ განლაგების თავისებურებებს;

– პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაელენას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

– პოლიტიკური და ეკონომიკური რუკის ცვლილებას, სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებას, ვაერთიანებებს, ორგანიზაციებს.

პოლიტიკურ გეოგრაფიას მკვლევართა ნაწილი განიხილავს როგორც ეკონომიკური გეოგრაფიის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ზოგიერთი მეცნიერი მას ეკონომიკურ გეოგრაფიასთან დაკავშირებულ ცალკე გეოგრაფიულ დისციპლინად მიიხსენებს.

რუსეთში ტერმინი „პოლიტიკური გეოგრაფია“ პირველად ვახილ ტატიშჩევმა იხმარა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. 1758-1772 წლებში გამოიცა ი. გრეჩისა და ს. ნაკოვალნიჩის მიერ შედგენილი პოლიტიკური გეოგრაფიის პირველი რუსული სახელმძღვანელო. XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XIX საუკუნის განმავლობაში პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები აისახა ა. რადიშჩევის, კ. არსენიევის, პ. სემონოვ-ტიან-შანსკისა და სხვ. თხზულებებში.

1730 წელს გაბრიელ ველოვანმა თარგმნა „მსოფლიო გეოგრაფია“, ხოლო 1752 წელს ვახუშტი ბაგრატიონმა „მსოფლიო გეოგრაფია“ და „მსოფლიო ატლასი“. ვახუშტი პოლიტიკური გეოგრაფიის ნაცვლად ხმარობს „ქვეულების ლეოგრაფიას“. მანამდე ქართულში „ქვეულების“ ამ მნიშვნელობით არ არსებობდა და ვახუშტამ ტერმინი „პოლიტიკური“ გააქართულა. ამ ნაშრომში მოცემულია პოლიტიკური გეოგრაფიის ყველა ელემენტი. საკუთარი ქვეყნის პოლიტიკური გეოგრაფია შესანიშნავად გადმოსცა ვახუშტი ბაგრატიონმა ნაშრომში – „აღწერა საქაფვისა საქართველოსა“ (1745) და საქართველოს ატლასებში (1735, 1745).

ყველა ქვეყანას თავისი პოლიტიკური გეოგრაფია გააჩნია და, ცხადია, საქართველოც ერთ-ერთ თვალსაჩინო როლს ასრულებდა მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ მას სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია.

დაახლოებით ამ სამი-ოთხი ათასი წლის წინათ, ქართველი ხალხის შორეულ წინაპრებს უკვე პქონდათ თავისი საკუთარი სახე, ანუ პოლიტიკური გეოგრაფია. ისინი ეწითა და კულტურით უკვე სავრწინოდ აღვანირჩეოდნენ კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში მცხოვრებ სხვა მონათესავე თუ არამონათესავე ტომებისაგან. კიდევ უფრო მეტი: თვით ქართველთა ამ უშუალო წინაპარ მოსახლეობაშიც დიდხანს ურთიერთისაგან გათიშული ცხოვრების გამო, ფესვი გააღვა განსხვავებამ ერის, ზნე-ჩვეულებისა, მატერიალური და სულიერი კულტურის მხრით.

განსხვავება ისახებოდა არა მარტო ქართველი ტომების ისეთ დიდ
ჯგუფებს შორის, როგორც არიან ქართველი, მეგრულ-ჭანები და სხვები,
არამედ თვით ქართების, მეგრულ-ჭანებისა და სვანების ცალკეულ
ტომებს შორისაც.

ერქიხეული


საქართველოს ტერიტორიაზე იმ დროს მიმდინარეობდა მძიმე
დიდი კავშირების ჩამოყალიბება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
ტომთა ერთი ასეთი დიდი გაერთიანება იყო დიაოხი, რომლის სახელიც
შემდგომ საქართველოს ერთ-ერთ ოლქს, ტაოს, შემორჩა. სამხრეთით
დიაოხის ტომთა კავშირის ტერიტორია დღევანდელ ქალაქ არზრუმის
რაიონამდე აღწევდა. უკვე ძველი წელთაღრიცხვის XII საუკუნის
ბოლოს დიაოხი საკმაოდ გაძლიერდა. თუმცა IX საუკუნეში მისი
მდგომარეობა ვართულდა, რადგან ვანის ტბის ირგვლივ მდებარე
მინა-წყალზე ძლიერი ურარტუს სამეფო ჩამოყალიბდა. ურარტუს
მეფეები ცდილობდნენ დაემორჩილებინათ მადნეულითა და ლითონით
მდიდარი ეს ქვეყანა. ურარტუელებმა შეძლეს დიაოხისათვის სამხრეთი
რაიონები მოეწვევითა და ისინი თავიანთ სამეფოს შეუერთეს.

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის შუახანებში დიაოხის ეს
დიდი გაერთიანება გაანადგურეს, ერთი მხრივ, ურარტუმ და, მეორე
მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა მეორე დიდმა გაერ-
თიანებამ — კოლხამ.

კოლხა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში მცხოვრები
ტომების გაერთიანება იყო, რომელიც ძალიან ადრე ჩამოყალიბდა. მან
დიდი როლი შეასრულა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღ-
მოსავლეთ სანაპიროებზე მცხოვრები ტომების ისტორიაში. მოაქცია
რა ისინი თავისი გავლენის ქვეშ, ამით მან დიდად შეუწყო ხელი აქ
მცხოვრები ტომების დაახლოებას. ბერძნები ამ ადგილებს სწორედ
კოლხური ტომების გაერთიანების ძლიერების ხანაში გაეცნენ. კოლხას
ძლიერ გაერთიანებაზე ხსოვნამ გამოხატულება პოეა ძველ ბერძულ
თქმულებაში არგონავტიების შესახებ. თქმულება მოგვითხრობს, რომ
კოლხეთში ერთ დროს მეფობდა ძლიერი მეფე აიგტი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა ორი დიდი გაერთიანება —
დიაოხი და კოლხა — საუკუნეთა განმავლობაში ხშირად უპირისპირდე-
ბოდა ერთმანეთს. ზოგჯერ იყო მათ შორის შეტაკებებიც. როგორც
აღინიშნა, ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის შუა ხანებში დიაოხი
განადგურებულ იქნა და კოლხა და ურარტუ უშუალო მეზობლები
გახდნენ. ახლა ბრძოლა მათ შორის განაღდა. ამ ბრძოლებმა დიდად
დასუსტა კოლხა. მალე მას კიდევ უფრო საშიში მტერი გამოუჩნდა.

1. 1950-1955
 2. 1956-1960
 3. 1961-1965
 4. 1966-1970
 5. 1971-1975
 6. 1976-1980
 7. 1981-1985
 8. 1986-1990
 9. 1991-1995
 10. 1996-2000
 11. 2001-2005
 12. 2006-2010
 13. 2011-2015
 14. 2016-2020
 15. 2021-2025



ՀԱՐՑԵՅԻՆ
 ՀՈՅՆՈՒՄԻՆԻ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆ
 1991

ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო კავკასიონის იქითა მხრიდან ხალხის მასების შემოსევა. ამ შემოსევას პირველ ტალღას შეადგენდნენ კიმერიელები, რომლებიც სამხრეთითაც გამოიჭრნენ შავი ზღვის კოლხური სანაპიროს გამოვლით ტყვეობაში ჩადილოვითად შემოიჭრნენ, ახლა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსაკენ ვხვით. კიდევ ახალი ტომები - სკვითები, სკვითებისა და კიმერიელების ნაწილი ამიერკავკასიისა და სამხრეთით მის მოსაზღვრე ზოგიერთ ოლქში დამკვიდრდა.

ამგვარად, ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის მეორე ნახევარში განადგურდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა ორი დიდი გაერთიანება (ადრეკლასობრივი სახელმწიფო) - დიაოხი და კოლხი.

VII-VI სს. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში დიდი ცვლილებები მოხდა. მოიშალა და დაეშაო ძველი სახელმწიფოები, მათ ადგილას კი ახალი აღმოცენდა. ბევრმა ტომმა გამოიკვალა თავისი ადგილსამყოფელი, ახალი მიწა-წყალი დაიპყრო და დასერიობილი ტერიტორიის მოსაზღვრობა ან გააძევა ან შეიერთა, ან მოიხსო. მოსულებისა და დამზღვრების შეერთებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ხელზესაც. ამდენად, პოლიტიკურ გეოგრაფიაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ურარტუს სამეფოს მიდიელებმა მოუღეს ბოლო VII საუკუნის დამლევს. შემდეგ მიდიელებმა შემუსრეს აგრეთვე ასურეთი, რომელიც ამავე საუკუნეში წინა აზიის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო. მაგრამ არც მიდიელების ბატონობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. მალე პირველობა სპარსელების ხელში გადავიდა. სპარსელების მეფე კიროსმა (550) მიდიის სამეფო დაიპყრო, შემდეგ ხმელთაშუა ზღვისაკენ გაიკაფა ვაზა, ბოლოს ბაბილონიც დაიპორო. ასე წარმოიშვა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელსაც აქემენიდების სამეფოსაც ვახვან, იმიტომ რომ კიროსი და მისი მემკვიდრეები აქემენიდების საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

ამავე ხანებში მცირე აზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზღვისპირა ბერძნულ ქალაქებს. ბერძენი ტომები აქ საბერძნეთიდან მოვიდნენ, დიდი ხნის წინათ, და ეგოსის ზღვისპირას დამკვიდრდნენ.

კავკასიონისა და შავი ზღვის ჩრდილოეთით VII-VI საუკუნეებში სკვითები და სარმატები პირველობდნენ. სკვითებს ეჭირათ ტერიტორია მდ. დუნაიდან მდ. დონამდე, დონიდან აღმოსავლეთით კი უკვე სარმატების მიწა-წყალი იწყებოდა. „სკვითთა“ და „სარმატთა“ კრებითი სახელები იყო და მრავალ სხვადასხვა, ძირითადად ირანული მოდგმის ტომს აღნიშნავდა. სარმატებად თვლიდნენ ზოგჯერ კავკასიულ ტომებსაც - ჩერქებს, ქისტებს და სხვებს.




ზემოთ აღნიშნულმა აქტებით დაიწყო სახელმწიფო მოხელეების გადგენა კავკასიისაკადამოუწვდინა. სპარსელებმა სხვეზე ახრის ქართული თემები დაიმორჩილეს, რომელნიც ამიერკავკასიის სამხრეთი მდებარეობდნენ. V საუკუნის I ნახევარში სპარსეთის სპეციფიკურად ჩრდილოეთით მდებარე ოლქი ამ ქართულ და სხვა თემებისათვის შექმნილი იყო. XVIII ოლქში, რომელიც მდ. არაქსის ხეობასა, მდ. ეფრატისა და ტიგროსის სათავეებსა და ვანის ტბის გარშემო იყო, შედიოდნენ მატეინები, სასერები და აღაროდიები, როგორც ამას ჰეროდოტე მოგვითხრობს. XIX ოლქში კი, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ემზრობოდა, შედიოდნენ მესხები, ტიბარენები, მოსინიკები და სხვები. ეს ოლქები სპარსეთის მეფის მიხედვით ხარკს უხდიდნენ. შემდეგ სპარსელები ამიერკავკასიაშიც შემოჭრილან. კოლხებმა და მათმა მებრძობებმა სპარსეთის მეფის სასარგებლოდ ძღვენი იკისრეს, რომ სპარსელების შემოსევებისაგან თავი დაეხსნათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ამ დროს ტომთა დიდი გაერთიანებები არსებობდა. მათ ბრძოლა ჰქონდათ როგორც უცხოელ დამპყრობლებთან, ისე ურთიერთშორისაც. თანდათან ამ მხარეში ხელ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებას იწყებს მცხეთის რაიონი. იგი სხვადასხვა მხრიდან მომავალი გზების შესაყარზე მდებარეობდა. უფლისციხიდან მცხეთაში გადმოსულა აღზევებული იბერიის მეფე ფარნავაზი. რაც შეეხება დიდ კოლხას (ეგრისს), ამჯერად იქაური ერისთავი ქვეცი (რეზიდენციით ციხეჭალაქ არქეოპოლისში) თავად აღიარებს იბერიელი დიდი ძმის - ფარნავაზის უზენაესობას.

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში, ფარნავაზისა და მისი მემკვიდრის საურმაგის მეფობაში, ქართლის სამეფო საკმაოდ ძლიერი იყო. ამ დროს იგი არა მარტო მთელ თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა, არამედ მის მოსახლურ ოლქებსაც ფლობდა. მას ეკუთვნოდა, კერძოდ, ისტორიული ტაოსა და სპერის ოლქები.

ქართლის სამეფომ უშუალოდ შემოიერთა დასავლეთ საქართველოს ერთი ნაწილი. კერძოდ, შეიქმნა ქართლის (იბერიის) ერთ-ერთი აღმონის-ტრაკიული ერთეული - არგვეთის საერისთავო. ქართლის სამეფოს გადღერის ქვეშ მოექცა, აგრეთვე, საკუთრივ ეგრისის სამეფოც, თუმცა იგი იბერიის სამეფოს ჩვეულებრივ პროვინციად არ გადაქცეულა.

ამან დიდად შეუწყო ხელი საქართველოს მოსახლეობის შემდგომ დაახლოებას და საფუძველი ჩაუყარა ერთი ძირიდან წარმოშობილი ქართველი ტომების სწრაფ შეკავშირებას და ამ გზით ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას.



სამეგრელო
I-VI საუკუნეები

სამეგრელო
სამცხე-ჯავახეთი

სამეგრელო

სამეგრელო

სამეგრელო
სამცხე-ჯავახეთი

სამეგრელო

ქართლის სამეფო იძულებად ძლიერი აღმოჩნდა, რომ გავლენის ქვეშ მოაქცია კავკასიონის მთიანეთის იმ ნაწილის მოსახლეობაც, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ბარს ემუხლდებოდა. საზოგადოებრივი განვითარების მხრივ მთიანეთის მოსახლეობა საგრძნობლად ჩამორჩნობა ბარის მოსახლეობას. მათში ვერ კიდევ პირველყოფილი წყობილება იყო გაბატონებული.

ქართლის მმართველებმა თავისი გავლენის სფეროში მოაქციეს, აგრეთვე, მეზობელი აღმანეთის (თანამედროვე აზერბაიჯანი) მოსახლეობის ერთი ნაწილი.


ის ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც ქართლის სამეფოსათვის მანამდე არსებობდა, ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნისათვის საგრძნობლად შეიცვალა. საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი სომხური სამეფო, რომლებმაც ჩრდილოეთის მეზობელს — ქართლის სამეფოს შემოუტყეს და ქვემო ქართლისა და მესხეთის მიწა-წყლის დიდი ნაწილი ჩამოაცილეს (ამ ოლქებს ბერძნები ვოგარენეს, ხორძენეს და პარიადრის მთიანეთის სახელწოდებით იცნობდნენ). სომხები დაუუფლნენ აგრეთვე იბერია-აღმანეთის შესაყარზე მდებარე ოლქს კამბისენეს ანუ კამბეჩოვანს (გვიანდელი ქიზიყი).

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, როგორც აღინიშნა, მისი ერთი ნაწილი უშუალოდ შეიერთა ქართლის ძლიერმა სამეფომ, მეორე ნაწილი (ვერისის ანუ კოლხეთის ძველი სამეფო) მანვე დაიმორჩილა. კოლხეთის ჩრდილო მთიან ნაწილში კი მრავალი ტომი ცხოვრობდა, რამდენადაც ამ დროს ინარჩუნებდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას. II საუკუნეში, როცა ქართლი დასუსტდა, დასავლეთ საქართველოზე მისი ძალაუფლება საგრძნობლად შეირყა. დასავლეთ საქართველოში გავრცელება იწყო მეზობელი პონტოს სამეფოს გავლენამ. ეს უკანასკნელი ვერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნეში ჩამოყალიბდა. მითრიდატეს (III-65) დროს კოლხეთი პონტოს სამეფომ დაიმორჩილა. თუმცა მისი გავლენა მხოლოდ ზღვისპირა დაბლობის რაიონებით შემოიფარგლებოდა.

როგორი იყო საზოგადოებრივი წყობილება საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში? მთიელებს უფრო ჩამორჩენილი საზოგადოებრივი წყობა ჰქონდათ. ერთი გვარისა და თემის შეილება მტკნაკლებად თანასწორი იყვნენ როგორც ქონებრივად, ისე უფლებრივად. სვანებს თუკცა მთავარი ჰყავდათ, მაგრამ ის თავის წესაზე ვერ მართავდა ხალხს. ხალხის სათავეში იდგა 300 კაცისაგან შემდგარი საბჭო. ეს



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ԲՆԱԿԱՐԿՈՒՄ



300 კაცი ცალკე სვანური გვარებისა თუ თემების წარმომადგენლები იყვნენ. მათ ვეულას თანასწორი ხმა ჰქონდათ საბჭოში. ბარში სახელმწიფო გადაღობრივი თანასწორობა აღარ არსებობდა. აღარ არსებობდა საზოგადოებრივი საკუთრება. პირველი წოდებიდან მეფეები გამოდიოდნენ, მეფეს უფროსი საგვარეულოს „სეფე“ ეწოდებოდა, მის წევრებს „სეფეწევრებს“ ეწოდებოდა მეთაურს „მეფე“. მეფე იყო სახელმწიფოს მეთაური.

მეორე წოდებას ქურუმები შეადგენდნენ, რომლებიც წარმართულ ტაძრებს ემსახურებოდნენ და ასევე დროს მუშობელ ხალხებთან სადავო საქმეებსაც განაგებდნენ.

მესამე წოდებაში თავისუფალი ხალხი შედიოდა, ისინი მიწასაც ამუშავებდნენ და რომიც ვადიოდნენ, როცა მეფე დაუძახებდა. ამ წოდებას ძველებურად „ერი“ ერქვა.

მეოთხე წოდებაში მდებარე ხალხი შედიოდა. ისინი ხეფე-სახლს ანუ სამეფო საგვარეულოს ემსახურებოდნენ ყურად. ამ მდებარე ხალხს მამინ „გლეხებს“ ეძახდნენ. იმ დროს იყვნენ მონებიც. მაგრამ მათ საზოგადოების წევრებად არ თვლიდნენ. მონები ჰყავდათ მეფის საგვარეულოს, სხვა მდიდარ ხალხსაც.

ქართლის სამეფოს მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი ათასი წლის წინათ ქართლის სამეფო ძლიერი სახელმწიფო იყო. ქვეყნის ბატონ-პატრონად მეფე ითვლებოდა. მეფის წოდება იყო – „ქართველთა მეფე, დიდი მეფე“. მეფეს ბევრი მოხელე ჰყავდა, რომელთა საშუალებითაც იგი ქვეყნას მართავდა. „ქართველთა მეფის“ უფროსი მოხელეები იყვნენ დიდი და მცირე ერისთავები, ეზოსმობღვარი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცხოვრებაში აშკარა წყობილება XIX საუკუნებდე აღარ შეცვლილა, იცვლებოდა მხოლოდ ქვეყნის საზღვრები, ტერიტორიული მოცულობა, ადმინისტრაციული მოწყობა, ეროვნული სტრუქტურა და ეკონომიკური მდგომარეობა. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ფეოდალურ ხანაში ზოგადი შტრიხებით ასეთი იყო:

ფარნავაზის შემდგომ „ჩაველილი“ შუალი ბობოქარი და უღმობელი საუკუნეებიდან შემოგერსა ფარსმანის, გუბაზის, რევის, ადერკის, მარდატის, მარიაანის და სხვათა ნიჭისა და ძლევამოსილების ამბები. ამ დროს დაიწერა „წამებაჲ მუშანიკისა“, აივო ბოლნისისა და ვეარის.

X-XI საუკუნეებში ახალგადატანილია არაბული შემოტევა არა მარტო მურვან ერუსი, არამედ „მაზარული“ და იმ პერიოდში თბილისს და მის შემოგარენს სამას წელზე მეტი არაბი აძირა მართავდა. უკვე მოხდა საბოლოო განხეთქილება ქართულ და სომხურ ეკლესიათა



საქართველოს საზღვარი

საქართველოს საზღვრო საზღვარი

- საზღვრო საზღვარი
- საქართველოს საზღვარი
- საქართველოს საზღვრო საზღვარი

- საქართველო
- საქართველო
- საქართველო
- საქართველო

შორის და ახლა უკვე ქართველთა იდეოლოგია ქრისტეს წინამძღოლობით აღმავლობას განიცდიდა ტაო-კლარჯეთში რაც ქართველთა, ამჟამად ბაგრატიონთა ათასწლოვანი ზეობის პირველი ძლიერი ნაბიჯები. აფხაზეთის სამეფო ტახტი ლეონ II მიერ ქართველთა ქუთაისშია გადამოტანილი და იქედან, ამჟამად, უკვე ბაგრატიონთა მეფე, ბაგრატ III – აფხაზეთის მეფის სახელით დაუფლებია საქართველოს ერთიანობის წინსვლას.

XII საუკუნეში საქართველო ვრცელდებოდა „ნიკოფსიდიან-დარუბანდამდე“, რაც დავით IV აღმაშენებლის დიდი მკვლელობის შედეგი იყო. 400-წლიანი ტყვეობის შემდეგ, კვლავ თბილისშია ქართველთა სამეფო ტახტი ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ I, გიორგი II ტიტულთაგან განსხვავებით დავითის სახელს მოხდევს – ტიტული „მეფისა“. „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა, სომეხთა და შაჰინშაჰთა“.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ჩამოშორებულია ზოგიერთი თემი (ხუნანის), შესუსტებულია ურთიერთობა ყმადნაფიც თუ მონარქე მხარეებთან. შიდა ქართლიდან მონღოლთა ერთგულ მოთარეშე ოცხთა განდევნა მოხდა ქვეყნადამა გიორგი ბრწყინვალის მიერ (გიორგი V), ამის შემდეგ კარგახანს ოცხეთი კვლავ ქართველ მეფეთა მორჩილია.

XV-XVIII საუკუნეებში ხდება საქართველოს დაქვემდებარება. ამ პერიოდში სამუდამოდ დაიკარგა სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი. გამუდმებით იცვლება საზღვრები ქართულ სამეფოებსა და სამთავროებს შორის, საერისთავოებსა და სათემოებს შორის. დაიწყო თარეში ხარხთა, ოსმალთა, ლეკთა, ოსთა, თათქის მიუღი საუკუნე იმეფეს ქართლ-კახეთის ტახტებზე თაყაიზისა და თეიმურაზის მამულიან სამყაროში აღზრდილმა ქართველმა ბაგრატიონებმა.

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთისა და იმერეთის მართავენ ერთმანეთის მოყვასი ბაგრატიონი პატარა კახი და სოლომონ დიდი. მოუხედავად ამისა, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო-რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცა. გაქრა ქართველთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელიც მხოლოდ 1918 წლის 26 მაისს აღსდგა და იხიე 1921 წლის 25 თებერვლამდე.

როგორც მიმოხილვიდან დაერწმუნდით ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავისი პოლიტიკური გეოგრაფია. პოლიტიკური გეოგრაფიის ცვლილებებზე გავლენას ახდენდა ბუნებრივი პირობები, ეროვნული შემადგენლობა, ეკონომიკური ბაზა და სხვ.



დემოგრაფია ბერძული სიტყვაა და demos – ხალხი, grapho – ეწერ, დემოგრაფია არის მეცნიერება ხალხმოსახლეობის შესახებ. შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ამილ გიარმა 1855 წელს.

დემოგრაფია პუბლიცისტური მეცნიერებაა, რომელიც სოციალ-ეკონომიკური და გეოგრაფიულ ფაქტორთა და პირობათა შესაბამისად სწავლობს ხალხმოსახლეობის რიცხოვნობის, კვლავწარმოების, სტრუქტურის, დინამიკის, გადაადგილების, მიგრაციისა და სხვა მოვლენათა და პროცესთა კანონზომიერებებს. მოსახლეობის კვლავწარმოებას ანუ განახლებას განსაზღვრავს შობადობა და მოკვდაობის ინტენსივობა, ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობა. ამ ცვალებადობის პირველი წყაროა ოჯახი და ოჯახური მეურნეობა.

დემოგრაფიის პოპულაციის (მოსახლეობა-თანასაზოგადოებანი) პროცესები საზოგადოების განვითარების ყოველ სტადიაზე ვლინდება როგორც რთული მოვლენები. მაგალითად, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი ისეთ, მრავალფაქტორიანი სოციალური ფენომენია, რომლის კანონზომიერებათა გამოსავლენად აუცილებელია არა მხოლოდ არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ურთიერთობათა და პოლიტიკურ, კულტურულ, გეოგრაფიულ და სხვ. ვითარებათა სიღრმისეული პროცესების გათვალისწინება, არამედ ისტორიული წიაღსვლა. ზოგჯერ მეტად მორეული ფესვების ძეგა, რამდენადაც აქ, ამა თუ იმ ზომით მოქმედებენ, არამცთუ დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული და შემდეგ თითქმის მიეწეებული ზნე-ჩვეულებანი, ყოფიერებითი მომენტები და სხვა, არამედ ეროვნული, რელიგიური და რასობრივი წარმომავლობის ფაქტორებიც კი.

დემოგრაფია მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ მეცნიერებებთან. პირველ რიგში – სტატისტიკასთან, აგრეთვე სოციოლოგიასთან, პოლიტიკურ ეკონომიასთან, ისტორიასთან; სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, წარმოებრივი ურთიერთობანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ადამიანთა ყოფიერება გადამწყვეტ გავლენას ახდენს ხალხმოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა ინტენსივობის, მიმართულებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. დემოგრაფიის კანონზომიერებათა დადგენა შეუძლებელია მოვლენათა ისტორიულ ასპექტში შესწავლის გარეშე. დემოგრაფია კავშირშია ეთნოგრაფიასა და სოციალურ პეიჯენასთან, ბიოლოგიასა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან.

სიტყვა დემოგრაფია ადრე იხსარებოდა მოსახლეობის სტატისტიკის მნიშვნელობით. სტატისტიკა ამჟამად წარმოადგენს დემოგრაფიის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს, მაგრამ დღეს დემოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, სწავლობს ხალხთა მოსახლეობის მოქცევის მექანიზმებს (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, დაქორწინების, ურბანობის, სექსობრივ-ასაკობრივი და პროფესიული სტრუქტურის, რიცხოვნობის ცვლილებების) და, საერთოდ, მოსახლეობის აღწარმოების ინტენსივობის კანონზომიერებათა პრობლემებს. მოსახლეობის აღწარმოება უშუალოდ კავშირშია მწარმოებლური ძალების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, კულტურის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებებთან. სწორედ ამიტომაც დემოგრაფია მოსახლეობის დინამიკის პრობლემებს სწავლობს, როგორც საზოგადოების განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შემადგენელ ნაწილს.

პირველად ფაქტობრივ მასალას დემოგრაფიული პროცესების შესახებ მეცნიერება ღებულობს მოსახლეობის აღწერის და დემოგრაფიულ პროცესთა მიმდინარე რეგისტრაციისას. ამ მასალათა მოპოვებისა და შესწავლისას დემოგრაფია სარგებლობს სტატისტიკისა და სოციომეტრიის (სოციალური ფსიქოლოგიის დარგი) მეთოდებით.

მოსახლეობის აღწერა იძლევა ინფორმაციას მოსახლეობის რაოდენობის, სოციალური, ეროვნული, ასაკობრივ-სექსობრივი, ოჯახური მდგომარეობის, პროფესიული დასაქმებულობისა და სხვ. შესახებ.

ისტორიული დემოგრაფია იკვლევს წარსული დროის მოსახლეობის აღწარმოების საკითხებს და, ამ მხრივ, ხელს უწყობს დემოგრაფიულ კანონზომიერებათა დადგენასა და თეორიულ განზოგადებას. ამასთანავე, ისტორიული ასპექტების შესწავლა აუცილებელია თვით დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, დამკვიდრების, მიხი ხაზნის ხასიათისა და სოციალური მნიშვნელობის ნათელსაყოფად.

დემოგრაფია მნიშვნელოვან ეურადღებს აქცევს ხალხთა მოსახლეობის დინამიკის ისტორიას. პალეოდემოგრაფია სწავლობს პრეისტორიული პერიოდის მოსახლეობას. სხვადასხვა ისტორიული პერიოდისა და სხვადასხვა ქვეყანაში ხალხთა მოსახლეობის მიმდინარე პროცესების გააზრება და განზოგადოება ხალხთა მოსახლეობის თეორიის საკითხია, რაც მეცნიერული დაკვირვების ობიექტი იყო ვერ კიდევ ანტიკურ ეპოქასა (პლატონი, არისტოტელი) და შუა საუკუნეებში (ნ. მაკიაველი, ჯ. ბოტერო). თუ წინათ ეგონათ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, XVIII საუკუნეში გაჩნდა შეხედულება, რომ მოსახლეობა მღიერ სწრაფად მრავლდება (მალთუსიანელობა).

დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ისტორია იწყება 1662/წელს, როდესაც ლონდონელმა ვაჭარმა და საზოგადო მოღვაწემ ჯონ გრაუნტმა გამოაქვეყნა წიგნი „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებანი... მოკვდაობის ბიულეტენთა საფუძველზე...“ რომელიც პირველი და თანაც უუძებლესი დემოგრაფიული მონაცემების

კლასიციის მოსახლეობა

10 ათასი წლის წინათ	– 10 მილიონი
ახალი წელთაღრიცხვის დამდეგს	– 250 მილიონი
1000 წ.	– 300 მილიონი
1500 წ.	– 500 მილიონი
1800 წ.	– 1100 მილიონი
1900 წ.	– 1750 მილიონი
1930 წ.	– 2015 მილიონი
1976 წ.	– 4000 მილიონი
1990 წ.	– 5295 მილიონი
2000 წ.	– 6080 მილიონი
2002 წ.	– 6238 მილიონი

საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები, ანუ ისტორიული დემოგრაფიული ცნობები, დაკულია ძველ ქართულ და უცხოურ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში; ამავე დროს, ხალხის აღწერის შესახებ ცნობები VII საუკუნემდე არ მოგვეპოვება, რაც უძველესი ძველების განადგურებით აიხსნება. სამწუხაროდ, XVI საუკუნეზე ადრე ჩვენამდე მოღწეული არ არის აღწერის უშუალო მასალები. ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ აღწერის მასალები სხვადასხვა ხასიათისა იყო და რომ მოსახლეობის აღწერას აღრიცხვა, ან კიდევ აღწერა ეწოდებოდა.

ჯერ კიდევ ლეონტი მროველი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, დაწვრილებით გადმოგვცემს იბერია-კოლხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას. ბუნებრივია, ასეთი დაწვრილებითი ტერიტორიის საზღვრების აღწერისა და ეროვნულ-ტომობრივ გავრცელების ცოდნასთან ერთად უნდა სცოდნოდით მოსახლეობის რაოდენობა, დასაქმება და სხვ. ყველაფერი ეს საჭირო უნდა ყოფილიყო მტკიცე თავდაცვისუნარიანობასთან. ამ ცნობების ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის წარმატებები, რასაც

ქართველი ხალხი აღწევდა სოციალურ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტში. ამდენად, ლეონტი მროველის აღწერილი შრომების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცნობებს შეიცავს და პირდაპირი მასალა მოსახლეობის რაოდენობის შესახებ არ მოიპოვება. ამასთანავე იყო საჭირო ისტორიული ხასიათის თხზულებაში, რამდენადაც აღწერის მასალები ცალკე დგებოდა და თხზულებაში მხოლოდ ფაქტებია აღნიშნული. ასევეა სხვა ქართველი ისტორიკოსების თხზულებაშიც. კერძოდ, ჯუანშერის ნაშრომში აღნიშნულია, რომ ბიზანტიელებმა არაბთა შემოსევის დროს კავკასიისა და საქართველოს დატოვების წინ ... დაფლნეს განძი მათნი; ... და შეიტანნეს ყოელისა საგანძურისა გუეგარნი. და რა გუეგარი დაწერეს, აღწერეს ნათესავი თესი და ქუეყანა, და დადგეს, რათა ოდეს მოვიდუნ ბერძენნი, მით გუეგართა მოიძიებუნ ნათესავნი მათნი და თვითოულად განუყონ ქუეყანა და განძი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 231). როგორც ირაკლია მომხდარა ქვეყნის აღწერა, ანუ მოსახლეობის აღწერა. მაგრამ როდის მოხდა ეს აღწერა? ამაზე პასუხს თვით „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი გვაძლევს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ერეკლე (ბიზანტიის კეისარი - 610-640) ქართლში მჭორედ შემოსულა, რათა განედგენა სპარსელები და მის გამგებლობაში გადასულიყო ქვეყანა. ბიზანტიის იმპერატორმა VII საუკუნის დამდეგს სპარსეთის ძველი სახელმწიფო განადგურების პირამდე მიიყვანა. ამავე დროს, ქართლის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ სპარსელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. კეისარმა სპარსელებს ირანში ახალი დამარცხება მაყენა და სწორედ ამ დროიდან თავისუფლდება ქართლი სპარსელებისაგან. ეს ამავე 627 წელს მომხდარა. ცხადია, მოსახლეობის აღწერაც ამ დროს უნდა მომხდარიყო. შეუძლებელია ამის შეზღვევა და მანამდე საქართველოს აღწერა XIII საუკუნემდე არ მომხდარიყოს. მით უმეტეს XI-XII საუკუნეებში, როცა საქართველო წინა აზიასა და კავკასიაში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო. გარდა ამისა, ქართველ მეფეებს და ერისთავებს უნდა სკოდილობათ თუ რამდენი მეომრის გამოყვანა შეეძლოთ. საჭიროება კი არც ისე იშვიათი მოვლენა იყო, რადგან საქართველოს ხშირად ესზმოდნენ გარეშე მტრები. ეს გარემოებაც აიძულებდათ ზუსტი აღწერის მასალები ჭკინოდით ზელო. ცხადია, აღწერის ზოგი მასალა საიდუმლოც იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს ადრინდელი მასალები ჩვენამდე მოღწეული არ არის.

III საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის აღწერა მომხდარა მონღოლების მიერ. ამის შესახებ ცნობა დაცულია უცნობი ისტორიკოსის — ეპითაღმწერლის შრომაში. მასში მოთხრობილია, რომ ყაენმა განსწორება და აღოუაღუა ყოვლისა ქუეყანისა... და წარმოადგინა საქართველოსა, მეფეს დავითის წინაშე, ... და ვითარცა მხარე მხარე თველოსა, დიდსა ჭირსა მოეცნეს ყოველნი მკედრნი სამეფოსა დავითისნი, და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაკამდე, წალკოტით ბოსტანამდე” (ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 235). ეს აღწერა 1258 წლის ბოლო თვეებში, ან 1259 წლის დამდეგს უნდა მომხდარიყო. ზოგი მეცნიერის (რ. კეჩაძე) მიხედვით, ეპითაღმწერელს უზუსტობა უნდა ჰქონდეს დაშვებული, კერძოდ იმაში, რომ აღწერის ჩატარების ინიციატივას ის შათოს მიაწერს, რომელიც უკვე 1255 წელს გარდაიცვალა. ამასთან, შესაძლოა ეპითაღმწერელს ერთმანეთში არეოდა ახლო ხანებში ჩატარებული ორი აღწერა და შერწყმულად გადმოეცა ისინი. პირველი აღწერა 1254 წელს უნდა მომხდარიყო, რაზედაც ცნობებს უცხოელი ისტორიკოსი ვუეენი ვეაწედის. — შეზღვევ დარუბანდით საქართველოს, არანისა და აზერბაიჯანისაკენ წამოვიდა და აღწერის, ყოფურისა (გადასახადის სახე — თავდაპირველად საბაღახე, შემდეგში სულადი გადასახადი) და გადასახადთა განსაზღვრის საქმე მოათავა” (ვუეენის ცნობები საქართველოს შესახებ, 1974, გვ. 50). ამ აღწერის შესახებ ცნობები სხვა უცხო წყაროებშიც მოიპოვება, მაგალითად, ვრიგოლ აკახელის, კირაკოს განძაკეცის, რამბინ ად დინისა და სხვათა შრომებში. ამ აღწერას ორი — სამხედრო და ფინანსური მიზანი ჰქონდა, ამიტომ აღწერის დაფარში შექმნილია ცნობები როგორც მოსახლეობის, ისე მათი ქონებრივი შეძლების შესახებ. აღწერილი იქნენ მამაკაცები 11 წლიდან 60 წლის ასაკამდე; ყოველგვარი უძრავი და მოძრავი ქონებით. ამ აღწერით ირკვევა, რომ მაშინდელ საქართველოში სულ 5 მილიონამდე მეცხოვრები მათგ უნდა ყოფილიყო. მატთანე იმსაჯი ვეამქნობს, რომ მონღოლების სამსახურში საქართველოს შეეძლო 90 ათასი მხედარი გამოეყვანა.

ამის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის აღწერის მასალები შენახულია როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. მაგრამ ისინი ლოკალურ ხასიათს ატარებენ და არ მოიცავენ საქართველოს მთელ ტერიტორიას.

1556 წელს ვლისე ამილახვარს ნებართვა აუღია როსტომ მეფისაგან თავისი სადროშოს აღწერის შესახებ, ხოლო 1689 წლის ერთ სიგელში

კეთილშობილი, რომ თითოეული დროის სარდალი ვალდებული იყო თავისი სადროში შეიღწეულიყო ერთხელ აღწერა. 1696 წელს საქართველოს სამხრეთი ნაწილი დაწერილებით აღწერეს ერეკლე დამპყრობლებმა. XVIII საუკუნეში კი საქართველომარცხენა ნაწილის კუთხეების აღწერა მრავალჯერ მომხდარა. ჩვენამდე მოღწეულია კახეთის მეექვსის „დასტურლამალი“, რომელიც შეიცავს ქვემო ქართლის აღწერის მასალებს. ამ ნაშრომის მიხედვით, დადგენილია, რომ მოსახლეობის აღწერა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო. 1721 წელს ქვემო ქართლის ყველა სოფელი დაწერილებით აღწერილიათ ვახუშტი ბაგრატიონის (ქვემო ქართლის ანუ მეწინავე სადროშოს სარდალი) და ვიეი თუმანიშვილს (მღვიანებელი). ვარდა ამისა, ამვე პერიოდში უნდა აღწერილიყო კიდევ სამი სადროშოს მოსახლეობა, მაგრამ ამ მასალებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და განლაგების თავისებურებებზე შეიძლება ვიმსჯელოთ ვახუშტი ბაგრატიონისა და ვიუღლდენ-შტელტის შრომების მიხედვით.

1774 წელს აღწერილია ქართლ-კახეთის სამეფო, რომლის მასალებიდან მხოლოდ არაგვის ხეობის აღწერაა შემორჩენილი. ანალოგიური აღწერა 1780-1781 წლებშიც მომხდარა, რომლიდანაც შემორჩენილია ქსნის ხეობის, არაგვის ხეობის ბარისა და თბილისის მდებარეობის აღწერის მასალები. რადგან აღწერა ყოველ შეიღწეულიყო ერთხელ ხდებოდა, მორიგი აღწერა 1788 წელს უნდა მომხდარიყო, შემდეგი კი 1795 წელს. მართლაც ჩატარებულა ეს აღწერები და მათ შესახებ მხოლოდ კრებითი სტატისტიკური მონაცემებია შემორჩენილი. საუკუნის ბოლო აღწერა კი 1799 წელს იოანე ბატონიშვილს ჩატარებია. ვარდა ამისა, შემორჩენილია XVIII საუკუნის პირველი ნახევრის აღწერის მასალების ნაწილები (ქ. ვორის, კახეთის, რუისის სამწყსოს და სხვ.).

კომლობრივი აღწერის ვარდა, შემორჩენილია ზოგადი სტატისტიკური ცნობებიც ქალაქებისა და მხარეების მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის შესახებ. ამ მხრივ, საყურადღებოა 1770 წლის 5 აპრილით დათარიღებული სტატისტიკური ნუსხა. აღნიშნული ნუსხა ქართლ-კახეთის სამეფოს ყველა პროვინციის მცხოვრებთა შესახებ მოიცავს რაოდენობრივ მონაცემებს და დღემდე მოკლეულ დემოგრაფიულ მასალებს შორის ერთადერთი წყაროა, რომელიც მილიან წარმოდგენას გვიქმნის XVIII საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოზე. ნუსხაში მოტანილი ციფრობრივი მონაცემები სპეციალურად შეუკრებიათ

ერეკლე II-ის სასახლის კარზე და გადაუციათ რუსეთის ხელისუფლების რწმუნებულ ანტონ მოურავოვისათვის (თარხნიშვილი).

1770 წლის 5 აპრილის წესსაში კომლების რაოდენობა მოტარებულ სამეფოში შემავალი ისტორიული პროვინციების მიხედვით, კერძოდ კი ქალაქებისა და სოფლების მკვიდრთა შესახებ, სოფლებში მცხოვრებებში ძირითადი ეროვნებების ჩვენებით გამოანგარიშებით დადგენილია, რომ იმ დროს ქართლ-კახეთის სამეფოში ცხოვრობდა 303836 სული (დღევანდელი საქართველოს საზღვრებში 226756 სული).

XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის მოსახლეობის რაოდენობას ცალკეული წლებისათვის ასახელებენ საქართველოში ნამყოფი რუსი და უცხოელი მოგზაურები, რომლებაც ჩვენს ქვეყანაში მოხდენ სხვადასხვა ვარაუდებთან ერთად. ამ შრივ აღსანიშნავია იაკობ რაინეგსის (გერმანელი სწავლული) 1781 წლის მოგზაურობის ცნობები და მათ შორის, ქართლ-კახეთის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სტატისტიკურ მონაცემებს იძლევა გოულდენშტედტი. მოხელავად ამისა, ეს ცნობები არასრულია და მხოლოდ ზოგიერთ პროვინციებს მოიცავს. მისი თქმით, 1772 წელს სამეგრელოში 10000 კომლია, გურიაში 5000, ლეჩხუმში 4000, სვანეთში 5000. რაჭის შესახებ აღნიშნულია, რომ მას შეუძლია 5600 მუშარი გამოიყენოს. ზემოთ აღნიშნული გერმანელი მოგზაურის იაკობ რაინეგსის მიხედვით (1780-1781), იმერეთის სამეფოში 20 ათასი კომლია. რუსი მოხელის კაპიტან იაზიკოვის აზრით, 1770 წელს იმერეთის მოსახლეობა 100 ათას სულზე ნაკლები იყო. დაახლოებით ამდენივე მცხოვრებს თელის იგი სამეგრელოში. უფრო სარწმუნო ჩანს ო. ვეცკის ცნობა, რომ 1782 წელს იმერეთის სამეფოში 18980 კომლი ითვლებოდა, ქ. ქუთაისში 180 კომლი. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შუა წლებში საქართველოს მოსახლეობა დახლოებით 761 ათასი მცხოვრებ-საგან შედგებოდა. ზემოთ აღნიშნული დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები: 1. XIII საუკუნის მეორე მეთოხედიდან შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება საქართველოში გრძელდებოდა საუკუნეების მანძილზე და განაპირობებდა მოსახლეობის თანდათან კლებას, დროაღწრო კი იწყებდა მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას. საკმაოდ არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაცია შეიქმნა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა თურქეთისა და სპარსეთის აგრესიული ძალების შემოსევებმა

და ქვეყნის შიგა აშლილობამ გამოიწვია დიდი მსხვერპლი მოსახლეობაში; 2. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციების ვაუკავრითელები მხარეებში სახლდებოდნენ ვარედან მოსული არაქართველი ტომები, რის გამოც ამორივენი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქრ. დღეებში იქნა ან იხიზნებოდა საქართველოს სხვა მხარეებში; 3. რთული საერთაშორისო ვითარება და მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები მნიშვნელოვნად ზღუდავდა მოსახლეობის ბუნებრივ მატებას.

XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა მრავალჯერ აღიწერა. დემოგრაფიულ ისტორიაში ამ დროს მკაფიოდ გამოიყოფა სამი პერიოდი 1800-1832; 1833-1864; 1865-1897 წლები. სტატისტიკური მასალა საშუალებას იძლევა სხვა წლების მონაცემებიც იქნეს განხილული (1873, 1886).

მეფის რუსეთის ადმინისტრაციის მიერ საქართველოს მოსახლეობის აღწერა პირველად განხორციელდა გენერალ პეტლე ციციანოვის 1803 წლის 2 აპრილის ცირკულარის საფუძველზე. დაიწყო კამერალური აღწერები (კაბინეტური დამუშავება). პირველი კამერალური აღწერა ქართლ-კახეთში 1805 წელს დასრულდა. ამ პერიოდში (1803 წ.) მოხდა თბილისის აღწერა. 1810 წელს გენერალ ე. ტორმასოვმა ფინანსთა მინისტრს მაწოდა ცნობა საქართველოს ეკონომიკური და დემოგრაფიული მონაცემების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 686000-ს. მეორე კამერალური აღწერა მოხდა 1816-1817 წლებში, იმერეთის სამეფოში კი 1823 წელს.

შესამუშაო კამერალური აღწერა ჩატარდა 1831-1832 წლებში. ეს იყო მანამდე არსებულ აღწერებს შორის ყველაზე მეტად სრულყოფილი. მეოთხე კამერალური აღწერა ჩატარდა 1841-1843 წლებში, 1850 წელს კი ქუთაისის ვუბერნამში. განსაკუთრებით საინტერესოა XIX საუკუნის 60-იანი წლების კამერალური აღწერები, რადგან ისინი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საქართველოს მოსახლეობა 1864 წლისათვის. 1873 წელს საქართველოში ჩატარდა უკანასკნელი კამერალური აღწერა.

საქართველოს მოსახლეობის შემდეგი აღწერა, ე.წ. საოჯახო სიების შედგენა დაკავშირებული იყო სამხედრო ვალდებულების შემოღებასთან. 1886 წელს ჩატარდა საოჯახო სიებით მოსახლეობის აღწერა. მოხდა მისი სტატისტიკური დამუშავება და გამოქვეყნება.

XIX საუკუნეში საქართველოს მცხოვრებთა შესახებ ყველაზე უფრო სრულ და ყოველმხრივ ცნობებს ვეძენ რუსეთის იმპერიის მოსახ-

ლეობის 1897 წლის 28 იანვრის პირველი საყოველთაო აღწერა. მოუხდავად ამისა, ეს აღწერაც არ ყოფილა დაზღვეული უზუსტობებისა და ხარვეზებისაგან.

1897 წლის შემდეგ მეფის რუსეთის მოსახლეობის სტატისტიკა აღწერა აღარ განუხორციელებია, მაგრამ სტატისტიკის ორგანოები აწარმოებდნენ მცხოვრებთა რაოდენობისა და რიგი სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების დაღვევას მოძღინარე აღრიცხვის გზით. ეს მონაცემები ქვეყნებოდა დროდადრო. ასეთი მასალები გამოქვეყნებულია „კავკასიის კალენდარში“. საბჭოთა წლებში მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა 1926 წელს მოხდა. ეს მასალები გამოქვეყნებულია 1930 წელს გამოცემულ „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში“. მასში სოფლების მიხედვით არის ცნობები მოსახლეობის კომპობრივი, სულადობრივი და ეროვნული მონაცემები. შემდეგი აღწერები ჩატარდა 1939 და 1959 წლებში, ასევე 1979 და 1989 წლებში. დასოკიდებულ საქართველოში 2002 წლის იანვარში მოხდა მოსახლეობის აღწერა.

საპარტიველურ მოსახლეობა

XIII საუკუნის შუა წლები	– 5 მილიონი
XVIII საუკუნის მეორე ნახევრის შუა წლები	– 761 ათასი სული
1800 წელი	– 675 ათასი სული
1832	– 840 ათასი სული
1865	– 1289 200 სული
1886	– 1641900 სული
1897	– 1942500 სული
1914	– 2697600 სული
1917	– 2357800 სული
1921	– 2410500 სული
1926	– 2677200 სული
1939	– 3540000 სული
1959	– 4000000 სული
1979	– 5014800 სული
1989	– 5440000 სული
2001	– 4452100 სული

(შეფასებით)



მთხრობები ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ამა დეუ ემ: ტოქსე ზნ ხალხის დამახასიათებელს. იგი ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური დაჯგუფების განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც ცნობილია ტომის, ეროვნების, ერის სახით. ეროვნება მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების ბაზაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ფორმაა, რომელსაც ახასიათებს საერთო ტერიტორია, ენა, ჯერ კიდევ არამყარო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები და კულტურული ერთობის წარმოშობის პირობების შექმნა. ერი კი ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ფორმაა, რომელიც ყალიბდება ტერიტორიის, ეკონომიკური კავშირების, საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენის, ეროვნული კულტურის ძირითად თავისებურებათა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე.

ერის ჩამოყალიბება ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესია. იგი ხალხის ეთნოგენეზიდან იწყება და საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მთავრდება. ყოველი ერი სხვადასხვა დროს ყალიბდება და არა მარტოა ადამიანი ერთ რომელიმე ეპოქაში. ამიტომ არის, რომ მხოვლიოს ერებიდან ზოგიერთი ადრე იშვა, ზოგი გვიან, ზოგი კი მხოლოდ ახლა დგას ჩამოყალიბების გზაზე. ქართველი ერი სამყაროს უძველეს ერთა რიცხვს განეკუთვნება.

ქართველი ერი ქართველურ ენებზე მოლაპარაკე მონათესავე ხალხების კონსოლიდაციის შემდეგ წარმოიშვა. ქართველური ენებია: ქართული, მეგრულ-ჭანური (ზანური) და სვანური. ისინი ერთა უფრო დიდი იბერიულ-კავკასიური ოჯახის ერთ-ერთ წევრად ითვლებიან.

ენათმეცნიერები საფუძვლიანად ვარაუდობენ, რომ ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში უნდა არსებულიყო ქართულის, მეგრულ-ჭანურის და სვანურის საერთო წინაპარი ფუძე-ენა. მასში იბერიისათვის მხოლოდ და მხოლოდ დიალექტიკური სახის განსხვავებები იყო ჩასახული. საერთო ფუძე-ენის, ანუ პროტოქართულის (წინარექართულის) არსებობის მეცნიერული დასაბუთება ქართველური მოდგმის ტომების – ქართების, მეგრულ-ჭანებისა და სვანების – საერთო წარმოშობის ამტკიცებს.

საერთო ქართველური ენიდან თავდაპირველად გამოცალკევება დაიწყო სვანურმა ენობრივმა ჯგუფმა (ძვ.წ III ათასწლეულში). რაც შეეხება

ფუტე-ენიდან ძვერულ-ტანურის გამოყოფას, ეს პროცესი ძველი წელთაღ-
რიცხვის II ათასწლეულში ივარაუდება. სწორედ ამიტომაც, რომ
დღევანდელი ქართული სალიტერატურო ენისაგან სვანური შედარებით
უფრო დამორბეულია, ვიდრე ძვერული.

მოხუცდავად ამისა, ქართველურ ენებში დაკული კანონზომიერებების
გათვალისწინებით, შეუმცდარად ხერხდება საერთო ფუტე-ენის კუთვნილი
არაერთი სიტყვის გამოყოფა (ანწლი, გვიძრა, ვერხვი, ვაშლი, მსხალი,
მარწყვი, სოკო, წყავი, არწივი, არჩვი, დათვი, ძელი, გურნა, მატყელი,
ხარი, ძაღლი, ყველი და სხვ). ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ
ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ტომები, სწორედ, აქ, კავკასიაში
სახლობდნენ. ამას კიდევ უფრო განამტკიცებს ანთროპოლოგიური და
მატერიალური კულტურის მონაცემები. ამ მასალების მიხედვითაც,
ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან
აღინიშნება კულტურული განვითარების უწყვეტი უკვე და, ძირითადად,
ერთი და იგივე რჩება მოსახლეობის ფიზიკური ტიპი. მაგრამ სწორედ
იგივე მონაცემები და წერილობითი წყაროები იმასაც ვეამცნობენ,
რომ ქართველური მოდგმის ტომები (მუშქები, მოსინიკები, ზალიბები
და სხვ.) ისტორიული საქართველოს ტერიტორიის გარეთაც შორს
იფრენ განსახლებულნი. კერძოდ, მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ
რაიონებში და შვეიცრეთისადაც რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ზემოთშეულიდან გამოძინარეობს, რომ უძველესი დროიდან საერთო
ქართულ ფუტე-ენაზე მოლაპარაკე, ერთი წარმოშობის ტომები დიდ
ტერიტორიაზე სახლობდნენ, რომელიც ამიერკავკასიისა და მცირე
აზიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მოძვეებული უძველესი მატერიალური
კულტურის ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ძველი წელთაღ-
რიცხვის III-II ათასწლეულების მიჯნაზე, ჩვენში სხვა მხარეებიდან
უცხო წარმოშობის ხალხის ახალ ნაკადს უნდა შევხვდეთ. ამ პერიოდში
ისტორიული საქართველოს სამხრეთ რეგიონში გაჩენილი ორიგინალური,
ე.წ. თრიალეთის კულტურა ძლიერ კავშირს ავლენს დასავლეთ ირანულ
და შუბერულ სამყაროსთან. ამავე დროს, იგი მსგავსებას ამჟღავნებს
ხეთურ კულტურასთანაც, რაზეც შეტყველებს ჩაცმა-დახურვის, საკულ-
ტო წეს-ჩვეულებების, დაკრძალვის წესის და სხვა ნიშნების იფხტუ-
რობა. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს თრიალეთის კულტურის
მომცველ არეალში მოსახლეობის ერთბაშად შეცვლას. აქ საქმე გვაქვს
მატერიალური კულტურის თვალსაჩინო მიღწევების გადმოღებასა და

დანერგვისთან, საკულტო ხეფროს ახალ წეს-ჩვეულებათა გაერყევისასთან და ა.შ. რაც შეეხება ეთნიკური განვითარების პროცესს, მასში წამყვან როლს, უსათუოდ, ადგილობრივი ქართველური მოდემის ტომები ასრულებდნენ. და თუ მანც ხდებოდა უცხო ტომთა აწმყვანობის წამოსახლება, რაც ამ დროისათვის სრულიად ბუნებრივი მოვლენა იყო, ისინი ვრწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამას განაპირობებდა ქართველური მოდემის ტომების სამეურნეო-კულტურული განვითარების ძალზე მაღალი დონე.

ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებისათვის მონათესავე ქართველური ტომების არეალში ყალიბდება ვრცელი ტერიტორიის მომცველი რამდენიმე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა; ერთ-ერთი ასეთი იყო კოლხური კულტურა, რომელიც მოიცავდა მიუღ დასავლეთ საქართველოს, სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილს, აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებს (მდ. მტკვრის ჩრდილოეთით, შესხეთიდან ვიდრე მდ. არაგვის ხეობამდე), მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო კავკასიის მომხრევე ტერიტორიებს. ეს, მართლაცაა, უბრწყინვალესი კულტურა ქართველური წარმოშობის ეთნიკური ჯგუფის მიერ იყო შექმნილი.

თრიალეთისა და კოლხური კულტურის მატარებელი მოსახლეობა ტომთა დიდ კავშირებად ცნობრობდა. აქ პირველყოფილი თუხური წყობილება რღვევის სტადიაში იყო. ცოტა მოგვიანებით განვითარება კიდევ უფრო შორს წავიდა და ამ სატომო გაერთიანებებსა წინასახელმწიფოებრივი დიდი პოლიტიკური ერთეულები წარმოშეა, ასეთები იყო დაუსი (ტაო) და კოლხა (კოლხეთი). რადგან მათში სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ატრიბუტები ბოლომდე გამოკვეთილი არ იყო, ამიტომ მათ ადრეკლასობრივ სახელმწიფოებს უწოდებენ.

მონათესავე ტომთა ფარგლებში ადრეკლასობრივი სახელმწიფოების გაჩენა ეთნო-სოციალური განვითარების პროცესის წინხელას იწყვედა და ნაყოფიერ ნადავს ქმნიდა ცალკეული ქართველური მოდემის ხალხების ჩამოყალიბებისათვის.

ადრეკლასობრივი სახელმწიფოების ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველური მოდემის ტომების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ დაწინაურებას. ამის ერთ-ერთი გამსახლერელი პირობა ის იყო, რომ ქართველური ტომები უძველესი დროიდან სახელკანთმეული მეტალურგები იყვნენ. ქართველური მოდემის ტომისაგან - ხალიბებისაგან უნდა შეეთვისებინა ბერძნულ სამყაროს

რკინისა და ფოლადის დამუშავების ტექნოლოგია. სწორედ ამიტომ, რომ ძველ ბერძნულში ტერმინი „ხალიფს“ ფოლადს აღნიშნავდა.

ლითონის დამუშავებაში ცნობილი იყვნენ სხვა ქართველური ტომებიც: კოლხები, ტიბარცები, მოსინიკები და ა.შ. არაერთი ძველი ბერძენი ავტორი წერს, ქართული არქეოლოგიის მონაპოვართა შუქზე ძველი ბერძნული წყაროების ცნობები მეტ დამაჯერებლობას იძენს. უმდიდრესი აღმოჩენილი მასალა ექვმოუტანლად ამტკიცებს, რომ ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩვენში კარგად იყო დნენ რკინის დამუშავების ტექნიკა.

ქართველურ ტომებში მეტალურგიის განვითარების ესოდენ მაღალი დონე, თავის მხრივ, განაპირობებდა მიწათმოქმედების სწრაფად დაწინაურებას. სწორედ მიწათმოქმედი ხალხები იყვნენ უძველესი ცივილიზაციის შემოქმედნი.

ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ორი დიდი პოლიტიკური გაერთიანება არსებობდა. ერთი, როგორც ქართული წყარო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უწოდებს, იყო „არიან ქართლი“, ხოლო მეორე — ცენტრალური ქართლისა, რომელიც მცხეთის შემოგარენში მდებარეობდა. „არიან ქართლი“ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწებს მოიცავდა. „არიანა“ ძველსპარსულად „არიანს“ ნიშნავს და „არიან-ქართლი“ უნდა გავგებულ იქნას, როგორც „არიანის ქართლი“. ეს იყო ტერიტორია, რომელიც მოქცეული იყო აქემენიდების იმპერიის შემადგენლობაში.

ფარნავაზის მოხელის შემდეგ მღვთმარეობა შეიცვალა. მას ქვეყანა შემოიშტკიცა და მნიშვნელოვანი სახელმწიფო რეფორმები გაატარა. ერთიანი ქართლის ახლადშექმნილი სახელმწიფოს ტერიტორია მოიცავდა აღმოსავლეთ (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი), დასავლეთ (არგვეთი, აჭარა, ვერისი) და სამხრეთ (სამცხე, ჯავახეთი, კოლა, არტაანი, კლარჯეთი, ტაო) საქართველოს. მისსავე შემადგენლობაში შევიდნენ მცირეწილი ოლქები ანთაპორი და კელცი, რამაც კიდევ უფრო სამხრეთით წახწია ქართლის სამეფოს საზღვრები. ფარნავაზს ეპორჩილებოდნენ, აგრეთვე, ჩრდილოკავკასიელი ტომებიც, რაც დინასტიური ქორწინებით იყო განმკიცებული. ქართლის სამეფოს ფარგლებში მოექცა ძველი აღმანეთის დასავლეთის რეგიონებიც. კერძოდ, ჰერეთი, ხადაც იმდროისათვის აღმანური ტომებიც სახლობდნენ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ფარნავაზის მიერ ქართული ენის ოფიციალურ, სახელმწიფო ენად გამოცხადება. ამრიგად,

მ. წ. IV-III სს. მიჯნაზე შეიქმნა ადმოსავლურ-ქართული სახელმწიფო - ქართლის სამეფო, რომელმაც საფუძველი ჩაეყარა მისი ეთნიკური ბირთვის - ქართველთა - დაახლოებას უხსოვარი დროიდან მონათესავე მეგრულ-ჭანური მოდგმის ხალხთა ერთ ნაწილთან. საერთო სახელმწიფო ცხოვრების ფერხულში ჩაება სამეფოს ყველა მკვიდრი. მათ დაახლოებას ხელს უწყობდა ერთი ენის - ქართული ენის ოფიციალური აღიარება, ქვეყნის შიგნით არსებული ერთიანი ეკონომიკური პროცესები, სამეფოში სახელმწიფო რელიგიის გამოცხადება (რომელსაც ამ თუ იმ ზომით, მთელი მოსახლეობა აღიარებდა), ერთიანი კულტურა, რომელმაც ქართლის სამეფოს ყველა მხარეში გაიღვა ფეხი.

ქართლის სამეფოს მოსახლეობა ელენისტურ ხანაში სოციალურ ფეხებად იყო დაყოფილი. ეს უდავო ნიშანია იმისა, რომ აქ ძალაღ- განვითარებული სახელმწიფო არსებობდა. სტრაბონის თქმით, იბერიის მეცხოვრებნი ოთხ გვარად, ოთხ ფენად იყოფოდნენ - სამეფო გვარი, ქურუმები, მუომარნი და მიწისმოქმედნი, ყველა დანარჩენი სამეფო გვარს ემსახურებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ ერთიანი ქართლის სამეფო სოციალურ-ეკონომიკურად კარგად განვითარებული სახელმწიფო იყო. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართულად მეტყველებდა და ერთიანი კულტურა და იდეოლოგია ყოველნაირად ხელს უწყობდა მონათესავე ხალხების ეთნოსოციალურ შეკავშირების პროცესს.

ქართლის სამეფოს ძირითადმა ეთნიკურმა ბირთვმა ორგანულად შეიერთა და ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად გააერთიანა მისგან სოციალურად და კულტურულად განსხვავებული მთიელი ტომები. ამან კი თავის მხრივ, გაზარდა მისი თავდაცვისუნარიანობა. შეიქმნა ძლიერი სახელმწი- ფო, რომელმაც შეძლო თავისი პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურუ- ლი ერთობის შენარჩუნება. ქართველური მოდგმის ხალხების კონსოლი- დაციის გზაზე ეს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა იყო.

ძლიერი ადმოსავლურ ქართული სახელმწიფოს - ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება და შემდგომ ხანებში მისი კიდევ უფრო განმტკიცება, პირველი ნაბიჯი იყო იმ პროცესისა, რომელიც ხანგრძლივი დროის შემდეგ ქართული ერის ფორმირებით დასრულდა. სწორედ ქართლის სამეფო წარმოადგენდა იმ ეთნიკურ და კულტურულ ბირთვს, რომლის გარშემოც შესაძლებელი გახდა ყველა ქართველური მოდგმის ხალხის შემდგომი გაერთიანება.

ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთიანი სარწმუნოების შემოღებას, რომელიც ერთ-ერთად ასრულებდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხის კულტურულ და პოლიტიკურ შეკავშირებაში.

I-II სს. დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე, ტრაპიზონის ილიქის მეზობრებლებს ვერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდათ კოლხების სახელი, მათი მეზობლები კი უკვე სხვა სახელებს ატარებდნენ: სანები, ანუ ჭანები, მაკრონები, ჰენიონები, ძიდრიტები, ზანები, ანუ ლაზები, მისიმიელები, აფშილები, აბაზგები და სანიგები. თითოეულს ცალკე მთავარი ჰყავდა. ამ ტომებს შორის ვეღლაზე ძლიერი ზანების, ანუ ლაზების ტომი იყო. ისინი რაონის დაბლობში სახლობდნენ. IV ს. ლაზები გაძლიერდნენ და წარმოიშვა ლაზიკის სამეფო ანუ ეგრისი. იგი კავკასიონის ქედიდან და მდ. ბზიფის ხეობიდან იწყებოდა და სამხრეთით, დღევანდელ აჭარამდე ვრცელდებოდა. აღმოსავლეთით საზღვარი შორასან-სკანდაზე გადიოდა.

აღსანიშნავია ისიც, ორმა ქართულმა სახელმწიფომ ერთდროულად და, უნდა ვიფიქროთ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთი და იგივე იდეოლოგიური მრწამსი აღიარა, რაც ამ ორი ეთნიკურად მონათესავე სამეფოს პოლიტიკური გაერთიანების რეალურ წინაპირობად იქცა. ქართველური მოდემის ხალხებმა საბოლოოდ გაუძიეს ვარშე მტერთა შემოტევებს და კიდევ უფრო მეტად შემჭიდროვდნენ საკუთარი კულტურის გარშემო. ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი ეროვნული ტრადიცია შემოინახეს, განავითარეს, გაამდიდრეს სხვა ხალხებთან კონტაქტის შედეგად. ეს კი მხოლოდ კულტურულად მაღალგანვითარებულ ხალხს თუ შეეძლო.

ბერძნები ხშირად აყენებდნენ საკითხს: შეიძლებოდა თუ არა, ქართული ენა მეცნიერებისა და ფილოსოფიის ენად გადაქცეულიყო? ჰქონდა თუ არა მას თავისთავადი მნიშვნელობა? აქეთ თუ არა ქართველებს უფლება და საშუალება, ღვთისმსახურება ღვთაებაზე შეასრულონ? ბერძენთა ამგვარი შეხედულების წინააღმდეგ იწერება ქართული ენის აპოლოგია (დაცვა, გამოსარჩლება): „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“. ნაწარმოების მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ენა ბერძნულის თანაბარია, რომ ქართულ ენაზე შეიძლება არა ამარტო თავისთავადი და მნიშვნელოვანი სულიერი ფასეულობის შექმნა, არამედ მას უნარი შესწევს მხოფლით მნიშვნელობა შეიძინოს. „ქებაი“ ხაზს

უსვამს ქართული ენის მესიანურ დანიშნულებას და აცხადებს, რომ მკორედ მოსვლისას, ქრისტე ქართულად ილაპარაკებს და განვიხილავს ქართულადვე აწარმოებს. ეს ნაწარმოები ვეკოთნის X საუკუნის სასულიერო მწერალს იოანე ზოსიმეს.

მარტინოვი

ბაგრატ III-ის (975-1014 წწ.) მიერ ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა ქართველი ერის ჩამოყალიბების დამაგვირგვინებელი ეტაპი იყო. ნიშანდობლივია, რომ X საუკუნის მიწურულიდან ჩნდება ტერმინი „საქართველო“.

ამრიგად, ანტიკური ხანის ძლიერი იბერიის სამეფოს ეთნიკური მონოლითურობა, ქართული ენის, კულტურისა და მართლმადიდებლური ეკლესიის ერთობა, ეროვნული თვითშეგნების გაჩენა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა იყო ჩვენი ისტორიის უნიშვნელოვანესი საფუძველი, რამაც XI-XII სს. მოგნაზე ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართველი ერი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ისტორიამ ქართველი ერი არაერთხელ ატარა ბეწვის ხიდზე, არაერთხელ გამოსცადა ჭირსა და ღვინის, მავანნი და მავანნი ცდილობდნენ მის დამლა-დაქუცმაცებას, მაგრამ დღემდე მოიტანეს თვითმყოფადობა, სიმტკიცე და ხასიათი.

არაძარბაზი პირისში საძარბაზოში

სომხები, გვიანი შუა საუკუნეებიდან მოკიდებული მაჰმადიან დამპყრობთა მიერ სომხური მიწა-წყლის ხშირი დარბევა-აწიოვება აიძულებდა სომხებს მასობრივად გასცლოდნენ თავიანთ სამშობლოს და უცხო ქვეყნებში გადახვეწილიყვნენ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თუ საქართველო, რომელსაც თავისი სახელმწიფო ჰქონდა, XVI-XVIII საუკუნეებში შეწუხებული იყო გარეშე მტრებისაგან, ავილი წარმოსადგენია რა სამხრელს მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო სომხობა, რომელსაც XI საუკუნიტიგან მოყოლებული საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული იყო და XVI საუკუნიტიგან მოყოლებული ხომ სახანოების ქვეშემრდომებად ითვლებოდა. აუტანელი მდგომარეობის გამო, სარწმუნოებრივი და ეროვნულ-პოლიტიკურ დევნისაგან სომხობა თავის ქვეყნიტიგან იყრებოდა, მაჰაჰაჰეულს მიწა წყალს სტოვებდა და სხვა უფრო მეტად ქვეყნებში და სახელმწიფოებში ეტებდა თავმესაფარს. საქართველო სომხებისათვის ყველაზე უფრო მახლობელი ქვეყანა და

სამეფო იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება, — საქართველოში არასოდეს არც ეროვნული, არც სარწმუნოებრივი დევნა არ ყოფილა. — და თანაც საქართველოში შემოიხიზნულს სომხებს უფრო მეტი იმედი ჰქონდათ, რომ თუ ვარკებობა მათთვის წინააღმდეგად შეიკვლებოდა, იქითგან თავიანთ სამშობლოში ადვილად დაბრუნდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ დევნილი სომხები საქართველოში იხიზნებოდნენ, ჩვენში ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევ თავიანთთვის თავშესაფარს“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919, გვ. 28).

საქართველოში სომხური ემიგრაცია განსაკუთრებით მრავლდებოდა სწორედ XVII საუკუნეში, ასევე დოკუმენტურ წყაროებშიც უფრო ხშირად ამ საუკუნიდან ვხვდებით სომეხთა დასახლებებს. ამ პერიოდში საქართველოს რეგიონებში სომხური მოსახლეობის განლაგებაზე აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, ხალხთა აღწერის დავითები, ქართული საისტორიო საბუთები. ბუნებრივია, რომ სომხები, უპირველეს ყოვლისა, სახლდებოდნენ სომხეთის მოსაზღვრე ქვემო ქართლში. მაგრამ ხშირად აოხრებდნენ დამსყრობლები განსაკუთრებით ამ კუთხეს და ლტოლვილი მოსახლეობა ფიზიკურად ისპობოდა ან იხიზნებოდა შიდა მხარეებში. მსგავსი მდგომარეობა იყო ქალაქ თბილისში. უკანასკნელად თბილისისა და ქვემო ქართლის მოსახლეობის განადგურება 1795 წელს ალამაჰად-ხანის შემოსევის დროს მოხდა, გადარჩა ქართველებისა და სომხების ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელმაც ვახიზუნა მოასწრო.

თბილისის აოხრების შემდეგ, ქვემო ქართლში დასახლების ნებართვის შესახებ ერეკლე მეორემ მხოლოდ სომეხ მელიქ აბოს თხოვნა შეიწყნარა. აბოს სოფელი ბოლნისი მიეცა და იქ დაბინავებულ მელიქსა და მის მცირერიცხოვან ყმებს გზის დაცვა ვალად დაეკისრა. რაც შეეხება დანარჩენ ყარაბაღულ მელიქებს, რომლებიც მსგავსი სწაფელის მიღწევას რუსეთის მთავრობის დახმარებით ღამობდნენ, ერეკლე მეორემ ისინი თავიანთ ყმებთანად თელავში, სიღრაღში და კახეთის რამდენიმე სოფელში დაასახლა.

მოუხედავად ამისა, საქართველოში სომხური კოლონიები არ არსებობდა. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სომეხი გადმოსახლებულები საქართველოში თავის კოლონიებს ვერ ჰქმნიდნენ. ამის მიზეზი იყო ის, რომ საქართველოში მამინ არ იყო რელიგიური და ეროვნული შეზღუდვა, რის გამოც ქართველების გვერდით სომხებს თავისუფლად ეცხოვრებოდათ და არ ცდილობდნენ ცალკე თემებად გაერთიანებას.

სომხები შედარებით უფრო მკიდროდ დასახლებულ რაიონებშიც კი ქართველებთან შერეულად ცხოვრობდნენ; ამასთან, XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველოს თანამედროვე ტერიტორიაზე მკითხველ სომხეთსა რაოდენობა 40 ათასს არ აღემატებოდა. სომხთა რაოდენობა იზრდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, განსაკუთრებით იზრდება თურქეთიდან სომხების მასობრივი გადმოსახლების შემდეგ (1829-31 წლებში და 1877-1878 წლებში).

თათარ-თურქული მოსახლეობა საქართველოში საკმაოდ ადრე გაჩნდა. XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანის შმართველები ცდილობდნენ მძლავრი დასაყრდენი ბაზა შეექმნათ საქართველოს წინააღმდეგ მდინარე დებედის ქვემო წელში. ასეთსავე პოლიტიკას ატარებდნენ ხელსაყრელ პირობებში თურქებიც. თავის მხრივ ქართველი მეფეებიც ცდილობდნენ ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე ალჯაყალა დაებრუნებინათ. მოუხედავად ამისა, დებედას ხეობა ამ დროს ფაქტიურად უკვე მიტაცებულია. ხდება მდიდარ სამიწათმოქმედო რაიონში მომთაბარეთა ჩასახლება. 1490 წელს იაყუბ-ყაენმა ქვემო ქართლიდან წახელის შემდეგ დებედას ხეობაში დატოვა ელნი (თურქმანული მოდგმის ხალხი), ხოლო მოგვიანებით შამ თამაზმა აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლა ხურჩინლუს ყიზილბაშური ტომი, რაც ნათელყოფს, რომ ირანი თავის ამგვარი პოლიტიკის განხორციელებას შამ აბასმდე გაცილებით უფრო ადრე შეუდგა. შამ აბასის დროს კი დებედას ველზე სახლდება ბორჩალუს მომთაბარე ელი და ამიერიდან ალჯაყალა ხდება ამ ელის საყრდენი პუნქტი. ბორჩალუს ჩამოსახლების შემდეგ ქართლის მეფეები აღარ ცდილან ქვემო ქართლიდან ელის ტომების განდევნას ან განადგურებას, როგორც ეს ხდებოდა შამ აბასმდე და კმაყოფილებოდნენ მომთაბარეთა დამორჩილებით. ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში ქვემო ქართლში რჩება „თათარ-თურქული“ მოსახლეობა.

„თათარ-თურქული“ მოსახლეობის გაჩენა კახეთში ქვემო ქართლიდან შედარებით მოგვიანებით მოხდა. თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდურ შემთხვევას, ერთ-ერთი თურქული ტომის კახეთის მეფის ნებართვით მცირე ხნით შემოხიზვნას. კახეთში მათი ჩამოსახლება შამ აბასის დროიდან იწყება. ამ პერიოდში მრავლად ჩამოსახლდა „თათრები“ კახეთის ველებში. შემდეგში, 1656 წელს ვანჯის ხანმა სელიმმა ორი წლის განმავლობაში ადარბადაგანიდან „თათართა“ დიდი ურდოები ჩამოსახლა კახეთში. ჩამოსახლებულებმა დაიკავეს ბასტრეონი, ალავერ-

დი და სხვა მნიშვნელოვანი ადგილები. სელიმ-ხანი მთელი კახეთის ბარში „თათრების“ დასახლებას აპირებდა. საყოველთაო სურათზე საყოველთაო აჯანყება წარმოიშვა. 1659 წელს მთელი ქვეყანა წაიბოძლა. კახეთის შრისხანე აჯანყებამ საშინელი დაკრით ერფობაზე ვერცხვდა ჩამოსახლებული უცხოელებისაგან შობილიური მიწა-წყარო: მანქანისის, აღავერდს თუ სხვაგან, შიგნით კახეთში, არც ერთი მოძობარე არ გაუშვათ. ამ აჯანყებამ ირანის გამგებლებს დაანახა, რომ შაჰ აბას I-ის გეგმას განხორციელება არ ეწერა.

XVII საუკუნის უკანასკნელ მესამედში „თათრების“ ჩამოსახლება ხდებოდა მხოლოდ მდინარე იორზე, სადაც ხანების რეზიდენცია მდებარეობდა. XVIII საუკუნის 30-იან წლებში კავკასიაში შექმნილმა რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ ნადირ-შაჰი აძულა აყარა და ზორასანს გადაესახლებინა არა მარტო ქართლში მოსახლე ელის სავრძნობი ნაწილი, არამედ კახეთის გამგებელი ხანების მიერ იორის პირს და აღაზნის „მოსაბრუნეთა შინა“ დასხრული ელის უდიდესი უმრავლესობა. ელის იმ მცირე ნაწილის ცხოვრებაში, რომელიც დარჩა კახეთის აღნიშნულ მხარეებში, ერეკლე II-ის მეფობის დროს რაიმე ცვლილება არ მომხდარა.

„თათარ-თურქული“ მოსახლეობა საქართველოს ზღვისპირა ციხე-ქალაქებში შედარებით მცირერიცხოვანი იყო და სამხედრო გარნიზონებისაგან, მონათეაჭრებისაგან, მოხელეებისაგან შედეგებოდა. ოსმალეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის მიტაცების შემდეგ აქ „თათარ-თურქული“ მოსახლეობა გაჩნდა არა იმდენად უცხოელთა გადმოსახლების, რამდენადაც ადვილობრივი ქართული მოსახლეობის იძულებითი გამაძლიანებით. სწორედ ეს ვგუთნი აღმოჩნდა ქართველებისაგან ვეღლაზე ძნელი გასამოყენი.

ოსმანი საქართველოში XIII საუკუნის 80-იან წლებში ჩნდებთან, როცა საქართველოში თათარ-მონღოლთა შემოსევებთან ერთად მთავ მონაწილეობა მიიღეს ქართლის დარბევა-აწიოკებაში. ოსთა თარეში XIV საუკუნეშიც ვრძელდებოდა. ვიორგი ბრწყინვალემ მონღოლებთან ერთად ქართლიდან ოსებზე ვაძევა. შემდეგში ოსები კავკასიონის, მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე არაერთხელ გადმოხლან, მაგრამ მათი მუდმივად ჩამოსახლება ვაცილებით ვვიან მომხდარა. ოსთა ახალშენები კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ მაღალმთიან ზოლში XVII საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება. შედარებით ადრე მთლიანად აითვისეს კავკასიონის ვადაღმა ქართული მხარე —

დვალეთი. შედეგში, XVIII საუკუნეში თანდათან მოიწვევს სამხრეთ-საქს, მაგრამ მათი დასახლება ამ პერიოდში შიდა ქართლის მხრივ მაღალმთიან ნაწილს არ შორდებოდა. მასური მოძრაობა სამხრეთ-საქს XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნეში მასობრივად 1886 წლის მოსახლეობის აღწერით, ცხინვალში არც ერთი სსსს არის ფიქსირებული, ხოლო 1922 წელს ისე გახდა ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ცენტრად ცხინვალი, რომ მასში სულ რამდენიმე ოსი ოჯახი ცხოვრობდა. ოსები სწრაფად გაერცვლდნენ დღევანდელი ქარელის, ბორჯომის, ხაშურის, გორის, კასპის, თეთრიწყაროს და სხვა რაიონებში.

რუსაში XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში რუსი მოსახლეობა არ ბინადრობდა. მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში განლაგებული იყო ახლად შემოყვანილი რუსის ჯარი. ანალოგიური მდგომარეობა რჩებოდა XIX საუკუნის პირველი მეცამეტის მანძილზე. ამდენად, საქართველოში დაბინავებული იყვნენ მარტოოდენ შეიარაღებულ ძალებსა და სამოხელეო აპარატში მყოფი რუსები.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ცარიზში მიზნად ისახავს საქართველოში რუსულ სამხედრო და სამოქალაქო დასახლებათა შექმნას. ამ მიზნით, სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობის პუნქტებში, სამხედრო ბანაკების მახლობლად მოეწყო სამხედრო სოფლები. ეს სამხედრო სოფლები კი ხშირად თვითნებურად ითვისებდნენ ადგილობრივ მკვიდრთა შემოხველი თემების საუკეთესო მიწებს. დიდად გაიზარდა ქალაქ თბილისის სამოქალაქო რუსი მოსახლეობაც. 1841-45 წლებში ახალქალაქის მახრამში ჩამოსახლეს დუხობორების დიდი ნაკადი, რომლებიც დღევანდელი ნინოწმინდის რაიონის 8 სოფელში დაასახლეს. გარდა ამისა, კახეთისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ იყვნენ სხვადასხვა სექტანტები. აღსანიშნავია, რომ რუსი მოსახლეობის წილმა 1897 წლისათვის 4 პროცენტზე მეტი შეადგინა.

ამრიგად, ვერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში გაჩნდნენ დასავლეთ საქართველოში ბერძნულ კოლონიზაციასთან დაკავშირებით. მაგრამ ანტიკური ეპოქისა და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში მცხოვრები ბერძენი მოსახლეობა უკველოდ გაქრა. მათგან ერთი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი ვაწყდა უცხოელთა შემოსევების შედეგად. ბერძენთა ჩამოსახლება საქართველოში XVIII საუკუნეში დაიწყო, კერძოდ, 1778 წელს ერეკლე მეორემ ანატოლიიდან და ვიუბიშხანიდან მოიწვია ბერძენები, რომლებმაც დაიწყეს ახტალისა

და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის საბადოების დამუშავება. XVIII საუკუნის შემდეგ წლების დამდეგისათვის ქართლ-კახეთის სამეფოში მცხოვრებ ბერძენებს შეადგინდნენ ვაჭრები, ხელოსნები, მეტყნოლად კი მქობამსახურები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ ბორჩალოში, ბერძენი მოსახლეობის გაჩენა უკავშირდებოდა სამთიანეთს სამეფოებს. იბერეთში იყვნენ მქობამადნე ბერძენები, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. ასევე მცირე იყვნენ აჭარაში და ახალქალაქში მცხოვრები ბერძენი ვაჭარ-ხელოსნები. სულ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს მხოლოდ რამდენიმე ასეული ბერძენი ბინადრობდა. ბერძენების მასიური შემოსვლა და დასახლება საქართველოში 20-იანი წლების ბოლოს მოხდა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. ასევე 1877-78 წლების კვლავ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ.

მარამალაში. XIX საუკუნის დასაწყისიდან ოდესიდან უკრაინაზე და ჩრდილო კავკასიაზე გამოვლით დაიწყო გერმანულ კოლონისტთა ჩამოსვლა საქართველოში. პირველმა გერმანმა, 31 კომლისაგან შემდგარმა ე.წ. გერმანულ სეპარატისთა, 1817 წლის ხექტემბერში მოაღწია თბილისს. 1818 წელს მეფის რუსეთის ხელისუფლებმა გერმანული კოლონისტებისაგან დაარსეს 6 კოლონია. მათ შორის თბილისში დასახლდნენ ხელოსნები კუკის, დიდუბის რაიონებში. ასევე, სართიჭალასთან, ბოლნისთან, ასურეთში. მეფის მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა დასახლებულ გერმანულ კოლონისტებს: უფასოდ აუგო სახლები, მისცა შეღავათიანი სესხი მუშა-საქონლის და საშუალო იარაღების შესაძენად, გადასცა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ჩამორთმეული მიწები. XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც მეფის რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით ვრძელდებოდა გერმანელთა ჩამოსახლება საქართველოში. ამ პერიოდში გერმანული მოსახლეობა ჩნდება სოხუმის ოკრუგში და მცირედ ქალაქ ბათუმში, გორისა და ქუთაისის მაზრებში.

მარამალაში თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქართლის ცხოვრების“ ლეგენდარულ ცნობას, მცხეთაში ებრაელები ძვ. წ. VI საუკუნეში ნაბუქოდონოსორის დროს მოსულან; საქართველოში ებრაელი კოლონიების გაჩენას, ქართული საისტორიო ტრადიცია, შედარებით უფრო მოგვიანო ელინისტურ ხანას მიაკუთვნებს. ამ ტრადიციის მიხედვით მცხეთაში ებრაელთა კოლონია ძვ. წ. 169 წელს დაარსებულა. სწორედ ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის პირველი ნახევარი უნდა მიეწინაოთ საქართველოში ებრაელთა ეთნიკურ-რელიგიური თემების არსებობის დასაწყისად.

არც ანტიკურსა და არც ფეოდალურ ეპოქებში საქართველოს წარსულში ერთ მთლიან სოციალურ წრეს არ წარმოადგენდა. იგი სრულიად ვარკვეული და ურთიერთობის მიმართ კლასობრივად დაპირისპირებული სოციალური კატეგორიებისაგან შედგებოდა. საქართველოში ვერცერთ დროს, გვიანფეოდალურ ხანაშიც ქართველ ებრაელთა შორის იყვნენ კონომიკურად დაწინაურებული ელემენტები, თვით ყმა-მამულების მჭონებელთა სახითაც. მაგრამ ამ დაცემის ხანაში ებრაელთა შორის დიდ უზეტესობას ყმა ებრაელები შეადგენდნენ, რომელნიც კუთვნილების თვალსაზრისით იყოფოდნენ სამეფო-სადედაოფლოდ, საეკლესიო-სამონასტროდ, სათავადაზნაუროდ. ებრაელობა ფეოდალურ საქართველოში უმთავრესად ხელოსნობა-აღებშიცემობას მისდევდა. ყმა-ებრაელი, რა თქმა უნდა, მიწასაც ამუშავებდა, ვენახს, ხეხილს ამუშავებდა, პურეულს მოჰყავდა, მაგრამ მას ეს კი არა, ვაჭრობა ახასიათებდა. პატონს ებრაელი უმთავრესად „თეთრით ეშასურებოდა“.

ფეოდალურ საქართველოში ებრაელები ცალკე სოფლებად ან უბნებად ცხოვრობდნენ. უცხოელ დამპყრობთა შემოსევების გამო გვიანფეოდალურ საქართველოს მრავალ ადგილში ეს მოსახლეობა სავსებით გამქარაღა, სხვაგან კი დიდად შემცირებულა. ზოგ ადგილას მხოლოდ ადგილის სახელი შემორჩა (ურია - დვანისწყლის სათავეში, ურიათუბანი - თელავის რაიონში და სხვ.). აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა მთავარი ადგილსამყოფელი ჩანს: ცხინვალი, სურამი, მძოვრეთი, ახალდაბა, ატენი. ყველა ესენი სავაჭრო-სახელოსნო პუნქტები იყვნენ. ასევე სავაჭრო-სახელოსნო პუნქტებში ცხოვრობდნენ ებრაელები დასავლეთ საქართველოში: ონი, სანხურე, ჩახორი, ჭალატყე, ქუთაისი, სენაკი და სხვ. ცხოვრობდნენ აგრეთვე სამცხეში (ახალციხე). XIX საუკუნეში მიმდინარეობდა არაქართველი ებრაელების ჩამოსახლება საქართველოში, როგორც იაკობ გოგებაშვილი მითითებდა, საქართველოში ოდიითგანვე ცხოვრობდნენ ებრაელები, მაგრამ ისინი შუა საუკუნეებშიც კი არ განიცდიდნენ დევნას ქართველების მხრივ, და ებრაელთა დარბევები რაც ხშირად ხდებოდა ევროპაში, საქართველოში არასოდეს ყოფილა.

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებს, ისინი გაცილებით გვიან არიან მოსულნი და, ამასთან, მათი რაოდენობა პროცენტულად მცირეა. ასეთებია - ქურთები, პოლონელები, აოსორები, ესტონელები. დანარჩენი ეროვნების ხალხი ასი, ასორმოცდაათამდე და ნაკლებიც კი არის. ეს, რა თქმა უნდა, ვერ ქნის იმ ეთნიკურ

ჯგუფებს, რომელთაც დისონანსი შეაქვთ ქვეყნის ეთნიკურ უმრავლესობაში.

ამრიგად, საქართველოს ეთნიკური შემადგენლობა საკმაოდ მრავალმაგვრამ მოსახლეობის 70 პროცენტი დღესაც ქართველია. ქართველები ამ ტერიტორიაზე უძველესი პერიოდიდან ცხოვრობდნენ და ადგილობრივ ეთნიკურ წარმონაქმნს შეადგენენ.

ისტორიული კატაროზრავნა

კატაროზრავნა (ბერძნული სიტყვა chartēs – ხაწური ფურცელი ან პაპირუსის გრაფილი), მეცნიერება ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის და მისი დროის მიხედვით ცვალებადობის შესახებ, ანუ შეისწავლის გეოგრაფიული რუკების არსსა და თვისებებს, გამოიმუშავებს მათი შექმნისა და გამოყენების მეთოდებს.

ისტორიული კატაროზრავნა სამეცნიერო დისციპლინაა, რომელიც ადგენს ისტორიულ რუკებს, ატლასებს და ამუშავებს მათი შექმნის მეთოდებს. ისტორიულ რუკებში ასახულია საზოგადოებრივი განვითარების წარსული ეპოქების მოვლენათა კონკრეტული სივრცე და მისი დროული ცვალებადობა. ისტორიული რუკა, პერიოდების მიხედვით, შეიძლება იყოს წარსულში შედგენილი და თანამედროვე პერიოდშიც. თემატიკის მიხედვით ასხვავებენ არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ-ეკონომიკურ, ისტორიულ-პოლიტიკურ, ისტორიულ-რელიგიურ, სამხედრო-ისტორიულ და უძველეს კულტურათა რუკებს. ისტორიულ წარსულში შედგენილი, თავისი დროის ამსახველი რუკა ისტორიულად არ ითვლება. დღევანდელი თვალსაზრისით ისინი ისტორიულ-გეოგრაფიულია. ისტორიული რუკა მისი შექმნის მომენტშივე ასახავს ისტორიულ წარსულს. ისტორიული რუკა პირველად შევიდა XVI საუკუნის ფლამანდიელი კარტოგრაფის ორტელიუსის „ანტიკური სამყაროს გეოგრაფიულ ატლასში“ (1579). XVII-XVIII სს-ში ისტორიული რუკები გვხვდება ფრანგი კარტოგრაფების ატლასებში (სანსონები, დიუვალი, დეანვილი), რუსეთში XVIII საუკუნის I მუთხელიდან არის ცნობილი (1700-1721) ჩრდილოეთის ომში რუსეთის ჯარების საბრძოლო მოქმედების ამსახველი გეგმები, სქემები და რუკები თანდართული განმარტებითი ტექსტებით. რუსეთში სხვადასხვა დროს გამოცემულია მრავალი ისტორიული ატლასი და სამხედრო-ისტორიული

რუკა, ისტორიული რუკები შევიდა თანამედროვე მრავალტომიანი ისტორიულ მონოგრაფიებში, თემატურ ატლასებში, ენციკლოპედიურ გამოცემებში და ცალკეულ ისტორიულ გამოცემებში.

პირველი ქართული ისტორიული რუკები მოთავსებულია ვახუშტის ბეგრატორიის ატლასში. 1745 წლის საქართველოს ატლასში შესულია 3 ისტორიული რუკა. ატლასის პირველ რუკაზე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით წარმოდგენილია ძველი საქართველოს ტერიტორია იმ პერიოდისა, როდესაც თარგამოსი, მოვიდა რა თავისი შთამომავლობით დასახლდა ქვეყანაში, რომელიც წილად ზედა მის და რომელსაც აღმოსავლეთით კრა ვურგანის (ვილანის ან კასპიის) ზღვა, დასავლეთით პონტოს (შავი) ზღვა, სამხრეთით შოა ორეთი... და ჩრდილოეთით კავკასიის შოა.

მისი ვაეიშვილები იყვნენ ქართლოსი, ვეროსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და პოსი. ისინი ისე გამრავლდნენ, რომ არარატ-მასისს მიწა უკვე ვერ იტყვეს თარგამოსის შთამომავლობას; ამის გამო თარგამოსმა თავისი შთამომავლობის ნახევარი დატოვა აქვე, ხოლო მეორე ნახევარი ჩრდილოეთით წაიყვანა და დაასახლა ქართლში, ვერისში, ბარდავში, მოვაკანში, ლეკეთში, და კავკასიაში. პოსი კი დარჩა იქვე, არარატის ილქში.

სწორედ ამ გადმოცემას ეყრდნობა პირველი რუკა, რომელზედაც თარგამოსის ვაეიშვილების ყოველ ნაწილს აქვს თავისი შეფერილობა და წარწერა. რუკის ამ ცალკეული ნაწილების გაფერადების საერთო ფონზე ავტორის საუცაადლო პირობითი ნიშნებით, რომელიც მოცემულია აგრეთვე რუკის ლეგენდაში, მოხაზულია მამინდელი საქართველოს ტერიტორია, ხოლო ცალკეული ნაწილების შიგნით, საერისთავოებიც.

ატლასის მეორე რუკა მიძღვნილია მხოლოდ ქართლოსის წილისადმი, რომელიც ქართლოსის მეუღლემ გაუყო თავის 5 ვაეიშვილს: მცხეთოსს, გარდაბოსს, ვაჩოსს, კახოსს და კუხოსს. შუბლეგში მცხეთოსსა თავისი ტერიტორია გაუნაწილა თავის სამ ვაეიშვილს: უფლოსს, ოძრახოსს და ვაეახოსს. ამრიგად, რუკაზე ჩვენ მივიღეთ არსებითად შეიდი ტერიტორიული დანაყოფი, შემოხაზული წარწერით და ფონის მოფერებულად შეხამებული გაფერადებით.

შესაძებ რუკა ასახავს ფარნაოზ მეფის პერიოდს, როდესაც საქართველო დაყოფილი იყო 10 საერისთავოდ და რაც ვაგრძელება ბეგრატორიის ტახტზე ასვლამდე. ამ ათი საერისთავოს მიერ დაკავებული ტერიტორიის საერთო ფართობი შეიძლება შეიხაზულია, რომელსაც გასცემა აკვარელის

სადესპოთო შესრულებული ყვითელი წერილი ზოლი. საკუთრივ ამ უკანასკნელს ორივე მხრივ ჩაუდის წერილი წითელი ზოლი ცხელი საერისთავოებს შემოვლებული აქვს პუნქტური და მათი ფარობაც გაფერადებულია.

გარეგნული

1923 წელს ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემული „საქართველოს ისტორიული რუკა“. რუკა გაკეთებულია 1:400000 მასშტაბში. მასზე აღნიშნულია რამდენიმე პოლიტიკური საზღვარი პერიოდების მიხედვით - 1. საზღვარი I საუკუნისა (ძვ. წ.), 2. XII საუკუნისა და 3. 1783 წლისა. გარდა ამისა, აღნიშნულია თემობრივი საზღვარი. რუკაზე დატანილია ძველი დასახლებული პუნქტები ძველივე სახელწოდებებით.

საქართველოს ისტორიული რუკები დართულია ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას და სხვ. შეტყობი პერიოდის „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოებზე. აგრეთვე „საქართველოს ატლასში“ (15 ისტორიული რუკა), „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (8 ტომი), „ქართულ ენციკლოპედიაში“ (12 ტომი) და სხვ. ცალკე გამოიცა „საქართველოს სახელმწიფო XIII საუკუნის დამდეგს“ „საქართველო XVI საუკუნის პირველ ნახევარში“ და სხვ.

წყაროთმცოდნეობა

წყაროთმცოდნეობა არის მეცნიერება ისტორიული წყაროების გამოვლენის, კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის, მათი ანალიზის და გადმოცემის მეთოდებისა და თეორიის შესახებ. წყაროთმცოდნეობის ძირითადი საგანია წერილობითი წყაროები, მაგრამ მის ზოგად პრინციპებს ყველა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზისა და კრიტიკის დროს იყენებენ. ამდენად, წყაროთმცოდნეობა ისტორიული მეცნიერების კომპლექსური დარგია და აერთიანებს სპეციალურ ისტორიულ დისციპლინებს. მისი თეორია და მეთოდია მჭიდროდაა დაკავშირებული ისტორიულ კვლევა-ძიების ზოგად მეთოდოლოგიასთან. წყაროთმცოდნეობის მიერ შემუშავებული ზოგადი მეთოდია წყაროების შესწავლისა, საფუძვლად უდევს ყველა სპეციალურ ისტორიულ დისციპლინას, რომელთაგან აღსანიშნავია არქეოთმცოდნეობა, არქეოგრაფია, გენეალოგია, მეტროლოგია (საზომ-საწონითმცოდნეობა), ნუმისმატიკა, პალეოგრაფია, სფრაგისტიკა (ბეჭდოთმცოდნეობა), ტექსტოლოგია, ქრონოლოგია, პერალდია. ცხადია, ამ მასალების დიდი ნაწილი გამოიყენება გეოგრაფიაში და, მათ შორის, ისტორიულ გეოგრაფიაში.

წერილობითი წყაროების წყაროთმცოდნეობაში დარგები გამოიყვანეს წყაროთა სახეობის მიხედვით: ეპიგრაფიკა, დიპლომატიკა ანუ საბჭო წყაროთმცოდნეობა, ხშირად ხშირობენ ტერმინებს - მატრიანთმცოდნეობა და ეპისტოლოგრაფია (წერილები). არის წყაროთმცოდნეობის ისეთი დარგები, რომლებიც დაკავშირებულია მუშუარულ, სტატისტიკურ და სხვა სახისათვის წყაროებთან. ცალკეული დარგები გამოყოფილია, აგრეთვე, არქეოლოგიურ წყაროთმცოდნეობაში, ეთნოგრაფიულ წყაროთმცოდნეობაში და ა.შ. წყაროთმცოდნეობის უმთავრესი ამოცანაა წერილობითი წყაროების დაგვიწვევა მათი სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია. ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წყაროთმცოდნეობითი საკითხების მთელი კომპლექსის ვადანწყვეტის დროს. არსებობს წყაროთა კლასიფიკაციის სხვადასხვა სისტემა, რომლებსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა პრინციპი: წყაროთა კლასიფიკაცია მინარსის, წარმოშობისა და ისტორიული წყაროების სახეობათა მიხედვით. წერილობით წყაროებზე მუშაობის პროცესში თავს იყრის ისეთი საკითხები, როგორიცაა: 1. შუაღროთა გამოვლენა (ეფრისტიკა), როცა ისტორიული კვლევის საფუძველი ფაქტებია. მათ გამოსავლენად საჭიროა ყველა სახის ისტორიული წყაროს დამუშავება. 2. შუაღროს ტაძართს დადგენა, რაც გულისხმობს ტექსტის წაკითხვას, ძირითადი ტექსტისა და მისი დამატებების ან პარალელური ადგილების დადგენას; ტექსტის ენისა და სტილის, შემოკლებათა ან საიდუმლო ნიშნების შესწავლისა და გამოფერის, ზომა-წონისა და ფულადი ერთეულების მნიშვნელობის დადგენას, გეოგრაფიულ სახელწოდებათა და საკუთარ სახელთა შესწავლას. ტექსტის მინაწერებისა და ჩამატებების (ინტერპოლაციების) განმარტებას და ა.შ. 3. შუაღროს შარამოშრის მარკვევა (აეტიორი, დრო, ადგილი, უტყუარობა, წყაროს შედგენის გარემოებანი და მიზნები); პირადი თუ კოლექტიური აეტიორების მახლოებით დათარიღების საკითხის შესწავლა, დათარიღების ძველი სისტემის გადაყენა ახალზე; უნდა გაირკვეს ნამდვილია წყარო თუ ეღობი, დედანია თუ პირი და სხვ. 4. შუაღროს შუაღროთმცოდნეობითი ანალიზი (პერმენეტიკა), ე.ი. ისტორიულ ცნობათა სისრულის, სანდობისა და სიზუსტის დადგენა, პოლიტიკური მიმართულებისა და წყაროს კლასობრივი არსის განსაზღვრა; 5. შუაღროთმცოდნეობითი სინთეზი: წყაროთა გენეალოგიური კავშირების გარკვევა, შედარება მათი სანდობისა და სიზუსტის ხარისხის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის ასახვის თვალსაზრისით, საკვლევი თემისათვის საჭირო ყველა ფაქტის დადგენა, გამოკვლენილ

ფაქტთა მიუღწეველ სისტემაში გამოტოვებული მოძინების განსაზღვრა და ა.შ. წყაროების შესწავლა საქართველოში ისტორიულ განვითარებაში წყაროთმცოდნეობის ზოგად ამოცანებს, მეთოდებსა და კვლევით ხერხებს იყენებენ ძირითადად ყველა პერიოდის წყაროს მიმართული წყაროების კრიტიკის საწყისებს ეხედებით ვერ კიდევ ძველ ისტორიკოსებთან (პროტოტე, პოლიბიოსი, ტაციტუსი, ფლავიუსი). ადრინდელ შუა საუკუნეებში ისტორიულ წყაროებს კრიტიკულად არ სწავლობდნენ, მაგრამ აღორძინების ხანაში მან კვლავ იჩინა თავი (ლ. ვალა). ბ. ნობურის, ლ. რანკეს, თ. მოშენის გამოკვლევებში მოცემული იყო ისტორიულ წყაროთმცოდნეობითი კრიტიკის ცალკეული მეთოდებისა და ხერხების გამოყენების ნიმუშები. როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება კვლევის საკუთარი საგნითა და შესწავლის სპეციფიური მეთოდებით, წყაროთმცოდნეობა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში (ი. დროიზენის, ე. ბერნჰაიმის, ე. ფრიშენის, შ. ლანგლუას, შ. ხენიოზოსისა და სხვათა ნაშრომებში).

ძირითადი წყაროთმცოდნეობა ისევე ძველია, როგორც თვით საისტორიო მწერლობა. ძველი ქართველი მწიგნობრები, მემკვიდრეები, მთარგმნელები, გადამწერები - პირველი წყაროთმცოდნეობაც იყვნენ და, არა მარტო პრაქტიკოსები, არამედ თეორეტიკოსებიც. მასალის შერჩევისა და დამუშავების, თხზულებათა შედგენის, თარგმნის თუ რედაქტირების დროს ისინი უკვე ჩამოყალიბებული პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, გარკვეულ ხერხებსა და მეთოდებს იყენებდნენ. ყოველ განათლებულ ისტორიკოსს წინასწარ მოეჭებოდა გვეგნით უნდა დაეწერა თხზულება, ეზრუნა თხრობის სანდოობაზე, გაიზრუნა მთაწმინდელის (XI ს.) აზრით, თუ ავტორი თვითონ არ იყო აღწერილი ამბების მომსწრე, უნდა გამოეყენებინა სანდო თვითმზილველის ნაამბობი, აგრეთვე, წერილობითი და ხელოვნური წყაროები. ძველი ქართველი ისტორიკოსები თავიანთ საქმიანობაში იყენებდნენ როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებს. ამასთან, ისინი ზოგჯერ ცდილობდნენ უტყუარი ფაქტისა და გამოჩვენონი ამბის გარჩევას, ერთმანეთს უპირისპირებდნენ წყაროთა საწინააღმდეგო ჩვენებებს, იყენებდნენ შედარებით მეთოდს.

XIX ს. - XX ს. დამდევს დიდი ყურადღება ეძლეოდა ქართული წერილობითი ძეგლების გამოვლენას, პირველად დამუშავებას და გამოცემას, ისტორიული ფაქტების დაგროვებას, საქართველოს ისტორიული წყაროთმცოდნეობა, როგორც საკუთარი საგნისა და კვლევის მე-

თავების ძიხვ და მოუკიდებელი მეცნიერება, საბოლოოდ ჩამოყალიბდა XX საუკუნის I მუთხედში ივანე ჯავახიშვილის შრომებში მოუკიდებელი ამისა, XIX საუკუნეში ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მარი ბროსემ, დავით რუბინაშვილმა, დიმიტრი ბაქრაძემ, სტეფანოსტე ცაგარელმა, თედო ჟორდანაძემ და სხვ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას აქონდა მარი ბროსეს (1838), დიმიტრი ბაქრაძის (1884) და ილია ჭავჭავაძის გამოსვლას (1899) „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად იმ პირთა თავდასხმებისაგან, ვინც XVIII საუკუნის ძველად აცხადებდა „ქართლის ცხოვრებას“ და უარყოფდა მისი, როგორც წყაროს მნიშვნელობას. იმ პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიას მთავარ ამოცანად მაინცდა წყაროების გამოვლენა, მათი პირველადი დამუშავება და პუბლიკაცია (მოსე ჯანაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის გამოცემები). 1916 წელს გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ისტორიულ წყარომცოდნეობას. ივანე ჯავახიშვილმა მალე დონეზე აიყვანა ისტორიული წყაროების ე.წ. მინაგანი კრიტიკა, გააფართოვა საქართველოს ისტორიის კვლევის წყარომცოდნეობითი ბაზა, მოგვცა წყაროთა პირველადი კლასიფიკაცია, გაარკვია „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის ძირითადი საკითხები. 20-იან წლებში დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური ნაშრომები დიპლომატიკის, პალეოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ნუმისმატიკის, მეტროლოგიის დარგში. სისტემატურად ქვეყნდებოდა გამოკვლევები და მიმოხილვები ქართული საისტორიო მწერლობის შესახებ (კორნელი კეკელიძე, სარგის კაკაბაძე, პავლე ინგოროვცა). დაიწყო ქართული ისტორიული წყაროების რუსულად თარგმნა (ვარლამ დონდუა, იასე ცინცაძე და სხვ.) და უცხოური წყაროების შესწავლა. 40-იანი წლებიდან იბეჭდება ქართული საისტორიო წყაროების ტექსტები. ამჟამ მიხედვით დაიწყო თესატური კრებულების გამოცემა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მასალას (მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის – 3 ტომი ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან – 2 ტომი ნ. ბერძენიშვილის რედაქციით), გამოცა „ქართლის ცხოვრება“ – 2 ტომი ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, „ქართლის ცხოვრების“ სომხური თარგმანი (ძველი) ი. აბულაძის რედაქციით, ეახუმტი მგერატონის ნაშრომი, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ძველი ქართული მეოგრაფიული ძეგლები – 5 ტომი ი. აბულაძის რედაქციით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

ისტორიული მასალები ქრისტინე მარაშიძის რედაქციით და სხვ. სა-
განგებოდ უნდა აღინიშნოს „გეორგიკა“ (მიზანტიელ მწერალთა ცხოვრება
საქართველოს შესახებ) 8 ტომი ს. ყუბნიშვილის რედაქციით, „გურჯისტანის
ვილაიეთის დიდი დავთარი“ (3 ტომი), ს. ჯიქაძის რედაქციით, „სპარსული
ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნისაცავებში“ (4 ტომი) ე. ფუთურძის
რედაქციით, „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (4
ტომი) თინათინ ყუბნიშვილის რედაქციით. 1958 წელს დაარსდა საქართველოს
შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია, რომელმაც არაერთი
სომხური, არაბული, სპარსული, თურქული, რუსული და ევროპული წყარო
გამოსცა ქართული თარგმანითა და გამოკვლევებით. მათ შორის აღსანიშნავია: დონ
ქრისტოფორო დე კასტელის, არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ტურნეფორის,
კოულდენშტედტის, ხორენაის, პროკოპი კესარიელის, ისქანდერ მუნშის
და სხვათა ნაშრომების ქართული გამოცემები. გარდა ამისა, გამოვიდა
ქართული საისტორიო ძეგლები ქართულ და რუსულ ენებზე, წარწერების
კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. მოვლი რიგი
ნაშრომები მიუძღვნა დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიკის,
სფრაგისტიკის საკითხებს (ც. აბულაძე, ზ. აღუქსიძე, ა. ბაქრაძე, მ.
ბერძენიშვილი, თ. ენუქიძე, თ. ყუბნიშვილი, ნ. შოშიაშვილი, ნ. შენგელაია
და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სომხური წყაროების
შესწავლასა და გამოცემას (ლ. დავლიანიძე, ე. ცაგარეიშვილი და
სხვ.). 1965 წლიდან გამოდის კრებული „ქართული წყაროთმცოდნეობა“
(8 ტომი). ტარდება სესიები, და სხვ.

ისტორიული გეოგრაფია და სამართხველოს ისტორიის პერიოდიზაციის საკითხები

სამართხველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარების ძირითადი მტაკები

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ინტენსიურმა კვლე-
ვებამ შესაძლებელი გახადა ამ თვალსაზრისით გარკვეული პერიოდი-
ზაციის შექმნა. ამას გარდა, სრულიად ცხადი შეიქმნა, რომ სა-
ქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები
უშუალო დამოკიდებულებასთან ამ ტერიტორიაზე მოსახლე საზოგადო-
ების ისტორიულ განვითარებასთან. გამოირკვა, რომ ეს ორი მოვლენა
აღკვეთურია. ამდენად, ბუნებრივია, რომ დიდი ტეხილები ისტორიული

გეოგრაფიის თვალსაზრისით უნდა შეესაბამებოდეს ასეთივე დიდ ტეხილებს სოციალურ განვითარებაში.

ჩვენი ტომისათვის განკუთვნილი პერიოდის საწყისი უხსოვარ დროში იკარგება, როდესაც საქართველოში ადამიანთა საზოგადოება ჩამოყალიბებას იწყებდა. როგორც გამოირკვეა, საქართველო და, საერთოდ, კავკასია მსოფლიოს ერთი იმ მხარეთაგანია, რომელშიც მიმდინარეობდა თვით ანთროპოგენეზის პროცესი. აქვე დგამს ადამიანი პირველ ნაბიჯებს იარაღად ქვის გამოსაყენებლად. 1991 წელს ნაქალაქარ დმანისში აღმოჩენილ იქნა ადამიანთა ერთ-ერთი უძველესი მოდგმის – „ქომო ერექტუსის“ ქვედა ყბა; 1999 წელს კი მთაყვლიეს ადამიანის თავის ქალებს, რომელთა ასაკი 1,7 მილიონი წლით განისაზღვრა. საქართველოში აღმოჩნდა ქვის ხანის სულ ძველი საყვებურის, ე.წ. შელის პერიოდის (კულტურული ნაფენების ერთ-ერთი ძველი პერიოდაა 800-700 ათასი წლის უკან) ძეგლები. ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ადამიანს საქართველოში დიდმა გამოყენებამ მოუხსწრა. მუდმივი თოვლის ხაზი კავკასიონის მდებარეობაში დღევანდელზე 1200-1300 მეტრით დაბლა გადიოდა და საერთოდაც დიდად აცივდა. პირველყოფილი ადამიანი იძულებული გახდა აქ მრავლად არსებულ გამოქვაბულებს შეხიზენოდა და თავის მუდმივ ბინად ექცა ისინი. არქეოლოგებმა უკვე გამოავლინეს მრავალი ასეთი გამოქვაბული (ძირითადად დასავლეთ საქართველოში), რომლებშიც პალეოლითულ ადამიანს უცხოვრია. იმ დროის ადამიანი უკვე ფართოდ იყენებდა ცეცხლს, რომელიც განუწყვეტლივ ვიზუალებდა გამოქვაბულში. იარაღად, მართალია, ძირითადად ქვას ხმარობდნენ, მაგრამ, მის გვერდით, იარაღის გასაკეთებლად ხესაც და ძვალსაც (რქასაც) იყენებდნენ. საზრდოს უმთავრესად ნადირობა იძლეოდა. სანადირო იარაღს შუბი წარმოადგენდა. პალეოლითის გვიან საყვებურზე კი გამოჩნდა მშვილდ-ისარიც – იმ დროის ადამიანის სადგომებში საკმაოდ არის ნაპოვნი შუბისპირები და ისრისპირები. ნადირობის გარდა, ძველი ქვის ხანის ადამიანი მყოფველობასაც მისდევდა. დიდად ვაერცვლდა საზრდოდ ტყის ნაყოფისა და სხვადასხვა ბალახეულის შეგროვება.

ცხოვრება დიდად დაწინაურდა მომდევნო, ახალი ძვის (ანუ ნეოლითის) ხანაში (VI-IV ათასწლეული ჩვენს ერამდე). მართალია, პალეოლითთან (დამთავრდა 16-12 ათასი წლის წინათ) შედარებით საქართველოში ნეოლითური ხანის ადამიანის სადგომები ჯერჯერობით უფრო ნაკლებადაა მოგვებული, მაგრამ ის, რაც ნაპოვნია, თვალნათლივ

მიგვითითებს დიდ პროგრესზე საზოგადოების ცხოვრებაში, განვითარდა და სრულყოფილი გახდა ქვის დამუშავების ტექნიკა და მანამა ამ დროს ქვის ვახურეტაც და იარაღისათვის ტერკის დაგებაც ისწავლა. საერთოდ, ქვის იარაღი უფრო მრავალფეროვნებას იძლეოდა დამუშავებული გახდა. საფუძველი ეყრებოდა მესქიონლეობას და მიწათმოქმედებას. ნეოლითშივე ვითარდება ხელოსნობაც.

ამის ხანა საქართველოში, მხედვანზე ხანგრძლივში პერიოდში, იყო ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში, იგი მრავალ ათეულ ათას წელს გაგრძელდა.

კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ზოგიერთი რაიონის მსგავსად, საქართველოში მოსახლეობა სხვა ხალხზე ადრე გადავიდა განვითარების შემდეგ საფეხურზე, მემოლითის (სპილენძ-ქვის) ხანაზე უკანასკნელი დროის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა საქართველოს ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულების, ე.ი. 5000-7000 წლის წინანდელი ენეოლითური ნამოსახლარები (ნახილური, შულავერი, წოფი). ეს არის ხანა, როდესაც ადამიანი ქვასთან ერთად ლითონების, კერძოდ, თვითნაბადი სპილენძის გამოყენებას იწყებს. ამ დროის ნამოსახლარები ანუ საგვარეულო საფლები უკვე რთულ ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდნენ. აქური მოსახლეობა იხდროისდა კვალად საკმაოდ განვითარებულ სამიწათმოქმედო ცხოვრებას ეწევა. მრავლად აღმოჩნდა მცხოვრებთა შრომითი საქმიანობის მუწყებელი საგნები – ოსილიანი და ქვის დანები, საფხეები, ცულები, ძელისა და ორძის რქის იარაღები, თოხები, ნემსები, თიხის ქურჭელი და სხვ.

ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულთა მიჯნაზე, ე.ი. ამ 5 ათასი წლის წინ, საქართველოს მოსახლეობა უკვე პრინეოლითის ხანაში გადადის, ე.ი. განვითარების ამ საფეხურზე, როდესაც ადამიანი სწავლობს სპილენძის ბუნებრივი შენარევიანი მადნიდან ან ხელოვნური შენარევების გზით მიღებული მასალის გადადნობით ახალი ლითონის – ბრინჯაოს მიღებას და ამ უკანასკნელიდან იარაღის კეთებას. არქეოლოგები ჩვენში ამ ფართოდ გავრცელებულ კულტურას მთავარ-არამასის კულტურას უწოდებენ, რადგან თავდაპირველად ის ამ ტერიტორიაზე გამოვლინდა. წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად დაწინაურებულა მიწათმოქმედება და მესქიონლეობა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგი. საქართველოს ურთიერთობა იზრდება მეზობელ ქვეყნებთან. ამ ეპოქაში ფართოდ ვრცელდება ტომთა ბელადების დიდი ზეიმი დაკრძალვა. ასეთი ყორღა-

ნები პირველად თრიალეთის ტერიტორიაზე იქნა ნაპოვნი. ამიტომ მის
თრიალეთის კულტურას უწოდებენ. თრიალეთის კულტურამ მოახდინა
საბრძოლო იარაღის, ვერამიკის, ძეგრფასი ლითონებისაგან გაკეთებული
და ძეგრფასი ქვებით შემკული საოცველიო ნაწარმის შესანიშნავი ნიმუშები.

ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შუა ხანებში იწყება
ბრინჯაოს ხანის უკანასკნელი პერიოდი საქართველოში, ე.წ. ბრინჯაო
ბრინჯაოს ხანის უკანასკნელი პერიოდი საქართველოში, ე.წ. ბრინჯაო
არინჯაოს ხანის უკანასკნელი პერიოდი საქართველოში, ე.წ. ბრინჯაო
უძლეს საფეხურს მიაღწია. ტომთა შორის გაცხოველებული ვაჭრობის
შედეგად მეტალურგიის ნაწარმი ფართო ტერიტორიაზე ვრცელდება.
ერთი ასეთი, „კოლხური კულტურის“ არე მოიცავდა მთელ დასავლეთ
საქართველოს და მის მიმდებარე ტერიტორიებსაც. II ათასწლეულის
დასასრულში საქართველოში განვითარებას იწყებს რაინის მთა-
ღორბინია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივ-
ეკონომიკური ცხოვრების დაწინაურების საქმეში. ნაწარმოი იარაღებისა
და ეკონომიკური ცხოვრების განვითარება-დაწინაურების ამ პროცესს
თან სდევდა პროგრესი საზოგადოებრივი ურთიერთობის დარგშიც.
ძველი ქვის ხანაში ხდება საზოგადოების ძირითადი უჯრედის სახით
გვარის, სისხლით მონათესავე ადამიანთა ამ მტკიცედ შეკრული
კოლექტივის, ჩამოყალიბება. ახალი ქვის ხანაში უკვე საქმოდ სციოც-
ხლისუნარიან კოლექტივს წარმოადგენს მონათესავე გვარების გაერ-
თიანება - ტომი. მომდევნო ხანაში იგი უფრო და უფრო მყარი ხდება,
აბსოლუტურ, დროდადრო იწყება უფრო დიდი მასშტაბის გაერთიანების -
ტომთა კავშირების ჩამოყალიბება. ეს არის, აგრეთვე, გვაროვნული
წყობილების ინტენსიური რღვევის პერიოდი. საზოგადოება ამჟამად
ახალ ნახტომზე - კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოებ-
რივი გაერთიანების წარმოქმნის ზღურბლზე დგას. ასეთი ადრეკლას-
ობრივი სახელმწიფოები თავდაპირველად სამხრეთ-დასავლეთ მხარეებში
უნდა შექმნილიყო. ამგვარი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები იყო
დაიოხი (ისტორიული ტაო) და კოლხა (კოლხეთი).

სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიხედვით IV-X საუკუნე-
ები საქართველოს ისტორიაში არის აღინიშნული ფაორაღდარი
ურთიერთობის ჩასახვის, გამარჯვებისა და განმტკიცების ხანა. დიდ
სოციალურ და ეკონომიკურ ვარდაქმნებს, რომლებიც ამ ხანისათვის
არის დამახასიათებელი, თან სდევდა მნიშვნელოვანი ცვლილებები
ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურაში - ქრისტიანობის
სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება, მეფობის გაუქმება, ერისმთავ-

რის ხელისუფლების წარმოქმნა, ადრეფეოდალური დაქვემდებარება, ფეოდალურ სამეფო-სამთავროების წარმოშობა და ბრძოლა ამ ადრეფეოდალურ ერთეულთა გაერთიანება-განმტკიცებისათვის, რაც თავის მხრივ, ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

ეს ხანა საქართველოს ისტორიაში აღსანიშნავა საგანგებო მოვლენების მხრივაც; ეს არის ხანა ქართული ხალხის თავდადებული ბრძოლისა სასანიდების ირანისა თუ აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის აგრესიასა და არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ.

ქვეყნის ისტორიის ამ მონაკვეთს, თავის მხრივ, განვითარების განსხვავებული პერიოდებიც გააჩნია.

საქართველოს ისტორიულ მეცნიერებაში „ადრეფეოდალური ხანის“ ცნება XX საუკუნის 30-იანი წლებიდან შემოდის და მტკიცდება (ს. ვანაშია). ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია არსებითად საქართველოს ისტორიის ორ – მეფობის წინა და მეფობის – პერიოდად გამოყოფით დაქმყოფილდა (შ. მუსხია). ფეოდალური ისტორიოგრაფიის მიხედვით, საქართველოს ისტორია მილიანად, ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან მოკიდებული, მუორე (მეფობის) პერიოდში ექცეოდა. საქართველოს ისტორიის ასეთი ზოგადი პერიოდიზაცია გამატონებელი იყო XIX საუკუნის მუორე ნახევრამდე. ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციაში „ქართლის ცხოვრების“ სქემით შემოიფარგლა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „მეფობის ხანას“, ე.ი. საქართველოს ისტორიას ფარსაკაზიდან მოკიდებული, ვიდრე 1469 წლამდე „ძველი ისტორია“ უწოდა (ვახუშტი). „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის სქემას ვერ გასცდნენ დავით ბაგრატიონი, თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე და სხვ.

ამ მხრივ, გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ხელახა ბარათაშვილმა საქართველოს ისტორია სამ ძირითად ნაწილად დაყო. I პერიოდი თავსდება IV საუკუნის დამდეგით და ძველი ისტორია ეწოდება. მუორე პერიოდი შუა საუკუნეების ისტორია და IV საუკუნიდან, ქრისტიანობის გამატონების დროიდან იწყება და თავდება XV საუკუნის შუა წლებით, საქართველოს ერთიანი სამეფოს დაყოფით რამდენიმე ცალკე სამფლობელოებად. ამასთან, მან თვით შუა საუკუნეებიც რამდენიმე ცალკეულ პერიოდად დაყო. ძველითად, ქრისტიანობის შემოდება საქართველოში, ქრისტიანობის მიღებიდან ვახტანგ ვორგასლამდე, ვახტანგ ვორგასლის მეფობა, კავკასიაში ირანელთა მფლობელობა, საქართველოში არაბთა მფლობელობის ხანა

ბაგრატ III-ის გარდაცვალებამდე და სხვ. შეხედვში, ამ მხრივ, თავისი სიტყვა თქვეს დიმიტრი ბაქრაძემ, მოხე ჯანაშვილმა. „ისტორია საქართველოს“ უძველესი დროიდან X საუკუნემდე იყო მოყვანილი. ამ ჯანაშვილმა საქართველოს ისტორია X საუკუნემდე 2-3-დროიდან განსაზღვრა: 1. „უძველესი ხანა“, უძველესი დროიდან ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე და 2. „სამუალო ხანა“, რომელიც მოიცავს პერიოდს ვახტანგ გორგასანიძიდან X საუკუნის მიწურულამდე. იგი ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიის ის საუკუნეები (უძველესი დროიდან XV ს. ჩათვლით), სამ ძირითად ხანად დაყო: შუამდინაველნი, შუამდინაველნი და აბრამინაველნი.

ფეოდალური ხანის საქართველოს პერიოდიზაციის შემდგომ დაზუსტებასა და დახვეწაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სიმონ ჯანაშიამ, ნიკო ბერძენიშვილმა.

ყოველი ქვეყნის ისტორიის პერიოდიზაციას საფუძვლად უნდა დაედოს წარმოების წესში მომხდარი ცვლილებები; მაგრამ, ამასთანავე, ანგარიში უნდა გაეწიოს, აგრეთვე, იმ ცვლილებებსაც, რასაც ადგილი აქვს ზედნაშენურ მოვლენებშიც. კლასობრივი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შიგნით განვითარების ერთიმეორისაგან განსხვავებული საფეხურების დასადგენად და გამოსაყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, კლასობრივი ბრძოლის განვითარებას და გაფართოებას, რაც, ცხადია, თავისთავად მიუთითებს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების გარკვეულ დონეზე.

IV საუკუნე, ქვეყნის ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხურზე შედგომის პერიოდი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებასა და კულტურაში, დიდი მნიშვნელოვანი ძვრებისა და გარდაქმნების საუკუნეა. ამ დროიდან იწყება, სავთოდ, ფეოდალური ხანა საქართველოს ისტორიაში, კერძოდ, მისი ადრეფეოდალური პერიოდი.

ადრეფეოდალური ხანა, რომელიც საქართველოში X საუკუნის დასასრულამდე გრძელდება, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს ცალკეულ პერიოდებად. ასე მაგალითად, ადრეფეოდალური ხანის ამომავალ ამინოდამდე უნდა გამოვეყოთ IV-VI საუკუნეები, როგორც ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვის, მისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საუკუნეები; VI-VIII საუკუნეები, ამორა ამარიონი, როცა მსხვილი მიწათმფლობელობის წარმოშობამ და განვითარებამ ადრინდელი ფეოდალური ურთიერთობა კიდევ უფრო ახალ და მაღალ საფეხურზე აიყვანა. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ადრეფეოდალური საქართვე-

დროს ისტორიაში იწყება მასამ პერიოდი. ესაა ფეოდალური დატყვემცებულობის პერიოდი, რაც პირველ რიგში, ქართლისა და კახეთის სამეფოებსა თუ საერისმთავროების ნაცვლად, კახეთის, პერიოთის, ტაღარჯეთის სამთავროთა, თბილისის საამიროსა და ვერის სამეფოების სამეფოს ჩამოყალიბებაში და, ამის შესაბამისად, ერისმთავართა ხელისუფლების დაყოფაში გამოიხატა. ამ დროს აღწევენ დამოუკიდებლობის მმართველობაში, როგორც ფეოდალური სამთავროები, ასევე ზოგ შემთხვევაში ცალკეული ფეოდალური ქალაქებიც. ადრეფეოდალური ხანის ეს შესაძე პერიოდი, ხელისნობის ცალკეული დარგებისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, საქართველოში აღინიშნა როგორც „ახალქალაქების ხანა“. ამასთან, ადრეფეოდალური ხანა იყო აგრეთვე, ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანა. ერობრივად, კულტურულად და კელესიურად ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბება წინ უსწრებდა მათ პოლიტიკურ გაერთიანებას და ამ უკანასკნელის საფუძველს შეადგენდა.

XI-XV საუკუნეები წარმოადგენს განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდს. ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით მოცემული პერიოდი იყოფა ორ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ეტაპად. პირველი - XI-XIII სს. დასაწყისი - ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების აღმავალი ეტაპი იყო. კერძოდ, XII-XIII სს. მიჯნაზე შუა საუკუნეების საქართველო ერთიან, შედარებით ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ იქცა და თავისი ისტორიული ცხოვრების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. მოსახლეობა ორი ძირითადი კლასისაგან - გამატონებული ფეოდალური კლასისა (აზნაურობა) და ექსპლოატირებული, ფეოდალურად დამოკიდებული ვლეზობისაგან შედგებოდა. ცალკე წოდებრივ ჯგუფს წარმოადგენდა ვაჭრები. ისინი კი ორ ძირითად კატეგორიად - დიდვაჭრებად და წერილვაჭრებად იყოფოდნენ. ქალაქებში მრავლად იყვნენ აგრეთვე ხელისუბებიც. XIII საუკუნის დასაწყისისათვის საქართველო განიცდიდა სერიოზულ მნივან სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს. ამ კრიტიკულ მომენტში შეპოხილენ საქართველოს მონღოლ-თათართა ურდოები. XIII საუკუნის შუა წლები და XV საუკუნე წარმოადგენდა სამინაო და სავარყო ვითარების გაუარესების პერიოდს, რამაც გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის თანდათანობითი დაქვეითება, რომელიც XV საუკუნის მიწურულს ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაშლით დასრულდა.

მონღოლების მიერ წელში გატეხილ საქართველოს რეგრესიული მუსრავდნენ ვარშე მტრები - ოსმალები და ყიზილბაშები, დაუსტრეფი ფეოდალები და სხვ. საგარეო თუ სამხაო ფეოდალური ომები, მუდმივი კრიზისული საფრთხე და ტრაგედიები, რბევ-აწიოკება ვერ [წინსწდრ] ღერა, დაუცხრომელი ჭიდილი პროგრესული და რეაქციონული მსგენსებ მაგრამ, ამავე დროს, ხალხის არაჩვეულებრივი გამძლეობა და შეუდრეკელი ბრძოლა ბედნიერი მომავლისადმი - აი ასეთი იყო ეს წინააღმდეგობათა ხელონებით აღსავსე ეპოქა.

XVI საუკუნე იყო ქვეყნის გამართიანებულ და გამოიშველ ძალითა ჭიდილის ეპოქა. ამ საუკუნის შუა წლებში ირან-ოსმალეთის სახელმწიფოებსა „საქართველოებად“ დაშლილი ქვეყანა შუაზე გაიფეეს და ამით მისი შინაგანი ძალებით გაერთიანების დიდ საქმეს თითქმის გადაულახველი დაბრკოლება შეუქმნეს. XVI საუკუნის 80-90-იან წლებში ოსმალეთის იმპერიამ თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიპყრო და, კერძოდ, საქართველოს სამცხე-საათაბაგო წაართვა. ქართველმა ხალხმა თავის ქვეყნის ერთი მესამედი ნაწილი დაკარგა. XVII საუკუნის დამდევიდან კი შამ აბასის ირანის ტირანამ იმბლაგერა აღმოსავლეთ საქართველოში. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პროცესი გრძელდებოდა. მოუხედავად ამისა, XVI-XVII საუკუნეები ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში მარტო ნგრევა-აწიოკებისა და საგარეო მტრების წინააღმდეგ ომების ხანა როდი იყო. დროდადრო ხდებოდა, როგორც ეკონომიკურა, ისე კულტურული აღმავლობა. XVIII საუკუნის შინიშენელოვანი მოვლენა იყო ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანება. ამავე საუკუნის მიწურულს რუსეთ-საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც 1801 წელს დაირღვა რუსეთის მხრიდან.

ფეოდალიზმის პერიოდი XIX საუკუნეში კაპიტალისტურმა ეპოქამ შეცვალა. საქართველოს სამეურნეო განვითარება კაპიტალისტური გზით წარიმართა. ეს პერიოდი აღსავსეა უაღრესად შინიშენელოვანი ძვრებით ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკურა, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში. კაპიტალიზმის განვითარებას მოჰყვა ძირული ცვლილებები სოციალურ ურთიერთობაში, კლასობრივი ძალების განლაგებაში, საზოგადოებრივ აზროვნებაში, სულიერი და მატერიალური კულტურის დარგში და ა.შ. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში იჭრებოდა ახალი მოვლენები, რომლებიც ძველთან მძიმე შერკინებაში ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოდიოდა. მაგრამ ეს ახალი ერთნაირი ტემპით როდი იკაფავდა გზას. იგი გაცილებით

მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდა 30-50-იან წლებში, ვიდრე მომდევნო ხანაში. ასევე ხანაში მოხდა საგლეხო რეფორმა (1864). ამ პერიოდში საქართველომ დაკარგა თავისი სახელმწიფოებრიობა, იგი რუსეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ცხოვრების ყველა სფეროში რუსული მფლობარეობა შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს. ანალოგიური მფლობარეობა იყო საეკლესიო ცხოვრებაში, 1811-1814 წწ. საქართველოს საეპისკოპოსოები გაუქმდა. გაუქმდა კათალიკოს-პატრიარქის ტახტი. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეპარქოსოდ გარდაიქმნა.

ინფორმაცია „საზღვარში“ - საქართველოს საზღვარების ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

საზღვარი არის საზღი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, ყოფს ორ ტერიტორიას, ორ ადგილს ურთიერთისაგან, იგივე მივჩნე, ზღვარი. სულხან-საბას განმარტებით საზღვარი ნიშნავს „საზღვრის დაღებსა და დასასრულსა, ვითარ-იგი საზღვრად სახელისა ითქმის დასასრული მისი და საზღვრად ადგილისა სხვათა ადგილი“. ეს ტერმინი ძველიდანვე ამ მნიშვნელობით იხმარებოდა. ასე, რომ საზღვარი უფლებს, მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინია. საზღვრის მფლობელ ტერიტორია შეიძლება იყოს - ქვეყანა, მხარე, ქალაქი, სოფელი, მამული და ასე შემდეგ. საზღვარი ის საზღა, რომლის შიგნით ვისიმე უფლება მოქმედებს, რომლის შიგნით ამა თუ იმ სუბიექტის ურთიერთობა ხორციელდება. აქედან, ბუნებრივია, საზღვარი შეერქვა თვით იმ ტერიტორიასაც, რომელზედაც ეს უფლება ვრცელდება. ლეონტი მროველი აღნიშნავს: „მოვიდეს - ანდრია და სემონ კანანელი აფხაზეთის და ვერისს. და მუნ აღესრულა წმინდა სემონ კანანელი ქალაქსა ნიკოფისისასა საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქციენა მგერულნი და წარუდგა ვახას კლარჯეთისასა“. საზღვარი ორი ქვეყნის კუთხილილებაა. არ შეიძლება საზღვარი ვინმეს კუთხნილება არ იყოს, ვინმეს უფლებაში არ იყოს. საზღვარი არის პოლიტიკური, როცა ორი ქვეყნის გამოყოფა. ამასთან, არსებობს საზღვარი თვით ქვეყნის შიგნით. ეს საზღვარი განუყოფელია და მის დასაცავად ქვეყნის შიგნით ყველა უნდა ზრუნავდეს, ყველის ინტერესში უხდა შედიოდეს. ასეთია მაგალითად, სამონადირეო, სათევზაო და სხვ.

ქვეყანა მხოლოდ საზღვრებში წარმოიდგინება. ესაზღვრო ქვეყანა უაზრობაა. იგი გვარსაც აქვს, ტომსაც, ერსაც, კაცობრიობასაც, ისტორ-

როული გეოგრაფია, ესაა ტერიტორიის ისტორია, ამ ტერიტორიის წარმოქმნის, გაფორმების, ზრდის და ვადამუნების ისტორია. ტერიტორია კი არის ამა თუ იმ საზოგადოების მიერ „ათვისებული“ მიწა-წყალი. ათვისება სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი შედეგების მომენტია.

ბ ი ზ ლ ი რ ი თ ე კ ა

ქართულმა კაცმა დასაბამიდან საუკუნეების მანძილზე შექმნა მტკიცედ ჩამოყალიბებული სასაზღვრო სისტემა, როგორც ქვეყნებს შორის, ისე ქვეყნის შიგნით. საზღვრების ამ ჩამოყალიბებულ სისტემას თავისი საფუძველი და კანონები გააჩნდა. სწორედ ამ პრინციპით შეიქმნა საქართველოს, როგორც ქვეყნის საზღვარი. ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ საქართველოს საზღვრების ცვლილებებს უძველესი პერიოდიდან დღემდე.

საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მოლიანს წარმოადგენდა (პ. ინგოროყვა) – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიკურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა იგი საუკუნის ისტორიამ. საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით. ამავე დროს, იგი არის ერთი ქვეყანა შემოფარვლული ბუნებრივი საზღვრებით.

სრულიად საქართველოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი ისტორიულად გაცილებით შორს გადიოდა. XI საუკუნეში იგი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც კავკასიონის მთავარი ქედი იწყებოდა. მოსაზღვრე ხაზად მდ. ყუბანის შესართავი და კავკასიონის ქედის წვერი ითვლებოდა. ლეონტი მროველი ასე ჩრდილოეთით აგვიჩერს ამ საზღვარს. ეს იმიტომ, რომ მამინ ჯიქეთი აბხაზეთს ეკუთვნოდა. ტუაფსე (დოაბზუ) აფხაზეთა საკუთრება იყო. უფრო მეტიც, ბოლო პუნქტი ტუაფსეს უფრო ჩრდილოეთით იყო ხეკოფსია, რომელიც დღევანდელი სოფო-მახაილოვკასთან მდებარეობდა. მაგრამ საკუთრივ აბხაზეთის ჩრდილოეთის საზღვარი ბიჭვინთის მონასტრის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ხოლო ამის შემდეგ, აბხაზეთა ტომის ჯიქების მიწა-წყალი იწყებოდა. ეახუშტის დროს (XVIII ს. I ნახევარი) აბხაზეთისა და ჯიქეთს შორის საზღვრად ზღვა და კაპოეტისწყალი (მდ. ბზიფი) იყო. ჯიქეთის ჩრდილოეთით საზღვარი კი წინანდებურად კავკასიონის ქედი ყოფილა. ტომთუე გაბამეილის რუკაზე აღნიშნულია კაპოეტისწყალი, შემდეგ საზღვარია გავლუბული და აწერია „აქეთ ჯიქეთი“, ე.ი. ჯიქეთი კაპოეტისწყლის ჩრდილოეთით მდებარეობდა. გამოდის რომ ბზიფი მოლიანად

აფხაზეთის საზღვრებში იყო, ამიტომ მოსაზღვრე ხაზი ამ მდინარის აუზის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მდებარე გამოყოფი ქედ-ქედი რუკებზე ბოდა. აქედან მოყოლებული აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის უსწორეს ტოტე-თამდის.

ს ი ვ ლ ი რ ი თ ე კ ა

ტომობრივ მოსახლეობის მხრივ XVIII ს-ის დასასრულს აფხაზეთი შემდეგ ნაწილებად იყოფოდა – აზიუმის ხეობა (პიხეის ქვემო წელი ვუდაუთამდე), ვუდაუთისა და მდ. კოდორს შუა სააშუაორობ აზხაზაშთის თხემი, შესამე აზუმილუთი (მდ. კოდორსა და დალიძეას შორის), მუთიხე სააშუაზაზაბო (დალიძეასა და ენგურს შორის), მუხუთე შუამილუა (მდ. კოდორის ხეობის შუა ნაწილი).

მართალია, 1810 წლის 17 თებერვალს აფხაზეთის მთავარმა შარვაში-ძემსკ მიიღო რუსეთის მფარველობა, მაგრამ ფაქტობრივად XIX საუკუნის მთორე ნახევრის დამდეგამდე აფხაზეთში მაინც რუსებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკადა და მხოლოდ 1864 წლის 1 მაისს რუსეთთან საბოლოოდ შვერთებული იქნა აფხაზეთი, თვით აფხაზეთის მთავარს მთელი შთამომავ-ლობით მთავრის უფლება სამუდამოდ ჩამოერთვა.

საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი აფხაზეთის შემდეგ სვანეთის ჩრდილოეთის საზღვრით არის მოხაზული და აქაც ბუნებრივ ზღუდეს მიხდევს, კავკასიონის მთავარ უღელტეხილის მარადიოვლიან ქედს რაჭის საზღვრამდის. შემდეგ საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი თეძი და მისი საზღვრის ხაზიც იმავე უღელტეხილის მთავარ ქედზე დეკლუთამდე მიდიოდა. დეკლუთი კავკასიონის უღელტეხილს ორ, მთავარსა და პრიქითელს ქედებს შუა არის მოქცეული. თვით დეკლუთი ამ ადგილას საქართველოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაპირე ქვეყანა იყო. ძველიდანვე დეკლუთი საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამ საზღვარს განსაკუთრებული ყურადღება XII საუკუნიდან მიექცა და პოლიტიკურადაც მტკიცედ აქ ქართველობამ ფეხი დავით აღმაშენებლის დროს მოიკადა. შემდეგშიც, საქართველოს დაუძღურების დროსაც, XVIII საუკუნის დასაწყისშიც, დეკლუთი ქართველთა ხელში იყო. აღმოსავლეთით მას საზღვრავდა თრუსო და ხევი. დეკლუთი იყოფოდა – კასრის ხევიდ, ზრამვავდ, ვლეუდ, ნარად, ზროვიდ და ზახად. XIX საუკუნეშიც თავდაპირველად თბილისის გუბერნიის საზღვრებში იყო მოქცეული და მთიულეთის ოლქს ეკუთვნოდა. შემდეგში რუსეთის მთავრობამ დეკლუთი ანუ არდონის ხეობა საქართველოს ჩამოაშორა და თერვის ოლქს შეუერთა.

დვალეთის აღმოსავლეთით საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარი ისევ კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს მიუყვება და მხაროდ დარიალის ხეობასთან იგი ქედს იქით გადადიოდა და უფრო ჩრდილოეთით იყო წაწეული. აქ იყო დარიალის კარი, რომელიც დღევანდელი ღარსის ტერიტორია უნდა იყოს. ამაზე ჩრდილოეთითვე საქართველოს სამელობლოს უკანასკნელი ფეხსმოსაკედბელი ადგილი „ნასასახლევი მუევია“, რომელიც დაახლოებით ახლანდელ „ქრასოვსკოე“-ს მიდამოებში უნდა ყოფილიყო. სწორედ აქედან ერთი კილომეტრით სამხრეთით ვადიოდა საქართველოს ჩრდილო საზღვარი.

შემდეგ საზღვარი მდ. ქისტურის ხეობის გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უხვევდა და კვლავ კავკასიონის უღელტეხილის მთავარ ქედს აღწევდა. ამის შემდეგ საზღვარი ქედ-ქედს მიუყვება. ხევსურეთისა და თუშეთის ტერიტორია მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილო მხარეზე გადადიოდა. საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი იგივე ჰერეთის საზღვარი იყო. აქ საზღვარი ჯერ დაღესტნის მთები იყო, სახელდობრ, კავკასიონის მთავარ უღელტეხილის აღაზნის შემდინარეების გამყოფი ქედი. ჩრდილოეთით მას არიმისწყალი, სამხრეთით ჯერ აღაზნისა და იორის შესართავი ესაზღვრებოდა, ხოლო შემდეგ საზღვარი აღაზნის პირას ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა იმ ადვილამდის, სადაც ვიმისწყალი აღაზანს ერთვის. შემდეგ საზღვარი ვიმისწყლის სამხრეთით მდინარის გასწვრივ მისდევდა მის სათავემდე, რომელიც კავკასიონის უღელტეხილში იყო. როცა რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო შეიერთა კარი და ბელაქანი.

ზაქათალას ოლქის შემდგომ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარი იწყებოდა. ძველად მთელი ეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიც მტკვარამდე და დებუდას წყალგამყოფ მოებამდე ჰერეთის ნაწილებად ითვლებოდა. მისი უკიდურესი აღმოსავლეთ კუთხე, რომელიც ზაქათალის ოლქს ზედ გვერის კამბეჩანის ანუ ქიზიყის სახელით არის ცნობილი. მისი სამხრეთი საზღვარი იყო უფადარი და წინამძინდორი ხორანთამდე. წინამძინდორად იწოდებოდა ის ველი, რომელიც სამხრეთით იორსა და აღაზნის შესართავთან თავდებოდა, რაც ახლანდელ ვლდარის მინდორს შეესაბამება, უფადარი კი დაახლოებით სამხრეთით მდებარე ადგილია. ახლანდელი ჯეირან-ჩელი. ამდენად, საზღვარი იწყება იქ, სადაც ვიმი აღაზანს ერთვის, შემდეგ სამხრეთისაკენ მიდის აღაზნის გასწვრივ მასსა და იორის შესართავამდე. აქედან საზღვარი მდ. მტკვარზე ვადიოდა.

შემდეგ მდინარის პირს მოუყვებოდა ჩრდილო-დასავლეთით ძვ. აღმოსავლეთის შესართავამდე, ჰერეთის ამ ნაწილს საზღვრად ქონდა ჩრდილო-დასავლეთით მთა ვარყევისა მწარეწყლამდე, ხოლო სამხრეთით მწარეწყალი.

ჰერეთის ნაწილი, რომელიც ვარაიად იწოდება, სამხრეთ-დასავლეთით უამე ქვემო ქართლია. ქვემო ქართლის აღმოსავლეთ ნაწილს ამავე დროს ვარდაბნის საერისთავოს ნაწილი იყო. სამხრეთი საზღვარი საქართველოს პოლიტიკური სიხუსტის დროსაც, თუნდაც XVIII საუკუნეში გაცილებით სამხრეთით იყო, ვიდრე ქურდვაჭრის ხეობის ქედი. განხვისა და ერეკნის სახანოებს რომ თავი დაეკანებოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ერეკლეს ყმად ნაფიცნი იყვნენ და ყოველწლიურად ნებაყოფლობით ხარკს იხდიდნენ და რომელთა მმართველები ხანებად მეფის მიერ იყვნენ ხელმე დამტკიცებულნი, ვახაზი, შამშადილი და შამქორი საქართველოსთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი და ქართველთა ერთგულობას იჩენდნენ.

ქვემო ქართლის სამხრეთი საზღვარი ამავე დროს საქართველოს სამხრეთი საზღვარი იყო. ვერ კიდევ წევს წელთაღრიცხვამდე საქართველო და სომხეთი მეზობლად ყოფილან, მაგრამ თავდაპირველად სომხეთის მიწა-წყალი მცირე იყო და მას შემდეგ რაც ანტიოქოს დიდის სარდლებმა არტაქსამ და ზარიადრმა ცალ-ცალკე ორი სომხეთი სამეფო დაარსეს, თეთ სომხეთის პოლიტიკური საზღვრები გაფართოვდა. მამის ქართველთა ტომებისათვის წაურთმევეათ პარიადრის სანახები, რომელიც ტაოსა და სერს შეიცავდა, ხორზენი და გუგარეთი (გუგარენი), ხოლო ზალიბებსა და მოსინიებს – კარინი და დერქსანი. ეს ამბავი ძვ. წ. 191 წელს მომხდარა, როცა სომხეთს პირველი იერიში მოუტანიათ ქართველთა მიწა-წყლის დასაპყრობად.

გუგარენი ანუ გუგარეთი შეესაბამებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილს, რომელიც დაახლოებით ჭოჭკახისა, ბოლნის-დმანისის, ლოქის ხეობათა, ტაშირს, აბოცს და თრიალეთის სამხრეთ ნაწილს მოიცავდა. ზოგჯერ გუგარეთს პოლიტიკური მიხეზების გამო ფართო მნიშვნელობა ენიჭებოდა და უფრო ვრცელი მოხაზულობა ქონდა. ქართული საგეოგრაფიო ტერმინოლოგიით ეს გუგარეთი უფრო ხშირად ქვემო ქართლად იწოდებოდა, ხოლო რუსთა ბატონობის შემდგომ ბორჩალოს სახელით არის ცნობილი. ტოპოგრაფიულად გუგარეთი ანუ ქვემო ქართლი ბუნებრივი საზღვრებით არის შემოსაზღვრული; სამხრეთით ერეკნის მთები, იგივე ბამბაკის ქედი, 1 საუკუნის დამდეგს ეს კუთხე ვერ კიდევ სომხეთსა ხელში ყოფილა. მაგრამ იმავე საუკუნის 35

წლიდან მდგომარეობა შეიცვალა. ვარაუდობენ, რომ ამ დროს უკან უნდა დაებრუნებინათ გუგარეთი. ამასთან, გუგარეთის ქართულთა მიერ უკან დაბრუნების შესახებ ვარკვეული პირდაპირი ცხობები IV საუკუნიდან მოიპოვება. 374 წელს სომეხთა მეფე მოკლულნი იქნა ანის შემდეგ სომეხ არმაკუნიანთა სამეფო შეუჩერებლად უკანსა ამ სამეფოს პოლიტიკურ დაუძღვრებას ხელი შეუწყო იმ ქიშპობამ და ბრძოლამ, რომელიც ამ ქვეყანაში უფლისწულების არმაკისა და ხოსროს შორის ატყდა, სომხეთის ტახტის გამო. ეს ცალობა 387 წელს სომხეთის ორ სამეფოდ გაყოფით დამთავრდა. ამ პერიოდში ქართველებს სომხეთისაგან თავიანთი ქვეყნები უკან დაუბრუნებიათ — გუგარეთი, გარდაბანი და კარწახი.

შემდგომში, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში სომეხთა მეფეც ვაერთა და აფხაზთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ჩადგა. ამის წყალობით სომეხთა მეფეს ქვემო ქართლის ნაწილის ზოგიერთი ადგილი ჩაუვდია ხელში, მათ შორის ტაშირი. ამ გაერთიანებას აშოტ ბაგრატიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. გუგარეთი მასაც ქართულად და ქართველთა მიწა-წყლად მიაჩნდა და სწორედ ამ ქართველთა ქვეყნის დაპატრონების ძალით მან თავის თავს ქართველთა ერისთავთერისთავი დაარქვა. მას კარგად ესმოდა, რამდენად ძვირფასი იყო ქართლის ის ნაწილი, რომელიც მას ხელში ჩაუვარდა, საქართველოს თავდაცვისათვის.

ეს იყო სომეხთა მეორე იერიში საქართველოს საზღვრების ვადმოსალანაგად. აღსანიშნავია, რომ სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური განახლება ამ დროსაც სომეხთა შემოსევით დაიწყო. X საუკუნის დასასრულს ტაშირი და „ქართველთა ველი“, ბოლნის-დმანისის ხეობანი, სომეხთ ექირათ და დავით გურგენის შვილს ეყრა. ქ. სამშვილდე მან თავის საჯდომად აქცია, აიღო ქ. დმანისიც.

ვერც ამ მეორეჯერ სომეხთა მიერ დაპყრობამ შეცვალა არსებითად ქვემო ქართლის ძირითადი კუთვნილების საკითხი. XI საუკუნეში ლეონტი პროველს ტაშირიც, ლორეც, ბოლნის-დმანისის ხეობანიც წინანდებურად, ქართლის კუთვნილებად და ნაწილად მიაჩნდა. საისტორიო გეოგრაფიას ამ დროს სომეხთა ამ კუთხეში პოლიტიკური მმართველობის სახსოვრად ტერმინი „სომხითი“ შერჩა. ეს სახელი ძველად სრულიად უცნობი იყო და მხოლოდ X საუკუნიდან მოყოლებული გვხვდება. „სომხითი“ ეწოდებოდა მხოლოდ ბოლნის-დმანისის ხეობებს და ლორეს ველსაც. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სომხითი“ მარტო ქართულად და ქართველ მწერლობაში იხმარებოდა; სომხები და სომხური

საისტორიო მწერლობა ამ ქვეყანას „სომხთის“ არ ეძახდნენ, პირადად, ისინი ღორე-ტამირის ველს „ქართველების ველს“ უწოდებდნენ. ამ ტერმინში უტყუარი დამამტკიცებელი საბუთია შენახული, რომ თავანთ პოლიტიკური ბატონობისდა მოუხედავად, თეთი ქვეყანა „სომხთის“ თავისთავად ქართველთა კუთვნილებად თვლიდნენ. ქართულ საისტორიო წყაროებში „სომხითი“ არა მარტო ქვემო ქართლს, არამედ სომხეთსაც (არმენია) ეწოდებოდა.

XI საუკუნიდან მოყოლებული მდგომარეობა თანდათან იცვლება. მას შემდეგ რაც ბაგრატ III-მ აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო საბოლოოდ გააერთიანა, ქართველობამ წელი გაიმყარა და საქართველოს შემდეგი მეფეები ჩვენი ქვეყნის ამ კუთხის მტრისაგან განთავისუფლებას შეუდგნენ, რომელიც ვერ კიდევ უცხო, ვარეშე ძალის ხელში იყო შეჩვენული. თბილისის საამირო და სომეხთა მიერ დაყრობილი მიწები იყო შემოსაერთებელი და XI საუკუნეში ქართველთა მიერ დღეს აღმოსავლეთ სწორედ ამ მიზნის განხორციელებას მოხმარდა.

1065 წელს სამშვილდეში „სომეხთა მეფედ“ კვირიკე ივღა ბაგრატ მეფემ კვირიკე მეფე ქვეშის ჭალას დაჭყრინა. ამგვარად, ამ „სომხთის“ დამოუკიდებლობაც მოისპო და მისი მეფენი საქართველოს მოხარკენი გახდნენ. თურქ-სელჩუკების შემოსევამ, საქართველოში გიორგი I-ის მეფობაში ვარეშე ძალის მიერ დაყრობილი ქვემო ქართლის შემოერთების პროცესი დროებით შეაფერხა. ომას შემდგომ, ქართლის სამხრეთ ნაწილში „სომხეთის“ მეფობის არსებობაც მოისპო. როდესაც დავით აღმაშენებელმა 1110 წელს ცალკე დაუბრუნა საქართველოს სამშვილდე, როცა ციხე ღორე და აგარანი წართვა, ეს უკვე ქართლის სამხრეთის ნაწილის სომეხთა ბატონობისა და მძლავრობისაგან განთავისუფლება კი არ იყო, მაშინ „სომხითი“ პოლიტიკური ერთეული უკვე აღარ არსებობდა, — არამედ თურქ-სელჩუკებისაგან გამოვლივდა. ამერიდან მოყოლებული მივლი ეს კუთხე, საქართველოს უცილობელ და განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა და სომეხებს აღარ სჭერიათ.

ქვემო ქართლის შემდეგ საქართველოს საზღვარი ზემო ქართლზე გადიოდა. ეწოდებოდა ამ მხარეს მესხეთი. მესხეთი რამდენიმე თემს მოიცავდა. მესხეთის სანაპირო თემებად აღმოსავლეთით ჯავახეთ-ამოცი, შემდეგ არტაან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი და თორთომ-ისპირი იყო. კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთით ზღვის პირას ტრაპი-ზონამდის უკვე ღაზისტანი, ანუ ჭანეთი იყო.

აბოცი ჯავახეთის სამხრეთით მდებარეობდა და ზოგჯერ მესხეთს ეკუთვნოდა, XVII-XVIII საუკუნეებში ის ქვემო ქართლის სამხრეთით იყო მოქცეული. აბოცს ძველად პალაკაციოსაც უწოდებდნენ. ვახტანგ VI-ის დროს ვაიყელიც ეწოდებოდა. სამხრეთ-დასავლეთით უფროსს საზღვრად აღბაბას მთა, რომელიც ერთის მხრივ პალაკაციოსს ტრამაჟ და აბოცს შორის მდებარეობდა. საზღვარი გადიოდა ირჯანის ანუ ყარაღაჯის და ბერდუჯის (ბეზობდალის) მთების შესაყარზე. აქედან ბაბას მთებს მიუყვებოდა ქედ-ქედ დიდ აღბაბას მწვერვალამდე; შემდეგ უკვე საკუთრივ მესხეთის საზღვარი იწყება და ყარსის მთებამდე წოდებულ მთაყარ წყალგამყოფზე გადიოდა, რომელიც მტკვარსა და ქოროხის შემდინარეების აუზს არეხის აუზისაგან კყოფს. შემდეგ საზღვარი მიუყვება ძველ დროს ირაჯლუს მთებამდე წოდებულ ქოროხისა და არეხის შემდინარეების წყალგამყოფი მთების ქედზე და ჩრდილო-დასავლეთით უხვევს ღაზისტანის საზღვრამდე.

უხველეს დროს ტაო და ისპირი ქართველთა ტომს ღაზებს ეკუთვნოდა, მაგრამ II ს. სომხებმა ტაო მიიტაცეს და გაიწადა შერეული მოსახლეობა. ვაქრისტანების დროსაც სომხებს ეკუთვნოდა. VI საუკუნეში სპარსეთ-ბიზანტიას შორის გამწვავებული და ხანგრძლივი ომებისა და რაღაც ხოლერის მსგავსი ქირის ვაერცვლების გამო, თითქმის მოისპო მოსახლეობა. ტაო ტყით დაიფარა. IX საუკუნეში აქ კვლავ ქართული მოსახლეობა ჩნდება. მალე ეს ქვეყნები ქართული საეკლესიო და სამოქალაქო კულტურის ნაყოფიერ ასპარეზად იქცა. IX-XIV საუკუნეების ქართული მრავალი ძეგლი, რომლებიც ჩვენამდეა მოღწეული, მჭერმეტყველად დამამტკიცებელი საბუთია.

ზემო ქართლი სამცხე-ჯავახეთიდან მოყოლებული ტაო-ისპირამდე ერთ საგამგეო ერთეულს, საერისთავო-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა. XIII საუკუნის დამდეგს თამარ მეფის მიერ დაარსებულ ტრაპიზონის იმპერიაში მოექცა ღაზისტანი, ანუ ქანეთი, მაგრამ შემდეგში იგი საქართველოს შემოუერთდა და ჯერ მესხეთის მთაყარს, შემდეგ გურიელს ეჭირა. ხოლო 1511 წელს სამცხის მთავრის, ათაბაგის ხელში გადავიდა. ოსმალითა გაბატონებამ მცირე აზიაში და კონსტანტინოპოლში მიყლი დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო განსაცდელში ჩაავდო, მიიტაცეს საქართველოს ტერიტორიის საკმაო ნაწილი. XVII საუკუნის პირველ მუთხედში დაიწყო გამაჰმადიანების პროცესი და მიერ XVIII და XIX საუკუნეების დამდეგამდე ვრძელდებოდა. ოსმალებმა სამცხის მფლობელნი „ახალციხის ფაშა“დ განაადეს.

ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო კვლავინდებურად მოკლეს ჭირაქის მხარესაც შეიკავდა და 24 თებამ ანუ სანჯაყად იყოფოდა.

როდესაც რუსეთმა საქართველო შემოიერთა, მესხეთი ანუ ახალციხის საფაშო ოსმალეთს შერჩა და მხოლოდ 1828 წელს შემოიერთებულა ექნა ამ საფაშოს ერთი ნაწილი. ადრიანაპოლის ზავით რუსეთმა შემოიერთა 24 სანჯაყიდან მხოლოდ 10 სანჯაყი, რაც ძველ სამცხეს, ჯავახეთს, პლაკაციოს და ერუშეთს უდრის. ეს მხარე შემდეგ ახალქალაქის და ახალციხის მაზრად და ფოცხოვის უბნად იყო წოდებული. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ მესხეთის შორე ნაწილიც ექნა შემოერთებული - აჭარა-ჭიბულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი, ოლთისი. პირველი სამი თემი ბათუმის ოლქი გახდა, ხოლო ერუშეთი, არტაანი და ოლთისი ყარსის ოლქის საზღვრებში მოექცა, თუმცა ერუშეთი (ფოცხოვის უბანი) ყარსის მხარეს 7-8 თვის განმავლობაში მოწყვეტილი იყო.

ქართველთა მოსახლეობის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაპირი ჭანებს ანუ ლაზებს უჭირავთ. აქ მოსახლეობა ჭანებისა ცხოვრობს რიზეს სანჯაყში. იგი ორ ნაწილად იყოფოდა: რიზეს და ათინას ოლქად. XX საუკუნის დასაწყისში პირველ მათგანში მოსახლეობას დედაენა დავიწყებული ჰქონდა და თურქული შეუთვისებია, ხოლო შორე - ათინას ოლქი, სადაც ჭანურია დედაენა.

ქართველთა ისტორიის ენციკლოპედია - საქართველოს
ისტორიული პარამეტრების, ქართველთა და
სხვადასხვა კუთხის მისწავლათა აღმნიშვნელი
ბარამეტრი

ყოველ ერს, ქვეყანას თავისი სახელი გააჩნია. ასეა ქართველი და საქართველო. თავდაპირველად ტერმინი ქართლი ერქვა ქართლისს (XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის მიხედვით ქართველ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი) საცხოვრებელს - მთას, შემდგომი დროის არმაზი (ქ. მცხეთის მდამოებნი), რომელიც ქართლის ტომის განსახლების ცენტრი, ხოლო მოგვიანებით შეფუთა რეზიდენცია იყო. ბრინჯაოსა და ადრეულ რკინის ხანაში სახელწოდება ქართლმა ზოგადი მნიშვნელობა შეიძინა. იგი ეწოდებოდა ეთნოგრაფიულად ჩამოყალიბებულ კოიზეს, რომელსაც ზემო, შიდა და ქვემო ქართლად იყოფოდა. სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ქართველური ეთნიკური მასივის ამ ყველაზე

უფრო დაწინაურებული და გააქტიურებული კომპონენტისა და მისი კომპაქტური დისლოცირების ძირითადი ტერიტორიის აღმნიშვნელსა სახელწოდებებსა - „ქართლი“ - „ქართლელი“ - ქართველი“ - დროთა განმავლობაში ფართო მასშტაბიანი დიფუზია განიცადეს და ქართველ-ეთნოგრაფიული ქართლის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველური მოსახლეობისა და ამ უკანასკნელის მიერ დაკავებული მიწა-წყლის, ხოლო შემდეგ უკვე მთელი საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელ ზოგად ცნებებად ფორმირების მიმართულებით. ამჟებ დროს, მათ დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნეს თავდაპირველი, შედარებით ვიწრო, კუთხური მინაარსობრივი დატვირთვა, რაც გულისხმობდა ტერმინების „ქართლის“ და „ქართველის“ (II „ქართლელის“) ტრადიციულ გამოყენებას ერთი განსაზღვრული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის - ქართლისა და მისი მოსახლეობის - ქართლელების მისამართით. მაგრამ, ქართლის ტომთა ჰეგემონობით წარმართული საციონაღურ კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინებისა და ერთიანი საქართველოსა და ქართველი ეროვნების ფორმირების შემდეგ ეთნონიმ „ქართველს“ სამწავი მინაარსობრივი დატვირთვით ხსარებული ტერმინის ფუნქცია გაიზარდა (1. ქართლის, დამოუკიდებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის, 2. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქართლის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები და საბოლოოდ ქართლიზრებული ქართველური მოსახლეობის და 3. მთელი საქართველოს მკვიდრი ქართველური მოსახლეობის აღსანიშნავად). მოგვიანებით, XIX საუკუნიდან, იგივე სახელწოდების რამდენადმე ტრანსფორმირებული ვარიანტი, თავის დროზე სწორედ „ქართველის“ სინონიმური მნიშვნელობის მქონე სახელწოდება „ქართლელის სახით“, რომელსაც ამჟებრად უკვე მარტოოდენ ქართლელებზე, როგორც ქართველი ხალხის ერთ კონკრეტულ ტერიტორიულ ჯგუფზე დავიწროებული კუთხური ტერმინის როლი დაეკისრა. შესაბამისად, სახელწოდება „ქართველმაც“ მხოლოდ მთელი ქართველი ხალხის აღმნიშვნელი შემკრებლობითი ეთნონიმის ღირებულება შეიძინა.

მართალია, საუკუნეების მანძილზე ქართლიზრებულმა მკვრელებმა და სვანებმა თავიანთ ენებში გვიანობამდე შექონაწესეს საერთო ქართველური მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ბირთვის - ქართლელების ირგვლივ კონსოლიდირებულ ქართულენოვან (ან ქართლიზრებულ) ტომთა ერთი მთლიანი მასივის მისამართით შორეული წარსულიდან

შედარებით ვიწრო გაგებით გამოყენებული შემკრებლობითი ტერმინი „ქართველი“, მაგრამ, სამაგიეროდ, მათსავე ცნობიერებაში თვითსახელწოდების მნიშვნელობით ღრმად გაიფიქრა ფართო გაგებით ხმარებაში დანერგულმა ეთნონიმმა - „ქართველი“, მეორე მხრივ მხოლოდ ქართლელთა მისამართით შედარებით გვიან გამოყენებაში დამკვიდრებულმა ტერმინმა - „ქართლელი“. ამასთან, მეგრულ და ხევსურ ენებში შემორჩა არქაული ტერმინი - ქართველის - ქორთუ და მქართი.

მაშასადამე, საუკუნეების მანძილზე აპრობირებული ეთნიკური ნომენკლატურის საბოლოოდ დაზუსტებული სურათის თანახმად, სახელწოდება „ქართველს“ უკვე დიდი ხანია მთელი ქართველი ხალხის აღნიშნული ტრადიციული ეთნონიმის ღირებულება გააჩნია, მაშინ როდესაც მის პარალელურად ხმარებული და ასევე საკმაოდ ასაკოვანი სახელწოდებები: „ქართლელი“, „მეგრელი“, „ხვანი“, „ჭანი“, „კახელი“ („კახი“), „იმერელი“, „მესხი“, „ჯავახი“, „გურული“, „რაჭველი“, „ლეჩხუმელი“, „თუში“, „ხევსური“, „მოხვეე“ და სხვ. კუთხური გაგებით ქართველი ხალხის ცალკეულ ლოკალურ ტერიტორიულ ჯგუფებს ფარავს.

ქართველი ერის შემადგენელ ეთნოტერიტორიული ჯგუფების სახელდების ხეობაში პირველ რიგში სწორედ ჩვენი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის უწყვეტად დასრულებას და ერთობ შორეულ წარსულში შემუშავებული, ხოლო შემდგომში ახალ ხიმაღლეზე აყვანილი ეთნიკური თვითშეგნების ჯეროვანი სიმტკიცის ფაქტორს უნდა უკმაფლოდეთ. X საუკუნის მწერალი გიორგი მერძულე „ქართლს“ მხოლოდ ეთნოგრაფიულ ერთეულად როდი თვლის, არამედ იგი საქართველოა ყველგან, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდება: „ქართლად ფრიადი (ე.ი. მრავალი) ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ფაში შეიწირვის და ლოცვამ ყოველი აღესრულების“ (ქართული მწერლობა, ტ. I, 1987, გვ. 591).

ამ აზრს ავითარებს XVIII საუკუნის ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი: „უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (იგულისხმება ქართლი), ანუ იმერსა (იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველო), მესხსა, და პერკახსა რა რჯული ხარ, წამს მოვიტებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამით ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნილი: და ჰკითხო რა წინოქმელთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყო“, მოვიტებს მის: „ქართული“, რამეთუ არა იტყვს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და პერ-

კახთისა, არამედ ქართულსა. ძესამედ: არასადაძე ვიხილავთ ძივთა შერებულთა და კელესა-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძეგლთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მუხეთა სახელნი, თენიერ: „ქუჩის მუხეთან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“? რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზეგან: ქუჩისძის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 291-292).

საქართველო სხვადასხვა ქვეყნის წყაროებში განსხვავებულად არის აღნიშნული. სომხები ქართველთა აღსანიშნავად ხმარობენ სიტყვა Virk. ეს ტერმინი სომხურში ფართოდ არის გავრცელებული. ამ სიტყვაში არის მრავლობითი დაბოლოება, ფუძე კი არის Vir. ამავე სიტყვიდან არის ნაწარმოები თანამედროვე სომხური სახელწოდება ქართველებისა Vrac'i. მაგრამ ზემოხსენებული სიტყვა არ არის ერთადერთი, რომელიც იხმარება სომხურში ქართველების აღსანიშნავად. დადასტურებულია - Vrkai, რომელიც ბერძნულ Ἐρχαῖνοι-ს თან არის მჭიდრო კავშირში. თავის მხრივ Vrk-ისაგან არის ნაწარმოები ძველი სპარსული Vrkān, ბერძნული, მკორე მხრივ, იმავე Vir- ფუძისაგან მიღებულია სპარსული Varā, რომელიც - ოქროსი სახელების მწარმოებელია. ამავე ფორმებიდან არის ნაწარმოები სპარსული Gurg, Gurgen, სირიული Gurzan, არაბული Gurzan და სხვ.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „იბერი“-საგან არის ნაწარმოები „ივერი“, რომლის ნაშთად ქართველების სომხური სახელი „ვირქ“ უნდა ჩაითვალოს და „იბერი“, „იბერელი“, იბერული. „ვირქ“ ფორმისაგან არის წარმოიშვარო ძველი სპარსული „ვრკან“, „ვრჯან“, ახალი სპარსული „გურჯი“, არაბული „გურზ“ (ჯურზ) და ასურული „გურზ“.

აღსანიშნავია, რომ სომხურ წერილობით წყაროებში ქართველები და საქართველოს აღნიშნული ტერმინები რამდენიმე ვარიანტით გამოითქმებოდა. უმეტესი მათგანი გამოიყენებოდა ქართველების აღსანიშნავად და არა ბიზანტიური წყაროების იბერიის სახით. საერთოდ კი, წერილობით წყაროებში სომხურში ტერმინები იბერია საქართველოს მნიშვნელობით იხმარებოდა და იმუთათად დასავლეთ იბერია (ესპანეთი). თეთ IX-XIII საუკუნეებში სომხური წყაროები „აბხაზს“ და აბხაზეთს“ ქართველების და საქართველოს მნიშვნელობით ხმარობს.

ბრველად იბერია (საქართველო) გვხვდება სამეოფან წარწერაში (ბერძნული, პართული და სამუალო სპარსული ენა). იგი შაპურ I (242-272) ბრძანებით იქნა გაკეთებული პერსეპოლისის მახლობლად, ნაყმე რუხ-თამად წოდებულ ადგილზე მდებარე ოთკეთსა ნაგებობაზე (ე.წ. ზორიას-

ტრის ქა'ას). ამ წარწერაში პირველადია საშუალო სპარსული, ხოლო ბერძნული და პართული შესრულებულია თარგმნილი წერილობითი ტექსტიდან. ტექსტის ამ ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია დამორჩილებული ქვეყნები, იხსენიება იბერია. სახელწოდება იბერუა, [ქართული] დაყვლია ბერძნულ წარწერაში. საშუალო სპარსულში ~~სპარსული~~ იბერია აღნიშნულია ტერმინით, „მგლისქვეყანა“. იგივე ტერმინი ჩანს პართულში. ინდო-ევროპულ სინამდვილეში მგელს ქიონდა რიტუალურ-რელიგიური დატვირთვა, რასაც მოწმობს სხვადასხვა ინდოევროპელი ხალხების ტრადიცია. იგი ფართოდ იყო წარმოდგენილი ეთნონიმებსა და ტოპონიმებში. მგელი, ირანელთათვის ტოტემური ცხოველი, ხშირად გვხვდება ანთროპონიმებში, ადამიანთა საკუთარ სახელებში.

ძველი ირანული Vrkaia - <Vrka - + ხუფიქსი -aiia - „მგლისა“, „მგლური“, საშუალო სპარსული Gurgin, უფრო ადრინდელი პართული ფორმა წარმოდგენილია სომხურ ნასესხებ სახელში Vrken. ხოლო სომხურში ფართოდ გავრცელებული Gurgin შეესაბამება ამ სახელის საშუალო სპარსულის ფორმას Gurgin (ეს მნიშვნელობა ვასმულია ქართველი მეფის შესახელში გორგასალი < სპარს. Gorgisar „მგლის თავის მქონე“.

ამრავად, საშუალო სპარსულსა და ქართულ ენებზე ქართლის (იბერია) ეწოდება მგლის ქვეყანა. ძველ ფუძეს ერთვის სუფიქსი. აქედან მიღებულია ძველი სპარსული ტოპონიმი Vrkaia.

არაბულ წყაროებში საქართველო აღინიშნებოდა „ჯურჯი“, „ჯურჯანი“, „აბხაზ“, „ალ-ქურჯ“, „აბილად ალ-ქურჯ“ და სხვ. საქართველოს თანამედროვე სახელწოდება არაბულში არის „ჯურჯიას“, რაც Georgian-ს არაბულ ფორმას წარმოადგენს. საქართველოს რესპუბლიკა გამოითქმის „ჯუმჰურიაა ჯურჯიას“.

ქართველებისა და საქართველოს აღნიშნული ტერმინები ძველ არამეულში არ გვხვდება. საშუალო საუკუნეებში არამეულში – სირიულში დადასტურებულია სიტყვები „იბერია“, „იბერი“, „იბერიელები“ ჯერ კიდევ V საუკუნის თხზულებაში „ცხოვრება ჰეტრე იბერისა“. სირიულში მოუთხოვთ „საქართველოს“ აღნიშნულ სხვა ტერმინსაც – gurzān, რომელიც უხსტი შესატყვისია არაბული gurzian||gurgan-ისა და სპარსული gurgan-ის. თანამედროვე არამეულში, ე.წ. ასურულში გავრცელებულია სპარსული ფორმები – gurgistan „საქართველო“ და guršaya „ქართველი“.

ძველ ებრაულ ტექსტში, მათ შორის ბაბლიაშიც, მოცემული ტერმინების ებრაული შესატყვისები არ გვხვდება, თუცა ცალკეული

ქართული ტომების სახელწოდებებზე ბიბლიაში ხშირად მოუთხოვენ. ხსენებული ტერმინები არ ვხვდება არც პალესტინის არაბულში, რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის დასაწყისში შეცვალა ებრაული ენა და ებრაელთა დედაენად იქცა. რამდენადაც ებრაული ენა-საქართველოს მანძილზე ცოცხალი ხმარებიდან გასული იყო და მოსარგებლობის მიზნით იყო საუკუნის შემდეგ, ჩვენს სინამდვილეში მოხდა, ბუნებრივია, რომ ამ ხნის განმავლობაში „ქართველებისა“ და „საქართველოს“ ებრაულად აღნიშვნის აუცილებლობა არ იყო. თანამედროვე ებრაულში ვხვდება ორგვარი სახელწოდება „საქართველოს“ გადმოსაცემად – gracyh=gruziya და gy'wrgyh=georgiya||georgiya. პირველი მათგანი იმეორებს რუსულ ტერმინს „Грузия“, მეორე კი ეყარება ლათინურ Georgia-ს, რომელიც შემდეგ დასავლეთ ევროპაში გავრცელდა.

ქართველი და საქართველო, მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, ოსმალურშიც „გურჯი“ და „გურჯისტანი“ იწოდება. აღნიშნული ტერმინები XV საუკუნიდან მოკიდებული თითქმის ყველა ტიპის ოსმალურ წერილობით ძეგლშია ფიქსირებული. „გურჯი“ აღნიშნავს „ქართველს“ და „ქართულს“. რამდენიმე ავტორი „საქართველოს ქვეყნები“-ს შინაარსით ხმარობს შესიტყვებას „გურჯი ვილაიეთლერი“ – „ქართული ქვეყნები“ ან „გურჯიან შემოღუქთლერი“. ასევე იშვიათად „საქართველოზე ლაშქრობა“ გამოისატება შესიტყვებით – „გურჯი სეფერი“.

„გურჯისტანი“ ოსმალურში პოლიტიკური მნიშვნელობისაა. როგორც წესი, იგი ეთნიკურ-გეოგრაფიული შინაარსითაა დატვირთული. „გურჯისტანი“ აღნიშნავს – 1. გაუდიფერენცირებლად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიას, 2. საქართველოს ერთ – ქართლი, კახეთი, სამცხე, იმერეთი, გურაა, სამეგრელო ან რამდენიმე სამეფო-სამთავროს, ან ქართული ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ მხარეს, 3. იშვიათად იგი ერთიანი, საქართველოს ისტორიული სახელმწიფოს ანუ „ყოველი საქართველოს“ აღნიშნული პოლიტიკური ტერმინია და ასეთ შემთხვევაში მას მსაზღვრედად ახლავს არაბული წარმომავლობის „ვეჭო“, „ვეშლე“ ან „უშუმანე“, „თამამან“ სიტყვები. დანარჩენ შემთხვევაში კი „გურჯისტანი“, ან განსაზღვრების გარეშეა ფიქსირებული, ან ახლავს „ქვეყნის“ თუ „ქვეყნების“ აღნიშნული არაბული წარმომავლობის, – „ვილაიეთი“, „მემლექთი“, „მემალიქი“ და „დიარ“ სიტყვები.

თითოეული ქართული პოლიტიკური წარმონაქმნი „გურჯისტანის“ პარალელურად იხსენიება თვითსახელწოდებითაც და გარე კონკრეტული

სახელით: ქართლი - „ქართილ“, „თიფლის ვილაიეთი“ - „ტიფლი“ - „ქახი“, „კახი“, მეტწილად კი მისი მოავარი ქალაქის სახელი ან მფლობელის ლეენ ხანის (ლევანდ ხანის ფორმით) ქვეყნის სახელით; იმერეთი - „ამოხაუკი“, „ამიკაში“, იშვიათად „ქუთაისის ვილაიეთი“, სამეგრელო - „მეგრილ“, „მეგრელისტან“, „დადიან“, „მეგვიანეთი“, „ოდიშ“, გურია - „გურილ“, „გურული“, „გურილე“, აფხაზეთი - „აფხაზ“, „აფკაზ“, „აბაზა“.

აღნიშნული ტოპონიმები ატარებს ეთნონიმის მნიშვნელობასაც: „ამიკაში“ კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს იმერეთი და იმერული; „მეგრილ“ - მეგრული და სამეგრელო, „გურილ“ გურია და გურული; „სვან“ - სვანეთი და სვანია, „აფხაზ-აბაზა“ - აფხაზი და აფხაზეთი. ამავე სახელებს ატარებენ იმერეთის მუვე, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის მთავრები.

XII-XVI საუკუნეების რუსული საისტორიო წერილობითი წყაროები ეყარებოდა ძველადმოსავლურ, ანტიკურსა და ბიზანტიურ ტრადიციას. ამიტომ რუსულ წყაროებშიც საქართველოსა და ქართველების აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინებს: „კოლხის“, „კოლზ“, „ივერ“, „ივერსკაია ზემლია“. ამავე დროს რუსმა შემატანელებმა შემოიღეს ახალი, ორიგინალური დასახელებაც - „ობეზ“, „ობეზი“, „ობეჟანი“.

ტერმინი „ობეზი“ ნიშნავდა როგორც თვით ქვეყანას, ისე მოსახლეობასაც. ხალხის აღსანიშნავად ზოგჯერ „ობეზი“-საც („обезы“) წერდნენ, აქ დაბოლოება „ი“ საკუთრივ რუსულია და ამ შემთხვევაში „ობეზი“ მხოლოდ ხალხს ნიშნავდა. „ი“ მრავლობითი რიცხვის ნიშანია. რუსული ტერმინი „ობეზ“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „აბაზგ“, „აფხაზ“ სახელწოდებას. მიუხედავად ამისა, მონარხოზობრივად საქართველოსა და ქართველებს ნიშნავდა. X-XIV საუკუნეებში შეიქმნა ტრადიცია, რომლის თანახმად ტერმინ „აფხაზეთის“ სამი მნიშვნელობა, სამი გაგება ჰქონდა. - საკუთრივ აფხაზეთის, მიუღი დასავლეთ საქართველოს და მიუღი საქართველოს (აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასთან დაკავშირებით).

ტერმინები „ივერ“, „ივერსკაია ზემლია“, „ივერსკი“ გვხვდება XV-XVI საუკუნეების რამდენიმე ნუსხაში. 1406 წლის ხელნაწერში კი ტერმინი „ივერ“ განმარტებულია როგორც „ობეზ“-ის იდენტური ტერმინი. ზოგიერთ ტექსტში გვხვდება ერთდროულად სხვადასხვა ტერმინის გამოყენების, ე.ი. პარალელურად ხსარების შემთხვევებიც. XVI საუკუნის ზოგიერთ ხელნაწერში უკვე შემოღებულია ახალი ტერმინი - „გურზი“

და ამ სახელისაგან წარმოებული ზედსართავი სახელი „გურზისკაია“ და „გურზინსკაია“. ეს იმის არ ნიშნავს, რომ „გურზი“ რუსეთში ამ დროს შეხოვლით. XV საუკუნის რუსი ვაჭრის ათანასე ნიკიტინის მიხედვით თუ ეპისკოპოსები, „გურზი“ 1466-1472 წლებში უკვე მოხსენიებული ხმარებაში, რადგან მისი მოგზაურობა სწორედ ამ პერიოდში დაწერილი. რუსული წყაროების ტერმინი „გურზი“ წარმოიშვა სპარსულში, არაბულსა და სირიულში დამკვიდრებული საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინებისაგან – „გურჯი“, „გურჯისტანი“, „გურჯ“, „გურჯანი“, „გურჯანი“, „გურჯანი“ და სხვ. ამ ფორმებისაგან რუსულ ენაში წარმოიშვა „გურზი“, რომელიც თანდათან ტრანსფორმირებულ იქნა „გურზი“-ად. ასე გაიწვია და დამკვიდრდა რუსულში დღეს მიღებული ტერმინები „გურზია“ და „გურზინი“.

რუსულ დოკუმენტურ მასალებში ქართლის უწოდებდნენ „კარტალინა“-ს, კახეთს – „კახეტია“-ს იმერეთს – ჯერ „მილიტია“, „მილიტინასა“ და „მერეტია“-ს უფრო მოგვიანებით „იმერეტია“-ს, გურიას – „გურიულსკაია ზემლია“-ს, სამეგრელოს – „დადიანსკაია ზემლია“-ს, მუშგომ – „მინგრელია“-სა და „მეგრელია“-ს, თუშეთს – „ტუსკაია ზემლიას“.

რუსულში დამკვიდრებული ტერმინები „გურზია“ და „გურზინი“ რუსული ენის მეშვეობით გავრცელდა უკრაინულსა და ბელიორუსულში, აგრეთვე დანარჩენ სლავურ ენებშიც. ვარდა ამისა, რუსულის მეშვეობით გავრცელდა სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და მის გარეთაც.

გერმანულენოვან წყაროებში საქართველოს ეწოდება „გეორგიენ“, ინგლისურენოვანში – „გეორჯიან“, ფრანგულენოვანში – „გეორჯი“, იტალიურში – „გეორჯია“, ხოლო ესპანურში – „ხეორზია“. ამის შესაბამისად ქართველებს გერმანულად უწოდებენ „გეორგიერ“, ინგლისურად – „გეორჯიანს“, ფრანგულად – „გეორჯენ“, იტალიურად – „გეორჯანი“ და ესპანურად – „ხეორზიანის“. როგორც ზედათ, ვეღა ამ სახელწოდებას ერთი ამოსავალი სახელი აქვთ, კერძოდ, სფუქვლად უღვს ტერმინი „გეორჯია“.

სახელწოდებებს „გეორგიენ“ და „გეორჯია“, როგორც ქართველებისა და საქართველოს აღმნიშვნელს, ევროპის ქვეყნებში XIII საუკუნის 20-40-იან წლებში უკვე პირვად იცნობდნენ.

ქართველებისა და საქართველოს აღმნიშვნელი ახალი ევროპული ტერმინების Georgian და Georgia-ს წარმოშობა სპარსულ-არაბულ „გურჯი“ და „გურჯი“-საგან საფოველთაოდ აღიარებულია.

აფხაზური და აბაზური ენები ახალდამწერლობიანი ენებია, რის გამოც არ არის საშუალება გავითვალისწინოთ ამ ენათა უძველესი მონაცემები. ამჟამად აფხაზეთში ქართველთა საერთო სახელწოდებად გამოიყენება ეთნონიმი ა-ქართუა. საქართველოს კონსტიტუციურ-მინი ქრთ-ტიგლა „ქართველქვეყანა“. აბაზურში ეს ტერმინები აღარ დასტურდება. მათ ადგილას იხმარება რუსული ენის გზით დამკვიდრებული გრუზინ და გრუზია ტერმინები. აფხაზურ ენაში აგრეთვე გვხვდება აღნიშნავს, აჟოუ - აჟარული, აღაზ - ლაზი, არაჟ - რაჭველი, აჟირგ - გურული, ახვესურ - ხვესური და სხვ. ზოგი ადრე სხვა ფორმით იყო, ახლა კი რუსულის გავლენით არის წარმოდგენილი - აიმურეტინეც - იმერული, აკახეტინეც - კახელი, ამოხვეც - მოხვეც და სხვ. აბაზურ ენაში კი გრუზინ ტერმინის მსგავსად ყველა ქართველური ტომის სახელწოდება დავიწყებულია და მხოლოდ რუსული ფორმით გვხვდება.

ჩერქეზულ (ადიღურ) ენებში „ქართველის“ აღსანიშნავად ამჟამად გავრცელებულია რუსულიდან შეთვისებული გრუზინი/რუზინ, უფრო იშვიათად არჩეული ქერჯაჰ/ქერჯე, რომელიც ქართველთა ერთად საქართველოსაც აღნიშნავს. უბიხურ ენაში „ქართველისათვის“ ხმარობენ ნასესხებ გურჯაჰ-ს. ქართველთა აღნიშნული სიტყვა დაღესტნურ ენათა მეტწილში გურჯი ფუძითაა წარმოდგენილი, ოღონდ იგი ფორმდება სხვადასხვა საშუალებით. მაგალითად ზენბურში მსაზღვრელად გამოყენებულია გურჯი, ქართველები კი გამოიხატება გურჯი-ა-ად ფორმით, სადაც - ად მრავლობითი რიცხვია.

ოსურში დამკვიდრებულია სპარსულ-თურქული ეთნონიმი „გურჯი“ - „ქართველი“ - *Гурџан*. იგი მრავლობითობის ცნებას შეიცავს და ნიშნავს „ქართველები“, „ქართველობა“, ამავე დროს „საქართველოსაც“ ნიშნავს. საქართველოს ოსები *Гурџანეთи*-ს უწოდებენ.

ინდოეთში იხმარება ორმაგი ტერმინი „გურჯისტანი“ და „ჯარჯია“. პირველი მათგანი მუსლიმანური ქვეყნების ექსპანსიის შედეგია, მეორე კი ინგლისურ-ინდური წარმომავლობის. ინგლისურენოვან ინდურ მეტყველებაში საქართველოს აღნიშნულ ტერმინად გამოიყენება ტრადიციული ინგლისური ფორმა „ჯეორჯია“ (ჯეორჯიენ - ქართველი).

ჩინელები XIII-XIV ს-ში საქართველოს იცნობდნენ „გუერჯი“-ს სახელწოდებით, რაც ამჟამად „გურჯს“-ს უკავშირდება. ამჟამად ჩინეთში იხმარება „გელუჯია“ (საქართველო), „გელუჯიარენ“ (ქართველი).

ვერისს, აგრეთვე, ქართლის მეფეებისადმი დაქვემდებარებულ ქრისტიანურ ერთეულად განიხილავს.

ერისთავი ძველ ქართულში ნიშნავს — „ერი“ — ხალხი, ერი და „თავი“, უფროსი, გამგებელი. ერისთავობა გვაროვნულ-სამეფოებრივ წიაღში შექმნილი ინსტიტუტი ჩანს. თავდაპირველად უმცირესობის ჯარის უფროსს, სარდალს აღნიშნავდა. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, როდესაც ერთმანეთს შეერწყა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, ერისთავები ქართლის სამეფოში სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების გამგებლები გახდნენ. ლეონტი მროველის მოხელეთ, ქართლის მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) განაწესა 7 ერისთავი და 1 სასპეტი: 1. მარაშს ანუ არგვეთის ერისთავი განაგებდა ტერიტორიას ლიხის მიიდან ვერისის საზღვრამდე; 2. კახეთისა — კახეთისა და კუხეთს (მდ. არგვეთიდან შერეთამდე); 3. ხუნძისა — გარდაბანს (მდ. ბერდუღიდან თბილისამდე); 4. სამხედროსა — ტაშირსა და აბოცს; 5. შუაერისა — ჯავახეთის, კოლას და არტაანის (ფარანის ტბიდან მტკვრის თავამდე); 6. ოძრისა — სამცხეს და აჭარას (ტაშის-კარიდან არსიანის მოამდე, სოსტის თავიდან ზღვამდე); 7. მარაშეთისა — არსიანის მიიდან ზღვამდე. შიდა ქართლს განაგებდა სასპეტი (ქართლის ერისთავი), რომელიც ამავე დროს აღნიშნული 7 ერისთავის უფროსიც იყო. ერისთავებს დაქვემდებარებულნი სასახლარაში, ხოლო სასაღარებო — ათასნიშნარაში.

ამრიგად, ლეონტი მროველის წარმოდგენით, ქართლის სამეფოს გამგებლობა სამხედრო იერარქიას ეყარებოდა: სასახარა — ათასნიშნარა — სასაღარა — ათასნიშნარა. ერისთავთან ავიყვებდნენ პიტიახშს. ზოგჯერ პიტიახშს ავიყვებენ ლეონტი მროველთან მოხსენიებულ სასპეტთან (შიდა ქართლის ერისთავთან).

დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო სისტემაში ერისთავების ინსტიტუტი, როგორც ჩანს, დამკვიდრდა X საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოს ანალოგიით. ამ დროიდან ეხედებით აფხაზთა მეფის მოხელე-ერისთავებს, მის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში დაქვემდებარებულ სხვადასხვა კუთხის გამგებლებად.

ახლა ჩამოთვალათ ვახტანგ გორგასლის დროს არსებული სერისთავოები:

1. „პირველად ჯუანშერ სასახარაში მყრობელი შიდა მარაშეთისა და მულობელი ყოველთა ერისთავთა;

2. დეპეტრე, ერისთავი კახეთისა და კუხეთისა;



3. გრიგოლი, ერისთავი პერეთისა;
4. ნერსარან, ერისთავი ზუნანისა;
5. ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა;
6. სამხალი, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანიუთჲს (ქიხნი) ლი
7. ბაკურ, ერისთავი მარგვესა და თაყუერისა; შიხლიძე
8. არტავაზ, ერისთავი კლარჯეთისა;
9. ნასარ, ერისთავი წუნდისა;
10. ბიურიტან, ერისთავი ოძრქისა“.

ფარნავაზთან შედარებით ვახტანგს ახალი საერისთავო შემატება – მონათავი ანათისა. სხვა ძველ საერისთავოებიდან ცვლილება განუცდია არცერთს საერისთავოს, რომელსაც თავაშობი მიმატება (იგივე ლეჩხუმი და რაჭა). მოუხდავად ამისა, თითქმის რვაასი წლის მანძილზე საერისთავო ქვეყნები ძირითადად უცვლელნი დარჩენილან. ეს შესაძლოა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ეს საერისთავოები უფრო ძლიერ და მტკიცე მოქმეტს – ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ წარმონაქმნებს ემყარებთან. ეს ვარაუდობა კი მტკიცე ტრადიციულ გამძლეობას იხენს.

ერისთავი ქართლის მეფის მოხელე იყო. თანდათანობით ერისთავებმა ეს მოხელეობა სამეგვიდროდ გაიზადეს, რამიც მათ ხელი შეუწყო უცხო ძალამ. ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მიხედვით ეს მოხდა VI საუკუნეში, როდესაც ერისთავებმა მიიღეს მეგვიდრობის სიკვლები სპარსთა და ბერძენთა შეფეებისაგან. ქართლში მეფობის გაუქმების (523) შემდეგ, VI საუკუნის მეორე ნახევრიდან IX საუკუნის დასაწყისამდე, ქართლის სახელმწიფოს გამგებლად გვევლინება ქართლის ერისთავი, ანუ ერისთავი – მეთაური ახალი აღმოსავლურ-ქართული ფეოდალური სახელმწიფოსა.

IX-X საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არსებობდა ქართული სახელმწიფო „იბერთა საკურაპალატო“ (888 წლიდან „ქართველთა სამეფო“), რომელსაც სათავეში ედგა კურაპალატი-მეფე აქ ერისთავობას და ერისთავთერისთავობას შემეგვიდრობით ღებულობდნენ ამ სახელმწიფოს გამგებელი დინასტიის – ბაგრატიონთა სახლის წევრები. საკურაპალატოს პოლიტიკური იერარქია ასეთი იყო: ქართველთა მეფე კურაპალატი, ერისთავთერისთავი, მავისტროსი, ერისთავი.

IX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში, თრიალეთში, წარმოიქმნა კლდეკარის საფეოდალო, რომლის დამფუძნებელი იყო არცერთს დიდი ფეოდალი ლიპარიტ I ბაღვაში. X საუკუნის 80-იან წლებიდან ბაღვაშები ერისთავებად იწოდებოდნენ, ხოლო XI საუკუნეში – ერისთავთ-

ერისთავებად. კლდეკარის ერისთავები იბრძოდნენ მეფის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და დამოუკიდებლობისაკენ მოისწრაფდნენ. დავით აღმაშენებელმა ჩამოართვა ბაღვაშებს თრიალეთი და სამეფო დომენად (სამფლობელო, მამული) აქცია.

ერისთავები

X საუკუნეში ქართლის ერისთავებად იწოდებოდნენ **ხეცხაშენი** მშენებლები. მთელი გამგებლები შიდა ქართლში. მათი რეზიდენცია იყო უფლისციხე-ქართლის ერისთავებად აფხაზთა მეფე ნიშნავს ჯერ ადგილობრივ დიდი ფეოდალის სახლის ტბელების წარმომადგენელს, ხოლო შემდეგ, როდესაც ტბელები გაძლიერდნენ და მოისურვეს ქართლის განკალკევა, — უფლისწულებს. X საუკუნეში ქართლის ერისთავებად იყვნენ მეფის გიორგის ძენი: ჯერ კონსტანტინე, ხოლო შემდეგ ლეონი. X საუკუნის 70-იან წლებში აფხაზთა მეფის ერისთავებად ქართლში ჩანს დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი ივანე მარუშიძე. XI საუკუნეში, ბაგრატ IV-ის ქართლის ერისთავი არის ივანე აბაზასძე. აბაზასძეთა სახლი დაუპირისპირდა ბაგრატ IV-ს და ამ ბრძოლაში დაკარგა ქართლის ერისთავობა. XII საუკუნეში ქართლის ერისთავობა მიიღეს ორბელებმა, ხოლო ორბელთა აჯანყების შემდეგ (1177) გიორგი III-მ ქართლის ერისთავობა გადასცა სურამელთა საგვარეულოს. ქართლის ერისთავის სახელი წყაროებში ჩანს XV საუკუნემდე.

XI-XV საუკუნეებში, გაერთიანებული საქართველოს სამეფოს არსებობის ხანაში, ერისთავები საქართველოს მეფის მოხელეები იყვნენ: განაგებდნენ სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ერთეულებს, საქართველოს სამეფოს მიწები დაყოფილი იყო სამ ნაწილად: სახელმწიფო, სამეფო და საფეოდალო. სახელმწიფო მიწებს განაგებდნენ ერისთავები, აგრეთვე მათთან დაქვემდებარებული ხევისუფლები (საერისთავოზე უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულების — ხევების გამგებლები) და ციხისთავები; სამეფო მიწებს (სამეფო დომენს) განაგებდნენ მოურავები და მკვები. ყოფილი ქართველთა სამეფოს ტერიტორიაც (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო) ამ პერიოდში სამად გაიყო: ნაწილი დარჩა სამეფო დომენად, ნაწილი სამამულედ გადაეცა ფეოდალებს, ხოლო ნაწილზე შეიქმნა ახალი საერისთავოები. XI საუკუნეში აქ ჩანან შავშეთის, არტანუჯის, ყველის, თუხარისის და კალმახის ერისთავები. საქართველოს ფეოდალური მონარქიის წარმოქმნის შემდეგ დიდმა ერისთავებმა, რომლებიც აქამდე ფაქტობრივად დამოუკიდებელი გამგებლები იყვნენ, მოისურვეს ძველი პრივილეგიების შენარჩუნება და გააჩაღეს ბრძოლა მეფის ცენტრალური პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა დავით

ადამაშენებლის დროს მეუის სასარგებლოდ წარიმართა. დავითმა მხოლოდ შეასუსტა ერისთავობის ინსტიტუტი. შექმნა ცენტრალური საუწყებო გამგებლობის სისტემა, რომელსაც სათავეში ჩაუდგინა მეუის თამაშაშვილი - ვაზირი. ამიერიდან საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში აღმართული გამგებლობის სისტემას დაუპირისპირდა ცენტრალური საუწყებო გამგებლობა, საერისთავოებს - სავაზირო-საუზუცესოები.

დავით ადამაშენებლის შემდეგ ერისთავების როლი კვლავ გაიზარდა, მაგრამ პარალელურად ეთარღებოდა ცენტრალური გამგებლობის საუწყებო სისტემაც. ამიტომ ვრძელდებოდა ბრძოლა ამ ორ სისტემას შორის. თამარის მეფობის დროს, XII საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოში ყოფილან შემდეგი ერისთავები: სვანთა, რაჭის, ოდიშის, ქართლის, კახეთის, ჭყვინთის, სამცხის. ამ დიდ ერისთავებს ერისთავთერისთავის ტიტულიც ჰქონდათ. მათი რიცხვი გაიზარდა XIII-XIV საუკუნეებში.

მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში საქართველო შევიდა როგორც ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. მონღოლებმა საქართველო ცნეს, როგორც ამურკავკასიის ქრისტიანული ვაერთიანება, მას ჩამოაცილეს ვასალური მუსლიმანური ქვეყნები. სომხური თემები ძველებურადაც საქართველოს ფარგლებში დარჩნა, ხოლო რანა, შარვანი და სხვა ქვეყნები მასში აღარ შედიოდა. საქართველოს ვიღაეთს განაგებდა მონღოლთა დიდმოხელე. 1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. დადგა უმუცობის ხანა, რადგან შემკვიდრე დავით ურდოდან ჯერ არ დაბრუნებულყო. მონღოლებმა ქვეყნის შინაური ადმინისტრაციაც მონღოლურ წესზე მოაწვეეს. ეს ახლად შემოღებული მმართველობა ადვილობრავ სამხედრო ხელისუფალთა ხრულ პატონობას აძყარებდა, რაც ეწინააღმდეგებოდა ქართულ სახელმწიფოებრავ სისტემას. საქართველოში ქვეყნის უმაღლესი მმართველობა სამოქალაქო უწყების და მისი მოხელეების ხელში იყო.

მონღოლებმა მთელი საქართველო რვა დუმნად (ათიათასეულად) დაყვეს. დუმანი სამხედრო ერთეული იყო, ამასთან, მას სამოქალაქო ფუნქციაც ეკისრებოდა. ყველა სამოქალაქო ხელისუფალი დუმნის თავს, მხედართმთავარს ეპორჩილებოდა. პირველ დუმანში შედიოდა კარაიმი, კახაიმი და კახაიმიანი. მეორე დუმანი კახაიმი ძართლი და მისი აღმოსავლეთ თემები შამქორაზე, მესამე დუმანი სოხორი თამაში, მეოთხე დუმანი შიდა ძართლი, მეხუთე კახაიმი, შედეგზე სამცხე კარნუ-ქალაქამდე (არზრუმამდე), მეშვიდე და მერვე დუმანში შედიოდა დახაველი ძართლი, ამ დუმნებმა დიდხანს ვერ იარსებეს, მაგრამ შეარყიეს საქართველოს პოლიტიკური მოღიანობა.

ერისთავობის სისტემამ არსებობა ძირითადად XV საუკუნეში დაასრულა. ამ პერიოდში სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა სამთავროები და სათავეში მთავრები ჩაუდგინეს (სიღმის, სეანთა, აფხაზეთის, სამცხის) ან თავადები აღმოსავლეთ საქართველოში თავადებად ან მეფის მოურავებად (კახეთში), ზოგ შემთხვევაში კქონდა ერისთავის წოდება, რომელიც უკვე გვიანად იყო გადაქცეული (ქსნის, არაგვის ერისთავეები), მაგრამ ფაქტობრივად ისინი თავადები იყვნენ და არა ერისთავეები.

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხანაში (XV-XVIII სს.) ზოგიერთმა მთავარმა თავის სამთავროში შექმნა ახალი საერისთავოები, რომელთა ერისთავეები იყვნენ მთავრის მოხელე-გამგებელი (გურიის სამთავროში).

ერისთავი სათავეში ედგა საერისთავოს პოლიტიკურ ორგანიზაციას. ის იყო, ერთი მხრით, საერისთავოს გამგებელი მოხელე, ზოლო მეორე მხრით, შემამულე-ფეოდალი. ვარდა საგამგებლო სახელმწიფო ტერიტორიისა – საერისთავოსი, მას ქქონდა თავისი საფეოდალოც. ერისთავი სათავეში ედგა საერისთავო ქვეყნის ფეოდალურ იერარქიას; მას ექვემდებარებოდნენ ყმა-ვასალი აზნაურები. ერისთავი იყო უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფალი საერისთავოში, საერისთავო ჯარის სარდალი. მას ქქონდა სასამართლო ხელისუფლება, კრეფდა სახელმწიფო გამოსადგებებს და საერისთავო გადასახადებს. მისი მოხელეები ვანაგებდნენ საერისთავო ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს. მას ქქონდა საკუთარი კარი, ხელისუფლების ინსიგნიები – დროშა, ბეჭედი, განსაკუთრებული სამოსელი. ასევე საგვარეულო მონასტერი და თავისი ციხე-დარბაზი. ერისთავეებს საგანგებო ცერემონიალით აკურთხებდნენ.

შუა საუკუნეების საქართველოში, სამთავრო ეწოდებოდა მთავრის საგამგებლო ტერიტორიას. 1. სახელმწიფო მოხელეების საგამგებლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები; 2. მეორე და დიდი სწიორიები (VI-VIII საუკუნეებში – ქართველთა საერისთავოები; VIII-X საუკუნეებში კახთა საქარებისკოპოსო, ქერთა სამეფო, იბერთა საკურაპლატო, სხვადასხვა საუფლო-სამამფლო-სამეფოები; XIII-XVIII საუკუნეებში – სამცხე-საათაბაგო, გურიის, სამეგრელოს, სეანეთის, აფხაზეთის სამთავროები).

XVIII საუკუნის დამდეგს საქართველოს დღევანდელი ტერიტორიის ფარგლებში სამი, ზოლო მოგვიანებით ორი სამეფო, ოთხი სამთავრო, ერთი საფამო და რამდენიმე უბატონო თეები არსებობდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი მნიშვნელოვანწილად სცილდებოდა ლიხის ქედს, ხოლო ჩრდილოეთი საზღვარი — კავკასიონის მთავარ ქედს. აღმოსავლეთი საზღვარი კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე ეშვებოდა და შემდეგ გასდევდა ფლაჩნის ქედში დინებას შესართავამდე, აქედან სამხრეთი საზღვარი მტკვრისკენ მოემართებოდა, შემდეგ ჯავახეთის ქედს მიუყვებოდა, გადაკეთდა ტაბაწყურის ტბას და მდინარე მტკვარს, ტაშისკართან გადადიოდა ლიხის ქედამდე.

იმერეთის სამეფოს ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი ესაზღვრებოდა, სამეგრელოს სამთავროსაგან ძირითადად მდ. ცხენისწყლით იყო გამოყოფილი, გურიის სამთავროსაგან ცხენისწყლის შესართავიდან და მთა მუყვისწყაროზე გამავალი ხაზი, ხოლო ახალციხის საფაშოსაგან აჭარა-იმერეთის ქედით.

სამხრეთ საქართველო ოსმალეთის ბატონობის ხელში იყო, მაგრამ XIX საუკუნის დამდეგს ახალციხის საფაშო ხომშიაშვილების გამგებლობის ქვეშ მოექცა.

დავა მიმდინარეობდა სამეგრელოსა და გურიის მთავრებს შორის ფიჩორასა და რიონს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. სენეთი სამად იყო გაყოფილი: „სადადიანო სენეთი“, „დადეშქელიანთა“ სამთავრო სენეთად და თავისუფალი თემებისაგან შემდგარ სენეთად.

1801 წლის 18 იანვრისა და 12 სექტემბრის მანიფესტებით რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი მუყვის რუსეთს შეუერთა. აღმოსავლეთ საქართველოში რუსული სამხედრო რეჟიმი დამყარდა. საქართველოს უმაღლესი მმართველობა რუსეთის შიდა გუბერნიების წესისამებრ მოეწყო. მმართველობის სათავეებში მყოფ „საქართველოს მთავარსარდალს“ ხელი ეყრა სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას. ქართლი დაიყო სამ მაზრად: გორის, თბილისის და დუშეთის, ხოლო კახეთი — ორ მაზრად: თელავისა და სიღნაღის მაზრებად. 1802 წელს, აპრილ-ივნისში, რუსულმა ადმინისტრაციამ დაიწყო ფორტიფიკირება როგორც თბილისში, ისევე მაზრებში.

ცენტრალურ და სამხრო უწყებების ხელმძღვანელებად რუსი მოხელეები დაინიშნენ, ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლებმა კი ფაქტიურად მრჩევლების მდგომარეობა დაიკავეს. გამოჩაყლისს მხოლოდ ქართველი მთიელები და ეროვნული უმცირესობანი შეადგენდნენ. ხევსურები, თემები, ფშავეები და საქართველოს სამხედრო გზაზე მცხოვრები მთიელები მაზრების საზღვრებს ვარეთ მოაქციეს; ქართლ-

კახეთის სამხრეთ ნაწილში მობინადრე თათრებისათვის სპეციალურად დაწესდა ბორჩალოს, ყაზახის, შამშადილოს და ბამბუკურაქის დისტანციები. ამ მოსახლეობისათვის რომ გაეადვილებინათ ახალი წესწყობილებისადმი შეგუება, მათ ძველი ადგილობრივი მოხელეები დაუტოვეს, რომელთაც ზედამხედველად ტყისოფიცრები მოჰჩინეს. მოვიანებით თბილისის მაზრიდან წალკაც (თრიალეთი) ცალკე ოკრუგად გამოიყო. 1804 წელს ვახუშის სახანოს შემოერთების შემდეგ ეს უკანასკნელი ელისავეტოპოლის ოკრუგად გადაკეთდა და საქართველოს უმაღლეს მმართველობას დაუქვემდებარდა.

1803 წლის სამეგრელო ხელშეკრულებით რუსეთის მთავრობა დადგინა სამეგრელოს შემკვიდრებით მთავრად და თავის მონა-მორჩილად ცნობდა. დადიანები მოვალენი იყვნენ ვველაფერში დამორჩილებოდნენ საქართველოს მთავარსარდალს ან მის მიერ სამეგრელოში მუდმივად გენერალს. 1804 წელს ანალოგიური ხასიათის ხელშეკრულება დაიდო იმერეთის მეფესთანაც, რომელიც მხოლოდ საქართველოს მთავარსარდალს უნდა დაქვემდებარებოდა.

1810 წელს, რუსეთის თვითმპყრობელობამ გააუქმა იმერეთის სამეფო. იგი იმერეთის ოლქად გადააქცია და ჯერ ექვს, ხოლო 1814 წლიდან ოთხ ოკრუგად — ქუთაისის, შორაპნის, ვაკის და რაჭის ოკრუგებად დაყო. ოლქისა და ოკრუგის სათავეში რუსი სამხედრო მოხელეები ჩადგნენ. მათ მრჩევლებად კი ადგილობრივი თავადები დაინიშნენ. იმერეთის ოლქის უფროსი საქართველოს მთავარსარდალს ემორჩილებოდა და უშუალო სამხედრო ზედამხედველობას უწევდა სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებს. ამ ორ უკანასკნელ სამთავროს რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს სამთავროს მსგავსი სამეგრელო ხელშეკრულება დაუდო და მათი ავტონომიური მდგომარეობა ცნო.

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1829 წლის 2 სექტემბერს ადრიანოპოლში დაიდო ხავი, რის მიხედვით ყოფილი ახალციხის საფაშოს 24 სანჯაყიდან (თურქული ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეული) რუსეთმა მიიღო 10, რომელიც გააერთიანა ახალციხის ოლქად.

საქართველოში მეფის რუსეთის მთავრობის მიერ შემოღებული მმართველობის სისტემა თითქმის 40 წელი უცვლელად დარჩა. 1840 წლის 10 აპრილის დებულებით დაწესდა ახალი ადმინისტრაციული მოწყობა. ამერკაცკასიაში ჩამოყალიბდა ორი დიდი ადმინისტრაციული ერთეული: საქართველო-იმერეთის გუბერნია და კახეთის ოლქი. საქართველო-იმერეთის გუბერნია გაიყო II მაზრად: თბილისის, კორნის, თელავის,

ბელაჩის, ქუთაისის, ელისავეტოპოლის (ვანჯა), ალექსანდროპოლის (ახლანდელი ვიუმრი), ერევნის, ნახიჩევანის, ახალციხისა და გურჯაის მაზრებად. ჩამოთვლილი მაზრები თავის მხრივ იყოფილენ რამდენიმე უბნად, რომელთა საერთო რიცხვმა საქართველო-იმერეთის გუბერნიამში 44 შეადგინა.

ადმინისტრაციულმა რეფორმამ საქართველოს თავადაზნაურობის უკმაყოფილება და მშრომელი მასების მღელვარება გამოიწვია, რადგან ამ დებულებით მსართველობიდან საბოლოოდ იღვენებოდნენ ადგილობრივი ელემენტები და კანონ-წყესები. უკმაყოფილების თავიდან ასაცილებლად 1842 და 1843 წლებში თელავის, თბილისის და გორის მაზრებიდან გამოიყო სამი ოკრუგი - თუშ-ფშაგ-ხევსურეთის, მთიულთა და ოსეთის, ხოლო 1844 წელს აღდგენილ იქნა სიღნაღის მაზრა. 1846 წელს შეიქმნა თბილისის და ქუთაისის გუბერნიები. თბილისის გუბერნიამში დარჩა თბილისის, გორის, თელავის, სიღნაღის, ელისავეტოპოლის, ერევნის, ნახიჩევანის და ალექსანდროპოლის მაზრები, მთიულთა, ოსთა და თუშ-ფშაგ-ხევსურთა ოკრუგები; ქუთაისის გუბერნიამ გააერთიანა ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთისა და ახალციხის მაზრები, აგრეთვე, მთავართა გამგებლობაში მყოფი სამეგრელო და სვანეთი.

1849 წელს თბილისის გუბერნიას ჩამოშორდა და ერევნის გუბერნიამში გაერთიანდა ერევნის, ნახიჩევანის და ალექსანდროპოლის მაზრები.

1857 წელს სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივი გაუქმების საბაბად რუსეთის მთავრობამ გამოიყენა აქ მომხდარი გლეხთა აჯანყება და ეკატერინე დადიანი თავის მცირეწლოვან ვაჟთან ერთად პეტერბურგს გაიწვია. 1867 წელს სამეგრელოს სამთავრო გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრების სახით. 1857-59 წლებში რუსეთის მთავრობამ ისარგებლა დადესქვლანთა ორ შტოს განაღებული ბრძოლით და დადესქვლანთა სამთავრო სვანეთი მოშალა. შეიქმნა სვანეთის საბოქაულო, რომელიც 1868 წლიდან დაექვემდებარა ლეჩხუმის მაზრას.

1864 წელს გაუქმებულ იქნა აფხაზეთის სამთავროც. შეიქმნა სამურზაყანოს, წებულდის საბოქაულოები. ამ საბოქაულოებს შეუერთდა ყოფილი აფხაზეთის სამთავრო და შეიქმნა სოხუმის ვანყოფილება.

1870 წელს ელისავეტოპოლის გუბერნიის შექმნასთან დაკავშირებით ნაწილობრივ შეიცვალა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიის საზღვრები და შიდა ადმინისტრაციული დაყოფა.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატით რუსეთის იმპერიისათვის მიერთებული ტერიტორია გაიყო

ყარსისა და ბათუმის ოლქებად. ეს უკანასკნელი ბათუმისა და ოტორის ოკრუგების შემადგენლობით 1883 წლიდან შევიდა ქუთაისის გუბერნიისა.

1880 წელს თბილისის მაზრის სამხრეთი ნაწილი და ორჯულეთისა და ლორეს სამოქალაქოები გადაკეთდნენ თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრად.

1886 წლის 10 მაისის დებულებით მაზრები გაიყო საპოლიციო უბნებად (სამოქალაქოები), რასაც მოჰყვა მაზრების რაოდენობის გაზრდა, ხოლო ქუთაისი გუბერნიისათვის სოხუმის ოკრუგის მიმატება. ამის შემდეგ თითქმის უცვლელი დარჩა სამაზრო დაყოფა, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს შემდეგი სახე მიიღო.

თბილისის გუბერნიის

სიღნაღის მაზრა

სამოქალაქოები

1. ბაკურციხის
2. ქიდალოს
3. მანხანის
4. შირაქის

თიშდავის მაზრა

სამოქალაქოები

5. ვეარღის
6. წინანდლის

თიანეთის მაზრა

სამოქალაქოები

7. ფსკე-ხეცხურეთის
8. კარნის
9. თუმუო-კახეთის

ღუშტიის მაზრა

სამოქალაქოები

10. პაჩალეთის
11. მცხეთის
12. ქსნის
13. ქვეშეთის

მორის მაზრა

სამოქალაქოები

14. ბორჯომის
15. შეგერისხევის
16. სურამის
17. ხიდისთავის

18. ცხინვალის

თბილისის მაზრა

სამოქალაქოები

19. სარიქაძის
20. თბილისის
21. ყარააის

აორჩაღოს მაზრა

სამოქალაქოები

22. ბორჩალოს
23. გატყრანველდის
24. ლორეს
25. თრიალეთის

ახალქალაქის მაზრა

სამოქალაქოები

26. პარაღეთის
27. მოედანოეკის

ახალციხის მაზრა

სამოქალაქოები

28. ქვბლიანის
29. აწყურის
30. ურავლის

ქუთაისის გუბერნიის

მორაპეტის მაზრა

სამოქალაქოები

31. ვეზიღის
32. ხანჭურის
33. ქიათურის

34. ჩხარის
35. ბელაგორის
ქობის მახარა
სამოქალაქოები
36. ქუთაისის
37. ტყიბულის
38. ბაღდადის
39. სამტრედიის
40. ხობის
რაჭის მახარა
სამოქალაქოები
41. ონის
42. ამბროლაურის
ლაშხის მახარა
სამოქალაქოები
43. აღკანის
44. ცაგერის
45. სვანეთის
ზუგდიდის მახარა
სამოქალაქოები
46. ზუგდიდის
47. წაღუნჯიხის
48. რედუტ-კალეს

სამხარის მახარა

სამოქალაქოები

49. აბაშის
50. მარტვილის
51. ნაქალაქი

რეზერვაციის მახარა

სამოქალაქოები

52. ვერძინის
53. ღანწხეთის
54. ნოხატაურის
ბაიშის რეზერვ

სამოქალაქოები

55. ზემო აჭარის
56. ქვემო აჭარის
57. გონიოს
58. კანტრინის

სოფლის რეზერვ

სამოქალაქოები

59. ვეშისის
60. ვუდაეთის
61. კოდორის
62. სამურზაყანოს

XX საუკუნის დასაწყისში საქართველო კვლავ გუბერნიებად, მაზრებად, უბნებად და სოფლის საზოგადოებებად იყოფოდა. 1918-21 წლებში დემოკრატიულ საქართველოში ძველი საგუბერნიო და საუბნო დაყოფა გააუქმეს და სოფლის საზოგადოება თემად გამოაცხადეს.

1921 წელს საქართველო დაყოფილი იყო მაზრებად და თემებად. შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა (1921 წ. 4 მარტი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (1921 წ. 16 ივნისი) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (1922 წ. 20 აპრილი). გაუქმდა თიანეთის მაზრა და შეუერთდა სამ მოსაზღვრე მაზრას. თელავის და სიღნაღის მაზრები გაერთიანდნენ ერთი კახეთის მაზრის სახელწოდებით, რაჭის და ლეჩხუმის - რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სახელწოდებით, ღუშეთის მაზრა შეუერთდა ტფილისის მაზრას.

1924 წელს საცვლად 572 თემსაბჭოთა, შეიქმნა 623 სასოფლო საბჭო, მოეწყო III სარაიონო აღმასკომი, თემთა ისინი მალევე გაუქმდა.

1929 წლის 13 აპრილის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა 6 ოლქი - თბილისის, ქუთაისის, ვორის, ახალციხის, კახეთის და ფოთის. ოლქებში შედიოდა რაიონები, ქალაქები, სასოფლო-სამეურნეო აღნიშნული საოლქო დაყოფა 1930 წელს გაუქმდა. 1951 წლის ნომერბრიდან 1953 წლის აპრილამდე არსებობდა თბილისის და ქუთაისის ოლქები. საბჭოთა წლებში ძირითადი მმართველობა რამდენიმე საფეხურიანი იყო, რაც თითქმის მთელ მანძილზე უცვლელი დარჩა.

დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია

დასახლებული პუნქტი მოსახლეობის გაერთიანებაა განაშენებული მიწის ნაკვეთზე. დასახლებული პუნქტის აუცილებელი პირობაა მისი მუდმივი გამოყენება სამოსახლოდ. მის მრავალფერობას, მატერიალურ ფორმებს განსაზღვრავს საერთო სოციალურ-ეკონომიკური პირობები და საწარმოო ძალთა დონე. ამავე დროს, დასახლებული პუნქტების საერთო სახე, მისი ნაგებობები ასახავს მატერიალური კულტურის ეროვნულ ხასიათს, ხალხის ტრადიციებს. დასახლებული პუნქტების ბუნებრივი გარემოცვა გავლენას ახდენს მის მატერიალურ ფორმაზე.

ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულების დასახლებათა ძეგლები საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ არის მიკვლეული. ამ შრივ, სანტერესოა მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით ახალციხის ამირანის ვორა, ცხინვალის ნაცარვორა, ხიზანანთვორა (ურბნისი) და თბილისის ტერიტორია - დიდებში, სადაც აღმოჩნდა ენოლითური პერიოდის საკმაოდ მეტყველი ძეგლები. მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით - ქვემო ქართლის ველზე (შულავერი, ნახიდური, იმირი), მთისძორა ზოლში (წოფი, კიკეთი), საკმაოდ მაღალ ადგილებში (აბელია, თეთრიწყარო) აღმოჩენილია ამავე პერიოდის ნასახლარები. ამასთან, ყველაზე ინტენსიური ცხოვრების ნიშნები ჩანს დაბლობში მდებარე დასახლებულ ადგილებში, სადაც ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად უკუფ-უკუფად განვითარებული ენოლითური ხანის ხელოვნურად წარმოქმნილი მრავალფენიანი ბორცვები გვხვდება.

საქართველოს ტერიტორიაზე ამ პერიოდისათვის დადასტურებულია დასახლების სხვადასხვა ტიპი. დასახლებისათვის ყველა გამოიყენებოდა გამოქვაბულები (საგვარჯილე, სამელე კლდე, ვორონცოვის გამოქვაბულები), სარებზე მიწნული ტოტებისაგან ორმხრივ თიხააღესილი

კვლევის მქონე მრავალი სახლუაი (წოფი), მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება აღიზით ან აგურიოთ ნაგები, ზოგჯერ ქვის საძირკველზე მიყენებული სახლუბიც (თეთრიწყარო, შულავერა, ნახიდური). ამათგან ხწორკუთხა სახლი აღმოჩენილია თეთრიწყაროს ნასახლდარზე. ესაა მხოლოდ მოგვიანებით ჩნდება ენოლითურ ხანაში საქართველოში ტონებული ტიპის მრავალი ან ოვალისებური ნაგებობა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გუმბათისებური გადახურვის მქონე წითელ ან ოვალისებურ სახლებს, რომლებსაც ახლავს სამეურნეო ხაროები - ორმოები. შულავერის გორაზე კულტურულ ფენათა სერითი სიმძლავრე 7 მეტრს აღემატებოდა. იგი, სულ ცოტა, ერთიმეორეზე 5 ნასოფლარის დაშენების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო. ამ დასახლების უძველესი ფენებით დგინდება, რომ შედარებით ნაკლებად გამძლე თიხის შენობები ხშირად მოითხოვდა განახლებას ან ხელახლა აგებას, ე.ი. შენობათა ტიპი, კონსტრუქციები და დავგვმარება დიდი ხნის განმავლობაში მკვეთრ ცვლილებას არ განიცდიდა. შენობათა უძეტესობა მცირე ზომისაა. სინათლის ფუნქციას ასრულებდა გუმბათებში გაკეთებული ზერელი. როგორც ირკვევა, დროთა განმავლობაში საქირო ყოფილა საკუთრივ შენობის, კვლევის განახლება და იატაკის დონის აწევასთან დაკავშირებით უფრო მაღალი გუმბათის ხელახლა აშენება.

ნახიდურის ნასახლარი თავისი ზედა ფენებით მოგვიანოა. მისი წითელი გეგმის მქონე სახლების ფართობი შულავერის უძველეს სახლებთან შედარებით უფრო დიდია. ამასთან, უკვე ჩნდება გამოშწარი, ზურგგამოყვანილი და ბრტყელიძირიანი აგურები.

აღმოსავლეთ საქართველოში გათხრილი ენოლითური ნასახლარების მიხედვით ირკვევა, რომ იმ პერიოდში ნივთიერი ნამოები საკუთრივ სახლებში იშვიათად ჩნდება. სავარაუდოა, რომ შრომისა და მატერიალური ყოფის ნიშან-კვალი უძეტესად შენობის გარეთ, დასახლების ტერიტორიაზე გვხვდება.

დასავლეთ საქართველოში შენობათა ნაშთი ენოლითურ ნასახლარებზე სერითოდ არ ჩნდება. აქ მიკვლეულ კულტურულ ფენებში, ფიქსირებულია მხოლოდ თიხატყვნილი (მაჭარა, სამლე კლდე) იატაკი, რის გამოც დასავლეთ საქართველოში სახლების კონსტრუქციები გაურკვეველია. დასავლეთ საქართველოს ნადაგების სინოტივის გამო, იქ აღმოჩენილ კულტურულ ფენებში, თითქმის სრულიად გამქრალა რქისა და ძელის ყოველგვარი ნაშთი, რის გამოც კომპლექსში წარმოადგენილია მხოლოდ ქვის ნაწარმი და იშვიათად კერამიკა.

ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულში სამხრეთ კავკასიაში მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომებს შედარებით მაღალი ადგილებით (მ. დ. 1000 მ) აუთვისებიათ. იმდროინდელი ცხოვრების კვალი მხოლოდ ბინადარ მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელ პირობებშია შემორჩენილი შორის მოქცეულ კონცხებზე, ვაკე ადგილებში არ გვხვდება ისეთი უფრო უხვი მოსავლიანობა მიწების ხელოვნური მოწვევით უნდა ყოფილიყო შეპირობებული, მაღალ ადგილებში ტომთა ცხოვრებასა და განსახლებას უთოოდ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზები ექნებოდა. ვარდა ახალი მიწების დასაკუთრებისა, ხეობათა აყოლებით დაწყებული ტომთა განსახლება ობსიდიანით ან ლითონით მდიდარი ადგილების ხელში ჩაგდების მიზნითაც ხდებოდა. ამიტომ, როგორც დაბლობში, აქაც გორასამოსახლეობის კარშეში ღრმა თავდაცვითი მნიშვნელობის თხრილები გვხვდება ქვის გაღაჭვით გამავრებული სამოსახლეობით. მოუხედავად მეურნეობის მატერიალური ხასიათისა, საქართველო და, სავსებით, სამხრეთ კავკასიაში არსებული ენოლითური კულტურის მატარებელი ტომები ძველი წელთაღრიცხვის V-IV ათასწლეულში უკვე აღწევნენ გვაროვნული საზოგადოების განვითარების ისეთ დონეს, რომელიც ქმნის პირობას, რომ III ათასწლეულში განვითარება უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყო.

ამრიგად, გორა (დინავუბეშა, დინაზურგა, თელი, თევე) წარმოადგენს დასახლების ერთ-ერთ უძველეს სახეობას მეტ-ნაკლებად შემადგენულ ადგილზე. სოციალური ისტორიის თვალსაზრისით, გორა არის გვარის სამოსახლო, სამეურნეო საკულტო ადგილი, სიმაგრე, ხშირად სამაროვანიც. ამისდა მიხედვით ვგაქვს ვორასაცხოვრისი, გორანამოსახლარი, გორასახელისნი, გორაციხე, გორასამლოცველო, გორასამარხი. გარეგნულად გორაებში სამი ვაკუფი გამოირჩევა: განშლილობებული, განკიდული და ამოზიდული. გორაებად დასახლება ნეოლითში დაიწყო, როდესაც მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების შედეგად გვარი ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა. სამოსახლოდ ირჩევდნენ ბუნებრივ შემადგენლებას, უპირატესად ვაკეზე ან ვაკიდან ზეგნისაკენ გარდამავალ ზონაში, რომელიც მდიდარი იყო სამიწათმოქმედო სავარგულებითა და საძოვრებით. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარება განსახდევრავდა გორაების განლაგების ზრდას. მეურნეობის ხასიათი მოითხოვდა მეტ-ნაკლებად მუდმივ დასახლებას, თვით საცხოვრისისა და სამეურნეო დოვლათის დაცვას (განდა გორაციხის ფუნქციაც). უძველესი გორაები გაჩნდა გვიანდელი ნეოლითის და ენოლითის ხა-

ნამი. ასეთი ვორაები გავრცელებული იყო აგრეთვე ადრინდელი ბრინჯაოს ხანაში - გულაბურჯა (სენევითან, ვორის რ.), ხოხანა, ვორა (ურბნისი), ქვაცხელები (ურბნისთან). შუა ბრინჯაოს შემცველი ვორაები ვერეკრობითი მხოლოდ კახეთშია აღმოჩენილი (არაზნის მარჯვენა ნაპირის ლარები). განსაკუთრებით ხშირი იყო ვორაებად დასახლებულ უდაბნოებში ბრინჯაოს და ადრინდელი რკინის ხანაში, როცა წინ წამოიწია ვორაების თავდაცვიობა ფუნქციამ. თხრილითა და ვალაყნით გამაგრებული ვორაების გარშემო ამ დროს განჩნდა საბოსახლოები, რაც საზოგადოების განვითარებაში მომხდარი ცვლილებების მაჩვენებელია.

საწარმოო ძალითა შემდგომმა განვითარებამ ვორი მოშალა. ერთიანი სოციალური ერთეულის დაშლის გზაზე ჯერ კიდევ მაშინ შედგა, როცა ერთიანი ჭერი მოიშალა და მცირე ერთეულები წარმოიშვა. ვორზევე რჩებოდა ეს ახალი მოსახლეობა, თუ მის ახლოს ვორის მიწაზე (დაბა), სულ ერთია, სახლის რღვევის მომენტი დაწყებული იყო და მას ვერაფერი შეაჩერებდა, რადგან ადამიანთა საზოგადოების პროგრესი ამის მოითხოვდა. ზოგი ვორა სულ დაიკალა და დაბად დასახლდა. დაბის სოციალური წყობა ინდივიდუალური მეურნეობის ასპარეზის გახსნაა, რითაც განსხვავდება ვორის სოციალური წყობისაგან. დაბის შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია საბოლოოდ იმ სოციალური წყობის დაშლა, რომელიც ვორაზე შემუშავდა. დაბა ეკონომიურად კრძო საკუთრების თანდათან წარმოქმნას გულისხმობს, მაშინ როცა ვორა ამის შესაძლებლობას გამოირიცხავდა.

დაბის გაჩენის (ანუ დღევანდელი სოფლის ტიპის დასახლება) შემდეგ ვორი უშთაერესად საერთო სალიცავე გახდა, იმის ნიშნად, რომ იღვსდაც ფიზიკურად ერთი ერთეული, ერთ ჭერტყეშ მცხოვრები „ერთისხელი“ იდეაში ერთიანი რჩება მას შემდეგაც, რაც ის ფაქტორად დაიშალა. ეს ხატი მიხი ყოფილი ერთიანობის სიმბოლოა. მიუხედავად ამისა, ვორი ყველგან არ მოშლილა, მაგრამ მან თავისი ფუნქცია დაკარგა და იგიც დაბად იქცა. ვორისა და დაბის განსხვავება სოციალური ხასიათისაა. ვორა სახლად, მტკიცე ერთეულად (ერთ ჭერტყეშ) ცხოვრებას გულისხმობს, დაბა კი დაშლის გზაზე შემდგარი ვორია, როცა ინდივიდუალური მეურნეობა თანდათან წამყვანი ხდება, როცა მიწაზე კრძო საკუთრებისათვის პირობები სულ უფრო და უფრო მუშავდება და მტკიცდება, როცა ინდივიდუალური მეურნეობა პროგრესის მატარებელია - როცა მიწის საკუთრების დამთხვას, შეკავებას, დასაკუთრებას და, ბოლოს, დაუფლებას მოითხოვენ სამეურნეო საზრდიანობა, საზოგადოებრივი წინსვლა.



საინტერესოა, რომ ვორაზე მცხოვრები მოსახლეობა ერთი ვითარებით, ანუ გეარისანი იყვნენ. შემდეგში დაბეჭდილ სხვადასხვა გეარის დასახლებულ თითოეულ გეარს შეუნარჩუნა თავისი განსხვავება მეორე მცხოვრებელთან. ეს ბუნებრივად მოხდა, არსებობდა ორივე გამოთქმა (გეარისი) გეარის გეარი, ვორი. შინაარსის დიფერენცირების დროს ერთს შერჩა „ვორი“, ხოლო მეორემ მიიღო „გეარი“ (ისევე როგორც „მატრონი“ და „მატრონი“), ფონეტიკური მოვლენა ადამიანმა ცნებების განსახსნავებლად გამოიყენა.

ამდენად, ვორი შეცვალა დაბამ. იგი წარმოადგენდა სოფლის ტიპის დასახლებული პუნქტის ძირითად სახელწოდებას. ასეთი მნიშვნელობით ვგვხვდები იგი ქართული ლიტერატურის უძველეს, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნით ძეგლებში (ძველი და ახალი აღთქმის ძველქართული თარგმანები). IX-X საუკუნეებიდან სოფლის ცნების აღმნიშვნელად გაბატონებას პოულობს უკვე სხვა ტერმინი – „სოფელი“, რომელიც უფრო ძველ ძეგლებში ძირითადად „ქვეყნის“ მნიშვნელობით იხმარება. საკუთრივ ქვეყნის ცნების აღსანიშნავად კი ამ დროიდან წინა პლანზე გამოდის ტერმინი „ქვეყანა“, რომელიც მანამდე „მიწის“ მნიშვნელობითაა მოხსენიებული. ტერმინი „სოფელი“ იხმარება VIII საუკუნის დასასრულის ქართველი ავტორის იოანე საბანის ძის თხზულებაში, სადაც ნათქვამია, რომ ამო სამი წლის განმავლობაში მიმოდიოდა თბილისსა და მის გარშემო „სოფლებში“.

ძველგეარათა აზრით „დაბის“ თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო „მიწა“, შემდეგ – „დამუშავებული მიწა“ და ბოლოს იქცა „დასახლებული ადგილის“ აღმნიშვნელად. ამ ტერმინს უკავშირებენ სვანურ „დაბ-ს“ და მეგრულ „დობ-ერ-ა“-ს (მოხსნული მიწა, ყანა).

მოზრდილი დასახლებებიდან იქნებოდა ქალაქები. ქალაქები წარმოიქმნება ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე, როცა საზოგადოებაში მიმდინარეობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და სოციალური დიფერენციაციის პროცესი და ამის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან დაკავშირებული მოსახლეობის ძირითადი მასიდან გამოიყოფა სხვა სოციალური ჯგუფები, რომელთა კონცენტრაციას გარკვეულ დასახლებულ პუნქტებში, მიყვარათ ქალაქური ტიპის დასახლების შექმნამდე.

ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ჩნდება ქალაქის დასახლების ფორმა სამოსახლოს ცენტრალური გამაგრებული ნაწილი – არისტოკრატის საცხოვრებელი და საკულტო დაწესებულება, მის ირგვლივ დასახლება ცალკეულ უბნებად, მოშორებით ხელოსანთა უბნები, ნეკროპოლი. საქართველოში სახელმწიფოს წარმო-

მოსახლას ერთად იზრდება ქალაქების რიცხვიც, ქვეყნის დაწინაურებაზე მიუთითებს ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებულ სიმაღლედ.

ქალაქები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგანაც - დანიშნულებს, მასშტაბის, ადგილმდებარეობის, ფორმების და სხვათა მიხედვით. მაგრამ მათ შორის ბევრი მსგავსებაც იყო - გალაქნით შემოზღოვდა ქალაქების შიგნით გამოყოფილი შიდაციხე, ციტადელი, რომელიც მფლობელის სამყოფელს წარმოადგენდა.

ანტიკური ქალაქები საქართველოში იყო: არმაზი, წიწამურა, სარკინე, უფლისციხე, ურბნისი, მცხეთა, ვანი, წუნდა, ფასისი, დიოსკურია, ბიჭვინთა, ვიენოსი, სამშვილდე, ზუნანი, შორაპანი, დიშნა, თუხარისი და სხვ. კვიანდელი ანტიკური ზანის მიწურულს დაწინაურდა ქალაქები: უჯარმა, ფალეთი, რუსთავი, ზორნაბუჯი. ანტიკური ქალაქების განვითარებას ხელს უწყობდა, მათზე გამავალი საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზები.

შავი ზღვისპირეთში ანტიკური ქალაქები წარმოიქმნა ძველი წელთაღრიცხვის VIII-VI საუკუნეებში, ე. წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად. მას წინ უძღოდა ბერძენთა სავაჭრო ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან და სავაჭრო ფაქტორიების დაარსება, რომელთაგან ზოგიერთი შემდეგ ქალაქად გადაიქცა. ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის II ნახევარში ბერძენთა ახალშენები გაჩნდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზეც: ფასისში (ფოთთან), დიოსკურიაში (სოხუმთან), ვიენოსში (ოჩამჩირესთან). ბერძნული ახალშენების დაარსება შავი ზღვის სანაპიროზე ფოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობდა და კოლონიზაციის წარმატება დამოკიდებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების დონეზე. ახალშენები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით, პოლიტიკური წყობით, კულტურით, გარეგნული იერით და შექმნაში ბედით. კოლხეთში იმ დროს არსებობდა პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა კოლხეთის სახელმწიფო ქალაქური ტიპის დასახლებით, განვითარებული სასაქონლო ხელისშეწყობით და ფულადი მუერნობით. ამან განაპირობა ბერძნული კოლონიზაციის წარუმატებლობა და მისი მცირე მასშტაბები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში.

ძველი წელთაღრიცხვის VI-IV სს. იბერიის ადრეკლასობრივ ქალაქთა განვითარებაში ქალაქური ტიპის დასახლებათა პერიოდაა. ქალაქური ტიპის დასახლებებმა განვითარებაში გაუსწრეს წინარეზანის მსხვილ დაბურ დასახლებებს და ძველი წელთაღრიცხვის IV-III სს. ელინისტური

ტიპის ქალაქებად გაფორმდნენ. ისტორიული შიდა ქართლის, ანტიკუბეთისა და პერეთის ტერიტორიაზე ამგვარი დასახლებები მხოლოდ მარცხენა სანაპიროზე იყო განლაგებული, სადაც მორწყვითი მიწათმოქმედების შემდგომი განვითარება-გაფართოების პირობებიც მჭიდროდ და სამეურნეო კულტურაც სათანადო ძირძველობით წარმოადგენდა. ანტიკური იბერიის ქალაქები გარკვეული რაიონის ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. მას ვარს ერტყა დაბებითა და აგარაკებით დასახლებული ტერიტორია. ამდენად, იგი „ქვეყნის“ სამეურნეო ცხოვრების მარცვული-რეგული ცენტრი იყო.

იბერიის ქალაქები, პირველ რიგში, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ. წარმოების ერთ-ერთი წამყვანი დარგი კი ღვინის მოპოვება და დამუშავება ყოფილა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მეთუნეობას (კერამიკული წარმოება). ამასთან, ანტიკური ქალაქები წარმოადგენდა სავაჭრო ცენტრებსაც.

ღრინდელი ფეოდალური ხანის I პერიოდში (IV-VI სს.) დაწინაურდა თბილისი, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი, რასაც უფრო მეტად პოლიტიკური და სტრატეგიული ფაქტორები განაპირობებდა, ვიდრე სავაჭრო-ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიფიკაცია. განსაკუთრებული მოვლენა იყო IV საუკუნიდან თბილისის დაწინაურება, რომელიც პირველობას ეცილებოდა მცხეთას. VI საუკუნიდან თბილისი დედაქალაქია. VI-VIII სს. საქართველოს გართულებულმა საგარეო მდგომარეობამ (ირან-ბიზანტიის ომები, არაბობა საქართველოში) დიდი ზიანი მიაყენა ეკონომიკას. ამ პერიოდში მრავალი პუნქტი მხოლოდ ტრადიციით იწოდებოდა ქალაქად (მცხეთა, ურბნისი, რუსთავი).

VIII-IX სს-ში ფეოდალური საზოგადოების ურთიერთობის შემდგომს განვითარებამ და ახალ ფეოდალურ-პოლიტიკურ ერთეულთა (კახეთის სამეფო, „აფხაზთა სამეფო“, ქართველთა სამეფო) წარმოქმნამ ხელი შეუწყო ახალი ცენტრების - ქუთაისის, თელავის, არტანუჯის დაწინაურებას. IX-XI საუკუნეებში ე.წ. „ახალქალაქების“ წარმოქმნის ხანა (ახალქალაქი, ახალციხე, ატენი, დმანისი, ვინჯალი და სხვ.). სავაჭრო ვზების გადანაცვლებამ ახალ მაგისტრალზე: თბილისი - სამშვილდე - ახალქალაქ - არტან - არტანუჯ - ხოფა - ტრაპიზონი დაწინაურა ამ რეგიონის ქალაქები. აღმავლობას განიცდიდა რუსთავი, ხუნანი, სამშვილდე XI საუკუნის 80-იანი წლებიდან 1122 წლამდე თბილისში მოქმედებდა ქალაქის თვითმმართველობის განსაკუთრებული ფორმა. ეს არის თბილელი ბერები. მათ ირჩევდნენ მოქალაქეთა

ზედაფენიდან. ისინი ამ ფენის წარმომადგენლები და ინტერესების დამცველნი იყვნენ თბილისში ამირას კარზე; ამდენად მათი ხელისუფლება ქალაქის თვითმართველობის ორგანოს წარმომადგენელია. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან (ვლადიმირ ამირათა ვლადიმერის შტამები) წლამდე (თბილისის ვაერთიანებული საქართველოს სამეფოს) სამდე) თბილელი ბერები სრულყოფილებიანი გამგებლები გახდნენ. ამ პერიოდში თბილისში საქალაქო კოშენა („ქალაქის საბჭო“) არსებობდა.

XII-XIII საუკუნეებში ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის ხანაში, ხდება საქალაქო ცხოვრების სტაბილიზება. სასაქონლო პროდუქციის წარმოება და ფართო ვაჭრობა დაკავშირებული იყო ვასალების ბაზრებთან. დაეთი აღმამწებლის მეფობის (1089-1125) ხანაში ვაიყვანეს და შეაკეთეს გზები, აშენდა ხიდები და ქარვასლები, ვზეზზე გარანტირებული იყო ქარაყანთა უსაფრთხო მიმოსვლა. საქალაქო ცხოვრებისათვის არნახული ხანა დადგა. მაგრამ თემურლენგის ღამჭრობების (1386-1403) შედეგად მრავალი ქალაქი გაპარტახდა. ქართულ ენაში ამ პერიოდიდან დამკვიდრდა სიტყვა „საქალაქარი“.

XV საუკუნის ბოლოს დაჭევიანდა თბილისი, ვორა, ქუთაისი, ფოთი. ციხესიმაგრეთა ფუნქცია შერჩა ბათუმს, ცხუმს, ხაშვილდეს, დმანისს და სხვ. ქალაქური ცხოვრება ერთგვარად გამოცოცხლდა კახეთში, რაც განპირობებული იყო ნაწილობრივი მშვიდობიანობითა და პოლიტიკური მოღიანობით. ვაწნდა ახალი ქალაქები: ვრები, ბაზარი (ზაგები) და სხვ. XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ აბასის ღამჭრობების შედეგად კახეთის ყველა ქალაქი ვანადგურდა. მოღიანად საქართველოში ხაგრძნობლად იკლო ქალაქის მოსახლეობამ. ჩვეულებრივ, ქალაქის მოსახლეობა 1000 კაცს არ აღემატებოდა, იშვიათად იყო ქალაქები, სადაც 2-3 ათასი კაცი ცხოვრობდა. ვახუმტი ბაგრატიონი XVIII ს. I ნახევარში მრავალ „მკირე ქალქს“ ასახვლებს. XVIII ს. II ნახევარში საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლდა ქართლის იმ ნაწილში, სადაც რუსეთთან დამაკავშირებელი გზები ვადიოდა (სურამი, ცხინვალი, დუშეთი, ანანური). ხაგრძნობლად იმატა თბილისის მოსახლეობამ, ვაწნდა პირველი მანუფაქტურული საწარმოები.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგ თანდათან ვაღრმავდა ნატურალური მეურნეობის რღვევის პროცესი, დაიწყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ვაიზარდა ქალაქების ხაგაჭრო-სამრეწველო პოტენციალი, ხაგაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში ჩამძული მოსახლეობის რიცხვი. თბილისი და ქუთაისი ხაგუბერნიო ქალაქებად ვადაიქცა.

გორი, ლუშეთი, სიღნაღი, ახალციხე, ახალქალაქი, ზუგდიდი, ოზურგეთი, სენაკი და სხვა — მაზრების ცენტრებად. საქრთველის ცენტრში ჩაება შავიზღვისპირეთის სანავსადგურო ქალაქები ბათუმი და ფოთი.

1840-41 წლებიდან ქალაქების მმართველობა საბოლნოდ გუბერნიის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სისტემის წესებზე (1825 წლიდან) გატარდა საქალაქო რეფორმა. XIX საუკუნის ბოლოს ქალაქის მოსახლეობის რიცხვი საქრთველოში 15,3%-ს შეადგენდა. ქალაქები კულტურულ ცენტრებად გადაიქცნენ; დაარსდა სასწავლებლები, სტამბები, პერიოდული გამოცემები, პროფესიული თეატრები.

ინტერნულ საფორტიფიკაციო ნაგებობათა გერბრავია

საქრთველოში გეზვდება საფორტიფიკაციო (სამხედრო ნაგებობა) ნაგებობათა ყოველი სახეობა, რომლითაც მდიდარია მთა და ბარი. თავისთავად ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნეების განმავლობაში თავს იცავდა და არასოდეს ყოფილა აგრესორი. თავდაცვით ნაგებობებს ის აგებს, ვინც თავს იცავს. საქრთველო კი, ხშირად იყო ასეთ მდგომარეობაში. მისთვის მზადყოფნა მუდმივი საზღვრული ვახლდათ. საქარო შეიქმნა გამაგრება არა მარტო ცენტრისა, არამედ საზღვრების, ვიხების და ხეობების ჩაკეტვაც. ასეთმა გარემოებამ სიმაგრე ცოცხალ ორგანიზმად აქცია და მასში ჩვეულებრივ ეპოქა აორეკლა.

ინტენსივობამ სააღყო პირობებში ხანგრძლივი ბრძოლისათვის ყოველმხრივ უზრუნველყოფილი და მუდმივი გარნიზონით დაცული სამხედრო მნიშვნელობის გამაგრებული პუნქტია, თავდაპირველად — სახელდახლოდ შემოღობილი დასახლება. მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ბევრი ქალაქი იმედროულად ციხე-ქალაქებად იქცა (კართაგენი, ბიზანტიონი, რომი და სხვ.). ციხე გვევით მრავალკუთხედა; მისი გვერდები ამოყავთ მრგვალი ან ოთხკუთხა ბურჯებდატანებული 9-10 მეტრის სიმაღლის კედლებით, რომლებიც ქონგურებაიანი და ამბრაზურებაიანი (ხერეტილი სასროლი იარაღის ღელის გამოსაყოფად) პარაპეტით მთავრდებოდა. ბურჯები (ვოლოლები) დამოკიდებული საბრძოლო მოქმედებისათვის იყო მომზადებული. ციხესიმაგრეებში ეწყობოდა ციტადელი (შიდა ციხე) — გარნიზონის უკანასკნელი საბრძოლო პუნქტი.

სიმაგრეს ჩვენში ამუქებდნენ ვერ კიდევ საბო-ოთხი ათასი წლის წინათ, მაგრამ სიმაგრეთა შექმნის სისტემას ორგანიზებული სახე

შზოლოდ სახელმწიფოს სამოყალიბების შემდეგ მიეცა. სახელმწიფოს წარმოშობას თან სდევდა ქალაქების გაჩენაც, მონათმფლობელი და ფეოდალურ ხანაში კი ქალაქი გამაგრების გარეშე წარმოუდგენელია. ქალაქს გარშემო გაღვიანი ერტყა. მას იმდენი კარი უნდაქუთხულდეს რამდენიც ვხა. თითოეულ კარს კი თავისი მცველი ჰქონდა (ქმ. მხობ.) ნებასურვილის გარეშე ქალაქში ვერც ვერავინ შევიდოდა და ვერც გავიდოდა. მაგრამ ქვეყანას მარტო ქალაქი ვერ დაიცავდა, საჭირო იყო მისი დამცველი ციხეების მშენებლობა.

და მაინც, უძველესი თავმესაფარი და თავდაცვის საშუალება იყო გვირაბისებური ნაპრალები, რომელთანაც ხშირად დაკავშირებული იყო ქვათა ვროვა. ასეთ ადგილებს ადამიანი ნადირ-მხეცთავან თავმესაფრად იყენებდა. სადგომებად გამოყენებული ასეთი გვირაბისებური ნაპრალები მრავლად მოიპოვება გოხნარში (თეთრიწყაროს რ.), ბუშთაშენში (წალკის რ.), აბულში (ახალქალაქის რ.) და სხვ. ამ ადგილებში არ ჩანს ადამიანის ნამუშეარი და, ამდენად, არ დამოკლებიან ისინი ბუნებრივ მდგომარეობას.

მოგვიანებით, თავდაცვის საშუალებად უზარმაზარ ქვა-ლოდებისაგან აგებენ ციხეებს, ციხე-ქალაქებს. ქვის ლოდები შემსაკეთებელი ხსნარის გარეშე არის დალაგებული. ციკლოპური ნაგებობები გარკვეული სახით ემთხვევა მეგალითურ ნაგებობებს (უზარმაზარი ქვის ლოდებისაგან აღმართული ნაგებობა). ციკლოპური მოძინარეობს ძველ ბერძნულიდან; ვეკოსის კულტურის ამ სახის ნაგებობებს ლეგენდარულ გოლიათებს — ციკლოპებს მიაწერდნენ. ციკლოპური ნაგებობები (თავდაცვითი, საკულტო და სხვ.) ენეოლითის ეპოქას (ძვ. წ. III ათასწლეული) მიეკუთვნება. უმეტესობა გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანებს (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა — I ათასწლეულის დასაწყისი). ამდენად, ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქეები ძირითადად მიეკუთვნება გვაროვნულსა და გვაროვნულ-ტომობრივ საზოგადოებას, ან მისი რღვევის ხანას, ყოველ შემთხვევაში, წინაკლასობრივ ფორმაციას.

ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქეთა უამრავი ნაშთია შემორჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. ამ მხრივ, უზარმაზარი ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქეებია — გოხნარი (თეთრიწყაროს რ.), ავრანდო, სანთა (წალკის რ.), ზოდლე-მასიკ (ჯავის რ.), ვარდა ამისა, ციკლოპური ციხეებია — ნარდევანში, ბუშთაშენში, გუშათში, ოზნში, წყურვეთში (წალკის რ.), ფოკაში, ასფარაში, ბულდაშენისა და მადათაფის ტბების ნაპირებზე (ნინოწმინდის რ.), საროში (ასპინძის რ.), ონის მახლობლად, ჭოროხის აუზში და სხვ.

ამასთანავე, ასეთ ნაციხარ-ნაქალაქეთა გვერდით, საქართველოში გვხვდება ისეთი სადგომებიც, რომლებიც ციკლოპური ნაგებობის სისტემისაგან გარკვეულად დამორბეულნი არიან, მაგრამ ფეოდალური ეპოქის ნაგებობათა ყაიდაზე მაინც არ არიან გამართმდნენ. მათგან ნაგებობები ისეთივე უზარმაზარი და ტლანქი ნაგებობების მსგავსად ციკლოპური, ნაგება უკიროდ და უღელაბოდ. ამასთან, ისინი ვეებეროულა ქვებისაგან კი არ არიან დაწყობილი, არამედ ხელოვნურად ზამტერვე ქვათაგან. ვარდა ამისა, ეს ნაგებობები უფრო რთული გეგმისანი არიან.

ასეთი ნაგებობები ციკლოპურისაგან ცოტა თუ ბევრად დამორბეულია, მაგრამ ფეოდალური არქიტექტურის დონეს ჯერ კიდევ არ აღწევს. ამის შვავლითი საქართველოში ორ ადგილასაა - ფარაენის ტბის სანაპიროზე. ერთი მათგანი მცირე აბულის „ქოროღლის“ სახელით არის ცნობილი, ხოლო მეორე შაირის „ქოროღლის“ სახელით. აღსანიშნავია, რომ „ქოროღლის“ სახელწოდების წარმოშობაზე რამდენიმე შეხედულება არსებობს. ქართული ვერსიის გმირის „ქოროღლის“ სახეში გაერთიანებულია სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი „კეთილშობილი ყაიღის“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი გმირის სახე. სხვათაშორის, ამ ზღაპრული გმირის „ქოროღლის“ სახელით საქართველოში თურქულ-აზერბაიჯანულ ენაზე მოღაპარაკე მოსახლეობა, თითქმის ყველა ციხეს ამ სახელით იხსენიებს.

ციკლოპური ციხეები ძირითადად განსხვავდება ბიზანტიური დროის ნაგებობათგან დასავლეთ საქართველოში (V-VI სს.), როგორც არიან არქეოპოლის - ნოქალაქევი, ციხისბორა, ანაკოფია, როდობოლის - ვარციხე, შორაპანი, სკანდე და სხვ.

წინაკლასობრივი საზოგადოების ციხეებს ძნელოდ ადვილობრივი, ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდათ. კლასობრივ საზოგადოებაში კი მათ დიდი ფუნქციები ეკისრება და მოქმედების არეალიც უფართოვდება. ამ მხრივ, განსაკუთრებული მღვიმარეობა იყო ფეოდალურ ხანაში, მაშინ როდესაც „ყველა ყველას წინააღმდეგ“ იბრძოდა. თითოეული მათგანი გამაგრებულ ადგილას უნდა მეცდარიყო, რომელთა სიმაგრეს ციხე-დარბაზი წარმოადგენდა; ასევე დროს იგი მათი დასაყრდენიც იყო.

მართალია, ფეოდალურ ქვეყანაში მთავარი სიმაგრე ციხე-ქალაქია, მაგრამ ციხეების გარეშე იგი თავის ფუნქციას ვერ შეასრულებდა. ციხე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ხოლო ციხე-დარბაზი კერძო პირს, ფეოდალს. ამ სამივე სიმაგრეს (ციხე-ქალაქი, ციხე, ციხე-დარბაზი) ესაჭიროებოდა მაკავშირებელი, რომლის როლსაც ცალკე მღვიმარი კომპი ასრულებდა. ერთი კომპი მეორეს უკავშირდებოდა. იქნებოდა ქვეყნის დაცვის ერთიანი ჯაჭვი. სახელმწიფო თუ ძლიერი იყო, მაშინ

ჯაჭვი მოქმედება და მტერი შეუშინებლად ვერ შეხოვიდოდა, პირველი სივრცისთანავე ცენტრი მზადყოფნაში მოდიოდა.

ქვეყნის მესვეურნი ციხისათვის სტრატეგიულად გამართლებულ ადგილს არჩევდნენ. ასეთი ციხე შემოჭრილ მტერს წინაშე უმეტესად გადაუცემადა. ციხის აგებისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მტერს წინაშე სიმაგრის შერჩევას. ასეთ შემთხვევაში ყოველ ციხეს ძალი უორკვედებოდა. საქართველოში თითქმის ყველა ციხის ადგილი საგულდაგულოდ არის შერჩეული. მთიან საქართველოში კი ამგვარი ადგილების შერჩევა ხდნულეს არ წარმოადგენდა.

ქართველი ოსტატი სიმაგრისათვის ადგილის შერჩევისას მარტო მიუღვამილობაზე არ ფიქრობდა. მისთვის არანაკლები საზრუნავი იყო ესთეტიკური მხარეც. ამის შედეგია ციხეთა ბრწყინვალე განლაგება, მათი შეხამება ლანდშაფტთან.

სიმაგრეები ერთმანეთისაგან ეპოქების მიხედვით განსხვავდება. ყოველ ეპოქას თავისებურებები ახასიათებს.

ციხე რადგან თავდაცვას ემსახურებოდა, ამიტომ მის ფორმასა და დეტალებს იარაღი განსაზღვრავდა. პირველ ხანებში ასეთ იარაღს მშვილდ-ისარი წარმოადგენდა. მისი გამოყენება შეიძლებოდა ქონჯურებიდან. ასევე დროს, მშვილდოსანს ადვილად რომ ეპობრავა, კოშკის შიგნიდან კედელში კეთდებოდა ღრმა და განიერი ნიშა დიობით (ღიად დატოვებული სივრცე ნაგებობაში). მომდევნო ეპოქებში, როცა ცეცხლ-სასროლი იარაღი შემოდის, სურათი მკვეთრად იცვლება. ამ იარაღმა შეცვალა ციხეთა და კოშკთა ფორმები და ნაგებობათა კონსტრუქციები.

დადგენილია, რომ თოფს საქართველოში XV საუკუნის ბოლოდან იყენებდნენ. თოფის გამოჩენასთან ერთად სიმაგრეთა ყოველ სახეობაში ჩნდება ახალი დეტალი — სათოფე. ცხადია, ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების შესაბამისად მათი რაოდენობაც იზრდებოდა და, ამასთანავე, რთულდებოდა სათოფეთა ფორმაც.

ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება რთულ პროცესს წარმოადგენდა და მრავალ ხდნელესთან იყო დაკავშირებული. მისი წარმოება საქართველოში მძაღლ დონეზე არ იდგა, ამიტომ მშვილდ-ისარი დიდხანს შემორჩა. იგი საბოლოოდ განიღვანა XVIII საუკუნის შუა ხანებიდან.

ცეცხლსასროლი იარაღებიდან ჯერ თოფის წარმოება განვითარდა, შემდეგ კი — ზარბაზნისა. ამ ორივე იარაღს კედლებში თავისებური ჭრილი სჭირდებოდა. ცხადია, ჯერ გაჩნდა სათოფე, შემდეგ კი — საზარბაზნე. სათოფე თავდაპირველად ცალმაგი იყო. შიდა ჭრილი განიერი ჰქონდა, ხოლო გარეთა — ვიწრო (5-15 სმ). სათოფეს ჭრილი თანდათანობით რთულდება, ხერხელობათა რაოდენობა კი მრავლდება.

სათოფეთა სირთულე თავის უმაღლეს განვითარებას XVIII საუკუნის შუა ხანებში აღწევს. საზარბაზნეს განვითარებას ამდენი საფეხური და სირთულე არ ჰქონია. გვხვდება საზარბაზნის ორი ფორმა. პირველი მათგანია სარკმლის მსგავსი ხერხელები (40-60 სმ. სიგანის) მსგავსი გვერდებით. ხოლო მეორეა ისეთივე ხერხელები სამკუთხედის ფორმისა.

ციხის თავდაცვას სათოფეთა და საზარბაზნესთან ერთად ემსახურებოდა სალოდეც. მხედველობაშია მისაღები ის გარეობა, რომ სალოდე ვაკილებით ადრეა წარმოშობილი, ვიდრე სათოფე და საზარბაზნე. ქვის ლოდის გამოყენება ადამიანმა უფრო ადრე ისწავლა, ვიდრე თოფისა. იმისათვის, რომ კვდელთან მომდგარი მტრისათვის ლოდი თავზე დაეგდო, საჭირო იყო რაღაც უძირო შევრილია. ჩვეულებრივ, ციხის კედლის ან კოშკის ზედა ნაწილს, ან ბანს, უკეთებოდა სწორკუთხა შევრილი, რომელსაც ძირი არ გააჩნდა. სწორედ ამ ლოდით ხდებოდა ლოდების გადმოყრა. სალოდეები ზომით სხვადასხვა, მაგრამ ფორმით ყველა სწორკუთხა იყო. სალოდეს ლოდი გამოიყენებოდა, აგრეთვე, ცხელი ხითხის გადმოსადურებლადაც. გვიანი საუკუნეების საქართველოში სალოდემ ფორმა შეიცვალა, იგი დაასტარავდა, თუმცა რაოდენობრივად გაიზარდა. სალოდემ გარედან ნისკარტა ფორმა მიიღო. ხოლო, რაც შეეხება სწორკუთხა ფორმას, იგი უკანასკნელად XVII საუკუნეში გვხვდება, ისიც იშვიათად.

საქართველო ყოველთვის ერთიანი არ იყო, ამიტომ კარგად არაა ცნობილი, თუ ქვეყანა როდის რაგორ საძრძოლი ერთეულებად იყოფოდა. ვიცით, რომ ერთ დროს სასამსახეტოებად ყოფილა დაყოფილი, გვიან საუკუნეებში სადროშოებად.

ანტიკური და ფეოდალური ქალაქების დაცვას ემსახურებოდა გალავნით შემოზღუდვა. გალავნის შიგნით აუცილებლად გამოყოფილი იყო შიდაციხე. ციტადელი, რომელიც მუდამი ბელის სამყოფელს წარმოადგენდა. ამას გარდა, შეიძლება გამოყოფილიყო სხვა ნაწილებიც. ძველი ჰეროდოსის ქალაქი წარმოუდგენელია გალავნის გარეშე. ქალაქი თავისთავად სიმკრე უნდა ყოფილიყო, ამიტომ საჭირო იყო კედლები შიგ ჩაყოლებული კოშკებით. ქალაქს აუცილებლად ჰქონდა ჭიშკარი. ქალაქის სიმაგრის შემოხვევაში ჭიშკრების რაოდენობაც კლებულობდა. დიდ ქალაქს რამდენიმე ჭიშკარი უნდა ჰქონოდა. ჩვეულებრივ ჭიშკარითა რაოდენობას ქალაქთან მიმავალი გზები განსაზღვრავდა. ამას გარდა, ქალაქს ჰქონდა დამხმარე და საიდუმლო გასასვლელები. სწორედ ამ უკანასკნელიდან ხდებოდა კარზე მომდგარ მტერზე მოულოდნელი თავდასხმა.

ანტიკურსა და ფეოდალურ ხანაში აგებულ ქალაქებიდან უნდა დავასახელოთ რამდენიმე - მცხეთა (ძვ. წ. IV-III სს.), ურბნისი (ძვ.

წ. IV ს.), უფლისციხე (ძვ. წ. VI-IV სს.), ციხეჯვარი-ნოქაჯიჯი (ძვ. წ. III ს.), სამშვილდე (ძვ. წ. IV ს.), თბილისი (V ს.), ვარკეთილი (III-IV სს.), ახალციხე (IX ს.), ახალქალაქი (XI ს.), გორი (XII ს.), თელავი (VIII-X სს.), გრემი (XV ს.), არტანუჯი (VI ს.), ანანური (VII ს.), ბიჭვინთა (ძვ. წ. II ს.), დმანისი (VI-VIII სს.), ჟინვალი (XII ს.), რუსთავი (ძვ. წ. IV-III სს.), ქუთაისი (ძვ. წ. VI ს.) და სხვ.

სიმაგრეებში იგულისხმება თავდაცვის ყველა სახის ნაგებობა. აღსანიშნავია სახელმწიფო დანიშნულების ციხეები, ფეოდალთა ციხე-დარბაზები, განსაკუთრებულ სიტუაციაში, კერძოდ, XVIII საუკუნეში წარმოშობილი ციხე-გალავნები და ცალკე მდგარი კოშკები. თითოეულ მათგანს საკუთარი სახე აქვს და ამავე დროს საერთო თავის ვეგუფთან.

ქვეყნის დაცვის პირველ რიგში ის ციხეები ემსახურებოდა, რომლებიც იდგნენ საზღვრებზე, მაგისტრალზე, გზაჯვარედინებზე და, საერთოდ, სტრატეგიულად გამართლებულ ადგილებში. მტრის შემოსევის დროს პირველ დარტყმებს ეს ციხეები იღებდნენ. ამიტომ მათში გარნიზონი უნდა მდგარიყო, უკიდურეს შემთხვევაში — მობილური ვეგუფი მანც. წინააღმდეგ შემთხვევაში ციხეები ვერ შეასრულებდნენ თავის როლს და მტერი წინააღმდეგობის გარეშე აღმოჩნდებოდა ქვეყნის შიგნით.

ქვეყნის დაცვაში მონაწილეობას იღებდა არა მარტო ციხე, არამედ ყოველი სახის სიმაგრე. აქედან უნდა დაეასახელოთ გამაგრებული ქალაქი, ფეოდალის ციხე-დარბაზი, გამოქცეული, კელესობისა და მონასტრების გალავნები და სხვ.

სიმაგრეები ერთხელ შემუშავებული ფორმითა და კონსტრუქციით როდი იგებოდა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი იგი პასუხობდა თავის ეპოქას. ეპოქების მიხედვით კი ბევრი რამ იცვლებოდა და ყველაფერი ეს თავისებურ ასახვას პოულობდა უშუალოდ ნაგებობის საერთო გადაწყვეტასა თუ დეტალებში. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ არ ტოვებდნენ ძველ სიმაგრეს, თუ იგი დანგრეული არ იყო. ძველ სიმაგრეს ეპოქის შესაფერისად სათანადოდ გადააკეთებდნენ და ჩავენებდნენ თანამედროვეთა რიგში.

ქვეყნის უსაფრთხოება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყო აწყობილი დაცვის სისტემა. ფეოდალურ ქვეყნებში მიღებულ ამ საერთო წესს საქართველოშიც იყენებდნენ. ამ შემთხვევაში საუბარია სოცნალიზაციაზე, რომელიც შემდეგი წესით გადაეცემოდა: ციხესიმაგრეები და მათი მაკავშირებელი კოშკები ისე იყო განლაგებული, რომ ერთმანეთს უცქეროდა, იქნებოდა უწყვეტი ჯაჭვი. ასეთი განლაგების შემთხვევაში საზღვარზე მტრის გამოჩენისას, იქვე მდგარი ციხის

კომეზე აინთებოდა კოცონი, მომდევნო ობიექტის მზვერავს ამის დანახვისთანავე დაანთებდა ცეცხლს და ამგვარად, სივსალი-ჯოჯოხეთის გზაზე გადაეცემა ცენტრს.

XVI საუკუნიდან ზემოაღნიშნული სივსალიზაციის სისტემები მკვრივ-ტივდა და გაუმჯობესდა. მართალია, ცეცხლმსროლელმა სპრინკლერებმა დების შემდეგ კოცონის მაგივრად თოფსა და ზარბაზანს ისროდნენ, მაგრამ ეს მეთოდი მთლიანად მაინც არ განუღებნათ.

გადაცემის და შეტყობინების თვალსაზრისით სივსალიზაციის ორივე სისტემს თავისთავად იდეალური იყო, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, თავის დანიშნულებას, მხოლოდ ძლიერი ქვეყნის პირობებში ასრულებდა. დასუსტებულ, დაქუცმაცებულ ქვეყანაში კი მტერი შუაძილში მოვისწრებდა. ისტორიამ ბევრი ასეთი შემთხვევა იცის. ერეკლემ შაჰის მოახლოება რომ შეიტყო, საზღვრისაკენ მზვერავთა ჯგუფი გაგზავნა. თორმეტი კაციისაგან შემდგარი ჯგუფი მტრის დიდ რაზმს წააწყდა ჩატყხილ ხიდთან (იგივე წითელი ხიდი). ქართველებმა უკან არ დაიხიეს და მამკურად შეუტყეს თურმეტი გმირი შუაგდა მომხდურთ. მზვერავთა ჯგუფის უფროსს ნათალიშვილს ცხენი მოუკლეს. მან ერთ-ერთი სპარსელი ცხენიდან ჩამოავლო, მოკლა, მოახტა მის ცხენს და ქალაქისაკენ გაქვენდა. მტრის მოხელა შეფემ დროზე შეიტყო.

ციხე-დარბაზის დანიშნულება სავსებით განსხვავდებოდა ციხისაგან, მაგრამ მას, საერთო ჯაჭვში, დიდი როლი პქონდა დაკისრებული. ციხე-დარბაზი კერძო იყო, რომელიმე (მსხვილი ფეოდალის) რეზიდენციას ამგვრებდა. ფეოდალურ ქვეყანაში ყოველ ფეოდალს უნდა პქონოდა ციხე-დარბაზი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ ჩაითვლებოდა მაღალი საზოგადოების წევრად, თავისთავად ციხე-დარბაზი, უბრველეს ყოვლისა, საცხოვრებელი იყო და შემდეგ — სიმაგრე.

ციხე-დარბაზებს ადრე თუ შუაფეოდალურ ხანაში მივებზე და შემადლებულ ადგილებზე აგებდნენ, XVII საუკუნიდან სურათი შეიცვალა, მივებიდან ხეობებში, ვაკეებზე გადმოინაცვლეს. პირველი პერიოდის ციხე-დარბაზები მოუვალი იყო, მეორე პერიოდისა კი, პირიქით, ადვილი მისადგომი. ასეთი რადიკალური ცვლილებები განაპირობა პოლიტიკური სიტუაციის შეცვლამ, ვართულებამ და მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უფრო მარჯველ წარმოების საჭიროებამ. ჩვენს ქვეყანაში გაფანტული უამრავი სიმაგრეიდან დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს:

დარიალის ციხე, ბებრისციხე, შხეფი, ჭაჭენჯი, კლდეკარი, ბართვისი, ხერთვისი, ატენი, წარქოლი, ქოლოთი, აწყური, სამწვერისი, სურამი, კებეი, არმა, ბოჭორმა, სხვილო, ძლინა, ანანური, მძოვრეთი, რუისი,

ტბისი, ახალგორი, ხელუტი, სხო, ქსისციხე, კოდისწყარო, ღრბციხი, ნოსტე, ქსოვრისი, ქვემო ჭალა, ბახტრიონი, ბელოთი, აბისი, მაჭანი, რუისპარი, სიღნაღი, ხორნაბუჯი, ასპინძა, ოჭროსციხე, დემბსქალა, სკანდე, ხელუტი და სხვ.

ს ი გ ლ ი რ ი თ ი ე ე

XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ქართველი ხალხის უბედურებას დაემატა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი განსაკუთრებული პოლიტიკური სიტუაცია. ქართლ-კახეთში ყოზღდაშები და ოსმალები არ ცხრებოდნენ. ყოველივე ამას თან ერთოდა მიუბღან ჩამოსული ლეკებისა და ოსების განუწყვეტელი თარეში. ქვეყანა ვერ გაუძლავდა მთიელ ყანაღთა მოძალესას. ისინი იტაცებდნენ სულიერსა და უსულოს, რათა შემდეგ ძვირად გაეყიდათ ბაზრებზე. მართალია, მათ ხშირად ისე ამოწყვეტდნენ ქართველები, რომ ამბის წამლებიც აღარაფერ რჩებოდათ, მაგრამ მათი თარეში ათეული წლები გრძელდებოდა. ქართველმა მეფეებმა არ იცოდნენ სად, რომელ კუთხეში იდგა ლეკთა და ოსთა რაზმები.

ქართლ-კახეთში XVIII საუკუნის შუა ხანებში პოლიტიკურ სიტუაციას აუცილებლად უნდა წარმოემუგა დაცვის განსხვავებული სისტემა. ასეც მოხდა. ჩნდება ირმა-ბაღაშაიანი, ახალი ტიპის სიმაგრე, რომელიც ახლი უკვე მთის წვერზე და ძნელად მისადგომ ადგილებზე კი არ შენდებოდა, არამედ შივ სოფელში ან სოფლებს შორის. ასეთი ციხის უპირატესობა ის იყო, რომ მტრის გამოჩენისთანავე მთელი მოსახლეობა იზიზნებოდა აქ თავისი მოძრავი ქონებით. ამიტომ მას აუცილებლად დიდი ტყველობის და ტრანსპორტისათვის გამოსადეგი ჭიშკარი უნდა ჰქონოდა. ასეთ შემთხვევაში ციხეში გარნიზონი არ იდგა და თვით შეხიზნულები ქმნიდნენ გარნიზონს.

ციხე-გალაენები იყო — მუხრანში, ყვარელში, ნაფარულში, ფშაველში, შიღნაღში, ივალთოში, ცურტაეში და სხვ.

ამხალი დამოუკიდებელი სახეა სიმაგრისა, მაგრამ ამასთანავე ყოველი სახის სიმაგრის შემადგენელი ნაწილიცაა. ჩვეულებრივ ერთი ან რამდენიმე კოშკი ახლავს ციხეს, ციხე-ქალაქს, ციხე-დარბაზს და ვალაყანს. დაცვის საერთო სისტემა კოშკების გარეშე წარმოუდგენელია. კოშკი დაცვის საერთო სახის, მისი რგოლების მაკავშირებელია. ქვეყნად იმდენი ციხის აგება შეუძლებელია, რამდენიც საჭიროა ერთმანეთთან უწყვეტი ჯაჭვის შესაქმნელად. დიდ სიმაგრეებს შორის სიმაგრის პატარა ელემენტებია საჭირო, რომ სიღნაღი, ცნობა გადაიცეს. იგი თვალის მისაწიერზე მაინც უნდა მდგარიყო. კოშკებში იდგა ვარაუდი, მზვერავი. ცალკე მდგარი კოშკის გარდა, კოშკი ყოველი სიმაგრის

ერთ-ერთი ელემენტია. ანტიკური დროიდან მოყოლებული საქართველოს ტერიტორიაზე არ არის ისეთი სიმაგრე, რომელსაც ერთი კომპი მაინც არ ახლდეს. სად, რამდენი და როგორი კომპი უნდა აგებულიყო, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე წყდებოდნენ. კომპი შეიძლება იყოს საყარაულო, რომელიმე სიმაგრის შემსრულებელი ნაწილი და, აგრეთვე, საცხოვრებელ-თავდაცვითი.

საცხოვრებელ-თავდაცვითი დანიშნულების კომპები შეადგენდნენ ციხე-დარბაზთა და სხვა ანსახლთა ნაწილს, მშვიდობიანობის დროს შიგნით მუშაობდნენ ცხოვრობდნენ, მტრის შემოსევისას კი თავდაცვას ემსახურებოდა. ხშირად ალყა დიდხანს ვრძელდებოდა, ამიტომ კომპი სათანადოდ უნდა ყოფილიყო აღჭურვილი.

რაც შეეხება ცალკე მდგარ საცხოვრებელ კომპს, იგი შეტწილად დაკავშირებული იყო ამა თუ იმ საცხოვრებელ კომპლექსთან. კომპის უკანასკნელი სახე შესამჩნევად ვრცელდება XVI საუკუნიდან, ხოლო მომდევნო საუკუნის ქართლ-კახეთში იგი საკმაოდაა დამკვიდრებული, რაც გამოდგმული შიშინობის შედეგია.

საქართველოს ტერიტორიაზე სადაზვერვო თუ სხვა ხასიათის კომპი ასობითაა. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: უკანუბანი, სიათა, ზემო მღვითი, ხადა, ფანშუტი, სიონის კომპები, ბავინი, წორბისი, ჩინთი, აბანო, ბაღანო, ყორნისი, გეგინეთი, ქვიშხეთი, საქაშეთი, ხეთი, ქორდი, ქემურტი, მარტყოფი, კარბი, კატარბეული, შნა, სვანეთის კომპები და სხვ.

საქართველოში გამაგრებული იყო აგრეთვე გლეხთა-მონასტრები, რომელთაც შემოვლენული ჰქონდა გალაგანი და კომპები. მათ შორის აღსანიშნავია ხეტიცხოვლის გალაგანი, ნინოწმინდის ტაძრის გალაგანი, ალავერდის ტაძრის გალაგანი, მარტყოფის მონასტრის ზღუდე, ღარ-გვისის მონასტრის ზღუდე. ახვეე - ვრეხის, ანახურის, ხეკრეხის, რკონის, სამთავროს, ზობის, ქვათახვის, ზედაზენის და სხვა მონასტრების გალაგნები. საყრადღებოა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის რამდენიმე სათვალთვალო კომპი და გალაგანი და სხვ.

ამდენად, ქართველმა კაცმა საუკუნეების მანძილზე შექმნა თავდაცვის რთული და მრავალმხრივი სისტემა. XIX საუკუნიდან თავდაცვის ამ სისტემამ თავისი ფუნქცია დაკარგა და იქცა ზელოვნების ნიშნებად. ისინი ერთ დროს ვაცხოველებულ თავდაცვით ფუნქციებს ასრულებდნენ, დღეს კი ლანდშაფტებს ამკობენ. თითოეული მათგანის ისტორია ქართველი ხალხის ისტორიაა.



სამხედრო საქმის ორგანიზაცია უშუალოდ ასახავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს. ყოველ საქართველოშივე ეკონომიკურ ფორმაციას სათანადო სამხედრო ორგანიზაცია შეესაბამება კაცობრიობის განვითარების უმაღლესი საფეხურიდანვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამხედრო საქმე მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გვიანულ-თემური წყობილების დროს. საზოგადოების სოციალური განვითარების დონის მანველებელი სამხედრო ორგანიზაციაში ლაშქრის სოციალური შემადგენლობა. გვიანულ-თემური წყობილების დროს, ამ ფორმაციის უმაღლეს საფეხურზე კი, მაშინ როცა გაიზარდა ქონებრივი უთანასწორობა და ჩაისახა სოციალური უთანასწორობა, არსებობდა სახალხო ლაშქარი: ყოველი სრულსაკონანი მამაკაცი ვალდებული იყო ელაშქრა, „ხალხი“ და „ჯარი“ ამ ეპოქაში თანაბარმნიშვნელოვანი ცნებები იყო.

მომდევნო საზოგადოებრივი ფორმაციების წარმოშობა უშუალოდ იყო დაკავშირებული სამხედრო საქმის ორგანიზაციასთან.

სახელმწიფო წყობილების დროს სათავეში იდგა მეფე ძველი პერიოდის ბერძნულ-რომაული წყაროების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, მეფე წარმოადგენდა ხელისუფალს, რომლის ხელშიც იმყოფებოდა ძალაუფლება სახელმწიფოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში. დიონ კასიუსთან (I-II სს.), ტაციტუსთან (I ს.) და სხვა ანტიკური პერიოდის ავტორებთან, როდესაც ისინი ქართლის დიპლომატიურ თუ სამხედრო აქტიუობას განიხილავენ, მუდამ პირველ რიგში მეფის ფიგურა დგას. მთელი სამხედრო ადმინისტრაციაც მეფეს ემორჩილებოდა.

ძველ ქართლში, ყოფილა მეფის შემდგომ მეორე პირის ინსტიტუტი. სტრაბონის (ძვ. წ. I – ახალი წ. I სს.) ცნობილ აღწერილობაშიც იხსენიება სამეფო საგვარეულოს წევრი – მეფის შემდგომ მეორე პირი, რომელიც მთავარსარდლისა და უმაღლესი მსახურის მოვალეობას ასრულებდა. „ქართლის ცხოვრება“ იყნობს ძველ ქართლში ამ მეფის მეორე პირს, რომელიც სათავეში იდგა სამეფო ადმინისტრაციას. ეს იყო „საპასპიტო – მთავარსარდალი, ყველა ერისთავთა უფროსი და, ამავე დროს, სახელმწიფოს ცენტრალური ოლქის – შიდა ქართლის მმართველი (ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 24-25). სხვა ძველი ქართული წყაროებით სასაბუტია მეფის შემდეგ სახელმწიფოს უზენაესი მმართველი (იღ. აბულაძე, ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955, გვ. 108).

სახელმწიფოში პირველ ადგილზე სამხედრო ორგანიზაციის მეთაური - სასაქეტი „მეფის შებდგომ მეორე პირს“ წარმოადგენს: იგი იყო უფროსი „ერისთავებისა“ ანუ ჯარის უფროსებისა („ერი“ ძველად „ხალხთან“ ერთად ჯარს ნიშნავდა), რომლებსაც მათი უფროსი ოლქის უფროსებს წარმოადგენდნენ. ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ჩანს, ლაშქრის ორგანიზაციის პრინციპზე იყო დაფუძნებული. ასეთ ერთეულებს ხათავეში ლაშქრის უფროსნი - „ერისთავები“ (ერი-ჯარი) ეწოდნენ. საერისთავოები ჩვეულებრივ წარმოადგენდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულებს, დახშულ გეოგრაფიულ რაიონებს. ასეთი იყო ქართლში ჰევი (ხევი), რაც ამ ერთეულების ყველაზე გავრცელებული სახელწოდება უნდა იყოს. ჩანს, ხევი თავს იჩენს ისტორიულად ჩამოყალიბებული მსხვილი ტერიტორიული ერთეულების სახელწოდებად („ჰევი კახეთისა“, არტანუჯი, კლარჯეთი, კოლა, საცხე და სხვ.). ერისთავებს აქვებზედარებოდნენ თიხისთავანი, მამასახლისანი და სხვ. პირნი.

ფეოდალურმა წყობილებამ სამხედრო ორგანიზაციის ამალი ფორმა წარმოქმნა. ფეოდალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე, როცა თავისუფალ მეთემეთა ყმადქცევის პროცესი მიმდინარეობდა, საზოგადოება თანდათან იყოფოდა ორ ძირითად კლასად - შიშხიანად და ბლახიანად. ლაშქარს შედგებდნენ შიშხის რაზმელები (მეფის მსახურები: მეფის ყმები, ყოფილი მონები, წარჩინებულთა ნაწილი) და თავისუფალი მოლაშქრეები - მეთემეთა მასა.

ადრეული ფეოდალიზმის ეპოქის დასასრულისათვის, თავისუფალი გლეხობის დაქვევების კვალდაკვალ, ფეოდალებმა „სამხედრო საქმეში მონოპოლია“ მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით განვითარებული ეპოქის საქართველოში, კერძოდ XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში იყვნენ „მიწათმოქმედი“, „მიწის მუშები“, „მწარმოებელი ფენა“. საქართველოს ჯარი ფეოდალურ პრინციპზე იყო აგებული, მიწის მუშა იძულებული იყო გუთანში მიეტოვებინა და ხელი იარაღისათვის მოეკიდა. ამის გამო ფეოდალური მეურნეობა ზარალდებოდა.

უკვე ანტიკური ხანის საქართველოში, როგორც ამას არქეოლოგიური გათხრების მონაცემები გვიჩვენებენ, საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაცია ისე შორს იყო წახული, რომ ამან ახახვა პოვა ქართულ სამხედრო ორგანიზაციამც. ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეთა მიჯნის სამაროვნებზე (ბეშთაშენი), ბევრია საბრძოლო იარაღი, მაგრამ

ძვ. წელთაღრიცხვის V ს. შუა წლებისა და მომდევნო ხანის მატერიალური ცხოვრების განვითარების ხარისხი სრულყოფილი არ გვხვდება. აღნიშნული ხანის სამაროვნებში იარაღის მასობრივი გაქრობა დამახასიათებელია ძველი საქართველოს ბარისათვის. მეცნიერთა აზრით, იმ წინაშესწავლაში, სადაც ამგვარი დაპირისპირება ჩანს, არის კლასობრივი საზოგადოება, სადაც იარაღი და მასთან ძალაუფლებაც საზოგადოების გარკვეული უფლებრივად და ეკონომიურად დაწინაურებული წრის, ფენის ხელშია. იმ პერიოდის ძვირფას სამაროვნებში დადასტურებულია იარაღის უხვად ჩატანება, ხოლო რიგით სამარხებში იარაღის თითქმის სრული გაქრობა. ეს არის საზოგადოება, რომელშიც მუშაკრი და მშრომელი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ფეოდალური ურთიერთობის ჩახახვის პერიოდში ქართული ლაშქრის სოციალური შემადგენლობის შესახებ პირდაპირი ცნობები არ გვაქვს. სარგის კაკაბაძე ფიქრობდა, რომ ამ პერიოდში მოლაშქრე იყო ყველა ბრძოლისუნარიანი მამაკაცი. V საუკუნეში ქართლის ლაშქრის შემადგენლობაში ვარის მძიმედ შეიარაღებულ ნაწილს (ცხენ-თოროსანნი [ტანოსაცემი, ჯაჭვი, აბჯარი] და ჯაჭვ-ჩაბაღბოსანნი) შეადგენდნენ წარჩინებულნი, მსუბუქ მხედრობას - წერილი აზნაურები და მსახურები, ხოლო ქვეითობას - „ძინის მუშები“ ანუ ვლებები.

ახალი წელთაღრიცხვის I-V სს. ქართლის ლაშქარში შედიოდნენ: ქვეითობა, მძიმე კავალერია და მსუბუქი მხედრობა. არსებობდა, აგრეთვე, მეფის რაზმი, რომლებიც მონებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ცხადია, მეფის რაზმში იმთავითვე თავისუფალნიც იჭებოდნენ. ამას გარდა, უნდა ყოფილიყო „სახაღხო ლაშქარი“, რომელიც დასაწყისში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იკრიბებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მონა“ არ გულისხმობს ნამდვილ მონას - ესენი არიან „ერისაგანნი“, რომლებიც ეკონომიკური დიფერენციაციის შედეგად დაწინაურებულან და შეეძლოთ დაეჭირათ როგორც სამხედრო, ისე სერო სახელმწიფო თანამდებობანი.

V საუკუნიდან ჩანს დაწინაურებული ფენა - აზნაური. ისინი პრივილეგირებული საზოგადოების ერთ გარკვეულ ჯგუფს წარადგენ, რომლებიც უმთავრესად საშუალო მიწათმფლობელთა რიგებიდან გამოდიოდნენ. მეფის სამსახურში დაწინაურებული ასეთი კაცის უპირველესი მოვალეობა სამხედრო სამსახური იყო. აზნაურებისაგან მძიმედ შეჭურვილი მხედრობა დგებოდა, რაც მათ ქონებრივ შეძლებას ცხადად მოწმობდა.

ერისთავების უმთავრესი მოვალეობა იყო საგანგებო ქვეყნიდან ლაშქრის შერება-გამოყვანა და მისი წინამძღოლობა. ერისთავის ხელისუფლების

ამ ნიშანს ასახვა მისი დადგენის წესშიაც პოვა. ერისთავის კურთხევის დროს ეპისკოპოსი თავის ღოცვაში ღმერთს ევედრებოდა: „ნიშნე სიმტკიცე მკლავისა მისისა... და მიეცა ძლიერება მტერთა ჩუენს დიდ ბრძოლისა. დაადგ თავსა მისსა ჩაფხუტი დიდებისაჲსა, რაჲსსაჲსაჲსა შეწევნითა არცხუნდეს მტერთა დღეთა ბრძოლისათა“ (კ. კეკელიძე, „მოაჯართა“ და „ერისთავთა“ დადგენების წესი ძველ ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, III, 1955, გვ. 164). მაგრამ ერისთავი მარტო სამხედრო უწყებას როდი ედგა სათავეში. ადმინისტრაცია, სამართალი, ფინანსები, ქვეყნის მმართველობის ყოველი დარგი მას ეპორჩილებოდა. ერისთავები მეფეს ეპორჩილებოდნენ და მას შეეძლო როგორც მათი დანიშვნა, ისე გადაყენებაც.

ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად საქართველოს ბარში თანდათან ქრებოდა მოლაშქრე „ერისანი“, „თავისუფალი მწარმოებელი“. წყაროებში მოლაშქრეებად იხსენიებთან „მსახურები“, „მხედრები“, „ტაძრეულები“, წარჩინებული და რიგითი აზნაურები – მკვეთრად გამოყოფილი „სამხედრო მსახურეული წრე“. ის ფაქტი, რომ „მსახური“ თავიდანვე მოლაშქრეა, იმის მაჩვენებელია, რომ მოლაშქრეობა, აზნაურებთან ერთად, მსახურთა ძირითადი ფუნქციაა. ფეოდალურ ეპოქაში მოლაშქრეობა პრივილეგიაა, პატივია. ლაშქარში ყოფნა და სამსახური მარტო მოქალაქეობრივი მოვალეობა კი არ იყო, არამედ საპატიო და სამამუო უფლებად ითვლებოდა ყოველ კეთილშობილ მამაკაცისათვის. ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია რომ საქართველოში მეფის „სახლისა და პალატის წესი“ ყოფილა, რომ ეკლესიის მიერ დაკრულილი კაცი მეფესაც უნდა შეერისხა, მამული ჩამოერთმია და ლაშქარში არ შეეშვა (ქართული სამართლის ძეგლები, III, 1970, გვ. 163).

მაშინათ, რომ „ერი“ („ხალხი“) ზოგად მნიშვნელობასთან ერთად ინარჩუნებს ვიწრო მნიშვნელობასაც – „ლაშქარი“, „ჯარი“ – XII სუკუნის ჩათვლით. XI-XII სს. გაცხოველებულ საომარი მოქმედების პირობებში „ერის“ ნაწილი განაგრძობს არსებობას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ჯერ კიდევ შეადგენს ქართული ლაშქრის ძირითად კონტიგენტს – ყოველ შემთხვევაში სამეფო სპის დიდ ნაწილს, რომელიც ერისთავთა გამგებლობაშია, მაგრამ, ამ წრის წარმომადგენლები თანდათან წვევტენ კავშირს მეურნეობასთან, ე. ი. არიან არა „მდაბიორ-მოლაშქრენი“, არამედ პროფესიონალი მოლაშქრენი. ეს წრე ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების მომლასთან და წარმატებულ საგარეო ლაშქრობათა შეწ-

ფეკასთან ერთად ფაქტობრივად განწირული ხდება და ისპობა კონცესუნდა მიეძინით ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის კრიზისად. დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა ყოველთა შემოსახლეებით ძველი „კრის“ ხელოვნურად შექმნის წარმართული ცენტრი იყო, მაგრამ საბოლოოდ ვერც ამ ღონისძიებამ გაუძლია დროსა სულს. რიპარდ პენნიგის ცნობით, დაახლოებით 1200 წელს, ქართველი მეფის თამარის სამსახურში იმყოფებოდა არანაკლებ 3000 მეომარი – ვიკინგი (Рихард Хеннинг, Неведомые земли, т. II, 1961). მიუხედავად ამისა, მონღოლთა პირისპირ საქართველო ფაქტობრივად ფეოდალურად დაქსაქსული აღმოჩნდა მხოლოდ მეფისა თუ დიდებულთა განკარგულებაში მყოფი პროფესიონალ მოლაშქრეთა შედარებით მცირერიცხოვანი რაზმებით.

მოგვიანებით, XVI-XVII სს., ცენტრალური აპარატის მოხელეთა შორის პირველი ადგილი მეფის სახელმწიფოსთვის ეკავა. მისი ფუნქცია სამეურნეო-საფინანსო ხასიათისა იყო. იგი მეფის სასახლის გამგე და სასახლის ყველა დაწესებულებასა ხელმძღვანელად ითვლებოდა. სახლთუხუცესს ემორჩილებოდნენ სასახლის კარის შემდეგი მოხელეები: მოღარეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, საპაწოთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ზინდართუხუცესი, ფარემთუხუცესი, კარის მღვინები და სხვ. (სალაროს გამგე, მღვინეთა უფროსი, მებურეთა უფროსი, მესტუმრეთა უფროსი, ცხენებთა უფროსი, მოსამსახურეთა უფროსი). აღსანიშნავია, რომ სახლთუხუცესის თანამდებობა, როგორც მეფის კარის პირველი მოხელისა, საქართველოს ერთიანი მონარქიის სახელმწიფოს აპარატში არ გვხვდება. მისი ჩამოყალიბება ცალკე სამეფო-სამთავროების წარმოშობის ხანას უკავშირდება.

მეფის დაცვის ორგანიზაციას მონათუხუცესი და მსახურთუხუცესი განაგებდნენ. მონათუხუცესი სასახლის გვარდიის მეთაური იყო. მას ემორჩილებოდნენ ასისტანტები და მეთაიფეები.

საქართველოს ერთიანი მონარქიის დამლის შედეგად ცვლილებები მოხდა მმართველობის ადგილობრივ აპარატშიც. იშლება ერისთავთა ინსტიტუტი. საგამგეო ტერიტორიების ნაწილი ფეოდალების სამკვიდრო მამულად, ნაწილი კი მეფე-მთავრების დომენად იქცა. ამრიგად, სამეფო-სამთავროები დაყოფილი აღმოჩნდა მეფის, ეკლესია-მონასტრებისა და თავადების მამულებად, რომლებსაც ცალკე ფეოდალების მიერ დანიშნული მოხელეები მართავდნენ. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროები ფეოდალების მამულებად

დაიძალა. ფეოდალებს კლასობრივი ინტერესები აიძულებდა, რომ გაერთიანებულიყვნენ მეფის ირველიც და ერთად ებრძოდნენ უცხოელთა შემოსევების წინააღმდეგ. ამ ხანაში აფეილოსობრივი სამოხელეო ანარქიის ინსტიტუტად გვევლინება სადროშო, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულს.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად, ბუნებრივია, მოიშალა ძველი სამხედრო წყობილება. ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულებში, ძველის მხგავსად, ოთხ-ოთხი სადროშო ჩამოყალიბდა. ქართლ-კახეთში ეს რეორგანიზაცია ძირითადად XV ს. 70-იან წლებში განხორციელდა. დაახლოებით ამავე ხანაში უნდა დაარსებულიყო სადროშოები იმერეთშიც. რაც შეეხება ოდიშისა და გურიის სამთავროებს, ვარაუდობენ, რომ იქაც ოთხ-ოთხი სადროშო უნდა შექმნილიყო.

ქართლის სამეფოს მეწინავე სადროშოს ქვემო ქართლი შეადგენდა. სარდლებად ვერ პარათაშვილები, შემდეგ კი ყაფლანიშვილები ინიშნებოდნენ. მემარჯვენე სადროშოს (ზემო ქართლი) სარდლად, წვეულებრივ, ამილახვრები იყვნენ. მუხრანის, არაგვისა და ქსნის ხეობები მემარცხენე სადროშოში ერთიანდებოდნენ და მას მუხრანსატონები სარდლობდნენ. მეფის, ანუ მეოთხე სადროშო თბილისიდან ტაშისკარამდე მტკვრის მარჯვენა ნაპირს მოიცავდა. ამ სადროშოს სარდლებად მეფეები უფრო ხშირად ციციშვილებს ნიშნავდნენ. ამავე სადროშოში შედიოდა ქართლის კათალიკოსის ლაშქარი, როგორც ცალკე ერთეული. ამ ლაშქარს კათალიკოსის მიერ დანიშნული სარდალი ხელმძღვანელობდა.

კახეთის სადროშოების სათავეში თავადები კი არ ჩაყვნენ, როგორც ეს ქართლსა და იმერეთში მოხდა, არამედ ეპისკოპოსები. ეპისკოპოსობა კი მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით. ამ ღონისძიების მიზანს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენდა.

კახეთის მეწინავე სადროშოს შეადგენდა ქიზიყი, რომელსაც ბოძელი ეპისკოპოსი სარდლობდა. მემარჯვენე სადროშოში შედიოდა გაღმა მხარე, ხეკრესელი ეპისკოპოსის სარდლობით. მემარცხენე სადროშოს შეადგენდა გარეკახეთი (მარტყოფ-საგურამთი), მისი სარდალი რუსთველი ეპისკოპოსი იყო. მეოთხე სასარდლო აღავერდელისა. იგი მეფის სასარდლო უნდა ყოფილიყო. XVII-XVIII სს. კახეთში სარდლის მოვალეობას ხშირად თავადები ასრულებდნენ. ეს, ცხადია, რამდენადმე ამცირებდა იმ უპირატესობას, რაც კახეთის მეფეებმა მოიპოვეს თავიდანვე, როცა სადროშოს სათავეში ეპისკოპოსები დააყენეს.

ძეგროსის სამეფოშიც ოთხი სადროში იყო. პირველი სადროში ის შეადგენდა სანხედო-სალომონა და კაცე, მორეს - არგუთი, ნესაქს - რაჭა, მეოთხეს - ოკრიბა-ლენსუმი. ისე როგორც ქართლში, აქაც, სადროშოს სათავეში მსხვილი თავადები იდგნენ.

სადროშოს მეთაურს სარდალი ეწოდებოდა. საჩუქრული წიგნები (ნიშნები) იყო დროში და ხმალი, რომლებსაც თანამდებობაზე დანიშნვისას მუფე საზემოდ გადასცემდა სარდალს. სარდალის ემბრიონებოდნენ სადროშოს ტერიტორიაზე მცხოვრები თავადები, ეპისკოპოსები, მოურავები და სხვ. აქ დასახლებული ფეოდალები თუ მოხელეები, თავიანთ საფეოდალოდან თუ საგამგეო ტერიტორიიდან გამოსული ჯარით, სარდალის ქვეშ იდგებოდნენ. სარდალის მთავარი მოვალეობა იყო ომის დროს ჯარის გამოყვანა, მშვიდობიანობის დროს კი ჯარის გაწერა და მომზადება („ლაშქარ-ნადროში“). სამხედრო ვალდებულებს, როგორც ერთ დოკუმენტშია ნათქვამი, „უშესა და კვარას დღეს ავარჯიშებდნენ“.

ლაშქრის სარდალს და მის ხელქვეითს უნდა სცილდნოდა ქვეყნის გეოგრაფია, მისი ბუნებრივი პირობები და თავდაცვის საშუალებები. შებენხვეით არ იყო ის, რომ შტრისაგან თავდაცვის მიზნით ციხესიმაგრეების ასაგებად ირჩევდნენ მოუვალ ადგილებს, კლდეებს და ვორაკ-ბორცვებს. ეს ციხესიმაგრეები რთული საინჟინრო ნაგებობები იყო, რომელთა ყოველგვარი მომარაგება და თავდაცვის ნიუანსები ვათვალისწინებელი იყო. ამასთან, თვით უშუალო ბრძოლების წინ აგებდნენ ჯებირებს, თხრილებს და სხვ. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობათა აგება უძველესი დროიდან მომდინარეობდა, რაზედაც მიგვიითითებს უამრავი თავდაცვითი ნაგებობები, და ისტორიული წყაროები.

სარდალს, გარდა სამხედრო საქმისა, ეკითხებოდა აგრეთვე სასარდალოს სამართალი და სხვა „ვარიებაც“. აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის I ნახევრის ისტორიკოსი, გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი იყო ქვემო ქართლის ანუ „მეწინავე სადროშოს“ სარდალი. მანვე, მდივანბეგ ვივი თუმანიშვილითან ერთად დაწერილებით აღწერა თავისი სადროშოს მოსახლეობა.

სამეფოში ხალხის აღწერა, რომლის მიზანი იყო ლაშქრად გამოძალი ხალხისა და სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა აღრუსხვა, ოთხ-ოთხ წელიწადში ერთხელ ხდებოდა და სადროშოების მიხედვით წარმოებდა. აღწერის უშუალო ხელმძღვანელი სარდალი იყო. იგივე უნდა ყოფილიყო მასუბისმტკებელი სახელმწიფო გადასახადის აკრეფაზე. ეს გარემოება მას გარკვეულ ადმინისტრაციულ უფლებებს ანიჭებდა სადროშოს მოსახლეობის მიმართ. სარდალს, გარდა აღნიშნულისა,

ეკითხებოდა აგრეთვე სადროშოს თავადთა და აზნაურთა ვაყრის შესახებ. მუცე ამ თუ იმ ადმინისტრაციულ ღონისძიებას სადროშოს შემოქმედით ახორციელებდა. ამ მიზნით სარდალს საპოლიციო და ადმინისტრაციული აპარატი მკაცრად იასაულებინა და ხელუფლების სახითავე ქვეყანაში დენად, სადროშოები წარმოადგენდნენ როგორც სამხედრო უწყებებს, ისე ადგილობრივ - სამოქალაქო ადმინისტრაციულ ერთეულებსაც.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თავისუფალ მიწისმფლობელ-მოღაშქრეთა ფენის წარმოქმნა. ცენტრალური ხელისუფლება ხელს უწყობდა თავისუფალ მიწისმფლობელ-მოღაშქრეთა ფენის შექმნასა და გამრავლებას. თავისუფალთა ფენებს მუცე წარმატებით იყენებდა სეპარატისტთა ფეოდალებისა და საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მუცე ერეკლე კარგად იყენებდა თავისუფლებისაგან ვლენთა ლტოლვას და სამშობლოსათვის თავდადებულ მოძრებს ყმობისაგან ათავისუფლებდა. მიწიანად განთავისუფლებული ვლენთა რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა XVIII ს. 50-იან წლებიდან, კერძოდ კი, 1755 წლიდან, როცა ყვარლის ციხესთან წარმოებულ იქნა დიდი ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

ძველ საქართველოში ბრძოლების წარმატებით ჩატარებას ხელს უწყობდა სამხედრო გეოგრაფიის ცოდნა. მართალია, ეს დარგი მეცნიერების სახით მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, მაგრამ ცნობილია, რომ იმ პირობებს შორის, რომელთა ვათვალისწინებაც უხდებოდათ საბრძოლო ოპერაციების წარმოებისათვის იყო გეოგრაფიულიც. გეოგრაფიული პირობები ყოველთვის თავს იჩენს როგორც სტრატეგიულ, ისე ტექნიკურ ამოცანათა გადაწყვეტის დროს და მათთვის სათანადო ანგარიშის გაწევა აუცილებელია.

აღსანიშნავია, რომ ძველ საქართველოში რუკებს ადგენდნენ წმინდა სამხედრო თვალსაზრისითაც. ამის მაგალითია, ვახტანგ მეექვსის მიერ 1725 წლით დათარიღებული რუკა, რომელიც წმინდა სტრატეგიული ხასიათისაა. რუკის შედგენა დაკავშირებული უნდა იყოს პრაქტიკულ მოთხოვნასთან. მასზე ასახულია ტერიტორია მცხეთიდან კასპიის ზღვამდე, რაც მიუთითებს საომარი ოპერაციის ჩატარების თარიღს. მსგავსი რუკები შემორჩენილია სხვადასხვა არქივებში და, მათ შორის, მოსკოვის სამხედრო ისტორიულ არქივში. აქვეა ტიპითე გაბაშვილის მიერ 1737 წელს სამხედრო თვალსაზრისით შედგენილი დასავლეთ საქართველოს რუკა, რომელიც იმავე წელს პეტერბურგში გადაუცია დედოფალ ანა იოვანეს ასულისათვის.



ნებისმიერი წარმოების წესის პირობებში ეკონომიკა უნდა წარმოებოდეს ერთიანობაში ერთიან სისტემას, რომელშიც მთავარი და განსაზღვრულია წარმოების საშუალებებთან უშუალო მწარმოებლის დამოკიდებულების ხასიათი. ყოველ წარმოების წესს – პირველყოფილ თევზებს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს – შეესაბამება მოსთვის დამახასიათებელი ეკონომიკის თავისებური საკუთრების ხასიათი, მეურნეობრიობის მიზნებით, ფორმებითა და მეთოდებით. რაც ყოველი შემდგომი წარმოების წესის ეკონომიკური მწარმოებლური ძალების განვითარების უფრო ფართო შესაძლებლობებსა და შრომის მწარმოებლობის უფრო მაღალ დონეს უზრუნველყოფს.

ეკონომიკის, როგორც საბაზო მეურნეობის დარგთა ერთობლიობა ასახავს შესაბამისი წარმოების წესის დამახასიათებელ ნიშნებს, ქვეყნის თავისებურებებს, რაც ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, ისტორიული ტრადიციებით და მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონითა განპირობებულია.

საქართველომ განვლილ სოციალური და ეკონომიკური განვითარების ყველა გზა, რაც ცივილიზებულ სამყაროშია ცნობილი. მიუხედავად ამისა, ამ გზის გავლა ადვილი არ იყო. წინააღმდეგობის გადალახვა იყო საჭირო არა მარტო გარეშე მტრებთან ბრძოლაში, არამედ ადგილზე. ბუნებრივი პირობები და რესურსები განსაზღვრავდა ამა თუ იმ დარგის განვითარებას. ყველაფერი ეს ზოგჯერ დიდ დამაბრკოლებელ ბარიერს ქმნიდა მეურნეობის დარგების განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, საქართველო არასოდეს ყოფილა ჩამორჩენილი მეზობელი ქვეყნებისაგან.

წინაგეოგრაფიულ ხანაში ადამიანები ვეგეტებად ცხოვრობდნენ. მეურნეობის ძირითადი საქმიანობა კოლექტიური ნადირობა და შეგროვებლობა იყო. ნადირობა უპირატესად მამაკაცის საქმიანობა იყო, შემკრავებლობა – ქალის.

თავისებური გეოგრაფიული გარეშე დიდ გავლენას ახდენდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაზე და ამიტომ საქართველოში უკვე საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან კარგად შეინიშნება საზოგადოების განვითარების ადგილობრივი ტრადიციები, რის საფუძველზეც გვიანდელი პალეოლითური კულტურა ყალიბდება. ზამთა პალეოლითის ხანაში

კავკასიაში ერთგვარად იცვლება კლიმატური რეჟიმი, იმატებს ატმოსფერული და ამიტომ მთა უკაცრიელდება. მთის ზოლის ხელახალი ათვისება ხდება პალეოლითის ბოლოს, მეზოლითის ხანაში ხდება. ადამიანი ძირითადად სახლდება დაბლობსა და მთისწინა ზოლში. ხელა მანქანების დროს (35-40 ათასი წლის წინა პერიოდი) განსაკუთრებით იმტენისა და დასახლებული საქართველოს დასავლეთი ნაწილი. აღმოსავლეთ საქართველო და ამიერკავკასიის სხვა ოლქები შედარებით ნაკლებად არის ათვისებული. ამ დროის ძველებიდან რიონ-ყვირილას აუზში აღსანიშნავია საკაფია, დვეისზვრელი, საგვარჯილე, საშერცხლე კლდე, გვარჯილის კლდე, მღვიმევი და სხვ. (35-10 ათასი წლის წინ).

ხელა პალეოლითში ვითარდება პირველყოფილი მურწნობის სახეები — ნადირობა და შეგროვება. უძველესდება ნადირობის წესები, სანადირო იარაღები. შრომის იარაღების პროგრესულმა განვითარებამ, ცხოვრების საერთო დონის ამაღლებამ, ერთ ადგილას შედარებით ხანგრძლივმა არსებობამ ხელი შეუწყო ადამიანთა უფრო მყარი კოლექტივის შექმნას, რასაც შედეგად საზოგადოების ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვამ ტომობრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. თავისებური რელიეფის გამო შესაძლოა გვარებისა და ტომების საარსებო არეს ცალკეული ხეყები და ხეობები წარმოადგენდნენ.

ხელა პალეოლითის ეპოქით დასრულდა გამყინვარების ხანგრძლივი პერიოდი და ჩამოყალიბდა დაახლოებით თანამედროვე კლიმატური პირობები. კავკასიაში უკვე იხსლება მხოლოდ მთიანი კულტურის (გარდაამავალი პერიოდი პალეოლითისა და ნეოლითის შორის) ლოკალური ვარაანტები. ამ პერიოდში მოსახლეობის ფართოდ განფენა მიმდინარეობდა, რაც იწვევდა ვათიშვისათვის ხელსაყრელ პირობებს და ერთიანი კულტურის რღვევის პროცესს.

მხოლოდ უნიშვნელოვანები პერიოდია კაცობრიობის ისტორიაში (VI-IV ათასწლეული ძვ. წ.). შემოდის მურწნობის ახალი ფორმა — წარმოებითი მურწნობა — მიწათმოქმედება და შესაქონლეობა. დიდი პროგრესი შეინიშნება ქვის დამუშავების ტექნიკაში. უფრო სრულყოფილი ხდება სანადირო იარაღები. ამავე პერიოდში პირველად შემოდის თიხის ტურჭელი. მურწნობის ამ ფორმებზე გადასვლამ ძირფესვიანად შეცვალა საზოგადოების ცხოვრება. ადამიანი დამუდარ, ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა, პატარა-პატარა სოფლებად სახლდებოდა იქ, სადაც ახალი მურწნობის წარმართვისათვის ხელსაყრელი პირობები იქნებოდა. საქარ-

თველოში კი ამისათვის ყველა პირობა არსებობდა. აქ უზეად იყო საკვები მცენარეულობა. იგი მრავალი ხორბლეული ჯიშის სამწარმოო ითვლება.



ნეოლითურ ძეგლებში ვერ კიდევ შენარჩუნებულია მემორიალური კულტურის ტრადიციები. გვიანდელ ნეოლითში უკვე კვხდება სამიწათმოქმედო იარაღები (ანასეული, გურიანთა, ოდიში და სხვ.). მეურნეობის ახალმა ფორმამ ხელი შეუწყო საცხოვრებლად როგორც ბარის, ისე მთისწინა და მთის ზოლის ათვისებას. თბილპვიან დასავლეთ საქართველოში ღია ნამოსახლარზე ხის მსუბუქი კონსტრუქციის, ფაცხის მსგავსი სახლები უნდა ყოფილიყო.

ნეოლითური კულტურის განვითარებას და ეკონომიკური ახალი ფორმების დამკვიდრებას განაპირობებდა გარკვეული კავშირი ახლო აღმოსავლეთის უძველეს სამიწათმოქმედო ცენტრებთან. ეკონომიკური რევოლუცია საქართველოში საკმაოდ რთული, ხანგრძლივი პროცესი იყო და იგი წარმატებით განვლეს ადგილობრივმა ტომებმა. ნეოლითის დასასრულისათვის და მომდევნო ენეოლითის ხანაში მიწათმოქმედება და მესაქონლეობა მეურნეობის წამყვან დარგებად იქცა.

საქართველოში კარგად არის ცნობილი ნეოლითის ბოლო ეტაპის და მემოლითის - სპილენძ-ქვის ხანის ძეგლები (ძვ. წ. VI-IV ათასწლეული). ამ დროს სოფელი ერთ საგვარეულო კოლექტივს ეკუთვნოდა, რომელსაც ერთობლივი მეურნეობა მქონდა - საერთო სათესი ფართობი, საქონელი და შინახელოსნობა. მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. მის გვერდით ვითარდებოდა, აგრეთვე, მესაქონლეობა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი თავისი მიძღებარე მშარეებით. დასავლეთ საქართველოში ამ პერიოდში გავრცელებული იყო განსხვავებული კულტურა, რომელიც ადგილობრივ ნეოლითის საფუძველზე აღმოცენდა. ადრინდელი სამიწათმოქმედო კულტურა აქ ფართოდ იყო გავრცელებული როგორც ზღვისპირა ზოლში, ისე შიდა ოლქებში. ამ დროის ნამოსახლარებიდან აღსანიშნავია აფსაზეთში და მის მიძღებარე მშარეში; აგრეთვე, როინ-ფარილის აუზში. აღსანიშნავია ქუთაისის მახლობლად აღმოჩენილი თეთრამიწის ნამოსახლარი. აქ ენეოლითური კულტურა კარგადაა წარმოდგენილი გამოქვაბულებში, რომლებსაც ისევე იყენებდნენ საცხოვრებლად (საგვარჯილე, სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, დარკეთი და სხვ.). ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოში მიწათმოქმედ-მესაქონლეობის ტომების თავისებური კულტურაა გავრცელებული. ამასთან, დასავლეთ



და აღმოსავლეთ საქართველოში თავისებური ბუნებრივი პირობების გამო, განსხვავებული ხასიათის კულტურები ვრცელდება.

ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის შუა ხანებში მნიშვნელოვან მუდებისა და მესაქონლეობის დაწინაურებას, სპილენძ-პრეისტორიული მემკვიდრეობის განვითარებას და ტექნიკურ პროგრესს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების სფეროში დიდი გარდატეხა მოჰყვა. საფუძველი ჩაეყარა განვითარების ახალ საფეხურს - ბრინჯაოს ხანას. ისევე როგორც წინარე ხანაში, საქართველოში 2 კულტურული წრე ჩაისახა. ერთი მოიცავდა დასავლეთ საქართველოს, უპირატესად მის ზღვისპირა ზოლს, მეორე კი - მთელ აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთიდან მიმდებარე მხარეებითურთ.

აღმოსავლეთ საქართველოს ადრინდელ სამიწათმოქმედო კულტურას ახალი, უფრო განვითარებული, ე.წ. მტკვარ-არაქსის კულტურა ენაცვლება. ეს კულტურა მთელ ამიერკავკასიაზე ვრცელდება, მისი ზღვისპირა ნაწილის გარდა, და ჩრდილო კავკასიაშიც საკმაოდ ღრმად იჭრება. სამხრეთით კი იგი იკავებს თითქმის მთელ აღმოსავლეთ ანატოლიას, ჩრდილო-დასავლეთ ირანს. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მისი გავლენის ქვეშ ექცევა სირია და პალესტინა. მტკვარ-არაქსის კულტურის მჭიდრო ტომებმა ძვ. წ. III ათასწლეულში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მარტო კავკასიის, არამედ წინა აზიის ისტორიაშიც.

მტკვარ-არაქსის კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი არე უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლი, თავისი მიმდებარე მხარეებით. მეურნეობის საერთო დონის ამაღლებამ და ცხოვრების პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო მოსახლეობის მკვეთრ მოძრავლებას. ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოსათვის მტკვარ-არაქსის კულტურის მჭიდრო ტომებმა თითქმის მთელი ამიერკავკასია დაიკავეს; დასასახლებლად ირჩევდნენ მიწათმოქმედებისათვის ვარჯის ადგილებს - მდინარეების მახლობლად, ტერასებს, მთისწინა ზოლს, პლატოებს.

ძვ. წ. III ათასწლეულის დამდეგიდან დაიწყო მტკვარ-არაქსის კულტურის აყვავება. სწორედ ამ პერიოდიდან ხდება მისი ფართოდ განვრცობა როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ამ პერიოდში ინტენსიურად სახლდება მაღალმთის ზოლის პლატოებზეც. ამიერკავკასიაში ყალიბდება ამ კულტურის 2 ძირითადი ვარიანტი - ერთი მოიცავდა მთელ ქართლს თავისი მიმდებარე მხარეებით, მეორე არარატის ველს მიმდებარე ილქებით.



ამ პერიოდში განსაკუთრებით დაწინაურდა მეტალურგია, რამდენიმე ადამიანის ხელი შეუწყო ძველ-ადმოსავლურ სამყაროსთან ურთიერთობამ. სამოსახლარებზე აღმოჩნდა მეტალურგიის ნიშნები. ლითონის ნივთების დასამზადებლად იყენებდნენ ადამიანები. ხანაინ სპილენძს, სწორედ ამ ხანაში ჩაყვარა საფუძველი კავკასიის მეტალურგიას, რითაც განთქმული იყვნენ შემდეგში აქ მოსახლე ტომები.

განსაკუთრებული ადამიანობა ეტყობა მიწათმოქმედებასა და შესაქონლეობას. ქვისა და ძვლის იარაღებთან ერთად მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ საფეხურზე მიწათმოქმედებაში პრიმიტიული სახენელი იარაღიც შემოვიდა. მოსავალს უმთავრესად ისევ კაყის ნამგლით იღებდნენ, მაგრამ ლითონის ნამგალსაც იყენებდნენ. მარცვალს მომავალ მოსავლამდე მოზრდილ თიხის ჭურჭლებში და სვანგებს ორმოვებში ინახავდნენ. მეურნეობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მსხვილეუბა ინახუნის როლი. ვარდა იმისა, რომ ხარა და ძროხა ზორცისა და რძის პროდუქტს იძლეოდა, მათ უკვე გამწვევ ძალდაც იყენებდნენ. საკრძობლად იმატა მეცხვარეობის ხედრითმა წინამ, მომრავლდა წერილეუბა საქონელიც. მაღალითიანი საძოვრების გამოყენებამ მთის ზოლის უფრო ინტენსიურად ათვისება გამოიწვია.

მეურნეობაში მომხდარმა გარდატეხამ მნიშვნელოვნად გაზარდა მამაკაცის როლი როგორც ეკონომიკურ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ პერიოდში საბოლოოდ იმარჯვებს პატრიარქალური ურთიერთობა. ძირითადი სოციალური უჯრედი წყვილადი ოჯახი გახდა.

დასავლეთ საქართველოში მტკვარ-არაქსის კულტურა რიონ-ჯვარის აუზში ვრცელდება, უფრო ღრმად, კალხეთის დაბლობის ზღვისპირა ზოლში იგი არ აღწევს. ძვ. წ. III ათასწლეულში იქ არსებობას განავრძობს სამიწათმოქმედო კულტურა, რომელშიც გერ კიდევ ცოცხლობს ნეოლითიდან გამოყოფილი ტრადიციები.

ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარში ადმოსავლეთ საქართველოში მოსახლე ტომებში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება: მტკვარ-არაქსის კულტურის სამოსახლარებში ცხოვრება ქრება, ბარში მოსახლეობა მნიშვნელოვნად თხელდება, მთისწინა და მთის ზოლის უფრო ინტენსიურად ითვისებენ. ცვლილებები შეინიშნება მეურნეობის ხასიათშიც — დაწინაურდა შესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა, განვითარდა მეტალურგია და ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, გაძლიერდა ეთნოკულტურული ურთიერთობა ძველ ადმოსავლურ სამყაროსთან. იწყება განვითარების ახალი საფეხური — შუა ბრინჯაოს ხანა. მტკვარ-არაქსის

კულტურის ნაცვლად აღმოსავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეებში ე.წ. თრიალეთის კულტურა ვრცელდება.

თრიალეთის ადრინდელი ვაკუუმის ყორღანებში ათასობით საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური ხასიათის ცვლილებები მოწმობს, რომ გვაროვნულ საზოგადოებაში ვერ კიდევ არ იყო ქონებრივი უთანასწორობა. ადრინდელ ყორღანებში აღმოჩენილი ვერამიკა ვარკვეული ნიშნებით ვერ კიდევ ახლოს დგას მტკვარ-არაქსის კულტურის ტურქულთან. ლითონის ნივთებიდან უპირატესად გვხვდება თხელი, მოკლე სატყვერისპირები და პირამიდული ფორმის ისრისპირები. ნაპოვნია ვერცხლის სატყვერისპირი, რომელიც ძვირფასი ლითონისაგან ნაკეთები უძველესი იარაღია საქართველოში.

მეურნეობაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია ცვლილებები საზოგადოების განვითარებაში, ჩამოყალიბდა ეკონომიკურად უფრო მოძლავრებული საზოგადოება. დაწინაურდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით ოქრომჭედლობა. უკვე ასახულია საზოგადოებაში მიმდინარე ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებები კიდევ უფრო კარგად ჩანს თრიალეთის კულტურის აგვაუების ხანაში - ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევარში. სამარხული ძეგლები მოწმობენ, რომ იქნურ საზოგადოებაში გვაროვნული არისტოკრატის საკმაოდ ძლიერი ფენა გამოყოფილი. ჩანს, თრიალეთის კულტურის საზოგადოება თავისი განვითარებით საკმაოდ დიუახლოვდა წინააზურ სამყაროს, რომელთანაც მას ამ დროს ახლო კავშირი ჰქონდა, მაგრამ იგი ისევ პირველყოფილ გვაროვნულ საფეხურზე დარჩა. ამ პერიოდში კარგადაა წარმოდგენილი ოქრომჭედლობის მრავალფეროვანი ნაწარმი. საიუველირო საქმეში ფართოდ არის გამოყენებული „ოქროს კვების“ (პარამონიული გაყოფა) პროპორციის პრინციპი. აღსანიშნავია ოქროს სასმისები, საკინძები, მოზრდილი ბართვისებრი მძივები, კეღონი და სხვ. ვერცხლის ტურქლიდან გამოირჩევა თასი და სარწყული, რომელზედაც დაბალი რელიეფით რთული კომპოზიციის გამოფენილი. შემდგომ აღმავლობას განიცდის მეტალოურგია. ამ პერიოდში ფართოდ გავრცელდა კალიანი ბრინჯაოსაგან ნაკეთები ნივთები.

აგვაუების ხანაში თრიალეთის კულტურა მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს თავისი მიმდებარე მხარეებით, ვრცელდება შორს სამხრეთით, არარატის ველზე და ყარსის მხარეს აღწევს. დასავლეთ საქართველოში იგი საერთოდ არ ვრცელდება.

შუა ბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ბარი და მისი ინტენსიურადაა დასახლებული. კარვად არის ათვისებული კოლხეთის დაბლობი, სადაც ამ პერიოდში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი ძირითები უნდა ყოფილიყო. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მწიფობის მდინარე იყო. სწორედ მიწათმოქმედებამ შეუწყო ძირითადად ხელი დასავლეთ საქართველოს გეონომიკურ აღმავლობას. ამას ემატებოდა მეტალურგიის განვითარება. ამით იგი ხელ უფრო და უფრო დამოზღდა ნეოლითურ ტრადიციებს, რომელიც სამურნეო ცხოვრებაში აქ შედარებით ხანგრძლივად შენარჩუნდა კულტურული და გეონომიკური დონის ამაღლებამ საფუძველი მოუზღადა შემდგომი ხანის კოლხური კულტურის ჩამოყალიბებას.

განვითარების ახალი საფეხური, გვიანდელი ბრინჯაოს – ადრინდელი რკინის ხანა, მოიცავდა თითქმის მთელ ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარსა და VIII-VII სს. აღწევდა. ამ პერიოდში კულტურის ერთგვარი იზოლაცია შეინიშნება, თანდათანობით ხუსტდება ურთიერთობა ძველ აღმოსავლურ სამყაროსთან. მნიშვნელოვნად იცვლება მეურნეობის ხასიათი. ეთარდება გუთნური მიწათმოქმედება, ვარკვეული ვარდატეხა შეიქმნევა შესაქონლეობაში. აღმავლობის გზაზე ბრინჯაოს მეტალურგია.

კოლხური კულტურა მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, მის ბარსა და მთას მიმდებარე მხარეებითურთ. სამხრეთით იგი ვრცელდება აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიაზე, ახლო კონტაქტები შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო კავკასიასთან, ყოძანურ კულტურასთან. გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში კოლხეთი საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მთის ზოლი. მთაში ცხოვრებას ხელს უწყობდა შესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხვარეობის განვითარება და მეტალურგიის აღმავლობა. რიონის ზემო წელი ამ ხანაში მეტალურგიის წარმოების ერთ-ერთი წამყვანი კერა უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი ძალარეობის სიმრავლე და სამთამადნო წარმოებასთან დაკავშირებული იარაღი (ბრილი – სოფ. ღებთან). სამთამადნო მეტალურგიის წარმოების ასეთივე კერა სავარაუდოა ჭოროხის აუზშიც, რომელიც საკმაოდ მდიდარი იყო მადნეულით. ერთ-ერთი ველაზე დაწინაურებული მხარე უნდა ყოფილიყო კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი თავისი მიმდებარე ოლქებით. აქ ნაპოვნი სასოფლო-სამურნეო იარაღების სიხვე მოწმობს, რომ განვითარებული ყოფილა მიწათმოქმედება. საზოგადოებას საკმაოდ მყარი გეონომიკური ბაზა ჰქონია და ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის II ნახევარში უკვე მნიშვნელოვანი სოციალური პროგრესი განუცდია. როგორც ჩანს,

ამ ხანაში გადაიდგა ადრინდელი კლასობრივი საზოგადოების ჩამოკლების პირველი ნაბიჯები. დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში საზოგადოება განვითარების ასეთ მაღალ საფეხურს ვერ აღწევს. შესაძლოა ეს გამოწვეული იყო უპირატესად მეურნეობითი ხასიათის თავისებურებებით, რასაც განსაზღვრავდა ბუნებრივი პირობები.

ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან თანდათანობით ირღვევა ზღვარი კოლხური კულტურის ლოკალურ თავისებურებებს შორის. როგორც ჩანს, მთასა და ბარში მცხოვრები ტომები სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უახლოვდებიან ერთმანეთს. კოლხურ კულტურაში რკინა ძვ. წ. XII საუკუნიდან ჩანს. ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან სულ უფრო ძლიერდება რკინის მეტალურგია და აქ მოსახლე ტომები საქმიან გარგად ეუფლებიან რკინის დამუშავების ტექნიკას. ძვ. წ. VIII-VII სს-დან მიუღ კოლხეთში რკინის ფართო ათვისების ხანა დგება.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლურ-ქართული კულტურა წინარე, თრიალეთის კულტურის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო. ამ პერიოდიდან იწყება ბარის ხელახალი ათვისება. მიწათმოქმედებაში სახვნელი იარაღის გამოყენებამ, ხელოვნურ მორწყვაზე გადასვლამ უთუოდ ხელი შეუწყო მეურნეობის ინტენსიფიკაციას. გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში ფართოდაა ათვისებული მოისწინა და მოის ზოლი. ინტენსიურად სახლდება ბარი - შიდა ქართლის ვაკე, ქვემო ქართლის ველი, ორ-აღაზნის შუამდინარეთი და სხვ. ეკონომიკური სიძიძის ცენტრი კვლავ ბარში გადმოდის. სარწყავი მიწ-ათმოქმედება განაპირობებდა მოზრდილი და ხანგრძლივი დასახლების წარმოქმნას. მაღალ განვითარებას აღწევს ბრინჯაოს მეტალურგია.

VI-V საუკუნეებში შავიზღვისპირეთის მხარეში ბერძნულმა ახალშენებმა და მათი გზით ბევრ სხვა რეგიონთან (მცირე აზია, სირია, ეგვიპტე, ჩრდილო შავიზღვისპირეთი) საეკპრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ დიდად დაამჭარა ამ მხარეში საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესი. იმპორტის ძირითად ნაწილს ფურცლების საგნები (ძვირფასი ჭურჭელი, ღვინო, ნელსაცხებლები, სამკაულები) შეადგენდა, კოლხეთიდან კი გააქონდათ ხე-ტყე, ხელი, ვაკაყვადით მონები. კოლხეთში გაერცლებული იყო ანტიკური ხანის უცხო მონეტები, იჭრებოდა ადგილობრივი ვერცხლის მონეტაც (კოლხური თეთრი). კოლხეთის იმდროინდელი სამეფოც ადრინდელი კლასობრივი სახელმწიფო იყო. სადაც დაწინაურებული ზედაფენა ექსპლუატაციას უწევდა თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასას.

ელინისტურ ხანაში მოხდა მცხეთის გადუდაქლავება, რასაც ხელი შეუწყო მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ იგი სხვადასხვა მხრიდან მომავალი გზების შესაყარზე იყო და, ამასთანავე, ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციებს ფლობდა ერთმანეთს უკავშირებელი ციხესიმაგრეების მოელი სისტემის შესაქმნელად. მცხეთის გარშემო და საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო გზა, რომელიც ინდოეთიდან შავი ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა, ელინისტურ სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირის შედეგად იბერიის კულტურაში გზას იკლავდა ელინისტური კულტურის არაერთი ელემენტი. ეს იგრძნობა არქიტექტურაში და, საერთოდ, სამშენებლო საქმეში, კრამიტისა თუ მინის წარმოებაში და სხვ.

იბერიაში ამ პერიოდში მიწათმოქმედი მოსახლეობა სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად ბევრად დაწინაურებული იყო, ვიდრე შესაქონლეობის მიმდევარი მოივლები, რომლებიც ჯერ ისევ პირველყოფილი თევზური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ, გამოირჩეოდნენ თავისი მებრძოლი ხასიათით და საქიროების შემთხვევაში დიდძალი ლაშქრის გამოყვანა შეეძლოთ. აქ მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენდა თავისუფალ მიწათმოქმედთა ფენა, რომელიც ამავე დროს ლაშქარსაც აკომპლექტებდა. იყვნენ აგრეთვე დამორჩილებული მიწათმოქმედნი — ვლუხები, რომლებიც სამეფო მიწაზე ისხდნენ და მოსავლის ნაწილს უხდიდნენ სამეფო ვეარის წარმომადგენლებს.

ძვ. წ. II-I სს. მიჯნაზე კოლხეთის ბარი და ზღვისპირა მხარე ელინისტის პროცესში მოექცა. ელინისტის გადურჩა მოიანეთში მცხოვრები ჭანური მოსახლეობა (სანები), ხოლო კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ძვ. წ. III ს. ქართლის (იბერიის) სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. შემდეგში, კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების მნიშვნელობა დაქვეითდა, მათ დაკარგეს დიდი სავაჭრო ცენტრების მნიშვნელობა და რომაული გარნიზონების საღვამ ციხესიმაგრეებად იქცნენ.

I-III სს. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების გამოყოფილების ხანა იყო. არქეოლოგიური მასალა მკაფიოდ გვიხატებს ეაქრობისა და ხელოსნობის მაღალ დონეს. მიწათმოქმედებისა (ვანსაკუთრებით მევენახეობის) და შესაქონლეობის (მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება, მეცხენეობა, მეცხვარეობა — ხშირად სამოვრების მონაცვლეობით) განვითარებას. ძველ ქართულ ქრონიკებში დაცულია ცნობები საბრძოლო საქმეების შესახებ. მეურნეობის წამყვანი ტიპების მხრივ განსხვავება, რომელიც ადრეც არსებობდა მოიანეთსა და ბარს შორის, ახლაც

რება - მთავი წამყვანია შესაქონლეობა, ბარში მიწათმოქმედება, მიწათმოქმედი მოსახლეობის ძირითად ბირთვს თავისუფალი მიწათმოქმედნი შეადგენდნენ. ამ დროის თემი უკვე ტერიტორიულ თემს წარმოადგენდა, სადაც წარმოების ძირითადი საშუალებანი (ცენტრული მანქანები, სათესი მიწა) უკვე მცირე თუ დიდი ოჯახების საკუთრებას წარმოადგენდა. დიდი ხვედრითი წილი უნდა მოეპოვებინა ამ დროს ქართლის სამეფოში სამეფო მიწათმფლობელობას, ასეთ სამეფო მიწაზე იხსდნენ სამეფო მონები - ვლეხნი, რომლებიც სამეფო საგვარეულოს აწვდიდნენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის იყო საჭირო. მაგრამ აქვე უნდა ყოფილიყო მსხვილი კრძო მიწათმფლობელობაც - სამეფო საგვარეულოს ცალკეული წევრების და სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატის წარმომადგენელთა მიწის ნაკვეთები, რომლებიც ავარაკის ან ქარდავის სახელს ატარებდნენ და მკვეთრად უბრისპირდებოდნენ სათემო ტერიტორიას - ხოფელს, დაბას.

სამეფო მიწებზე გარდა ვლეხებისა, შეიძლება ტაძრულნიც (ძველქართულად სასახლე) იხსდნენ. ვლეხებისაგან განსხვავებით ესენი თავისუფალი მიწათმოქმედნი იყვნენ, რომელთაც ნაკვეთები მემკვიდრულ მფლობელობაში პქრნათ მიცემული სამსახურის (ჩვეულებრივ სამხედრო სამსახურის) პირობით. ტაძრულთა სოციალური ფუნა ყალიბდებოდა ძველ საქართველოში უმთავრესად მეთემთა დამკრობილი, მიწაზე საკუთრებადაკარგული ნაწილიდან.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში მიმდინარეობდა ვლეხთა თემების დიფერენციაციის პროცესი. მათი ნაწილი აღზევებას განიცდიდა. სამხედრო საქმეში მონაწილეობდა და, ამრიგად, თავისუფალ მეთემთა აღზევებულ, გააზნაურებულ ნაწილს ერწყმოდა. თავისუფალ მეთემთა დამკრობილი (დამცარებული) ნაწილი კი ან ტაძრულად ხდებოდა, ან კიდევ დამორჩილებულ მიწათმოქმედ მოსახლეობას - ვლეხებს უახლოვდებოდა თავისი მდგომარეობით. ეს პერიოდი ქალაქების - მსხვილი სახელოსნო-საეაჭრო ცენტრებისა და ვაჭრობა-ხელოსნობის ზრდის ხანას წარმოადგენს. ასეთი ცენტრებია, მცხეთის გარდა, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, ოძრახე, ნეკრესი, წუნდა, რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, შორაპანი, დიშნა და სხვა. ასეთი პუნქტებიც ხშირად ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრებს წარმოადგენდნენ. ქალაქებში დროდადრო, ჩვეულებრივ საკულტო დღესასწაულების დროს, დიდი ბაზრობა იმართებოდა. მაღალ დონეზე ყოფილა სამშენებლო მასალის, მინის, ლითონის წარმოება, განვითარებული ჩანს ოქრომჭედლობა, საფეიქრო

საქმე, კერძო-საზოგადოებრივი წარმოება. ქალაქებს ქმნიდა რაბათი-ციტადელის მიმდებარე ტერიტორია, სადაც მდებარე ხალხი ცხოვრობდა. ეს ხალხი ხშირად მიწათმოქმედებასაც მისდევდა, ამუშავებდა იმ მიწებს, რომლებიც ქალაქს ეკუთვნოდა. ქალაქებში იყო ზოგჯერ საწარმოებრივი კლდე რელიგიურ-ეთნოგრაფიული ნიშნით გამოყალიბებული ცენტრები, ასეთ უბნებში კომპაქტურად ცხოვრობდა ეთნიკურად უცხო მოსახლეობა (ებრაელები, არაბელები – სირიელები და სხვ.), რომლებიც სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობაში იყვნენ ჩაბმული. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, პირველი ებრაული კოლონია მცხეთაში ძვ. წ. 169 წ. უნდა გაჩენილიყო. უცხოელთა ასეთი ქალაქური თემების მშენებელად, ადგილობრივი მოსახლეობაც ქმნიდა საკუთარი თვითმმართველობის მქონე თემს. ქალაქებში ცხოვრობდა არისტოკრატიაც (ციხისთავები, ერისთავები, მცხეთაში – პატრიარქები და სხვ.), რომლებსაც იქ ქმნიდათ სასახლეები, ბაღები და სხვ.

ამ ეპოქაში ვითარდება სერთამორისო ვაჭრობაც, მცხეთაში გადიოდა სხვადასხვა მხრიდან მომავალი სავაჭრო გზები. ეს გზები აკავშირებდა მას სომხეთის დედაქალაქ არტამატს, რომის ხეობას და ზღვისპირა სებასტოპოლისს (სოზუმი), აღბანეთს, სამცხე-ჯავახეთისა და ტაო-კლარჯეთის გავლით მცირე აზიის ოლქებს და ა. შ. ნუმისმატიკური და სხვა არქეოლოგიური მასალა კარგად გვიხსენებს ქართლის ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას გარე სამყაროსთან. ირკვევა, რომ ამბერკავკასიის ქვეყნებთან, მათ შორის ქართლთან სავაჭრო ურთიერთობა ქმნიდათ ვევიპტის სახელოსნო ცენტრებს (ვევიპტური მძივები), აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (შუა აზია, ინდოეთი, არაბეთი) შემოქმნიდათ ძვირფასი ქვები (ღალი, მონი, ფირუზი და სხვ.), რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ადგილობრივი ოქრომჭედლები. მრავლადაა შემოტანილი რომაული ვლიპტიკური (ძვირფას ქვებზე მსატერული ჭრის ხელოვნება) ძეგლები, სირიული ძინის ჭურჭელი. ნაპოვნია იტალიური ბრინჯაოს ჭურჭელი, იტალიური ვერცხლის თასები და ა. შ.

IV-X საუკუნეებში სოციალური განვითარების თვალსაზრისით ერთნაირ დონეზე უნდა იყოს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ბარის წამყვანი რაიონები, მთიან ზოლში კი უკარგო კლდე ვეპრობული წყობილება უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, პოლიტიკურად სახელმწიფო ხელისუფლებას დაქვემდებარებული მთა მოწინავე ბარის დიდ გავლენას განიცდიდა და იქ ფეოდალური ხელისუფლება და მისი მოხელეები იყო წარმოდგენილი, რაც აქტარება მთაში სოციალური წინსვლის პროცესს.

ბარის რაიონებში უმთავრესად მეშენდერობა და მესაღლეობა შეეცნა. ამათაგან ბევრი იყო განვითარებული, ხოლო მთიან ზოლში – მესაქონლეობის მიმართული. მეურნეობის ინტენსიფიკაცია უმთავრესად სარწყავ სისტემას ეყრდნობოდა. აღნიშნულ ფეოდალურმა ქართლმა ანტიკურ ხანობაში მნიშვნელოვანი სარწყავი სისტემები მიიღო. მათ მშენებლობა შეეცნა უმთავრესად სახელმწიფო ხელისუფლებას და საეკლესიო ეპარქიები ახორციელებდნენ. ამ პერიოდშია გაყვანილი რუსთავის, მუხრანის, ნახიდურის, განიანის, რუის-ურბნისის, წილქისა და სხვ. არხები.

IV-VI საუკუნეებში საგრძნობლად გაუძეობოდა ძირითადი სახეული იარაღი – ერქვანი, ხოლო IX-X საუკუნეებიდან ერქვანი შეცვალა დიდმა ქართულმა გუთანმა, რომელიც საქართველოდან მიუღო კავკასიაში გავრცელდა. მის უმთავრესად ქართლის ბარში იყენებდნენ. დიდი გუთანი ზრდიდა შრომისნაყოფიერებას.

ამ პერიოდში საქართველოში განვითარების მაღალ დონეზე იყო მეშენდერობა მარცვლეულის მრავალრიცხოვანი ჯიშებით, მესაღლეობა, მევენახეობა ყურძნის მრავალი საღვინე თუ სუფრის ჯიშით, შესაბამისად განვითარებული მეღვინეობით. დენიო ექსპორტის საგანსაც შეადგენდა. მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობის ზრდასთან ერთად IX-X სს-ში მევენახეობამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. მთიან ზოლში წამყვანი ადგილი მესაქონლეობას ეკავა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, ცხვარი, თხა). ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად დაიწყო ქალაქების დაცემა, დაქვეითდა ხელოსნობა და ვაჭრობა, ქალაქის ეკონომიკაში მეტი მნიშვნელობა მიიპოვა სასოფლო-სამეურნეო დარგებმა. IV-VII სს-ში ქალაქების დაქვეითებას ხელი შეუწყო იმ სავაჭრო მაგისტრატების მოშლამ, რომლებიც ვადიოდა მის ტერიტორიაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა ირანულთა და, განსაკუთრებით, არაბთა დამანგრეველმა შემოსევებმა. დაინგრა და დაიწვა მნიშვნელოვანი ქალაქები: მცხეთა, კასპი, ურბნისი, ციხეჯოჯი, ცხუმბი და სხვ. საგრძნობლად დაეცა საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობა და ფულის მიმოქცევა. თითქმის აღარ იჭრებოდა ადგილობრივი მონეტა, მცირე რაოდენობით იყო მიმოქცევაში უცხო ფული. ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ამ დროს საქართველოში საერთოდ მოიშალა საქალაქო ცხოვრება. IV-VI სს-ში განჩნდა რამდენიმე ახალქალაქი – თბილისი, უჯარმა, არტანუჯი, ჭერუბი, მაგრამ ისინი უმთავრესად პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრები იყო, რომელთაც თანდათან მნიშ-

ენკლოვანი ადგილი დაიკავეს ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. VIII-IX სს. მიჯნაზე ახალი სამეფო-სამთავროების წარმოშობასთან ერთად იწყება მნიშვნელოვანი ეკონომიკური აღმავლობა, ეს აღმავლობა სოფლის მეურნეობის დაწინაურებასა და სამონეტარო მშენებლობის მშენებლობასთან ერთად (ვურჯანისა და კანაბანის მონეტარული რეფორმები, ექვტი, დოლისყანა, ბიჭვინთა, კაცხი, კუბურდო, ხანძთა, ოშკი, ზახული...), ძველი ქალაქების აღორძინებისა და ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოშობაშიც გამოიხატა. ასეთ აღორძინებულ ქალაქთა რიგს განეკუთვნება რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, ქუთაისი და სხვ. გაიზარდა არტანუჯის მნიშვნელობა. ახლად წარმოშობილ ქალაქთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო თელავი, ახალქალაქი, დმანისი, ახალციხე და სხვ.

აღრინდელ ფეოდალურ ხანაში წარმოიქმნა და განვითარდა ფეოდალური საკუთრება მიწაზე. იგი 2 სახის იყო — სახელმწიფო-სამეფო და კრძო საკუთრება. მიწაზე იხდნენ და მეურნეობას ეწეოდნენ, როგორც ინდივიდუალური ოჯახები, ისე თემებში გაერთიანებული მწარმოებლები. ამ პერიოდში საკუთრივ სამეფო საკუთრება მკვეთრად გაემიჯნა სახელმწიფო საკუთრებას, მსხვილი ფეოდალური მფლობელობის ფონდი გაიზარდა და სათემო-საერთო მიწის ძირითადი ნაწილი კრძოსაგვლესო სამფლობელოებად განაწილდა. მიწათმფლობელობის ამ ორივე სახის იურიდიული შესაკუთრე ფეოდალი იყო. გლეხის ძირითადი სამეურნეო ერთეული იყო ფუძე, რომელიც აღრინდელ ფეოდალურ ხანაში ძირითადად ერთი კომლის სამფლობელო იყო. გლეხის სახლი მიწას, ფუძეს, ბეგარის გადახდის პირობით ფლობდა. ბეგარას იხდიდნენ ბატონის მამულში მუშაობით, ნატურალური და ნაწილობრივ ფულადი გადასახადითაც.

XI საუკუნეში ფეოდალური ურთიერთობები განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა. ამასთან ერთად ჩამოყალიბდა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესაფერისი გაერთიანებული საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო.

XI-XII სს-ში ქალაქთა რიცხვმა სავრძობლად იმატა, რაც ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების შედეგი იყო. საქართველოს ეკონომიკაში ამ დროს წამყვანი ადგილი ეჭირა თბილისსა და ქუთაისს. დაწინაურებულები იყვნენ რუსთავი, სამშვილდე, დმანისი, ატენი, ვორი, ყინვალი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ხუნანი, ხორანბუჯი, თელავი და სხვ. XI ს-დან მოყოლებული საქალაქო ცხოვრების მკვეთრი

გამოცხდლება შეიძლება. ხელოსნობა უფრო გაეძვირა სოფლის მეურ-
ნობას. ხელოსნური ნაწარმი ფართო საზოგადოების მოხმარების საგანად
ვახდა. დაწინაურებული ჩანს ხელოსნობის სხვადასხვა დარგი: ქიო-
ნობა-მეცეცობა, მეჭურჭლეობა, მეფელობა, კალატოზობა, მეჭურჭლეობა,
მეხამლეობა (მეწაღეობა), ოქრომჭედლობა, წიგნების გადამჭერობა,
და სხვ. ეს პერიოდი გამოირჩევა სპილენძის და ოქრო-ვერცხლის
ჭურჭლის სიმდიდრით. განვითარებული იყო აგრეთვე ქსოვა და კერვა.

XI-XII სს. საქართველოში მაღალგანვითარებული ხელოსნობის
ღონის შესაბამისად განვითარებული იყო ვაჭრობაც. ამ პერიოდში
შექმნილი საზოგადოებრივი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი საქონლურ
ხასიათს ატარებდა. საქონლური ხასიათი ჰქონდა სოფლის მეურნეობის
პროდუქციის გარკვეულ ნაწილსაც. აღებ-მიცემობის საგანა იყო სოფლის
მეურნეობის ბარალები, აგრეთვე, ყანა, ვენახი, ზოგჯერ მთელი სოფ-
ლებიც. საგარეო ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა ის გარემოება,
რომ საქართველოზე გადიოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერ-
თებული ანტიკური ეპოქიდანვე ცნობილი დიდი სავაჭრო გზა, რომელიც
აადვილებდა უცხო ქვეყნებთან კომერციული კავშირის გაფართოებას.
ვაჭრობის განვითარებას ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლება. კეთილ-
მოწყობილი სავაჭრო გზები უცხო სამყაროსთან დაკავშირების სამუა-
ლებს აძლევდა ქვეყანას. ფართოდ იყო გაშლილი საქარავნო ვაჭრობა.
საქართველოში შემოაქონდათ სხვადასხვა საქონელი: ქსოვილები,
ხელსაეხმელები, ცხენის აკახშულობა, შაქარი და სხვ. შაღის ქსოვილი-
სათვის მატყლი ეგვიპტიიდან შემოაქონდათ. საქართველოს სამხრეთ და
საგარეო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო თბილისი.

XII საუკუნის დასაწყისიდან საქართველო ეკონომიკურ აღმავლობას
განიცდის, რასაც ხელი შეუწყო დავით აღმაშენებლის მიერ გატარებულმა
საფინანსო ღონისძიებებმა. დავით აღმაშენებელმა სპილენძის ფულის
ნიშნები შექმნილ, რის გამოც, ხმარებიდან გადის ვერცხლის ფული.
ვერცხლის ნიშნების გაქრობა საერთო მოვლენად უნდა ჩაითვალოს
მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვის. ეკონომიკურად დაწინაურებულ
საქართველოში ფულის კურსი თანდათან მტკიცდებოდა. საქართველოს
მძლავრმა და ზეადამავალმა ეკონომიკურმა პოტენციალმა არსებული
ფულის საფუძვლიანი შეცვლა მოითხოვა. საქონლი იყო ფული, რომელიც
მომოქცევაში იჭებოდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის
ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამიტომ XII ს. I მეთოხედში ძირფესვიანად
შეიცვალა მონეტის ტიპი. შეიცვალა ფაქტურა და წარწერის შინაარსი.

ოქროს და ვერცხლის ფული საერთაშორისო მიმოქცევას ემსახურება, საილენძი კი - მიმოქცევის ეროვნულ სფეროს. ფულადი სისტემის გაუმჯობესება განაპირობებდა ეკონომიკის წარმატებით განვითარებას.

X-XII საუკუნეებში ახალ აღმავლობას განიცდიდა სხვადასხვა სახის სემეტიკა. თანდათან დაიხვეწა, განვითარდა და გაუმჯობესდა შრომის იარაღები, რამაც სოფლის მეურნეობის წინსვლა განაპირობა. სასოფლო-სამეურნეო იარაღი ძირითადად საოჯახო დემ-ჭურჭკვლითან ერთად, ვლების ოჯახის საკეთილებას შეადგენდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წყლის წისქვილს. იგი სოფლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. სოფლის მეურნეობის ძალად ღონეს განაპირობებდა ის დიდი სარწყავი არხები და წყალსადენები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ტირიფონის ველზე, რუის-ურბნისის მდამობეში, მუხრანში, სამგორში, კახეთსა და ვაღა მხარეში გაიყვანეს. წყლით მოძარაგება საერთოდ ძალად ღრეზე იდგა, რასაც ადასტურებს ვარძის, დმანისის, გვეუთის და თბილისის წყალსადენები.

გამწვევი ძალა და გადაზიდვის საშუალებები, სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, აგრეთვე, სარწყავი სისტემის ფართო ქსელი მიწის ფართობის ინტენსიურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა. ამ პერიოდში საქართველოში მოჰყავდათ უხეშოსავლიანი პურეული და პარკოსანი კულტურები. სარწყავი ფართობების სიუხვე შეცნახუობისა და შეხილვობა-შესაღვობის განვითარებას უწყობდა ხელს. ფართოდ იყო გაეარცელებული სამრეწველო დანიშნულების ტექნიკური მცენარეები - სელი, კანაფი და სხვ. მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ძალადგანვითარებულ მეცხოველეობას, უპირატესად მთიან რაიონებში დიდი მნიშვნელობა ეჭირდა შეაბრეშუბობას. აბრეშუბი მოჰყავდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და გაქონდათ კიდევ ვასაყიდად.

საქართველომ ყოველმხრივ დიდი ზარალი განიცადა უცხოელთა განსაკეთილებით, მონღოლთა შემოსევების შედეგად. მტერთან ბრძოლას მოსახლეობის დიდი ნაწილი შეეწირა. დამპყრობლებმა დაანგრეს ეკლესია-მონასტრები, ციხესიმაგრეები და საზოგადოებრივი საგებობები, ხელი იგდეს სახელმწიფოსა და ხალხის ქონება. ქართველი ხალხის გმირული წინააღმდეგობით გამოროტებული მტერი კაფავდა და ანადგურებდა ვნახებს, ბაღ-ბოსტნებს, სათესებს, სარწყავ არხებს, საცხოვრებელ სახლებს, პირუტყვს, რომ დარჩენილი მოსახლეობისათვის ცხოვრების საფუძვლები მოესპო. ქვეყანა კვლავ ეკონომიკური და კულტურული დაქვეითების გზას დაადგა.

შედეგობშიც, ირანისა და ოსმალეთის არაერთგზის შეპყრობებს შეაფერხეს და დაასუსტეს საქართველოს ეკონომიკური განვითარება. ბატონყმური ურთიერთობის დამძიმებამ გლეხს ინტენსიური მეურნეობის წარმოების სტიმული დაუკარგა. სათავადო სისტემის განხორციელებამ დაასუსტა ცენტრალური ხელისუფლება სამეფო-სამთავროებში. ასეთ ვითარებაში შეფერხდა მიწათმფლობელობის ინდივიდუალური საკუთრების განვითარება. ამ ნიადაგზე იზრდებოდა საერთო მფლობელობაში არსებული მიწის ფართობი, რაც ზღუდავდა სამეურნეო ინიციატივას, ამუხრუჭებდა სწარმოო ძალთა განვითარებას. აღნიშნულმა გარემოებებმა შეაფერხა განვითარებული ფეოდალური საზოგადოების შემდგომი წინსვლა და ზოგან ნახევრად ფეოდალური და პატრიარქალური ინსტიტუტების გამოცოცხლება გამოიწვია. აღნიშნულის მოხუცდევად, შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების წყალობით, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში ადგილი ჰქონდა სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობას. მაგრამ ახალი შემოსევები და ომები კვლავ ანადგურებდა აღდგენილს და განვითარების პროგრესული ტენდენცია ჩიხში ექცეოდა.

XVIII საუკუნის I მეთოხედში ქართლი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზას დაადგა. ვაღამწყვეტი ამაში მშვიდობიანობამ და ვახტანგ VI-ის გონივრულმა პოლიტიკამ ითამაშა. ცენტრალური ხელისუფლებისა და რეაქციონერი თავადების წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით შეიქმნა მეფის მცველი ჯარი. აიკრძალა ტყვეებით ვაჭრობა, ვაჭარდა ღონისძიებები გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად, აღადგინეს წინათ მოშლილი ბევრი სარწყავი არხი, ბერიც ახალი გაიყვანეს. დიდი ყურადღება ექცეოდა ხიდებისა და გზების მოვლასა და მშენებლობას. გაფართოვდა ვაჭრობა-ხელოსნობა. ქალაქ თბილისის მოსახლეობა 2-ჯერ გაიზარდა (20 ათასი). მაგრამ ეს აღმავლობა კვლავ ვარეშე მტერმა შეაფერხა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ოსმალთა ბატონობა უფრო დამძიმდა.

მდგომარეობა შედარებით შეიცვალა XVIII საუკუნის II ნახევარში. 50-70-იან წლებში ქართლ-კახეთის სახელმწიფო აღმავლობის გზას დაადგა. ღონისძიებებს იღებდა გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად (თრიალეთი, ყაიყული, ქვემო ქართლის სხვა რაიონები). მთავრობა რამდენიმე წლით ათავისუფლებდა ახალმოშენებებს ბევრავადასახადისაგან. აიკრძალა გლეხების გაყიდვა უბიწოდ. აღდგა კანონი საკუთრების ქალაქური წესის შესახებ დაიწყო ვერცხლისა და სპილენ-

ძის მოპოვება-დაუმსვენება ახტალაში, აღავერდსა და სხვ. თხზულებებში გაიხსნა ზარაფხანა, თოფ-ზარბაზნების საწარმო, სტამბო და სხვა. უკვე იქნა სხვა წერილი საწარმო (მინის, მარილის, საპნის). ახუ-შეჯდა ქრისო საწარმოებზე - ზეთსახელო, თამბაქოს, თიხის ქარხანის, ვაჭარის, თოფისწამლის ქარხნები, სამღებროები და სხვ. გაუფრთხილდა სამშენაო და საგარეო ვაჭრობა. გაჩნდა ახალი ქალაქები - ანანური, დუშეთი, სიღნაღი. XVIII ს. შუა წლებში გაიხსნა დარიალის გზა. ამ პერიოდში გახშირდა გლეხთა ემობისაგან გამოსყიდვა და შეიქმნა თავისუფალ მწარმოებელთა ფენა. ხელისუფლებს იძულებული გახდა ეცნო გლეხთა ახალი კატეგორია - ხიზნები (გლეხები, რომლებიც გაექცნენ საკუთარ ბატონებს და უცხო მხარეში სხვა ფეოდალებს შეაფარეს თავი. ახალ ფეოდალთან ხიზნების დამოკიდებულება პირადი, ბატონმწერი კი არ იყო, არამედ - ეკონომიკური).

მოუხდავად ამისა, მღვიმარეობა შეიცვალა გააქტიურდა მემამულური რეაქცია. ირანი კვლავ გაძლიერების გზაზე დადგა. რუსეთი ამ დროს აღმავლობის გზაზეა. ასეთ პირობებში 1783 წლის 24 ივნისს ქ. გეორგიევსკში დაიდო რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი. ამის შემდეგ საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება რუსეთის წესისამებრ წარიმართა.

ისტორიული გზები

ტრანსპორტი ადამიანთა მიმოსვლისა და ტვირთის გადატანის საშუალებას უზეულებს პერიოდიდან. საქართველოში ამ უზეულებსი პერიოდიდან არსებობდა პრიმიტიული სატრანსპორტო საშუალებანი. რელიეფისა და ბუნებრივი პირობების შესაბამისად ეს საშუალებანი თანდათან გაუმჯობესდა და ყველა პერიოდში საქართველოს ტრანსპორტი თავის სიძაღლეზე იდგა. ამას მოწმობს იმ უცხოელ მოგზაურთა თუ ქართულ მატყანეთა მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ სატრანსპორტო გზების მიმართულებასა და კავშირებს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების აღდგენისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის დროს, რასაკვირველია, მიმოსვლაცა და ურთიერთ გავლენაც გაცხოველდა. მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გზები იყო, აგრეთვე, ის თვალსაჩინო ძალა, რომელიც, ერთი მხრივ, საქართველოს მრავალ კუთხეს ერთმანეთს აახლოვებდა და აერთებდა, მეორე მხრივ, საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებსზე. ამიტომ ამ გზების მიმართულებისა და მდებარეობის

ცოდნა საჭირო. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „თუცა ეს ადამიანს უეცხოვება, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ~~საქართველოში~~ საქართველოში უფრო მეტი და მრავალმხრივი გზები ყოფილა კიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება“. (ივ.ე. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, 1983, გვ. 68-69). გიგზორიძე

საქართველო ძველიდანვე შეერთებული იყო გზებით, როგორც ჩრდილოეთით, უფრო სამხრეთითაც. გზებს მიმართულება ჰქონდა აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ. ჩრდილოეთით საქართველო შეერთებული იყო დარიალანით ანუ არაგვის კარით და ზღვის კარით – დარუბანდით. არაგვის გზას დასაწყისში ეწოდებოდა „გზა წილენისა“, რომელმაც მგზავრი შედიოდა მის შემდგომ, როდესაც გასცილდებოდა „იწროსა დართისასა“; არსებობდა „წილენის კარიც“. არაგვის გზით მიმავალს შეეძლო „ნარღუევთა გზით“ ერწოში გადასულიყო. ვერ კიდევ სტრამონს აღნიშნული აქვს, რომ არაგვის კარს ბოლოში ციხე უდარაჯებდა. ხოლო მატჩანეში მოთხრობილია, რომ სპარსელებმა აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა მოსპეს თუ არა, მაშინვე ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზების გამავრებას შეუდგნენო („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). ამასთან, გზებზე დაუყენებიათ სანდო მოხელეები. შემდეგში, როცა არაბებმა სპარსეთი გაანადგურეს, სპარსელების ხსენება არაგვის კარებთან მოიხსი. ფეხი რომ მტკიცედ მოიკიდეს, არაბები ცდილობდნენ დარიალანიც ხელში ჩაეგდოთ და იქ თავისი შეციხოვნენი დაეყენებინათ; რამდენჯერმე დაიპყრეს კიდევ, მაგრამ ხანგრძლივ იქ მაინც ვერ გამავრდნენ. აქედანაც კარგად ჩანს, რომ გზებს, მიმოსვლის საშუალებებს ძველი პერიოდიდანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომელიც წარმოადგენდა სტრატეგიულს, სეკატორს, მიმოსვლის და ხვ. საშუალებებს.

დარიალანს გარდა კიდევ არსებობდა ორი კარი დვალეთს; ამ კარებისადმი მიმხედელ გზას ეწოდებოდა „გზა დვალეთისა“. დვალეთი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო და ქართველებით იყო დასახლებული. მორე იყო „გზა თაღურისა“. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოხსენიებულია, აგრეთვე, „ხაზარეთისა კარნი“. ჩრდილოეთიდან საქართველოში მგზავრს ვადმოიყვანდა, აგრეთვე „გზა დვალეთისა“, რომელიც უმჯველია დაღესტანზე უნდა გადმოხულიყო. ჩრდილო კავკასიიდან იყო პირდაპირი გზა აფხაზეთში, რომელსაც რქმევია „გზაჲ აფხაზეთისაჲ“ (ჯუანშერი). ითანე საბანის ძის თხზულებიდან ჩანს, რომ იმიერკავკასიიდან, ხაზარეთიდან, მერვე საუკუნეშიც გზა არსებობდა აფხაზეთში, მაგრამ ძალიან ვრცელი გზა ყოფილა.

მთელი ის მიწა-წყალი, რომელიც უნდა გადაეღება ადამიანს, ყოფილა „ქუეყანაი იგი წარმართთაჲ“, მაგრამ იქ სრული მშვიდობიანობა სრულყოფილია, და უცხონიც „უშიშრად ვიდოდეს“ („ცხოვრებაჲ ამო ტყუილდღისაჲ“).

ამდენად, საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან და იტალიურსუფილსა და სხვა ქვეყნებთან დასაკავშირებლად ძველი პერიოდისგანვე ჩამოყალიბებულია გზა და კარი არსებობდა. ამ კარებთა ვამაგრება და გზების დაპატრონება საქართველოს დაპატრონებებს ნიშნავდა. ერთ-ერთი მთავარი გზა და კარი დარიალანი ანუ არაგვის კარი იყო (არაგვი ძველად თურგსაც ეწოდებოდა). არაგვის კარი ერქვა აგრეთვე მცხეთის ჩრდილო უბანს ვარდა ამისა, იყო აგრეთვე დვალეთის და თაგურის გზები, აფხაზეთის გზა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ვარე სამყაროს – ბიზანტიას, ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს უკავშირდებოდა „გზასა ქართლისასა“-თი. ეს სახელი მქონდა ამ გზას არა მარტო ქართულად, არამედ სომხურადაც და თითქმის ბოლომდე შემორჩა თურქულად ნათარგმნი „გურჯი-ბოლაზ“-ის სახით. „ქართლის ყელი“, „საქართველოს ყელი“ იყო უღელტეხილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, იგი შეესაბამება ჩრდილო ტაურის შემადგენელ დეკაბოინის ქედზე მდებარე უღელტეხილს, რომელიც აერთიანებს ერზინჯანის ვაკეს ჭოროხის მარცხენა მთაკადასთან. უფრო სარწმუნოა, რომ გურჯი-ბოლაზი ეწოდებოდა არა ერთ, არამედ რამდენიმე უღელტეხილს, რომელიც აერთებდნენ ეფერატ-არაქსის სათავეებს ჭოროხის აუზთან. „გზასა ქართლისასა“-ს რომ გაივლიდა მოგზაური, მიაღწევდა „გზასა კლარჯეთისასა“. აქ კლარჯეთში არტანუჯს იყო განთქმული სააღებმცემო ცენტრი, სადაც თავს იყრიდა მრავალი სოფდაგარი სხვადასხვა მახლობელ და შორეულ ქვეყნებიდან. ხოლო შავშეთ-კლარჯეთიდან აღმოსავლეთისაკენ ჯავახეთში გადასვლა შეიძლებოდა არსიანის კარით. ეს იყო ერთადერთი კეთილმოწყობილი გზა. არსიანის კარის პირდაპირი ვაგრძელება იყო „ხევი ყელისა“. ამ გზაზე იდგა ყელის ციხე. ჯავახეთიდან ადამიანს შეეძლო წასულიყო აღმოსავლეთისაკენ და მაშინ ქართლს მიაღებოდა, შეეძლო ჩრდილოეთისაკენაც გამგზავრებულიყო სამცხეში, ხოლო იქიდან ლიხით იმერეთში მისულიყო. აფხაზეთს და ლიხთიმერეთს სამხრეთისაკენ შეეძლოთ სამცხის გზით გადასვლა. ეს იყო ერთადერთი, თუქცა ძნელი, მაგრამ მაინც მოხერხებული გზა. ასეც მოგზაურობდნენ ძველად ყველანი. ამ გზით შემოვიდა საქართველოში ანდრია პირველწოდებული აწყურში და შემდეგ რკინის ჯვრით გადავიდა იმერეთსა და აფხაზეთში. რკინის

ჯვარი ანუ „ვზა რკინის-ჯვარისა“ აერთებდა ლიხთიმურეთსა და მცხეთოს. როდესაც სულდმ, კალძახის ერისთავმა და ვრიგოლ არტანუჯის ერისთავმა, სანქაროდ უხმეს მეფე ბაგრატს, მან აფხაზეთით მომავალი გადმოვიდა რკინის-ჯვარის ვზა ასევე ვარდგორილი ვიორგი რუსი თაყის მომხრეებთან ერთად კვლავ შემოიჭრა საქართველოში, მან და მისმა მომხრეებმა ცხინქვალში რკინის-ჯვარი და ჩავიდნენ ციხის-ჯვარს, დაწვეს ქალაქი ოძრზე.

სამცხედან აღმოსავლეთ საქართველოში მოკლე ვზითაც შეიძლებოდა გადასვლა. ტაოდან პირდაპირ კახეთში ჩადიოდნენ ისე, რომ ზემო ქართლს აუზღვედნენ. მაგალითად, დავით კურაპალატი ტაოდან მოვიდა კახეთის თრიალეთიდან. ცხადია, ეს ვზა ჯავახეთზე გადმოვიდა. ამდენად, კახეთში გადმოსვლა ტაოდან უნდა მომხდარიყო ჯავახეთზე, შემდეგ თრიალეთზე, მცხეთაში, აქედან კი თიანეთში. ამ ვზით წამოყვართა ქართლს ბაგრატ კურაპალატი რასაკვირველია, ვინც ტაოდან ჯავახეთში მოკლე ვზით მოდიოდა, მის უნდა უცქველად კოლა-არტაანი გადაელახა და სწორედ ასევე მოიქცა ბასილი კეისარი, რომელიც ოლთისიდან ჯერ არტაანს მოვიდა, მერე ჯავახეთით თრიალეთს გადავიდა. არტაანიდან სამცხეშიც შეიძლებოდა მისვლა ნიალის ვაკლით.

ვისაც დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მოკლე ვზით და პირდაპირ სურდა გადმოსვლა, მას უნდა გადმოველო ლიხის მთა. ამ ვზით გადმოსულა იგივე ვიორგი რუსი თაყის მომხრეებითურთ. ზამთარში ეს ვზა ძნელად გაივლებოდა, მაგრამ ამ ვზას გვერდს ვერ აუვლიდა. როდესაც დავით აღმაშენებელი „წარმოვიდა მსწრაფელ აფხაზეთით თოვლითა სამინელითა“, მან „ვარდაათხრეცინა ლიხნი“ და მოვიდა ქართლს, სადაც მას „დახუდა შხად ხა მისი ქართლისა“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი). ამ ვზას მატთანე „ვზა დასავლისა“-ს უწოდებს („მატთანე ქართლისა“). I ს-ის ბოლოს შორაპნიდან მოყოლებული იბერიის საზღვრამდე ოთხი დღის სავალი ურძის ვზა იყო გაყვანილი.

სომხეთიდან საქართველოში მთავარი ვზა სამშვილდეზე გადიოდა. მოგვიანო წყაროებით, სომხეთიდან საქართველოში სხვა ვზებიც არის დასახელებული.

აღმოსავლეთ საქართველოდან რანზე გადიოდა „ვზა პრანისა“ (ჯუან-შური, ცხოვრება ვახტანგ ვორგასალიისა).

საბერძნეთიდან საქართველოში მისვლა შეიძლებოდა ზღვით ან ხმელეთით. ხმელეთის ვზა ბასიანზე და ტაოსაკენ მიდიოდა. მოგზაურობდნენ იმ ქართლის ვზით, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ვიორგი მთაწმინდელის მოწაფე მოგვითხრობს, რომ ანტიოქიიდან გადმოვიდა

მდინარე ევფრატზე, აქედან კი საქართველოს საზღვრამდე კრივოლი ხანძოელიც საბერძნეთიდან კლარჯეთში ხმელეთით მისულა.

ამდენად, ძველი საქართველო ყოველი მხრით დაკავშირებული ყოფილა სატრანსპორტო გზებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მიმოსვლისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობაში. მნიშვნელოვანი გზები კეთილმოწყობილი იყო. ვაკეხეობში დღესაც არის შემორჩენილი XII საუკუნის ქვაფენილსაფარიანი გზები. ასეთივე გზები იყო, აგრეთვე, ვაკეილებით ადრე, ვერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე, გზების ერთ მნიშვნელოვან ატრიბუტს წარმოადგენდა მდინარეებზე გაღებული ხიდები თუ სხვა საშუალებანი. ძველ საქართველოში კი გზებსა და ხიდებს არსებითი სასიცოცხლო მნიშვნელობა ექონდა. ამას მოწმობს მრავალრიცხოვანი ფაქტურაი მასალა და ზოგიერთი შემონახული ნიმუში.

ხიდმშენებლობა ქართველი ხალხის ტექნიკური შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თვალსაჩინო დარგი იყო. ჩვენი მდინარეების უმრავლესობას ახასიათებს სწრაფი დინება. ვანსაზღვრულ პირობებში ისინი ვაკეოფებულ ნიაღვრებად გადაიქცევიან ზოლზე. ეს გარემოება აძლევდა და ართულებდა ხიდების შენებას და მათ შემდგომ მოვლას. ამას ადასტურებს ჩვენს დრომდე შემორჩენილი რამდენიმე ათეული ქვის სახიდე ნაგებობა. გარდა ამისა, საქართველოს ყველა მდინარეზე გვხვდება წინათ მოქმედი მრავალი ქვის ხიდის ნანგრევები და ნარჩენები. მატერიალური ნაშთების გარდა წარსულში ფართოდ განვითარებულ სახიდე მურჩეობაზე მოგვითხრობენ წერილობითი წყაროები. არის საბუთები, რომ უკვე ჩვენს ერამდე I საუკუნეში მარტო მდინარე რიონზე შირაძნის ზემოთ, 120-ზე მეტი ხიდი ყოფილა (ანტიკური ხანის ავტორები - სტრაბონი და პლინიუსი - აღნიშნავენ, რომ მდ. ევირილაზე არსებობდა 100-120 ხიდი). ძველთაგანვე მნიშვნელოვნად იყო განვითარებული ხის ხიდების მშენებლობა, ხიდების ძაღები 20 და მეტ მეტრს აღწევდა. დამახასიათებელი ტიპის ასეთ ხიდებს ამიერკავკასიაში ამ ბოლო დრომდე ამჟინებდნენ. მათი უმრავლესობა კოჭოვან და კონსოლურ ხიდებს წარმოადგენს. ხიდები საქართველოში მრავლად არის გადარჩენილი; ისინი სხვადასხვა სახისაა: ვიწრო და ფართო, ცალთაღიანი და მრავალთაღიანი, ადრინდელი და გვიანი. საქართველოს მთიანმა რელიეფმა, რომელიც მდინარეთა უმეტესობისათვის ვიწრო კალაპოტს ქნის, შეაპირობა ხიდების მშენებლობის ხერხი, ხიდებისათვის ირჩევდნენ ვიწრო და ადვილად მისაღვომ ადგილებს და უფრო ხშირად ერთმაღიან ხიდებს აგებდნენ. ეს ტრადიცია

ძველთაგანვე მოიხინარვობს. საუკუნეების მანძილზე ხიდები განუსწავებ-
ლოვ განიცდიდა ატმოსფერული ნალექების გავლენას. ისინი წყალმომარ-
ბის დროს წინააღმდეგობას უწყვეტდნენ მოწოლილი წყლის ძალიერ და
წოლას.

გარკინენული

ხიდები აღმოსავლეთ საქართველოშიც მრავლად იქნა შენობილი. მდინარე მტკვარზე, მის შუა დინებაზე - ქ. თბილისიდან ქ. არტაანამდე 330 კილომეტრის მანძილზე, წარსულში დათოვლებოდა ერთნახევარი ათეული კაპიტალური ხიდი. ეს იყო თბილისის სამი (ორი მეტეხის ძირში, ერთი მუხრანისა), მცხეთის, გორის, ურბნისის, ახალდაბის, აწვეურის, წნისის, ასპინძის, ზერთვისის, თმოგვის, ვარძიის, ოლოდის და არტაანის ხიდები. ამ მოავარი ხიდების გარდა მდ. მტკვარზე იყო სხვა, უფრო ნაკლებად ცნობილი, გადასასვლელები. ისინი მოხსენიებული არიან ლიტერატურულ წყაროებში. ამგვარი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარის შესახებ. ამგვარად თითოეულ მათგანზე შეიძლება შევამჩნიოთ ხიდების ნარჩენებისა და ნანგრევების მეტი რაოდენობა, ვიდრე თანამედროვე მოქმედი ხიდებია. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში უფრო ადრეულ ხანაში უმთავრესად გავრცელებული იყო ხის სახიდე გადასასვლელები, რაც განპირობებული იყო ადგილობრივი მშენებლობისათვის ხელსაყრელი მაღალხარისხოვანი ხის მასალის დიდი მარაგით, მისი დაქუჩავეების სიადვილით და სიმარტივით. მაგრამ მათმა ნარჩენებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს, რადგან მცირე გამძლეობისა არიან და უძველეს ხანაშივე განადგურდებოდნენ. თუმცა პროფ. ბ. კუფტინმა ქ. ორამიარის ფარგლებში მაკვლია ერთი ხის ხიდის ნარჩენს. მდ. ვიეგურის ხეობაში, მიწასაბაჟი მანქანების მუშაობის დროს, მთლიანად ზღვის დონეზე დაძლია, აღმოჩნდა ასწლოვანი ხეებისაგან გაკეთებული ძველი ხიდის უზარმაზარი ხიბხები. ამ ხიდის ნაწილების გადარჩევა გამოწვეულია მათი ძლიერად წყალში ყოფნით.

მომდევნო ხანაში, ქართული სამშენებლო ხელოვნების განვითარების შედეგომ საფეხურზე, ადგილობრივი მაღალხარისხოვანი საშენი ქვისა და შემაკავებელი მასალის (უმთავრესად კირის) საფუძველზე, შეიქმნა უფრო მტკიცე და ხანგამძლე ხიდები - ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდების მშენებლობის პირობები. პირველ ხანებში მდინარის გადახურვის მალი 10-15 მ. უნდა ყოფილიყო. ქართველებმა ვერ კიდევ უძველეს ხანაში მოაგნეს პრაქტიკულად თაღის იმ ყველაზე რაციონალურ ფორმას, რომელმაც საშუალება მისცა ხიდების აგებისას ძვირადღირებული,

გულმოდგინედ გათლილი სწორი სოლისებური ქვები კი არ გამოყენებინათ, არამედ ემუხებინათ დაუმუშავებელი ფილების უიხელესი კბარები და თანაც ემუხებინათ ისე მკვრივად, რომ ეს ხიდები დღესაც მტკიცედ დგანან. სამწუხაროდ, მოგვიანებით, როცა საქართველოს უცხოელი დამპყრობნი შემოვიხივნენ და კულტურის საერთო დაქვეითების ხანა დადგა, სამშენებლო ხელოვნებიდან, როგორც ჩანს, ვაქრა პარაბოლური თაღების მშენებლობის ჩვეულება და გვიანდელ ხიდებში უკვე ისრულ თაღებს იყენებდნენ.

ქართული ენა მდინარეებზე გადასასვლელების აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინს იყენებს. ზოგადი სახელი „ხიდი“ ნიშნავს დიდი ზომის გადასასვლელს. პატარა მცირე ზომის ხიდს ქვეა „ბოვირი“. ხის მორს, გადებულს მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად, გათვალისწინებულს მხოლოდ ქვეითისათვის, ეწოდება „წაწწალა“. კახეთში ამგვარი გადასასვლელის აღსანიშნავად გამოყენებულია „ცალური ბოვირი“, რაც ნიშნავს „ერთმაგ ბოვირს“. ხეიარა მცენარისაგან აგებულ დაკიდულ ხიდს (გაფრცველებულია უბოაერესად დასავლეთ საქართველოში) ქვეა „ბონდი“. ეს ტერმინები ზუსტად განსაზღვრავენ სახიდე ნაგებობის ყველა იმ ნაირსახეობას, რომლებსაც შორეული დროიდან იყენებდნენ საქართველოში.

ცნობები ძველი ქართული ხიდების შესახებ დაცულია არა მარტო ქართულ, არამედ უცხოურ წერილობით წყაროებშიც. ყველაზე ადრეული ცნობა, რომელიც ეხება მცხეთის ხიდს მოხსენიებულია ძველ ბერძენ ისტორიკოსთა — აბიანეს (I-II სს.) და დიონ კახიოსის (II-III სს.) ნაწარმოებებში. აგრეთვე ძველი რომეხი ისტორიკოსის — მოსე ხორენელის (V-VI სს.) „სომხეთის ისტორიაში“. თბილისის ძველ, მეტეხის კლდეებთან არსებულ ხიდს იხსენიებს VIII ს. ქართველი ავტორი იოანე საბანის ძე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გვამცნობს იმაზე, რომ დავით მეფემ მრავალი ხიდი აღაშენა მდინარეებზე და ასევე საკალი ნაწილი ქაფუჩილეებით დაფარა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ადგილობრივი გზებიც კარგად ყოფილა განვითარებული. ხშირი სატრანსპორტო გზები კვეთდა ცალკეულ რეგიონებს და მსხვილ ქალაქებს. გზებით დაკავშირებული იყო ყველა დასახლებული პუნქტი. ყველაფერი ეს კი ქმნიდა ერთიან სატრანსპორტო სისტემას.

გარდა სახმელეთო გზებისა, საქართველოში განვითარებული ყოფილა საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტი. დასავლეთ საქართველოს ზღვის-

პირეთში ხელშეწყობი პირობები იყო ზღვაოსნობის განვითარებისათვის. აქ ყველა პირობა არსებობდა ნავის ასაგებად, დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა ხე-ტყე, ხელი. ანტიკურ ხანაში ნავსადგურებიც პირობებში მწკვედ არ არსებობდა. ნაოსნობის დამთავრების შემდეგ ძველი პირობები თუ რომაელები თავიანთ საზღვაო ნაგებ ნაპირზე ამოათრევდნენ და საგანგებოდ აგებულ შენობაში ინახავდნენ. ასეთივე ვითარება იქმნებოდა საქართველოშიც. მოგვიანებით კი, როდესაც ზღვაზე დიდი ზომის ხომალდები გამოჩნდა, უზიფათო ნავსადგურის გამოძებნა ნაოსნობისათვის აუცილებელი პირობა გახდა. ქართველმა ტომებმა თავიდანვე დიდ წარმატებას მიაღწიეს ზღვაოსნობაში. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ძველი წელთაღრიცხვის VII საუკუნეში სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უდიდესი ნაწილი ქართული მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. ერთმანეთისაგან ასე დამორეხული, მკვეთრად გამოხრული ტერიტორიის ათვისება ჩვენს წინაპრებს მხოლოდ საზღვაო ნაგების ფართო გამოყენებით შეეძლოთ. ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი (ძვ. წ. 400 წ.) ვეამცნობს, რომ ქართველ ტომებს ჰქონიათ ერთ ზეში ამოთლილი ნაგები. ამასვე ამოწმებს ქსენოფონტის თანამედროვე და თანამემამულე პიპოკრატეც. ასეთი ნაგები XIX საუკუნემდეც შემორჩენილა (ვაორვი ავალიშვილი, დუ-სკასი - რუსეთის მოხელე). ცოტა მოგვიანებით ნიზიანი ნაგებიც გამოჩენილა, რომლებიც შორეული ნაოსნობისათვის იყო გამოყენებული. სტრაბონი წერს, რომ აქ ცხოვრობენ ზღვაზე მკობრებით, აქეთ პატარა, წვრილი და მსუბუქი ნაგები, რომლებიც დაახლოებით 25 კაცს იტევს, რომელსაც ეღინებოდა „კამარებს“ უწოდებენ. შემდეგში არაერთი ცნობა მოიპოვება, როგორც ქართულ ისე უცხოურ წყაროებში, შვე ზღვაზე ქართველთა ხომალდების მოძრაობაზე, ზღვისპირა ნავსადგურებზე. მატანეში ისიც არის ნათქვამი, რომ არსებობდა ქართული ფლოტიც, რომლითაც ბრძოლებსაც კი აწარმოებდნენ, მოგვიანებით, სწორედ, ზღვიდან აწარმოებდა ოსმალეთი დასავლეთ საქართველოში დაპყრობით ომებს. ზღვით მოდიან უმეტესად, აგრეთვე, ევროპელი მისიონერები და მოგზაურები. ყველაფერი ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქართველები ძველიდანვე მისდევდნენ ზღვაოსნობას. განვითარებული ყოფილა საზღვაო ტრანსპორტი, როგორც სხვა ქვეყნებთან დასაკავშირებლად, ისე ადგილობრივი მიმოსვლისათვის. საკმაოდ ყოფილა ნავსადგურებიც.

მაგი ზღვით უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა მხარეს სჭირდებოდა. ამისათვის კი მოწყობილი გზები/

ყო საჭირო, რომლებიც საქართველოს შიდა კუთხეებს ნავსადგურებად დააკავშირებდა. კოლხეთის დაბლობზე ამგვარი საქართველოს კუთხეებს გაეყვანა მრავალ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ უფრო მოსახერხებელი იყო მდინარეზე ნაგებით ცურვა. მდინარეზე ნავსადგურებს ძველად ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: ან მდინარის ნაპირს აკავშირებდნენ ერთმანეთთან, ან კიდევ დასავლეთ საქართველოს ზღვიდან დაშორებულ კუთხეებს შვი ზღვის ნავსადგურებთან. დასავლეთ საქართველოში მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასასვლელად ნავის გამოყენება ფეოდალურ ხანაში სამდინარო მიმოსვლის უმნიშვნელო ნაწილი იყო. სამდინარეო ტრანსპორტის ძირითად მოვალეობას მდინარის გასწვრივ ცურვა წარმოადგენდა. თანაც ერთი სოფლიდან მეორეში მდინარით იშვიათად მოგზაურობდნენ. ნაოსნობის უდიდესი ნაწილი ზღვიდან ქვეყნის შიგნით და უკან ნავით ცურვაზე მოდიოდა. დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარე გამოყენებული იყო სანაოსნოდ ვარკვეულ მანძილამდე. მაგრამ ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ძირითადი სანაოსნო მაგისტრალები ხობი, ჭოროხი და რიონი იყო. ამ მდინარეებზე ნაოსნობის შესახებ ცნობები მრავალ წერილობით წყაროში მოიპოვება. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ანტიკურ და ფეოდალურ ხანაში რიონზე დიდი საზღვაო კატარალები ცხენისწყლის შესართავამდე ადიოდა, ხოლო დიდი საზღვაო ხომალდები ბამამდე. ვარციხემდე მხოლოდ მცირე საზღვაო ნაგები ადიოდნენ, როგორც ზღვაზე, ისე მდინარეებზე ხომალდებს გადაყავდათ მგზავრები და გადაბქონდათ ტვირთი.

სანაოსნო გეოგრაფია

საეკლესიო გეოგრაფიის შესწავლის სფეროს შეადგენს საეკლესიო ცხოვრების ჩამოყალიბებისა და განვითარების ქრონოლოგიური ზღვრები, მისი გავრცელების არეალის დადგენა, საეკლესიო ცხოვრების გეოგრაფიულ-ტერიტორიული დანაწილება.

ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთიანი სარწმუნოების შემოღებას, უპირატესად, ერთდებრთიანობას (მონოთეიზმს), რომელიც დიდ როლს ასრულებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის კულტურულსა და პოლიტიკურ შეკავშირებაში. ამას კი ეთნო-სოციალური კონსოლიდაციის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ერთიანი რელიგია არ არის მხოლოდ ეთნიკურ-ფილოსოფიურ მხედველბათა სისტემა. იგი ტრადიციების, კულტურისა და სოციალურ ცხოვრების წესის გამოთქმავსაც გულისხმობს. ეს არის ის, რასაც რჯული ჰქვია და რაც თეოსოფიურ მოძღვრებასთან ერთად ეთნოლოგიის ერთგული ხასიათის ფორმირებაზე უდიდეს გავლენას ახდენს.

ამ მხრივ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სამეფოს მიერ (ქართლი, ვერისი) ქრისტიანობის მიღებას. მანამდე არსებული წარმართობა (თუმცა მას, ამ თუ იმ ზომით, ქვეყნის მიუღია მოსახლეობა აღიარებდა) ეთნიკური შეზღუდულობით გამოირჩეოდა. ქრისტიანობამ ამის საპირისპიროდ, როგორც მონოთეისტურმა რელიგიამ, რწმენის ერთიანობით წამალა თემობრივი კარაკეტულობის ზღვარი და ვხა გაუხსნა ეთნიკური ერთობის შეგნებას, რასაც, საბოლოოდ, მონათესავე ხალხების ერთ ერთნულ ორგანიზმად შეკავშირება მოჰყვა.

ქართულ ეკლესიას ამჟამად უწოდებენ „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“, მაგრამ უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ჩათვლით მას „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“ უწოდებოდა. თუმცა, თავისი შინაარსით ყოველთვის მართლმადიდებლური იყო.

ქრისტიანობის ქადაგება იესოს ამბლეების შემდეგ მისმა მოციქულებმა განაგრძეს, რომელთაც სამყარო სამოღვაწეოდ დაინაწილეს. ჩვენი ერთგული ტრადიციის თანახმად, საქართველოს მოქცევა ღვთისმშობლის ზედა წილად. ღვთისმშობელს დაუბარებია ანდრია მოციქული, ყოველივე გადაუცია და უბრძანებია მისი ხატის წაღება მისსავე წილხვედრ ქვეყანაში. ამის შემდეგ ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი საქართველოსაკენ წამოსულან. ისინი ჯერ ტრაპიზონში ჩასულან. „რომელი — მემატანის თქმით, — არს სოფელი მეგრულთა“, შემდეგ აჭარაში გადასულან. ანდრეას ქადაგების შედეგად აქ ეკლესია აუგიათ. სადაც მოციქულს ხატის ასლი დაუტოვებია. ამის შემდეგ ანდრეას ვეზი სამცხისაკენ აუღია და მისულა აწყურში. ქადაგებასთან ერთად მოციქულს მრავალი სასწაული მოუხდენია. ღვთისმშობლის ხატის ძალით აღფრთოვანებული მესხები ქრისტეს რჯულზე მოქცეულან. ღვთისმშობლის ხატი ანდრია პირველწოდებულს აწყურში დაუხვეწებია „კვიდრად უკუნისამდე ეამთა“.

ამის შემდეგ წმინდა მოციქულებს მოუვლიათ ტაო, ჯვარჯეთი, გადასულან დასავლეთ საქართველოში, სადაც მოაქციეს მეგრულნი, სვანნი და მისულან აფხაზეთს. აქ ანდრეას სიმონ კანანელი და მისი მხლებლები დაუტოვებია, თავად კი ჯიქეთს გადასულა, მაგრამ ჯიქებს

სახარება არ მოუღიათ, თვით მოციქული ძლივს გადაარჩინია სქატელის და აფხაზეთის დაბრუნებულა. აქ გარდაცვლილა წმინდა მოციქული სიმონ კანანელი. იგი ანაკოფიაში დაუკრძალავთ. ეს ამბავი „ქართლის ცხოვრებაშია“ ჩართული. ამით ქართული საისტორიო ჟურნალმა „სსსს უსვამს იმას, რომ ქართული ეკლესია სამოციქულო წყებაშია ჩაბრუნებული“.

მართალია, იმხანად, ე.ი. ახ. წ. I ს. ქრისტიანობამ ჩვენში მყარად ვერ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ისტორიულ საქართველოში ქრისტიანთა თემების არსებობა უწყველად უნდა მივიჩნიოთ. ქრისტიანობის შექვემდებარებას წინ აღუდგნენ მეფე და ქურუმები. ისინი არა მარტო არ სცნობდნენ ქრისტიანებს, არამედ სდევნიდნენ კიდევ. ასე რომ, ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა მაშინ ვერ იქცა, ამისათვის დრო იყო საჭირო.

IV საუკუნეში ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური შესვეურების სერიოზული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. ორ აგრესიულ სახელმწიფოს (ირანი, რომი) შორის მოქცეულნი, სრულ ნეიტრალიტეტს ვერ შეინარჩუნებდნენ. მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ და ამით მტკიცედ განესაზღვრათ თავიანთი ქვეყნების მომავალი ბედი. ასეთ ვითარებაში მოხდა ჩვენში ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რითაც ქართლმა და ეგრისმა განვითარების ევროპული გზა ამჯობინეს. ამის მიზეზი იყო ის, რომ, თავიდანვე, ჩვენი წინაპართა ცხოვრების წესი ბევრად ახლო იდგა ევროპულთან, ვიდრე აზიურთან.

ქართლის მოქცევას ეროვნული საისტორიო ტრადიციები წმინდა ნინოს მიაწერს. კაბადოკიელი წმინდანი საქართველოში ჯავახეთის გზით შესოსულა, საიდანაც ურბნისის გამოვლით მცხეთაში დამკვიდრებულია (დღევანდელი სამთავროს ტაძრის არემარეში). წმინდა ნინოს აქ სასწაულები მოუხდენია, რის გამოც მეფე ძირიანმა იწამა ქრისტეს ძალა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

ქართლში სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობის გამოცხადების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიას 337 წელი მიაჩნია. ცხადია, რომ ქართლის გაქრისტიანება, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური წინხელის შედეგს წარმოადგენდა. ბუნებრივია, ახალი რელიგიის გავრცელება, მისახლეობის გარკვეულ ნაწილში, წინააღმდეგობას გამოიწვევდა. მას ხომ საუკუნეების მანძილზე გამოუმუშავებული მამამაპური ადათებისა და რჯულის მოშლა მოსჭირდა. დროთა განმავლობაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთის

მოსახლეობის ეს ნაწილიც გაქრისტიანდა, ხოლო მათი საბუთები მოქცევა „ათამბეტი ასურელი მამათავან“ ერთ-ერთის — აბიბოს ნეკრესელის სახელთანაა დაკავშირებული. ასურელი მამები VI საუკუნეში მოსულან საქართველოში სირიიდან. წყაროებში იხსენიებათ აბიბოს ნეკრესელი ან „ათამბეტი ასურელი მამანი“. სინამდვილეში, ისინი სტრეონიკეცები და რიცხვი 12-13, როგორც ჩანს, საკრალური მნიშვნელობით არის აღებული. ასურელი მამების საქართველოში მოღვაწეობის მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. საქართველოში ასურელი მამების წამოსვლის მოთავე და ხელმძღვანელი იოანე ზედაზნელი ყოფილა. პირველად VI ს. I ნახევარში ქ. ანტიოქიიდან დავით გარეჯელი მოსულა, შემდეგ, შუა ხანებში იოანე ზედაზნელი მოწაფეების თანხლებით, და ბოლოს, 70-იან წლებში აბიბოს ნეკრესელი. ისტორიამ შემოინახა მათი სახელები, რომელთა მოღვაწეობამაც თვალსაჩინო კვალი დატოვა. გარდა ზემოდასახელებულისა, ესენი არიან: შიო მღვიმელი, იოსებ აღავერდელი, ასტონ მარტყოფელი, თადეოზ ხტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იახე წილკნელი, ხტეფანე ქაზაყელი ასე ხარხელი, ისიდორე ხაშითაყნელი, მიქელ უღუშბოელი, ზესონ იყადითოელი, ელია დაკონა, ავრეთეე ბამენა, სათანე და იოანე. აღმოსავლეთ საქართველოში მათ მრავალი ეკლესია-მონასტერი ააშენეს.

აღსანიშნავია, რომ, ქართლის სამეფოს თანადროულად ქრისტიანობა მიიღო დასავლეთ საქართველომაც. ქრისტიანობის გავრცელება, განსაკუთრებით ზღვისპირეთში, ადრევე დაიწყო. ამის საბუთად, თუნდაც, ის გამოდგება, რომ 325 წელს პირველ საეკლესიო კრებას ნიკეაში (ძველი ქალაქი მცირე აზიაში, ახლანდელი იზნიქი — თურქეთში) ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი ხტრატოფიედოსი. ცნობილია, რომ ლაზიკის პირველი ქრისტიანი მეფე გუბაზ I-ია.

ამდენად, ორმა ქართულმა სახელმწიფომ ერთდროულად და, უნდა ვთქვაქროთ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთი და იგივე იდეოლოგიური მოწაში აღიარა, რაც ამ სამეფოების პოლიტიკური გაერთიანების რეალურ წინაპირობად იქცა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო V ს. მეორე ნახევარში — ვახტანგ გორგასალის ეპოქა. მან პერეთი და ევრიისის აღმოსავლეთი ნაწილი შემოიერთა. ამ პროცესმა დიდი გავლენა იქონია ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაზე. VI ს. მიწურულს, ევრიისის აღმოსავლეთი ნაწილი მცხეთის საპატრიარქო ტახტს დაეჭვებდებარა.

ქრისტიანული ღვთისმსახურება ეკლესიებში წარმოებს. ქრისტიანთა ძველ ბერძნულად სახალხო კრებას ნიშნავდა, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქრისტიანთა საკრებულოს მნიშვნელობით იხმარებოდა, მოგვიანებით კი დღევანდელი მნიშვნელობა შეიძინა, ე.ი. აღნიშნავს მსგავსებას, სადაც იკრიბებიან ქრისტიანები. ამდენად, ქართულ ხეობაში აღსანიშნავია წინაშე სრულიად ვარკვეული ამოცანა და ისაზა — მათ უნდა შეეცნათ საგანგებო საგებობანი, რომელნიც გამოდგებოდნენ ღვთისმსახურებისათვის და ამავე დროს ბევრ მლოცველს დაიტყვედნენ. ეს თვის ქართული ხეობათმოდერებისათვის ახალი არ ყოფილა, რასაც ადასტურებენ დედოფლის მინდორზე (ქარელის რ.) და ვანის ნამოსახლარზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ანტიკური ხანის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსები. ქართულმა ეკლესიამ ნიშნად თავდაპირველად პალესტინის უძველესი ბაზილიკები აირჩია. უძველესი ძეგლებია: ნეკრესის ეკლესია, ძველი შუამთის ბაზილიკა, ბოლნისის სიონი (IV-V სს.). თანდათან მოხდა ბაზილიკური სტილის ევოლუცია; შენობის ამ ნახესხებმა ტიპმა ეროვნული დამახასიათებელი ნიშნები შეიძინა და ამით ხაზი გაუსვა მათ თავისთავებობას. ქართული ბაზილიკური სტილის თვალსაჩინო ძეგლია თბილისის ანჩისხატის ეკლესია (VI ს.). განვითარების შემდგომ გზაზე ქართულმა ხეობათმოდერებამ ქრისტიანულ საგებობათა თავისთავადი ზოგადქართული ეროვნული სტილი შეიქმნა. ესაა ე.წ. ტეტრაკონქის (ჯვარ-გუმბათოვანი, ოთხფასადიანი კვება) ტიპის ტაძრები. ამ მხრივ, აღსანიშნავია ნინოწმინდის (კახეთი) საებისკაპოსო საყდარი (VI ს.), მცხეთის ჯვარი (VI ს.) არქიტექტურის ეს თვითმყოფადი, ეროვნული სტილის ძეგლები მთელ საქართველოში გავრცელდა. ჯვრის ტიპის საგებობანია: ატენის სიონი (VII ს.), ჭყონდიდის (VII ს.), იშხანისა და ბანას საებისკაპოსო ტაძრები (VII ს.). ქართული ხეობათმოდერებისათვის დამახასიათებელი ფორმებისა და სტილის თანდათანობით შექმნავება იგრძნობა აფხაზეთშიც. IV და V საუკუნეებში ბიჭვინთაში შენდება სამწაფიანი ბაზილიკები. VI-VII სს. ტაძრის სახერკეები არქიტექტურული სტილის ევოლუციაზე მიგვანიშნებენ. დამოუღოს, X საუკუნეში აშენებული ბიჭვინთის დიდი ტაძარი ქართული ეროვნული ჯვარ-გუმბათოვანი ხეობათმოდერული ტიპის თვალსაჩინო მაგალითია. აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოში თვითმყოფადი და ერთიანი არქიტექტურული სტილის შექმნავება თვალნათლივ მიგვანიშნებს ერთიანი, ზოგადქართული ეროვნული კულტურის არსებობაზე. ამდენად, ქართველმა ხეობათმოდერებამ

დამოუკიდებელი, ეროვნული არქიტექტურული სტილი შექმნეს და მომდევნო ხანებში კიდევ უფრო დახვეწეს და სრულყვეს იგი.

VIII-IX ს. შესანიშნავი ძეგლია გურჯაანის ყველაწმინდა კლესიონაია: კუმბურღოს ტაძარი (X ს.), ოშკის ტაძარი (X ს.), ნანჭილის კლესია და იყალთოს აკადემიის შენობა (IX-X სს.). დამოუკიდებელი ხუროთმოძღვრების შედევრი - ბაგრატიის ტაძარი ქუთაისში (X-XI სს.), რომელიც იმდროინდელი ქართული კულტურის ერთობისა და ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაციის სიმბოლოდ გვევლინება.

არც მომდევნო საუკუნეებში შეჩერებულა საეკლესიო მშენებლობა და მთელი საქართველო დაიფარა ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშებით. ეკლესია-მონასტრები ყველა დასახლებულ პუნქტში არსებობდა უფრო მეტიც, ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში 7 და მეტი ეკლესიაც კი იყო აგებული. ამჟამად მათი დიდი ნაწილი ნანგრევების სახით არის მოღწეული.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური კათალიკოსად იწოდებოდა დაახლოებით 466-474 წლებიდან. XI საუკუნემდე ქართული ეკლესიის მეთაურს „ქართლის კათალიკოსი“ („მცხეთის კათალიკოსი“) უწოდებდნენ, XI საუკუნიდან „ქართლის კათალიკოსი“ იხმარება „საქართველოს პატრიარქის“ თანამართლით, ვახუშტის ერთადერთი - „საქართველოს-კათალიკოს პატრიარქი“. დასავლეთ საქართველოს ცალკე საკათალიკოსოს ჩამოყალიბების შემდეგ მისი მეთაური იწოდებოდა „აფხაზთა კათალიკოსად“, XV საუკუნიდან „აფხაზთა პატრიარქად“ (იგივე „კათალიკოს-პატრიარქი“). ცვლილებები ქართული ეკლესიის მეთაურის ტიტულში ასახავდა ქართული ეკლესიის პოლიტიკურ და სტრუქტურული განვითარების ეტაპებს. კათალიკოსის თანამდებობა გაუქმდა მას შემდეგ (აღმოსავლეთ საქართველოში 1811, დასავლეთ საქართველოში 1814 წელს), რაც ქართული ეკლესია რუსეთის ეკლესიას შეუერთდა, საეპარქოსოს სახით. კათალიკოსის თანამდებობა აღდგენილ იქნა 1917 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან ერთად.

საპატრიარქო (საკათალიკოსო) დაყოფილია ეპარქიებად (საკათალიკოსოებად), რომელთაც სათავეში უდგას ეპისკოპოსი. კათალიკოსის თანამდებობა ქართლში ვახტანგ გორგასალმა შეძლია. პირველი კათალიკოსი - პეტრე კონსტანტინეპოლის პატრიარქთან ეკუთვნა. მანამდე ქართული ეკლესიის უფროსი მთავარეპისკოპოსის წოდებით იყო ვახტანგ გორგასალის ინიციატივით კონსტანტინეპოლში ეკურთხა.

12 (14) ეპისკოპოსი. ცხადია, სუბსკოპოსოები ქართლში განამდევ არსებობდა, მაგრამ ნაწილი უნდა შეეცვალათ, ხოლო დარჩებით კიდევ უნდა დაეარსებინათ საეპისკოპოსოები. ასე, რომ ვახტანგ გორგასალის დროს ქართლში მიხდა საეკლესიო რეფორმა.

თვით მოსახლეობა საეკლესიო თვალსაზრისით იფორმირებულს ნაწილს „მღვდელთავანი“ შეადგენდნენ, ხოლო უმრავლესობას კი „ერისკაცი“. მღვდელთავანი ანუ სამღვდელოება ეკლესიის მსახურნი იყვნენ და დიაკონისა, არქდიაკონისა, ხუჯლის მუციურისა და ხუცესისა-გან შედგებოდნენ. V საუკუნეში ჩნდება საქართველოში მუუდაბნოება. ყველაზე უფროსი ეპისკოპოსები იყვნენ. მათი უფროსი, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად მთავარეპისკოპოსად ან თავი ეპისკოპოსთა იწოდებოდა, ხოლო ვახტანგ გორგასალის დროს ეკლესიის უფროსად და საკეთიმპერობელად „კათალიკოსი“ შეიქმნა.

ჯუანშერი ვახტანგ გორგასალის დროს ქართლის კათალიკოსის სამწყსოში შემდეგ საეპისკოპოსოებს იხსენიებს: მცხეთის საეპისკოპოსოს, კლარჯეთში აბიზისას, არტაანში ერუშეთისას, ჯავახეთში წუნდისას, ქართლში ნიჭოზისას, მანგლისისას, ბოლნისისას, კახეთ-ჰერეთში რუსთავესას, ნინოწმინდისას, უჯარმისას, კარისას, ჭერემისას, ჩელთისას, ხორნაბუჯისას, აგარაკისას ანუ ხუნანისას. ეს სია სრული არ არის. თუნდაც, არ არის დასახელებული ურბნისის საეპისკოპოსო, წილკნის საეპისკოპოსო, სამთავროს საეპისკოპოსო. ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, ამ დროს 21 სამწყსო უნდა ყოფილიყო, ხოლო VI საუკუნის დამდეგს 33 საეპისკოპოსო. ცხადია, საუკუნეების მიხედვით იცვლებოდა როგორც ამ საეპისკოპოსოების საზღვრები, ისე მათი რაოდენობა. ასეთივე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში.

ქართული ეკლესიის საზღვრები ერცლად ყოფილა გადაქიმული: სამხრეთ-დასავლეთით იგი კლარჯეთსაც შეიცავდა და საზღვრად აქ ტაოს საეპისკოპოსო ყოფილა, რომელიც VI საუკუნეში სომხეთს კუთვნებდა, ქართველ მღვდელთავართა და სამწყსოს სახელები სომხეთა კათალიკოსის ეპისტოლეშა მოყვანილი. 506 წლის კრების მონაწილეთა სიიდან ჩანს, რომ კლარჯეთისა და ჯავახეთის გარდა, შიდა და ჭეშბო ქართლის, კახეთ-ჰერეთის სამწყსოს ეპისკოპოსები დასწრებიან ამ გაერთიანებულ საეკლესიო კრებას (24 ეპისკოპოსი 33-დან). შემდეგში, 607 წელს, ანუ ერთი საუკუნის შემდეგ, 2 ეპისკოპოსი მიმატებია და უკვე 35 ყოფილა. ასე, რომ საეპისკოპოსოები ესატებოდა და თანდათანობით მცხეთის საკათალიკოსოს საზღვარი ფართოვდებოდა.

650 წელს ბერძნული ტაქტიკონდან ჩანს, რომ ამ დროს ფასისი (ფოთი) ლაზიკაში სამიტროპოლოდ ითვლებოდა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყვსოს ეკუთვნოდა. მასვე ეკუთვნებია აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიაც.

ქართული

XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოში 50-მდე მონასტრისიყოფილა. XVIII საუკუნის დასაწყისში მათი რაოდენობა შემცირებულია, რამდენადაც ვახუშტი ბერატორი ასახელებს, ზოგ მათგანს (ვიში, ბიჭვინთა, წურწყება, წყაროსთავი, კუბურდო, ერუშეთი და სხვ.).

ჯერ კდევ ადრეული ქრისტიანობის ხანაში ქრისტიანობის საღოცავი ადგილების იერუსალიმში და საღვთისმეტყველო ცენტრების ბიზანტიასა და რომში ყოფნის წყალობით, ამ ადგილებში ვამეზაერება და მოლოცვა წესად შემოვიდა. იაკობ ხუცესის თხზულებიდან ჩანს, რომ უკვე V ს. მეორე ნახევარში იერუსალიმში საღოცავად წასვლა მიღებული ყოფილა. იბრთა მონასტერი იერუსალიმში 440 წლის ახლო პერიოდში უნდა იყოს აგებული. უცხოეთის კანთქმულ ქრისტიანული კულტურის ცენტრებში ქართველთა მონასტრების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველებს უკვე ადრიდანვე საკუთარი კულტურის ცენტრები ჰქონათ საზღვარგარეთ: პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად. X ს-ში დაარსდა კანთქმული ქართული მონასტერი ათონის მთაზე, საბერძნეთში. აღსანიშნავია 864 წელს მცირე აზიის ბითონიაში ილარიონ ქართველის მიერ დაარსებული ულუშხოს მონასტერი. ასევე, 1083 წელს გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ პერტიწონის (მასკოვი, ბულგარეთი) მონასტრის დაარსება და სხვ.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად, წმდება მასთან დაკავშირებული უცხოეთიდან გადმოტანილი გეოგრაფიული სახელწოდებები. ამის მიხედვით, გამნდა წმინდა ადგილების პარადიკული სახელები. დროთა განმსვლობაში ისინი ისე შეეთვისა ადგილობრივ სახელებს, რომ აღარც იგრძნობა მათი გადმოტანა სხვა ადგილებიდან. ასეთი სახელები ზოგჯერ შერქმული აქვთ როგორც გეოგრაფიულ ობიექტს, ისე საკულტო საგებობებს. ისინი გავრცელებულია მიუღ საქართველოში (ბეთილემი, ბეთანია, სირინი, ველსამანია, ულუშხა, ვოლგოთა, ანტიოქია, ნიქოზი, კორინთი, თაბორი და სხვ.).



ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებას (დასახლებული პუნქტი, მდინარე, ტბა, მთა და სხვ.) ტოპონიმი ჰქვია, ხოლო ისტორიული ერთობლიობას ტოპონიმია ეწოდება. ტოპონიმებს შეისწავლის ტოპონიმია. თვით ტოპონიმია ონომასტიკის (ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ყოველგვარ საკუთარ სახელს) შემადგენელი ნაწილია. ტოპონიმია სწავლობს გეოგრაფიულ სახელწოდებებს, მათ მნიშვნელობას, აგებულებას და წარმომავლობას, განსახლერავს მათ გავრცელების არეს (ზოგჯერ ასაკაც).

ტოპონიმები მრავალ სხვადასხვა ინფორმაციას შეიცავს; მაგალითად, ტოპონიმმა სარკინებმა გარკვეული სამსახური გაუწია არქეოლოგებს უძველესი რკინის საბადოს მიკვლევაში დმანისისა და ბოლნისის რაიონებში. ისტორიულ ცნობებთან ერთად ტოპონიმია მნიშვნელოვანი წყაროა ამა თუ იმ ხალხის, ტომის და სხვა ეთნიკური ჯგუფის პირველსაყ-ზოფრისისა და მიგრაციების კვლის დასადგენად. საქართველოს ტოპონიმიაში დადასტურებული სპარსული, არაბული, თურქული, სომხური, რუსული და სხვ. ფენები ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების მიგრაციაზე მიუთითებს. თვით ქართული ტოპონიმია გვხვდება სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე (ირანი). ხშირად ტოპონიმები წერილობით ძეგლებზე უფრო ასაკოვანია. ტოპონიმები, განსაკუთრებით მოებისა და წყლების სახელები – კვლავ ძველი და ძვარი ერთეულები – შედარებით კარგად ინახავენ არქაიზმებსა და დიალექტიზმებს, რაც ხელს უწყობს კვლევას ამა თუ იმ ენის სუბსტრატის გამოყოფაში, გარკვეულ ტერიტორიაზე ძველი ენის აღდგენასა და მისი გავრცელების არეალის აღსანიშნავად.

გეოგრაფიული სახელწოდება, როგორც ენის ელემენტი, ლინგვისტური კატეგორიაა და ამიტომ მის კანონებს ებრძილება; ლინგვისტისათვის ტოპონიმი ენის ლექსიკის ერთეულია. მიხანაც ერთია – ქართულსა და ქართველურ მასალაზე შეამოწმოს თანამედროვე ტოპონიმის, როგორც ლინგვისტური მეცნიერების, რამდენიმე ზოგადი დებულება და გვანჯნოს, კრძოდ, მიკროტოპონიმის სტრუქტურა და მისი ადგილი ზოგად ტოპონიმიაში. ამავე დროს, ტოპონიმები შეიქმნა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, პირობებში, შეძლებში ზოგი მათგანი გარდაიქმნა, ან შეიცვალა თავისი ფორმით და, შეიძლება, შინაარსითაც, ამიტომ ისტორიულაცაა. ტოპონიმია შესწავლა, საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ისტორიული რეალები და ახალი მუქი შევიტანოთ ძველი

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძრავალ საკითხში, რომელიც აზრთა სხვადასხვაობის უმთავრესი წყაროა. მაგრამ ტოპონიმოლოგიის ელემენტაცია, რომელიც ხშირად მოუთითებს ბუნებრივ პარამეტრზე, შარის სიმდიდრეზე, დასახლების ისტორიაზე, ისტორიულ გეოგრაფიულ და სხვ. ე. ი. კონკრეტულ გეოგრაფიულ მდგომარეობაზე, კუთხის ტოპონიმურ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული დარგების მეცნიერებისათვის.

ტოპონიმებს ადამიანთა ჩვეულებრივ ურთიერთობასა და მეტყველებაში დიდი ადგილი უჭირავს. უტოპონიმებოდ ადამიანს არსებობა არ შეუძლია: ქუჩა, სოფელი, რაიონი, ქალაქი, მთა, ტყე, ბაღი, მდინარე, წყარო, ნაკვეთი, ბოსტანი, ვენახი, ვზა და მათი სახელწოდებანი იმდენად მახლობელია ადამიანისათვის და ისეა დამკვიდრებული მათ ყოფაში, რომ ყოველდღიურ სიტყვა-მასუბში აქტიურად მონაწილეობს. ტოპონიმები რაოდენობით ორ-სამხეჯრ მეტია, ვიდრე მთლიანად ენის ლექსიკა დაალექტური შენაკადებითურთ. მართალია, ტოპონიმთა რაოდენობას ზრდის მიკროფონია, მაგრამ ადამიანი სწორედ ამ მიკრორაიონის ბინადარია და მის ტრადიციებს ექვემდებარება. სიტყვარის საერთო ფონდთან ერთად მან თავისი კუთხის ლექსიკური ტრადიცია იცის, ინახავს და შთამომავლობას გადასცემს არეალურ ლექსიკას, რომელშიაც მიკროტოპონიმთა მიკრე ადგილი როდი უჭირავს.

ზოგი გეოგრაფიული სახელწოდება ყალიბდებოდა ათასეული წლების მანძილზე ერთი ჩვენს დრომდე შემორჩენენ, მუარეზი უკვე მკედარი და დაეწიყებულია, სხვები გაქრნენ ახალი სახელწოდებების შემოქმედების შედეგად. ჩვენს დრომც იქნება ახალი სახელწოდებები. გეოგრაფიული სახელები ცოცხლობს, იცვლება ფორმით, ზოგჯერ შინაარსით და კვდება. მათი ცხოვრების ხანგრძლივობა სხვადასხვაა. განსაკუთრებით სტაბილურია დიდ მდინარეთა და ქალაქთა სახელები, მაგრამ მუდმივი არც ეს სახელწოდებებია. სახელწოდების დარქმევის პროცესს აქვს კანონზომიერებანი და გაპირობებულია პირველ რიგში ისტორიული მიზეზებით, სახელწოდების წარმოშობის აუცილებლობით.

ამჟამად საქართველოში 5000-მდე დასახლებული პუნქტია, რომელთაგან ბევრი ისეთია, სადაც 150-200 ტოპონიმია აღრიცხული. ზოგში მეტიც. თითო დასახლებული პუნქტის მიკროტოპონიმთა საშუალოდ 50 ერთეულად თუ ვანგარიშებთ, რესპუბლიკაში მთლიანად 250 ათასმდის ტოპონიმურ ერთეულს მივიღებთ, ეს მაშინ, როდესაც ქართული ენის დიდ, რვატომიან, განმარტებით ლექსიკონში სულ 113 ათასამდე

სიტყვა შეტანილი. ტრონიმები რაოდენობით ჭარბობს მოქმედ ლექსიკას, არა მარტო თანამედროვე ქართულში, არამედ ისტორიულში. აქედან გამომდინარე, ტრონიმთა რაოდენობა ენაში გაცილებით ჭარბობს ლექსიკური ერთეულების ოდენობას. ტრონიმთა მთელი ეს ფონდი, სახელწოდებების ერთობლიობა სამ რიგად გვეუფლება: მიკროტრონიმთა, საკუთრივ ტრონიმთა და მაკროტრონიმთა.

მაკროტრონიმიკაში თავს იყრის მცირე გეოგრაფიული ერთეულის, პუნქტური თუ ხელოვნურად შექმნილი ობიექტის, ერთი ან ორი დასახლებული პუნქტის ფარგლებში მოქცეული ადგილის, სახნავ-სათესი, საძოვანი, სავენახე, საჩაიე ნაკვეთების, მცირე მდინარეთა, წყაროთა, მღვდლობათა, ხეობათა, ხეების, ტყეების, უბნების, ქუჩების სახელწოდებანი და სხვ. ამდენად, მიკროტრონიმიკისათვის დამახასიათებელია ობიექტის სიმცირე, არეალის შეზღუდულობა და ნაკლებგასავება საზოგადოების ფართო ნაწილისათვის, მათ მხოლოდ მომხმარებელთა უმცირესი ნაწილი იყენებს. მიკროტრონიმი მცირე ერთეულს გულისხმობს - ყველა სოფელს, მთას, მდინარეს, ქალაქს და ასე შემდეგ. უამრავი მიკროტრონიმი გააჩნია. მაგალითად, ქუთაისის მიკროტრონიმიკაში შედის მრავალი პატარა ხევის, ნაკადულის, წყაროს, უბნის, ქუჩის და სხვა სახელება.

საკუთრივ ტრონიმიკაში ერთიანდება მსხვილი გეოგრაფიული ერთეულები. აქ ვგაქვს დასახლებული პუნქტების, მოზრდილი და საშუალო მდინარეების, მცირე ტბების, სარაიონთაშორისი საძოვრების, მთების სახელწოდებანი. საკუთრივ ტრონიმის არეალი უფრო ფართოა, ობიექტის ფარგლები უკიდურესად ვიწროა. საკუთრივ ტრონიმთა უფრო გამძლეა და მისი ასაკი ეპოქებს ითვლის. მაგალითად, იმერეთში გამოიყოფა საკუთრივ ტრონიმები - ჩახორი, სკანდა, აჯამეთი, საზანი, ვანი და სხვ.

მაკროტრონიმიკა გულისხმობს დიდ გეოგრაფიულ ერთეულთა - მხარეების, ქალაქთა, მდინარეთა, ტბათა, მთათა, ვხათა სახელწოდებებს. მაკროტრონიმთა სცილდება ამს თუ იმ სახელწოდებებს პუნქტური სახელებების და საერთაშორისო გავრცელება აქვს. იგი საყოველთაოდ ცნობილია. მაგალითად, საერთაშორისო გავრცელების ტრონიმებია - იმერეთი, როინი, ქუთაისი, კავკასიონი და სხვ.

ტრონიმი დიდხანს ცოცხლობს. მისი ისტორია ბევრად უსწრებს დამწერლობის წარმოშობას. დამწერლობამდელ ეპოქაში იხმარებოდა საბოლოო რეალის ტრონიმები, მაგრამ საისტორიო წყაროებს უფრო

მაკრო - და საკუთრივ ტოპონიმები შემორჩა, მიკროტოპონიმები კი უმთავრესად ხალხის ხსოვნამ შემოინახა და თაობიდან თაობას გადასცა. ამიტომ ყველაზე ნაკლებ გამძლე ტოპონიმთა სწორედ ეს უკვე აღმოჩნდა. მაკრო - და საკუთრივ ტოპონიმთა ძირითადი ფუნქციები ნაკლებად აღიბეჭდა წერილობით წყაროებში. ქართული ეპოგრაფიული ძეგლები, უძველესი საისტორიო თხზულებანი, გეოგრაფიული აღწერილობანი და საგელ-გუჯრები, ამის უტყუარი მოწმეებია. ქუთაისი, გეგუთი, ვერისი, კოლხეთი, იბერია, ვანი, კახეთი, მცხეთა, თბილისი, შორაპანი, ყვირილა, ცენტისწყალი, კარციხე და მრავალი სხვა უძველესი ქართული საკუთრივი და მაკროტოპონიმებია, ჩვენი დამწერლობის შემოღებამდის რომ იცნობდნენ ადგილობრივი ტომები და რომლებიც კიდევ აისახა წყაროებში. რაც შეეხება მიკროტოპონიმთა უძველეს ფონდს, მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შემორჩა საისტორიო და საგეოგრაფო ძეგლებს. ეს სავესებით ბუნებრივია. მოსახლეობის შემადგენლობის ცვლა და სიჭრელე, მიწათმოქმედების დარგების რეგულაცია, ტყეების გაჩეხვა, ვეარებისა და ტომების ამოუღებლობა ან ემიგრაცია, ძველი ობიექტების გაჭრა და ახლის წარმოშობა, არსებულ სახელწოდებათა დავიწყება ან სხვა ტერმინით შეცვლა და სხვა ფაქტორები ხელს უწყობდა მიკროტოპონიმის ხშირ ცვალებადობას.

მაკრო და საკუთრივ ტოპონიმებმა ეპოქათა ქარტეხილებს გაუძლო და შემოინახა თავიანთი თავდაპირველი სახე. არქეოლოგიურმა ძიებამ ნათელყო ბევრი ტოპონიმის მეტად დიდი სიძველე. ვერძოდ, მცხეთის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ხელი შეუწყო ანტიკური ეპოქის სხვა უძველესი წყაროებითაც ცნობილ ტოპონიმთა - იბერია, მცხეთა და სხვ. - არეალის ლოკალიზებასა და სტრუქტურის დადგენას. აღსანიშნავია, რომ ეს არქეოლოგიური ძეგლები მრავალი საუკუნით უსწრებს ქართული დამწერლობის ჩვენამდის მოღწეულ პირველწყაროებს. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ძველ იბერიასა და კოლხეთში ვერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ტოპონიმთა კარგად ჩამოყალიბებული ნომენკლატურა არსებობდა. ამის უშუალო დასტურია, აგრეთვე, მრავალი უცხოელი ავტორის აღწერილობა, რომლებიც ასახავს პერიოდს, როგორც ჩვენს წელითაღრიცხვამდე, ისე მის შემდეგაც.

ტოპონიმი ჩნდება ენის წარმოქმნისთანავე და ენას თან ახლავს მისი არსებობის მთელ მანძილზე. ადამიანთა შორის ურთიერთობის დროს მისი არსებობის მთელ მანძილზე. ადამიანთა შორის ურთიერთობის დროს მისი არსებობის მთელ მანძილზე. ადამიანთა შორის ურთიერთობის დროს მისი არსებობის მთელ მანძილზე.

გეოგრაფიულ ზოლში და, ბუნებრივად, საცხოვრებელ ადგილს სტიქიური სახელწოდებით აღნიშნავს. ტომონიმთა სიტყვებს ენიჭება ერთი პირველი დიქსიკური ინვენტარია. ქართული ენის სიტყვობრივ მარაგში ტომონიმებს თავიდანვე დიდი ადგილი დაუკავია. სიტყვები ანტიკური ეპოქა იქნობდა ისეთ მაკროტომონიმებს, როგორცაა ქვემოთ და კოლხეთი, მცხეთა და იბერია, ფახისი და დიოსკურია, ციხევერი და ვარციხე, შორაპანი და სხვა მრავალი, რომლებიც ფიქსირებულია კლავდიოს პტოლომეს, პიპირატეს, აპოლონ როდოსელის, პლინიუსის, სტრაბონის და ბევრი სხვა უცხოელი მწერლის ნაშრომებში. ეს უძველესი სახელები დღესაც ტრადიციულად ეძვრს. მათი ასე ხანგრძლივი ხმარება მოწმობს ტომონიმთა გამძლეობას საერთოდ, ხოლო მაკროტომონიმთა ძირითადი ფონდის არქაულობას კრძობ.

ტომონიმები წარმომადგენელია უშუალოდ ადამიანთა ურთიერთობის პროცესში და, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, სახელი ამას თუ იმ გეოგრაფიულ ადგილს სტიქიურად, პირველად მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით შერქმევა. ადამიანთა შემოქმედებასა და გონებადამხელობას აქ უსაზღვრო გაქანება ჰქონია. უშუალო შთაბეჭდილებითაა მიღებული ისეთი ტერმინები, როგორცაა, მაგალითად ორწყალი - ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის შესაყარი. იმ ადგილას, რომელსაც ახლა ორწყალი ჰქვია, ერთდგება მთის ორი მდინარე, და მართლაც, ორი წყლის შესაყარი იქნება. ასეთივე ორღარი (ჩხარს), ხერთვისი (მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შესაყართან), შერთული (სოფელი პატარა ლიახეთის შესართავთან), დაძაბელი (ბორჯომის რაიონი), ჭუბურხინჯი (სოფ. ვაღის რაიონში - „წაბლის ხეი“) , ცხრაწყარო (ბორჯომის რაიონი), გორმაღალი (ოზურგეთის რაიონი), ჩხორწყე („ცხრაწყარო“), კლდეკარი, სამგარი, თავკეთილი, კარისხევი, ჭაბისხევი, ჭაბურჭილა, შეკეთილი, წმინდა წყალი, წყალწითელა, ოხერხიდა, შენაბადა, ცხენისწყალი, ციხისფერდი, საყორნა და სხვ. მაგრამ ეს სტიქიურობა მარცხ ვარკვეულ კანონზომიერებას ეყრდნობა. ვინც პირველად ნახავს მაღლა მთაზე, ციხის მიმართულებით შეუქნილ სოფელს, უძველესად ირცეის სახელს (ციხისფერდი! სოფელი მართლაც ციხის ფერდზეა შეუქნილი (ოზურგეთის რაიონი).

სტიქიური წარმომადგენლისა მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის ტომონიმები, რომელთა პირველ კომპონენტებს (მსაზღვრელად) გამოყენებულია - ახალი, ძველი, ზედა, ქვედა, ზემო, ქვემო, ვაღმა, გამოღმა, თეთრი, შავი, დიდი, პატარა და სხვ., ხოლო მეორე კომპონენტად (საზღვრულად) - არსებითი სახელები: ქალაქი, სოფელი, დაბა, ციხე

და სხვ. მაგალითად, ახალქალაქი, ახალსოფელი, ახალციხე, ძველი სენაკი, ძველი ვიძიარეთი, ზედა ბახვი, ზემო მანხაანი, ვარის მანა, წითელი ქალაქი, შენაბადა, ორხევი, სამთავისი, ცხრაწყარო და სხვ.

სტიქიური წარმოშობისაა აგრეთვე ევზოტიკური მნიშვნელობის სიტყვები: ცხრაძულას ხევი (მდ. ქსნის ხეობაში), კურცხლის (მდ. მდინარე) (ბორ-ჯომის რაიონი), ზეფენია (ვორაკი მესხეთში) და სხვ. ევზოტიკური და ადგილობრივი წარმოშობის სხვა ტოპონიმთა თავისებურმა გააზრებამ წამალა სიტყვის ნამდვილი თავდაპირველი მნიშვნელობა და სრულიად ახლებური ვაგება მისცა ცალკეულ ტოპონიმებს. მაგალითად, ქართლში არის სოფელი მევერისხევი (ვორის რაიონი). გარეგნულად ამ რთული სიტყვის ეტიმოლოგია (წარმოშობა, წარმომავლობა) თითქოს მევეარესთან არის დაკავშირებული, მაგრამ ამ ტოპონიმს არავითარი დამოკიდებულება ჯვართან ან მევეარესთან არა აქვს. ამ სოფელში ვაეღინება მდ. მევედა (ახლანდელი მევეუდა). როგორც ვაიტიკა, თავდაპირველად სოფლის სახელი მევედისხევი გვჭრნია, შემდეგ მევეარისხევიად გააზრებულია. ასევე პატარა ლიახვის ნაპირას ერთ ადგილს რქმევია ძელი პატიოსანი (ე.ი. ჯვარი), რომელიც შემდეგ თაობებს თავისებურად გაუგიათ – ვძელი პატიოსანი. ქართლში იყო ეკლესია – ეესტათე წმინდა, გვიან ის ერთაწმინდად გაუგიათ. ვარაუდობენ, რომ ზუგდიდი ზუგდიდი უნდა ყოფილიყო. ვორის რაიონის სოფ. პროწლეთი ძველი პროწლეთი (ბოსლეთი) ყოფილა. მდ. ტილიანი ადრე მტილიანი (საბოსტნე მდინარე) უნდა ყოფილიყო და სხვ. სახელწოდების ნაწილობრივ შეცვლას არასწორ ახსნამდე მივყავართ. საერთოდ, უაზრო ტოპონიმი პრაქტიკულად არ არსებობს; ამიტომ საჭიროა ტოპონიმის საწყისი ფორმის დადგენა. მაგალითად, წყალტუბოს რაიონში არის სოფ. ფარცხანაყანევი. მისი მნიშვნელობა შეიძლება მოგვეჩვენოს როგორც ფარცხისა და ხაყანევისაგან მიღებული, ე.ი. ეილაცის აღმათ დაუფარცხავს ნაყანევიო. მაგრამ ასეთი ახსნა ხალხური ეტიმოლოგიას და არაა სწორი, რადგან, სინამდვილეში სოფლის ძველი სახელწოდება ფარსხანაყანევი ყოფილა. აქედან ჩანს, რომ იგი უკავშირდება ადამიანის სახელს – ფარსხანს და ნიშნავს „ფარსხანის ყანებს“. ტოპონიმებში ასახულია ხალხის გონებამახვილობა; თავდაპირველად ადგილს ერთი სახელი მქონდა და იგი საყოველთაოდ იყო ცნობილი. სახელის დარქმევამი შემთხვევითობა მცირე როლს თამაშობდა, მაგრამ ტოპონიმთა სისტემაში დაცული იყო გარკვეული კანონზომიერება: ადგილის სახელწოდება ასახავდა გარემოს, მდებარეობას, ნიშნებს, ფერს. ტოპონიმად

იქცა საზოგადო სახელიც, რომელსაც დაეკისრა რელიგიის, მიტომოს დასასიათება გარკვეული ნიშნებით. ამ ვხითაა შექმნილი დღევანდელი ტოპონიმი, მაგრამ ყველა სახელწოდების ახსნას ჩვენი ცოდნის დღევანდელ პირობებში მაინც ვერ ვახერხებთ. აღი, ასკანდარეტის ბაგრატიონი, დესი, დრე, ვასა, თეზი, ინო, იწა, სნო, ჭიე და სხვა ტოპონიმის ეტიმოლოგია აუხსნელია და, აღბათ, უმეტესობა ასევე დარჩება.

გეოგრაფიული სახელები ქართულში სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობისაა. მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების ქვეყანაში ტოპონიმიაც მრავალმხრივი და თავისებური ჩამოყალიბდა. ამას ემატებოდა ისტორიული მდგომარეობაც, — მტრის შემოსევების, დაპყრობის და მათთან ასე თუ ისე დაკავშირებული ეთნიკური ცვლილებები; მიგრაციული პროცესები ზეგავლენას ახდენდა გეოგრაფიულ სახელწოდებებზე.

ტოპონიმია ქვეყნის სახეს გვიჩვენებს, რომელშიც არეკლილია ბუნებისა და მოსახლეობის თანადროული სურათი და ისტორიული განვითარება. სახელწოდებათა დიდ ნაწილში ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისათვის დამახასიათებელი შინაარსი აისახა. თუმცა, წლების მანძილზე ეს პირობები გარკვეული მიზეზების გამო შეიცვალა, გარდაიქმნა, ხოლო გეოგრაფიული სახელწოდებები უმეტესად უცვლელი დარჩა. ამასთან, ზოგი სახელწოდება ამ გარდაქმნისა და შეცვლის შედეგად წარმოიშვა. ასე მივიღეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმთა ერთობლიობა, რომელმაც რთული და ხანგრძლივი გზა განვლო. შეუძლებელია ბუნებრივი პირობების მიხედვით შერჩეული სახელების ჩამოთვლა, მაგრამ ორიოდე მაგალითს მაინც მოვიტანო: ტოპონიმი „თბილისი“ მოითითებს მაღალი ტემპერატურის მქონე წყაროებზე, „მთიანარწყვი“ — მთის ყინულიანობაზე, „ვირი“ — ვირაკის არსებობაზე, „წაბლოვანი“ მცენარე წაბლის გავრცელებაზე, „ტაბახმელა“ — ამომშრალი ტბის ადგილის არსებობაზე, „რიფი“ — მდინარის ქვიან ნაპირზე და სხვ.

მთავრად გეოგრაფიული სახელები საქართველოში მრავლადია. ამასთან, საკმაო რაოდენობით არის ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა მნიშვნელობა ამჟამად არ შეესაბამება ობიექტს. ამგვარი სახელების გაჩენა უნდა აიხსნას იმით, რომ ისინი თავდაპირველად გამართლებული იყო ობიექტის ნიშან-თვისებებით და მხოლოდ შემდგომში ეს უკანასკნელები გარდაიქმნა. ტოპონიმი კი ტრადიციით შემოინახა. ასეთი გეოგრაფიული სახელწოდებების შესწავლას შეუძლია რიგ შემთხვევაში მიგვიყვანოს პალეო-

ბუნებრივი კომპონენტის - ჰიდროგრაფიული ქსელის, მცენარეულობისა და ცხოველთა სამყაროს ცვალებადობას, ეხილავს ეს კომპონენტი მოკლე ქრონოლოგიურ მონაცემებშიც არსებით ვარდაქმნას განიცდიდნენ და, გარდა ამისა, ისინი ხშირად ეფუძნება საფუძვლად გეოგრაფიულ სახელწოდებებს. ამ სახის ტოპონიმების ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან ისინი რამდენიმე ათასეულს აჭარბებს. დავასახელებთ ერთ მაგალითს ბუნების ცვლილებისა შიდა ქართლში, რაც კარგად ჩანს ტოპონიმიაში. თავდაპირველად მცენარეულ საბურველს აქ ტყის ხასიათი უნდა ექონოდა, რაც ბუნის, რეხილისა და სხვ სახეებისაგან შედგებოდა. ამხე მოუითებეს ტოპონიმები: ბუნხანი, მოხისი, მუნათვევრდი, მუნათი, მუნაური, ურთხვა, ცხინვალი. ამჟამად მტკვრის ზეობის ლანდშაფტი ძირითადად მეორად ხასიათს (ანთროპოგენური) ატარებს, რაც დაკავშირებულია ზანგრძლივ საძეურეო ზემოქმედებასთან. ჭალების ანუ ტუგაის ტყეები, რომელთაც ვერ კიდევ XVIII საუკუნეში ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა მტკვრისა და მისი შემდინარეთა ზეობების ფსკერზე, სადღეისოდ თითქმის გამქრალა. მაგალითად სხერტისა და ყურყუთას ჭალები. ასევე შემორჩა ფაუნის წარმომადგენელთა სახელები ზოგიერთ ობიექტს, სადაც ამჟამად ისინი აღარ ბინადრობენ. (ფოცხვერიანი, საირმე, ირმისრქა, ნუკრიანი, სათხე, საშვეარდნი, ოირემე, საჯიხვეცი, სატრედი და სხვ.)

ტოპონიმები წარმომდგარია ამ თუ იმ ევარისაგან, რომელიც იმ პუნქტში სახლობს, ან სახლებულია ახეთი სახელები ხშირად მრავლობითის ფორმით არის მოცემული (კაიშაური, სეოური, ზაქანი, ჭიკანი და სხვ.). ამგვარი სახელები ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც არის დადასტურებული (გოგოლაურთა, მივრიაულთა, ცაბაურთა და სხვ.). გვხვდება აგრეთვე მრავლობითი ფორმა (ჩიტაურები, ზარნაძეები, დვალიშვილები და სხვ.). გადმონამობის სახით შემონახულია მამალოებანი მრავლობითაც (კაშლევნი, ბოსლევნი, ბელლევნი, ძეგლევნი და სხვ.). გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებულია რიგი მაწარმოებლები - სა-ე, სა-ო, სა-ის, სა-ურ და სხვ. (სამშვილდე, საბუე, საირმე, საჯინე, საკირე, სავანე, საკერპო, საცხენისი, საბადური და სხვ.). ამგვარ სახელებს ხშირად ფუძედ აქვთ ეროვნულ-ტომობრივი, საგვარეულო ან რომელიმე მფლობელის სახელი, საკუთარი თუ საზოადო (სამცხე, საქართველო, სამეგრელო, საზანო, საათაბაგო, საორბელო, საგურამო, საჭილაო, საგარეჯო, სამიქაო და სხვ.). არაიშვიათია სხვა მაწარმოებლები: მან-ი, მან-ი, ნა-მ-ი, ნა-პ-ი, ნა-შ-ი და სხვ. (ფიჭვიანი,

მუხიანი, ვაშლოვანი, ჭილოვანი, ნავენახევი, ნაქალაქევი, ნატყეპარი, ნაქერალი, ნასაკრალი, ნადამური, ნატბური და სხვ.) ბევრი გეოგრაფიული სახელი წარმოადგენს ნავენახევიარ სახელს (მს სუფიქსით (თბილისი, მანგლისი, ურბნისი, ქუთაისი, შინდისი, მარტვილისი და სხვ.). საზოგადოდ, გეოგრაფიულ სახელებში შეიძლება უმეტესად მწარმოებელი იქნეს გამოყენებული. საკუთარ გეოგრაფიულ სახელთა მწარმოებლად გამოიყენება სუფიქსი მთ, რომლის ვარიანტია მთ. მთ შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით (სა-მთ). მთ სუფიქსი არის ჩვეულებრივი და ყველაზე გავრცელებული სახე გეოგრაფიულ სახელთა საკუთარი მწარმოებლისა. ის უშუალოდ დაერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს (ტბეთი, ორბეთი, ქორეთი, ბეთი, ნეგობეთი, თელეთი, კლდეეთი და სხვ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებისაგან იმავე მთ-ის საშუალებით გეოგრაფიული სახელები მიიღება (ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი, სვანეთი, სომხეთი, რუსეთი, არაბეთი და სხვ.). იმავე სუფიქსით არის ნაწარმოები რიგი დასახლებული პუნქტებისა (დუშეთი, არაღეთი, სვენეთი, ხეღურეთი, ვომარეთი და სხვ.). მთ გვხვდება, როგორც ვარიანტი მთ-ისა (ღვანეთი, როკეთი, მოლითი, ხრეთი, ბელთი და სხვ.). სა-მთ გვხვდება სახელებში – სასირეთი, საქაშეთი, სარკინეთი, სამგლეთი და სხვ.

ტოპონიმების შინაშენლოვანი ფონდი მიღებულია სიტყვათ შეერთებით. გამოყენებულია მსაზღვრელ-საზღვრული (მთა-წმინდა, სტეფან-წმინდა, ახდრია-წმინდა, ხინო-წმინდა, თელი-წმინდა, ხეღ-ღრმა, ვორამალაი და სხვ.), საზღვრულ-მსაზღვრული (დიდი-გორი, შავ-ნაბაღა, ახალ-გორი, სამ-თავისი, წითელ-ქალაქი, შუა-ხევი, მაღალი-უწერა, ორ-წყალი, პარის-ახო, კავთის-ხევი, ხიდის-თავი, ტამის-კარი, ციხის-ძირი, პერძნის-წყარო, ცხენის-წყალი, ქათა-ხევი და სხვ.), სადაც მსაზღვრულად გამოყენებულია: თეთრი, შავი, წითელი, ახალი, ძველი, პატარა, დიდი, ზედა, ქვედა, ორი, სამი და სხვ., საზღვრულად კი – თავი, ქალაქი, სოფელი, დაბა, ხედი, ხევი, წყალი, წყარო, მთა, ქედი, ელი, მიწა, ციხე და სხვ.

ტოპონიმებად გამოყენებულია ტოლადშერწყმული სახელებიც, რომლებიც საკმაოდ გავრცელებული (რაჭა-ლენხუმი, ფშავ-ხევსურეთი, ერწო-თიანეთი, ტაო-კლარჯეთი, ტყეტბა, ხხალტბა და სხვ.).

პიდრონიმა ტოპონიმის განუყოფელი ნაწილია და ვერადებას იძლეობს როგორც ისტორიული და გეოგრაფიული, ისე, რაც მთავარაა, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით. ვახუშტი ბავრატონს 400-მდე პიდრონიმი აქვს მოხსენიებული.

ტომონიმი, კილარონიმი, ჰიონონიმი ამა თუ იმ ენის ორგანიზაციის კუთვნილებაა და მათი სხვა ენაზე გადათარგმნა ან კალკირება დაუშვებელია. ტომონიმი უცვლელად, ეროვნული მართლწერით უნდა წმინდა რეზოდეს სხვა ენაზე. ტომონიმის თარგმნა ან კალკირება მხოლოდ ენაზე მკვნიერულად გაუძარბილებელია. მისი ეროვნული მართლწერა და მართლწარმოქმნა საყოველთაოდ უნდა იქნეს დაცული. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულადაც, რამდენადაც ტომონიმთა თარგმანი ან კალკირება გაძილებდა ორიენტაციას საეოგრაფო რუკაზე, ვართო-ლებდა ადამიანთა და სახელწიფოთა ურთიერთობის, მიხისვლას. ამტომ ის დაცობილია.

საქართველოს ძველი ტომონიმების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია იბერიისა და კოლხეთის ადრინდელ წყაროებში, ანტიკური სამყაროსა და შებდვობი ხანის უცხოელი მოგზაურების, ისტორიკოსების, ფილოლო-გების, გეოგრაფების, ბუნებისმეტყველებისა და მწერლების შრომებში. ამასთან, საქართველოს უძველესი გეოგრაფიული სახელწოდებების ერთი ნაწილი მხოლოდ უცხოურ წყაროებშია შემორჩენილი. ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის შებდვ საქართველოს ტომონიმები ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში არის დამოწმებელი. ამ შებრვ, აღსანიშნავია: ავოგრაფიული ძველები, მემსტიანეთა ჩანაწერები, სოველ-გუგერები, საეკლესიო და სამოქალაქო საბუთები, მსატერული ნაწარმოებები, ებგრაფიული ძველები, სამართლის კანონები, მოსახლეობის აღწერათა მასალები, კარტოგრაფიული წყაროები და სხვ. მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა შობაძედილე-ბები, სამბულო და უცხოური კარტოგრაფიული ნამუშევრები, რომელთა საკბო ნაწილი მხოლოდ ხელნაწერების საბით არის შემორჩენილი.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მოვ-ლებები უძებესად გეოგრაფიული სახელების ცვლილებას ან გაქრობას იწვევდა ხალხური მეტყველებიდან. ასეთ სახელწოდებებს კი ხშირად წერაილობითი ძველები ინახავდნენ - იქნებოდა ეს მატთანე, გეოგრა-ფიული აღწერილობა, რუკა, საბუთი თუ სხვა. ამ შებრვ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები, ვახუშტი ბეგრატიონის აღწერილობანი და რუკები და სხვ. XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის მანძილზე კავკასიის ტერიტორიაზე ჩატარდა მსხვილმის-შტაბიანი ტომოგრაფიული აგვებები, რითაც არსებობა შეუნარჩუნეს ბეერ სახელწოდებას. ამასთან, ქართული ენის არცოდნის გამო ტომოგრა-ფებმა ბეერი სახელი დაამაზინჯეს, ზოგი უძართებულად გამოიყენეს

ობიექტის მიმართ. ვარდა ამისა, ზოგი ტოპონიმის ფუძემ რამდენიმე ცვლილება განიცადა და ამჟამად განსხვავებული სახით გვევლინება. ზოგან აზრიც დაკარგულია, რაც გამოწვეულია სახელწოდების თანდათანობითი ცვლილებებით. ან უცხო ენის გავლენით. ამიტომ მათი წარმომავლობის გარკვევა ხშირად დიდ სიძნელეს იწვევს. უნდა დავეხმარებოთ საწყისი ფორმა, თუძეა ზოგჯერ ეს ვერ ხერხდება.

საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების შეცვლა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯერ მომხდარა; ეს ცვლილებას უფრო მეტად გამოწვეულია უცხო ქვეყნების გავლენით და საქართველოში მათი პერიოდული ბატონობით. ასე მაგალითად, ბერძნებისა და რომაელების ბატონობის ხანას მიეკუთვნება ისეთი გეოგრაფიული სახელების შემოღება, როგორიცაა: კორინთა, კლისურა, აფსარუნტი და სხვა, მათ მიერ თარგმნილი სახელწოდებანი: ჰიპოსი (ცხენისწყალი), ბოა (ვერაილა), როდოპოლისი (ეარციხე), არქეოპოლისი (ნაქალაქევი), პიტუნტი (პიტუნთა) და სხვ. არაბების დროს გაქრა სახელები: ცურტავი, ურდი და სხვ. მონღოლთა ბატონობის ხანაში გაქრა: პერეთი, აბიკვი, ხორნაბუჯი და სხვ. ხოლო შემოვიდა თუქურძიშა, მულანლო, უფადარი და სხვა. ირან-თურქეთის შემოსევათა პერიოდში გაქრა სამხრეთ საქართველოს ასეულობით ტოპონიმი, რომლებიც შეწვირა მოსახლეობას. XVIII საუკუნის ამ მხარეში უამრავი ნასოფლარი იყო, სადაც საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნეში დასახლდა უცხო ქვეყნებიდან გადმოსახლებული, ძირითადად თურქულენოვანი მოსახლეობა, რამაც ტოპონიმების თურქიზაცია გამოიწვია. დაეიწყებას მიეცა ქართული სახელწოდებები, სამაგიეროდ გაჩნდა: ბორჩალო, ალჯაყალა, ყიზილქილისა, აბდალო, არუხლო, ტაშტიყელარი, ასანხოჯალი, თაქქილისა, ედიქილისა და მრავალი სხვა. რუსეთის ცარიზმის ბატონობის ხანაში დაიკარგა სახელები – სტეფანწმინდა, ფარავანი და სხვ. სამაგიეროდ, შემოვიდა ტამპოვკა, როდიონოვკა, ტროიცკოე და სხვ. გერმანელების დასახლების შემდეგ გაჩნდა – როზენბერგი, ეკატერინეფელი, მარიენფელი, ალექსანდერდორფი და სხვ. ასევე, სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების და სხვა ეროვნებათა დასახლების შემდეგ გაჩნდა შესაბამისი სახელწოდებები, რამაც უმეტესად ძველი ტოპონიმების გარდაქმნა და ახალი გეოგრაფიული სახელწოდებების დამკვიდრება გამოიწვია.

მუხუხავად შემოადინებულისა, საქართველოს თანამედროვე ტოპონიმების დიდი ნაწილი ძველთაძველია და ჩვენამდე უცვლელადაა მოსული, რაზედაც ხშირად თვით სახელწოდების წარმოშობა მიგვითითებს. დღეისათვის საქართველოში 5 ათასამდე დასახლებული პუნქტია, რომ-

ლის 94,5 პროცენტი უძველესი დროიდან XIX საუკუნის ბოლომდე შერქმეული. კარდა ამისა, თვით ეს სახელწოდებები ხშირად შეიცვალა მდინარეების, მთების და სხვა სახელწოდებებში, ხოლო ძველი ნაწილები, ნაქალაქარებისა და სხვათა სახელწოდებები ქვეყნის მთელს მოდის. სამუდამოდ დაიღუპა ქართულ ქალაქებთან – დუშეთთან, ფასისთან ერთად სახელწოდებებიც. მართალია, ამ ნაქალაქართა ნაწილზე და მათ მახლობლად შემდეგში აღდგა ცხუმი და ფოთი, მაგრამ ძველი ქალაქები საბოლოოდ მოისპო. მსგავსი მაგალითები სხვაც არის. გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილმა რამდენჯერმე განიცადა ცვლილება და დღეისათვის განსხვავებული სახით გვევლინება. ამიტომ ხშირად მწვლედა მისი წარმოშობის საკითხი. ასეთი სახელწოდებების რაოდენობა დაახლოებით 16,4 პროცენტია.

ადგილმდებარეობის მიხედვით თუ განვიხილავთ, ძველი ტოპონიმების ძირითადი ნაწილი უცვლელია. მიუხედავად ამისა, გვხვდება ისეთებიც, როცა ძველი ადგილმდებარეობა შეცვლილია, ან პირაქით, ძველ ადგილმდებარეობას შეცვლილი აქვს გეოგრაფიული სახელწოდება. მაგალითად, დღევანდელი რაიონული ცენტრები – წალკა, დმანისი, ბოლნისი, ბორჯომი, ასევე, სოფლები – მარტყოფი, ხაშში, ბოგვი და სხვა სულ სხვა ადგილებზე მდებარეობდა. სხვადასხვა მიზეზების გამო ამ სახელწოდებებმა მიგრაცია განიცადა. ეს მოხდა როგორც ისტორიული პროცესების, ისე ბუნებრივი პირობების გაუარესების გამო. ასეთი სახელწოდებების გამოვლენასა და შესწავლას ვარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

არის სახელწოდებები, რომლებიც მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებშია შენახული და მათი ლოკალიზაცია (ადგილმდებარეობის ვარკვევა) ამჟამად გაძნელებულია, ამიტომ აღარც გეოგრაფიულ სახელად გვხვდება. ასეთია – ცურტავი, ეა, ფისისანი, გუქროსი და სხვ. მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ცურტავი. მეზოთე საუკუნის ეს ციხე-ქალაქი VII-VIII საუკუნეებში არაბების შემოსევის დროს, დანგრეულ იქნა. XI საუკუნის ისტორიკოს ლეონტი მროველიდან მოყოლებული ბევრი ეცადა ამ ადგილის ზუსტ ვარკვევას, მაგრამ ყოველი მათგანი განსხვავებულ ადგილს გვთავაზობდა. ასევე, ვერ კიდევ დასაზუსტებელია ქალაქი ფასისის ადგილის ზუსტი პარამეტრები. დღემდე გაურკვეველი და სადავოა ბევრი ტოპონიმის ადგილმდებარეობის ზუსტი მინიშნება. გასული საუკუნის ბოლოს შედგენილ იქნა ისტორიული რუკა ი. პროცენკოს მიერ, სადაც ბევრი „დაკარგული“ ტოპონიმის ადგილმდებარეობაა

მნიშვნელოვანი მოუხედავად იმისა, აღნიშნულ რუკაზე მოლიანად დატოვებულია შეუძლებელია, რადგან ბევრი რამ სინამდვილეს ეწინააღმდეგება. გაუქმებული, ხმარებიდან ამოყარებული ტოპონიმების დროკალიზაცია ზოგჯერ შეტად ძნელი და საფრთხილო საქმა.

არის შემთხვევები, როცა გეოგრაფიული სახელწოდებების ადგილი ცნობილია, მაგრამ სახელწოდების ფუძე (ძირი) რამდენადმე და რამდენჯერმე არის შეცვლილი. ასეთი სახელწოდებები საქართველოს ტოპონიმიაში მრავლად გვხვდება, რომელთა გარკვევა და შესწავლა შედარებით ადვილია. ამასთან, ზოგი სახელწოდება მცირედ არის შეცვლილი; მაგალითად, ბაგი - ბაში, კოფორი - კოჯორი, ბაკელიანი - ბაკურიანი, ნიკოლაწმინდა - ნიკორწმინდა, თეთრყოლა - თერჯოლა და სხვ. შედარებით ძნელი გასარკვევია, როცა სახელწოდება რამდენჯერმე შეცვლილი - დბანისა - დბანისი - დბანისი, ანარვია - ანაკრია - ანაკლე - ანაკლია და სხვ. გვხვდება შემთხვევა, როცა გეოგრაფიული სახელწოდების ადგილმდებარეობა ცნობილია, მაგრამ ამჟამად სულ სხვა სახელწოდებით. ასეთები ძირითადად შეიძწევა სამხრეთ საქართველოში, სადაც ხშირი იყო უცხოელთა ვაჭარება და ამ მხარეში არაქართული მოსახლეობის ზრდა. ცვლილებანი ძირითადად მექანიკური ვხვით არის მომხდარი და არ ასახავს ადგილის ნამდვილ ბუნებას. ამ მხრივ, ძველი ქართული ტოპონიმები მოლიანად შეცვლილია უცხო სახელებით წალკის რაიონში; რამდენადმე დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, თეთრიწყაროს რაიონებში. დანარჩენ რაიონებში მათი ცვლილება დიდ მასშტაბს არ აღწევს.

ზოგი ადგილის ადრინდელი სახელი ამჟამად მხოლოდ მოსახლეობაშია შემორჩენილი და ოფიციალურ მიმოწერაში აღარ იხმარება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალმა სახელმა ძველი ვერ განდევნა ხმარებიდან, მოუხედავად იმისა, რომ იგი ოფიციალურად აღარ იხმარება. მაგალითად, აღოს მინდორს მოხვევები კვლავ ამ სახელით იხსენიებენ, იმ დროს, როცა ამ ადგილის ოფიციალური სახელი კობის ვაკეა. ასევეა ქარნოზი, აკურისი და სხვ.

მოუხედავად იმისა, რომ ზოგ ადგილს შეიცვალა გეოგრაფიული სახელი, დროთა განმავლობაში იგი კვლავ აღდგა, ე.ი. დაუბრუნდა ადრინდელი სახელი. ეს გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, კერძოდ, ნასოფლარის, ან საქალაქარის ხელახალი აღდგენით, ისტორიული მიზეზებით, ადრინდელი სახელის აღდგენით და ა.შ. ადრინდელი სახელები კვლავ დაუბრუნდა: ცხინვალს, რუხთავს, მარნეულს, ანურეთს, ხონს, ოზურგეთს, სენაკს, ბაღდათს, ხარაგაულს და სხვ.

როგორც მხოფლიოს ძრავალ ქვეყანაში, ასევე საქართველოში გვხვდება ერთნაირი გეოგრაფიული სახელები. ეს ძირითადად გამოწვეულია საერთო ამსახველი სიტყვებით ან ბუნებრივი და ისტორიული პროცესების ერთნაირი პირობებით. ასეთ სახელწოდებებს განეკუთვნება სახელები პქეთი. მათი რაოდენობა ამჟამად დიდ რაოდენობაში აღწევს: ბრილი, მოლითი, ზეკარი, აბანო, ავარა, მეტეხი, ჭალა, აწყური, ზუბი, ჭანჭახი, ვარძია, სვირი, წედისი, ვოძი, კაცხი, არგვეთი, გელათი, არამენდა, პერანგა, ბალთა და სხვ.

არის ტოპონიმები, რომელთაც რამდენიმე, ანუ პარალელური სახელები ახასიათებთ. ეს გამოწვეულია როგორც სხვადასხვა ენის გავლენით, ისე ისტორიული მოვლენებით. პირველ მაგალითს წარმოადგენს თავმანთაფა - ამირანის ვორა, თავარაგან-ჩაი - ახალქალაქისწყალი და სხვა, მეორე შემთხვევაში - ღრული - ღამისხვევი და სხვ.

ტოპონიმისაღმომიტირეს ისტორიკოსები უძველესი დროიდან იწყებდნენ, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება, როგორც ისტორიის დამძნარე დარგს, რენესანსის ეპოქაში მიექცა. პირველად ისტორიის საშენ მასალად გეოგრაფიული სახელწოდებები გერმანელმა მეცნიერმა ბეატუს რენანსმა (1482-1547) გამოიყენა. რუსეთში კი დიდმა რუსმა ისტორიკოსმა ვ. ტატიშჩევმა (1686-1750). თითქმის ამავე პერიოდში ქართველმა გეოგრაფმა და ისტორიკოსმა ვახუშტი პაგრატიონმა (1696-1758) საფუძვლი წაუყარა საქართველოს ისტორიოგრაფიაში ტოპონიმოლოგიურ კვლევას. მის მიერ ასობით ტოპონიმია დასახელებული. ამასთან, მოცემული აქვს ძველი ტოპონიმების ლოკალიზაცია, ასევე ეტიმოლოგია. XIX საუკუნეში ტოპონიმების შესწავლით დაინტერესებული იყვნენ და მრავალი გამოკვლევა შექმნეს ქართველმა მოღვაწეებმა - ნიკო მარმა, პლატონ იოსელიანმა, დიმიტრი ბაქრაძემ და სხვებმა. მაგრამ წარსულში კვლევა იყო არასისტემატური და არასაკმარისი, რაც წარმოებდა, ისიც შემთხვევით ხასიათს ატარებდა. XX საუკუნეში საქართველოს ტოპონიმების კვლევას დიდი ძალა და ენერგია შეაღიეს და ეს კვლევა ახალ თვისობრივ საფეხურზე აიყვანეს ივანე ჯავახიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, აკაკი შანიძემ, სარგის კაკაბაძემ, ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, ლევან მუსხელიშვილმა, ვახტანგ გამყრველმა, სერგი მაკლათიამ, სერგი ჯიქიამ, ლევან მარუაშვილმა, ალექსანდრე ღლონტმა, გრიგოლ ზარდალიშვილმა და სხვ. ამჟამად მიმდინარეობს ტოპონიმური კვლევები რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულებებში - თბუ ინოვაციკის ლაბორატორიაში, ენათმეცნიერების, ისტორიის, გეოგრაფიის ინსტიტუტებში.



სამკაცობრივი
სამკაცობრივი





ქართული საისტორიო ტრადიცია ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას ქართლს უწოდებს. „ქართლეს, ცხოვრებეს“ მიხედვით, ქართლი იყო ის ადგილი, სადაც დამკვიდრდა უჭირველმა ლეგენდარული მამამთავარი ქართლოსი. ჭეცვანას, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია ქართლის სახელით იცნობს, ძველი ბერძენი ავტორები „იბერას“ უწოდებენ. მათი გავლენით ლათინურ მწერლობაშიც ეს სახელწოდება დამკვიდრდა. „იბერია“ ანტიკურ წყაროებში ლიბის ქვას აღმოსავლეთ მდებარე ჭეცვანა იყო და ელინისტური ხანიდან მოყოლებული, როცა იგი პირველად იწენს თავს, მტკიცედ აღნიშნავდა გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულს.

ძველ ქართულ ენაში „იბერიის“ პროტოტიპის დაძებნა ძალზე ძველია, რის გამოც ტერმინი „იბერია“ უცხოეთიდან გაჩენილად მიაჩნიათ. სახელი „იბერია“ ბერძენთათვის ოდითგანვე იყო ცნობილი, მაგრამ გარკვეულ დრომდე ამ სახელით მხოლოდ პარიზის ნახევარკუნძულის იბერებს მოიხსენიებდნენ.

კავკასიური იმპერიის პირველი ხსენება ძველი წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეების ავტორებთან გვხვდება (მეგასთენეს „იბერია“). ამის შემდეგ მრავალ ბერძენ ავტორთან იხსენიება ეს სახელი. ბერძენ ავტორთა შორის სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ცნობილ ისტორიკოსსა და გეოგრაფს სტრაბონს. განსაკუთრებით შიშვნელოვანია ცნობა, რომელიც ელინისტური ხანის იბერიის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას აგვიწერს. ამ მხრივ იგი ერთადერთ და უნიკალურ წყაროს წარმოადგენს. შემთხვევით არ უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ სწორედ IV-III საუკუნის მოჯანაზე ჩნდება პირველი ცნობები იბერიის შესახებ. ეს ის პერიოდია, როცა ყალიბდება ერთიანი ქართლის სამეფო, რასაც ქართული საისტორიო ტრადიცია ფარნავაზის სახელს უკავშირებს. მანამდე იბერიის ტერიტორიაზე დასახელებულია „სასპეირები“, „ქესპერიტები“. IV-III საუკუნეების მოჯანაზე ქართლი – იბერია ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო.

ბერძენი ავტორების გარდა იბერიის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ლათინურ ენაზე შედგენილ თხზულებებშიც. მაგრამ ისინი გაცილებით გვიანდელია (ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნე). მათ შორის აღსანიშნავია პომპონიუს მელა (I ს.), ვაიუს პლინიუს ხეცნდური (I ს.), კორნელიუს ტაციტუსი (I-II სს.). ლათინურ წყაროებში სახელწოდება იბერია ბერძნულის გავლენით გაჩნდა, როგორც **Hiberia**

ამრიგად, ტერმინი „თერია“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აღნიშნავს, პირველად ანტიკურ ავტორებთან მოიხსენიება. ქართულ ენაში მას პროტოტიპი არ ეძებნება, რის გამოც ეს სახელი უცხოურ ენაში სამკაროში გაქნილად მაქსიმალ უძველესი ქართული წყაროებში არ რეგისტრირებულია და მხოლოდ „ქართლს“ უწოდებენ. მრავალრიცხოვან რაოდენ ტერმინი „თერია“ ჩაისახა ფინიკელებში და აღნიშნავდა ზღვის ან მოის გადაღმა არსებულ ქვეყანას. სწორედ ფინიკეურის გავლენით ეს სახელწოდება ძველ ბერძნულში უნდა დამკვიდრებულიყო. ამ ტერმინით აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, არაერთი ქვეყანა იწოდებოდა.

როგორც აღნიშნა, ქართულ წყაროებში „თერია“ ქართლის სახელით არის ცნობილი. ისტორიული ტრადიციის მიხედვით „ქართლი“ ეწოდებოდა მთას, რომელზედაც სახლდება ქართველთა ეთნარქიკობინობი. ეს მთა ამართულია მცხეთის სამხრეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არმაზის ბეის თავში. ეს უნდა ყოფილიყო ქართველ ტომთა გაერთიანების უძველესი ცენტრი, საიდანაც დასაბამს იღებს აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობა. აკადემიკოსი ვიორგი მელიქიშვილი ამ პუნქტის სახელწოდებას უკავშირებს დასავლურ-ქართულ ტერმინს – „ქართა“ (მოლიბილი აფგილი), ამ უკანასკნელს კი ეთნონიმ „ქართლს“. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართი წყაროებში დამოწმებული არ არის.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, უძველეს ხანაში არსებობდა ეთნოგრაფიული „ქართლი“, რომელიც „ზენა სოფლისა“ და „ქვენა სოფლისაგან“ შედგებოდა, ანუ გვიანდელი ტერმინოლოგიით „მთა ქართლი“ და „ქვემო ქართლი“. ამ ქართლის ცენტრს კი წარმოადგენდა არმაზის მთა, რომელსაც უფრო ძველად „ქართლი“ ეწოდებოდა.

ამგვარად, ლეონტი მროველის მონაცემების მიხედვით გამოდის, რომ გვიანდელი საქართველოს ცენტრალურ ტერიტორიაზე მოსახლე ქართული ტომების ერთ-ერთი ცენტრი – „ქართლი“ ვარკვეული პირობების გამო წინაურდება და აერთიანებს მტკვრის შუა დინების აუზს, რომელსაც ამიერიდან „ქართლი“ ეწოდება. ეს არის ეთნოგრაფიული ქართლი, რომელიც უძველეს პერიოდში ზენა და ქვენა სოფლად იყო გაყოფილი მტკვრის დინების მიხედვით. კიდევ უფრო გვიან ამ ქართლის ძველმონობით მოხდა აღმოსავლეთით კახეთის (და კუხეთის), ხოლო სამხრეთ-დასავლეთით სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთის გაერთიანება. ეს იყო ლეონტი მროველისეული ქართლოსის ქართლი ანუ პოლიტიკური ქართლი, რომელიც შემდგომ ფარნაეაზმა ერთ სამეფოდ, ქართლის სამეფოდ ჩამოაყალიბა.

„ქართლი“, ლეონტი მროველის მიხედვით, ეს იყო პოლიტიკური ქართლი, ქართლის სახელმწიფო „ხუნანიდან ვიდრე ზღუმაზე სპარსის“. ამიერიდან ქართლის სამეფოს გავლენა მეზობლებზე, განსაკუთრებით ირანზე, ირანის იმპერიის დასავლეთ ნაწილზე, აღმოსავლეთ საქართველოზე, ქართლის სამეფოს პოლიტიკური გავლენა გულისხმობდა ქართული ქრისტიანობის, ქართული ენისა და მწერლობის, ქართული სოციალური ურთიერთობების მოდელის გავრცელებასაც.

ქართლი ბუნებრივი გეოგრაფიული თვალსაზრისით მდინარე მტკვრის წყალმუხტებს აუზს ეთანამდრება საქართველოს ტერიტორიაზე ძველიდანვე ქართლი იყოფოდა სამ ნაწილად – ზემო, შიდა და ქვემო ქართლად.

შიდა ქართლი შეესაბამება აგრეთვე აღრიხნულ ზენა სოფელს, რომლის შესახებ პირველად ცნობებს ლეონტი მროველი გვაწვდის. სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა, რომ ქართული და სომხური წყაროების „ზენა სოფელი“, შემდეგში „შიდა ქართლი“ ელინისტურ ხანაზე ადრე წარმოშობილი. ნიკო ბერძენიშვილის მიხედვით, „ზენა სოფლად“ და „ქვეყანა სოფლად“ დაყოფა ელინისტურ ხანაში მაინც უნდა მომხდარიყო. 1923 წლის ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემულ ისტორიულ რუკაზე აღნიშნულია ეს ტერმინები. „ზენა სოფელი“ ვიწრო მნიშვნელობით გუანმერსაც აქვს დასახელებული. შიდა ქართლი ზოგჯერ საკუთრივ ქართლსაც ეწოდებოდა. თანამედროვე გაფორმებით უფრო სწორია შიდა ქართლი, მაგრამ ასეთი ფორმით არც ერთ წყაროში არ ვხვდებთ და, ამდენად, ტრადიციულად „შიდა ქართლი“ დამკვიდრდა.

შიდა ქართლის ტერიტორია ვრცელდებოდა ტამისკარიდან თბილისამდე ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით შიდა ქართლი მოიცავდა ტერიტორიას კაკასიონის მთაგარი წყალგამყოფი ქედიდან თრიალეთის ქედამდე და ლიხის ქედიდან მდ. არაგვამდე. მიუხედავად ამისა, შიდა ქართლის საზღვრები პერიოდების მიხედვით იცვლებოდა. ეს დამოკიდებული იყო თვით ქართლის სამეფოს საზღვრების გაფართოება-შემკიბრებასთან; განსაკუთრებით ეს ითქმის რაჭისა და იმერეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზე.

ყველა წყარო თუ ლიტერატურა შიდა ქართლის აღმოსავლეთ საზღვრად მდ. არაგვს ასახელებს. ეს საზღვარი მას კახეთისაგან გამოყოფდა. მიუხედავად ამისა, ვარკვეულ პერიოდში (VIII ს. დასასრულს) კახეთის სამთავრო მოიცავდა არაგვისა და ქსნის ხეობათა რაიონებს და ქსნის დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის მიწებს.

ჩრდილოეთის საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი და მის მიღმა გადიოდა. ასე მდებარეობდა წყალგამყოფის ვადალი შიდა ქართლის ეკუთვნოდა დეალები და ხევი. ცხადია, ეს ტერიტორიები ქართველებით იყო დასახლებული. ხევი დღესაც ქართული ტერიტორიაა თვით ტერმინი გეოგრაფიულია, რომელიც ძველ საქართველოში ისტორიულ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულსაც აღნიშნავდა. XVI-XVIII საუკუნეებში ეს ერთეულები არაგვის საერისთავოს ეკუთვნოდა, მაგრამ 1743 წლის შემდეგ ხევი და მისი მუხობელი ეთნოგრაფიები (თრუსი, მთიულეთი, ვუდამყარი) ერეკლე მეორის შვილებს ჩაბარდა გამგებლობაში. რუსეთთან შეერთების შემდეგ ხევი დუშეთის მაზრაში მოექცა. სახელწოდება დადასტურებულია თამარის ისტორიკოსის თხზულებაში - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

დეალებიც ქართული წარმოშობის სახელია, რომელსაც დართული აქვს ქართულში საკმაოდ გავრცელებული სუფიქსი -ი-ი - დეალ-ეთ-ი. აღსანიშნავია, რომ გვარი დეალი დღესაც გავრცელებულია რაჭაში, ხოლო დეალიშვილი იმერეთში. დეალები გვიან შუა საუკუნეებში გადაიქცა ოსურ დასახლებად, საიდანაც ქართულმა მოსახლეობამ განიცადა მიგრაცია ან ასიმილაცია (თუ განადგურება არა). ზემოთქმულის დასტურება მრავალი წყარო და მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები. მოვეიანებით, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის აქეთა მხარეზე, დიდი ლიახვის სათავეებში გაჩენილა სახელწოდება „მდარან-დეალები“.

შიდა ქართლის დასავლეთი საზღვარი ძირითადად ლიხის ქედს გასდევდა, ძველიდანვე წყაროებში დასახლებულია „ლიხთ-იმერეთი“ და „ლიხთ-იმერი“. ასევე „ლიხთ-აქათი“ და „ლიხთ-ამერი“. ვარდა ამო-სა, შიდა ქართლის შემადგენლობაში შედიოდა იმერეთის ნაწილი - ხუფინის ხევი და რაჭის ნაწილი კუდარომდე.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, შიდა ქართლის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი დვირ-კოდმან-ბაკურიანის მთას გასდევდა. ერთი მხრივ ზემო ქართლისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ქვემო ქართლისაგან გამოიყოფოდა. ზემო ქართლისა და შიდა ქართლის გამოყოფი იყო ტაშისკართან მდებარე ვიწრო ხეობა.

შიდა ქართლი ქვემო ქართლისაგან გამოიყოფილი იყო თრიალეთის ქედით; თხუბური მონაკვეთით და ჩრდილო ტოტით ვერცხ ხეობას მოიქცევა დიდუბებზე. აქედან საზღვარი მტკვარს ხედიმარამდე აუყვებოდა

შიდა ქართლის ტერიტორიაზე დაწყებული უჩველესი პერიოდთან სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულები იყო. ხოლო ესინი სხვა-თვის ვარკვეულ როლს ასრულებდნენ საქართველოს ცხოვრებაში. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მის ტერიტორიაზე ვადფარქი მშენებლოვანი საქაჭრო და სატრანსპორტო გზები, რაც მშენებლობის უარყოფითადაც მოქმედება მხარის განვითარებაზე დადებითი იმ მხრივ, რომ ცენტრალური გზები ხელს უწყობდა დასახლებული პუნქტების ზრდას, ვაჭრობის განვითარებას და, ამასთან, მშენებლობის წარმოებას და სხვ. აღნიშნული გზების უარყოფითი მოქმედება გამოიხატებოდა იმაში, რომ მათი საშუალებით შემოდიოდა მტკერი და აძიტომ პირველ დარტყმებს იგი ღებულობდა.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე შემორჩენილია ძველი ნაშთები, რომლებიც ამ მხარის ინტენსიურ ათვისებაზე მიგვითითებს. ბევრი ძველი გზა თანამედროვე გზებმა დაფარეს განსაკუთრებით ათვისებული ყოფილა მტკერის გასწვრივი ტერიტორია, სადაც ვადიოდა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რომ აკავშირებდა. სწორედ ამ გზების გასწვრივ მდებარეობდნენ მსხვილი დასახლებული პუნქტები, რომლებიც აღწერილი აქვთ ძველად უცხოელ მოგზაურებსა და ისტორიკოსებს. გზების ხშირი ქხელი ვადიოდა მტკერის შესაკადების გასწვრივაც, სადაც შემორჩენილია, აგრეთვე, ძველი გზებისა და ხიდების ნაშთებიც. ამ გზებით კი შიდა ქართლი დაკავშირებული იყო ქვემო ქართლთან და აქედან ბიზანტიასა და სომხეთთან. შიდა ქართლი დაკავშირებული იყო სამცხე-ჯავახეთთან და აქედან ბიზანტიასა და სხვა ქვეყნებთან. თვით კავკასიონის უღელტეხილზე რამდენიმე გზა ვადიოდა, რომლითაც შიდა ქართლი დაკავშირებული იყო კავკასიონის ვადამს ქვეყნებთან.

ჯერ კიდევ წევნს წელთადრიცხვამდე IV-III საუკუნეების მიჯნაზე, როცა ფარნავაზმა ქვეყანა საერისთავოებად დაძყო, შიდა ქართლი სპასპეტს დაუმორჩილა და, ამრიგად, შეიქმნა შიდა ქართლის საერისთავო. საერისთავო კი დაყოფილი იყო ხეყებად. VII ს. სომხურ გეოგრაფიაში აღნიშნულია — თორი, ვორათისხევი, ტანისხევი, მანგლისისა და ბოლნისის ხეყები. შიდა ქართლის ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ადრეფეოდალურ ხანაშიც იხმარებოდა. შუა ფეოდალურ ხანაში შიდა ქართლი კვლავ ქართლის საერისთავოშია. მონღოლთა შემოსევების შემდეგ კი ცალკე გამოიყო ქსნის საერისთავო, რომელიც თავდაპირველად მდ. მდ. ქსნის, ღებურის, მუჯუდის და

პატარა ლიახვის ხეობების ზემო ნაწილებს მოიცავდა. XIV საუკუნის შემდეგ კი შეუერთდა თრუსი, მოთულეთი, არაგვის მარჯვენა სანაპირო მოთულთკარამდე და ქსნის ხეობის შუა ნაწილი. XVI საუკუნეში ქსნის საერისთავოს ნაწილი არაგვის საერისთავოს შეუერთდა. XV საუკუნეში სააბილახურო წარმოიშვა, ხოლო XVI საუკუნეში — სამხრან-პატონო. XV საუკუნეში წარმოიშვა, აგრეთვე, სამახალო.

სამახალო მდებარეობდა მდ. რეხულას ორივე ნაპირზე და მდ. მუჯუღას მარცხენა სანაპიროს შუა ნაწილში. შემდეგში მისი საზღვრები ფართოვდება და საბოლოოდ აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სამხრან-პატონო, ჩრდილო-აღმოსავლეთით საერისთავო, ჩრდილოეთით საყაფლანიშვილო და სამახალო, ხოლო დასავლეთით საყაფლანიშვილო, სამხრეთით კი მდ. მტკვარი. ცენტრი იყო ჯერ სხვილო, შემდეგ ქვემო ჭალა.

სამხრან-პატონო მოიცავდა ძირითადად მუხრანის ელს, მაგრამ საზღვრები ცვალებადი იყო აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა მდ. არაგვი, სამხრეთიდან მდ. მტკვარი, მდ. ქსნის დასავლეთით მას ეკუთვნოდა სოფლები: აღაიანი, ქადაგიანი, თეზი, ოკაბი, ლამისყანა; ჩრდილოეთით იგი ერკვლებოდა გრემისხევაძე. შემდეგში მუხრან-პატონებმა დაკარგეს ლამისყანა და გრემისხევი და საზღვარი გადიოდა ციხეობადიისა და მისაქციელის ხაზზე. სამხრან-პატონოს მთავარი ციხე იყო მტკვრის (ქსნის) ციხე. რეზიდენცია — შიოსუბანი (ახლანდელი მუხრანი). სოფლები ემორჩილებოდა წილქის საეპისკოპოსოს და მცხეთის საკათალიკოსოს.

სამახალო ტერიტორია დიდ ლიახვს მოიცავდა, რომელიც თავად მახალებს სამფლობელოს წარმოადგენდა. რეზიდენცია იყო აჩაბეთი, ხოლო საგვარეულო — სამარხი — თარის მონასტერი და სამაწმინდა. ეკლესიურად ექვემდებარებოდა ნიქოზის საეპისკოპოსოს. სამახალოს ჩამოყალიბება და ტერიტორიული გაფართოება დაკავშირებული იყო მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობის დაძლევისთან. აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქსნის საერისთავო, სამხრეთით ფაფლანიშვილთა და აბილახუართა მამულები, სამხრეთ-დასავლეთით საყაფლანიშვილო, ჩრდილო-დასავლეთით რაჭის საერისთავო, ჩრდილოეთით მახაბელთა ძალაუფლება დეაღლეოამდე აღწევდა.

სამახალო სათავადო მდებარეობდა ქართლის ვაღაშა მხარეში (მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო). იყოფოდა ზემო და ქვემო საციციანოდ. ზემო საციციანო შეიქმნა ძამის ხეობის — გვერდისძირის, ხოლო ქვემო — სოფელ ნიწბისის ირგვლივ. მათ ერთმანეთთან მიჯნავდა

ჯავახიშვილებისა და თარხნიშვილების სამფლობელო. XIV საუკუნის II ნახევარში ტაო-შავშეთიდან შიდა ქართლში გადმოვიდნენ რანს-ერტელთა ფეოდალური სახლის წევრები, რომლებიც XV საუკუნეში საბოლოოდ დამკვიდრდნენ ძაბის ხეობაში და საუფუფუნო უწყვეტად ახალ სათავადოს, საციციანოს სახელწოდება მომდინარეობს. მათ ციციშვილების გვარიდან თავდაპირველ ბიროვს შეადგენდა ორბოძლე-სეული მამული (ხვედურეთი, კეხიჯვარი). შემდგომში მათ მიიღეს უფლისციხე, ქაბურჯი, კარაღეთი. ისინი ხშირად ფლობდნენ მეოთხე სადროშოს სარდლის თანამდებობას, რომელიც მათ გამოიყენეს სამფლობელოს გასაფართოებლად. რეზიდენცია იყო სამწვერისში, მხოვრეთში, ნიჩბისში, ხოლო საგვარეულო საძვალე-სამარხი - ყინწვისში, სამწვერისში, ხვედურეთისა და ნიჩბისში.

ქსნის სამარხისთან იყო ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ქსნის ხეობაში ორი ადმინისტრაციული ერთეული იყო: ქსნისხევი (ცენტრი ყანაეთი-წარქილი) და ცხრაძმისხევი (ცენტრი ლარგვისი). X საუკუნიდან დაიწყო ცხრაძმისხევის აღზეება, რეზიდენცია ლარგვისიდან ქვენიფნეში იქნა გადატანილი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, თამარ მეფის შემდეგ, ქართლი და ქსანი ცალ-ცალკე საერისთავოები იყო. მონღოლთა ბატონობის დროს დასტურდება ცხრაძმისხევის ერისთავი. XIII-XIV საუკუნეებში მათ საგრძნობლად გაიფართოვეს საზღვრები. გაფართოვეს მიწები, აგრეთვე, ქართლის ეკის მიმართულებით. XV საუკუნის დასაწყისიდან ქსნის საერისთავო ფაქტობრივად ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ გადაიქცა. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე ერისთავებმა რეზიდენცია ახალგორში გადაიტანეს, ხოლო საგვარეულო სამარხი ლარგვისიდან იკორთაში, ამავე პერიოდში ხეობის ძველობელთა გვარი - ქვენიფნეელი ქსნის ერისთავად შეიკვალა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქსნის საერისთავოს ურცელი ტერიტორია ეჭირა. მასში შედიოდა ქსნის, ალგვის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარსოხის, ფაშურის, ქალით-ქეიტკარის, ისროლის, მეჯუდის, პატარა ლიახვის ხეობები, მდრან-დეაღეთი და გვრდისბორი. ქსნის ერისთავები ხშირად ოსოზიციაში ედგნენ სამეფო ხელისუფლებას. 1744-47 წლებში ქსნის საერისთავოს განაგებდა სამეფო კარი. 1747 წელს შანშეი კვლავ დაიბრუნა ქსნის ერისთავობა. XVIII საუკუნის II ნახევარში, ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანებისთან დაკავშირებით, ცენტრალური ხელისუფლება გაძლიერდა. ურცელე II-მ ისარგებლა ვიორგი ერისთავის განდევნით და, 1774

წელს სათავადო გააუქმა. ქსნის ერისთავებს დაუტოვა მხოლოდ ქსნისა, ტყვიანი, მარანა, კარაღეთი, რეზა, მუჯურისხევი, სათუხო და ხაჩოსა და ცხინვალში ერისთავთა ქონება. საერისთავოს დანარჩენი ნაწილი მუყემ სახსოდ გამოაცხადა და უფლისწულებს ვიორგის და იულონის გადასცა (პირველს ქსნის ზეობა, მეორეს პატარა ლიანხეი). შემდგომი ერისთავებმა ჩამორიბიული მამულების დიდი ნაწილი დაიბრუნეს, მაგრამ სათავადო ვეღარ აღდგა.

არაბმის სამარინთავი ფეოდალურ საქართველოში სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელსაც მართავდა მეფის მიერ დანიშნული მოხელე ერისთავი. იგი მდებარეობდა არაგვის ზეობასა და თერგის სათავეებში. თემები – ხევი, თრუსო, ხადა, გარეშემო, მრველი, ცხავატი, გუდამაყარი, ხანდო, ქართაღეთი და ე.წ. არაგვის ბარის ზოლი სოფელ მისაქციელიდან ანანურამდე. წყაროებით, პირველი ერისთავები არიან შაბურძნეები, რომლებიც შემკვიდრებით ფლობდნენ მას დაახლოებით XV საუკუნის შუა ხანებიდან არაგვის საერისთავო ფაქტობრივად ერისთავების მამულად ანუ სათავადოდ იქცა. XVI საუკუნეში ვანათელმა აზნაურმა ქსნის ერისთავთა დახმარებით ამოწვეი-ტა არაგვის ერისთავები და თვითონ დაეპატრონა საერისთავოს. ამერი-დან არაგვის საერისთავოს ერისთავად მისი შემკვიდრეები ინიშნე-ბოდნენ. ერისთავთა რეზიდენცია იყო დუშეთი და სიონი. მთავარი ციხე ანანური, საძვალე და საგვარეულო მონასტერი – ბოდორნა. 1743 წელს აჯანყებულმა არაგველებმა მოკლეს ბეგან არაგვის ერისთავი და არაგვის საერისთავო კახეთის მეფეს თეიმურაზ II-ს გადასცეს. მან არაგვის საერისთავო ხაშუვი მამულად გამოაცხადა და ერეკლე II-ს ვაჟს, ვახტანგ ბატონიშვილს, საუფლისწულოდ მისცა.

XVI საუკუნეში შიდა ქართლის ტერიტორიაზე 3 სადროშო ანუ სასარდლო იყო: ქსნის დასავლეთით ზეფიხის ხევიამდე ერეკლედუბოდა ერთი სადროშო, მეორე მოიცავდა ქსნისა და არაგვის ზეობებსა და სამუხრანბატონოს, ხოლო მესამე სადროშო გაღმამხარი ანუ მტკვრის მარჯვენა მხარე თრიალეთის ქედის თხემამდე იყო.

ქსნის მართლი

ქვემო ქართლი საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, რომე-ლიც ისტორიულად და ბუნებრივად მოიცავდა აღგეთისა და ქვა-მამაგვრა-ბერდუჯის აუზებს და მტკვრის ზეობას თბილისიდან გატეხილ



ხილამდე, ხოლო შემდეგ მტკვრის მარცხენა მხარეზე ვრცელდება მწარეწყლამდე.

ქვემო ქართლის დასავლეთი საზღვარი თრიალეთის ქედის ბაგრატიონის მონაკვეთიდან სამხრეთით დაუგეგბოდა, მასში ტაბისტურის უბნები შედიოდა, შემდეგ ფარაგინის ტბას შუაზე ჭრიდა და ტაბისტურისკენ გაუგეგბოდა. სამხრის ქედს საზღვარი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კვეთდა, ხოლო ვაკეხეობის ქედს მერიდიანულად მიუგეგბოდა. შემდეგ საზღვარი ნიალისყურის მთის ნაწილს და ბაბას მთას გახდევდა.

ჩრდილოეთი საზღვარი მოღლიანად თრიალეთის ქედს გაუგეგბოდა, თხემური მონაკვეთით და ჩრდილო ტოტით ვერეს ხეობას მოიქცევდა დიდუბემდე. აქედან საზღვარი მტკვარს ხეცმარამდე აუგეგბოდა. ხეცმარით საზღვარი მთავორებს მაადგებოდა და სამხრეთისაკენ დაუხვედა სწორედ აქედან იწყება აღმოსავლეთი საზღვარი, გადაჭრიდა ლოჭინის ხეცს, სამგორის მთავრეხილებით მრავალწყაროს მაადგებოდა, აქედან დაფოთგარეჯის მთავრეხილებით მწარეწყლამდე, მწარეწყლით მდ. მტკვრამდე, სამხრეთის საზღვარი ბურდუჯისა და ერეცნის მთავრეხილების შესაყრიდან მიემართებოდა, ამოცის მთავრეხილამდე. ქვემო ქართლის სამხრეთი საზღვარი ამავე დროს ქართველთა და სომეხთა სამეფოებელთს გამოყოფიდა იყო უძველესი პერიოდიდან. ქვემო ქართლის დანარჩენი საზღვარი საქართველოს პროვინციებს გამოჰყოფდა სამხრეთ აღმოსავლეთით ნაწილობრივ ესაზღვრებოდა ძველი აღბანეთი, შემდეგობი აზერბაიჯანი. ეს მოგვიანო პერიოდზე ითქმის, როცა რუსთავი და მისი მიმდებარე ტერიტორიები ქვემო ქართლის შემადგენლობაში შევიდა. ადრეულ პერიოდში კი იგი კახეთის შემადგენლობაშიც შედიოდა (VIII-X სს.). ამჟამად სამხრეთის საზღვარი საქმოდ გამოიწველია ჩრდილოეთით. ბურდუჯ-ბამბაკისა და ყაიყულის უბნტესი მონაკვეთები სომხეთის შემადგენლობაშია, ხოლო მცირე ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, დანეგებული უძველესი პერიოდიდან, სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იყო. ამ ადმინისტრაციული ერთეულებს არსებობა, მათი განვითარება და გარდაქმნა მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული. პირველ რიგში ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა ძველი პერიოდიდანვე აქ ადამიანის მოზიდვას დასახლებლად. ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო დიდად დაწინაურებული იყო სოფლის მეურნეობა, სადაც მოჰყავდათ მრავალი კულტურა. არც მრეწველობის – სამთამადნო დარგები ყო-

ფილა ნაძორჩენილი. ბევრ ადგილას ნაძოვნა ძველი სადნობი ქვები, სადაც ამუშავებდნენ სპილენძისა და რკინის მადნებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალგვარი და უხვი საშენი მასალა, რომლითაც აგებულია ქვემო ქართლის არაერთი ეკლესია-მონასტერი და ცოცხე ქვემო ქართლში მოიპოვებდნენ აგრეთვე ოქროს, ვერცხლს, აქვდნენ მსხვერპლს ფულსაც. შემოღნიშნული მადნების მოპოვებასა და დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკისათვის, რასაც ვახტანგ მეექვსე და ერეკლე მეორე XVIII საუკუნეში აძლიერებდნენ. XVIII საუკუნეში მადნის ძალაროების წიხნდა შქოსსავალი სახელმწიფოს ყოველწლიური შქოსსავლის ერთ მეოთხედს შეადგენდა.

ქვემო ქართლის განვითარებაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კეთილმოწყობილი ვზები. შემორჩენილია ძველი ვზების ნაშთები, რომლებიც ამ მხარის ინტენსიურ ათვისებაზე მიგვიბრუნებენ. ვერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის ხის ეტლი იქნა ნაძოვნი ბედენის ყორღანში. ბევრი ძველი ვზა თანამედროვე ვზებმა დაფარა. სწორედ ამ ვზების გასწვრივ შენდებოდა მსხვილი დასახლებული პუნქტები – სამშვილდე, ბოლნისი, დმანისი და სხვ. ქვემო ქართლი დაკავშირებული იყო საქართველოს სხვა მხარეებთან – შიდა ქართლი, კახეთი, ფაეახეთი, ასევე ვარე ქვეყნებთან – სამხეთთან, ბიზანტიასთან და სხვ. ამ ვზების მნიშვნელობაზე მოუთითებს ის მრავალრიცხოვანი ხიდებისა და ქარვასლების ნაშთები, რომლებიც ფართოდ გვხვდება ამ მხარეში.

ქვემო ქართლი ყოველმხრივ განვითარებული მხარე იყო. იგი მუწინავე სადროშიღ ითვლებოდა, მაგრამ დროდადრო სწორედ ეს მხარე დებულობდა პირველ დარტყმებს. მოელი ისტორიის მანძილზე ქვემო ქართლმა არაერთი ბრძოლა გადაიხადა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: მარაბდის ბრძოლა, დიდგორის ბრძოლა, ვარისის ბრძოლა და სხვ. ყოველივე ამის გამო ბევრჯერ დადგა ქვემო ქართლი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე. ერთ-ერთი კრიტიკული მომენტი XVIII საუკუნეში დადგა (II ნახევარი), როცა აქ მხოლოდ 40 ათასი კაციღა შემორჩა.

ლუიზტი მროველის შრომაში მოცემული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, IV-III საუკუნეთა მიჯნაზე, ფარნავაზის დროს, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე იყო სამშვილდისა და ვარდაბნის საერისთავოები. სამშვილდის საერისთავოს საზღვრები მდ. ვერედან შორის სამხრეთით ვრცელდებოდა. ცენტრი იყო სამშვილდე. ვარდაბნის საერისთავო მოიცავდა ახლანდელ აზერბაიჯანის სამხრეთ-დასავლეთ

მხარეს — მღ. ძეგაშაის, თოუზაის, აღსოაქაის აუზებს და მთიანეთის ქუთის და ალგეთის ქუეზო წელის ველს. ცენტრი იყო ბუნანი.

ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ქუეზო ქართლი ერეკლეს ირანის კულტურულ-პოლიტიკურ ვაჟუნაში მოექცა. ვახტანგ გორგასალის დროს, საკლესიო ესარქებად დაყოფის შედეგად, იქმნება საეპისკოპოსოები. ეხება რა შემატანე ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობას, მოვეითხრობს: „და დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიას ახონისა; ერთი არტაანს ერუშეთს; ერთი ჯავახეთს, შუგლას; ერთი მანგლისს; ერთი ბრწყინს; ერთი რუსთაშს... ერთი ამარაას, რომელ არს ბუნანს გამართებით“ (ქართლის ცხოვრება I, 1955). როგორც ჩანს, ქუეზო ქართლში 4 საეპისკოპოსო ფიქვლა, მაგრამ აქ მოხსენიებული არ არის ქუეზის, შემდეგში დმანისის საეპისკოპოსო. ქუეზო ქართლის უძველეს მმართველთა შორის ჩანან ქართლის პიტაბნები. ეს ძლიერი საგვარეულო საუკუნეთა განმავლობაში განაგებდა სხვადასხვა ხეცებს.

VI საუკუნის I მუთხეღში ქართლში მეფობა დროებით გაუქმდა. ქართლის სათავეში სპარსელებს თავიანთი მოხელე ეყენათ, მაგრამ VI საუკუნის დასასრულს ქართლი თბილისამდე რომაელებს (ბიზანტია) დარბა. ქართლში ამ დროს ერისმთავარი იყდა. VII საუკუნის შუა წლებიდან ქართლში არაბები გამოჩნდნენ. უმთავრესად კი VIII საუკუნის დასაწყისიდან იწყება არაბთა მთერ მისი პერიოდულად დალაშქერა და აოხრება. ქვეყნის სათავეში არაბებს თავიანთი მოხელე ეყენათ.

ქუეზო ქართლის მნიშვნელოვანი ზარალი მთაყვება შურვან ერუს ლაშქრობამ (736-738). ამის შემდეგ ქუეზო ქართლის დიდი ნაწილი თბილისის საამიროს შემადგენლობაში მოექცა; შემდეგში იზღუდება რა საამიროს საზღვრები, IX საუკუნის დაშლვიდან თბილისის ამიროს მხოლოდ ქუეზო ქართლი შემორჩა. მალე მნიშვნელოვანი ნაწილი კიდევ დაკარგეს და მხოლოდ მანგლისის ხევი, სამშვილდის ქვეყანა და თბილისის გარშემო მღებარე ტერიტორია ემორჩილებოდა. VII-XI სს-ში ქუეზო ქართლის ტერიტორიაზე იყო აგრეთვე კლდეკარის სერისთავო.

XI საუკუნიდან საქართველოს მფლობარეობა მკვეთრად შეიცვალა; შუა ახიდან თურქული ტომები მოემბლაერა. თურქულნიკების შემოსევაშ და მათთან დავით აღმაშენებლის ძლევაშოხილმა ომებმა სწორედ ქუეზო ქართლის ტერიტორიაზე დაამქარა დანაყოფების ხელახალი განაწილება. ქუეზო ქართლის გარდაბნის და სამშვილდის სერისთავოები, საქართველოს გამაერთიანებელ მეფეთა ხელში იშლება შედარებით მრავალრიცხოვან, მაგრამ მთერ სერისთავო ქვეყნებად. ქუეზო ქართლი

შუა ფეოდალურ ხანაში წარმოადგენდა ცალკეული ციხეებისათვის დაქვემდებარებულ ტერიტორიათა კრებულს. ამასთან, ადრე ფეოდალური ხანის ხევი მომღვიწიო ხანებშიც რჩებოდა ქვეყნის ადმინისტრულ ერთეულად. პუნქტების, ცენტრების სახელები ახლა ძველ ხეეს, ქვეყნის ქვეყნის სახელებს.

XI საუკუნის მერვე სახევირიდან ქვემო ქართლში სომეხ-საქართველომ ბატონობას ბოლო მოუღო. ცნობილია, რომ ქვემო ქართლის გარკვეული ნაწილი დროებით სომეხებს მიითვისეს; ამ დროისათვის ლორე-ტაშიის მუყევა (სომეხთა) საჯდომი ციხესიმაგრე სამშვილდე იყო. სწორედ ამ დროს გაჩნდა ქვემო ქართლის ნაწილისათვის სახელწოდება სომხითი, რაც შემდგომისათვის დამკვიდრდა და იწოდებოდა სომხით-საპარათიანოდ. თვით სომხითის სახელები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მაგალითად, XVIII საუკუნეში სომხითი ერქვა – შულავრის ხეობას და დღევანდელი სომხეთის ტერიტორიის ჩრდილო ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სომხითი“ ერქვა ქვემო ქართლის გარკვეულ ნაწილს, რომელიც შემდეგ გავრცელდა მხოლოდ არმენიელებზე. ზოგის აზრით, ამ ტერიტორიას „სომხითი“ ეწოდა სომეხთა აქ ბატონობის გამო (IX-X სს.), რის შედეგად გავრცელდა ეს სახელწოდება. ივანე ჯავახიშვილის მიხედვითაც, ადრე ეს სახელწოდება უცნობი იყო და მხოლოდ X საუკუნიდან გვხვდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან იგი ქართული პროვინციის სახელადაა აღნიშნული. განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოში „სომხითი“ ზოგადად ერქვა თბილისის სამხრეთით მდებარე ქართლს, თრიალეთის გამოკლებით. მოუხედავად ამისა, გარკვეულ შემთხვევაში ეს პროვინცია ნაწილდებოდა და თავს იჩენდა ამ ნაწილების სახელებიც: ლორე, სამშვილდე, დმანისი, ბოლნისის ხევი, ქვემის ხევი და მრავალი სხვ. გვიანფეოდალურ ხანაში სომხითში გამოიყო ლორე-ტაშიისი (ლორე-ფაშაკი). მოგვიანებით კი საპარათიანო. თვით შუა ფეოდალურ ხანაში სომხითი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული არ არის. ყოველ შემთხვევაში ეს სახელწოდება ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. სომხეთის, სომეხი ხალხით დასახლებულია აღსანიშნავად და 2. ქვემო ქართლის სამხრეთულ, სომხეთთან მოსაზღვრე ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც მოიცავდა მდ. მამაკერის აუზის ქვემო სახევიარსა და მდ. ბერდუჯის (დებედა) ხეობის ქვემო ნაწილს ახპატს ქვემოთ (ბოლნისის და მარნეულის რაიონების თანამედროვე ტერიტორია და სომხეთის ჩრდილო ნაწილი). აღსანიშნავია, რომ სომხითის ქართულ ისტორიკოსთა

გარდა არაერთი აღნიშნავდა. ეს ტერმინი ქართულ საისტორიო მწერლობაში იხმარებოდა, ხოლო სომხური წყაროები სომხეთის „ქართველთა კელს“ უწოდებდა.

დავით აღმაშენებლის პერიოდიდან მოყოლებული ქვემო საქართველოს სამხრეთი ნაწილი კვლავ საქართველოს განუყოფელი ნაწილია. XI საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლი საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას განიცდის. არნახულად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა; წარმოებდა სამთამადრო მოპოვება და მისი დამუშავება; შეიქმნა ხელოსნობის ახალი დარგები; გაცხოველდა სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა როგორც მეზობელ, ისე სხვა მხარეებთან და ქვეყნებთან. გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცუანა; ამუნდა მთელი რიგი სამომოსვლო გზები; ხელოვნების შესანიშნავი ნაგებობები – ეკლესიამონასტრები.

XIII საუკუნიდან საქართველო კვლავ განიცდის გარეშე მტრების შემოსევას; ამჯერად მონღოლების და სხვა მომთაბარე ტომების თავდასხმა ხდება. როგორც სამხრეთი განაპირა მხარე, ქვემო ქართლი ლეზულობდა მტრისაგან პირველ დარტყმებს. გზისპირა მოსახლეობა ჩანადგებოდა, მეურნეობა იშლებოდა, კულტურის ძეგლები ნადგურდებოდა. 1240 წელს მონღოლებმა მთელი აღმოსავლეთი საქართველოს დიდი ნაწილი ხელი იფარეს. ქვეყანა დაანაწილეს ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად – დუმებად (ათაბაიხეულად). ქვემო ქართლი მეორე დუმის შეადგენდა.

XIV საუკუნეში მონღოლები დასუსტდნენ და საქართველომ მონღოლთა ბატონობის უღელიც მოიცილა. ამის შემდეგ ქართული ფეოდალური სახელმწიფო მტკიცედ დაადგა პოლიტიკური რესტავრაციის გზას. დიდი შრომა იყო გასაწევი ქვეყნის გაერთიანებისა და მოშლილი ეკონომიკის აღსადგენად. დროებითმა მშვიდობიანმა პერიოდმა და წესრიგის დამკარგებამ ნაყოფი გამოიღო. XIV საუკუნის 80-იან წლებამდე საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა უმჯობესდება. შექმნილმა ხელსაყრელმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ ხელი შეუწყო საქართველოს სამეფოს მიწა-წყლის ისევ თავმოყრას.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში კი საქართველოს ახალი მტრები გამოუჩნდა; ეს იყო თათარ-თურქმანთა ახალი ურდოები. ისინი რვაჯერ შემოესივნ საქართველოს, ააოხრეს ქართლი. ამ დამპყრობელთა მიერ მიჯნებული ზარალი საქართველოსათვის აუნახლავრებელი იყო. გარეშე

მტერთა მიერ საქართველოს ხმარის დაღამქერამ დაახუსტა ქვეყანა, დანგრეული მეურნეობის აღსადგენად დიდი შრომა იყო საჭირო. განსაკუთრებით სახელწოდებები - ნაფუძარი, ნასახლარი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახტი (გავერანებული მამული) და სხვ.

ერ. 1365 წელი

სწორედ ამ პერიოდში ქართული ფეოდალური საზოგადოებრივი წესრიგის და, წარმოიშვა სათავადოები, რომლებმაც ერთიანი ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად დაშალეს. თავდაპირველად ქვემო ქართლში სათავადო საბარათიანო (საბარათაშვილო) ჩამოყალიბდა, რომელიც XVI-XVII საუკუნეების მანძილზე რამდენიმე სათავადოდ დაიშალა და XVIII საუკუნეში ათეულამდე გაიზარდა. XVI საუკუნის დამდეგს საბარათიანო მამყარის, ქციას და ალგეთის აუზებს მოიცავდა. მის რეზიდენციას სამშვილდე წარმოადგენდა, სადაც სათავადოს უფროსი იყდა, ხოლო მათი შემკვიდრეები საბარათიანოს სხვადასხვა კუთხეში იყდნენ და თავიანთი საუფლისწულოები ჰქონდათ. შემდეგში საბარათიანო თანდათან დაკნინდა და XVIII საუკუნეში მთლიანად მოიშალა.

XVI საუკუნეში ბარათაშვილების ფეოდალურ საგვარეულოს გამოეყოთ ორბელიშვილების შტო, დამკვიდრდნენ მამყარის ხეობაში და შექმნეს საორბელი (საორბელიანო). ისინი იყვნენ ქაჩმაძე-ბარათაშვილების ერთ-ერთი შტო. გვარის ფუძემდებელი იყო მარკო ბარათაშვილი, რომელიც 1536 წელს გაეყარა თავის სახლიკაცს იოსია ბარათაშვილს. ორბელს ერგო 59 სოფელი, 617 კომლითურთ, ღოჭის მთის ნახევარი, ფიტარეთისა და დმანისის ეკლესიების ნახევარი (შემდეგში ეს ეკლესიები ორბელიშვილების საკუთრება გახდა). XVII საუკუნის 10-იან წლებში ორბელიანების შთამომავლებს შორის ამტკვარი სადგვილმაძელი შუღლის საფუძველზე ბარათა ორბელიანისა გაწყვიტა თავისი სახლიკაცები და მათ მამულებს დაესატრონა. გადარჩა ყოფიანი ორბელიანი, რომელმაც ირანს შეაფარა თავი. 1625 წელს ყოფიანი ირანის მხარეზე იბრძოდა. ამ ბრძოლაში დაიღუპა ბარათა ორბელიანი და მის მამულებს ყოფიანი დაესატრონა. ყოფიანმა ააშენა რიგი ციხეები, ეკლესიები და შთამომავლებს 80 სოფელი დაუტოვა. ამიტომაც საორბელის საყოფლანიშვილოც ეწოდებოდა და გაჩნდა გვარი ყოფლანიშვილები. XVIII საუკუნეში ეს სათავადო მოიცავდა ქციისა და დმანისის ხეობის დიდ ნაწილს, აგრეთვე ტაშირს, სასახლეებს და კარის ეკლესიას. ჰქონდათ ტანძარი, ციხე-კოშკები დმანისში, ქვეშა და ხელუტში, მონასტრები ფიტარეთისა და დმანისში. XVIII საუკუნის ბოლოს ორბელიშვილები თბილისში გადასახლდნენ.

XVIII საუკუნის I მუთხედში ქვემო ქართლი ირანის ძალობის ქვეშაა. 1721-1735 წლებში ოსმალეთის უღელქვეშ იმყოფებოდა ასეთ გამანადგურებელ შემოტევებს ლეკთა განუწყვეტელი თარეში მოსვლა, რამაც კიდევ უფრო დაასუსტა და ააოხრა ქართლ-კახეთის ერთობა. უბძობესი 1723-1747 წლები იყო. იმ დროს ქართლ-კახეთში მძიმე სიტუაცია იყო. იმ დროს ქართლ-კახეთში არ იყო არც ერთი სოფელი, არც ერთი კლდე, რომ ლეკებს არ აეოხრებინათ, არ გაეძარცვათ. მაგრამ ყველაზე მეტად მანც ქვემო ქართლი დაზარალდა. ამ ხნის მანძილზე იგი იმდენად აოხრდა და ვაკუცირებულა, რომ მოსახლეობის 1-2%-ია შემორჩა. ქვემო ქართლში ქართველი აბორიგენი მოსახლეობის შემცირებამ გამოიწვია ის, რომ ჯერ ერეკლე II-მ დაიწყო სხვა ეროვნებათა ჩამოსახლება, რამაც XIX საუკუნეში მასიური ხასიათი მიიღო. აღწერის მასალებიდან იმხაც ვგებულობთ, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ქვემო ქართლში სულ 40 ათასი კაცი ცხოვრობდა.

1801 წელს, გაუქმდა რა, ქართლ-კახეთის სამეფო და მუფის რუსეთმა შეიერთა, საქართველოს მმართველობაც ძირითადად რუსეთის შიდა ვუბერნიების წესისამებრ მოეწყო. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ლორეს მაზრა, რომელიც 1804 წელს თბილისის მაზრად გადაკეთდა. მოგვიანებით თბილისის მაზრიდან ცალკე გამოიყო წალკა (თრიალეთი). 1870 წელს თბილისის მაზრაში შევიდა თრიალეთისა და ლორეს საბოქაულოები. 1880 წელს კ, თბილისის მაზრის სამხრეთი ნაწილი და თრიალეთისა და ლორეს საბოქაულოები თბილისის ვუბერნიაში შემავალი ბორჩალოს მაზრად გადაკეთდა. XX საუკუნეში ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ერთეულები რამდენჯერმე შეიცვალა; სხვადასხვა წლებში გადაკეთდა როგორც საზღვრები, ისე ადმინისტრაციული რაიონების შემადგენლობა და რაიონული ცენტრების სახელწოდებები. ყველა ეს ცვლილება ასახულია როგორც წერილობით, ისე კარტოგრაფიულ მასალებში.

განუწყვეტელი და მძიმე ბრძოლების შედეგად, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ნადგურდებოდა არა მარტო მოსახლეობა და მეურნეობა, არამედ გეოგრაფიული სახელწოდებებიც. ბევრი ნაოხარ-ნასოფლარის სახელწოდება მიეიწყებას მიეცა, ნაწილი მხოლოდ წერილობით წყაროებს შემორჩა. ბევრი სახელწოდება უცხო სახელით შეიცვალა. XVIII საუკუნის ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილის განადგურება-გადასახლებათა ერთად, გეოგრაფიული სახელწოდებებიც განადგურდა. მოგვიანებით, ამ მხარეში გადმოსახლდნენ ან დაბრუნდნენ

ქართველები, ასევე სომხები, ხოლო XIX საუკუნის მანძილზე ეს მხარე უცხოელებით (ბერძნები, სომხები, გერმანელები და სხვ.) მოვისრ. ყოველივე ამის გამო, ქართული გეოგრაფიული სახელწოდებების ნაცვლად გაჩნდა თურქული, გერმანული, სომხური, რუსული და სხვა უცხო სახელები. მართალია, დღესდღეობით ბევრი ძველი სახელი კვლავ აღდგენილია, მაგრამ საქაოდ არის უცხო სახელებიც. ვარდა ამისა, ზოგი ქართული გეოგრაფიული სახელწოდება უმართებულოდ მიეკუთვნა სხვა პუნქტს, ზოგიც დამახინჯდა.

ზემო ქართლი

ზემო ქართლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოდებაა, რომელიც პოლიტიკურ-გეოგრაფიული ცნება იყო. ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, რომელიც ლეონტი მროველის სქემას ეყარება, ქართველთა მამამთავრის — ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა უფროსმა შვილმა — მცხეთოსმა „ტამისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღვამდე უწოდა ზემო ქართლი“. მანვე ეს ზემო ქართლი ასე გაუყო თავის შვილებს: „ოდნახოს მისცა ტამისკარს ზეთით და მტკერის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე... ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკერის აღმოსავლეთი, ვიდრე თავამდე მტკერისა, მისცა მცხეთოს ძეს თესსა ჯავახოს, და ამის მიერ უწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამით ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკერის აღმოსავლეთი“.

თავიდან ასე ფართოდ მოხაზულ ზემო ქართლს ვახუშტი მუორგვან მხოლოდ მტკერის ზემო წელით განსაზღვრავს.

ლეონტი მროველი და გუანშური ზემო ქართლს არ აღნიშნავს. ლეონტი მროველის თხზულებაში გვიან მიწერილია არშიაზე — „ზემო ქართლი არს ტასისკარს ზემო, სამცხე და კლარჯეთი“. გუანშური კი აღნიშნავს „დასავლეთი ქართლისა“. „მატიანე ქართლისა“ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უწოდებს „ზემო ქვეყანას“.

პირველი შემატანე, რომელიც „ზემო ქართლს“ ხმარობს, ესაა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედიანის“ ავტორი. ტერმინი „ზემო ქართლი“ ნახშირია მისი თანადროული (XII-XIII სს.) კითარების აღწერისას. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის სხვა ისტორიკოსებთან ზემო ქართლის ხსენებას ვეღარ ეხედებით. გვიან შუა საუკუნეების საბუთებში, XVI საუკუნიდან, ზემო ქართლი სამხრეთ-დასავლეთ საქარ-

თველოს აღსანიშნავად კი არ იხმარება, არამედ შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილის — ამილახვართა სასარდლოს აღსანიშნავად.

როგორც ჩანს, ძველი „ზემო ქართლის“ ადგილი შემდგომში დაიკავა „საათაბაგომ“, „სამცხე-საათაბაგომ“. პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ტერმინთა ეს შენაცვლება თუ ადგილმონაცვლეობა პირდაპირი შედეგია იყო იმ საბედისწერო ვარდატეხისა, რომელიც XIII საუკუნიდან დაიწყო ამ მხარეში. მონღოლთა მიერ ორ სამეფოდ გაყოფილ საქართველოში, 1266 წელს სამცხე დამოკიდებულ სამთავროებად ჩამოყალიბდა. მონღოლთა მხარდაჭერით მისმა მოავარმა ძიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაიმორჩილა. XIV საუკუნიდან ათაბაგობა თანდათან სამცხის მოავართა — გაყვლთა სავგარეულო პატივი ვახდა. სწორედ ამ დროიდან უნდა დაწვებულიყო „ზემო ქართლის“ შეცვლა „სამცხე-საათაბაგოთი“; ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, ვიორგი ბრწყინვალის დროიდან.

ყამთააღმწერელი არ ხმარობს არც ერთ ამ ტერმინს. ეს სახელები არ ჩანს არც „ხელმწიფის კარის ვაროებამო“ (XIV ს.). გამოდის, რომ ტერმინი „სამცხე-საათაბაგო“ საბოლოოდ უნდა დამკვიდრებულიყო XV საუკუნეში, ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის აღიარებით. ამავე დროს, უნდა მომხდარიყო შიდა ქართლის ნაწილი-სათვის „ზემო ქართლის“ შერქმევა. „ქესხური მატეანის“ ცნობით, 1578 წელს ლალაფაშას მანუშარ ათაბაგისათვის დაუვალებია ქართლის დარბევა, რისთვისაც „სანჯახები გამოეცხაფა; შეიყარა პატრონი მანუშარ, ჩუხდა და ზემო ქართლი დავრბა“.

XVIII საუკუნის ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი, XVI საუკუნის ამბების გადმოცემისას, ზემო ქართლს უწოდებს ხან შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილს, ხან კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ვეიან პერიოდში, შიდა ქართლის ნაწილს ზემო ქართლი უწოდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ოსმალებმა სამხრეთ საქართველოს ძირითადი ნაწილი მიითვისა.

ამდენად, ზემო ქართლი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მხარეს მოიცავდა. ქართლის საზღვრად პარზაღის მთები და ბასიანი იყო გამოყოფი, ხოლო ქართლის გზა, ანუ საქართველოს ყველი ტაოხ-კარიდან იწყებოდა. ზემო ქართლის ტერიტორიული მოცულობა და საზღვრები პერიოდების მიხედვით იცვლებოდა, ამის მიხედვითაც ტერმინი ზემო ქართლიც განსხვავებულ მნიშვნელობას იძენდა. VIII-X საუკუნეებში ბაგრატიონთა გვარის ერისთავებმა დაარსეს ტაო-კლარჯეთის

საპარლამენტო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შექმნის ერთ-ერთი ცენტრი ჭოროხის ხეობიდან მტკვრის ხეობაში გადავიდა და ზემო ქართლის საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად სამცხე ხდება, ხოლო ამ მხარეს სამცხე-ჯავახეთი ეწოდა. ზემო ქართლში შედიოდა ბაგრატიონთა-კლარჯეთი, თუმცა ეს პროვინცია ჭოროხის ხეობაში შექმნილია და გეოგრაფიულად მტკვრის აუზში არ შედიოდა. მტკვრის აუზში მდებარეობდა: ერუშეთი, არტანი, კოლა ე.ი. ზემო ქართლში შედიოდა რამდენიმე პროვინცია ანუ ქვეყანა. ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ზემო ქართლის ტერიტორია ძალიანად მტკვრის აუზს ეძიხვეოდა.

საპარლამენტო რეფორმის ისტორიულად, ისე გეოგრაფიულად ქართლს ეკუთვნოდა. სამცხე-ჯავახეთის საზღვარი „ფანავრიოვან“ იწვევბოდა, შემდეგ გასდევდა მთა თავკვეთილს, შვენაბადას, კოდიანს, ტბა ტაბისწყურსა და მთა შარვაშეთის ხაზს. ჯავახეთში შედიოდა ფარაენის ტბის სამხრეთით მდებარე დასახლებული პუნქტები: ფოკანი, მახაროვანი, ვანძანი, შაორი, მახარა და სხვ. ფარაენის ტბას საზღვარი შუაზე კვეთდა. რაც შეეხება ტაბისწყურის ტბას, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, საზღვარი ზედ ტბის სამხრეთ კიდესთან არის გატარებული. დასავლეთიდან სამცხეს აჭარა-გურიის მთები საზღვრავდა. ჩრდილოეთით იმერეთის მხარე — ფერსათის მთა ეკვროდა.

სამცხე-ჯავახეთის საზღვრები ფეოდალური ხანის ისტორიის მანძილზე იცვლებოდა და მოიცავდა სხვადასხვა არეალს. თვით ამ ორ მხარეს შორის საზღვარი ცვალებადი იყო და ერთმანეთში იჭრებოდა. ეს გამოწვეული იყო იმიტომ, რომ ზოგჯერ საზღვრის ხაზი ბუნებრივ მიჯნებს სცილდებოდა და ძნელი იყო გარკვევა თუ სად გადიოდა ხაზი. ვახუშტი ბაგრატიონი ზერთვისს, თმოგვს, ვარძიას და სხვ. სამცხეში იხილავს. ასევე დატანილი მისსავე შედგენილ რუკაზე. მასზე საზღვარი ბუნებრივ ხაზზე — ჯავახეთის პლატოს დასავლეთ კიდეზეა გატარებული. ცვალებადი იყო საზღვრები აგრეთვე სხვა მხარეებთანაც. ქართლ-იმერეთის საზღვარი ვითარების შესაბამისად ცვალებადი იყო, განსაკუთრებით ბორჯომის ხეობაში. 1595 წელს ოსმალებმა ბორჯომის ხეობა ცალკე ლივად (პეტრეს ლივა) გამოიყვეს. ჯავახეთის ჩრდილო საზღვარი შარვაშეთის მთაზე გადიოდა. ეს არის თრიალეთის ქედის უმაღლესი ნაწილი, რომელზეც აღმართულია საყველოს, შავიკლდის, ცხრაწყაროს, სახისლოს და სხვა მწვერვალები. ახლა ამ ნაწილს ციხისხეურის ანუ ბაკურიანის მთები ქვია.

სამცხე ფართო ვადებით შესხვითა. ზოგჯერ ეს ტერმინი ჯაგაფოსაც გულისხმობდა. ეს რეგიონი დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ ვადიოდა და მოიცავდა სხვა ქართულ მხარეებსაც. შესხვების ტერიტორიის შესახებ პლინიუსზე ნახევარი საუკუნით უფრო ადრე ვიდრე გადმოგვეცემს, რომ მოსხვების ქვეყანაში არის ტამარიო. შესხვების შემადგენლობაში სხვადასხვა პერიოდში შედიოდა ბორჯომის ხეობა და ზოგჯერ აჭარა და ჯავახეთიც.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე მოსახლეობა უძველესი პერიოდის სანდობდა, რასაც მოწმობს ის არქეოლოგიური მასალები, რომლებიც აღმოჩენილია მის ტერიტორიაზე. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ქართლის სამხრეთი ნაწილის თავდაცვის საქმეში. სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მტკვრის ხეობის ზემო ნაწილს დარავებდა. ეს რეგიონი ხშირად განიცდიდა მტრისაგან აოხრებას. ისტორიული ბედი თუ უბედობა სამცხისა და ჯავახეთის საზიარო იყო. ამ ხეობის ზემო ნაწილის დაცვა იმ მხრივაც იყო აუცილებელი, რომ აქედან საფრთხე ეზუქრებოდა შიდა ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებს, რომლებიც წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრებს. ისიც ნიშანდობლივია, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსაზღვრე მხარეების ყველა ვზა მის ტერიტორიაზე ვადიოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ყოფილა ორი მუდმივმოქმედი ვზა არტანისა და ბორჯომის ხეობისა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო შიდა გზებიც, რადგან ისინი დაკავშირებულია ძირითად სატრანსპორტო გზებთან.

სამცხე-ჯავახეთის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ძველ იბერიასთან. ანტიკურ პერიოდში იბერიის ამ რეგიონსაც ბრძოლა უხდებოდა ირან-ბიზანტიასთან. I-V საუკუნეებში ეს ქვეყნები ცდილობდნენ იბერიის დაპყრობას. VI საუკუნის პირველ ნახევარში მაინც შეძლო ირანმა იბერიის დამორჩილება, რის შემდეგაც ქართლში მეფობა გაუქმდა. ბიზანტია არ შეურიგდა ირანის მიერ იბერიის დაპყრობას, რადგან მას თავისი ვეფხები ამოძრავებდა, განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთის მიმართ; ბიზანტიამ ირანთან ბრძოლაში გაიმარჯვა და აღმოსავლეთ საქართველოდან ირანელები განდევნეს. მოუხედავად ამისა, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელებულა და VII საუკუნის პირველ ნახევარში არაბთა შემოსევამ ბოლო მოუღო აღმოსავლეთ საქართველოში ირანისა და ბიზანტიის დავას.

737 წელს სამცხეზე მურვან ერემ გაილაშქრა. არაბებმა ოძრხესთან დაამარცხეს იბერიელები და ხელში ჩაიგდეს სამცხეც. ამჟამად საუკუნის მიწურულს, არაბებისაგან შევიწროვებისა და დევნის გამო, ქართლის ერისთავი ამოტ კურაპალატი ქოროზის ხეობაში გაიხიზნე და დაეხმარებოდა სთხოვა ბიზანტიის კეისარს; შემდეგში არტანუჯში დაბრუნდა და სამცხეზე შეიკლარჯეთის ძლიერი საერისთავო შექმნა. საერისთავოს გაძლიერებაში მას მხარში ამოუდგნენ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ საეკლესიო მოძრაობას. ხანძთის მონასტერში შეიქმნა ქრისტიანული სარწმუნოების და ქართული კულტურის ცენტრი, რითაც ტაო-კლარჯეთი თანდათან გადაიქცა ქართლის მოსახლეობის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ და კულტურულ ცენტრად. შემდეგში შავშეთ-კლარჯეთის ერისთავები ცდილობდნენ ქართლის მიწების განთავისუფლებას დამპყრობლებისაგან, რადგანაც ისინი ქართლის საერისთავოს კანონიერ შემკვიდრებლად თვლიდნენ თავს.

ბაგრატ პირველი (ამოტ კურაპალატის შემკვიდრე) და მისი ძმები შეეცადნენ ზემო ქართლის დაბრუნებას. ამ მიზნით ბაგრატ პირველის ძმამ გუარამ მამფალმა არაბების ბატონობის შესუსტებით ისარგებლა და გაათავისუფლა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, ამოცია, არტანი და შექმნა მსხვილი ფეოდალური სამფლობელო – ჯავახეთი. ტაო-კლარჯეთის ერისთავების ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ ზემო ქართლში ჩამოაყალიბეს მსხვილი საერისთავო – სამცხე-ჯავახეთი. ეს საერისთავო კი საკმაოდ ძლიერი იყო და მიზნად ისახავდა ქართლის პოლიტიკურ-ტერიტორიულ გაერთიანებას. საქართველოს გაერთიანების საქმეში დიდი როლი შეასრულა სამცხე-ჯავახეთმა. მიუხედავად ამისა, შემდეგშიც არ დაუკარგავს ამ მხარეს თავისი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა.

VIII-IX საუკუნეებში არაბებისაგან სამცხე-ჯავახეთი თითქმის უკაცრიელი გახდა და ამის შემდეგ აშენდა მრავალი მონასტერი და ეკლესია. პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და ეკონომიკურ აღორძინებას მოჰყვა კულტურული აღმავლობა.

X საუკუნის ბოლოს ბაგრატ III-მ გააერთიანა საქართველო. მიუხედავად ამისა, XI საუკუნის დასაწყისში გიორგი I-ის მეუღლის დროს, ბიზანტიამ ხელში ჩაიგდო სამცხე-ჯავახეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხდაც შეიქმნა იბერიის თემი, რომელშიც შედიოდა კოლა-არტანი და ჯავახეთი. შემდეგში ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო და ბაგრატ IV იძულებული გახდა ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობა აღედგინა და კეისრის პოლიტიკური მფარველობა მიეღო.

მალე თურქების შემოსევა მოხდა, რამაც ბოლო მოუღო ბიზანტია-საქართველოს დაუსრულებელ ბრძოლას სამცხე-ჯავახეთის გაერთიანებული თურქების სახით ორთავეს საერთო მტერია მოეწვინა. 1065 წელს მტკვრის ხეობით თურქები პირველად შემოიჭრნენ ჯავახეთში, შემდეგ ახალქალაქი და დიდი ნადევლით უკან გაბრუნდნენ. 1080 წელს სსსრკ-ს ტყმა მხორედ ვადმოლახეს სამცხე-ჯავახეთის საზღვარი და მოახრეს ეს მხარე, რის გამოც სოფლის მეურნეობა დაეცა და მოსახლეობა შემცირდა. ამის შემდეგ ყოველ გაზაფხულზე თარეშობდნენ თურქული რაზმები სამცხე-ჯავახეთში და აოხრებდნენ იქაურობას. თურქების აქედან იწყეს საქართველოს სხვა მხარეებში შემოსევა, რის გამოც ვიორგი მხორე იძულებული შეიქმნა სულთანისათვის ზავი ეთხოვა და ხარკი ეძლია. საუკუნის მიწურულს (1097), ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, თურქებს პოლიტიკური ძლიერება შეკრუათ და საქართველოს დაღამებრა აღარ შეეძლოთ. ამან სამცხე-ჯავახეთის შესაძლებლობა მისცა თურქების შემოსევებისაგან დროებით განთავისუფლებულიყო. ამით ისარგებლა დავით აღმაშენებელმა და თურქეთის სულთანს ხარკი შეუწყვიტა, 1123 წელს კი ილაშქრა სამცხე-ჯავახეთზე და იქაურობა თურქებისაგან გაწმინდა. შემდეგში, სამხრეთის საზღვრების გამაგრების მიზნით, ვიორგი III შეუდგა ვარძიის სიმაგრის აგებას, რომელიც მტკვრის ხეობის შემოსასვლელ კარებს დარაჯობდა. თამარ მეფის დროს კი სამცხე-ჯავახეთი გადაიქცა სამხედრო მოქმედების მოვარ ასპარეზად, სადაც აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ბრძოლებიც წარმოებდა.

პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობით სამცხე-ჯავახეთი თამარ მეფის ეპოქაში კიდევ უფრო დაწინაურდა. სამცხე-ჯავახეთის აძირ-პასაღარები დიდ როლს ასრულებდნენ სამხრეთი საზღვრის დაცვა-გამაგრების საქმეში, რომლებიც ამ მხარეს განაგებდნენ და მათი ცენტრი ახალციხე იყო. საქუფოს ერთგული სამსახურისათვის მათ ებოძათ ათაბაგობა (მეფის აღმზრდელი და მრჩეველი). სამცხე-ჯავახეთი ამ პერიოდში ეკონომიკურადაც გაძლიერდა, რასაც ხელი შეუწყო მრავალრიცხოვანმა სავაჭრო და სატრანსპორტო ვზებმა. ამდენად, სამცხე-ჯავახეთი საქართველოს ფეოდალური ერთეულების გაერთიანების შემდეგ იქცა ფეოდალური მონარქიის ავანგარდად და მის მოწინავე სადრომოდ.

სამცხე-ჯავახეთის აღმავლობა შეაყვრნა მონღოლების შემოსევებმა. 1238 წელს მონღოლებმა აიღეს თბილისი და დაიპყრეს საქართველოს

საქმის ნაწილი. დაპყრობილი ტერიტორია დაქვევს რამდენიმე სამხა-
როდ. ჯავახეთი თორელ გამრეკელს ჩააბარეს, ხოლო სამცხე-ჯავახეთს
დადიანს, რომელითა უზენაესი ზედამხედველობა უბოძეს საქართველოს
მფლობელს ევარსლანს. იგი მონღოლებს ერთგულ სამსახურს უწევდა.
მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველოს მთავარად მირანდუ
გაძლიერდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ყაენს უშუალოდ ემორჩილებოდა.
გიორგი V-ის (1318-1346 წწ.) დროს საათაბაგოს პოლიტიკური გავლენა
შეირა. მონღოლები მფარველობას უწევდა მას, რომელიც ქართლის
(სამცხითურთ) მეფედ დაამტკიცეს. შემდეგ სამცხის ათაბაგები მონღო-
ლების დახმარებით ცდილობდნენ მეფისაგან დამოუკიდებლობის მოპო-
ვებას, მაგრამ ალექსანდრე პირველმა სამცხე დაიმორჩილა და ათაბაგები
იძულებულნი გახდნენ მეფისათვის შენდობა ეთხოვათ, ერთგული სამსა-
ხური აღეთქვათ.

XV საუკუნიდან აღმოსავლეთში თურქების გაძლიერებას მოჰყვა
მთელი რიგი ქვეყნების დაპყრობა; საერთოზე დაეპოქრა საქართველოს
სამხრეთ საზღვრებს და პირველ რიგში სამცხე-საათაბაგოს. ამასთან,
ამ პერიოდში სამცხე-საათაბაგოდან განდევნეს მეფის მომხრე ერისთავები
და ფეოდალები და სამცხე-საათაბაგო პოლიტიკურად საქართველოს
სამეფოს ჩამოაშორეს. ამის შემდეგ შეეცადნენ ქართლის კათალიკოსისა-
გან ეკლესიების განთავისუფლებას, რასაც მალე მაღაწიეს კიდევ-
სამცხე-საათაბაგოს თურქული ორიენტაციის გამო, იმერეთის მეფე
ბაგრატმა ვურთისა და ოდიშის მთავრების დახმარებით 1535 წელს
გაილაშქრა და სამცხე-საათაბაგო აიღო, რომელიც თითქმის 10 წელი
იმერეთის სამეფოსთან იყო გაერთიანებული, მაგრამ იმერეთს ძალა არ
ყო მის შემოსამტკიცებლად. 1542-43 წლებში ოსმალეთის მმართველმა
სულთან-სულეიმანმა ჯარი გამოგზავნა სამხრეთ საქართველოს დასა-
ყრობად. დიდი ბრძოლების შემდეგ, ბაგრატ მეფემ დაასარცხა ოსმალეთის
ჯარი და უკან დაახვეწია. მიუხედავად ამისა, ოსმალებს ბრძოლაზე
ხელი არ აუღიათ და 1543-44 წლებში გამოგზავნეს ახალი ჯარი,
რომელმაც გაძარცვა ქვეყანა და უკან გაბრუნდა. ვაკელებით მძიმე
ბრძოლები გადახდათ ქართველებს 1545 წელს, როცა ქართველები
დაძარცხდნენ და ოსმალები შესხეთის ციხეებში დაბინავდნენ. ოსმალებმა
თანდთან დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს-სამხრეთი პროვინციები. ამდენად,
1545 წელს სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი საქართველოს მოსწყდა
და თურქების ხელში აღმოჩნდა. კახოსსორო ათაბაგმა პოლიტიკური
ორიენტაცია ახლა ირანისაკენ აიღო. ირანმაც არ დააყოვნა და 1552

წელს შამთაძის თავისი ჯარით სამცხეში შევიდა. ქვეყანა ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. 1553 წელს ირანსა და თურქეთს შორის ბაქო-სამცხელსა დაიდო, რომლის მიხედვით სამცხე-საათაბაგო ირანს მიეკუთვნა. მხოლოდ მისი სამხრეთი ნაწილი — პასიანი, არტანუჯი, ყრტიულ და სხვა დარჩა თურქეთს. 1578 წელს ირანსა და თურქეთს შორის მამუკა გადამწყვეტი ბრძოლა. ოსმალებმა გაიმარჯვეს და მოღიანად აიღეს სამცხე-საათაბაგო. დამარცხებული ირანი იძულებული გახდა ეცნო ოსმალეთის უფლებს ამიერკავკასიაზე, სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს დარჩა.

ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე თურქული მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები შემოიღეს და ქვეყანა წერილ სამხედრო ერთეულებად დაანაწილეს. სამცხე-ჯავახეთი ჩილდირის ეილაეთად გადაკეთდა. მასში შედიოდა სანჯაყები. ამის შემდეგ იყო სამცხე-ჯავახეთის დაბრუნების ცდები, მაგრამ 1639 წლის ზავით ოსმალები მკვიდრად დაეუფლნენ ამ მხარეს. 1626 წლიდან საათაბაგოს ახალციხის საფაშო დაერქვა. ეს იმის შემდეგ მოხდა, რაც ათაბაგი მანუჩარი მოკლა საკუთარმა ბიძამ ბექამ, წაიღო სტამბულს და გამამხადიანდა. სულთანმა მას ფაშობა უბოძა. ამ პერიოდში მოხდა სიმსხვერთი წარმართა გამამხადიანების პროცესი, რაც XIX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა. შემდეგში საათაბაგო ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყვეს და ოსმალური სახელწოდებები შემოიღეს. ახალციხის საფაშო მდ. ჭიროხის მხარესაც მოიცავდა და 24 თემად ანუ სანჯაყად იყო დაყოფილი. ყოველივე ამის შედეგად სამცხე-საათაბაგო, რომელიც ზემო ქართლის საკუთრება იყო, ოსმალებმა თანდათან მოაქციეს თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ქვეშ. ქართულმა მოსახლეობამ აქ დაკარგა ეროვნული თვითშეგნება და თავისივე სამშობლოში გადაგვარდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეფემ მიზნად დაისახა ახალციხის საფაშოს შემოერთება, მაგრამ ეს ვერ შეძლო. თვით 1783 წლის 24 ივლისის ტრაქტატში ერეკლე II სამცხე-საათაბაგოს თავის სამფლობელოში იხსენიებს. მხოლოდ 1828 წლის 15 აგვისტოს, როცა დამარცხდა ოსმალეთის ჯარი, დაიწყო სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის თანდათანობით დაბრუნება. 1829 წლის ადრიანაპოლის ხელშეკრულებით ოსმალეთმა დათმო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. ამ ხელშეკრულებით 24 სანჯაყიდან მხოლოდ 10 იქნა შემოერთებული (ჭობღიანის, ოძრაბეს, ახალციხის, აწყევრის, ასპინძის, ხერთვისის,

ახალქალაქის, ჯარაქის, ფოცხოვის და პალაკაციოსი), რაც უკვე სამცხე-ჯავახეთის, პალაკაციოსა და ერუშეთის უდიდეს ნაწილებს ნაწილი მხოლოდ 1877-78 წლების ომებით და 1879 წლის ბურლინის ხელშეკრულებით შემოუერთდა საქართველოს. კერძოდ კარბოლ, ლეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი, ოლთისი. 1840 წლის 10 აპრილის დებულებით, ახალციხის საფაშოს ნაცვლად შეიქმნა ახალციხის მაზრა, შემდეგ კი ახალქალაქის მაზრაც. 1930 წელს მაზრების დაფოფა რაიონებად შეიცვალა.

კახეთი - კახეთი - კახეთი

უძველესი დროიდანვე კახეთის (ისტორიული კახეთის, კუხეთის და ჰერეთის) ისტორია მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლურ-ქართულ, ქართის (იბერიულ) სახელმწიფოებრიობის განვითარებას. ქართულ საისტორიო წყაროთა ტრადიციული გადმოცემით კახები, კუხები და ჰერები და ამის შესაბამისად კახეთის, კუხეთის და ჰერეთის ქვეყნები, იმთავითვე აღმოსავლურ-ქართულ, ქართის (იბერიულ) ეთნო-სოციალურ ერთობაში შედიოდნენ და თვით იმ ეთნო-სოციალური ერთობის ჩამოყალიბებაში ერთ-ერთ აქტიურ როლს ასრულებდნენ. ეს ერთობა კი დამყარებული იყო საერთო წარმოშობის, თანაცხოვრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-რელიგიური კავშირურობითობათა საფუძველზე.

იხე როგორც საქართველოს სხვა მაზრები, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა. კახეთი, კუხეთი და ჰერეთი, როგორც სამამასხლისო ქვეყნები, კახეთისა და ჰერეთის საერისთავოები, კახეთისა და ჰერეთის ადრეფეოდალური სამთავროები, კახეთ-ჰერეთის - „რანთა და კახთა“ სამეფო, „რანთა და კახთა“ სამეფო „ყოველი საქართველოს“ შემადგენელი ნაწილი, გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფო (1465-1762), ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება (1762), აღმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე (კაკ-ენისელი, ჭარ-ბელაქანი) XVIII საუკუნის პირველ შუაობებში ლეკთა „უბატონო თემების“ ჩამოყალიბება („საინვილოს“ გაჩენა). ასეთია კახეთის ქვეყნის განვითარების ძირითადი ეტაპები წმინდა პოლიტიკური - მამასადაძმე გარეგანი - ისტორიის თვალსაზრისით. მაგრამ ამ პოლიტიკური განვითარების მძლავრ იმპულსს აქვური საზოგადოების შინაგანი განვითარების რთული პროცესი.

ასეთი პოლიტიკური ევოლუციის პარალელურად მიხედობოდა დღევანდელი კახეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური სახის ჩამოყალიბების პროცესს. საუკუნეთა მანძილზე კახეთის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასების მიგრაციებს კონტინენტის ერთობის ფორმირებასა და დამლა-გაქრობას; აწინდელმა ქმნილებებმა თუ მოთანეთში მიმდინარეობდა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის ურთულესი პროცესები. ამ მიმართებით, უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისისათვის კახეთის ტერიტორიაზე არსებობდა მოსახლეობა, რომელსაც ჰქონდა სათლად გამოხატული ეთნოკულტურული სპეციფიკა და რომელიც უკვე ატარებდა ხანგრძლივ მაღალგანვითარებულ კულტურულ ტრადიციებს.

დღევანდელი კახეთი მუდამ ასეთი არ ყოფილა არც ტერიტორიულად და არც მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მხრივ. მისი ისტორიის უძველეს პერიოდს რომ თავი დაეხანებოთ, რომელსაც არქეოლოგია იკვლევს, წერილობითი წყაროების მიხედვით კახეთის დღევანდელ ტერიტორიაზე რამდენიმე ეთნიკურ კოლექტივს, რამდენიმე „ქვეყანას“ უხვდავთ, რომლებიც დასახლებულია ეთნიკურად მონათესავე ტომებით. ეს ქვეყნებია: საკუთრივ აპხაშინი, რომელიც მოიცავდა ივრის ხეობის ზემო წელს და აღაზნის ზემო წელს მთიანეთსაოთრთ; აშხაშინი, რომელიც მოიცავდა ნაწილობრივ არაგვის ხეობას და ვარეკახეთს; აპრაშინი – დაახლოებით დღევანდელი შიდა კახეთი და გაღმამხარი დაღესტნის მთიანეთსაოთრთ; აშაშინი – დაახლოებით დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთი მხარე (ძველი საინგილო) დაღესტნის მთიანეთსაოთრთ; სპაშინი – ივრის მარცხენა ხანაპირო მის შუა წელზე (დაახლოებით დღევანდელი ვარეკახეთი); აპაშინი – დაახლოებით დღევანდელი ქიზიყი.

ცნება „კახეთს“ საუკუნეთა განმავლობაში რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიწრო და ფართო. როდესაც ვლადპარაკობთ ტერმინების „კახეთის“, „კოხეთის“ და „ქერეთის“ შინაარსისა და მათი ტერიტორიული მოცულობის შესახებ, უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი განსაზღვრა უნდა მოხდეს გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოების მიხედვით. ამიტომ ამ ტერმინების შინაარსი და მათი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად უნდა იყოს გაგებელი. ამით უნდა იყოს გამოწვეული ის ვარებობა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ეს ტერმინები ხშირად ერთმანეთს ენაცვლება. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართულ წყაროებში კახეთ-კუხეთ-

პერეთის მნიშვნელობა „არუღია“ ერთმანეთში და ძველი იმის ქვეყანა, თუ რომელი პუნქტი სადაა ნახსენები. სახელთა ასეთი ცვლა პოლიტიკურ ამბებთან იყო დაკავშირებული. სამივე ტერმინს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგჯერ პერეთი თითქმის მთელ კახეთს ეწოდებოდა, ხშირად კახეთი პერეთსაც მოიცავდა.

ლეონტი მროველის თხზულებაში (XI ს.) მოცემულია ტრადიციული ისტორიული გადმოცემა, რომ კახები, კუხები ძირეული ქართველური ტომები „ქართლოსიანნი“ არიან. „ქართლოსიანში“ კი ლეონტი მროველი გულისხმობს არა საერთოდ ქართლის მკვიდრთ, არამედ იმ ქართველებს, რომლებიც უშუალოდ ქართლოსის შთამომავალნი არიან. კახოსი და კუხოსი კი, ლეონტი მროველის მიხედვით, მცხეთოსთან, გარდაბოსთან და განიოსთან ერთად ქართლოსის შთამომავალნი, მისი შვილები არიან. ქვეყანა, რომელიც კახოს ეკუთვნოდა, „კახეთის“ სახელწოდებით არის ცნობილი, ხოლო ქვეყანა, რომელიც კუხოსს ეკუთვნოდა „კუხეთის“ სახელით აღინიშნებოდა. ლეონტი მროველი აღნიშნავს: „კუხოსს (კუხეთის ეპონიმი) მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ქვეან რუსთავი, მისცა არაგვითგან ვიდრე პერეთამდე, შესართავამდე, მთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა. ხოლო კახოსს (კახეთის ეპონიმი) მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვითგან ვიდრე ტყვეტბამდე, რომელ არს საზღვარი პერეთისა“ (ქართლის ცხოვრება I, 1955, გვ. 9).

კახოსისა და კუხოსის წილზედარი ქვეყნების შესახებ, ლეონტი მროველის ცნობებზე დაყრდნობით, მოგვითხრობს, აგრეთვე, ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში: „აღწერა პერეთისა, კახეთისა და კუხეთისა“. აქ იგი იძლევა ზოგიერთ დამატებით ცნობას/კახოსის სამფლობელოს საზღვრები შემდეგნაირად არის გადმოცემული – აღმოსავლეთის მთა კავკასი, სამხრეთით პერეთი, თურღო-შტორის ხევი ვიდრე კავკასამდე, დასავლეთით მთა კახეთისა, რომელსაც ვაკეთს ერწო-თიანეთს იორი და ესაზღვრება აგრეთვე არაგვი, ხოლო ჩრდილოეთით მთა კავკასი. ეს არის ქვეყანა კახეთი, რომელშიც ვახუშტი ასახელებს იმ პერიოდის ერთეულებს – ფშავ-ხეცსურეთი (ძველად ფხოვლნი), თიანეთი, ერწო, ირტოსხევი, პანკისის ხეობა, საყდრიონი და აღონი. კუხოსის სამფლობელოს საზღვრები კი აღმოსავლეთით მთა კახეთისა, სამხრეთით საზღვარი პერეთისა, ხუნანის ვასწერივ გულგულამდე, დასავლეთით მტკვარი და არაგვი, ჩრდილოეთით მთა კახეთისა, რომელშიც შედის – თიანეთი, საგურამო ანუ თემის ხევი, გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამტორი, ჩადივარი, ომანის ხევი, ყარაღაჯი, ნაკები და ყარაია.

პერეთის შესახებ ლეონტი მროველი წერს, რომ პეროსი ქართველის
 მს არის. პეროსს თარგამოსმა მისცა ქვეყანა მტკვრის ჩრდილოეთით
 მცირე აღაზნის (იორი) შესართავიდან ვიდრე ტყეებამდე (გულგულა).
 სადაც აუშენებია თავისივე სახელის ქალაქი პერეთი. **პერეთი**
 ლეონტი მროველის მიერ შემუშავებულ ენარქთა სტრუქტურაში
 ვიხილავთ ნათელი ვახდება, რომ ქართველთა ენარქების და მათი სა-
 ხელების ქვეყნების ასეთი ხურათი მას შემდეგ შეიძლება შექმნილიყო,
 როცა ასეთი ქვეყნები უკვე დიდი ხანია არსებობდა. ცხადია ისიც,
 რომ კახეთიდან არის წარმომდგარი კახოსი, კუხეთიდან კუხოსი და
 პერეთიდან პეროსი. ივანე ჯავახიშვილი იმასაც აღნიშნავდა, რომ
 კახთა და კუხთა მამამთავრების სახელები შექმნილია თვით ხალხის
 სახელისაგან: კახ-ი - კახ-ოს, კუხ-ი - კუხ-ოს, ხოლო პერთა მამამთავ-
 რის სახელი ნაწარმოებია მხოლოდ ქვეყნის შეკვეცილი სახელისაგან -
 პერეთი - პერ-ოს.

როდის უნდა წარმოშობილიყო ეს ერთეულები? ენარქების კახოსის,
 კუხოსის და პეროსის სახელებში იმ ქვეყნის ტომთა სახელები აისახა,
 რომელთაც სხვა მცირე სოციალური ორგანიზმები და მიკროსტრუქტურ-
 რები (გვარები, ხეყები) გააერთიანეს კლასობრივი საზოგადოების
 ჩამოყალიბების გზაზე ხეყების ჩამოყალიბება აღმოსავლეთ საქართველო-
 ში დაახლოებით ძვ. წ. XII საუკუნეში დაიწყო, რომლის პირველი
 ეტაპი ქრინოლოგიურად კახოსის, კუხოსის და პეროსის წილი მიწა-
 წყლის გამოკვეთას უნდა ემთხვეოდეს. ეს არის გვიანი პრინჯაოს
 მესამე საუფეხური - ადრეტკინის ხანა (1100-900 წწ.). აღსანიშნავია,
 რომ ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნაზე და უფრო გვიანაც იორ-
 აღაზნის ტერიტორიაზე ავტოქთონური ეთნიკური ჯგუფები წარმოადგენს
 დომინირებულ ეთნოკულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას.
 ამ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წამყვანი როლი კახებს, კუხებს და
 პერებს უნდა შეესრულებინა. საყურადღებოა ისიც, რომ ამ პერიოდში
 იორ-აღაზნის აუზის ტერიტორიაზე მკაფიოდ შეინიშნება მატერიალური
 კულტურის უწყვეტი განვითარება. სწორედ ამ ეთნიკურმა ჯგუფებმა
 მისცეს თავიანთი სახელები კახოს-კუხოს-პეროსის კუთვნილ
 ტერიტორიაზე შექმნილ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ასე მივიღეთ
 „ქვეყნები“ - „კახეთი“, „კუხეთი“, „პერეთი“. ეს ცნებები აღნიშნულ
 ხანაში (ძვ. წ. XI-X სს.) თავისი შინაარსით, შინაგანი აღნაგობით და
 სოციალური ბუნებით, შეესატყვისება ლეონტი მროველის თხზულებაში
 მოცემულ დახასიათებას.

კახეთის სამამასახლისო ქვეყნის თავდაპირველი ცენტრი ყოფილა ბერი (გვიანდელი ჩელეთი), კუხეთისათვის მოსტან-ქალაქი, პერეთისათვის პერეთი (შემდგომი ზორანთა).

თავდაპირველი კახეთის სამამასახლისო, ძვ. წ. IV-III სს. დასრულდა დროს, კახეთის საერისთავოდ იქცა. ამისთან, კახეთის საერისთავოში გაერთიანდა კუხეთის სამამასახლისო. მათი ერთ ქვეყანად გაერთიანება ბუნებრივად მოხდა. ასევე ერთ პოლიტიკურ ერთეულად – საერისთავოდ – განიხილება კახეთ-კუხეთი IV საუკუნის პირველ ნახევარში, მორიანის დროს. მდგომარეობა იცვლება მორიანის ძის ბაქარის დროდან ვახტანგ ვორგასალამდე. ამ პერიოდში კუხეთი ცალკე ერთეულად არის წარმოდგენილი (საერისთავო). მაგრამ ვახტანგ ვორგასალის პერიოდში კუხეთი კვლავ კახეთის საერისთავოს შემადგენლობაშია. თანდათან ხდება კახეთის გაფართოება და VI საუკუნის II ნახევარში უკვე პერეთიც კახეთის საერისთავოს შემადგენლობაშია, თუმცა VII საუკუნეში კახეთის საერისთავო დაიშალა და ცალ-ცალკე არსებობდა კახეთ-კუხეთ-პერეთის საერისთავოები.

VIII საუკუნის 30-50-იან წლებში კახეთის საერისთავოს ტერიტორიაზე ასალი პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა – ახალი სამამასახლისო. საისტორიო წყაროების მიხედვით, აღნიშნულ ხანაში კახეთის მთავრის არჩილის ხელისუფლება საკუთრივ კახეთის გარდა, ვრცელდებოდა კუხეთზე, პერეთზე, წუქეთსა და შაქზე. გარდა ამისა, შედიოდა აგრეთვე დაღესტნის ზოგიერთი თემიც – ხუნზასიც, რომელიც არჩილის ვასალის, წუქეთის ერისთავის, ახუხუასარის საგამგეოში შედიოდა.

მომდევნო ხანაში, კახეთის მთავრის ვრიგოლის ზეობის წლებში (787-827), ცნება „კახეთის“ შინაარსი საგრძნობ ცვლილებებს განიცდის. კახეთის ჩამოცილდება პერეთი, რომელიც ღამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებულა. სამაგიეროდ, კახეთის სამთავროს საზღვრები გაფართოებულა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ დროს მის ფარგლებში შესულა მტკვრის გაღმა მხარე – გარდაბანი. ერთობ გაფართოვდა დასავლეთით, კერძოდ, VIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში კახთა სამთავრო მოიცავდა არაგვისა და ქსნის ზეობათა რაიონებს და ქსნის დასავლეთით მდებარე შიდა ქართლის მიწებს. რაც შეეხება კუხეთის საერისთავოს, იგი უკვე ამ დროიდან საბოლოოდ კახეთთან ერთადაა წარმოდგენილი. ე.ი. კუხეთის ცნებას უკვე კახეთი ფარავს; იგი, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ერთეული, არსებობას წყვეტს.

VIII საუკუნის II ნახევარში არსებობდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული კარაბოის სამთავრო. თავდაპირველად იგი პერსიის სამხმასხლისი ქვეყანა, რომელიც შემდეგ ქერეთის საერისთავოდ ჩამოყალიბდა. VIII საუკუნეში ქერეთი კახეთის შემადგენლობაშია. 787 წელს ცალკე შეიქმნა ქერეთის სამთავრო. მასდ II შექმნილი სამთავროს (შეგნით კახეთი, ვაღმამხარი, საინვილო) შეემატა შაქი. ვარდა ამისა, ქერეთის მთავარს ეპორჩილებოდა დაღესტნის მთიანეთის ნაწილი - ხუნზახი და დიდოეთი. სამთავროს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა ქ. შაქი. ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე IX საუკუნის დასასრულამდე ტერმინი „ქერეთი“ საისტორიო წყაროებში აღნიშნავს „ქერეთის სამთავროს“. 893 წელს ქერეთის მთავარი მეფის ტიტულს იღებს, რამაც ერთგვარი საწყისი მისცა კარაბოის სამთავროს შექმნას. აქედან მოყოლებული XI საუკუნის 10-იან წლებამდე ქერეთის სამეფოა.

XI საუკუნის ათიან წლებში ბაგრატ III-მ დაიპყრო როგორც ქერეთი, ასევე კახეთი; ამერიდან ქერეთი და კახეთი გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მონარქიის შემადგენლობაშია. ბაგრატ ეს პროცესი დადგანს არ ვაგრძელებულა. XI საუკუნის 20-იან წლებში კახეთის ქორეპისკოპოსმა კვირიკე III დიდმა (1009-1037) ისარგებლა ბიზანტიასთან საქართველოს მეფის გიორგი I-ის ურთიერთობის გართულებით, განუდგა საქართველოს მეფეს, დაიპყრო კახეთი და ქერეთი და ისწოდა კახთა მეფედ. ამერიდან ქერეთის სამეფო ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულის - კახეთის სამეფოში არის მოქცეული. „რანთა (ქერთა) და კახთა სამეფოს“ შექმნის თარიღია 1020 წელი. ეს ფაქტიურად „კახეთის სამეფოა“. მთელი XI საუკუნე კახეთ-ქერეთის ტერიტორია იხსენიება როგორც „კახეთი“, ხოლო ამ ქვეყნის მმართველებს „კახთა მეფეები“ ან „კახეთის მეფეები“ ეწოდებოდნენ. ამასთან, კახეთის სამეფოს ხელისუფალნი წყაროებში ზოგჯერ ასე იწოდებნენ „რანთა (ქერთა) და კახთა მეფე“დ.

XII საუკუნის დასაწყისში (1104-1105 წწ.) დავით აღმაშენებელმა კახეთის სამეფო გაერთიანებული საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს შემოუერთა. ამ დროიდან კახეთის ტერიტორიაზე შეიქმნა რამდენიმე მსხვილი საერისთავოსაერისთავო და მცირე ადმინისტრაციული ერთეულები, კერძოდ, კახეთის საერისთავო, ქერეთის საერისთავო, ხორნაბუჯის (კამბეჩანის) საპატრონო (სანაპირო) და საარიშმანო („არიშმანის ადგილი“).

XV საუკუნეში საქართველოს ერთიანი ფეოდალური მოთქმის პოლიტიკურად დაშლის შედეგად წარმოიქმნა გვიანდელი საუკუნეების კახეთის სამეფო (1465-1762). გიორგი VIII-ის (კახეთში გიორგი I) მმართველობის ხანაში (1466-1476) კახეთში მნიშვნელოვანი სახელმწიფო ფორმირება რეფორმები ჩატარდა: გაუქმდა საერისთავოთა სისტემა და მათ ნაცვლად შეიქმნა სამოურაპოვნო. ვახუშტი ბაგრატიონის დროს ყოფილა მოურავები - ქიზიყის, ელისენის, წუქეთის, დიდოეთის, თიანეთის, ქიაურის, შილდა-ყვარლის, მარტყოფის, გრემის, პანკისის და სხვ. ამ დროიდან ჰერეთის საერისთავოც აღარ არის და ჰერეთი ხმარებიდან ვარდება.

XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის პირველ მეთოხედში გარკვეული ცვლილებები მოხდა კახეთის სამეფოში; ჩამოცილდა მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კაკ-ენისელი. ირანისა და ოსმალეთის გამუდმებულმა აგრესიამ, დაღესტნელი ფეოდალების სისტემატურმა თავდასხმებმა ამ მხარის პოლიტიკური დაცემა გამოიწვია; განადგურდა მკვიდრი ქართული მოსახლეობა, მის ადგილზე, ირან-ოსმალეთის ხელშეწყობით, სახლდებოდნენ ავარიელი და წახურელი ლეკები. ერთდროულად ხდებოდა კახელი გლეხის დაჟმევება და გამაჰმადიანება. დროთა ვითარებაში კაკ-ენისელი საერთოდ მოსწყდა კახეთის სამეფოს. XVIII საუკუნის I მეთოხედში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარი, ბელაქანი, კატენი, თალა, მუხახი, უინიხი) და წახურელი (წახური, ელისუ, სუვაგილი და ყარაღულაკი) ლეკების ე.წ. „თავისუფალი თემები“. ხანგრძლივი და თავგამოდებული ბრძოლის შემდეგ კახეთის სამეფოს მესვეურნი იძულებულნი შეიქმნენ თავისი მიწა-წყლის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლეკებისათვის დაეთმო. ეს იყო ფეოდალური კახეთის სამეფოს მარცხი. ლეკთა მიერ კახეთის სამეფოსაგან მოწყვეტილ ტერიტორიაზე ორი პოლიტიკური ერთეული შეიქმნა: შარ-აბულაძენის ლაქთა „შაატორი თიანეთის“ სამფლობელო და შლისხუ სასულთნაფო. ასე განდა კახეთის სამეფოს ჩრდილო აღმოსავლეთ ნაწილში (კაკ-ენისელში) XVIII საუკუნის I მეთოხედში „სინგილი“, რომელიც დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა (კახის, ბელაქის და ზაქათალას რაიონები).

1762 წელს ქართლის მეფე თეიმურაზი ბეტერბურვში გარდაიცვალა, ხოლო ვრცელე მეთორემ თავი ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადა. ამ დროიდან ქართლ-კახეთი ფორმალურადაც გაერთიანდა, რომელიც 1801 წლამდე გაგრძელდა, როცა ეს სამეფო რუსეთმა შეიერთა და მოხდა მისი ვუბერნიებისა და მარზების სისტემაში მოქცევა. XIX საუკუნის

ბოლოს კახეთში იყო სიღნაღის მაზრა 4 საბოქაულოთა, თელავის მაზრა 2 საბოქაულოთა, თიანეთის მაზრა 3 საბოქაულოთა.

უნიკური ცნებები „კახი“, „კუხი“ და მათი შესაბამისი ქვეყნების „კახეთის“, „კუხეთის“ სახელწოდებები ქართული წყაროებში პირველად ადრე დადასტურებული გვაქვს ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებში („წამებას აბიბოს ნეკრესელისა“, „ცხოვრებას იოანე ზედანელისა“, „ცხოვრებას შოთისი და ვეაგრესი“ და „ცხოვრებას დავით გარეჯელისა“), რომლებიც IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. ეს ტერმინები ხშირად გვხვდება, აგრეთვე „მოქცევა ქართლისაის“ მატაიანესა და წმინდა ნინოს ცხოვრების ნუსხებში და სხვ. ასე, რომ IX საუკუნიდან მოყოლებული ისინი მრავალ წყაროში იხსენიება. ტერმინი „კუხეთი“ ქართულ წყაროებში გვხვდება: „კხოეთი“, „კუხეთი“, „კოხეთი“, მოსახლეობის აღსანიშნავად კი „კაოხნი“, „კოხნი“, „კხოლნი“.

კახეთი და კუხეთი ხშირად იხსენიება XIII საუკუნის სომეხ მწერლებთან – სტეფანოს ორბელიანთან, მხითარ აირივანელიანთან და სხვ. ეს ტერმინები დამოწმებულია, აგრეთვე, არაბულ ტექსტებშიც.

„ჰერეთი“ ქართულ წყაროებში ორი ვარიანტით გვხვდება „ჰერეთი“ და „ერეთი“. პირველად იგი კლავდიოს პტოლომეს (II ს.) „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ გვხვდება, როგორც სატომო სახელი „ჰერი“ („გერები“). ჰერები დამოუკიდებელ უნიკურ ერთეულად მოხსენიებულნი არიან იპოლიტე რომაელის მიერ (234-235) დაწერილ თხზულებაში – „წარმომავლობის წიგნი“, რომელიც „იპოლიტეს ქრონიკის“ სახელით არის ცნობილი. ჰერები მის მიერ იაფეტის შთამომავალ სხვა ტომთა შორის რიგით მეოთხე ადგილზეა დასახელებული. IV საუკუნის რომაულ საგზაო რუკაზე – Tabula Peutingeriana, აღნიშნულია ტომი Hiroae – „ჰიროე“, ხოლო 650 წლის ახლო ხანებში შედგენილ „კოსმოგრაფიაში“ გვხვდება Erioon, რომელთა ქვეშ იგულისხმება „ჰერეთი“. ჰერებს იხსენიებს, აგრეთვე, VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელი მწერალი გიორგი სინკლელი „ქრონიკაში“. ეს სახელი დადასტურებულია XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ორბელიანის შრომებში და სხვ. რაც შეეხება ამ ტერმინის ეტიმოლოგიურ ახსნას, გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება როგორც ქართული, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ, მაგრამ საბოლოოდ სახელწოდების წარმოშობა გარკვეული არ არის.



ამ რეგიონში შედის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები ხევი, ხევსურეთი, თუმეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ფშაველი და შტაველი თიანეთი. ყველა ეს პროვინცია მცირე ფართობისაა დატანული კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე.

სამი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის გადაღმა მდებარეობს. მოიცავს თერგის ზემო ნაწილსა და მისი მარჯვენა შენაკადის სნოსწყლის აუზებს. ადმინისტრაციულად მილიანად მოქცეულია ვაზბეგის რაიონში. ამასთან, ხევისა და ვაზბეგის რაიონის საზღვრები ზუსტად არ ფარავს ერთიმეორეს. საკუთრად ხევი მოიცავს ტერიტორიას ჯერის უღელტეხილიდან დარიალის კლდეკარის დასასრულამდე. თუმცა, ხევის ჩრდილოეთი საზღვარი დღევანდელ ოსურ სოფელ ჩიმზე გადიოდა.

ხევი იგივეა, რაც ადრინდელ შუა საუკუნეთა წინარეთი. მატიანეში „მოქცევაი ქართლისა“ (IX ს.) VI საუკუნის მოვლენების თხრობასთან დაკავშირებით მოხსენიებულია „ხევი წინარეთისა“. შემდეგში მას მხარის საკუთარ სახელად, სახელწოდება ხევი დაუძველდრდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეს მთა-ხეობიან ადგილისათვის ვრცეა ეს სახელი. ხევი იყო ღობოტისა, კლარჯეთისა, კახეთისა და სხვ.

ტერმინ ხევთან ერთად ვაჩნდა ამ რეგიონის მცხოვრების სახელიც – მოხევე. ხევი მისი გეოგრაფიული მდებარეობის მაჩვენებელია, ხოლო მასთან დაკავშირებულ აქ მცხოვრებ ქართველ მთიულთა სახელწოდება მოხევე, სიტყვასიტყვით ხევი მცხოვრებს ნიშნავს. ეთნოგრაფიული ვკუყის აღსანიშნავად ეს სახელწოდება ისეთივე მნიშვნელობით დამკვიდრდა. როგორც სხვა ქართული ეთნონიმი: მთიული, ხევსური, თუმი, რაჭველი, ხვახი და სხვ.

მოხევე პირველად თამარ მეფის ისტორიკოსის (XIII ს.) თხზულებაში იხსენიება. მიუხედავად ამისა, ხევიმ ტერიტორიაზე მოსახლეობა ვაცილებით ადრე სახლობდა, რომლის მცხოვრებთა აღსანიშნავად გვხვდება მთიულნი, რასაც შემკრებლობითი ცნების მნიშვნელობა აქვს მთიულთა ისტორიულ წარსულში.

ხევის ტერიტორიაზე მოსახლეობის ოდითგანვე არსებობაზე მეტი თუბს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც „ვაზბეგის განძის“ სახელითაა ცნობილი. იგი შეკრებილია ძველი წელთაღრიცხვის VI-V სს. ხევი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მის

ორგანიულ ნაწილს წარმოადგენდა და სამეფო ხელისუფლებას განაგებლობაში შედიოდა. ისტორიის მანძილზე ხევის ეს ეიწრო ხეობა ერთ-ერთი ვხა და ხიდთაგანი იყო, რომელიც კულტურულ-ეკონომიკურად აკავშირებდა მოელ კავკასიას და ევროპა-აზიას. ამ ვხაზე უნდა იქნებოდა „ვხა დარბელისა“, ხოლო კარს რამდენიმე სახელი ერქვა (დარი აღან, არაგვისკარი, კავკასიის კარი, ივრიის კარი და სხვ.).

ვკან შუა საუკუნეებში (XVI-XVIII სს.) ეს მხარე არაგვის საერისთავოს ეკუთვნოდა, მაგრამ მუვე თეიმურაზ მეორის მიერ ამ საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1743 წ.), ხევისა და მისი მეზობელი კუთხეების განაგებლობა ერეკლე მეორის შვილებს ჩაბარდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ხევი მაზრის საზღვრებს გარეთ მოექცა. 1840 წლის 10 აპრილის დებულებით ხევი ჯერ თბილისის მაზრაში გაერთიანდა, ხოლო 1843 წელს ცალკე გამოიყო მთიულთა ოკრუგი, რომელშიც ხევიც შევიდა. საუკუნის ბოლოს კი ეს რეგიონი დუშეთის მაზრაში აღმოჩნდა. საბჭოთა წლებში შეიქმნა ხევის რაიონი. 1932 წელს ხევის სახელწოდება ყაზბეგის სახელით შეიცვალა. მანამდე (1925 წლამდე) დასახლებულ პუნქტს ყაზბეგის საეკლად სტეფანწმინდა ერქვა.

სამსურათი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი რეგიონია, რომელიც კავკასიონის მთაგარი წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე მდებარეობს. იგი ორ ნაწილად იყოფა - პირაქეთა ხეცსურეთად და პირიქითი ხეცსურეთად. ორივე ნაწილი ერთმანეთს უღელტეხილებით (დათვისჯვარ-წუბროვნის, საძელის, არხოტის) უკავშირდება.

ხეცსურეთი პირველად წყაროებში ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაშია მოხსენებული. მანამდე იგი ფშავთურთ იხსენიება საერთო სახელწოდებით ფხოვეი ! ფხოეთი, ხოლო ხეცსურები ფშაველებთან ერთად ფხოველებად იწოდებოდა. შემსტახეთა ცნობებით ფხოველები ამ ტერიტორიაზე ახ. წ. I საუკუნეში მანც უნდა ყოფილიყვნენ.

IV საუკუნეში ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა წარმართი ფხოველებით და შემსტახანის თქმით, მათ ქრისტიანობა იმხანად არ მიუღიათ. შემდეგში ფხოელნი იხსენიება კახეთის ქორიკოზის კვრიკე II დიდის დროს (1014 წ.), როდესაც მან ხელმეორედ დაიპყრო კახეთი და ახალი საერისთავოები დააწესა, მათ შორის მოხსენიებულია ფხოელთა ქვეყანა. ამდენად, XI საუკუნეში ხეცსურეთი კახეთის შემადგენლობაშია და ექვემდებარებოდა კვტერას საერისთავოს. თამარ მეფის დროს (1212 წ.) ფხოველები ამოხეხულან, მაგრამ ივანე მხარგრძელის

სარდლობით გაგზავნილ მეფის ღაშქარს იგი ჩაუქვრია. წყევლების მიხედვით XV-ს ში ფხოვის ნაცვად ფშავ-ხევსურეთი დამპყრობდა.

XVII საუკუნეში ხევსურებმა მონაწილეობა მიიღეს ბახტრიონის აღებაში. ხევსურები აგრეთვე მონაწილეობას იღებდნენ მუსლიმანულ და რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის შორის დამლაშობით მოლაშარაკებაში. თუმცა, XVIII საუკუნეში, თეიმურაზ II (1744-1762) მეფობის უკანასკნელ წლებში ხევსურეთი კახთ მეფისაგან გამოდგარა. მაგრამ ერეკლე მეფეს მალევე შემოურიგებია და მის მეფობაში, ქართლ-კახეთის სამეფოს ერთგულად ემსახურებოდნენ.

XIX ს-ში რუსეთის მიერ საქართველოს შემოერთების შემდეგ, ხევსურეთი სხვა მთიან რეგიონებთან ერთად არაერთხელ გამოხელა დამპყრობლების წინააღმდეგ უგზობისა და ციხიანი-ქუჩის ჩამორჩენილობის გამო, დაიწყო ხევსურთა მიგრაცია სხვა რეგიონებისაკენ, რაც დიდხანს გრძელდებოდა.

ორივე ხევსურეთი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მაზრების გარეთ აღმოჩნდა. 1840 წლის 10 აპრილის დებულებით ხევსურეთი ფშავთან და თუშეთთან ერთად თელავის მაზრაში, მოგვიანებით (1842 წ.), თელავის მაზრიდან გამოიყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგი. 1859 წელს ოკრუგის უფროსის ადგილსამყოფელი თიანეთში გადაიტანეს და ოკრუგმაც თიანეთის სახელი მიიღო. 1886 წლის 10 მაისის დებულებით მაზრები გაიყო სამოქალაქოებად (საპოლიციო უბნებად) და ხევსურეთი ფშავთან ერთად თიანეთის მაზრის სამოქალაქოდ გარდაიქმნა. სამქოთა წლებში ისინი დუშეთის რაიონში გაერთიანდა.

ხევსურეთი მაღალმთიანი, ღრმა ხეობით არის დასერილი, რის გამოც შერქმევია ეს სახელწოდება – ხევსურ-ეთ-ი, რაც ღრმა ხეობიან ადგილს ნიშნავს. ამავე შეხედულებას უჭერს მხარს ვარაუდი, რომ ხევსურ – ხევ-ის-ურ-ი ნიშნავს ხევის მეზოურებს. სხვა მოსაზრებით, სახელწოდება წარმოშობილია ჰიდრონიმისაგან – ხევ, რომელსაც ერთი სურს ეთიონიმი (ძველი ქართული გვიანის ან ტომის სახელი).

თუშეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილო ფერდობზე – მდინარეების პირიქითისა და თუშეთის ალაზნის აუზებში. იგი მოქცეულია კავკასიონის ქედსა და მის ვეერდით პირიქითის ქედს შორის.

თუშეთის ქვაბულში ადამიანის პირველი დასახლება შორეულ პერიოდს მიეკუთვნება. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის ნივთები, რაც იმას მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის XII-IX სს.

თუშეთი ადამიანის მიერ ათვისებული ყოფილა. მკაცრი კლიმატური პირობების გამო, აქ ადამიანის გამოჩენა გამყინვარების შემდგომ ხანაში ან უფრო ადრე — გამყინვარებათაშორის ეპოქაში იყო შესაძლებელი. უხსოვარი დროიდან პირიქითისა და თუშეთის აღმზანს (სამხრეთ-აღმოსავლეთის მდებარეობის) ხეობებში დასახლებულან ქართველთა ტომი თუშები, რომლებსაც მოგვიანებით — შუა საუკუნეებში შეუერთდნენ ქისტური (ინგუშები) წარმოშობის წოვები.

თუშები ვერ კიდევ II საუკუნეში იხსენიება ბერძენი გეოგრაფის კლავდიოს პტოლომეს „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში“. შემდეგში იგი არაერთ უცხოურ და ქართულ წყაროებშია აღნიშნული. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი თუშეთს IV ს. ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს. V საუკუნიდან თუშეთი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილია. VIII საუკუნეში იგი ლუნძითთან (მოიანი დაღესტნის ნაწილი) და წუქეთთან შეადგენს ადმინისტრაციულ ერთეულს. კახეთის ძველი სამეფოს არსებობის დროს (VIII-XI სს.) თუშეთი პანკისის საერისთავოში შედიოდა, შემდეგ კახეთის საერისთავოში მოექცა. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ ისევ კახეთის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული.

XVII-XVIII სს. თუშეთი გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდა კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუშეთის ლაშქარი XVIII ს. ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოსათვის სამეფო ჯარის საიმედო ნაწილს წარმოადგენდა. ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზ II და ერეკლე II თუშებს განახლებულ სივლეებს უმტკიცებენ, რომ კახეთში აღვანის ევლი საზამთრო საძოვრებად ექცეათ.

XIX ს. დასაწყისში თუშეთი აღმოსავლეთ საქართველოს რუსულ სამხედრო ბიუროკრატიულ რეჟიმში იყო მოქცეული. 1886 წელს, თიანეთის მაზრის შექმნასთან დაკავშირებით, თუშეთი ამ მაზრაში საბოქულოს ევლით შევიდა. XIX ს. II ნახევრამდე თუშეთის მოსახლეობა ადგილზე ცხოვრობდა. საუკუნის შუა წლებიდან თუშებმა თანდათანობით იწყეს ბარად ჩამოსვლა და აღვანის ევლზე დასახლება, მაგრამ მთაში ბინადრობა არ მოუშლიათ. ეწეოდნენ სამწიფო-მეფო მეურნეობას მთაშიც და ბარშიც. წარმოიქმნა თუშეთისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციური მოსახლეობის ტიპი. ამ მოვლენას XX საუკუნის 50-იან წლებში მოელო ბოლო, როცა საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა ბარად ძალით ჩამოსახლეს. ხოლო თუშეთი პირუტყვის საზაფხულო საძოვრად გამოცხადდა. ბარში ჩამოსახლებამდის თუშები ოთხ თემად



იყო გაერთიანებული, ხოლო ამ თემებში კი პატარ-პატარა ტერიტორიული საზოგადოებები.

სახელწოდება თუშეთი ერთი ვარიანტით შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ ორი მდინარის არსებობასთან, რომლებიც თუშეთში საბინძორო-მოთულოურ დასაკეტში ორტოტ კეტს, რომლითაც გამსაკურებენ თევს მარხილზე დასადგმელად, „თუში“ პქეია. სწორედ ორ ტოტად არის გაჭიმული თუშეთში პირიქითა აღაზნისა და თუშეთის აღაზნის დინება, რაც მისსავე ტერიტორიაზე ერთ მდინარედ იქცევა და ორკადა ტოტს – „თუშს“ მოგვაგონებს.

XX საუკუნეში თუშეთს დაუმკვიდრდა არასწორი სახელწოდება „მთათუშეთი“. იგი არსებითად „თუშეთის“ სინონიმია. სასაუბრო ქართულში „მთათუშეთის“ ამგვობინებენ იმ გარემოების გამო, რომ თუშები ბარშიც ცხოვრობენ, მაგრამ ბარის თუშური სოფლები (აღვანია, ლალისყური, ბორკანი და სხვ.) კახეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და, ამდენად, „თუშეთის ბარის“ გამოყოფა შეუძლებელია. თვით სახელწოდება „მთათუშეთი“ უცნობია ძველი ქართული და სხვა წერილობითი ძეგლებისათვის.

მარწო-თიანეთის მოიკავს მდ. ივრის ზემო ნაწილის ზეგანს და თითქმის ემთხვევა თანამედროვე თიანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რაიონს. ისტორიულად იგი ორ ცალკეულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს – ერწოსა და თიანეთს წარმოადგენდა. ერთობლივი ისტორიული განვითარებისა და მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო, უძველეს წყაროებში ერთად მოიხსენიებიან – ერწო-თიანეთი. გარკვეულ პერიოდში თიანეთი პლაცდარში იყო, საიდანაც ქართლის სამეფო პოლიტიკურ და კულტურულ ზეგავლენას ახდენდა კავკასიონის მოთიანეთზე. ადმინისტრაციულად ჯერ კახეთის საერისთავოში, ხოლო შემდეგ კახეთის სამეფოში შედიოდა.

ერწო-თიანეთის ტერიტორია უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ერწოს ტაფობში აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის VII-VI სს. სამარხები. გვიან ანტიკურ ხანაში ერწოს ტაფობი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. IV საუკუნეში ქართველთა განმანათლებელი ნინო აქ ქრისტიანობას ქადაგებდა. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ერწო-თიანეთს დიდ სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. აქ ვადიოდა ევროპა-აზიის ქვეყნებისაკენ მიმავალი გზები.

აღრინდელ ფეოდალურ ხანაში ეს რეგიონი აღმავლობას განიცდიდა. სამოსახლარაოა და სამაროვნისა სიმრავლე და მრავალფეროვანი მასალა

იმ ხანის ეკონომიკურ და კულტურული ცხოვრების დაწინაურებაზე მეტყველებს. შუა ფეოდალურ ხანაში რვეთის პოლიტიკურად ერთიანი ქვეყანას“ ეუთვნოდა. ვალეთი კი ერწოდან და ბოკონამდე ურცევდებოდა.

XIII ს. ერწო-თიანეთი არაერთხელ დაულამქრავს მტარს. XV ს-ში ერწო-თიანეთი კახეთის ერთ-ერთი სამოურავო გახდა. იგი ხშირად საცილობელი ტერიტორია იყო კახეთის სამეფოსა და არაგვის საერისთავოს შორის.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ერწო-თიანეთი თელავის მაზრაში გაერთიანდა. 1859 წელს თიანეთის ოკრუგი შეიქმნა, ხოლო 1870 წელს თიანეთის სამოქალაქო. 1874 წელს დამოუკიდებლად გახდა თიანეთის მაზრა.

სახელწოდება თიანეთი გეოგრაფიული ტერმინის ანარეკლია და მომდინარეობს მთიანეთიდან, ხოლო ერწო მცენარის სახელთან არის დაკავშირებული.

ფშაპი ტრადიციულად მდ. არაგვის მარცხენა შენაკადის – ფშავის არაგვის აუზს მოიცავს. მატანეში იგი ხეცსურეთთან ერთად ფხოვად (ფხოვთად) მოიხსენიება. ფხოვთი კი კვტერას საერისთავოში შედიოდა.

XIII საუკუნის დასაწყისიდან (1212 წ.) ფხოველები გამდგარან, რისთვისაც ხელისუფლებას დამხველი ლაშქარი გაუგზავნია. შემდეგში ისტორიული ფხოვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ფშავი ეწოდა. ასე ჩანს იგი სამეფო-სამთავროების დანაწილების პერიოდში. კახეთის მეფე ვიორგი I დავითის ძეს (1471-1492) საერისთავოები გაუუქმებია და მის სანაცვლოდ სამოურავოები შეუქმნია. ფშავი ერწო-თიანეთის სამოურავოში შედიოდა. თუმცა, ფშავი გამდგარა და არ ემორჩილებოდა კახთა მეფეებსა და მათ მოურავებს. ამ გარემოებაზე კი ეურადლება კახეთის მეფე ლევან მეორეს (1520-1574) მოუქცევია და ფშავის შემომტკიცება განუზრახავს. კახეთის სამეფო ხელისუფლების შესუსტების პერიოდში ფშავის დამორჩილებას ცდილობდნენ არაგვის ერისთავები. XVII საუკუნის შუა წლებში იგი სწორედ არაგვის საერისთავოს ემორჩილებოდა. მოუხედავად ამისა, ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელებულა.

XVIII საუკუნეში მეფე ერეკლე II-ს ფშავ-თუმ-ხეცსურეთი ლაშქრის ბეგარისაგან გაუთავისუფლებია, რადგან ისინი ლეკების საზღვარს ისედაც იცავდნენ. ამასთან, მეფეები ხშირად ამ მხარეში იხიზნებოდნენ და ამ მოიუღებისაგან აღგენდნენ პირად მცველ საიმედო რაზმებს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის თვითმპყრობელური წყობის დამყარებამ მოივლეს დიდი ძვლელვარება გამოიწვია მოუხდავად ამისა, ფშველებმა ამზოხებში მონაწილეობა არ მოიღეს, ჯრბიდან მთ ცალკე მოურავის დანიშვნას შეპირდნენ. ფშველებმა შემდეგშიც თავი შეიკავეს და იმდროინდელ გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში მონაწილეობა არ მოუღიათ. ეს იმითაც აიხსნებოდა, რომ ფშველები თავისი გეოგრაფიული მდებარეობით პოლიტიკური ბრძოლის ცენტრებს დამორებული იყვნენ.

რუსეთის კაპიტალიზმის განმტკიცებას საქართველოში ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა მოჰყვა. საზოგადოებრივი ცხოვრება მთაში და ბარში სწრაფად იცვლებოდა. ეს შეეხო მოივლებსაც, სადაც თემური ცხოვრება შეირყა, რაც თანდათან შლიდა მათ თემურ ადამიანებსაც. ამ ფერხულში მოექცა ფშვიც. წარმოიშვნენ მსხვილი მეცხვარეები, რომლებიც თავიანთ ფარას ათახობით ითვლიდნენ. მოსახლეობის შეძლებულმა ნაწილმა სავაჭრო მიზნით ბარად (კახეთში) დაიწყო გასახლება. მას მოჰყვა მოსახლეობის ქონებრივი და უფლებრივი დიფერენციაცია.

სახელწოდება ფშვი „ფშა“-სთან არის დაკავშირებული, რაც ფშურად მდინარის ნაპირიდან გამომდინარე წყაროს ნიშნავს. ასეთი ფშანი წყაროები კი ბევრია უკანაფშვის საკრებულოს ტერიტორიაზე. მთიულეთ-გუდამაყარის მდებარეობს თიორი და შავი არაგვის, იგივე მთიულეთისა და გუდამაყრის არაგვის ხეობაში. მისი უკიდურესი სამხრეთი საზღვარი ნასოფლარ მთიულთკარი (ახლ. დენალის სანახები) იყო. მთიულეთ-გუდამაყარში მოსახლეობა აღრევე ჩნდება და მთელი ეს კუთხე ძველი იბერიის სამეფოს გეოგრაფიულად მნიშვნელოვან სამეფოებელის შეადგენდა. მით უმეტეს, რომ იბერიის სატახტო ქალაქი – მცხეთა მტკვარ-არაგვის შეერთებაზე მდებარეობდა. ამიტომაც, მთელ არაგვის ხეობას, იბერიის სამეფოებელისათვის უდიდესი სტრატეგიული-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ხეობაში გადიოდა ჩრდილოეთის გზა, საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც გამაგრებული იყო დარიალის (არაგვის) კარით. ამ კარით კი იბერიის სამეფოს ეზუქრებოდნენ სამხრეთ რუსეთის ველებზე მომხადრე ტომები: სკითები, ალანები, ხაზარები და სხვ. მათგან თავდაცვის მიზნითა და სტრატეგიული მოსახრებით იბერიის მეფეები ამ ხეობას ციხე-კოშკებით ამაგრებდნენ. იბერიის სამეფოს მოქცევის შემდეგ შემატანე მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინო და სხვა პირები ეახლნენ მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეო-

ბას, რათა მოქცეულიყვნენ ქრისტეს რეულზე იმხანად ეს მშვიდობიანი გზით ვერ მოხერხებულა.



V საუკუნეში, არაგვის ხეობის გავლით ვახტანგ ვოჭგაკიძე უნდა ვერძლივად ებრძოდა დარიალის ხეობით შემოჭრილ ტუტუნბურჯანადამაშენებელი (1089-1125) კი არაგვის ამ ხეობით უფრო მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებდა, რადგან ეს გზა მას სჭირდებოდა ვიწროსა და საქართველოში შემოსაყვანად. ამასთან, თვით მოიულებსაც არაერთხელ მიუღიათ მონაწილეობა ჩრდილოეთის მეამსოხე ტომების დასამორჩილებლად.

თავდაპირველად მოიულები ეწოდებოდა ცხაეტის თემს, XIII საუკუნიდან კი ხადა-ცხაეტს. მოიულებიშვე შედიოდა ხანღო; ხშირად მოიულებად იგულისხმებოდა აგრეთვე გუდამაყარი.

IX საუკუნის 50-იან წლებში არაბთა ლაშქარმა ბუღა თურქის სარდლობით ცხაეტამდე მიაღწია, მაგრამ მოიულებმა მტერი უკუაქციეს. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ეს რეგიონი სახასო მხარე იყო.

მოიულები-გუდამაყრის შესახებ საკმარის ცნობებს მოცემული „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“ (1325-1338). ეს ძეგლი მოიულების იურიდიულ-უფლებრივი ნორმების შემცველია, რომლის მიხედვით შესაძლებელია იმდროინდელი მოიულების საზოგადოებრივი ცხოვრების რეკონსტრუქცია.

არკვევა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება აქ ეწყარებოდა თემურ წყობილებას და ხალხიც ამ თემურ ადამ-წესებს ემორჩილებოდა. მოსახლეობა იყოფოდა ხეუბნად და თითოეულ ხეებს სათავეში ხევისხერი ედგა. მეფეს მმართველად ერისთავი ჰყოლია, რომელიც უშუალოდ მას ემორჩილებოდა. ერისთავის თანამებრე კი გამგებელი იყო.

XVI საუკუნის ბოლოს არაგვის ერისთავის შემკვიდრებ – ნუგზარმა მოიულებში გაილაშქრა და ეს კუთხეც დაიპყრო. მოიულებმა ამბოხება მოაწყვეს, მაგრამ ძლიერმა ზურაბ ერისთავმა (1619-1629) მოიულები ხელმოკრედ დაიპყრო. მოგვიანებით, ერეკლე II არაგვის ხეობის გამგებლობა ვახტანგ ბატონიშვილს უბოძა. რუსეთთან შეერთების შემდეგ აქური მოსახლეობა მძიმე პირობებში მოექცა. რუსეთის მხედრობა მოითხოვდა სამხედრო გზის შეკეთება-გაფართოებას, დაეყვას, ვარის სურსათისა და გადასახიდ საშუალებათა უზრუნველყოფას, რაც მძიმე ბეგარად გადაექცა ამ გზაზე მოძინადრე მოიულებს. ამ აუტანელი პირობების გამო მოიულებმა 1804 წელს ამბოხება მოაწყვეს. ეს ამბოხება კი ძალევე დამარცხდა.

ძველი ქართული წყაროებით, მოიუღეთად იწოდებოდა საქართველოს ყველა ის რაიონი, რომლებიც მდებარეობდნენ კავკასიონის მთაწარმოვან ზოლში. ასეა ძველ ისტორიკოსებისა და მწერლების ნაწარმოებში — ლეონტი მროველის, ჯუანშერათს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსულ და სხვ. საუკუნეების განმავლობაში მოიუღეთისა და მთაწარმის მნიშვნელობა დაიწარმოდა და XVIII-XIX სს. იგი იხმარება ხადისა და ცხაეატის თემისა და მოსახლეობის აღსანიშნავად. თვით მოიუღეთ-გუდამაყარს შორის დიდი ტერიტორიული, გენეტიკური, ხულიერი და კულტურულ-სამეურნეო კავშირებია. ამის გამო, ისინი ერთ თემად გაიარება.

იმერეთი

იმერეთი ფართო გაგებით იწოდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ისევე, როგორც კოლხეთი, აფხაზეთი, ვერისი, ლაზიკა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ლიხის ქედის დასავლეთით მდებარე ტერიტორიას იწოდებოდა ლიხოსიქეთი, იმერეთი (იმერეთი).

იმერეთის ნამდვილი გაგება არის მისი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე. იყოფა ზემო და ქვემო იმერეთად. შემოსაზღვრულია — აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით მდ. ცხენისწყლით, სამხრეთით ფერსათის ანუ მესხეთის ქედით, ჩრდილოეთით რაჭის ქედით. იგი მოიცავს: ქ. ქუთაისისა და წყალტუბოს, ტყიბულის, თერჯოლის, ბაღდათის, სამტრედიის, ვანის, ზონის (ქვემო იმერეთი), ჭიათურის, სანხერის, ზარაგაულის, ზესტაფონის რაიონებს (ზემო იმერეთი). ცალკე იყო ოკრიბა, რომელიც დაახლოებით ტყიბულის რაიონს მოიცავდა. ამასთან, ცხადია, რაიონების საზღვრები ზუსტად როდი შეესაბამება ზემო და ქვემო იმერეთის ისტორიულ გაგებას. ვიორგი მთაწმინდელი „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთიმესის“ ტექსტის მიხედვით, „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ (ი. აბულაძე) ასეა განმარტებული იმერი — გაღმა მხარე, იმერი, იქით გაღმა გადაღმა: „იმერ და ამიერი“. „განყო წყალი იმერ და ამიერ“ (ძველი აღიქმა. წიგნი მეფეთაჲ III, IV). ხულხან-ხაბა ორბელიანის ლექსიკონით იმერ არის — იქ. მარი ბროსე განმარტავს: „ქართველთა მეორე სამეფო იმერეთი. სრულიად უმძველედ სახელდებულა იმის გამო, რომ მდებარეობს გადაღმა ლიხის მთისა, რომელიც განყოფს მას ქართლისაგან. იმერ ნიშნავს გადაღმას, აქედან მომდინარეობს სახელ-

წოდება იმერეთი. ბოლოს, ეს სახელწოდება შედარებით ახალაა, ვინაიდან ქვეყანამ, რომელსაც იგი აღნიშნავს და რომელიც შედგება თბილისიდან და მესხეთის ნაწილისაგან, რაც ძველად ლაზიკას ეკუთვნოდა, დამოუკიდებელი არსებობა იწყო 1259 წლიდან, მაგრამ ნაქართველომ დაყოფა იმერ-იმერად წარმოიხდა ისტორიაში აფხაზეთისა და ქართლის ერთ სამეფო გვირგვინში გაერთიანების შემდგომ, X საუკუნის დამლევისათვის. ნიკო მარი განმარტავდა, რომ იმერი, ჰიბერი ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს და შემდეგ ბერძნებმა განაზრცეს ეს სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოზე. ნ. მარი ამოსავალს ლინგვისტურ კვლევაში ხედავდა. ეს აზრი უარყევს ექვთიმე თაყაიშვილმა და ივანე ჯავახიშვილმა; ეჭვის თვალთ შეხედა ნიკო ბერძენიშვილმაც.

მონღოლთა მიერ საქართველოს ორ ნაწილად გაყოფის დროიდან, დავით ნარინის შემდგომ, ერთხანს ნარინის შემკვიდრებები ატარებდნენ თითქოს იმერთა ძეგის ტიტულს, მაგრამ მას შემდეგ რაც ვიორგი ბრწყინვალემ კვლავ გააერთიანა საქართველო, ცხადია, აღარ არსებობდა არც იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ერთეული. ვიორგი VIII-ის შემდეგ, როდესაც ფეოდალური საქართველო დაიშალა, მოყოლებული ბაგრატ იმერთა მეფიდან, იმერეთის სამეფო არსებობდა, ვიდრე მას XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი დაიპყრობდა. იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II იყო. შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში იმერეთი ფიგურირებს სიტყვის თანამედროვე, ტრადიციული გაგებით, როგორც დასავლეთ საქართველოს ნაწილი, დასახლებული იმერლებით (წიგნი — მასალები საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიისა და ტოპონომიკისათვის I, 1964). „ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანში“ აღნიშნულია „ღიხთ იმერეთი“, „ღიხთიიმერი“. ეს „ღიხთიიმერი“ მოიცავდა სხვადასხვა ქვეყნებს, რომელთა მიწა-წყალი ეკუთვნოდა ამა თუ იმ ქართველ ტომს და თითოეულს ჰქონდა თავ-თავისი საკუთარი სახელი (ივანე ჯავახიშვილი) „იმერი“ და „ამერი“ მოხსენიებულია, აგრეთვე ძველ წყაროებში — თამარმა „კანსკა ბრძანება და წარავლინა შიქრიანი და მალეშობოლნი წუგეად ლაშქრისა იმერით და ამერით“ (ქართლის ცხოვრება II, 1959, გვ. 64).

ქართულ ისტორიულ ნარატიულ (თხრობითი) წყაროებში იმერეთის საკმაოდ დიდ ნაწილს ეწოდება არგუეთი, მარგუეთი, სამოქალაქო. ეს უკანასკნელი ქუთაისის სანახებს ეწოდებოდა. რაც შეეხება ლეონტი მროველის ცნობას მარგუეთის ზღვაზე განერცობას, ივანე ჯავახიშვილი შეცდომად მიიჩნევს. საკუთრივ იმერული, აგრეთვე გურული მოსახლეუ-

ბის გაჩენა დასავლეთ საქართველოში ივანე ჯავახიშვილისათვის მიუ-
რაციოდ პროცესების შედეგია, რაც VIII საუკუნისათვის უკვე ითხოვნის
სადოლოდ გამოკეთილ სახეს იძენს (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი
ერის ისტორია II, 1965, გვ. 88).

ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ეს ქვეყანა ~~ქვეყანა~~
შეიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს და ენაცვლება ძველს, ზოგად
ცნებებს შპრინს და აშხაზაშის. ის წარმოქმნის პროცესში იყო,
მაგრამ ასეთი ზოგადი შინაარსით სადოლოდ ვერ გაფორმდა – ქვეყნის
დაშლამ უსწრო და „მშრალი“ დასავლეთ საქართველოს მხოლოდ
ერთი მხარის სახელად დამკვიდრდა და სწორედ იმ ნაწილის, რომელიც,
ძველიდანვე ერთგვარ განსხვავებულობას ამჟღავნებდა და არც დამოუკი-
დებული სახელი ჰქონდა („არგვეთი“ „იმერის“ არ ფარავს). „იმერეთი“,
როგორც ქვეყანა, გაერთიანების შემდგომი ხანის წარმონაქმნია – არ-
გვეთის, ოკრიბის, რაჭა-ლენხუბის, ვაკე-სამოქალაქისა და ფერსათისაგან
შემდგარი ქვეყანა (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, 1990).

საყურადღებოა აღნიშნოს, რომ უცხოელ (ევროპელ) ავტორებთან
მეტწილად დაფიქსირებულია ფორმა Imierethi.

ვახუშტი ბაგრატიონისათვის „ქართველნი“ – შეესატყვისება ქართვე-
ლებს, ხოლო იმერელნი დასავლეთ ქართველებს, დასავლეთ საქართვე-
ლოს მცხოვრებთ.

ე. კუდენბაუმი კავკასიის ვზამკლეეში (1888) განმარტავს: „მდინარე-
ების ყვირილისა და რიონის აუზები მდინარე ცხენისწყლამდე, შედიოდნენ
იმერეთის სამეფოში, ახლა წარმოადგენენ შორაპნის, ქუთაისის და
რაჭის მაზრებს. უკანასკნელი მდებარეობს მდინარე რიონის სათავეებთან
და რაჭა ეწოდება“ (გვ. 11).

ამრიგად, ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი „იმერეთი“ ნაწარმოებია
სიტყვისაგან იმერ-იმერ, რაც ნიშნავს გადაღმას, პირიქითს. ტერმინი
ჩვენაკვლა ადრეული ხანის ცნებებს ევრისს, აფხაზეთს და მთლიანად
მთელი დასავლეთ საქართველოს აღნიშნულ გაგებად იქცა. ამასთან,
იმერეთს და იმერელს არც ამჟამად დაუკარგავს შინაარსი მთელი
დასავლეთ საქართველოს და მისი მოსახლეობის აღნიშვნის თვალსაზ-
რისით, ფეოდალური საქართველოს დაშლის, განსაკუთრებით გიორგი
VIII-ის მეფობის შემდგომ, იმერეთი და იმერლები აღნიშნავს საკუთრივ
იმერეთის სამეფოს, მის მოსახლეობას – იმერლებს.

ევრისის (კოლხეთის) უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ისტორიულ-
გეოგრაფიულ პროვინციას წარმოადგენდა მარაბე (მარგვეთი), რომელიც

ფარნავაზის მეფობის ხანაში, ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისში, ქართლის (იბერიის) სამეფოს საზღვრებში მოექცა. ამ პერიოდში მარგე მოიქცა რაჭისა და აჭარა-იმერეთის ქედებს შორის მოქცეულ ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლეთით ლიხის ქედი, დასავლეთით მდ. არფრე ქაზიქი ღვრავდა. ამვე პრიონციაში შედიოდა მდ. ხანისწყლის მხარეში (სამხრეთ) საძლებელია ელინისტური ხანის „კანის ქვეყანა“ (საჯავახოს ქედამდე).

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოს მარგე დაუკარგავს. ძველი და ახალი ერის მიჯნაზე ეს პრიონცია ეგრისის (კოლხეთის) საზღვრებშია.

II საუკუნის პირველ ნახევარში, ქართლში ფარსმან II ქელის მეფობის დროს, მარგე კვლავ ამ სამეფოს შემადგენლობაში შემოდის. მისი გარდაცვალების შემდეგ კი კვლავ ეგრისის საზღვრებში ექცევა. ასეთი ვითარება დაახლოებით სამი საუკუნე ვრძელდება.

ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს (V ს. უკანასკნელი მესამედი) მარგე, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, ქართლის სამეფოს საზღვრებში შედის. იგი გაერთიანებულია თაკვერთან (დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმი) და ებორჩილება ბაკურს, რომელიც იყო „ერისთავი მარგვსა და თაკვერისა“. ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ მარგე კვლავ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს უბრუნდება. VI საუკუნის შუა წლებში სპარსელები მცირე ხნით ახერხებენ მარგეს დაუფლებას და ქართლისათვის მიერთებას, მაგრამ ამ საუკუნის ბოლოდან წლებში ეს მხარე კვლავ ეგრისის საზღვრებში ექცევა.

VII-VIII საუკუნეებში სახელწოდება მარგე თანდათანობით შეცვალა მეორე სახელმა არგუეთმა. ამ უკანასკნელ სახელს ხმარობენ ლეონტი მროველი და ჯუანშერი საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის გადმოცემის დროს. არგუეთი მოხსენიებულია „დავით და კონსტანტინეს მარტვილობაშიც“, რომელშიც VIII ს-ის პირველი ნახევრის ამბებია გადმოცემული ეს გეოგრაფიული სახელი მოხსენიებულია სომხურ გეოგრაფიაშიც (VII ს). აქვე ვხვდებით არგუეთის ქედი ლიხის ქედის მნიშვნელობით.

მარგეს არგუეთით შეცვლის შემდეგ ხმარებაში დარჩა ტერმინი მარგული-მარგელი, რომელიც თითქმის XIX საუკუნემდე იხმარებოდა.

VII საუკუნეში არგუეთი კლავინდებურად ეგრისის საზღვრებში რჩება. VIII საუკუნის დასაწყისში ეს მხარე ქართლის შემადგენლობაში ექცევა. VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზეთის ერისთავმა ლეონმა გააერთიანა მთელი დასავლეთ საქართველო და „აფხაზეთის“ ანუ ეგ-

რის-აფხაზეთის სამეფო შექმნა. არგუეთიც ამ ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ერთეულის შემადგენლობაში შედის.

ამ ხანაში არგუეთის ძველი საზღვრები ფაქტობრივად არ შეცვლილა. კლავინდებურად მოიცავდა ტერიტორიას რაჭისა და ქვემო ქვემო ქველსა და ღიბის ქვესა და რიონს შორის; არგუეთში შედიოდა ხანისწყლის ხეობაც. ამ პერიოდში დაარსებულა არგუეთის საერისთავო.

XI ს-ში არგუეთის ტერიტორია შექცირდა. მას გამოეყო ოსმანია და „L'OSMANIEN“, რომელიც გვიანფეოდალურ ხანაში ლომსიანთხევის სახელთაა ცნობილი. ამ დროის არგუეთის საზღვარი ღიბის ძვიდან კვახჭირამდე იყო გადაჭიმული. X ს-ში შეიქმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო. ბუხებრივია, არგუეთიც მის შემადგენლობაში შევიდა. XI-XIII საუკუნის ისტორიული წყაროები არგუეთის საერისთავოს არ მოიხსენებენ. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფო ორ - აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართულ სამეფოდ დაიყო. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში აღმოჩნდა არგუეთიც. 1329 წელს ქართული სახელმწიფოს მთლიანობა აღდგა და არგუეთიც კლავინდებურად ერთიანი ქართული სახელმწიფოს ერთ მხარეს წარმოადგენდა. XV ს-ის 80-იან წლებში ერთიანი ქართული მონარქია საბოლოოდ დაიშალა. არგუეთი იმერეთის სამეფოში აღმოჩნდა. იმერეთის სამეფოში სასარდლოების ჩამოყალიბების შემდეგ, ძველი შუაფეოდალური არგუეთი ორ ნაწილად გაიყო. მისი უდიდესი ნაწილი ზემო მხარეში| ზემო ქვეყანაში შევიდა, ხოლო დასავლეთი მხარე საკუთრივ არგუეთის| არგუეთს შეადგენდა. მათ შორის საზღვარი მდ. ჩოლაბურის შენაკადებზე გადიოდა. ეს საზღვარი კელესიურსაც შეადგენდა. არგუეთი თითქმის მთლიანად გელათის საეპისკოპოსოში შედიოდა, მაშინ როდესაც ზემო ქვეყანა ქუთაისის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. XVII-XVIII საუკუნეებში არგუეთი მოიცავდა დაახლოებით დღევანდელ თერჯოლის რაიონს (სოფ. კვახჭირიდან ჩოლაბურამდე). ზემო მხარეში შედიოდა ძველი არგუეთის ის ნაწილი, რომელიც მდ. ჩოლაბურის აღმოსავლეთით მდებარეობდა ღიბის ქვეამდე, იმ რამდენიმე სოფლის გამოკლებით, რომელიც მდ. ჩოლაბურის მარცხენა ნაპირზე იყო განლაგებული. ამასთან, გვიან შუასაუკუნეებში რამდენჯერმე შეიცვალა საზღვარი ქართლსა და იმერეთს შორის ჩხერიძელას ხეობაში.

ვერსის (ლაზიკის) ერთ-ერთი ისტორიული მხარე იყო ოსმანია (შუხურიხი). იგი სამეფოს ცენტრალური პროვინცია იყო. მოიცავდა იმერეთის ვაკე ტერიტორიას მდინარეებს რაიონსა და ცხენისწყალს

შორის. ეს სახელწოდება წარმოდგება ციხე „მუხურისიდან“ (გარდაიქმნა ახლანდელი დაბლაგომის მოდამოებში – სამტრედიის რაიონი), როგორც ამ მხარის უძველესი ცენტრი უნდა ყოფილიყო. VI საუკუნეში მხარის მეორე ცენტრი უჭიმურობის ციხე ყოფილა ეს უნდა იყოს მხარის უძველესი ყოფილა დასახლებული, ეკონომიკურად დაწინაურებული დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე. აქ გადიოდა სამეფოს მთავარი სავაჭრო-სამომოსვლო მაგისტრალები. XI-XII საუკუნეებში მოხირისის მხარეს ეწოდებოდა სამოდალათი. XI საუკუნიდან უკვე ვეხვდება წყაროებში ეს ტერმინი ქუთაისის ხანაების აღსანიშნავად. სამოქალაქო წარმოადგენდა ჯერ გაერთიანებულ საქართველოს, შემდეგ კი იმერეთის მეფეთა დომენს. მას იმერეთის სამეფოს პერიოდში „ვაკე იმერეთი“ ეწოდა. ეს სახელწოდება წყაროებში XVII საუკუნიდან ვეხვდება („ვაკე“). იგი იმერეთის სამეფოს პირველი სადროშოს შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ ამ ვაკე იმერეთის შესახებ აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი, რომ „პირველად იყო საერისთიო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქნა ქუთათისისა, ოკრიბისა თანა“. ეს უნდა მომხდარიყო VIII საუკუნის I ნახევარში. ამ პერიოდში იწყება ქუთაისის, როგორც პოლიტიკური და კულტურული ცენტრის აღზევება. ამ დროს იგი მეტოქეობას უწევს ციხე-გოჯს, ხოლო საუკუნის დასასრულისათვის გადაიქცევა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. ასე, რომ VIII საუკუნეში კვლავ აღსდგა ქუთაისი, როგორც პოლიტიკური ცენტრი. ქუთაისის საერისთავოში შედიოდა ვაკე იმერეთი, ოკრიბა და ხანისწყლის დასავლეთი მხარე გურიაძე (გვიანფეოდალური ხანის საჩხვიძო, საჩინოსალიძინაო, საჩიჯავაძო და საჯავახო). ქუთაისის საერისთავოს უფრო გვიანდელ წყაროებში „ქუთაისისა სამოქალაქო“, ანდა „სამოქალაქო“ ეწოდება.

ომარიაა წყაროებში იხსენიება XI საუკუნეში. გვიანდელ შუა საუკუნეებში ოკრიბას დასავლეთით გამოყოფდა მდ. რიონი, ჩრდილოეთით რაჭის ქედის ერთი მონაკვეთი, ჩრდილო-დასავლეთით ლეჩხუმებიდან რაჭის ქედის გაგრძელება (მდ. ლეხვიდარას მარცხენა ნაპირის ვასწვრზე), სამხრეთით – იმერეთის ვაკე, სამხრეთ-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით არგვეთის მთების მასივი. იმერეთის სამეფოს სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფით ოკრიბა მეოთხე სადროშოში შედიოდა. სასულიერო ხელისუფალი გელათის ეპისკოპოსი იყო.

ისტორიული მხარე იყო აგრეთვე შპრსაში, რომელიც რიონის მარცხენა მხარეზე ფერსათის ქედამდე მდებარეობდა. მოქცეული იყო

მდ. ხაზისწყალსა და გურიას შორის. VIII საუკუნეში იგი ქუთაისის საერისთავოში შევიდა; ვაცილებით გვიან, XVIII საუკუნეში ფერსათი, ან სალომინაო იმერეთის მეფემ ალექსანდრე V-მ რაჭის ერისთავთა გვერდით შტოს წარმომადგენელს ვადევან ერისთავს განსაკუთრებულ მას ბარის ერისთავის ტიტული მიანიჭა. გარდა ამისა, ფერსათის ტერიტორია რაიზე იყო საჩხვიძო, საჩიჯავაძო და საჯავახო.

იმპერატორის სამხრეთ. ქართული ფეოდალური სახელმწიფო XV-XIX საუკუნეებში წარმოიქმნა საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დამშლის შედეგად. ეს პროცესი საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარებიდან დაიწყო და XV ს. II ნახევარში დასრულდა. ჯერ კიდევ დავით ნარინი XIII საუკუნის II ნახევარში არსებითად იმერეთის მეფე იყო. იმერეთის სამეფოში შემავალი ოდიშისა და გურიის სამთავროები XVI საუკუნის შუა წლებში ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდა. XVII საუკუნის დამლევს იმერეთის სამეფოს აფხაზეთის სამთავრო ჩამოცილდა, უფრო გვიან კი - ხვანთისა. ამის შემდეგ იმერეთის სამეფო საკუთრივ იმერეთთა და რაჭით შემოიფარგლა. ლეჩხუმი ხან იმერეთის მეფეს ეპყრა და ხან ოდიშის მთავრებს.

იმერეთის სამეფოს აღმოსავლეთით ქართლის სამეფოსაგან ლიხის ქედი ყოფდა, დასავლეთით ოდიშის სამთავროსაგან - მდ. ცხებისწყალი, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი და სამხრეთით ფერსათის ანუ აჭარა-იმერეთის ქედი. იმერეთის სამეფოს დასავლეთი და სამხრეთი საზღვრები ხშირად იცვლებოდა. დასავლეთით იმერეთის მეფეს საქვილაო-სამიქელაოს ოდიშის მთავრები ეცილებოდა, სამხრეთით საჯავახოს გურიელი თვისებდა.

იმერეთის სატახტო ქალაქი ქუთაისი იყო. აქვე იყო მეფის მთავარი რეზიდენცია. XVII საუკუნეში იმერეთის სამეფოს 40 ათასი მეომრის გამოყვანა შეეძლო. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ამ სამეფოში დაახლოებით 120 ათასამდე მცხოვრები იყო.

იმერეთის სამეფოში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, ფეოდალურ-ბატონიშური ურთიერთობა იყო. არსებობდა მრავალი სათავადო - მხეიძეთა, ჩხეიძეთა, მიქელაძეთა, რაჭის ერისთავთა, იაშვილთა, ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, აგიაშვილთა, წერეთელთა, წულუკიძეთა და სხვ., რომელთაც სავადასახადო, ადმინისტრაციული და ნაწილობრივ სასამართლო იმუნიტეტი ჰქონდათ მოსოვებული და ტერიტორიულად და პოლიტიკურად განცალკევებულ ფეოდალურ ერთეულებს წარმოადგენდნენ. XVIII ს. შუა წლებში იმერეთის სამეფოში

100-მდე თავადი იყო. ისინი მეფის ან უფლისწულის ვასალები იყვნენ. იმერეთის მეფესა და მათ შორის განუწვევებელი ბრძოლა იყო. იმერეთის სამეფოს სათავეში მეფე იდგა. ის იყო ქვეყნის უზენაესი მმართველი. წარმოშობით ბაგრატიონთა დინასტიის დასავლურ შტოს (ქვემო მთიანეთის შტოს) ეკუთვნოდა. მეფე ფორმალურად შეუზღუდველი იყო, მაგრამ ფაქტობრივად მისი ძალაუფლება დიდად იყო დამოკიდებული მსხვილი თავადების ნება-სურვილზე. იმერეთის სამეფოს კარზე არსებობდა „დარბაზი“ ანუ სახელმწიფო საბჭო, რომელშიც მაღალი ხელისუფლებით აღჭურვილი მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალები შედიოდნენ. მართვა-გამგეობის სტრუქტურა ქართლისა და კახეთის სამეფოთა მიმსგავსებით იყო აგებული. 1651-61 წლებში იმერეთის სამეფო ოთხი სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულად – სადრომოდ ანუ სასარდლოდ დაიყო: რაჭის, არგვეთის (ზემო იმერეთი), ვაკისა და ოკრიბა-ლენჩხუმის. იმერეთის სამეფოში სარდლის სახელო (თანამდებობა ძველ საქართველოში, გამგებლობა), ისე როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ გარკვეულ თავადურ საგვარეულოებს: „ზემო ქვეყნის“ ანუ „ზემო მთიანის“ (ზემო იმერეთი) – წერეთლებს, ვაკისა (ქვემო იმერეთი) – წულუკიძეებს, ოკრიბა-ლენჩხუმისა – აგიაშვილებს და რაჭის – რაჭის ერისთავებს. 1769 წელს, რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, რაჭის სასარდლო ზემო იმერეთის სასარდლოს შეუერთდა. ველაზე მსხვილი ფეოდალი მეფე იყო, რომლის დომენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში იყო მოქცეული. სოლომონ II-ის დროს (1789-1810) მეფის დომენი (მამული) 26 სამოურავოსაგან შედგებოდა. თათოვულ სამოურავოს საკუთრივ მეფის მოურავი განაგებდა. მაღალი თანამდებობის საერო მოხელეთა შორის იმერეთის სამეფოში უპირველესი ადგილი სახლოუხუცესს ეკავა. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი დასავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო. იმერეთის სამეფოში 4 საეპისკოპოსო იყო – ქუთაისის, გელათის, ხონის და ნიკორწმინდის.

1555 წ. ირან-ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით გურია-ოდიშის სამთავროები და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ოსმალეთს ერგო. XVI-XVIII სს. განსავლობაში იმერეთის სამეფო ოსმალეთის აგრესიის მუდმივი ობიექტი იყო. XVII ს. I ნახევრიდან იმერეთის სამეფო ოსმალეთის ხასარგებლოდ ყოველწლიურად ზარკს იხდიდა. ამავე საუკუნის 60-იან წლებში კი ოსმალთა გარნიზონი იდგა ქუთაისში. 1752 წელს, როცა სოლომონ I გამეფდა, იმერეთის სამეფოს მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები ქუთაისის, შორაპნის, ცუცხვა-

თის, ბაღდადისა თურქებს ესვრათ. სოლომონ I-ის მეფობაში (1752-84) სამხიარო და საგარეო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. სოლომონმა დაამარცხა თურქი ინტერვენტები და XVIII ს. 60-იან წლების მიწურულს გაათავისუფლა მათგან იმერეთის ცენტრალური ნაწილი. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, ისევ შიორა ცენტრალური ხელისუფლების ძლიერება. 1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის სამხედრო მოხელეებს დაიწვეს ნიადაგის მოშადება იმერეთის სამეფოს გაუქმების მიზნით. სოლომონი დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად ბრძოლას განაგრძობდა. 1810 წ. მოხდა იმერეთის აჯანყება, მაგრამ იმავე წელს რუსეთის თვითმპყრობელობამ გააუქმა იმერეთის სამეფო და იქ თავისი მმართველობა დაამყარა.

სამეგრელოს ისტორიული-წინაპირობა

სამეგრელოს ისტორიული წარსული დაკავშირებულია ძველ კოლხეთთან, რომელშიც ძალიანად შედიოდა დღევანდელი სამეგრელო. ამასთანავე, ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ეს მხარე იცვლიდა თავის გეოგრაფიულ-პოლიტიკურ სახელწოდებას. უძველეს დროს მას ეწოდებოდა „კოლხიდა“ ან „კოლხეთი“. სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ ძვ. წ. II-I ათასწლეულთა მიჯნაზე კოლხების ტომის ქვეყნობით ქორთხის აუზსა და კოლა-არტანის მხარეში ჩამოყალიბდა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ურარტულ წარწერებში „კულხას“ („კოლხას“) სახელწოდებითაა ცნობილი. ძვ. წ. VIII საუკუნისათვის ეს გაერთიანება უკვე იმდენად ძლიერი იყო, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის გარდა, მოიცავდა მის აღმოსავლეთ სანაპიროსაც. აღნიშნული პერიოდიდან კოლხეთი მჭიდროდ უკავშირდება ბერძნულ სამყაროს. სწორედ ამ დროიდან ჩნდება ანტიკურ ავტორთა პირველი ცნობებიც ამ ქვეყნისა და აქ მოსახლე ტომების შესახებ. ტერმინი „კოლხები“ იხსენიება, ასევე ძვ. წ. IV ს-ის უცნობი ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის მიერ შედგენილ „პერიპლუსში“. ასევე ქსენოფონტის „ანაბაზისში“ (IV ს. ძვ. წ.). კოლხეთის შესახებ საყურადღებო ცნობებია სტრაბონის შრომებში. გვიანანტიკური ხანის ბერძენ-რომაულ ავტორთა ნაშრომებში ტერმინები „კოლხები“ და „კოლხეთი“ განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება.

„კოლხეთი“, როგორც შემკრებლობითი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნება, ამ ტერმინის ფართო გაგებით, აღნიშნავდა მიწის დასავლეთ აზიურკავკასიის ზღვისპირეთს. ჩრდილოეთით ამ სახელწოდების საქარტო პული ქვეყანა ეზღვებოდა კავკასიონის დიდ მთაგორების, კავკასიონის ქედის ქედს. ცხადია, ასეთ ფართო ტერიტორიაზე სხვა ტომებიც ბინადრობდნენ. ამ გაერთიანების პეკემონი უნდა ყოფილიყო ამ ტერიტორიაზე მობინადრე ტომი — „კოლხები“, რის გამოც მიუღ ამ გაერთიანებას „კოლხას“ ანუ „კოლხას“ გაერთიანება ეწოდებოდა. თავდაპირველად ბერძნები სწორედ ამ გაერთიანებას გვეყენ და მის უწოდეს „კოლხიდა“ — ამ გაერთიანების პეკემონი ტომის „კოლხების“ მიხედვით.

კოლხას განადგურების შემდეგ კოლხეთის სამეფოს წამყვანი ეთნიკური ჯგუფი ნაწილობრივ განდევნილ იქნა თავისი ოლქიდან (ქოროხის აუზი). ამის შემდეგ რომის აუზში ჩნდება ახალი გაერთიანება — კოლხეთის სამეფო, რომელსაც მკვლევარები პირობითად ჩრდილო კოლხურ სამეფოს უწოდებენ. ამასთან, „კოლხიდას“ და „კოლხების“ ტერმინის ჩრდილოეთით ვადაცკლება გამოიწვია აწინდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიისა და ძველი მოსახლეობისათვის მათი მიკუთვნება. ეს მოხდა ბერძნებისა და რომაელების მიერ, თორემ ქართულ წყაროებში იგი ამ ფორმით არ არის მოცემული. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ამ ქვეყანას კოლხთა ტომის სახელი ზოგად სახელად ვერ დაერქვოდა, თუ რომ იქ კოლხებს წინათაც თავიანთი, ვისროდ შემოფარგლული, მსალოდ მათი ტომით დასახლებული თები არ ექნებოდათ“. მისი აზრით „კოლხი“ და „კოლხა“ ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული. მეცნიერები მზარს უჭერენ ამ მოსაზრებას, რომ ტერმინი „კოლხეთი“ და „კოლხები“, მართლაც, სახელწოდება „კოლას“ უნდა უკავშირდებოდეს. ამ სახელწოდებას ატარებენ უფორდ კოლას ოლქსა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიაზე კოლხას პოლიტიკური გაერთიანების შემქმნელი ტომები — მიუღ მისი არსებობის მანძილზე, კოლხას გაერთიანების, დაკებისა და დაშლის, დალდაკვალ მომხდარ დიდ ეთნო-პოლიტიკურ ძვრებს, თან სდევდა საკუთრივ კოლხთა ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ვადაცკლება-გადაადგილება კოლხეთის ჩრდილო და ცენტრალური რეგიონებისაკენ, სადაც მრავალი სხვადასხვა სახელწოდების დასავლურ-ქართული ტომი სახლობდა. ერთ-ერთი ასეთი ტომი, რომელიც კოლხებმა დაფარეს არის შასანთა ტომი. ამდენად, ფასიანი კოლხებზე უფრო ადრე გაჩენილი ზოგადი მნიშვნელობის ეთნიკურ-გეოგრაფიული ცნება იყო, ტერმინმა „კოლხი“.

„კოლხეთი“ ქართულ წყაროებში იმიტომ ვერ მხოვა ამაზე, რომ ქართული ლიტერატურული ძეგლების შექმნის პერიოდში იგი მკვე შეცვლილი იყო „ლაზიკის“ სახელით.

ერ. 1955 წ. 11

რომაელების შემოსევას შემდეგ, ძველი კოლხების ქვეყანა მესვეურება გადადის ლაზების ან ვერისელების ხელში. მთელ ამ მხარესაც რომაელებმა უწოდეს „ლაზიკა“. თუმცა, ამის შემდეგაც ამ მხარეს დიდხანს შერჩა პარალელურად თავისი პირვანდელი სახელწოდებაც. IV-V საუკუნეების ავტორებთან ლაზები ზოგადად დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაა.

V საუკუნეში ლაზთა მუყე ვებსაში რომელიც ბიზანტიელებს განუღვა და რომლის წინააღმდეგ მათ ომი აწარმოეს, უდავოდ მთელი დასავლეთ საქართველოს მუყეა. ადენად, ლაზები იგივე კოლხები არიან, ხოლო „ლაზიკე“ ძველ კოლხიდას აღნიშნავს. მათი განსახლების სამხრეთი საზღვარი მდ. ჭოროხის შესართავია. ჩრდილოეთით ლაზებს ემეზობლებთან ზღვის სანაპიროზე აფხილები, შემდეგ კი ამახვები. ასეთი ვითარება VII-VIII საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში. აღსანიშნავია, რომ ლაზურ-მეგრულ სამეფოს ეს რომულ-ბიზანტიური სახელწოდება – ლაზიკა ქართულ საისტორიო მწერლობაში ცნობილია „ვერისის“ სამეფოს სახელწოდებით. აქედან არის ნაწარმოები მეგრელების სატომო სახელი ძველ სომხურში „ვეურ“-ქ და აფხაზური აგრ-ეა. ამ ფუხიდან – „ვეურ“ ნაწარმოებია ქართული მ-პირი-აღს და ადვილობრივი მ-არბ-აღს. ადენად, სამეგრელოს ძველი ქართული სახელწოდება – შირსისი და შემდეგში აქედან ნაწარმოები სამ-ვერ-ული აღნიშნავა რომულ-ბიზანტიურ – ლაზიკას.

ლეონტი მროველს სახელწოდება ვერისი გამოძიკავს მეგრელების ძითური წინაპარი – ვეროსისავან. ვეროსისათვის თარჯამოსს მთუცია დღევანდელი დასავლეთი საქართველო. ლაზიკა-ვერისის სამეფოს ეჭირა დღევანდელი გურიის, ქვემო იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის ტერიტორიები. პოლიტიკური ცენტრი და სატასტრო ქალაქი იყო არამურაოლისი (ხოქალაქევი).

სახელწოდება მბრისის მიღებულია მბრის ტოპონიმიდან. ის მნიშვნელობით იგივეა, რაც სმოუნის რელექტით მოსგანვე მომდინარე – მუელობით ან უმუელოდ – უფრო გვიანდელი ვერი (-ვეური) და ამ უკანასკელისავან ნაწარმოები – შედარებით მოგვიანო, თუმცა თავისთავად ძალიან ძველი – ვერი-ის-ი (-ვერ+ის-ი). „ვეური“ ამ

მნიშვნელობით დამოწმებულია XI საუკუნის ისტორიკოს დიონისე მროველთან, რომელიც ეტყობა სარგებლობდა უფრო ძველ წყაროებით — VII-VIII სს.

რედუცირებული ვერ-ი-ც (←ვეურ-ი) რომ პადრონიწმუნი შეიძლება ყოფილიყო და ნიშნავდა „ენგურს“, ამას უნდა მოწმობდეს ენგურის უძველესი აფხაზური სახელი „მბრ“, „მბრა“. წყაროებში მოხსენიებულია აგრეთვე შიდა ვერი (შიდა სამეგრელო), ვერის წყალი (სამეგრელოს წყალი, დღევანდელი დაწინააზრებული აგრეთვე ძირია წარმოდგენილი ძველ ქართულ მ-ვერ-ში-ი (ღ. მროველი), მერძინდელ მ-ვერ-ელ-ში, სამ-ვერ-ელ-ო-ში და ძველ წყაროებში დამოწმებულ სა-ვერ-ო-ში (მატიანე ქართლისა, ისტორიანი და ახმანი შარავანდელთანი).

მ - თავსართიანი ფორმა მეგრულში (ე-გურ-ი→ენგურ-ი→ინგურ-ი→ინგურ-ი→„ენგური“) ქართულიდან უნდა იყოს შესული, ნ - თანხმოვნისანი ფორმა კი (ე-ნ-გურ-ი...) მეგრულისათვის დამახასიათებელი ნ ელემენტით, ქართულში მეგრულიდან უკანეე დაბრუნებული ფორმა ჩანს. ასევე, აფხაზურში მბრ „ენგური“ ქართულიდან უნდა იყოს შესული. ქართულში მომხდარა ხმოვანთა ასიმილაცია (ვეურ→ვეერ -) და რედუქცია (ვეურ→[ვეარ-]→ვერ...), შემდეგ კი მბრ - ძირიდან უწარმოებიათ ვერ-ის-ი... ამრიგად ვეური, ვერი, ვერისი ძველ ქართულში სინონიმებია და ნიშნავს იმდროინდელ სამეგრელოს ანუ დასავლეთ საქართველოს.

VIII საუკუნის დასასრულს ვერისის პარალელურად და მის შემცველად ფეხს იკიდებს ტერმინი აფხაზეთი (იოანე საბანის ძე), შემდეგ კი ამავე მნიშვნელობით იმერეთი. ამის შესახებ თვით ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ქვეყანა ამისა სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად მბრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიტყვა „მეგრული“ დასავლეთ საქართველოს უძველეს ქართული სახელწოდებიდან „ვერი“||„ვერისი“ მოდის. სიტყვა „მეგრულიდან“ სა-ო პრეფიქს-სუფიქსის დახმარებით მივიღეთ გეოგრაფიული ტერმინი „სამეგრელო“. ეს ტერმინი პირველად მაქსიმე აღმსარებლის იმ ქართულ რედაქციასა, რომელიც ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს და მწერალს ექვთიმე ათონელს ეკუთვნის (XI ს. პირველი ნახევარი). მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ბერძნულ დედანში სამეგრელოს ნაცვლად ლაზიკაა ნახმარი. მოუხედავად ამისა, XII საუკუნის I ნახევარში „დავით და კონსტანტინეს ცხოვრებაში“ სამეგრელო ბევრად უფრო ვიწრო მნიშვნელობითაა ნახმარი და დასავლეთ

საქართველოს მხოლოდ იმ ნაწილს ეწოდება, რომელიც დასავლურ-ქართული ტომით – მეგრელებითაა დასახლებული. გამოდის რომ XI ს-ში სამეგრელო აღნიშნავს როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე საკუთარ მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიას. მოხდენით ნაწილი სამეგრელოს მხოლოდ ეს ბოლო მინაარსი შემორჩა.

სიტყვა „მეგრელიდან“ მოდის XV-XVIII სს. დასავლეთევროპულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული **Migrelia**||**Mingrelia**||**Mengrelia**||**Mingrelia**. წყაროებში ეს სახელი ძირითადად იმ დასავლურ ქართულ სამყაროს ეწოდება, რომელსაც გვიან შუა საუკუნეებში დადიანთა საგვარეულო განაგებდა. ამას გარდა, XV ს. ეს სახელი ზოგჯერ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთსაც აღნიშნავდა. „მეგრელიდან“ მოდის რუსული „**Мингрелия**“, რომელიც პირველად 1595 წ. კახეთში რუსი ელჩობის ამსახველ მასალებშია დამოწმებული (ბელოკუროვი). აქაც და შემდგომში „**Мингрелия**“ დადიანების სამეგრელო ქვეყანას აღნიშნავდა.

„**Mingrelia**“ თუ „**Мингрелия**“ განსხვავებით სამეგრელოსგან გვიან შუა საუკუნეებში პოლიტიკურ-გეოგრაფიული ტერმინი არ ყოფილა. მის ნაცვლად ძირითადად მეგრელებით დასახლებულ იმ სამთავროს, რომელსაც დადიანთა საგვარეულო განაგებდა, გვიან შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო წყაროებში თითქმის ერთხმად „**ოდიში**“ ეწოდებოდა.

სახელწოდება „**ოდიში**“ პირველად „**ახლია საღრსის იხონიამის**“ XI ს. ხელნაწერის ანდერში ვხვდებით. XIII საუკუნეს განეკუთვნება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული გიორგი ღვთისმეტყველის თხზულების ერთი ხელნაწერი, რომლის თანადროულ მინაწერში ოდიშაა მოხსენიებული. „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე ოდიში პირველად თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ვხვდებით, სადაც ოდიშის ერისთავი ბედიანია მოხსენიებულია. თამარის ისტორიკოსთან მოხსენიებული ბედიანი ანუ ბედან დადიანისაგან მოდის ოდიშის ერისთავთა პირველი გვარეულოსა, რომლებსაც სამეფო ხელისუფლებასთან ბრძოლაში თანდათანობით მაღლწიეს დამოუკიდებლობას და თავიანთი საერისთავო სამთავროდ აქციეს. ამიტომაც ამ სამთავროს, რომლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მეგრელები წარმოადგენდნენ, **ოდიშის სამთავრო** ეწოდა.

ოდიშის ეტიმოლოგიის პირველი ცდა ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის. იგი ამ სახელწოდების წარმოქმნას ფარნავაზის ხანას უკავშირებს:

„ხოლო... განდგნენ რა, უგრიხის მდინარის იქითი და მიერთნენ ბერძენთა, იტვილიან: „ოდიშში იყოძე ქვეყანა იგი ჩუენი“, და ისახელობენ სხიმიდეს ერთი“. იოანე ბატონიშვილის აზრით, სახელწოდება ოდიში უნდა დაეკავშირებინათ ბერძენულ სიტყვას „ოდი“ (ძველი ბერძნული ὀδύνη - ტანჯვა, ტანჯვა) და „ში“ (ძველი ბერძნული σῆμα - ნიშანი, ნიშანი). VIII ს. არაბთა შემოსევის შემდეგ ბერძენი მურვან ერეს მიერ დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოდიში ეწოდა მურვან ერეს დროსა, ოდეს ცხენის წყალი გადმოსხდა და დაანთქა მხედრობა ოცდაათ ათასამდე სული და ურიცხვნი ცხენნი და ჯორნი. მაშინ სპარსთა თქვეს: „ხუდაიმიდურ“ ე.ი. ღვთის საქმეო და მერე ენის ცვლილებების გამო ეწოდა ოდიში. მოხე ჯანაშიელის მიხედვით, ოდიში უნდა აღნიშნავდეს ოცობის ქვეყანას, ან კიდევ დასახლებულ ქვეყანას ოდა-სახლი. არის კიდევ სხვა მოსაზრებები ოდიშის სახელის წარმოშობასთან დაკავშირებით. ს. კაკაბაძე უკუთმობს აქ მოსახლე სატომო სახელს დიზერებს (დიმი, მგერული თავსართით - ოდიში). ნიკო მარს ოდიში დიზერებს თუ ჯიქებს სახელიდან გამოჰყავდა. უკუთმობს ბერიძე სახელწოდება ოდიშს მგერული ღვთაების „ოდის“ სახელს უკუთმობდა. მოუხდავად ზემოთ აღნიშნულისა, სახელწოდება ოდიშის ეტიმოლოგიის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის.

როგორც ზემოთ აღნიშნა, სამეგრელოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა საერისთავო. XI-XII საუკუნეში საქართველოს პროვინციების მართვა-გამგეობა ერისთავებს აქონდათ ჩაბარებული. ერისთავებს ნიშნავდა მეფე და მათ ეწოდებოდათ „საქვეყნოდ გამოიგე მოხელენი“. თამარის დროს არსებობდა შემდეგი საერისთავოები: სვანეთის, ცხუმის (აფხაზეთის), ოდიშის (სამეგრელოს), რაჭის, ქართლისა და ჰერეთის მეტატანის ცნობით, თამარს ოდიშის საერისთავოში განუწყესებია ბედიანი. ერისთავი თავის სახელისუფლოში უფლებამოსილი პირი იყო. ის ეკუთვნოდა მაღალ მოხელეთა წრეს და უფლება აქონდა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო საგანბროში. ამდენად, ოდიშის ერისთავი ინიშნებოდა საქართველოს მეფის მიერ და იგი ვალდებული იყო მეფისათვის გაეწია ერთგული სამსახური. ოდიშის დაწინაურება თამარ მეფის დროს დაიწყო, როცა თამარის კარზე აღზევებულმა მსახურთუხუცესმა ვარდან დადიანმა მიიღო შეწყალებით „საპატრიონოდ“ ღიბთ-იმერეთი. რუსუდანიის მეფობაში (1223-1245) დაწინაურებულია ცოტნე დადიანი, რომელსაც საქმოდ დიდი პოლიტიკურ-სახოგადოებრივი გავლენა აქონდა იმპერიონდელ ერისთავ-დიდებულთა შორის. რუსუდანიის მოწოდებით ცოტნე დადიანი ებრძოდა ჯალალედინს, რომელსაც აიღო თბილისი 1225 წელს და რუსუდანი გაიხიზნა ქუთაისში. ეს ის ცოტნე დადიანია,

რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართველ დიდბრუნ-
ერისთავების მიერ მონღოლების წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში
კოხტას ციხეზე. ამ შეთქმულებაში დადიანმა გამოიჩინა გმირისა და
ამხანაგებისადმი თავდადება.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ოდიშის
ერისთავები ბედიან-დადიანები ვერ ბედავდნენ მეფის ურჩობას და მას
უწყვედნენ ერთგულ სახელმწიფოებრივ სამსახურს. ოდიშის საერისთავო-
ში იმყოფებოდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო, რომელსაც საქართველოს
ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ქონდა დიდი პოლიტიკურ-
საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ჭყონდიდელი იყო მეფის მრჩეველი,
მართლმსაჯული და უღონოთა და ჭერიეთა მზრუნველი. მეფის შემდეგ
მწიგნობართუხუცესი იყო ჭყვინის უზენაესი წარმომადგენელი და
პოლიტიკის მიმართულების მიმცემი. ერისთავებმა ისარგებლეს რა,
იმერეთის სამეფოს შინაური შფოთითა და განხეთქილებით, მოიპოვეს
საერისთავოს დამოუკიდებლობა. მათ შორის ძლიერი იყო ოდიშის
საერისთავო, რომლის პირველ ერისთავ-მთავრად უნდა ჩაითვალოს
გიორგი I დადიანი. მისი შემკვიდრების საზრუნავი საქმე იყო დამოუ-
კიდებლობის შენარჩუნება და სამთავროს საზღვრების გაფართოება-
გამაგრება. ამ ხანებში ოდიშის ცალკე სამთავროს გამოყოფა და გან-
ცალკეება საფრთხეს უქმნაღებდა იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ
მოღაიანობას და მის დამოუკიდებელ არსებობას.

ოდიშის საერისთავოს ბაზაზე XIV-XIX სს-ში ჩამოყალიბდა ფეო-
დალური სამთავრო - სამეგრელოს (ოდიშის) სამთავრო. ოდიშის
მთავრების პირველი დინასტია დადიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.
XVI ს. 50-იან წლებამდე ოდიშის სამთავროს მთავრები სამეფო
ხელისუფლების უზენაესობას აღიარებდნენ და ერისთავთ-ერისთავისა
და მონდატუროთუხუცესის თანამდებობები ეკავათ. XIV ს. I ნახევარში
სამეგრელოს გამაგებლებმა ცხუტის საერისთავო შეიერთეს და XVI ს-
მდე ოდიშის სამთავროს ეკავა ტერიტორია მდინარეების ცხრისწყალსა
და ანაკოფიისწყალს შორის. ხშირად ოდიშის მთავრებს ემორჩილებოდა
ბაღის ჭეშო სვანეთიც. 1557 წელს ლევან I დადიანმა იმერეთის
სამეფო კარისაგან სრულ დამოუკიდებლობას მაღწია. ამის შემდეგ
ოდიშის მთავრები „ხელმწიფე დადიანის“ ტიტულს ატარებდნენ. XVI-
XVII სს-ში საზღვრებმა ჩრდილო-დასავლეთით მდ. კლასურამდე
გაემოიწია, აღმოსავლეთი საზღვარი კი უცვლელი დარჩა. XVI ს-ში
ოდიშის სამთავროს საზღვრებს ოსმალითა იმპერიამ დაემუქრა. 1578

წელს ოსმალებმა აიღეს ფოთი და შიგ თავისი გარნიზონი ჩაიკრეს. ოდიშის სამთავრო განსაკუთრებით გაძლიერდა ლევან II დადიანის დროს, რომელიც შეეცადა ვანთავისუფლებულიყო ოსმალებზე დამოკიდებულებისაგან, მაგრამ 1615 წელს იძულებული გახდა ემხრონოთ უზენაესობა და ხარკიც ეცისრა მის სასარგებლოდ. 1640 წელს კი ლევან II დადიანმა ოსმალებისაგან გაათავისუფლა ფოთი და ფაქტობრივად დამოუკიდებლობას მაიღწია. მან რამდენჯერმე ილაშქრა აფხაზეთზე, მაგრამ მაინც იძულებული გახდა თავდასხმათა აღსაკვეთად აეგო სიძვრეთა სისტემა – კლასურის კედელი, რომელსაც ძორიგებით იცავდნენ სამთავროს ფეოდალები. ლევან II დადიანის შემდეგ მთავარმა ვამეყ IV დადიანმა მცირე ხნით იმერეთის სამეფო ტახტის დაკავება შეძლო. ოდიშის სამთავროს კარზე დაწინაურდნენ ლეჩხუმის ფეოდალთა საგვარეულოს წარმომადგენლები – ჩიქოვანები. XVII საუკუნის მიწურულს ვიორგი ჩიქოვანმა ვანიმტკიცა სამთავრო ტახტი და მთავართა ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი. ოდიშის სამთავროს დასუსტებით ისარგებლეს აფხაზს ფეოდალებმა, რომლებმაც XVII ს. 90-იან წლებში ხელთ იგდეს ოდიშის სამთავროს ტერიტორია მდ. ენგურამდე. ვიორგი IV დადიანმა რამდენჯერმე წარმატებით ილაშქრა მათ წინააღმდეგ, მაგრამ დაკარგული ტერიტორიების დიდი ნაწილის დაბრუნება ვერ მოხერხდა, საზღვარი მდ. დალიძეაზე გავიდა. საბურზავანო, რომელსაც შარვაშიძეთა ერთი შტო მართავდა, ძირითადად სამეგრელოს მთავრებს ეპორჩილებოდა. XVIII ს-ში ოდიშის სამთავროს საზღვრებში შევიდა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. 1723 წელს ოსმალებმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთ შვეიზრეთისპირეთში. ოსმალითა გარნიზონებმა დაიკავეს ფოთის, ანაკლიისა და რუხის ციხესიმაგრეები. ოდიშის სამთავრო ფაქტობრივად მოწყვეტილი აღმოჩნდა ზღვისაგან. თურქებმა დალაშქრეს ოდიშის სამთავრო, დაწვეს ილორის ეკლესია და აფხაზეთში გადავიდნენ. მიუხედავად ამისა, თურქებმა ვერ მოახერხეს ოდიშის თავის ბრვიონციად გადაქცევა და სამთავროში ქართული მმართველობის მოსაბოძა. საუკუნის მიწურულს ოსმალებს მატროვეს ანაკლიისა და რუხის ციხეები, რომლებიც ოდიშის მთავრის ხელში გადავიდა. 1779 წელს აფხაზმა ფეოდალებმა დიდი ლაშქრობა მოაწვეეს ოდიშის სამთავროს წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა რუხთან. ოდიშის ლაშქარს ეხმარებოდა სოლომონ მუყე. ბრძოლა მოკავშირეების გამარჯვებით დამთავრდა.

XVIII ს. მიწურულს იმერეთის სამეფო შეეცადა შეერთებინა ოდიშის სამთავრო, მაგრამ ვრიგოლ დადიანი დაუკავშირდა რუსეთის ხელისუფ-

ლებას და 1803 წ. 2 დეკემბერს ვრიგოლ დადიანმა ხელი მოაწერა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის მუხლებს. 1804 წ. 4 იანვრის თხოვნა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა და ოდიშის სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა მუხლუღელი ავტონომიის ფორმით. მალე, ზღვით, რუსული ერთი პოლიკა შეიყვანეს და სამთავროს რადიკალურ პუნქტში გაანაწილეს. რუსეთის ხელისუფლების დახმარებით ოდიშის სამთავროს დაუბრუნდა ლეჩხუმის დიდი ნაწილი. 1813 წელს ლევან დადიანმა საბურჯაანოც დაუბრუნია ოდიშის სამთავროს. 1840 წელს კი რუსეთის ხელისუფლებამ ეს მხარე ჩამოართვა ოდიშის მთავარს და თავის უშუალო განმგებლობაში შეიყვანა. 1853 წელს გარდაიცვალა ოდიშის უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი ნიკოლოზ I-მა 1853 წ. 8 ოქტომბრის ბრძანებულებით უფლისწულის სრულწლოვანებაამდე სამთავროს მმართველად დანიშნა დედოფალი ეკატერინე დადიანი. მალე, 1857 წ. 8 სექტემბრის დებულების თანახმად, რუსეთმა იქ რუსული მმართველობა დააწესა და ავტონომია ფაქტობრივად გააუქმა, ხოლო 1867 წ. 4 იანვრის ბრძანებულებით ალექსანდრე II-მ ოდიშის სამთავრო ფორმალურადაც გააუქმა.

რატა-ლაშის უბი

რატა დასავლეთ საქართველოში მდებარე ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის, მხარის, „ქუეყის“ სახელწოდებაა. ეთნოგრაფიულ წარწერებზე დაყრდნობით შეიძლება აღინიშნოს, რომ ტერმინი „რატა“ წერილობით წყაროებში XI საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება. კაცხის საწინამძღვრო ჯვარის წარწერაში მოხსენიებულია რატი რატის ერისთავი. მოგვიანო პერიოდის წყაროებში რატა მრავალჯერ იხსენიება. მათ შორის სოფ. სხვაეას ჯვარის წარწერაში, ნიკორწმინდის ჯვარცმის ხატის ჩარჩოზე და სხვ.

„ქართლის ცხოვრებაში“ სახელწოდება „რატას“ პირველად თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს, იქ, სადაც აღწერს თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალს. ვამთააღმწერლის (XIV ს.) მიერ რატა პირველადაა ფიქსირებული როგორც „ქუეყანა რატისა“. ვამთააღმწერელი რატის ერისთავს რვაგზის ასახელებს. ამასთან, ლეჩხუმს არ იხსენიებს, ჩანს, ამ დროს რატასთან ერთად იყო თავკერაი, ე.ი. ლეჩხუმი.

რაჭველების და რაჭის დასახლებას ეხედებით VII საუკუნის
 სომეხი ანონიზი გეოგრაფის თხზულებაში, რომელშიც როინის სახელში
 მოხსენიებულია „რაჭანები“. ფიქრობენ (ს. ერემაიანი), რომ ესეი აზიან
 რაჭველების წინაპრები აქვე მოხსენიებულია „ხებურები“^{მარ. ქვემოთ} –
 „ღებურები“ და „ქუდეტები“ – კუდაროელები. თუ უკვე ^{მარ. ქვემოთ} აქვე
 თავიერი – V საუკუნეში მაინც ცალკე საერისთავოა და მოიცავდა
 რაჭა-ლენხუმს. წერილობითი წყაროების მიხედვით „თაკვერი“ (VII-
 XI სს.) რაჭასაც ეწოდება და ლენხუმსაც. თამარ მეფის დროს
 „თაკვერი“ მხოლოდ ლენხუმის სახელია. შემატანე „რაჭას“ ცალკე
 იხსენიებს, ხოლო „ლენხუმს“ საერთოდ არ ჩანს, რადგან მის მონაცემულ
 ტერმინად, „თაკვერია“ გამოყენებული. ეს პროცესი უნდა მომხდარიყო
 XI-XII საუკუნეებიდან, რაჭის დაწინაურების ყვაობაზე, ისტორიული
 ტერმინი „თაკვერი“ ლენხუმზე გადავიდა, რაც წერილობითი წყაროების
 გაელენის შედეგია და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების
 გაუქმებამდე შემოინახა. ვანსხვაებულ აზრს გამოთქვამს დ. მუსხელიშ-
 ვილი, რომ რაჭის ძველი სახელწოდება თაკვერია და ეს სახელი
 ლენხუმს მოგვიანებით უნდა შერქმეოდა.

თვით ტერმინ „რაჭის“ ეტიმოლოგია ვერჯერობით დაუდგენელია
 და ვარაუდების სეროში რჩება. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს,
 რომ რაჭამ „სახელი მიიღო ვარემოსთა დიდროვანთ მთათაგან და
 შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ – „იხილე, რა ჭაა არს ადგილი
 ესე“ ცხადია, ეს ხალხური ეტიმოლოგიაა, სინამდვილეს არ შეესაბამება.
 ასევეა ხალხური ეტიმოლოგია რაჭის სახელის ახსნა თამარ მეფის
 სახელითან. თითქოს თამარ დედოფალს სოფელ შქურის სანახებიდან,
 სადაც ახლა „ჭვაგახეთქილა“ და „დედოფლის კლდეა“, როინის ღრმა,
 წარმტაც ხეობაში ვადმოუხედაეს და აღმოხდენია – „ღმერთო ჩემო,
 რა ჭაა ესო!“ აკადემიკოსი აკაკი შანიძე აღნიშნავს, რომ გეოგრაფიულ
 სახელს რაჭას საფუძვლად უდევს რაბინი. ეს სახელი სვანურია
 წარმომდობით და ნიშნავს რაჭიანის, „სარაჭიანოს“, რაჭიში – რაჭმა –
 რაჭა. თ. ბერაძე არც ამ ახსნას უჭერს მხარს და ვარაუდობს, რომ
 რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იველევის მუხლობრივ ანგარიშებში
 მოხსენიებულია დასახლებული პუნქტი რაჭა. ეს პუნქტი კი გაიგივე-
 ბულია ნიკორწმინდასთან. გამოდის, რომ XI საუკუნემდე ნიკორწმინდას
 რაჭა ერქვა. მაგრამ რუსი ელჩების გარდა არსად არ არის დადასტურე-
 ბული რაჭა პუნქტის სახელიად. ნიკო ბერძენიშვილი, აგრეთვე, რაჭის
 სახელს თავდაპირველად ციხე-ციტადელი – რეზიდენციის სახელში

ხედავს, რომელიც შეძლებდა მხარის სახელწოდებად გამოიხატა. მიუხედავად ამისა, როგორც ზემო აღინიშნა, რაჭა ციხის ამ დასახლებული პუნქტის სახელად არ დასტურდება აკადემიკოს ვიორჯი ანდრონიანის გამოთქვამს აზრი, რომ რაჭა წარმოშობილი უნდა იყოს სქესი „რაჭუ“-საგან (კურდღელი). ლევან ფრუიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს სახელი დაკავშირებული უნდა იყოს ჭანთან (სატომო სახელი). დაახლოებით ასე ხსნის თ. მიძინაძე. იგი აღნიშნავს, რომ თუ ამბროლაურის რაიონი ოდესმე დასახლებული იყო ჭანებით, ხოლო ონის რაიონი სვანურენოვანი ხალხით, მაშინ იმ სვანებს ჭანების დასახლები-სათვის შეიძლება ეწოდებინათ „ლაჭანა“, ე.ი. საჭანო. შემდეგში ლ და რ ბგერების ერთმანეთში მონაცვლეობა მოხდა. ასეა თუ ისე, რაჭის ეტიმოლოგიის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს და დღემდე მისი წარმოშობაც გაურკვეველი რჩება.

ტერიტორიულად რაჭა ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვრებით არის შემოფარგლული. იგი ზუსტად შეესაბამება თანამედროვე ონისა და ამბროლაურის რაიონებს. მისი საზღვრები ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, ჩრდილო-დასავლეთით ასკისწყალი და თავშავის ქედი, აღმოსავლეთით ჯეჯეორის ხეობა, უღვიანის ქედი, რაჭა იყოფა ზემო და ქვემო რაჭად. მათ შორის საზღვარი გადის ხედიკარის ვიწრობზე, სოფ. წყნთან. საკუთრად ზემო რაჭაში გამოიყოფა მთის რაჭა (სოფლების - ღების, ვლოლის და ჭიორას არეალი).

თავდაპირველად თავყერის სერისთავთა, რომელიც ვერისის სამეფოში შედიოდა, შემდეგ რაჭა-ლენხუმის სერისთავი იყო. X საუკუნის პოლის შეიქმნა რაჭის სერისთავო. წერილობითი წყაროების მიხედვით, რაჭის პირველი ერისთავი იყო რატი ბაღვაშთა საგვარეულოდან. რაჭის შემდეგ რაჭის ერისთავი იყო მისი ძე კახაბერი. მისი სახელიდან მოდის გვარ-სახელი კახაბერისძე, რომელსაც შუა ფეოდალურ ხანაში ატარებდა ბაღვაშთა ის შტო, რომელიც რაჭის სერისთავოს განაგებდა. რაჭის სერისთავო ერთიანი საქართველოს სამეფოში მნიშვნელოვან ერთეულს წარმოადგენდა. მისი ერისთავეები დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. X-XIII საუკუნეებში რაჭის სერისთავოს ჩრდილოეთით სვანეთის სერისთავო ესაზღვრებოდა. მათი გამყოფი ლენხუმის ქედი იყო. სამხრეთით რაჭის ქედი ესაზღვრებოდა. დასავლეთით თავყერიდან მას გამოყოფდა ვუელისთავის ქედი (ლაბეჭინის სერი), ხოლო უშუალოდ მდ. რაიონის ხეობაში - ის

ვისრობები, რომლებიც სოფ. აღმახას სამხრეთით იწყება, მდ. ვეჯორის აუზში საზღვრები დაღვევილას ქვამდე აღწევდა.

X-XIII საუკუნეებში რაჭის ერისთავები მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ. მათ ვვალეზოდან საერისთავოში სამეფო გადასამხრეხმან მკრეჭა, ლაშქრის გამოყენა და წინამძღოლობა. ამ პერიოდში რაჭის ერისთავის მთავარი რეზიდენცია მინდაციხე იყო. დიდი ციხე-დარბაზი იყო კვარახციხე.

X-XIII საუკუნეებში რაჭის საერისთავო დაყოფილი იყო ცალკეულ ხეობად, რომლებიც ერთ ან რამდენიმე სოფელს აერთიანებდნენ. ხეობი გლეხებთან ერთად ხევის აზნაურებიც შედიოდნენ. თითოეულ ხევს მკონდა თავისი სამლოცველო (ამ დროის ძველებია: პატარა ონის, მთის წმინდა გიორგის, კახის საყდრები, ნიკორწმინდის ტაძარი და სხვ.).

XIII საუკუნის 80-იან წლებში დავით VI ნარინმა გააუქმა რაჭის საერისთავო და სახასო (მეფის, მისი ოჯახის წევრებისა და თავადების დომენი ფეოდალურ საქართველოში) მამულად აქცია. კახაბერის ძეთა საგვარეულო, როგორც ჩანს, ამოწყდა.

XIV საუკუნის 30-იან წლებში გიორგი V ბრწყინვალემ საქართველოს ერთიანობა აღადგინა და რაჭა მის შემადგენლობაში შევიდა. შემდეგში რაჭის საერისთავო კვლავ აღადგინეს საქართველოს მეფეებმა. თავდაპირველად რაჭის ერისთავთა ტიტულს ჭარულიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები ატარებდნენ, ხოლო 1488 წლიდან ჩხეტიძეები.

XV საუკუნის II ნახევარში, საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, რაჭის საერისთავო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. დაახლოებით ამ პერიოდში რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში შევიდა ძველი სვანეთის საერისთავოს ერთი ნაწილი — „მოიულეთი“ (მდ. რაინისა და მდ. ცხენისწყლის სათავეებში). გვიანდელ შუა საუკუნეებში რაჭის საერისთავო ჩრდილო-აღმოსავლეთით უშუალოდ კავკასიონის მთავარ ქედს ეხებებოდა. სვანეთიდან მას ლეჩხუმის ქედი მოეხადა. ლეჩხუმიდან მდ. ასკისწყალი, ხოლო მდინარე რაინის სამხრეთით — რაჭის ქედი, რომლითაც იმერეთისაგან გამოიყოფოდა. აღმოსავლეთით ჯეჯორის ხეობა დაღვევილას ქვამდე აღწევდა. კუდარო, რომელიც ამ მდინარის ზემოთში მდებარეობდა უძველეს შემთხვევაში რაჭის ერისთავებს ემორჩილებოდა. თავდაპირველად კუდარო ქართველებით იყო დასახლებული.

XVI ს. 30-იან წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ რაჭის ერისთავებს მინდაციხე-დარბაზი გადასცა და იმერეთის სამეფოს ახლად შექ-

მნილი სადროშოების შესამე — რაჭის სადროშოს სარდლობა ჩამოა.
რაჭის ერისთავებს საკუთარი სათავადო ჰქონდათ, რომელიც თავისი
ველად მდ. ლეხუნიის ხეობას, სოფ. წესსა და მდ. რიონის ხეობის ვიწ
ნაწილს მოიცავდა. რაჭის ერისთავთა მთავარი რეზიდენცია იყო
მინდაციხე და სასახლე სოფ. წესში. აქვე იდგა ერისთავთა საგვარეულო
ეკლესია ბარაკონი. XV საუკუნეში რაჭის საერისთავოს აზნაურები
იყვნენ ქარულიძეები, ბაქრაძეები, კოტრიკაძეები, ჯაფარიძეები, ლაშხი-
შვილები და გარაყანიძეები. XVI-XVII სს-ში შეიქმნა წულუკიძეების,
იაშვილების და ყიფიანების სათავადოები.

1679 წელს თურქები პირველად შეესივნენ რაჭას და სასტიკად
ააოხრეს. რაჭის ერისთავები კი განაგრძობდნენ ბრძოლას იმერეთის
მეფეების წინააღმდეგ, რათა რაჭის საერისთავოს დამოუკიდებლობა
მოეპოვებინა და სამთავროდ ექციათ.

რაჭის ერისთავის დროს რაჭის საერისთავო ფაქტობრივად დამოუ-
კიდებელ სამთავროს წარმოადგენდა, მაგრამ იმერეთის მეფე სოლომონ
I-მა 1769 წელს როსტომი ოჯახიანად შეიპყრო, ხოლო რაჭის საერის-
თავო გააუქმა. 1784 წელს რაჭის საერისთავო იმერეთის მეფე დავით
ვიორჯის ძემ აღადგინა. 1785 წელს იმერეთის მეფემ რაჭის ერისთავად
ანტონის ნაცვლად მისი მამა, ვიორგი როსტომის ძე დასვა. განაწევრე-
ბული ბერი წულუკიძე და ჰაუნა წერეთელი ახალციხეში გაიქცნენ
და 1786 წლის იანვარში 500 ლეკისა და 1000 თურქისაგან შემდგარი
ლაშქარი რაჭას შეესია. იმერეთის მეფემ დავით ვიორჯის ძემ ოდიშის
დამხმარე ძაღასთან ერთად მათ სოფელ სხვაჯასთან 26 იანვარს
სძლათ. 1789 წელს იმერეთში სოლომონ II გამეფდა, რომელმაც
საბოლოოდ გააუქმა რაჭის საერისთავო.

რაჭაში იყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო, რომელიც იმერეთის
მეფე ბაგრატ III-მ ჩამოაყალიბა. რაჭის უძველესი მონასტერია სორის
ვეპარცის მონასტერი (XIV ს.).

1936-1938 დასავლეთ საქართველოში მდებარე ისტორიულ-ეთნოგრა-
ფიული ერთეულის, მხარის „ქუეყნის“ სახელწოდებაა. ქართულ წერი-
ლობით წყაროებში „ლესხუმი“ პირველად XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე,
ჯაფარიძეთა და ბაღჩუმი ხეანეთის სასიხლო სველშთა დასახელე-
ბული. გაცილებით ადრე, VI საუკუნეში იხსენიებს პროკოპი კესარიელი
(მიზანტიელი ისტორიკოსი) ლესხუმს, როგორც ადრეუყოფადღური
ხანის საქართველოს ერთ-ერთ პროვინციას. სახელწოდება „სკ-
კმნია“ „სკკვშია“ სახით არის მოცემული. მეცნიერთა მტკიცებით, ეს

არის ლექსების ბერძნული ფორმა. შესატყვისი ქართული ფორმა არის „ჩხუმ-ნ-ი, სადაც ნ მრავლობითის სუფიქსია. სწორედ ეს ქართული ფორმა (ვა-ბერძნებული სახით) დადასტურებულა ბიზანტიურ წყაროებში. „ლექსუმში“ ლე პრეფიქსია (მეგრულ-საქართველო სიტყვა საერთო ქართველური ფუძეებიდან უნდა მოხდეს) სკიმიტებს – ლექსებულებს ასახელებს VII ს-ის სომეხი ანონიმი გეოგრაფი, რაც ამ სახელწოდების სიტყველზე მიუთითებს. იმასაც აღნიშნავენ, რომ ამავე ავტორს კიდევ დასახელებული აქვს „თაკვერი“, რაც რაჭველებს უნდა ნიშნავდესო.

სახელწოდების შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ „ლექსუმი ეწოდა ხომლის-კლდის გამო – ესე არს ლეჩ ხომი“. როგორც ეხედავთ ვახუშტი ორი ფორმით ხმარობს ამ ტოპონიმს – ლექსუმი და ლეჩხომი. ვახუშტის ეს ახსნა გაზიარებული არ არის. არის მოსაზრებები, რომ წარმოდგება მეგრული „ჩხომის“ (ჩხომი), ან სვანური „ჩხომის“ (ჩხომი) სახელებიდან. ვარდა ამისა, არის მოსაზრება, რომ ისტორიულად ლექსუმი ცხუმარების ანუ ცხუმების, ჩხუმარების ანუ ჩხუმების სამფლობელო სვანებისა და მეგრელების საცხოვრისია. არის მოსაზრება, რომ ლე სვანური პრეფიქსია და მასთან მეგრული სიტყვის ჩხომის შეერთებით მიღებულია სახელწოდება. მაგრამ აქ წინააღმდეგობაა, რამდენადაც მეგრულ სიტყვას უნდა დართოდა მეგრული პრეფიქსი ო, რაც უცხო არ არის ლექსუმური ტოპონიმისათვის. უფრო სარწმუნოდ მაჩინაო სვანური „ცხუმ-ცხუმ“-დან წარმოშობა. ყოველ შემთხვევაში ამ სახელწოდებას ქართული წარმოშობა აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსუმის და რაჭის წინა სახელად თაკვერი მაჩინაოთ. ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავს: „არს ჯეობა ლექსუმისა, რომელს უწოდებენ თაკვერად. არამედ მოივო სახელი ესე გარემოსთა მათათვან, კერასეთ მღებარისა – ინილუ ესე მთაკვერი, – ანუ ციხისაგან ფრიად მაგარისა მუნვე თაკვერისა“.

სახელწოდება „თაკვერი“ „ქართლის ცხოვრებაში“ პირველად ლეონტი მროველს აქვს მოხსენებული, III საუკუნის ამბებთან დაკავშირებით. შემდეგ ვუანშური აღნიშნავს V ს-ის 40-იანი წლების ამბების თხრობის დროს. ამ პერიოდში ვახტანგ გორგასალის დროს, არსებულა თაკვერის საერისთავო. რამდენჯერმე ასახელებს „თაკვერს“ თამარ მეფის ისტორიკოსი. ამ დროსაც ყოფილა თაკვერის საერისთავო, რომლის ერისთავი კახაბერ კახაბერიძეა. თაკვერი მოხსენიებულია,

აგრეთვე, VII საუკუნის სომეხი ანონიმი გეოგრაფის მიერ, ვახუტეს, რომ V საუკუნეში არსებობდა თაყვერის საერისთავო, VII-XI საუკუნეებში ეს საერისთავო რაჭა-ლეჩხუმის საერისთავოს აღმნიშვნელია; თამარ მეფის ხანაში „თაყვერი“ მხოლოდ ლეჩხუმის სამეფოს შემადგენელ რაჭა დამოუკიდებლად არსებობს.

ლეჩხუმის ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვარი ვახუშტი ბაგრატიონს ზუსტად აქვს მოცემული: „გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განსყოფს: გუელისთავის მცირე მთა აღმოსავლიდამ; ჩდილოთ მთა კაკასი, ლეჩხუმსა და სვანეთს შორისა; დასავლეთით მთა კაკასიოე და კაკასიოე ჩამოსული სამკრეთად მთა ვორდამდე; სამხრით რიონი და მთა ხომლის კლდემ წარსულ დასავლეთად ვორდამდე, ამას და ოკრიბას შორისი“. ამდენად, ლეჩხუმს დასავლეთიდან სამეგრელოსაგან ჰყოფდა ასხის მთის მასივი, ჩრდილოეთით სვანეთისაგან – ლეჩხუმის ქედი, აღმოსავლეთით რაჭისაგან – მდ. ასკისწყალი, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე კი თავშავის ქედის სამხრეთი კალთები, სამხრეთიდან იმერეთისაგან – მდ. ლეხიდარის მარცხენა ნაპირის გახწვრივ მდებარე ხერი და ხეაძლის მთის მასივი. ამჟამად, მოლიანად მოიკავს ცაგერის რაიონს და ისტორიული ლეჩხუმი გადადის ამბროლაურისა და წყალტუბოს რაიონების ტერიტორიაზე. იყოფა ზემო და ქვემო ლეჩხუმად. ზემო ლეჩხუმი აერთიანებდა ცხენისწყლის ხეობას ვორდიდან შურის კლდეკარამდე, ლაჯანურის ხევისა და რიონის ნაწილის სოფლებს ასკისწყლიდან ლახეფას ჩათვლით; ქვემო ლეჩხუმი ახე კლდე დაიძრით – რიონის ხეობის სოფლებს ტვიშიდან ლეხიდარის შესართავამდე.

ლეჩხუმის „ქვეყანა“ ამავე სახელწოდებით უხსოვარი დროიდან უნდა არსებებოდა, თავისი მკვეთრად გამოხატული ბუნებრივი საზღვრებით, შესაბამისი მკურნეობით და ეთნოგრაფიული თავისებურებებით, რაც იმთავითვე ქმნიდა მხარის იფრსახებს – ბუნებრივ-სამკურნეო, გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულისა. ყოველ ეპოქაში მხარე მხარედ რჩებოდა, მაგრამ ცვალებადობას განიცდიდა პოლიტიკური საზღვარი.

როგორც აღინიშნა, ვახუტანგ ვორგასაძლის დროს თაყვერის საერისთავო ძლიერი ფეოდალური ერთეული ჩანს. სავარაუდოა, რომ თაყვერის ერისთავი ადრეც კვარაცხეში იჯდა და აქედან მართავდა მის კუთვნილ „ქვეყნებს“. ისიც ცნობილია, რომ ვახუტანგ მეფის თანამედროვე ბაგური არა მარტო თაყვერის (რაჭა-ლეჩხუმის), არამედ არგუეთის ერისთავიც იყო. ამჟამად, რომ ოფიციალურ წყაროებში რაჭა-ლეჩხუმი ერთი სა-

ხელით „თაყვერით“ იხსენიება, რაც ხანგრძლივი სამეფო ტრადიციის შედეგია და არ ნიშნავს კუთხვების სახელწოდებათა რაქისა და ლეჩხუმის არარსებობას. თამარის დროს იყო „ერისთავი რაჭისა და თაყვერისა“. ამ უკვე „თაყვერი“ უსაოუოდ ლეჩხუმს ეულისხმობს. ტიტულატურასა და საბუთებში „თაყვერი“ თანდათან ლეჩხუმის სახელწოდებად იქცა. აღნიშნავენ, რომ რაჭა ტერიტორიულად ვაკილებით დიდია და ამიტომ ლეჩხუმში სერისთავო ვერასოდეს გახდათ. რაჭის სერისთავოს ცალკე ჩამოყალიბების შემდეგ ლეჩხუმის (თაყვერის) მნიშვნელობა შეიზღუდა. შუაფეოდალურ ხანაში იგი მხოლოდ საკუთრივ თაყვერს (ცხენისწყლის ხეობის შუაწელს) მოიცავდა. ერისხანს ეს ქვეყანა სვანეთის ერისთავს ექვემდებარებოდა, ხოლო XII საუკუნის 80-იან წლებიდან მაინც, მთელი საუკუნის განმავლობაში, რაჭის ერისთავთა გამგებლობაში გადმოდის. ეს ვითარება გრძელდებოდა საკუთრივ რაჭის სერისთავოს გაუქმებამდე. რაჭის ერისთავები თავიანთ ტიტულატურაში, როგორც წესი, ლეჩხუმის საცვლად თაყვერს იხსენიებენ. ახე შეერქვა ლეჩხუმს თაყვერი, არა უადრეს მათე საუკუნისა. ხოლო მანამდე სანამ თაყვერის, ე.ი. კვარაციხის სერისთავო არსებობდა, ორივე მხარე – რაჭა და ლეჩხუმი ოფიციალურად თაყვერად იწოდებოდა.

იმერეთის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ (XV ს.) ლეჩხუმი მის შემადგენლობაში შევიდა, როგორც სამეფო დომენი. XVII საუკუნის II ნახევრიდან ლეჩხუმში თავი იჩინა მისწრაფებამ დამოუკიდებლობისაკენ, გაჩნდა თანამდებობა – ტიტული ლეჩხუმის თავი. ამ პერიოდში ლეჩხუმელი ძლიერი აზნაურები შეეცადნენ შეექმნათ ცალკე სათავადოები. ამ მხრივ, ვარკვეულ წარმატებას მიაღწია ინასარიძეთა საგვარეულომ. შემდგომში ლეჩხუმს მილიანად ჩიქოვანთა ფეოდალური საგვარეულო დაეუფლა. 1714 წელს, მას შემდეგ, რაც ლეჩხუმის გამგებელი ბეჟან დადიანი სამეგრელოს მთავარი გახდა, ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს ერთ ნაწილად იქცა. ამერიდან მას დადიანების დანიშნული სარდალ-მოურავი განაგებდა. XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთის მეფე სოლომონ II შეეცადა ლეჩხუმის დამოორჩილებას, მაგრამ უშედეგოდ. სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიაში შეხვლის შემდეგ, ლეჩხუმის ტერიტორიაზე შეიქმნა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული – ლეჩხუმის მაზრა.



სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი მხარეა, რომელიც მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს და მდინარეებს უკვე მდინარეების ცხენისწყლის ზემო წელს. ისტორიულ სვანეთში შედიოდა 1919 წლის მდ. კოდორის ზემო წელის ხეობები, ე.წ. აფხაზეთის სვანეთი, სამეგრელოს ჩრდილო ნაწილი, ლეჩხუმისა და ზემო რაჭის მოსაზღვრე რეგიონი. ჩრდილო კავკასიაში – ყუბანისა და ბაქსანის სათავეს ხეობები. თვით სვანური ენის ლექსიკა უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, რასაც მოწმობს გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვალი.

ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში სვანური ტომების განსახლების არეალი მოიცავდა ტერიტორიას აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან იმერკავკასიის ვაკემდე, მდ. თურგსა და ყუბანს შორის.

სვანები ძირძველი ქართველური ტომია, რომელთაც ვერ კიდევ ორი ათასი წლის წინ ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მოიხსენიებს. სვანების აღმნიშვნელად სტრაბონი ხმარობს ტერმინს – სვან. სტრაბონის ცნობით „სვანები“ მოელს კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და დიდ ტერიტორიაზე განსახლებული ხალხია. იგი იმასაც აღნიშნავს, რომ „სვანებს“ სხვანაირად იბერებსაც უწოდებენ.

მამასადაძე, ჩვენი წელთაღრიცხვის მოჯნაზე ბერძნები სვანებს უწოდებდნენ ორ სახელს – სვანებსა და იბერებს. ეს, ცხადია, იმაზე მივანიშნებს, რომ ძველი ბერძნების ცნობიერებაში სვანები იგივე იბერებია (ქართველებია).

იგივე სახელით მოიხსენიებენ სვანებს სხვა ბერძენი და რომელიც ავტორები. აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სამეფოს დაკეპის შემდეგ I-II საუკუნის ავტორები: სტრაბონი, პლინიუსი, არიანე და სხვ. დღევანდელ სოხუმსა და ადღერს შორის ვერ ასახელებენ კონკრეტულად, შემდეგ მათ ნაცვლად სანაბანის, ბოლოს ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის ავტორი კლავდიოს პტოლომე სანიგების მაგიერ ამ ტერიტორიაზე სვანურ-პრელსანს მოიხსენიებს. ეს ფაქტი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ პენიონები, სანიგები და სუანო-კოლხები ერთი და იგივე ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმებია. ამ მოსაზრებას ადასტურებს, აგრეთვე, VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში დაცული ცნობა დასახელებულ ტერიტორიაზე „სუანთა“ განსახლების შესახებ ანგარიშგასაწვეია ისიც, რომ ტერმინები „პენიონები“ და „სანიგები“ ქართულ ენაზე ახლანაც გვხვდება.

ქართველური ტომებიდან ქართველი ამ ხალხს უწოდებენ სპანებს, ხოლო მათ შარეს - სპანონს; მეგრელები (ზანები, ჭრები) - შანონი და შონონი თავიანთ თავს სვანები შონან-ს ეძახიან, ხოლო სვანეთს - შონან-ს.

ძველ ქართულ ნარატიულ წყაროებში იხმარება „სვანეთი“ და „სუანეთი“, ე.ი. ქართულში მცირე ტრანსფორმაცია ვარუცდია. ქართულში შ-ს მაგივრად ს-ს ხმარება ბუნებრივია, რადგან სვანურ-ზანური შ ქართულში ს-ს გვაძლევს.

მეზობელი ხალხებიდან აფხაზები სვანებს ა-შანონ-ს უწოდებენ, ადიღურ-ჩერქეზული ტომები, ასევე, ვაინაზები და ოსები - სონან-ს, ყარააელები და ბაღყარები - შანონ-ს. ა-შანონ-ა, ცხადია, შონ-შვან ტერმინთა ასოცირებული ფორმაა, ხოლო სონან-ს ამოსავალია ქართული სვანი. რაც შეეხება ტერმინ „ესზე“-ს, იგი ვერ კიდევ ყარააი-ბაღყარელთა ადრეული წინაპრების საეირების (იგივე საბირები) მიერ იხმარებოდა. ისინი იმერკაკეასიაში სვანების მეზობლად ცხოვრობდნენ. VI საუკუნეში მეფე გუბაზის ჯარში სვანებთან ერთად ლაზიკის ინტერესებისათვის იბრძოდნენ დაქირავებული საეირები. ეს ხალხი სვანებს მაშინაც შანონ-ს ეძახდა. მაშინ ესზე - სვანების გარკვეული ნაწილი ვერ კიდევ დღევანდელი აფხაზეთის ძირძველ მოსახლეობად ითვლებოდა. სიმონ ჯანაშიას მიხედვით, შანონ მოქლინარეობს „აბაზა“ ტერმინიდან. აბაზები, რომლებიც ძველი ბერძნების მიერ აბაზებად იწოდებოდა, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან მოიხსენიებიან დღევანდელ გეორასა და სოხუმს შორის. აბაზა - აბაზგა - აფხაზებში ყოველგვარი მეცნიერული დასაბუთების გარეშე დღემდე რატომღაც ადიღურ-ჩერქეზული წარმომავლობის აფხეები (აფხილები?) იგულისხმებოდნენ, ისე, რომ არავითარი ანგარიში არ ეწეოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლე ძირძველ ქართველურ ტომებს სუანო-კოლხებს.

აბაზა-აბაზგა-აფხაზი ტერმინის დრმა ლინგვისტური ანალიზის შემდეგ, აკად. თ. გამჭრელოძე მიდის დასკვნამდე, რომ შვილობილობის ეთნოკულტურული ვითარება ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში გეორასხობის შესაძლებლობას „აფხაზ“||„აბაზგ“-ებში საკუთრივ დასვლურ-ქართველური წარმომავლობის ტომები დაეინახათ, რომლებიც ახლო მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ ძველ კოლხეთში მოიხსენიებულ სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა. თვით უძველესი სახელწოდება ამ ტომებისა „აფხაზ“, რომელიც ბერძნულ „აბაზგ“||„აბაზღ“ ფორმებად გარდაიქმნა, აფხელების თვალსაზრისით სავსებით ქართველურია, ამ

ენებში გავრცელებული შს მარშონიული კომპლექსის შემცველი და ხშირებით დაწყებული ძველი კოლხეთის ძირითად მოსახლეობას მოადვენდნენ ამ დროს სწორედ ეს დასავლურ-ქართულური ტომები.

აკად. ნ. მარიც აღნიშნავდა, რომ ხალხი, რომელმაც სენსუალური ტომებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად არ ატარებდა სენსუალურ წოდებას, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო „აბასხი“. არ არის გამორიცხვული, რომ „აბასხ“ ტერმინის თავდაპირველი ფორმა ყოფილიყო ბასხქმასყ, რაც სვანურია და მარწყვს ნიშნავს. ისიც აღსანიშნავია, რომ მცენარეულობისა თუ ბალახთა სახელწოდებიდან არაერთი ეთნონიმა ცნობილი.

ამგვარად, მზმ მომდინარეობს აბასხ ტერმინიდან და ისტორიულად დასავლეთ საქართველოს ძირძველ, სვანურ-კოლხურ ტომებს აღნიშნავდა. აფხაზეთის სამეფოს ჩამოყალიბებიდან (VIII ს.) ეს ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობით გაიგება რუსი და სხვა ევროპელი ავტორებისათვის. ისინი მზმ-რზმ-ის ხშირად მთელი საქართველოს აღმნიშვნელადც ხმარობდნენ. VIII-XII საუკუნეებში ზოგჯერ ანალოგიურ ფაქტს ვაწყვდებით აღმოსავლურ წყაროებშიც.

რაც შეეხება ტერმინს სოან-შოან-სვან-მუშან და სვანეთი-შუან, რომელიც ორი ათასი წლის მანძილზე ფიგურირებს ქართულ და უცხოურ წყრილობით ძეგლებში, უნდა მომდინარეობდეს ერთგვარი ლითონის სახელისაგან შანარ. ლითონის ეს სახელი დაფიქსირებულია სვანეთის მუხობლად მდებარე რაჭაში. შან-არ ტერმინში -არ სუფიქსი წარმომავლობა-მრავლობითის აღმნიშვნელია. ე.ი. „შანარ“ ლითონის აღმნიშვნელია მრავლობით რიცხვში, ფუტე-სიტყვა შან. მუშან ეთნონიში მშ - მწარმოებელი პრეფიქსია. ამგვარად, „მუშან“ ნიშნავს მელითონეს (ლითონის სახელიანა დაკავშირებული ძველ ქართულ ტომთა სახელები - ხალიბები, თუბალები, ტიბარენები...).

პირველადია მხარის სვანური სახელწოდება შანქმუან და მეორეადა ამ მხარის მოსახლეობის აღმნიშვნელი ეთნონიმი მშუშან. შანქმუან გეოგრაფიული სახელიდან უნდა მომდინარეობდეს სვანების აღმნიშვნელი სახელები: სვანი-შონი-ამანუა-სონა.

სვანეთი ანტიკური ხანიდანაა ცნობილი სხვადასხვა ლითონების მოპოვების კუთხედ. ძველი ბერძენი ავტორები (სტრაბონი, პლინიუსი და სხვ.) სვანეთს უკავშირებენ მთის ოქროს საწმისის შესახებ. არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანთა წინაპრების მიერ მთის ამ რეგიონის ათვისება ლითონის მოპოვებას უნდა განეპირობებინა.

ამგვარად, „მინიმუან-შინ-სვანი და სვანეთი“ ტერმინები არაა გაჩენილიყო მას შემდეგ, რაც სვანთა წინაპრებმა ფეხი მოიკიდეს დასავლეთ საქართველოს მთის რეგიონში, რომლის წყალმომარაგებლობა ამ ძირძველი ქართული ეთნოსის გადარჩენა, მისი ტერიტორიული კულტურის ლოკალური თავისებურებებით (თ. შიშინა).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სვანთა ლექსიკის ფართო არეალზე მეტყველებს ბევრი ტოპონიმი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიაშიც. მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თვით სახელწოდება კავკასიონი (კავკასი) წარმოიშვა „ქვექან“-ისაგან, რაც სვანურად თოვლიან მთებს ნიშნავს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მრავალი ფაქტი ლაპარაკობს. სვანები, ერთი მხრივ, კავკასიონთან და, მეორე მხრივ, შავი ზღვის სანაპიროსთან იყვნენ დაკავშირებული ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში. სვანები კავკასიონის ქედის იქეთა მხარესაც მოსახლეობდნენ. ამდენად, სვანთა ვახსახლების არეალი საკმაოდ ფართო იყო. ამასთან, იმ ნაწილში მოსახლეობდნენ, სადაც ყველაზე მეტად არის მაღალთოვლიანი მთები და მყინვარები.

სვანეთი ძველად კოლხეთის სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. შემდეგ ეგრისისა. ეგრისის სამეფოს ძლიერება ხანგრძლივი არ ყოფილა. V საუკუნის 70-იან წლებში იგი დასუსტებულა, რაც სვანეთის დაკარგვაში გამოიხატა. მატაანეში აღნიშნულია, რომ „ვაქტრა კოლხთა ძველი ღირსება და ველარ ბატონობენ ლაზები სხვებზე“. ბიზანტიელი ელჩების ცნობით, სვანეთი დამოკიდებული იყო ლაზეთზე ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-მდე (457-474) და სპარსეთის მუჟე პეროშამდე (458-484). გამოდის, რომ სვანეთი ლაზეთისაგან დამოუკიდებელი იყო 457-474 წლებს შორის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაზეთის სამეფოს დასუსტება გამოწვეული იყო ვახტანგ გორგასალის დროს იბერიის გაძლიერებით. ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაში აღწერილია მისი ძლიერპოსილი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში და აქ ყველა ციხის დაპყრობა, ვიდრე ციხე-გოჯამდე. ჯუანშერის მიერ ვახტანგის ხელქვეით ერისთავთა ჩამოთვლისას იხსენიება სვანეთის ერისთავი. თუმცა VI საუკუნის დასაწყისში ქართლს ეს უპირატესობა დაეკარგა.

XI-XV საუკუნეებში სვანეთი საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი სერიოსავო იყო. ერთიანი საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის (XV ს.) შემდეგ იგი რამდენიმე ნაწილად დაიყო: სვანეთის სამთავროდ, ბაღსზემო სვანეთად, ქვემო სვანეთად, სვანეთის

სამთავრო მოიყავდა ზემო სვანეთის დასავლეთ ნაწილს, ენგურის ხეობას, ბაღის ქედის ქვემო მხარეს — იგივე სადავო-მთიანეთ სვანეთს.

XVII-XVIII საუკუნეებში დადიშქლიანებსა და რიჩვეჯანებს შორის გაღმწვევტი ბრძოლა გაჩაღდა. XVIII საუკუნის შუა ნახევარში მათში რიჩვეჯანები მძლავრობდნენ, ხოლო ქვეყანაში დადიშქლიანები; ისინი ბრძოლას ეწოდნენ პირველობისათვის. მათ შორის შუღლი უარყოფდა აიხასა სვანურ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ გადმოცემებში. დადიშქლიანები დანარჩენ პრივილეგირებულ გვარეულობასაც დაუპირისპირდნენ. 1830 წლის მონაცემებით, დადიშქლიანთა სამეულობელო 12 ათასი სულისაგან შედგებოდა (მთელი სვანეთი 25 ათასი სულისაგან შედგებოდა). სავარაუდოა, რომ მოსახლეობა საუკუნის დასაწყისში მეტი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც დადიშქლიანთა ეთნიკურება ჩრდილო კავკასიაშიც იყო (ბაქსანი და სხვ.). ამასთან, დასავლეთ საქართველოში გავრცელდა ინფექციური დაავადება (ვანსაკუთრებით 1811-12 წწ.), რამაც სვანეთშიც ბევრი ადამიანი იმსხვერპლა. ამ პერიოდში შეხედულებით ბევრ სახლის ნანგრევს და მიტოვებულ პატარა სოფელს, რომელთა განადგურება-დაცარიელებას 1812 წლის „ეპოს“ მიაწერდნენ.

დადიშქლიანები ერთმანეთსაც ეცილებოდნენ პირველობისათვის. ამ არეულობით სარგებლობდნენ მათი ზოგიერთი მოსახლევრე მფლობელებიც. ისინი ავიწროვებდნენ დადიშქლიანებს, ზოგჯერ საძოვრებსაც სტაკებდნენ, ანდა უარს ეუბნებოდნენ ამ საძოვრებზე დაწესებულ ქარაზე. თავის მხრივ, მეფის მოხელეები საკლებად იწუხებდნენ თავს დადიშქლიანთა ინტერესების დასაცავად. დადიშქლიანები მეზობელ სამეგრელოს, წებულის და სხვა მხარეების გარდა ერთმეორესთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული. რუსეთის მთავრობა სვანეთის საქმეებში აქტიურად არ ერეოდა, რადგან კავკასიის ომითა და შავი ზღვის პრობლემებით იყო დაკავებული. მეფის მთავრობამ არაერთი ზომები არ მიიღო დადიშქლიანთა სამართლიანი მოთხოვნის მხარდასაჭერად, რადგან მისთვის უფრო სასარგებლო იყო დადიშქლიანებისადმი დაპირისპირებული დიდი მფლობელებისადმი მხარდასაჭერა, მათ შორის დადიანებისადმი, რომლებიც თვითმპყრობელობისადმი განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდნენ.

XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში დადიშქლიანთა შორის ურთიერთობა ისევ გამწვავდა. ამ დროს მეფის მთავრობამ სვანეთში სამხედრო ძალით გაღმწვევებაზე თავი შეიკავა, ყირიმის ომის ვითარების

გამო. მაგრამ 1857 წელს, ივლისში, სვანეთში იგზავნება სამხედრო ექსპედიცია, რომლის საერთო ხელმძღვანელობა ქუთაისის გუბერნატორს გაგარინს ევალებოდა. გადაწყვეტილი იყო, თუ დადიშქელაიანი წინააღმდეგობას გაჩვენებდა, სხვა მხარეებიდან ქუთაისში გაემგზავნებინათ სპეციალური რაზმები. 1857 წლის 24 ოქტომბერს გუბერნატორმა გაგარინმა კონსტანტინე დადიშქელაიანი თავის კაბინეტში გამოიძახა და ვახუცხადა, რომ გადაწყვეტილი იყო მისი სამთავროს გაუქმება. იგი სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით სასწრაფოდ დახვრიტეს, ხოლო მისი ძმები და ყველა დადიშქელაიანი ციხისკენ გაუყვანეს. სვანეთის სამთავრო გაუქმდა 1857-58 წწ. და მისი მოხახლეობა სვანეთის საბოკაულოში გაერთიანდა.

ბაღსუნიანი სპანსონი მოგვიანებით „თავისუფალ სპანსონად“ იწოდებოდა. ტერიტორიულად მოიცავდა მდ. ენგურის ზემო დინების აღმოსავლეთ ნაწილს, ბაღის ქვიდან უშგულის ჩათვლით, ლატალის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, წყობის, იფარის, პადიშის, კალისა და უშგულის თემებს. 1853 წელს ზემო სვანეთის ამ ნაწილს „თავისუფალი სვანეთი“ ეწოდა, რადგან იგი მეფის რუსეთის ხელისუფლებას დაემორჩილა. ეს იყო უმატონო თემები და პარობით შერქვა ეს სახელი.

ბაღსუნიანი ანუ მოგვიანო პერიოდის სადადიანო სვანეთი მოიცავდა ცხენისწყლის ზეობას – ლაშხეთის, ჩოლურისა და ლენტეხის თემებს. XVIII საუკუნის II ნახევარში ლენტეხის თემი დადიანებმა დაიპოვებინეს, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ქვემო სვანეთს, ანუ „ცხენისწყლის სვანეთს“, სადადიანო სვანეთიც ეწოდა.

ბურია

გურია ძველთაგან, ადრეული შუა საუკუნეებიდან მაისც, ერქვა დასავლეთ საქართველოს ერთ რეგიონს, რომლის საზღვრები იყო: დასავლეთით – შავი ზღვა, ჩრდილოეთით – მდ. რიონი, აღმოსავლეთით – აჭარა-გურიის ქედი და სამხრეთით – მდ. ჭოროხი (ვახუშტი ბავრატონი). გურია საისტორიო წყაროებში მოიხსენიება ახალი წელთაღრიცხვის VIII საუკუნეში. მემატიანის ცნობით, მურვან-ურუს შემოხვევისას (735-738) უკანდახეულმა არაბებმა გაიარეს „ვაზა გურიისა“ (ჯუანშერი). ამის შემდეგ ეს მაკროტოპონი საისტორიო წყაროებში ხშირად მოიხსენიება.

ტერმინი „გურიის“ ეტიმოლოგია დაუდგენელია. პირველად მისი გაიზრება ვახუშტი ბავრატონმა სცადა. მისი სიტყვით, „გურია არა

წილი ვეროსისა არს, არამედ ქართლოსისა, გარნა ოდეს განუღდა
ლენ აფხაზთა (VIII ს. ბოლო მეოთხედი), მაშინ ამათ აღსართობს
ბეს მორჩილება ოძრახოს ერისთავისა... განდგნენ და მიერთნენ ლენოსს,
ვითარცა სახელი აცხადებს: გურიობით განდგომილნი ქართლოსის
ცხოვრება IV, 1973, გვ. 789).

როგორც ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონი თვლიდა, რომ ტრაპიზონში
„გურია“ VIII საუკუნეში წარმოიშვა ოძრახოს საერისთავოს მოსახლეო-
ბის ნაწილის თავისი ერისთავისაგან განდგომისა და აფხაზეთისა მე-
ფისადმი დამორჩილებასთან დაკავშირებით. ვახუშტის ამ „თეორიის“
ამოსავალი იყო ბიბლიის ქართულ თარგმანში ნახმარი სიტყვები:
„აგურიობდა“ (რიცხეთა, 22, 13) და „გურიობა“ (რიცხეთა 32-13;
სიბრძნე სოლომონისი, 4, 12). „გურიობა“ ლექსიკოგრაფთა მიერ გან-
მარტებულია როგორც „მიღვენება არვეით“, „მიღვენება გულისთქმითა“
ან „აშლი, მიმოღვენება“.

მ. ბროსეს აზრით „გურია“ შეიძლება მომდინარეობდეს ცეცხლ-
თაფვანისმცემელთა ერთ-ერთი სპარსული სახელწოდებიდან „გუარუ“.
თ. სახოკიას აზრით, რაკი „გური“ შეგვრულად გულს ნიშნავს, აქედან
უნდა იყოს „გურია“. ნ. შარი ფიქრობდა, რომ „გურია“ და „ვეკრი“
(„ვეკრისი“) ერთი და იმავე ძირიდან ნაწარმოები ტერმინია, სიტყვაში
გურია „გურ“ – ღაზურ-შეგვრულია და ადრე შუეს ნიშნავდა, ხოლო
„-ია“ (იგივე „უა“) შეიღეს (ვაჟს) აღნიშნავდნო. ნ. ბერძენიშვილის
შეხედულებით, რაკი სამოხელეო-ადმინისტრაციული ტერმინი „გური-
ელი“ სარეზიდენციო პუნქტის სახელიდანაა ნაწარმოები, ჯ. გვერტაძემ
გამოთქვა მოსაზრება, რომ ურარტულ წყაროებში ძვ. წელთაღრიცხვის
VIII საუკუნეში მოხსენიებული „ტეფანა კურანთა“, რაც ასირიულ
წარწერებში „გურანის ოლქად“ იწოდება, ტრაპიზონში „გურიასთან“
უნდა იყოს დაკავშირებული.

გურიაში მცხოვრებს, მკვიდრს „გურული“ ეწოდება. „გურული“
მეორადა, იგი პირველადს, – ადვილ გურიას გულისხმობს. ფორმით
„გურული“ დასავლურ-ქართულია. „გურ-ური-გურ-ული, სადაც „-
ურ“ პრეფიქსი სადაურობას აღნიშნავს. „გურული“ ლიტერატურაში
შეადარებით ახალი ფორმაა. ძველ წყაროებში ამ მნიშვნელობით
იხმარებოდა „გურიელი“. ბაგრატ IV-ის დროს (XI ს.) იხსენიებთან
„გურიელნი აზნაურნი“. ე.ი. აზნაურები გურიიდან. ეს ფორმა ჩვეულებ-
რივით XII საუკუნის ძველებისათვისაც. იგი გვიანაც გვხვდება, კრძოდ,
„გურიელს“ უწოდებს გურიის მცხოვრებს (გურულს) სულხან-საბა

ობილიანი. აღსანიშნავია, რომ XVIII-XIX საუკუნეებში განსაკუთრებით
ნებული ქვემო გურიის (მდ. ჩილოქიდან ჭოროხამდე) მოსახლეობა
თავს ისევ „გურულებად“ II-„გურიელებად“ თვლიდა. გურიის საერისთავოს
(სამთავროს) გამგებელ და მფლობელ ხელისუფალს მანქანაწამყვანი
„გურიელი“ ეწოდებოდა. ასეა შუა საუკუნეების დოკუმენტურ წყარო-
ებით (XII ს.). გვიანდელ წყაროებში კი ვხვდებით სხვა ფორმებსაც –
„გურული“. ფართადმწერელი რუსუდანის დროს (XIII ს.) იხსენიებს
გურიელს. ასევე ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაშიც. XIX საუკუნის
დასაწყისიდან გურიელი თანდათან გურიის სამთავროს სახლის წევრია
(„ბატონიშვილია“) გურიის სახელად იქცა.

გურიის ტერიტორიაზე ძველად საერისთავო ყოფილა ჩამოყალიბე-
ბული. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, გურია თავდაპირველად ქარ-
თლის შემადგენლობაში შედიოდა (ოძრაბოს საერისთავოში), მაგრამ
ღეონ აფხაზთა მეფის დროს აღარ იხებეს ოძრაბოს ერისთავთა მორჩი-
ლებს, განუდგნენ მათ და შეუერთდნენ ეგრისის (აფხაზეთის) სამეფოს.
იგივე ვახუშტი გურიის საზღვრებს შემღვანარად ახასიათებს: „ზღვრის
ამას გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და
საჯავახოს შორისი, სამხრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე ფერსა-
თიღამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიის შორისი; ჩდილოთ რიონი
გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღვა“.

XV საუკუნის II ნახევრიდან, საქართველოს სამეფოს დამლის
შემდეგ, აღინიშნული გურიის საერისთავოს ტერიტორიაზე, შეიქმნა
გურიის სამთავრო. იგი მოიცავდა ქობულეთ-ჩაქვის ქედს, შავ ზღვას,
მდ. რიონის ქვემო წელსა და ჭოროხის შესართავს შორის მდებარე
მხარეს. გურიის სამთავროს გურიელები განაგებდნენ. მათი ძირითადი
რეზიდენცია ოზურგეთი იყო.

გურიის სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური წყობა და ურთიერთო-
ბანი ძირითადად საქართველოს ბარის სხვა მხარეთა მსგავსი იყო.
XV-XVI საუკუნეების მიჯნიდან გურიის სამთავროს ეკლესია, რომელიც
XI საუკუნიდან ქუთათელის სამწყსოში შედიოდა, გურიელთაგან დასმულ
მღვდელმთავრებს დაექვემდებარა. გურიის სამთავროში სამი საეპისკო-
პოსო შედიოდა: შემოქმედის, ჯუმათისა და ხინოწმინდისა.

1533 წელს ოდიშის მთავართან ერთად, გურიელის ჯიქეთში
მარცხიანი დამპყრობის შემდეგ, გურიის სამთავრო დროებით იმერეთის
მეფეზე დამოკიდებული გახდა. როსტომ გურიელის (1534-1566) დროს
გურიის სამთავროს შემოუერთდა აჭარა და ჭანეთი. XVI საუკუნეში

გურიის ლაშქარი აქტიურად მონაწილეობდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. ოსმალებმა მოიტაცეს ვინიოს მხარე. XVI საუკუნის II ნახევარში ოსმალეთის გავლენის ქვეშ მოექცა თვით გურიის სამთავროც. XVII საუკუნის დასაწყისში გურიის სამთავროს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ძლიერების ხანა იყო. მამია II გურიელმა გამოიყენა ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება და 1609 წელს აჭარიდან განდევნა ოსმალები, მაგრამ მათთან ომის გავრძელება ვერ შეძლო. 1614 წელს იგი იძულებული გახდა აჭარა დაეთმო და ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკი ეკისრა.

XVII საუკუნის II მეთოხედიდან გურიის სამთავრო დიდი ხნით მოექცა ოდიშის მთავართა გავლენის ქვეშ. XVII საუკუნის შუა წლებიდან მდგომარეობა ვართულდა დასავლეთ საქართველოში შინაომების გამო, რასაც ტყვის ხელდა მოჰყვა. სხვა ქართველ გამგებლებთან ბრძოლის დროს გურიელები დახმარებისათვის ხშირად მიმართავდნენ ოსმალეთს. ასე იქცოდნენ დასავლეთ საქართველოს სხვა მუფე-მთავრები, რამაც დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მომდევნო ხანებში გურიის მთავრებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.

XVIII საუკუნის დასაწყისში გურიის მთავრები, დადიანთან და იმერეთის გამგებლებთან ერთად, რუსეთის დახმარების იმედით, ოსმალეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ამის საპასუხოდ ოსმალებმა 1703 წელს დასავლეთ საქართველო დაარბიეს. გურიის სამთავრომ დაკარგა ბათუმისა და ჩაქვის მხარეები. 1723 წელს გურიის ზღვისპირა ციხეებში ოსმალთა გარნიზონები ჩადგნენ. 1769 წელს გურიაში ოსმალები შეიჭრნენ, მაგრამ მომდევნო წელს იმერეთისა და გურიის ლაშქარმა მხარე კვლავ გაათავისუფლა. გურიის სამთავროს მალე ქობულეთი მოწყვეტეს და დაიწყო ქვემო გურიის გამაჰმადიანების პროცესი, რომელიც XIX საუკუნის 70-იან წლებამდე გაგრძელდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში გურია ოსმალთა ბოლომოუღებელი შემოსევების ასპარეზად იქცა. შედარებით გაუმჯობესდა გურიის მდგომარეობა ქაიხოსრო ბატონიშვილის (გიორგი IV-ის ვაჟი) მმართველობის დროს. აიკრძალა ტყვის ხელდა და ვაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ღონისძიებანი.

1804 წელს რუსეთის მთავრობამ სცადა იმერეთის სამეფოსთან ერთად თავისი მფარველობა გურიის სამთავროზეც გაეგრძელებინა.

მაგრამ უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, 1810 წლის 19 ივნისს/მამია გურიელის (მუხთიემ) თვით დადო რუსეთთან მეარეულობითი ხელშეკრულება. გურია რუსეთის იმპერიაში შევიდა, როგორც ავტონომიური სამთავრო. ამის შემდეგ ოსმალთა შემოსევები შეძვირდა. მაგრამ ამ შემწევებელმა 1828-29 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, გურია ომის ასპარეზად იქცა. 1828 წლის მიწურულს გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. 1829-40 წლებში გურიას განაგებდა დროებითი მმართველობა, რომელშიც შედიოდნენ გურიის თავადები რუსი ოფიცრის თავმჯდომარეობით. 1840 წელს გურიის დროებითი მმართველობა გაუქმდა და გურია ოზურგეთის მაზრის სახით ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

აზნაზანი

ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებიდან ანტიკურ წყაროებში დასაყვეთ საქართველოს სანაპიროზე ერთმანეთის შეზობლად იხსენიებიან „აზსილიანი“ და „აბაზანიანი“ და ქვეყნები „აზსილია“ და „აბაზანია“. ბერძნული წყაროების „აზსილია“ და „აბაზანია“ სახელებს ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში („ქართლის ცხოვრება“) „აზსილიანი“ და „აზნაზანი“ შესატყვისება.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მწვავედ დგას საკითხი საისტორიო წყაროებში ამ ეთნონიმებით აღნიშნული ხალხების ეთნიკური ენობის შესახებ. მკვლევართა ნაწილი მათ ქართველურ ტომებად მიიჩნევს, სხვები ამ სახელებით აღნიშნულ ტომებს აფხაზურ-ადიღური წარმომავლობისად თვლიან.

რამდენადაც „აფსილები“ და „აბაზგები“ ანტიკურ წყაროებში ერთმანეთის გვერდიგვერდ იხსენიებიან, ისინი, ბუნებრივია, განსხვავებულ ეთნო-ენობრივ ერთეულებს უნდა წარმოადგენდნენ. ეთნონიმი „აფსილები“ და „აფსილია“ (ქართული „აფშილეთი“) თითქოს უკავშირდება თანამედროვე აფხაზთა თვითსახელწოდებას „აფსუა“-ს, მაგრამ ბერძნულში დადასტურებული ეთნონიმი „აბაზგები“ და ტერმინი „აბაზგია“ შეესაბამება შუა საუკუნეების ქართულ „აფხაზებს“ და „აფხაზეთს“.

თუ ჩვენ ეთნონიმ „აფსილ-აფშილებში“ თანამედროვე „აფსუა-აფხაზთა“ წინაპრებს ან მათ ახლო მონათესავე ტომებს ვივლით, სხვებით, ამასვე ვერ ვიტყვით ბერძნულ-ქართული წყაროების „აბაზგ-აფხა-

ზეზე, რომლებიც, ამდენად, „აფსუა||აფშილებსაგან“ განსხვავებულ ეთნო-ენობრივ ოდენობას უნდა წარმოადგენდნენ.

მამასადამე, ბერძნულ-ქართულ საისტორიო წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი „აბაზგ“-||„აფხაზ“- ოდენობრივად განსხვავებულ შემდეგდროინდელ „აფსუა“-||„აფხაზს“, რომელიც ისტორიულად და ეტიმოლოგიურად უფრო ამავე წყაროებში დადასტურებულ „აფსილ-აფშილ“- ტომს უკავშირდება, არამედ რაღაც განსხვავებული ეთნონიმის წარმომადგენლებს. ეს დასტურდება თვით „აბაზგ“-||„აფხაზ“- ეთნონიმის ეტიმოლოგიური ანალიზით.

რამდენადაც ქართული „აფხაზ“- ფორმა გვიანდელია, ტექსტში დადასტურების თვალსაზრისით, ბერძნულ „აბაზგ“ ფორმასთან შედარებით, ივარაუდებოდა, რომ ქართული „აფხაზ“- ფორმა ბერძნულ „აბაზგ“- ან მსგავსი ფორმისაგან მომდინარეობს, ხათანადო ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად. თვით ამ ბერძნულ „აბაზგ“ ფორმაში მსგავსებას ზედავდნენ თანამედროვე აფხაზების ახლომონათესავე კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრები აბაზების აღმნიშვნელი „აბაზა“ ეთნონიმთან, რომელიც აფხაზ-აბაზგების კრებით სახელს წარმოადგენს.

ყოველივე ეს თითქოს ბერძნულში დადასტურებულია ამ „აბაზგ“- ფორმის წარმოშობით აფხაზურ-ადიღურ ხასიათს ადასტურებდა. აქედან გამოიყენებოდა თვით ქართულში არსებული „აფხაზ“- ფორმის აბაზურ-ადიღური წარმომავლობა და ხასიათი. მაგრამ არსაიდან ჩანს „აბაზა“ და ბერძნული „აბაზგ“- ეთნონიმთა ეტიმოლოგიური კავშირი. ისინი ისტორიულად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. ამათგან ბერძნული „აბაზგ“- ფორმა ქართულში დადასტურებული „აფხაზ“- ეთნონიმის ისტორიული ეკვივალენტია, ხოლო „აბაზა“ სახელი სულ სხვა შინაარსს გამოხატავს და ჩრდილო-კავკასიურ, ჩერქეზულ-ადიღურ ენობრივ სამყაროს განეკუთვნება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნული ფორმა „აბაზგ“ ვერ ჩაითვლება ქართული „აფხაზ“- ფორმის წყაროდ, რადგან ამგვარი ცვლილება შეუძლებელია. პირიქით კი შეიძლება მომხდარიყო, ბერძნული „აბაზგ“- მომდინარეობს ქართულში დადასტურებული „აფხაზ“-||„აბაზგ“ ფორმისაგან.

როდესაც ბერძნები ეცნობოდნენ ძველ კოლხეთში მოძინადრე ტომებსა, და მათ თვითსახელებს, ისინი გარდაქმნიდნენ ამ სახელებს მათი ენისათვის ბუნებრივი ვხით, რის შედეგადაც ამგვარ თვითსახელწოდებათა ახალი, ბერძნულისათვის ბუნებრივი ვარიანტები წარმოიქმნებოდა. ასე

მიხდა ძველ კოლხეთში მოძინადრე ერთ-ერთი ტომის თვითსახელი „აფხაზ“-„აბაზაზ“ ბუნებრივად გადაიქცა ბერძნეთა მეტყველებაში „აბაზგ“-„აბაზღ“- ფორმად, ბერძნული ფონეტიკური ნორმების შესაბამისად. ამას მოწმობს ისიც, რომ არც ერთ შუასაუკუნოვან ქართულ წყაროში „აფხაზ“- ეთნონიმი არ არის ასახული „აბაზგ“ ფორმით. ამ ეტაპზე მხოლოდ „აბაზაზ“ და „აფხაზ“, რაც ქართული შუასაუკუნოვანი წყაროების „აფხაზ“- ფორმას ემთხვევა. თავის მხრივ, არაბულ-სპარსული „აბაზაზ“ ფორმა ქართული „აფხაზ“- ფორმის საპირისპიროდ – ე.ი. მ თანხმოვანი ფ-ს ნაცვლად – შესაძლებელია არაბულში თანხმოვნისა [ფ] და შესაბამისი გრაფემის (წერითი მეტყველების უმცირესი, განუყოფელი ნიშნადი ერთეული) არარსებობით აიხსნებოდეს.

თვით „აბაზაზ“ ეთნონიმს უნდა უკავშირდებოდეს ეტიმოლოგიურად არა ბერძნული „აბაზაზ“- ფორმა (და, მაშასადამე, არა „აფხაზ“-„აბაზაზ“ ეთნონიმი), არამედ თანამედროვე აფხაზთა თვითსახელი „აფსუა“, რაც სავსებით ბუნებრივია ისტორიულ-გენეტიკური თვალსაზრისით.

ამგვარად, ბერძნულ-ქართული წყაროების „აფსიღლ“-„აფშიღლები“ როგორც ჩანს, თანამედროვე „აფსუა-აფხაზებთან“ გენეტიკურად და ენობრივად დაკავშირებული ეთნოსია, მათი შესაძლო წინაპარია, ხოლო ძველი „აბაზგ“-„აფხაზები“ თავდაპირველად ამთავან განსხვავებულ ეთნოსს წარმოადგენდნენ, რომელთა სახელწოდებამ დროთა განმავლობაში, გარკვეული სემანტიკური ცვალებადობის შედეგ, საბოლოოდ გადატანილ იქნა ქართულ ენობრივ სამყაროში საკუთრივ „აფსუა-აფშიღლებზე“, როგორც ისტორიული დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ეთნოსზე.

ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში „აფხაზ“-„აბაზგ“- ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომებია, რომლებიც ძველ კოლხეთში მოძინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომების ახლო მონათესავე უნდა ყოფილიყვნენ.

თავდაპირველად ძველ კოლხების და კოლხეთის მეტყველრედ ბერძნული საისტორიო წყაროების მიხედვით „ლაზიკის“ სამეფო გამოდის (ქართული წყაროების „ეგრისი“), რომელსაც VI საუკუნის დასასრულისათვის სწორედ „აბაზაზნია“ გამოეყოფა. ეს უკანასკნელი შეძგვომ აერთიანებს „სანონიშთის“, „მისიმანეთის“, აფსიღლის“ და სხვ. მიწა-წყალსაც, და შესაბამისად ფართოუდება ტერმინ „აბაზგია“-„აფხაზეთის“- შინაარსი.

კიდევ უფრო გაფართოვდა „აბაზაზნია“ მნიშვნელობა VIII საუკუნის დამდეგს, როდესაც განხორციელდა „აფხაზეთისა“ და „ეგრისის“ გაერ-

თანება. ამ დროიდან „აფხაზეთი“ უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავს, ხოლო ეთნიკში „აბაზე“-ს „აფხაზ“-ს, „ქართველოს“ საქართველო-
ლური ცნებაა და საზოგადოდ, „დასავლეთ საქართველოს“ მკვიდრს
წარმოადგენს.

ერთიანი აფხაზეთის სამეფოს დაშლის შემდეგ აფხაზ-
ეთნიკის დაკვირვება და ამ სახელით ქართულ ენობრივ სამყაროში
მხოლოდ იმ ხალხის აღნიშვნა, რომლებიც თავიანთ თავს „აფხუებს“
უწოდებენ.

როგორც აღინიშნა, VIII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული, X
საუკუნემდე, დასავლეთ საქართველოს ეწოდება „აფხაზეთი“. ასე ეწოდება
დასავლეთ საქართველოს ვიორგი მერჩულის ძეგლშიც. აღსანიშნავია
ისიც, რომ ეს სახელწოდება „აფხაზეთი“ შერჩა დასავლეთ საქართველოს
უფრო ვიან ხანაშიც, მას შემდეგაც, რაც საქართველოს სამეფო-
სამთავროები X-XI საუკუნეთა მიჯნაზე გაერთიანდნენ ერთი მთლიანი
სახელმწიფოს სახით. ამ გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ
სახელწოდებაში პირველად მოიხსენიებოდა აფხაზეთი, რა სახელითაც
იგულისხმებოდა მთელი დასავლეთ საქართველო.

XII-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერ-
თიანდა მთელი კავკასია, სრული ტიტულატურა საქართველოს სახელმ-
წიფოს მეთაურთა შემდეგი იყო: „მეფე აშხაზთა და მართმველთა
(=ქართლელთა), რანთა და კახთა, სომხთა, შარკანთა“ (=შარკან
შაბი) და შაქანთა (=შახან-შაბი), და ყოელისა აღმოსავლეთისა და და-
სავლეთისა ფლობით მყრობელი“. სახელწოდება „აფხაზეთი“ გაფარ-
თიებული მნიშვნელობით, როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთ
საქართველოსი, პირველად ხმარებაში შემოდის VIII საუკუნის II
ნახევრიდან, როცა შეიქმნა „აფხაზეთის სამეფო“ ანუ „აფხაზთა სამეფო“.
ეს კი შემდეგნაირად მოხდა: ჯერ კიდევ VI საუკუნიდან აბაზეგების
(აფხაზების) სამთავრო ვერისის სამეფოდან გამოიყო და უშუალოდ
ბიზანტიის კეისარს ეპორჩილებოდა. ეს მთავრები შემდეგში კეისრებს
თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში.

VIII საუკუნის დამლევს ბიზანტიამ დაიწყო მინაური შეფითი და
არფედარევა ატყდა ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავებს ღეონ მუორემ
და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ დროს კი ძველი ვერისის სამეფო
დაუძღვრებული იყო. აფხაზთა ერისთავებმა თავისი ძალაუფლება
აღვილად გააერთიანეს ვერისისა და არგვეთზე ღეონმა და მისმა
მემკვიდრეებმა თავიანთ სატახტო ქალაქად ქუთაისი აირჩიეს. ამის

შემდეგ აფხაზთა ერისთავმა „მეფის“ წოდებაც მიიღო. დიპლომატიის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ამ ახალ სამთავროსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. თვით მოსახლეობაში ცვლილებები არ მომხდარა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას ისევ საკუთარს, ქართველთა ტომები შეადგენდნენ. აღსანიშნავია, რომ აფხაზები ზოგიერთი მეცნიერის მიერ მიჩნეულია არაქართული მოდების ტომად. მაგრამ ისიც დამტკიცებულია და მეცნიერთა საკმაო ნაწილი იმ აზრისაა, რომ აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიძიანები, სანიხები) ეს ისეთივე წმინდა ქართული ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულ დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც საქართველოს დანარჩენი ქართული ტომები – ქართვები, მეგრელები, სვანები. ამასთან, არავითარი დაპყრობა არ მომხდარა VIII საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოსი აფხაზეთის მიერ, არამედ მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის პატრონობისაგან. სწორედ ამ დროიდან იწყება მკვეთრი, წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება. ბიზანტიის პატრონობის შედეგად მოელს დასავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო ბერძნული ენა. ამ პროცესის შემდეგ კი მილიანად იქნა განდევნილი ბერძნული ენა და მთავარ სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა. ბერძნული ენა განდევნილ იქნა ეკლესიიდანაც და მის მაგიერ ქართული იქნა შემოღებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, ჩამოშორდა და დაუკავშირდა ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს.

ამრიგად, ხანა „აფხაზთა სამეფოსი“, ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილია ქართველი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის ქართველი ტომი აფხაზებია.

სახელწოდებით „აფხაზეთის მხარენი“ ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით იგულისხმება ისტორიული „აფხაზეთის საერისთავო“. ტერიტორიის იმ ვაკეებით, როგორც იგი არსებობდა VIII საუკუნის შუა წლებში. ეს ერთეული არ იყო შემოხვევით, დროებით შეკონსტიტუციონირებული ადმინისტრაციული ერთეული, არამედ წარმოადგენდა მყარ გეოგრაფიულ მოღიანს, რომელსაც არ შეუცვლია თავისი ადრინდელი ტერიტორიული მოცულობა მას შემდეგაც, რაც იგი შევიდა ჯერ დასავლეთ საქართველოს

ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ჩვეულებრივ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში სუბარია აფხაზეთის ქვეყანაზე ვიწრო მნიშვნელობით, იგულისხმება აფხაზეთის ტერიტორია VIII საუკუნის აფხაზეთის საერისთავოს მოცულობით. ეს უფრო, რაც XII-XIII საუკუნეებში არსებული ადმინისტრაციული ერთეული ცხუმის საერისთავო. საზღვრები შემდეგი იყო - მდ. ნიკოფსისი (ერთვის შავ ზღვას ტყაფხიდან ჩრდილოეთით 20 კილომეტრის დაშორებით) იყო ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, სამხრეთით ეს იყო ძველი დროიდანვე არსებული დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობა - კელასურის ზღუდე-კედელი (ძველი წყაროებით კორახის ზღუდე), რომელიც იწყება მდინარე კელასურის შესართავიდან (ქალაქ სოხუმის მიდამოებში, სამხრეთით 4 კმ-ის დაშორებით), მიჰყვება ვერ კელასურის ხეობას (მარცხენა სანაპირო), შემდეგ უხვევს აღმოსავლეთისაკენ და გადადის ფანავის ქედზე კოდორის ხეობაში. ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვარი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედაა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი შავი ზღვა.

აფხაზეთის მხარეში ამ აღნიშნულ საზღვრებში დასახლებული იყო რამდენიმე ტომი, რომელთა შორის მთავარი ადგილი ეკუთრა აფხაზთა ტომს, რის გამოც მთელ მხარეს აფხაზეთში ეწოდებოდა. აქ მოსახლეობდა 4 ძირითადი ტომი - აფხაზები, სანიზები (სანიზები) ანუ ანისონები, აბსილბები (აფსილბები) და პინიპინაზები. გარდა ამისა, აფხაზეთის ჩრდილო სანაპიროზე ჩამოსახლებული ყოფილან ვიქები. ჩამოყალიბებული იყო 6 მხარე - მთიანი აფხაზეთი, ანუ ძირითადი აფხაზეთი, ზღვისპირა აფხაზეთი, ანუ ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი, შავი ჰენიოხეთი, აფხაზეთის ვიქეთი, ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი, აბსილბეთი და მიხიმიანეთი.

XIII საუკუნის 30-იან წლებში მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობამ მძიმე გავლენა მოახდინა. აფხაზები აქტიურად მონაწილეობდნენ მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში. მძიმე სამიანო და საგარეო მდგომარეობით სარგებლობდნენ ცალკეული ერისთავები. კერძოდ, ოდიშის ერისთავმა ბედიანმა შეიერთა ცხუმის საერისთავო. შარვაშიძე, რომელიც ადრე აფხაზეთის საერისთავოს სათავეში იდგა, ახლა განაგებდა ანაკოფიის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას, რომლის ცენტრი იყო ლიხნი მას შეუქმნიარდა სამფლობელოები აფხაზეთის ჩრდილო ნაწილშიც. XIII-XV საუკუნეებში აფხაზეთის რამდენიმე

ზღვისპირა პუნქტში ფეხი მოიკიდეს გენუელებმა და აქ მონათქვამა გაჩაღეს.

XV საუკუნის დასასრულს, საქართველო ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაიშალა. XVII საუკუნის დასაწყისში, რუსეთის ოდიშის სამთავროზე იყო დამოკიდებული, შემდეგ კი თვითონაც დამოუკიდებელ სამთავროდ გაფორმდა. ამ პერიოდში აფხაზეთი სულ უფრო ხშირად ხდებოდა ოსმალთა აგრესიის ობიექტი. XVI საუკუნის 70-იან წლებში თურქებმა დაიპყრეს სოხუმი და სხვა პუნქტები. დამოუკიდებელ სამთავროდ გაფორმების შემდეგ აფხაზეთი უშუალოდ იმერეთის სამეფოს ეასალი ვახდა. იგი აქტიურად ჩაება დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შინაურ ომებში. ამ ბრძოლების შედეგად XVII საუკუნის დასასრულს, აფხაზეთის მთავრებს თავიანთი სამფლობელოს საზღვრები მდ. კოდორიდან მდ. ღალიძგამდე, ხოლო შემდეგ მდ. ენგურამდე გააფართოვეს. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე აფხაზეთი ცალკეულ სამფლობელოებად დაიშალა: ბჰმმმ (მდ. ბზიფსა და მდ. გუმისთას შორის), ბჰმზ (მდ. გუმისთასა და მდ. კოდორს შორის), სამმმ (მდ. ბზიფსა და მზიძიას შორის), ააჰმზ (მდ. კოდორსა და მდ. ღალიძგას შორის), სამპრზამანო (მდ. ღალიძგასა და მდ. ენგურს შორის). ეს ოლქები თავის მხრივ უფრო წერილ ერთეულებად – სათავადოებად იყოფოდა. ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებს შორის ხშირი ბრძოლები მიმდინარეობდა. ამით სარგებლობდნენ ოსმალი დამპყრობლები. მათ XVIII საუკუნის II ნახევარში უფრო გააფართოვეს თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკა და დიდი რაოდენობით დაიწვეს ტყვის სყიდვა. XVIII საუკუნის მიწურულს აფხაზეთის მთავრებს ისლამი მიიღეს და ოსმალეთთან კავშირი დადეს. ერთ-ერთი მათგანი ქელემ-ბეი სულთანის მოთხოვნით სოლომონ I-ისა და ოდიშის მთავრის წინააღმდეგ იბრძოდა, მაგრამ რუხის ბრძოლაში (1779 წ.) დამარცხდა. შემდეგში იგივე ქელემ-ბეი მარკამიძე (ჩახაბა) აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლის მომხრედ გამოდიოდა. 1808 წელს იგი თურქეთის აგენტებმა მოკლეს. 1810 წელს მისი შვილი გიორგი (ზაფარ-ბეი) რუსეთის მთავრობამ ცნო აფხაზეთის მემკვიდრე მთავრად რუსეთის უმაღლესი მფარველობის ქვეშ. იმავე წლის ზაფხულში სოხუმის ციხიდან განდევნეს თურქთა გარნიზონი, რომელშიც გადამწყვეტი როლი რუსმა სადესანტო ნაწილებმა ითამაშეს. აფხაზეთში გაბატონებული იყო ფეოდალური ურთიერთობა. აქ ქარბობდა ნატურალური მეურნეობა. ვაჭრობა და საქალაქო ცხოვრება ძალიან დაბაღ

დონზე იდგა. XIX საუკუნის 30-იან წლებიდან აფხაზეთში ერთგულად წყრილი მრეწველობა დაიწყო ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობა, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება. 50-იანი წლებიდან თითქმის რეგულარულად დაიწყო საზღვაო მიმოსვლა მსხვერპლ და შავი ზღვის სანაპირო კალაქებს შორის.

1864 წელს რუსეთის მთავრობამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა. ყოფილ სამთავროს ეწოდა სოხუმის სამხედრო განყოფილება, 1853-დან სოხუმის ოლქი. ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ 1866 წელს აფხაზეთში დიდი სახალხო აჯანყება გამოიწვია. აჯანყებამ თითქმის მთელი აფხაზეთი მოიცვა, აჯანყება მკაცრად ჩაახშვეს. 1867 წელს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლდა. 1870 წლის 8 ნოემბრის დებულებით აფხაზეთში გაუქმდა ბატონყმობა. 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა, რომელიც დაემთხვა ახალ მძლავრ სახალხო აჯანყებას, საგრძნობლად შეაფერხა აფხაზეთის სახალხო მეურნეობის განვითარება. ამჯერად მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებით გადასახლეს თურქეთში, სადაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა.

1917 წლის მარტში სოხუმში შეიქმნა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ორგანო – საზოგადოების უშიშროების კომიტეტი, ასევე დროს ჩამოყალიბდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. ამრიგად, აფხაზეთში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა.

1921 წლის 4 მარტს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. იმავე წლის 16 დეკემბერს თბილისში დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში შევიდა. როგორც „სახელშეკრულები რესპუბლიკა“, ხოლო 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების VIII ყრილობის გადაწყვეტილებით, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

აჭარა

აჭარა, ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ისტორიულად მყარი კონტიგენტით, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხეა, რომელმაც გარეშე მტრების ურიცხვი შემოსევების პირობებში, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციებში, შეინარჩუნა ქართული ეროვნული კულტურის თავისებურებანი, ეროვნული თვითმყოფადობისა და თვითშეგნების დამახასიათებელი ნიშან-თვისებანი.

ქართულ მატრიანეში და მოხე ხორცეულის შრომაში დასახლებულა აჭარა. ძველიდანვე იგი ზემო ქართლის შემადგენლობაში შედიოდა. საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზის დროს (300-237) აჭარა სამცხესთან ერთად შეადგენდა მისი სამეფოს შემადგენლობას ნაწილს. იგი სამცხესთან ერთდროულად ქრისტიანობაზე მოაქცია ანდრია მოციქულმა. IX საუკუნის მიწურულს ქართული ქრინიკა აჭარას, ისე როგორც მის მოსაზღვრე შავშეთს, ადგილ-ადგილ მჭიდროდ დასახლებულად წარმოგვიდგენს. ბიზანტიელი მწერლები მას იცნობენ აგარის სახელით და X საუკუნეში, კონსტანტინე პორფიროგენეტის მოწმობით, იგი შეადგენდა მისთვის ცნობილი იბერიის ოთხი პროვინციურიდან ანუ ოლქიდან ერთს.

აჭარასა და სამცხის სერისთავოზე მხედლობისას ლეონტი პროველს მხედველობიდან არ რჩება მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების საკითხი. ამ თვალსაზრისით მისი თხზულება ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი პირველწყაროა. პროველის ცნობით, ფარნავაზმა ოძრხეს მმართველად გაგზავნილ ერისთავს - „მისცა ტასისკართვან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავიდან ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“. თუ გაეითვალისწინებთ იმას, რომ გვიანანტიკური და ფეოდალური ხანის ტრადიციებით აჭარას სამხრეთით შავშეთ-იბრხეის თემები ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთში საზღვარი აჭარა-გურიის მოეხის მიჯნაზე გადიოდა.

აჭარის ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ერთეულისა და აქ ქართული მოსახლეობის განსახლების საზღვრები, არსებითად დაცული უნდა ყოფილიყო ვახტანგ გორგასლის ეპოქის ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. აჭარა იგივე ტერიტორიულ საზღვრებშია საგულეებელი VIII საუკუნეშიც, მაშინ როდესაც იგი ბაგრატიონთა სამეფოებელს ეწ. „ქართველთა სამეფოს“ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ბუნებრივია, ეს მთლიანობა გარკვეულწილად უნდა დარღვეულიყო 941 წლიდან აჭარის ნაწილის - ქუეში აჭარის „აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს“ შემადგენლობაში გაერთიანებასთან ერთად.

XI საუკუნის II ნახევრიდან აჭარა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაშია. ამ პერიოდში ზემო აჭარა კლარჯეთთან ერთად აბუსერიცხთა სერისთავოში შედიოდა და სამხრეთ საქართველოს განათლებისა და კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ამ პერიოდში ძირითადად უნდა დასრულებულიყო გურ კადევი ანტიკური ხანიდან მომდინარე საქართველოს ცალკეული კუთხეებისა

და მათ შორის აჭარის ხეებად, ცალკეულ ისტორიულ-ტერიტორიულ თემებად ჩამოყალიბების პროცესიც, რაც ქვეყნის ახალი აღმშენებლის საწინდარიც იქნებოდა, მაგრამ ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების ეს მშვიდობიანი აღმავლობა დიდხანს არ გაგრძელდა. სამხრეთ საქართველოს ფორმოსტზე მდებარე აჭარა, საქართველოს სხვა ისტორიულ პროვინციებთან ერთად, ვერ თურქ-სელჩუკთა, ხოლო მოგვიანებით, ოსმალთა გამუდმებული თავდასხმების მსხვერპლი გახდა.

XI საუკუნის 80-იან წლებში სელჩუკებმა აჭარა ერთიანად ააოხრეს, მაგრამ ამჯერად აქ ფეხი ვერ მოიკიდეს. XIII საუკუნის შუა წლებიდან, აჭარა სამცხე-საათაბაგოს სამთავროს ერთ-ერთ სერისისთავოს წარმოადგენდა. XV საუკუნის შუა წლებიდან გიორგი მერვესა და ვეარეგარე მეთრე ჯაფელს შორის მომხდარი ბრძოლის დროს ათაბაგმა გააუქმა აჭარის სერისისთავო. ამ ბრძოლაში ათაბაგს გურიის მთავარი ეხმარებოდა, რისთვისაც ვეარეგარე მეთრემ აჭარა გურიელს გადასცა. XVI საუკუნის დასაწყისში მხეჭვაბუკ ათაბაგმა აჭარა გურიელს წაართვა, მაგრამ 1535 წლიდან ეს მხარე კვლავ გურიელის ხელში აღმოჩნდა.

ისტორიული წყაროების უაღრესი სიმწირის გამო, ძნელია ამ პერიოდის აჭარის საზღვრებზე მხედლობა, მაგრამ გვიანფეოდალური ისტორიულ-ეპიგრაფიული ტრადიციებით, მაშინ როდესაც საქართველოს დანაწევრებამ ზენიტს მიაღწია, წყაროებში მოხსენიებული „აჭარის ხევი“, „აჭარის ქვეყანა“ ან კიდევ „აჭარის ხეობა“ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული თეალსაზრისით, ლეონტი მროველისეულ ეპოქასთან შედარებით შეზღუდული ჩანს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „...მზღვრის ადმოსავლეთით მთა აჭარასა და ზარზმას შორის; და გარდაეალს მას ზედა ვზა სამცხეს; სამხრით მთა აჭარასა და ლივანისხევს შორის; დასავლეთ მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორის“.

გვიანფეოდალურ ხანაში აჭარა ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა: ზემო აჭარად ანუ ზევნად და ქვემო აჭარად, მის ცენტრალურ ნაწილს კი შუახევი წარმოადგენდა. თავის მხრივ თითოეული მათგანი მრავალ ადმინისტრაციულ ერთეულად – ხევად იყო დანაწევრებული. ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების განვითარება დაკავშირებული იყო სხვადასხვა პერიოდში დაწინაურებულ ცენტრებთან, რომელთა შორისაც გამოირჩეოდნენ დიდაჭარა, ხიხანი, ხულო, შუახევი, ქედა და ა.შ.

ფეოდალური შინაომებით დასუსტებულ საქართველოს, ოსმალეთის აგრესიულად გამწყობილი იმპერიის სახით, ახალი სამამო მტერი მოეკვლინა. ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ და იქ „სამინაო საქმეების“ მოგვარების შემდეგ, თურქ-ოსმალურმა საქართველმან შენიჭების XVI საუკუნის დასაწყისში ოსმალთა დამპყრობლებმა შეიძინეს მთლიანად ფეოდალური ხანის ქართული ცივილიზაციის აკანი ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი და საქართველოს სამხრეთი სხვა ნაწილები. XVI საუკუნის 70-იან წლებში ოსმალურმა აჭარაც დაიპყრეს, აქ ხუმი და ქვემო აჭარის სანჯაყები დააარსეს და ახალციხის (ჩილდირის) ვილაეთის შეუერთეს.

ოსმალთა დამპყრობთა ასეთი წარმატების მიუხედავად, ამჯერად მათი ბატონობა აჭარაში დიდხანს არ გაგრძელდებოდა. 1582 წელს აჭარა თურქთა წინააღმდეგ აჯანყებულ მანუჩარ მეორე ათაბაგს მიეძღრა, მაგრამ 1587 წელს, იგი კვლავ ოსმალურმა დაიპყრეს. 1605 წელს გურიელმა აჭარიდან ოსმალური გარეჯა და აჭარა გურიის სამთავროს შეუერთა, თუმცა გურიის მთავრის ეს შედეგობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. 1614 წელს აჭარა კვლავ ოსმალურმა დაიპყრეს, ამჯერად თურქ-ოსმალთა გაბატონება აჭარაში ხანგრძლივი აღმოჩნდა.

თურქთა უღელქვეშ მოქცეული აჭარის უმცირეს ადმინისტრაციულ ერთეულს ნახე ანუ თემი წარმოადგენდა. კახა გარკვეული რაიონის ტერიტორიას გულისხმობდა, ხოლო ამ ერთეულის გამაერთიანებელი სანჯაყი და ვილაეთი შესაბამისად, ოლქისა და გუბერნიის მნიშვნელობით იყო გაგებული. 1829 წლამდე – ახალციხის საქართველოსთან შემოერთებამდე, ჩილდირის ვილაეთის შემადგენლობაში რჩებოდა, შემდეგ კი იგი ტრაპიზონის ვილაეთის – ლაზისტანის სანჯაყს შეუერთეს, რომლის საზღვრებიც მდ. ჩოლოქიდან ქ. რიზემდე ვრცელდებოდა. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის ადმინისტრაციის მიერ ვინოსა და მაჭახლის მხარეთა გაერთიანებამ არხავესა და ლივანის სანჯაყებში მოსახლეობის გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. თურქეთი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, გაეთვალისწინებინა მხარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული თუ სამეურნეო-ეკონომიკური თავისებურებები და მაჭახელი და ვინოი ადმინისტრაციულად კვლავ აჭარისათვის დაებრუნებინა.

თურქ-ოსმალთა ბატონობის უღელი მძიმედ დააწვა აჭარის მოსახლეობას. დამპყრობთა მოძალების შედეგად შეეწირებული მოსახლეობის ნაწილი მტერთან ბრძოლას შეეწირა, ნაწილი კი სხვა მხარეებში გაიხიზნა. უცხოელ დამპყრობთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ ვერ შეაჩერა

ეროვნული თვითმყოფობისა და თვითშეგნების ის ბაღაყარი, რომელიც არსებითად განსაზღვრავდა აჭარელის ქართულ ეროვნულ იერსახეს.

1878 წელს აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. ახლად შექმნილი აჭარა ადმინისტრაციულად ბათუმის ოკრუგის სახით, 1883 წელს ბათუმისა და ართვინის ოკრუგები გაერთიანდა და ბათუმის ოლქი შეადგინა, რომელიც თავის მხრივ ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. რუსეთის მმართველობის პერიოდში ზოგჯერ იგი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულადაც იყო გამოყოფილი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით, აჭარა თანამედროვე საზღვრებით ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

დღემდე არსებული წყაროების მიხედვით, აჭარის სახელწოდება პირველად VII საუკუნის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში გვხვდება. მომდევნო ხანაში იგი მოხსენიებულია IX-X სს. საეკლესიო მოღვაწის სტეფანე მტბეართან, X ს. I ნახევრის ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე პორფიროგენეტთან, XI ს. ქართველ ისტორიკოსებთან - ლეონტი მროველისა და ჯუანშერთან და სხვ.

აჭარის ეტიმოლოგიის ახსნა არაერთმა მეცნიერმა სცადა (მ. ჯანაშვილი, ნ. აღონცი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროეცა, გ. ჩიტაია, ო. ახელედიანი, ი. სიხარულიძე, ხ. ახელედიანი, შ. ვარშანიძე და სხვ.), მაგრამ დღემდე აზრთა აშკარა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.

ჩვენ შეგვიძინია, რომ სახელწოდება აჭარა ბუნებრივი პირობების ტერმინის მიხედვით შერქმეულ სახელწოდებად - „ჭა“-სთან (ჭაბული) არის დაკავშირებული. „ა“ ადგილის მიმანიშნებელი პრეფიქსია, ისე როგორც „სა“, ხოლო სუფიქსი უნდა იყოს არა. ისიც არ არის გამორიცხული, რომ თავდაპირველად ა-ჭა-არ-ა ყოფილიყო და შემდეგ ერთი ა დაიკარგა.



- ახდალასე ა. ამერკეკასიის პოლიტიკურ ერთეულთა განვითარება
IX-XI სს. თბ., 1988.
- ახდუშელიშვილი შ. ქართული ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია.
თბ., 1979.
- ახუხაძე ც. ლიონის წარმოება ამერკეკასიაში ძვ. წ. III თასწლეულში.
თბ., 1969.
- ახუხაძე ც., პახტაძე რ. და სხვ. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის
ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1958.
- ახითაძე გ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973.
- არველიძე ბ. „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!
თბ., 1996.
- არქანჯელო დამპერტა. სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.
- ასათიანი ნ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დამშლის
ისტორიიდან. თსუ შრომები, 1963, ტ. 78.
- ასათიანი ნ., ვუჩუა ვ. ღორთქიფანიძე მ., შახნია შ. საქართველოს
ისტორია, თბ., 1990.
- აფთქაძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში I.
თბ., 1963.
- აფრახიძე ვ. საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბ., 1984.
- აფხაზეთი. არტანუჯი (საისტორიო ჟურნალი) 10, 2000.
- აფხაზეთის ისტორიული პრობლემები. თბ., 1998.
- ბაღრაძე შ. მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის
კახეთის სამთავროში. მცნე, 1964, №5.
- ბარათაშვილი გ. მაჰმადიანი მესხების ქართული გეარები. თბ., 1997.
- ბარნაველი თ. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1961.
- ბატონიშვილი ა. ქართლ-კახეთის აღწერა. ტომონიშკა II, თბ., 1980.
- ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი,
1987.
- ბაქრაძე დ. ისტორია საქართველოსი, ტფ. 1889.
- ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბ., 1991.
- ბუდოშვილი ვ. ერწო-თიანეთის ტომონიშკა. თბ., 1980.
- ბუნდიაშვილი ა. ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921,
თბ., 1980.

ბოგვერძე ა. ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979.

ბერაძე თ. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ისტორიის სერია, 1982, №1

ეროვნული

ბერაძე თ. ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971.

ბერაძე თ. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981.

ბერაძე თ. რაჭა, თბ., 1983.

ბერაძე თ. რაჭა ფეოდალურ ხანაში. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული V, თბ., 1975.

ბერაძე თ. ცქიტიშვილი ვ. იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული IV, თბ., 1971.

ბერაძე ვ. XVI-XVIII საუკუნეების ქართული ზურთომობეჭვება, თბ., 1983.

ბერაძე ვ. სამცხის ზურთომობეჭვული ძეგლები, თბ., 1970.

ბერაძე თ. ძველი თბილისის სურათები, თბ., 1980.

ბერაძე მ. ჯავახეთი (ტოპონიმური ანალიზი), თბ., 1992.

ბერუღიაძე კ. აფხაზეთის ისტორიული ადგილები, თბ., 1951.

ბერძენიშვილი დ. ახალქალაქი ჯავახეთისაი. ყურნ. არტანუჯი, 1998 წ. №7.

ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ქვემო ქართლი, ნაკ. I, თბ., 1979.

ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი, თბ., 1985.

ბერძენიშვილი დ. ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული IV, თბ., 1971.

ბერძენიშვილი დ., ბინსკელაძე ი., ხერამელაშვილი მ., ქურღულია დ. ლენხუმი, თბ., 1983.

ბერძენიშვილი ნ. ვზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966.

ბერძენიშვილი ნ. ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, თბ., 1960.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964.

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.

ბერძენაშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973.
ბერძენაშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.



ბერძენაშვილი ნ. ძველი თბილისის ტოპონიმოლოგია, ^{ქართული ენის ინსტიტუტი} II, თბ., 1951.

ბერძენაშვილი მ. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1966.

ბერძენაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები XIII ს. დამდეგს, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.

ბერძენაშვილი მ. სვანური დოკუმენტები, როგორც წყარო XIV-XVI სს. სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, კრ. ქართული წყარო-მცოდნეობა II, თბ., 1962.

ბერძენაშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969.

ბოჭორაძე გ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველენი, თბ., 1994.

ვაბაშვილი ვ. ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969.

ვაბაშვილი მ. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, თბ., 1981.

ვახლიანი ვ. ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925.

ვახუშია ვ. ასე იწყებოდა დიდი საქართველო, თბ., 1996.

ვახუშია დ., ვეკუა ა. ქვაბების ვიგანტური დამანი, თბ., 1978.

ვახუშია დ., ვეკუა ა., ღოთოთაიფანიძე დ. დმანისის პომონადი და მისი ეკოლოგიური გარემო, დმანისი I, თბ., 1998.

ვაშლიანი ვ. ცქატაშვილი ზ. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, ისტორიის სერია, 1973, №2.

ვაშლიანი ვ. წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989.

ვახუშია ვ. აფხაზეთი, ძველი და ახალი აფხაზეთი, თბ., 1998.

ვახუშია ვ. დასავლეთ საქართველოს მოიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

ვახუშია ვ. დასავლეთ საქართველოს მოიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979.

ვახუშია ვ. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება, თბ., 1988.

ვახუშია ვ. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991.

გაგაშიძე მ. ვიორჯი ნიტაია, თბ., 1980.

გაგაშიძე მ. გეოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში. თბ., 1982.

გვანცელიძე თ. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები. თბილისში (სოხუმი, ვაგრა, ტყვარჩელი). უფრ. „არტანუჯი“, 2000, №10.

გვასალია ჯ. არაგვის კარი. ძეგბანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. თბ., 1976.

გვასალია ჯ. არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული V. თბ., 1975.

გვასალია ჯ. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები. თბ., 1983.

გვასალია ჯ. ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VI, თბ., 1982.

გვასალია ჯ. შიოშელეთის ისტორიული გეოგრაფიიდან. კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული III. თბ., 1971.

გვასალია ჯ. მატარა ლიახვის ისტორიული ძეგლები. ძეგლის მუგობარი, 1976-1977, №43-44.

გვასალია ჯ. საქართველოს მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოსილვა. თბ., 2001.

გვასალია ჯ. საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, 1972, №2.

გვასალია ჯ. ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, თბ., 1967.

გვასალია ჯ. ქართული კულტურის ისტორია I, თბ., 1995.

გვასალია ჯ. შიდა ქართლი და ოსური საკითხები. თბ., 1997.

გვასალია ჯ. შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, 1976, №1.

გვასალია ჯ. წანარების ეთნიკური კუთვნილების საკითხისათვის. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 59, №3, 1970.

გვასალია ჯ., ვიორჯიძე მ., ხერამელიაშვილი მ., ქურდულია ლ. ხადის ხეობა. თბ., 1983.

გვასალია ჯ., თოდრია თ. გვიანფეოდალური ხანის კახეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული IV. თბ., 1971.

გუგუშვილი მ. დემოგრაფიული ნარკვევები. თბ., 1986.

გუგუშვილი მ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკურ განვითარება XIX-XX სს., ტ. VI, თბ., 1979.

გუგუშვილი მ. საქართველოს მოსახლეობა 160 წლის განმავლობაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის თბ., 1963, XI-XIII ნომერები.

გვრიტიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. თბ., 1962.

გვრიტიშვილი დ. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955.

გვრიტიშვილი დ. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955.

დავათაძე ა. ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან. თბ., 1983.

დონდუა დ. ვახუშტის მატანე და მისი სამეურნეო ცნობების გეოგრაფიულობა. ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები I, თბ., 1947.

დონდუა დ. სამხედრო გეოგრაფია. თბ., 1942.

დუმბაძე მ. გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს. I მესამედში. კრ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30.

დუმბაძე მ. საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია. კრ. საქართველოს ფეოდალური ხანის პერიოდიზაცია, თბ., 1980.

ვლანძვე ვ. თუშეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1988.

ვარშანაძე შ. ნარკვევები შუა საუკუნეების აჭარის ისტორიიდან. თბ., 1974.

ვაშაკაძე ვ.-პაიჭიაძე დ. ქართველი ერის ჩამოყალიბება. თბ., 1990.

ვახუშტი ბაგრატიონი - გეოგრაფი 300. თბ., 1997.

ვახუშტი ბაგრატიონი - ისტორიკოსი და ეთნოგრაფოსი 300. თბ., 1997.

ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია. თბ., 1997.

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები I, ვახუშტი როგორც გეოგრაფი. თბ., 1947.

ზარდაღიშვილი ვრ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები. თბ., 1966.

ზარდაღიშვილი ვრ. თბილისისა და მისი მუდამობის ტოპონიმია. თბ., 1978.

ზაქარაია პ., დიმიტურა ს., დეჭყინაძე ვ.-გვანისძე ვ. ციხეგოჯი - ნოქალაქევი. თბ., 1984.

ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები. თბ., 1988.

ზუხბაია ვ. აფხაზეთი ჩემი, თბ., 1998.

ზუხბაია ვ. სოხუმი. ნარკვევი. თბ., 1997.

თაყაიშვილი ვ. არქეოლოგიური მოგზაურობანი და მქრომქმნელე
ტფ. 1907.



თაყაიშვილი ე. სომხეთ-საორბელის ძეგლების წარწერები I. ჟურნ. „კავკასიონი“ 1-2, პარიზი, 1929; ნაწ. II, თხუ შრომები, 1951, ტ. 43.

თოდრაძე თ. ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII. თბ., 1989.

თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობა მეცამეტე საუკუნეში. ვაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990 წ. 22 მარტი.

თოფჩიშვილი რ. ღვინისუბური გვარსახელები. თბ., 1993.

თოფჩიშვილი რ. რაღის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ., 1997.

თოფჩიშვილი რ. საღ წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა. თბ., 2000.

თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბ., 1997.

თოფჩიშვილი რ. ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები. თბ., 2002.

თოთნაშვილი ვ. არაგვი და არაგველები. თბ., 1989.

თოთნაშვილი ვ. არაგვის ხეობა. თბ., 1986.

თოთნაშვილი ვ. ქართველი ხალხის ეთნისტრუქტურა მრუდე სარკეში. თბ., 1990.

თოთნაშვილი ვ. ქართული ეთნოგრაფიის ნარკვევები. თბ., 1989.

თოთნაშვილი ვ. ხევის ტოპონიმიკა. თბ., 1971.

ინაძე პ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1982.

ინგოროფვა პ. ვიორგი მერჩულე. თბ., 1954.

ინგოროფვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990.

იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV ს. ჟურნ. „მოამბე“, 1894, №11.

კაკაბაძე ხ. იბერიის მოსახლეობის რიცხვი. საისტორიო მოამბე, წ. 1, ტფ., 1924.



კაკაბაძე ხ. ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისათვის. საისტორიო მოამბე. წ. II, ტფ., 1925.

კაკაბაძე ხ. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები - იბერია. საისტორიო მოამბე. წ. I, ტფ., 1924.

კაკაბაძე ჯ. საქართველოს ტერიტორია და საზღვრები. თბ., 1996.

კაკაბაძე კ. ხალხთა კლასიფიკაცია და გეოგრაფიული განოჯების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში. თხუ შრომები, ტ. 20. თბ., 1938.

კაკაბაძე ნ. საქართველოს ძველი ხიდები. თბ., 1972.

კაკაბაძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.

კაკაბაძე რ. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, თბ., 1982.

კაფურაძე თ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტის პეროდიზაცია, თბ., 1976.

კლიშიაშვილი ა. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის საღრობოების ისტორიისათვის. კრ. XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.

კურაკოვა დ. სუბარი ბუნებაზე, საზოგადოებასა და ადამიანზე. თბ., 1979.

ღანსაგა თ. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. მაცნე, ისტორიის სერია, 1974, №4.

ღანსაგა თ. ქუთაისის ძველი ისტორიისათვის. თბ., 1975.

ღუთოდიანი დ. ლენხუმი ადრეეგოდალურ ხანაში. თხუ შრომები, 1982, ტ. 227.

ღომიაშვილი ჯ. წერილები. თბ., 1975.

ღომიური ნ. კლავდიოს პტოლემეაძის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. კრ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32. თბ., 1955.

ღომიური ნ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბ., 1975.

ღომიური ნ. შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან. თხუ შრომები, 1964, ტ. 107.

ღომიანი შ. ახალციხის მხარის ისტორიიდან (XIX ს. I მესამედი). თბ., 1973.

ღომიანი შ. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

ღორთქიფიანიძე მ. აფხაზეთი და აფხაზეთი. თბ., 1990.

ღორთქიფანიძე მ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გეოგრაფია. თბ., 1963.



ღორთქიფანიძე მ. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიული მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან. ტფ. — 1954.

ღორთქიფანიძე ა. ქვემო ქართლი I-II, ტფ., 1935; III-IV, თბ., 1938.

მათურელი ა. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა. თბ., 1990.

მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბ., 1982.

მაისურაძე ა. მასალები სამცხის ტოპონიმიკიდან. პუშკინის სახ. პედაგოგიკის შრომები, ტ. 17. თბ., 1963.

მაკაღათია ხ. ატენის ხეობა. თბ., 1957.

მაკაღათია ხ. პორჯომის ხეობა. თბ., 1957.

მაკაღათია ხ. თესამის ხეობა. თბ., 1959.

მაკაღათია ხ. თუმეთი. ტფ., 1933; თბ., 1983.

მაკაღათია ხ. კეთურას ხეობა. თბ., 1960.

მაკაღათია ხ. ლიახვის ხეობა. თბ., 1971.

მაკაღათია ხ. მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1938.

მაკაღათია ხ. მთის რაჭა. თბ., 1987.

მაკაღათია ხ. მთიულეთი. ტფ., 1930.

მაკაღათია ხ. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1992.

მაკაღათია ხ. ფრონის ხეობა. თბ., 1968.

მაკაღათია ხ. ფშავე. თბ., 1934.

მაკაღათია ხ. ძამის ხეობა. თბ., 1961.

მაკაღათია ხ. ხევი. ტფ., 1934.

მაკაღათია ხ. ხევსურეთი. თბ., 1935; თბ., 1984.

მარგიაანი ვრ. გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში. თბ., 1985.

მარუაშვილი ღ. საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი, ვახუშტი ბაგრატიონი. თბ., 1956.

მარუაშვილი ღ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, თბ., 1969; ნაწ. II, თბ., 1970.

მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს., ტფ., 1907.



მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XVI-XVII, თბ., 1972.

მასალები საქართველოს გეონომიკური ისტორიისათვის, 6 სერია, მუხ-
ვლის გამოცემა, I-III, თბ., 1938-1955.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიისათვის,
1. თბ., 1964.

მეგრელიძე შ. ჩვენი სახელოვანი სამშენებლო წინაპრები. თბ., 1979.

მელიქიშვილი ვ. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება
და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი
საკითხი, თბ., 1973.

მელიქიშვილი ვ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ., 1938.

მესხია შ. ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის
შესახებ. კრ. კაცკასის ხალხთა ისტორიის საკითხი, თბ., 1966.

მესხია შ. საისტორიო ძეგანი I, თბ., 1982; II, თბ., 1983.

მაბრუანი თ. დასავლეთ საქართველოს ქართველ მოიულთა ეთნოგენეზის,
განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989.

მუხხელიშვილი დ. აგმალთა ეთნიკური კეთილშეშობის საკითხისათვის.
ფერნ. „არტანუჯი“, 2000, №10.

მუხხელიშვილი დ. ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორიული
გეოგრაფია. მაცნე, ისტორიის სერია, 1976, №2.

მუხხელიშვილი დ. ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება საქართველოში.
ისტორია და გეოგრაფია სკოლაში, 1973, №3.

მუხხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი
საკითხები, I, თბ., 1977; II, თბ., 1980.

მუხხელიშვილი დ. ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან
ქსედიციის საველე შედეგები. კრ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის
კრებული I, თბ., 1960.

მუხხელიშვილი დ. ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის
პერიოდისაკითხისათვის. მაცნე, ისტორიის სერია, 1980, №2.

მუხხელიშვილი დ. ქიზიყის ძველი ისტორია. თბ., 1997.

მუხხელიშვილი დ. ციხე-ქალაქი უჯარმა. თბ., 1966.

მუხხელიშვილი დ. არქეოლოგიური ექსკურსიები. თბ., 1941.

ნიკოლეიშვილი ვ. განძი და საგანძური. თბ., 1986.

ნივარაძე ნ., ვიბუტა ნ. აქარის ახსრ, მათუბი, 1957.

ოთხანაშვილი ნ. ლიახვის ხეობის ონომასტიკა. თბ., 2002.

ოსთა საკითხი. ვორი-თბილისი, 1996. (სტატიების კრებული).

პაპუაშვილი თ. რანთა და კახთა სამეფო. თბ., 1982.



პაპუაშვილი თ. ქარბელაქანი. თბ., 1972.

პაპუაშვილი თ. პერეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1970.

პატარაძე რ. ქართული ასომთავრული. თბ., 1980.

ფორდანია გ. კავკასიური მუზუუმის დაარსება. თბ., 1951.

რატიანი ზ. წყაროთა ღაღადი. თბ., 1989.

რეხვიაშვილი მ. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ., 1982.

რეხვიაშვილი მ. იმერეთის სამეფო 1462-1810. თბ., 1989.

სამაღებევოვი ა. კარტოგრაფიის საფუძვლები. თბ., 1977.

საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993 (სტატიების კრებული).

საქართველოს აღმნიშვნელ-ტერიტორიალური დაყოფა, ტფ., 1930.

საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II (ისტორიულ-გეოგრაფიული რევიონები). თბ., 2001.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I-VIII. თბ., 1970-1979.

სახლანუკიაშვილი უ. მარტყოფის ტოპონიმის ისტორიისათვის. კრ. ტოპონიმთა I, თბ., 1976.

სახარუღაძე ა. მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული IV, თბ., 1971.

სახარუღაძე ა. მასალები სამცხის ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II, თბ., 1964.

სახარუღაძე ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, წ. I. თბ., 1958; II, თბ., 1959.

სახარუღაძე ა. ფერსათის ისტორიული გეოგრაფიიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VII. თბ., 1989.

სახარუღაძე დ. ანტ-ფარნავაზიდან „სახაროვ-ნიხასამღე“. ვაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 1 ივნისი.

საქართველოს სსრ ატლასი. თბ., 1964.

საქართველოს ისტორიული რუკა, ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1923.

სახარუღაძე ფ. მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის ისტორიიდან. თბ., 1990.

სურგულაძე ა. სურგულაძე მ. საქართველოს ისტორია. თბ., 1991.

ტატიშვილი თ. მასალები ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II. თბ., 1964.

ტურნეფორი ე. მოზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, 1988.
უაურგაიძე თ. თუშეთი და არა მთათუშეთი კრ. ონქმისქვეყნის სსრკ-ში, თბ., 1987.

უკლები დ. საქართველოს ისტორიული წარსულის (XVIII ს.) ბუნებრივი კომპლექსები. კრ. საქართველოს მაღალი მთის ლანდშაფტები. თბ., 1966.

უკლები დ. ქვემო ქართლის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) რაიონები ვახუშტის მიხედვით. საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 1958, ტ. XX, №5.

ფანჯიკაძე თ. მართლმადიდებლობა. თბ., 1985.

ფიცხელაური კ. იორ-ალაზნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. თბ., 1965.

ფრონელი აღ. დიდებული მესხეთი. თბ., 1991.

ფრუიძე დ. რაჭა ეთნოგრაფიის თეალით. თბ., 1986.

ქაჯორია მ. XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბ., 1977.

ქაღდიანი ა. ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კომუნიკური კულტურა. თბ., 1990.

ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955.

ქართლის ცხოვრება II, თბ., 1959.

ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973.

ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია I-XI, თბ., 1975-1987.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. საქართველო. თბ., 1981.

ქვემო ქართლი. ეთნოგრაფიული კრებული თბ., 1990.

ჭუთათელაძე ქ. ქვემო ქართლი. პოლიტიკური ისტორიის საკითხები. თბ., 2001.

ჭუთათე შ. ქვემო ქართლში გერმანელთა ახალშენების ისტორიის საკითხისათვის. მაგნე, 1967, №4.

ღამბაშიძე თ., ტატიშვილი თ. მასალები თორის ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული VII. თბ., 1989.

ღღონტი აღ. ტომონიმიკური ძიებანი I. თბ., 1973.

ყაზბეგა ვ. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1995.

ყაუხჩიაშვილი თ. ბერძენი შწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1969.

ყაუხჩიაშვილი თ. სტრახონის გეოგრაფია. თბ., 1957.

ყაუხჩიაშვილი თ. პიპოკრატე და მისი ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1965.

ყაუხჩიაშვილი ხ. ბერძნების დასახლების ისტორია საქართველოში. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, 1942, ტ. IV.

ყენია რ., აღადაშვილი ნ. ზემო ხეანეთი. თბ., 2000.

შაიშველაშვილი ავ. ძველი საქართველოს ფოლადის გული. თბ., 1969.

შანიძე აკ. თხზულებანი III, თბ., 1980.

ფან შარდენი. მოგზაურობა საქართველოში. თბ., 1975.

ნანგაშვილი გ. საინგილო. თბ., 1970.

ნარსოღიანი ვ. დასავლეთ საქართველოს ქართველ მოიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1990.

ჩაქოყანი თ. ზემო ქართლი. თბ., 1987.

ჩაქოყანი თ. თრიალეთი. თბ., 1976.

ნხატარაიშვილი ქ. გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან. მაცნე, 1964, №4.

ნხატარაიშვილი ქ. გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბ., 1985.

ნხატარაიშვილი ქ. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ., 1979.

ცანცაძე ზ. სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს საზღვრების საკითხისათვის XIX ს. I ნახევარში. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, თბ., 1989.

ცქიტიშვილი ვ. ანტიკური ხანის შორაპნის საყრისთავოს საკითხისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული II, თბ., 1964.

ცქიტიშვილი ვ. წიფი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, თბ., 1960.

ცხადიაა პ. ტოპონიმური ეთარება სამურზაფანოში. ფურც. „არტანუჯი“, 2000, №10.

ჭილაშვილი დ. კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.). თბ., 1980.

ჭილაშვილი დ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. I, თბ., 1968; II, თბ., 1970.

ჭუშბურაძე ზ. რა გვქვია შენ? თბ., 1966; 1982.

- ქუმბურაძე ზ. ქართული ხელნაწერების კვლევა. თბ., 2000.
- ხაზარაძე ნ. საქართველოს ძველი ისტორიის ენციკლოპედიური პრობლემები. თბ., 1984.
- ხარაძე კ. გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში. თბ., 1988.
- ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში. თბ., 1996.
- ხარაძე კ. ვლდანა. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი. თბ., 1997.
- ხარაძე კ. თბილისი XVIII-XIX სს. ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით. მაცნე, ისტორიის სერია. 1975, №2.
- ხარაძე კ. თუმეტი და არა „მოათუმეტი“. ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, 1990, №12.
- ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ზემო ქართლი. თბ., 2000.
- ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი. თბ., 1991.
- ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი. თბ., 1992.
- ხარაძე კ. საქართველოს ძველი და ახალი ტოპონიმების შედარებითი კვლევის ზოგი საკითხისათვის. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები XIV, თბ., 1980.
- ხარაძე კ. საქართველოს ძველი ტოპონიმები. თბ., 1981.
- ხარაძე კ. საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები. კრ. ინომასტიკა I, თბ., 1987.
- ხარაძე კ. ტოპონიმებსაც თურიდიული დაეცა სჭირდებათ. ჟურნ. სახელმწიფო და სამართალი, 1990, №4.
- ხარაძე კ. ქართული კარტოგრაფიის ელემენტები ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში. კრ. საქართველოს ბუნება და მუერნობა. თბ., 1977.
- ხარაძე კ. ჩხარი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი. თბ., 2001.
- ხარაძე კ. ქავთარია მ. 1711 წლის მსოფლიო ატლასის ქართული მინაწერები. მაცნე, ისტორიის სერია, 1986, №3.
- ხახუტაიშვილი დ. იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966.
- ხარაგა ბ. აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში. ჟურნალი „არტანუჯი“, 2000, №10.

ხოსტარია ვ. სვანეთის ადგილი ქართულ ფეოდალურ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში. წიგნში – ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები. თბ., 1984.

ხოსტარია ვ. ფეოდალურ საქართველოში სამხედრო საქმის ისტორიული შესწავლისათვის. მაკნე, ისტორიის სერია, 1981, №4.

ჯავახიშვილი ალ. ვახუშტი ბავრატონი, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი. ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები I. თბ., 1947.

ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. I, თბ., 1979.

ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983.

ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982.

ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984.

ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977.

ჯავახიშვილი ივ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წ. I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, ტფ., 1930; II, ტფ. 1934.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები I, თბ., 1967; II, თბ., 1974.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს საზღვრები. ტფ., 1919.

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1967; წ. II, თბ., 1965.

ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955.

ჯანაშია ხ. თუბალ-თაბაღ, ტიბარენი, იბერა. ენიმკის მოამბე I, თბ., 1937.

ჯანაშია ხ. საქართველო ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937.

ჯანაშია ხ. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ. შრომები VI, თბ., 1988.

ჯანაშია ხ. შრომები I, თბ., 1949; II, თბ., 1952.

ჯანაშვილი მ. მესხეთი. თბ., 1915.

ჯანაშვილი მ. საქართველოს ისტორია I, ტფ., 1906.

ჯიოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XIX საუკუნეებში. თბ., 1984.

ჯაფარიძე ა. მოციქულთა გზა. ვახ. „ერი“, 1991 წ. 21 აგვისტო.
ჯაფარიძე ა. საქართველოს სამოციქულო გეოგრაფიის ისტორია. ტ. I,
თბ., 1996.

ჯაფარიძე ა., ჯავახიშვილი ა. უძველესი მონათმკვლე პოპულაციების
კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971.

ჯაქია ხ. გურჯისტანის ენოლოგიის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1958.

Антелана И.Г. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII веков. Сухуми,
1951.

Армянская география. издан К.П. Патканов. СПб, 1897.

Баратов С. История Грузии I, СПб, 1866.

Берг Л. С. Достижения Советской географии, М., 1947.

Вороной А. И., Кушца Н. А., Коржик В. П., Леницкий В. И. Основные
направления историко-географических исследований. Материалы IV
съезда геогр. об-ва СССР, Л., 1975.

Гехтман Г.Н. Выдающиеся географы и путешественники. Тб., 1962.

Гамкрелидзе Т. В., Иванов В. В. Индоевропейский язык и
индоевропейцы I-II Тб., 1984.

Гвасалиа Дж. Историческая география Восточной Грузии (Шида
Картли). Тб., 1991.

Григорьев А. А. География. Краткая геогр. энцикл. т. I, М., 1966.

Дробижев В. З., Ковальченко И. Д., Муравьев А. В. Историческая
география СССР. М., 1977.

Закараи П.П. Древние крепости Грузии. Тб., 1969.

Зубаков В. А. О содержании и задачах исторической географии. Изв.
ВГО, 1976, №6.

Жекулин В. С. Историческая география. Предметы и методы. Л., 1982.

Иоселиани Пл. Города существовавшие и существующие в Грузии.
Тифлис, 1850.

Иофа Л. Е. О значении исторической географии. География и
хозяйства, Сб. II, М., 1961.

История земледелия и открытый по этому предмету лекции Карла
Риттера, чтени в Берлинском университете. СПб, 1864.

Какабадзе С. Н. О племени Цанар. Исторический сборник, кн. III.
Тифлис, 1928.

Калесник С. В. Предмет географических наук и их система и класси-
фикация. Сб. Теоретические вопросы физической и эконом. географии.
Итоги науки и техники, т. I. М., 1972.

Марков К. К. К вопросу о значении исторического метода в географии.
Изв. ВГО, 1947, №2.

Маруашвили Л. И. Элементы исторической географии в трудах Вахушти Багратиони. Тр. геогр. об-ва Грузии, т. XII, Тб., 1973.

Месхиа Ш. А. Города и городской строй феодальной Грузии. Тб., 1958.

Мушеллишвили Д. Л. Основные вопросы исторической географии Грузии.

Осетинский вопрос. Сборник ст. Тб., 1994.

Подгородецкий П. Д. О раздвоении исторической географии. Материалы VI съезда геогр. об-ва СССР. Л., 1975.

Политическая и военная география, М., 1980.

Спицин А. А. Русская историческая география, СПб, 1917.

Яцунский В. К. Историческая география, М., 1955.

Югай Р. Л. О взаимодействии истории географии и исторической географии. Изв. АН СССР, сер. геогр. 1970, №2.



წინასიტყვაობა	3
ისტორიული გეოგრაფიის საგანი და ამოცანები	4
კლუვის შეიქმნა და წყაროები	7
ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი მისართულებანი და ცნებები	9
ისტორიული ფიზიკური გეოგრაფია და ლანდშაფტომკოდნობა. ისტორიული პალეოგეოგრაფია და ბუნების გამოცვლებითი ისტორია	17
ისტორიული ეთნოლოგია და ეთნოგენეზი	24
ისტორიული პოლიტიკური გეოგრაფია	33
ისტორიული დემოგრაფია	44
ისტორიული ეთნიკური გეოგრაფია	55
არაქართული ეთნოსები საქართველოში	61
ისტორიული კარტოგრაფია	68
წყაროთმკოდნობა	70
ისტორიული გეოგრაფია და საქართველოს ისტორიის პერიოდი- ზაციის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მუნიციპალური განვითარების ძირითადი ეტაპები	74
ცნება „საზღვარი“ – საქართველოს საზღვრების ისტორიულ-გეოგ- რაფიული მიმოხილვა	82
ქართულთა თვითსახელწოდება – საქართველოს ისტორიული პროვინციების (რეგიონების), ქართველებისა და სხვადასხვა ეთნოსის ადმინისტრაციული ტერიტორიული დაყოფა	90
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა ისტორიულ პერიოდში	99
დასახლებული პუნქტების ისტორიული გეოგრაფია	110
ისტორიული საფორტიფიკაციო ნაგებობათა გეოგრაფია	118
ისტორიული სამხედრო გეოგრაფია	127
სოციალური და ეკონომიკური ისტორიული გეოგრაფია	135
ისტორიული ვსები	151
საეკლესიო გეოგრაფია	159
ისტორიული ტოპონიმია	168
რეგიონალური გეოგრაფია. შიდა ქართლი	184
ქვემო ქართლი	191
ზემო ქართლი	199

კახეთ-კუხეთ-ქერეთი	207
აღმოსავლეთი კავკასიონის მთიანეთი	216
იმერეთი	223
სამცრელო-ოდიში	244
რაჭა-ლეჩხუმი	239
სვანეთი	247
გურია	252
აფხაზეთი	256
აჭარა	263
გამოყენებული ლიტერატურა	268



108

01/394



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტექსტში ჩართული რუკების ნაწილი ვადმოღებულია
„საქართველოს ისტორიის ნარკვევებიდან“

დამკაბადონებელი თეზისი უაფარიძე
ოპერატორი ქეთიხი ნიკოლაშვილი

ვადაცა წარმოებს IX.2002. ხელმოწერილია დასაბუჯდად III.2003.
ქაღალდი ოფსეტური, ქაღალდის ზომა 60x84/6. ბეჭდვა ოფსეტური.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თამაზი 18

შეგ. №5

ტირაჟი 100



STATIO BRESL
& N. S. M. T. O. P. O. S. T.